

780 /
1983/2

ಪ್ರಗತಿ



1983

2

45
780/2



ISSN 0134-0846



აილი აბაშიძის პორტრეტი

საქართველოს მხატვრობის საზოგადოება



ქართული
ბიბლიოთეკა

გარეკანზე: ემილ ანტუან ბურდელი.
ბეთსოვენი. „ჩემი სტიქია — ჰაერია“

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ელზა ახვლედიანი, ჯემალ აჯიაშვილი, გიორგი ბაჭანიძე, მზია ბაჭრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა დარჩია (პ. შგ. მდივანი), მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, ზუკაბ კიკნაძე, ვახუშტი კობახიშვილი, რომან მიმინოშვილი, გიორგი ნიშნიანიძე, ოთარ ნოდია, დალი ფანჯიკიძე, რუსუდან ქვიციანიძე, იოსებ ჯემბურაძე, ნიკო უიასაშვილი, გივი ქნელაძე, დავით წერეთელი, თამაზ წივწივაძე, რეზო ვეიშვილი

სურსათი



საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
აღმწერები

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეჯია

2

(53)

მარტი
აპრილი

1983

შინაარსი

კოლეჯია და კროზა

| | |
|--|-----|
| ვლადიმერ ტენდრიამოვი. საზღაური. შოთხრობა, დასასრული. თარგმნა ზურაბ ლეშაშვილმა | 3 |
| მიხეილ გაცუში. ლექსები. თარგმნა ტარიელ ჭანტურიაშ | 81 |
| მიხეილ გულგაკოვი. თეატრალური რომანი. დასაწყისი. თარგმნა გივი კიკილაშვილმა | 70 |
| ვლადიმერ სოლოვიოვი. ლექსები. თარგმნა გივი აღბაწიშვილმა | 149 |
| ფინელი კოეტივი. ლექსები. თარგმნა ამირან კალაძემ | 154 |
| ივლინ ვო. უკეთურთა მოღვნა. რომანი. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა ჭულიეტა მჭედლიშვილმა | 162 |
| პინერი პინე. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა იორაბ ქემერტელიძემ | 235 |
| ფრანც ბრილბარცერი. ოპროს სანისი. პირველი ნაწილი. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა | 244 |
| სერგეი ანტონოვი. დეილა ლუზა. შოთხრობა, თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ | 262 |
| სრაჩო კოსოვილი. ლექსები. თარგმნა თეიმურაზ აბულაძემ | 273 |

წერილები

| | |
|---|-----|
| ეზილ ანტუან გურდელი. პანდოპების ხელმოწევა. თარგმნეს ავთანდილ და ტარიელ ვართაგავეებმა | 276 |
| თომას შანი. გომეშის „მერტერი“. გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ლვინეჭაძემ | 313 |

ქალბერი ტენდრიაკოვი

ს ა ზ ლ ა უ რ ი



მ ო თ ხ რ ო ზ ა

თარგმნა ზურაბ ლეჟაშვილმა

ნაწილი მორე

1

სულიმოვმა დილიდანვე გადაწყვიტა კოლია საექიმო შემოწმებაზე მიეყვანა. ასეთ დროს სამედიცინო შემოწმებას გვერდს ვერ აუვლი. სულიმოვს შეეძლო სხვებისათვის დაევალებინა ბიჭის წაყვანა, მაგრამ ვაითუ რაღაც-რაღაცების დაზუსტება, ან განმარტება იყოს საჭირო, და კორიაკინი თვითონ წაიყვანა ექსპერტთან...

საავადმყოფო, სადაც ის და კოლია მილიციელის თანხლებით სპეცმანქანამ მიიყვანა, ოდესღაც ქალაქგარეთ იდგა. ახლა მეჩხერი ტყით გარშემორტყმულ, ჩაშავებულ აგურის ოთხ კორპუსს ოთხივე მხრიდან ქალაქი შემოდგომოდა. ეს საავადმყოფო ჭერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს დააარსა რუსეთში სახელგანთქმულმა ფსიქიატრმა. ახლა საავადმყოფო მია სახელს ატარებდა, მაგრამ ხალხი ძველთაგანვე მაინც „კატების სადგომს“ ან „შერეკილთა თავშესაფარს“ ეძახდა აგდებით.

იმ არემარეში საკმაოდ ცნობილმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, რომელიც დამაარსებელივით საქვეყნოდ არ იყო განთქმული, მაგრამ განყოფილებას განაგებდა და მხოლოდ საგანგებო, მნიშვნელოვანი შემთხვევის დროს თუ აწუხებდნენ საგამომძიებლო ორგანოები, მიატოვებდა თავისი ავადმყოფები. საორგანიზაციო თუ მისდამი რწმუნებული მედპერსონალის კანკაობის გარეგან-გამომძიების საქმენი, სულიმოვთან ერთად კაბინეტში განმარტოვდა, გადაფურცლა ქაღალდები, რამდენიმე არააჯრისმთქმელი შეკითხვა მისცა და წარმოთქვა:

— რა გაეწყობა, მომგვარეთ, ეგ თქვენი „ყაჩაღი“.

დასასრული. დასაწყისი. იხ. „საუნჯე“ № 1, 1983 წ.

ს. ქარბაძის სახ. სპ. ხარკ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ქალბერი

„ყაჩაღი“ საცოდავად გამოიყურებოდა, გაღეული სახე მთლად ჩალურჯებოდა, შეშინებული, ღია ფერის თვალის გუგები უკრთოდა. წაწყვეტაზე ჰქონდა საყელოდან ამოჩრილი კისერი.

ქალაქის ცნობილი, თავმოტვლებილი, ბრგე ექიმი, სულხიმოვი შინაურული უხეშობით რომ ელაპარაკებოდა, კორიაკინის გამბედაობის საოცრად შეიცვალა. არა მარტო სახის იერით, არამედ ჩასკვნილი სხეულითაც გულწრფელი თანაგრძნობა გამოხატა. კოლია ისე დასვა, ბიჭის გაჩეკული მუხლები მის მკვრივ, ჩასუქებულ მუხლისთავეებს მიკვროდა, და მზრუნველი კილოთი დაუწყო გამოკითხვა — ვითომ გნებავს შიპასუხე, გნებავს — ნუო. ჰკითხა: სპორტს თუ მისდევო, თავის ტკივილს ხომ არ უჩივიო, ღამღამობით კარგად თუ გძინავსო, რა წიგნებს უფრო ეტანებიო...

გამოკითხვის შიგადაშიგ კი ფეხი ფეხზე გადაადებინა, მუხლზე ჩაქუჩი დაუკაკუნა, სქელი თითი ჭერს მიუშვირა — თვალი გააყოლო. ეკითხებოდა ხავერდოვანი ხმით, ცდილობდა საუბარში ჩაეთრია, კოლია მოკლედ და გარკვევით პასუხობდა, ექიმს არ აცილებდა შემფოთებულ, მაგრამ ნდობით სავსე მზერას.

— კეთილი, წადი, ჩემო კარგო, — თბილად, დაყვავებით უთხრა ექიმმა. ბოლოს, კართან მომლოდინე მილიციელისაკენ გაუშვა და, როცა კოლია თვალს მიეფარა, ბუზლუნით თქვა, — როგორც ავადმყოფი, ჩემთვის სრულიად არ არის საინტერესო.

— ნორმალურია? — შეეკითხა სულიმოვი.

— ნორმალური ადამიანები ამქვეყნად არ არიან!

ფსიქიატრი მარჯვედ მიუჯდა მაგიდას და იმ ექიმის პროფესიული სისწრაფით, აურაცხელი ავაყმყოფები რომ ელოდებიან და ყოველი წამი ძვირად უღირს, შემდეგი დასკვნა დაწერა: „ნიკოლაი რაფაილის ძე კორიაკინი არ არის სულით ავადმყოფი. ამჟღავნებს ფსიქიური მერყეობის ნიშნებს. საბრალოდებულო ქმედების წინა პერიოდში ხანგრძლივი ფსიქონერვულტრავმული სიტუაციის გამო ბუნებრივ უგუნებობას განიცდიდა, ოღონდ, ეს არ ატარებდა ავადმყოფურ ხასიათს. კანონის დარღვევის დროს სულიერი მოშლილობის რაიმე დროებით ავადმყოფურ ნიშნებს არ ამჟღავნებდა, როგორც საქმიდან და ამ ფსიქიატრიული გამოკვლევებიდან ჩანს, მას იმ მომენტში ახასიათებდა ისევ იმ სიტუაციით გამოწვეული ემოციურად დაძაბული მდგომარეობა და ამას არ ახლდა ფსიქიკური სიმპტომატიკა (ბოდვა, პალუცინაცია, გარემოს დამახინჯებული აღქმა). ამიტომ საბრალოდებულო ქმედების მიმართ ნ. რ. კორიაკინი შერაცხადად უნდა ჩაითვალოს“.

სულიმოვმა თვალი გადაავლო ნაწერს და შეინახა.

— კიდევ ერთი შეკითხვა, ექიმო... ისე წაირიმართა საქმე, რომ იგი მარტო უნდა დავტოვოთ საკანში, რაიმე ფათერაკს ხომ არ აიტეხს?

— მაინც რამდენ ხანს აპირებთ მარტო დატოვებას?

— აი, სწორედ ეს მინდა თქვენგან გავიგო — რამდენ დღეს გაუძლებს მარტო ყოფნას?

— თავდებად ვერ დავუდგები. ვინ იცის, აქნებ ხვალ თუ ზეგ გამოამყდავნოს მოულოდნელი ნიშნები. თუმცა, მგონი, ისეთი არაფერი მოხდება, ჩვენი დასკვნის შეცვლა დაგვჭირდეს და ბიჭი შეურაცხადად ჩავთვალოთ.

კაბინეტიდან გაცილებიას ექიმმა მაინც უთხრა სულიმოვს:

— ისე, თქვენს ადგილას, შევეცდებოდი დიდად არ დამეტრგუნა, — მერყევი ჩანს, ჯერ ტყავი არ გასქელებია...

სულიმოვი მიხვდა: ამ ბევრისმომსწრე, ნიადაგ სხვისი უბედურების მაცქერალ კაცს, ვისაც დღემუდამ სულით ავადმყოფები არტყია ირგვლივ, უბრალოდ, ქალივით შეეცოდა კოლია და სულიმოვმა რატომღაც უცებ დამნაშავედ იგრძნო თავი. თითქოს რაღაც ისე არ გააკეთა, თითქოს რაღაც დიდი პირობა არ შეასრულა. თუმცაღა იგი არავის არაფერს დაპირებია, რაც შეუძლია ყველაფერს პატიოსნად აკეთებს, თვითონვე ებრალება ეს გზააბნეული ბიჭი და სინდისიც სუფთა აქვს, თავს მაინც დამნაშავედ გრძნობს...

სულიმოვი ადრევე აპირებდა საავადმყოფოდან ბიჭის პირდაპირ შინ, დედასთან წაყვანას. კაცმა რომ თქვას, ხელმეორე დაკითხვა აღარც იყო საჭირო. ბიჭმა ყველაფერი აღიარა, დაკითხვის ოქმისთვისღა უნდა მოეწერა ხელი. მისი ხელმოწერა ორი რამისათვის იყო საჭირო. ჯერ ერთი, გუშინ დამშვიდობებისას დედამისს დაპირდა, შვილთან შეგახვედრებო, ეს კი გაფორმებული ოქმის წარდგენის შემდეგ შეიძლებოდა მხოლოდ. მეორეც, იმედი ჰქონდა, ბიჭს თავდებით გაუშვებდნენ.

ახლა მოუხდა კიდევ რაღაც გაეკეთებინა ბიჭისათვის: კი, ისეთი რამ ჩაიდინე, როგორც საკუთარ თავს, ისე სხვებს თავზარი დაეცი. მაგრამ არ გეგონოს, ამით შენს ცხოვრებას ჯვარი დაესვა. დანაშაულის გამოსწორება არასოდეს არ არის გვიან. ქვეყანაზე კეთილ ხალხს რა გამოლევს — გაგიგებენ, დაგეხმარებიან, ფეხზე დაგაყენებენ.

მაგრამ როცა კოლია კორიაკინი კაბინეტში სკამზე დაეშვა და სულიმოვმა ბიჭის მოქცეული ყბა და სადღაც შორს, სივრცეს მიშტერებული, გამჭვირვალე, გამოცარიელებული თვალები დაინახა, მასაც უიმედობამ დარია ხელი. გამამხნევებელი სიტყვების თქმა უბრალოდ შეუძლებელი გახდა. თანაც ხელნოსაწერად გამზადებულ ოქმში არაფერი ეწერა იმედისმომცემი — თოფი რომ ბიჭმა თვითონ დატენა წინასწარ, ეს არ შეეძლო ოქმში არ შეეტანა. თანაუგრძნო და მერე ოქმი მიაჩეჩო — აჰა, ხელი მოაწერე, რომ შემთხვევით კი არა, წინასწარ განზრახვით გაქვს დანაშაული ჩადენილიო! — ეს მართლა არ შეიძლებოდა.

გულდამძიმებულმა სულიმოვმა კოლიას უთხრა: ყურადღებით წაეკითხა ოქმი.

— თუ არ მეთანხმები, შემედავე, მზადა ვარ ყველაფერი გავითვალისწინო.

კოლიამ ოქმი აშკარად ნაძალადევად ჩაათვალიერა და ათრთოლებული ხელით მოაწერა გვარი. დედასთან მოსალოდნელი შეხვედრის ამბავი გულგრილად მოისმინა, თითქოს არც შეუშვა ყურში, ხოლო დაპირებამ, ვეცდები, თავდებით გაგიშვათო — ააღელვა.

— მერედა, სად წავიდე?... სადაც სისხლი დავღვარე, იმ სახლში ვიცხოვრო? არა! მკვლელი ვარ და ხალხს ვერ ვეჩვენები! არა, არ მინდა, არაა საჭირო!

ამ სიტყვებმა სულიმოვი გააჩაერა:

— ჩვენ უკეთ ვიცით, რა არის საჭირო და რა — არა. აქ ისეთები გვყავს, ვინც საშიშია ან მიმალვას აპირებს, შენი კი, გვჯერა — არც არაფერს ჩაიდენ

და არც არსად გაიქცევი. სად ვიცხოვროო?... ხომ შეიფარეს დედაშენი? იქ სა-
შენო ადგილსაც გამოძებნიან.

ეგონა, რალაცნაირად მაინც გავამხნევეო ბაჭი. კოლიამ კი მთლად ჩაითხო-
გული — ყბები მოკუშა, მზერა შორეთს მიაშტერა.

ასე დამთავრდა მათი ეს შეხვედრა — სულიმოვმა მილიციელს გამოუძახა,
წაიყვანეთო, სთხოვა.

უფროსებისათვის უნდა მოეხსენებინა ყოველივე, პროკურატურას უნდა
დაკავშირებოდა, განსვენებულ რაფაილ კორიაკინის სამსახურში უნდა შეეა-
რა, აურაცხელი საქმე ჰქონდა, ის კი იჯდა, გახსნილ საქალაქს დასჩერებოდა
და წელი ვერ წამოეწია.

არ შეიძლებოდა იმის თქმა, თითქოს სულიმოვს დაუფიქრებლად ეცხოვ-
როს... სამსახური ჰქონდა ისეთი, ტვინის გაქანება სჭირდებოდა, სულ მუდამ
ჩახლართული ამოცანების ამოხსნა. აქანებდა კიდევაც ტვინს, მაგრამ ყოველ-
თვის რაიმე კონკრეტულის, პრაქტიკულის თაობაზე; განყენებული მსჯელო-
ბა კი, სულიერ განცდებში ფათური, არ შეეძლო! არც ხასიათი ჰქონდა ასეთი
და ეს საქმესაც უშლიდა ხელს. აქ მუდამ შემართება, შეუპოვრობა გმართებს,
ნათლად უნდა იცოდე, როდის რა არის საჭირო, არ იკოკმანო, არ დაიბნე, არ
მოდუნდე — არაფერი არ გეპატიება.

ახლა კი რა დაემართა... არა, ეჭვსა კი არ აუტანია, ფიქრი გაექცა შორს,
ძალიან შორს, ოცდაათიანი წლების უცნობი სოფლისაკენ, სადაც კულაკის
ნაშიერმა ვანკა კლიოვმა მოჯამაგირე ვოგო შეაცდინა, ფიქრობდა იმ ბავშვზე,
გერაც რომ არ გაჩენილიყო და უკვე კულაკის ნაბიჭვარი შეერქვა. ეს კი ალ-
ბათ მეტად ავის მაუწყებელი მეტსახელი იყო იმ დროს...

აგე, სად გადაიკვანდა ეს გორგალი! იქიდან მოყოლებული იგორა და იგო-
რა ამ გორგალმა. შიმშილობის წლები, პირველი ხუთწლეულების ბარაკული
ცხოვრება, ომი გამოიარა და — გუშინდამ, მენდელეევის ქუჩაზე მოგორდა...

ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა. შემოსასვლელიდან რეკავდნენ.

— აქ ორ ქაცს უნდა თქვენი ნახვა. მოკლული კორიაკინის ახლო ნაცნო-
ბები ყოფილან, რალაც მნიშვნელოვანი ამბავი უნდა ვაუწყოთო, ამბობენ.

— საიდან არიან?

— კორიაკინთან ერთად მსახურობდნენ.

— მათ შორის პუხოვი ხომ არ არის?

— არა! ერთის გვარი რაბინოვიჩია, მეორისა — კლოპოვინი.

ისინი სულიმოვს წარუდგნენ. წინა დაბალი იყო, მამალივით აფხორილი,
ოვალდაფეთებული, აშკარად ეტყობოდა, მხდალი რომ იყო, არადა, ვითომ
ყოჩაღი, გმირობის შემძლები კაცივით ეჭირა თავი. ნაბიჯით უკან ერთი წოწო-
ლა და ზორბა ვინმე იდგა. შებოჭილავით გახევებული, თითქოსდა ნამძინა-
რევი სიფათი ჰქონდა. დიდი საბრძნე არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ ამ
ქაცის ზატი და სალოცავი არაყი იყო მხოლოდ. ასეთნი ჩვეულებრივ ერიდე-
ბიან, გაურბიან ოფიციალურ დაწესებულებებს, წესრიგის მეთვალყურეთ, ხო-

ლო თუ გაბედეს და თავისი ნებით გადმოაბიჯეს მორიგე მილიციელით დაცულ ზღურბლს, ალბათ რაღაც განსაკუთრებული მიზეზი აქვთ საამისო. თუმცა, კაცმა არ იცის, თავიანთი თუ სხვისი სურვილით იყვნენ აქ მობრძანებულნი. ასე იყო თუ ისე, მათ კარგად უნდა დაკვირვებოდა კაცი.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — ვითომ სულ არ გაეჭიხრებინა მარცაინტერესებს მათი მოსვლაო, ასე ხაზგასმული ზრდილობითა და განგებ ცივად შეეკითხა სულიმოვი.

მამალავით შემართულმა ვაჟკაცურად დაძლია შიში და თითქმის გამომწვევად უპასუხა:

— გვკითხეთ, ვინა ვართ, და თქვენთვის ნათელი გახდება, რაც გვაქვს სათქმელი ამხანაგი უფროსისათვის.

— მაინც ვინა ხართ ასეთები?

— ჩვენ უდროოდ დაღუპული რაფაილ კორიაკინის მეგობრები ვართ!

— კარგად გასაცნობად ურიგო არ იქნება, თუ თქვენს ვანაობასაც იტყოდით.

— ოჰო, თქვენ გაინტერესებთ ესოდენ უმნიშვნელო პიროვნებები!.. მე სოლომონი ვარ... თანაც გაითვალისწინეთ, ჩემი სრული სახელი, გვარი და მამის სახელია... სოლომონ ბორისოვიჩი, ვაი, რომ რაბინოვიჩი! დიახ, ებრაელი გახლავართ! დიახ, ოცდაერთ წელში ვარ დაბადებული! ოღონდ არა, არა! სოლომონ რაბინოვიჩი არც სამართალში ყოფილა მიცემული და არც გამომძიებელთან ჰქონია საქმე.

— თქვენ? — მიმართა სულიმოვმა მეორეს.

— კლოპოვიჩი ვარ, დანალა ვასილევჩი, — კუშტად განაცხადა იმან.

— ჯიგრიანი ბიჭია! — წამოიყვირა ალგზნებულმა სოლომონმა.

— ესე იგი, არც ეგ ყოფილა სამართალში.

— დანია, აუხსენი! დანია, ამხანაგ უფროსს შეიძლება ცუდი წარმოდგენა შეექმნეს ჩვენზე!

— ვიყავი... რა მოხდა მერე! სოფელში სალექსი მანქანიდან ერთი ქუდი ხორბალი წავიძღვანიე... მშიოდა და იმიტომ, ბრძანებულება შემეხო და ხუთი წელი მომარტყვეს...

— ესაა და ეს! განა ამას დანაშაულად ჩაუთვლით? — დელავდა სოლომონი.

შესცქეროდა ამ კაცებს სულიმოვი და ვერ გადაეწყვიტა, სათითაოდ მოესმინა თუ ერთად დაეკითხა ეს წყვილი. თუ მართლა რაიმე აქვთ სათქმელი, მაშინ სჯობს შებოჭილად არ იგრძნონ თავი. უთუოდ კარგა ხანს ემზადებოდნენ მოსასვლელად. ცალ-ცალკე ალბათ ვერც გაბედავდნენ მოსვლას. ესენი რომ გააცალკეო, ერთმანეთის იმედი აღარ ექნებათ და რიხს დაკარგავენ. სოლომონს იქნებ კიდევ წამოსცდეს რაღაც, მის მეგობარს კი კრინტს ველარ დაადგრევიან, თანაც, ჯერჯერობით ამათ მოწმეები არ დაერქმევა, რომელთა დაკითხვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 158-ე მუხლის თანახმად ცალკეა აუცილებელი. გახდებიან თუ არა მოწმეები, ეს ახლა გამოირკვევა მათი საუბრიდან. არა, არა ღირს მათი დაშორება, ისინი ერთად უნდა დაიკითხონ. დიახ, დიახ! ერთად.

— დაბრძანდით. ასე რომ, თქვენ რაფაილ კორიაკინის მეგობრები იყავით?

— უახლოესი! — არ დააყოვნა სოლომონმა.

— მაშასადამე, მისი თანამეინახეები, ხომ? ასეთი მეგობრობა გაქვე მხედველობაში?

სოლომონმა მწარედ ამოიოხრა:

— არც უმაგისობაა! სხვაგვარი მეგობრობა, პირდაპირ გეტყვით, ცხოვრებაში რაფაილს არ სწამდა, მაგრამ მე და დანია ახლაც კი, რაც რაფაილი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, ერთგულება ვართ მისი. თუმცა, უნდა ითქვას, რატო მართლა თავშეუკავებელი იყო და მე და დანიას უხეშადაც გვექცეოდა ხოლმე. გვიპატიებია ყველაფერი... ხომ მართალი ვარ, დანია?

დანიამ ძლივს ამოაბუხუნა ბანით: „რა საკადრისია!“

— მაინც რა გნებავთ მაცნობოთ?

სოლომონმა ჰაერი ჩაისუნთქა, წამით გაირინდა, მიატრიალ-მოატრიალა გადმოკარკლულ თვალები.

— თქვენ, ცხადია, გგონიათ, — წამოიწყო, — იმ საწყალ ბიჭს რომ არ ნოქლა მამამისი, რაფა ცოცხალი იქნებოდა, ჰოდა, ჩვენ, მე და დანია გეტყვით ნამდვილს: ბიჭმა იჩქარა, თორემ მამამისს სხვები მოკლავდნენ.

— ეს ვარაუდია, თუ ფაქტები ვაქვით?

— ფაქტი ავერაა, თქვენ წინ დგანან ხელისშემწყობები... დიახ, დიახ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მკვლელის ხელშემწყობები! — წარმოთქვა სოლომონმა, — მაგრამ გაითვალისწინეთ, უნებლიე ხელშემწყობები მხოლოდ ახლად ვიგრძენით, თუ რა საზარელ როლს ვთამაშობდით...

— მართლაც რომ თავზარდამცემი განცხადებაა! — თქვა სულიმოვმა.

— მერე და განა გვეიოლება ამის თქმა! სულაც არა! მაგრამ გვინდა პატიოსანი ხალხის სახელი შეგვრჩეს. ხომ სწორია, დანია?

— დალაგებით მომიყვებით.

— ორი წლის წინათ მე და დანია სამღებრო საამქროში მიგვიღეს, რისთვის მიგვიღეს? არც მე და არც დანიას მანამდე არ შეგვიკეთებია და არც შეგვიღებია მანქანები. მაგრამ ჩვენ... სულო ცოდვილო და, ნამეტანი გვსიამოვნებს ის შხამი და რა ვქნათ! ერთობ გვიყვარს არაყი, ერთობ, თავადვე ვწუხვართ, მაგრამ... მაინც ვყლურწავთ! ჰოდა, სწორედ ამისათვის მიგვიღეს იქ.

— ლოთობისათვის?

— სწორედაც! რაფაილ კორიაკინს აუბით მხარიო! ჩვენამდე მას სხვები ჰყავდა გვერდით. პაშკა ვაცი და ვენკა ბრუტიანი. ერთმა ვერ გაუძლო ამ მძიმე მოვალეობას და გაიქცა, მეორე კი ვაყვაცურად შეეწირა თავის საქმეს. ზუსტად ასე გვითხრეს: „მაგ მხეცს თქვენ მიხედეთ!“ პირდაპირ გვითხრეს, ამხანაგო უფროსო, პირდაპირ!

— პუხოვმა?

— ოპო, თქვენ უკვე გცოდნიათ მისი გვარი! მით უკეთესი! მით უკეთესი!.. პუხოვის გარდა სხვას ეის აძლევდა ხელს, რომ რაფას სმისათვის არ დაენებებინა თავი! თუ რაფა გამოსწორდებოდა და წვეთს აღარ დალევდა, მაშინ გვითხარით, თუ ხათრი ექვით, რატომღა მოიკლავდა ფულისთვის თავს? არ იყო ხელის ჭუჭყის მოყვარული ჩვენი რაფაშკა, არა! მაგრამ ჩვენზე და დანიაზე უფრო უყვარდა ის სასჯლის კრული და მაინც სამგზის დალოცვილი

ყლურწვა! ერთი კარგი გამობრუნებისათვის თათოებელი ჩვენგანი ეშმაკს მიჰყიდდა სულს, მაგრამ ჩემი და დანიას სულისათვის ვინ რას გაიმეტებდა! სამაგიეროდ რაფას სული — ოჰ! ოსტატის სული, პარდაპირ გეტყვით, კარგარია — ნად ფასობდა.

ერისული

— თქვენ, მგონი, იმით დაიწყეთ: კორიაკინს რომ სმისტუფი... დაუწყებინა, პუხოვს ეს ხელს არ აძლევდაო, — შეახსენა სულიმოვმა.

— ეჰ! ეს იოლი მისახვედრია — მაშინ რაფა პუხოვისაგან დაიხსნიდა თავს, დაიხსნიდა და პუხოვიც დაკარგავდა ოქროს კვერცხის მდებელ დედალს! ხომ მართალი ვარ?

დანიამ თანხმობის ნიშნად რაღაც ამოიბლუყუნა.

— მაშინ რა გამოდის, პუხოვს ოქროს კვერცხის მდებელი დედლის მოკვლა სურდა? რაღაც ვერ ეთანხმება ერთმანეთს ეს ყველაფერა, სოლომონ?! —

— თქვენ რას ეძახით მკვლელობას? — სკამზე აწრიალდა სოლომონი, — სისხლის წოვა, თქვენი აზრით, მკვლელობა არ არის?

— უნდოდა თუ არ უნდოდა-მეთქი პუხოვს კორიაკინის სიკვდილი?

— არ უნდოდა! — ხელები გაშალა სოლომონმა, — მაგრამ იცოდა, რომ კლავდა.

— რაო, კორიაკინს აძალებდა, დალიეო?!

— ის თვითონ? უპ, ნუ გაგვაცინეთ, უფროსო! აძალებდაო... არა, ისე ჭკვიანურად უნდა მოეწყო ყველაფერი, ისეთი პირობები უნდა შეექმნა, რაფა მხოლოდ მაშინ დამთვრალიყო, როცა საქმეს მორჩებოდა, თუ რაფა სასწრაფო საქმეს აკეთებდა — (რაფას კი არასასწრაფო საქმე არასოდეს ჰქონია) — სასმელს ტაბუ ედო! მკაცრად უთვალთვალებდნენ, ჩვენ, სულგამწარებულთ აბლოს არ გვაკარებდნენ, ახლა სმის დრო არაა, როცა გათავისუფლდება, მერეო! გათავისუფლდებოდა და — იმწამსვე ჯოჯოხეთური სმა იწყებოდა. თუ ფული არ გაქვს — ადექი და ისესხეო, მეინახენი არა გყავს, — აგერ გელოდებიან, შენთვის არიან საგანგებოდ დაქირავებულებო. ისინი გაფრთხილებულნი მყავს, წინასწარ სადმე არ გამოიბრუნოთ, ძალლიშვილებო, რაფაშკისათვის შეინახეთ თავიო! თუ საქმეს ადგახართ, რაფასთვის გაგათავისუფლებთო! ყველაფერი ისე იყო გამოანგარიშებული, რომ რაფოჩკას ოდნავ ჩაფიქრების დროც არ ჰქონოდა. ოჰოჰო, ეს კი არაა, ოჯახს რომ არაფერი გაჭირვებოდა, რაფას მაგივრად მისი ოჯახისათვის პუხოვი ზრუნავდა. შენ, ძვირფასო რაფა, ნურაფერზე ინალვლებ, ფანტე ეს ფულები, რათა ისევ იშოვო, იშოვე, რათა მყის ისევ გაფლანგო, შეყოვნება არ გაბედო, თორემ მორჩა, პუხოვი გადაგიკეტავს ამ წყაროს. ხომ მაგარი კისტემაა!.. როგორ მოგწონთ, ამხანაგო უფროსო?

— ამას თქვენ ორნი ხედებოდით, კორიაკინი კი ვერა? ნუთუ ასეთი შტერი იყო? — ჰკითხა სულიმოვმა.

— პირიქით! სწორედ რომ პირიქით! მე და დანია აზრზე არ ვიყავით. თორემ მან კი იცოდა. როცა რაფა გადაირეოდა, დედის სულს უტრიალებდა ხოლმე პუხოვს. მერე რა გგონიათ? ისევ მასთან მიდიოდა, რათა ფული ეშოვნა და მერე გაენიავებინა.

— როდის მიხვდით ამ ამბავს?

ადელვებულნი სოლომონი სკამიდან წამოიჭრა.

— დადი ხანია ვგრძნობდით, მაგრამ მთელი სიღრმით არ გვესმოდა! ხოლო თვითონ პუხოვისაგან რომ გავიგეთ ბიჭმა მამაო... მაშინ კი აგვეჩილა თვალი. ვინ ვყოფილვართ თურმე? ხელისშემწყობნი! ჩვენი სიბრძნევით, ჩვენი სიბრძნევით, ჩვენი სისუსტით ვუწყობდით ხელს!..

— სირცხვილო! — წაიხრიწინა დანიაშაც. ერქონსუღი
ბიზღიქოთუქა

— სწორედაც, სწორედაც! მე და დანია სირცხვილმა აგვიტანა. ყველფერი შეიძლება მოგანელეებინოს არაყმა — მშობელი დედის სიკვდილი, ყოველგვარი უბედურება, მაგრამ სირცხვილი... მხოლოდ სირცხვილს ვერ წარეცხავ ამ წამლით. არაყი, ვეტყვით მე თქვენ, სირცხვილს კიდევ უფრო ამძაფრებს. გუშინ რაღა კორიაკინის სულის მოსახსენებლად გადავკარით ცოტაოდენი და ისე მოვიშალეთ, ისე მოვიშალეთ რომა!.. დანიას ვუთხარი: წაგწყდებით, თუ სიმართლეს არ ვიტყვით-მეთქი! დანია, — ვთქვი მე, — ერთი საათით მაინც უნდა გავხდეთ მესიები-მეთქი! იცით, რა არის მესია, ამხანაგო უფროსო?

— ვიცი, — მოუჭრა სულიმოვმა, — ოღონდ ეს კი არ ვიცი, იმ პუხოვს რომ აპკიდეთ მთელი ცოდვები, თქვენ ვითომ იმაზე უკეთესნი ხართ? ის კორიაკინის ფულით ხეირობდა, თქვენ კი კორიაკინის არაყით! ფერი ფერსა — მაღლი ღმერთსაო!

სოლომონს შეაცახცახა, ლოყები, ცხვირი გაუხვედა.

— დანია, — წამოიძახა გულწრფელად დამწუხრებულმა, — მე და შენ პატიოსნად ვილწვით, განწმენდის ხატრით, ამათ კი, ხედავ, რა დალი დაგვასვენეს?

— ნუ პამპულობთ, სოლომონ! სჯობს ამიხსენით, რა განსხვავებაა თქვენსა და პუხოვს შორის?

სახემოღრეცილი, ცხვირაფშეკილი სოლომონი იმ წუთს მომაკვდავ უცხო ფრინველს წააგავდა.

— აგიხსნით, ოღონდ გთხოვთ, კარგად შემოგვხედეთ.

— გხედავთ და ეგაა!

— უშნოები ვართ, ხომ?.. სწორი ბრძანდებით, სწორი, — უგვანო შესახედავები ვართ მე და დანია! მაგრამ ასე უცებ ნუ შეგვიზიზღებთ! ჩვენ — სანიტრები ვართ. პუხოვები რომ ნებეს ჰყრიან, ჩვენ იმით ვიკვებებით. აუპ, რა მოხდებოდა, რაღა კორიაკინს უჩვენოდ, შემთხვევით ხალხთან რომ ექეიფა! ერთმა ღმერთმა უწყის, რაც მაშინ დატრიალდებოდა. აუპ, რა დამცილება იცოდა ხალხისა სიმთვრალეში! ამას ენა ვერ იტყვის, ეს საკუთარი თვალით უნდა გენახა, თვითონ უნდა მოგესმინა! რა ბალწი სიტყვებით არ გვთათხავდა, განსაკუთრებით მე. სიმთვრალისას გაახსენდებოდა ჩემი ებრაელობა. პოდა, მარტო ლანღვა-ვინებას როდი მაკმარებდა. წამითაქებდა კიდევაც. გეფიცებით — ტყვიასავით მუწტები ჰქონდა რაფაშკას. ჩემი და დანიას შეტი ამას ვინ აიტანდა?! რაფაშკას საბრალლო ცოლმა ჯერ არც იცის, ცოტას მაინც რომ ვშველოდით... დიახ, დიახ, მე და დანია ვშველოდით. ჩვენ რომ არა, კიდევ უფრო მოხვდებოდა! ჰმ, მაგარი ვინმე იყო რაფოჩკა, ჩვენ შემდეგაც რჩებოდა ძალონე და დანარჩენს ცოლსა და უბედურ ვაჟიშვილს ახმარდა. პუხოვიც ჩვენი გადარჩენილია, მართალია, ვეზიზღებოდით, მაგრამ მაინც ამ მიზნით ვყავდით რაფოჩკას გვერდით დაბმულნი. ამიტომ გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, პუხოვს ნუ

მიგვატოლებთ, მის კვალზე ლაფი რჩება, ჩვენსაზე კი — თუნდაც ერთი ბეწო სისუფთავე. ცხადია, ნეხვის ხოჭო ყარს. ყველას ცხვირი განზე მიჰქვს ჩვენ-გან, დანია! უთხარი, კლოპ, რომ მიჩვეულნი ვართ ამას...

— მაშინ რაღა ეშმაკად მისტირით იმ რაფოჩკას! მგონი, გეცოდებათ კი არა, გიყვარდათ კიდევ?!

დანიამ, რაღაც ამოიხრიალა, სოლომონი კი მთელი ტანით დაიწმარნა, ხატანჯი ჟღალი თვალები განზე გაექცა.

— თქვენ ბედნიერი კაცი ბრძანდებით, — უთხრა სულიმოვს, — უყვარდით, აკვნიდანვე უყვარდით დედას და მამას, აბა თქვენისთანა კაცმა მე და დანიას როგორ უნდა გაგვიფოს? ჩვენ არავის არ ვყვარებივართ, ფუჰო, ზურგს გვაქცევდა ყველა. იცით, რას გეტყვით, ბედნიერო კაცი: ჩვენ მხოლოდ რაფას ვუყვარდით, რაფას! დიახ, იმ ავ და საზარელ რაფას, რომლისაც ყველას, თვით პუხოვსაც კი ეშინოდა... კი ბატონო, დაგვცინოდა რაფოჩკა, შეურაცხყოფას გვაყენებდა, გვცემდა კიდევაც... მაგრამ კი არ ვეზიზღებოდით, ვჭირდებოდით იმ კაცს... მითხარით ერთი, ვის სჭირდება ამ ქვეყანაზე სოლომონ რაბინოვიჩი, რომოცდაცხრა წლის წინათ. ოდესის მახლობელ დაბაში შემთხვევით დაბადებული ვიგინდარა! არც ეს გალოთებული დანია კლოპი, გლეხუქა სოფელ შიშხადან, ეპრიანებოდა დიდად ვინმეს! არ შეგზარათ ჩვენმა ბედმა ხომ? ასეც ვიცოდით... მე და დანია კი ვერ დავივიწყებთ, ვილაცას რომ ვჭირდებოდით. იმიტომაც ვტირით, რომ ამის შემდეგ ისევ აღარავის, აღარავის არ დავჭირდებით...

მოუსვენრად აცეცებდა გატანჯულ თვალებს სოლომონი, კუშტად იცქირებოდა დანია კლოპი. მათ წინ მაგიდაზე გადმოწოლილიყო სულიმოვი.

— აი, თურმე რა ყოფილა, — თქვა ბოლოს, — თურმე რაფაილ კორიაკინსაც კი მისტირის ვილაც.

— გულწრფელი ცრემლით! იცოდეთ, გულწრფელი ცრემლით! — ხმა გაუწვრილდა სოლომონს.

8

ბუნებაში შეგუება გადარჩენას ნიშნავს. მაგრამ ადამიანი მარტო საკუთარი სიცოცხლისა და შთამომავლობის შესანარჩუნებლად როდი იბრძოდა. კლდეებზე ხატვით პირველყოფილი კაცი თავს ვერ გადაირჩენდა, მაგრამ ხატვისათვის მაინც არ იშურებდა საარსებო საზრდოს მოსაპოვებლად აუცილებელ დროსა და ძალას. თანამედროვე ასტრონომები გონისმიუწვდომლად შორეული კვანძარების შესწავლისას სულაც არ ფიქრობენ, რა პრაქტიკული გამოყენება ექნებათ ცხოვრებაში მათ აღმოჩენებს.

ია რა კაცია, ვინც მხოლოდ იმისთვის ზრუნავს — ოღონდ თავი გადავირჩინო და გინდაც ქვა ქვაზე დადუღებულაო! განა შეიძლება ადამიანი გამოცალკევდეს ამ უკიდევანო სამყაროსაგან? წუთისოფელი არ ინდობს უბირსა და უმეცარს.

ვასილი პეტროვიჩ პოტეხინი (საკუთარი თავის მეტი არაფერი შენაღველებო!), ამ ცოტა ხნის წინათ გაზის დიდი მეურნეობის ხელმძღვანელი, ახლა

კი სამზარეულოს ქურების შესაკეთებლად განწყობების გამომწერი, უფსკრული-საკენ მიექანება და ქალიშვილიც თან უნდა ჩაიყოლოს. ასეთი ვასილი პოტეხინები რაც უფრო დაბეჩავებულნი არიან, მით უფრო თავგამოდებით ცდილობენ მკაცრი მსჯავრის გამოტანას: შენ ცდები, მე კი ვეცდები ვეცდები! რაც მართალია, მართალია, ვასილი პოტეხინი ამიერიდან აღარ შეცდება. არაღა შეაცდენს, როცა საერთოდ აღარაფერს გააკეთებს. ამიტომ შორიდან მაცქერალობი მუდამ მართალი ეგონება.

მკვლელობა მოხდა, შენ გულით გინდა გაერიდო ამ ამბავს და არცაა ძნელი ეს. საკმარისია მოიტყუო თავი, თქვა — შეცდომა არ დამიშვიაო და მორჩა საქმე. მით უმეტეს, როცა შეცდომა ესოდენ გაურკვეველი და შეუმჩნეველია. ვინ გაბედავს და შეიტანს ეჭვს, ვის მოუვა თავში შენი დადანაშაულება?

ასე გაჩნდება ქვეყნად კიდევ ერთი ვასილი პოტეხინი — მუდამ გულჩახვეული, მუდამ ყველაფერში მართალი, ვისაც არც საკუთარი თავისა და არც სხვისი პატივისცემა არა აქვს.

არა და არა! კეთილ ინებე და იძიე შეცდომა, ამხილე თავი შენი.

წუთისოფელი არ ინდობს უბირსა და უმეცარს... მერედა, რა იციის მოწაფემ იმ დიდი ცხოვრებისა, სკოლის დამთავრებისთანავე რომ ელოდება? არკადი კირილოვიჩი ლიტერატურას ასწავლიდა, იმ ლიტერატურას, ფოკუსში რომ უყრის თავს ცხოვრებას, ოღონდ ვის ცხოვრებას? უმეტესად გრაფ ბეზუხოვისა და თავადი მიშკინის, ვანკა ყუკოვისა და ალიოშა პეშკოვის გარდასულ ცხოვრებას. ეს კი არადა, დროით გაცილებით ანლობელი გრიგოლ მელეხოვისა და ვასილი ტიორკინის ცხოვრებაც კი არა ჰგავს დღევანდელს.

სხვა მასწავლებლების მსგავსად არკადი კირილოვიჩი ცდილობდა დაეცვა თავისი მოწაფეები ამა ქვეყნის სიავისაგან: არ არსებობს ლოთობა, დანის ტრიალი, თაღლითობა, ანგარება, არის შრომითი გმირობა, მზარდი შეგნებულობა, კეთილშობილება, სამართლიანი ურთიერთდამოკიდებულება, თუმცა მოსწავლეები არც ბრმები იყვნენ და არც ყრუები. ზოგიერთი ისეთ ოჯახში იზრდებოდა, სადაც ყველაფერი რიგზე ვერ იყო, კარგად იცნობდა ქუჩას, შეტაკებია ხულიგნებს. შეხვედრია უსინდისობას, ანგარებას, ლოთობას, შესწრებია დამამცირებელ უსამართლობას. სკოლა კი ცდილობდა ბავშვებისათვის დაევიწყებინა ეს ყოველივე. ცდილობდა ამას მოწაფის სიყვარულით!

ეს იყო უგუნური სიყვარული. ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეები უბეშ ნავროტზე მიეჩვიათ, თავგამოდებით იცავდნენ მათ ყოველგვარი სიავისაგან და ასაზრდოებდნენ ცხოვრებისეული წყალწყალა ფაფით, რამდენმა დედამ დალუბა შვილი, გამოზარდა უმწეო, მახინჯი თუ თავკერძა მუქთახორა, ვისაც ადამიანებთან გვერდიგვერდ ცხოვრება არ შეეძლო, ვინაც საკუთარ თავსაც და სხვებსაც გაუმწარა სიცოცხლე, მაგრამ ის, რაც შვილის მოყვარულ დედას ებატება, ვანა შეიძლება ებატოთ მასწავლებლებს?

იშვიათად როდი გაიგონებ უდარდელ ნათქვამს: რა საჭიროა ადამიანს ცხოვრება შეასწავლო, როცა ყველაზე უკეთ თვითონ ცხოვრება ასწავლის ჭკუასო. კი, ასწავლის, მაგრამ როგორ? მას შეუძლია ასწავლოს არა მარტო სიმტკიცე და კეთილშობილება, არამედ ისიც, რომ სისასტიკეს სისასტიკითვე უბასუხოს, შეურაცხყოფას — შეურაცხყოფით, უნამუსობას — უნამუსობით. ცხოვრება სტიქიონია და დიდი უგუნურება იქნებოდა იმის იმედით ყოფნა, რომ ეს ბრმა სტიქიონი შეენაცვლება მასწავლებლებს.

კოლია კორიაკინმა აგერ, ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე გამოიყენა ცხოვრებაში მოსიყვარულე არკადი კირილოვიჩის გაკვეთილები.

არკადი კირილოვიჩს მეცხრე „ა“ კლასში მესამე გაკვეთილი ჰქონდა.

ერისნულნი
ბიზნიმთუნა

4

კოლია უცებ ვერც კი გაერკვა — დედას უნდა შეეხვდეთ!... სულიმოვის კაბინეტიდან რომ გამოვიდა, მერე მიხვდა ამას. არა, დედის არსებობა კი არ დავიწყებია, მისთვის უკვე შორეულ, დაკარგულ წარსულში დარჩა დედა.

დედა და მამა — ძნელი წარმოსადგენია უფრო განსხვავებული ადამიანები, მაგრამ კოლიას არც ცალ-ცალკე შეეძლო მათი წარმოდგენა. მამა აღარ არის, დედა კი მალე მოვა მასთან გონებით აქ უცნაურს ვერაფერს ხედავდა. დედა ცოცხალი იყო და უნდა მოენახულებინა შვალი. მაგრამ დედა ენახა და შერიგებოდა იმ აზრს, რომ მამა აღარ იყო ამ ქვეყნად, ეს არაბუნებრივად ეჩვენებოდა.

მთელი განვლილი დამე მამაზე ღიქრში გაატარა, დაიტანჯა მამაზე ფიქრით, უყვარდა მამა! დიახ, უყვარდა! რა გაამართლებს ახლა, თუ არა მამის სიყვარული? დედაც აქვე იყო, ახლოს, მაგრამ დედაზე სადარდებლად, დედის სასიყვარულოდ აღარ შერჩენოდა ძალ-ღონე. ალბათ სადღაც სულას სიღრმეში, სადღაც მღვრიე ნალექი დაგუბებულყო, რომლის ამტუტებისა ეშინოდა, არ დამახრჩოსო — დედაზე ნაწყენიც იყო, რადგან სწორედ იმის გამო დაავლო თოფს ხელი.

დედის გამო... მაგრამ ამაზე გულახდით ფიქრი ვერ გაებედა. დედა და თოფი?.. თუკი ვინმეს ეშინოდა ამქვეყნად თოფის, ეს დედა იყო. რაც მან ჩაიღინა, დედა ამისთვის მადლობას არამც და არამც არ ეტყოდა. საყვედურს კი მოელოდა! ჰოდა, სწორედ ეს სჭირდებოდა ახლა კოლიას. გამართლება კი არა, საყვედური, სიყვარულით ნათქვამი საყვედური! ქვეყნად მხოლოდ დედას შეუძლია ეს უთხრას.

ცხადია, დედა აპატიებს. მარტო შვილს კი არა, ახლა ქმარსაც აპატიებს დანაშაულს. განა შეიძლება არ აპატიოს ესოდენ სასტიკად დასჯილ მამას! ცხადია, დედაც გრძნობს მამის წინაშე თავის დანაშაულს. ეცოდება იგი! დედა! დედა! რა ბედნიერებაა, შენ რომ ხარ ქვეყნად! დედაც მასავით ფიქრობს, მასავით განიცდის, მასზე უკეთ ესმის ყველაფერი! მალე შეხვდებიან ერთმანეთს! ერთად იტირებენ. ერთად დაღვრიან ცრემლს. მაშასადამე, მარტო არაა კოლია, მაშასადამე, კიდევ შეიძლება სიცოცხლე, არც ისე საშინელია ყველაფერი! დედა! დედა!

შვილი დედას იხმობდა საშველად! დედა! პირველად ამ სიტყვით იწყებს კაცი თავის უროიერთობას ადამიანთა მოდგმასთან. დედავ, უბედურების უამს უძლურთა მარადიულო თავშესაფარო! დედავ, საწყისო ყოველი არსობისა! დედავ, სიცოცხლის მომნიჭებელო!..

ჯერ კიდევ დედასთან შეხვედრამდე იგრძნო კოლია კორიაკინმა, რომ მოლად მიტოვებული და ეული არ იყო ამ ქვეყანაზე.

მის წინ კარი გაიღო და ცარიელ ოთახში შეაბიჯა. მხოლოდ გრძელი მაგიდა იდგა შუაში. მაგიდასთან ვიღაც ქალი იჯდა გახევებული. ტანზე აბუშ-

ტოდა ტყავის პალტო, თავზე ალუბლების კუნწულებით მოკაზმული უცნაური ბერეტი ეხურა. გაკვირვებამ და შიშმა — ნეტა აქ რისთვის შემომიყვანესო? — გაელევა ვერ მოასწრო, რომ იგრძნო — ქალი მას მისჩერებოდა სხვისი ტანსაცმლიდან დედა შემოსცქეროდა. აღარ ჰგავდა თავის თავს — მიწისფერი პირსახე, გულშედონებულებით გამოფატული მზერა. ეჭვად და არ ეძვროდა... აი, თურმე როგორ გამოიყურება დედა მამის გარეშე — უთვინტომო, გასაცოდავებული, რაღაც უცნაურად ჩაცმული. კოლიას სუნთქვა შეეკრა:

— დე!

ქალი წინ წამოიხარა, ვერ წამოიღო წელი, სკამზე დარჩა, ქვემოდან შეაცქერდა შვილს. შეაცქერდა დამნაშავესავეით — რა ვქნა, ფეხები არ მემორჩილება და ვერ ვდგებიო — მხოლოდ ამას გამოხატავდა მისი მზერა.

კოლია დაიხარა, დედამ ხელები შემოხვია, თავისკენ მიიზიდა, წამით გაირინდა. ბიჭი უხერხულად დაღუნულიყო, ქალს კისერი წაეგრძელებინა, რბილი, თბილი ლოყა შვილისთვის სახეზე მიეხუტებინა და ცახცახებდა.

— დე...

ქალს ხელები მოეღვენთა, კოლია ჯერ მაგიდას წაებორკა, მერე დედის მუხლებს, ხელი მოაფათურა, სკამი იპოვა და წინ დაუჯდა.

დედას გაფითრებულ ტუჩებზე ძლავს შესამჩნევი წვრილი ნაკეცი ემჩნეოდა, ასეთი ნაკეცი აჩნდებოდა ხოლმე მუდამ, მამას რომ ელოდა. მაგრამ ჩაწითლებულ თვალებში ისეთი ტკივილი ჩაგუბებოდა, ვერ გაუძლებდი — ლამის გეკივლა.

— დე... ველარ გიცანი.

ქალმა ნაძალადევად გაიღიმა და თავი ველარ შეიკავა — როგორც იქნა, — ცრემლი მოადგა და ამან შეურბილა გამოხედვა. სწრაფად დაიხარა, აწრიალდა, ცხვირსახოცი მოიძია, იპოვა განიერ პალტოში. მთელი სხეული შეუქანკალდა, წაიქვითინა.

— პუხოვებმა შემიკედლეს... ლუდმილა კეთილი ქალია. თორემ სად წავსულიყავი? ევდოკიასთან სამადლოდ ცხოვრებისაგან ღმერთმა დამიფაროს!

საშიში დუმილი ჩამოვარდა, კოლია დაძაბული ეძებდა დედასათვის უბრალო, ჩვეულებრივი სიტყვები ეთქვა, რადგან იმ სიტყვებისათვის, რომელთაც დაჭრაც და განკურნვაც შეეძლო შემზადება იყო საჭირო. უბრალო სიტყვები კი ვერაფერი გამოძებნა, დუმილი იზრდებოდა გაზატხულის ყინულში გაჩენილი ბზარივით და საცა იყო სხვადასხვა მხარეს გარიყავდა დედა-შვილს.

— დედა, გამთათხე, — შეეხვეწა კოლია.

საცოდავი, სულელური თხოვნა იყო, თითქმის ამოკვენესება. დედა კი ვერ ჩახვდა, რომ შვილისათვის ახლა ბედნიერება იყო მისი პირიდან საყვედური და რომ რაც უფრო მკაცრი იქნებოდა ეს საყვედური, მით უფრო დიდ შვებას მოჰგვრიდა შვილს.

— ჩემო სიცოცხლევ, ჩემს თავს ვიწყევლი, ჩემს თავს. მე არ მეპატიება, თორემ შენ რა შუაში ხარ. თუკი ამქვეყნად კიდევ დარჩა დამნაშავე, მე ვარ, მხოლოდ მე, — დედის ამ გიჟური გზნებით ნათქვამ სიტყვებზე ტანში გაბურძღლა ბიჭს.

— რას ამბობ, დედა! ეს ხომ მე ჩავიღინე!

— შეენ? არა! სხვებმა რომ დაგაბრალონ, შენ თვითონ არ გაბედო და არ

გაიმტყუნო, არ დაიტანჯო თავი, სხვებმა რა იციან, რას გაგიგებენ, ასიც გე-
ყოლა, რასაც დაგწამებენ. თვითონ ნუ დაიბრალებ, ნუ...

— რას ამბობ, დედ?

— რა გაქვს საპატიებელი? თვითონ მიგიყვანა ამ ზომამდე, მე უბედური
კი, გამოდის, იმას ვეხმარებოდი.

კოლიას სული შეუგუბდა.

— იმან?

საუბარი რიგიანად არც კი დაეწყოთ, რომ მათ შორის უკვე მამა ჩადგა.

— იმაზე ნუ ვილაპარაკებთ, კოლიუშა, — შეკანკალდა ქალი, ეტყობო-
და, გულწრფელად ამბობდა. ქმარზე ლაპარაკი არათუ უსიამო, არამედ საში-
ნელი იყო, ზიზღსაც კი ჰგვრიდა ქალს. კოლიას გულმუცელი აეწვა, შეატყო,
დედას არ სურდა მამის გახსენება. ის კი მხოლოდ ამაზე ოცნებობდა, მხოლოდ
ამაზე, და ისიც მხოლოდ დედასთან ერთად. ამქვეყნად სხვა არავისთან შეეძლო
მამაზე ლაპარაკი!

— დედა! — არაბუნებრივად აუწია ხმას. — მან ჩვენ, დედა, ბევრი ცუდი
გაგვიკეთა, მაგრამ ჩვენ უარესით გადავუხადეთ.

— ღმერთო ჩემო! — სასოწარკვეთილი ქალი თითქმის მოიკაკვა, — რაღად
იხსენებ იმას? დაივიწყე!

— ეს როგორ იქნება, დედა!

— რაღა ღროს თითზე კბენა... მდინარეს პირს ვერ შეუქცევ. მე შენ გა-
მო ვიწყველი თავს, მასთვის კი არა! მასთან ცამდე მართალი ვარ. ვერ მოის-
ვენა, ვერა და წაიტება კიდევ კისერი!

— დედი! ჩვენ იმაზე ახლა ასე... სირცხვილია, დედი!

— ჰო, იმაზე, იმაზე... რატომ გამოდის ახლაც მართალი, მე და შენ კი
დამნაშავენი! ასე იყო მუდამ.

— დედი! ახლა მაინც აღარ უნდა ვაპატიოთ?... განა შეიძლება ასე?

— კოლიუშა, შენ ის მისაყვედურე, რომ ვერ დაგიცავი, თორემ... იმის
სასაყვედურო სწორედ არაფერი მჭირს. ჩემო ერთაე! მეც და შენც იმან ჩაგ-
ვიმწარა ეს წუთისოფელი. ძალიანაც რომ მოინდომო, მაინც ვერ დაივიწყებ.

— ის ხომ მუდამ ცუდი არ იყო!

— კარგი მამაშენი მე არ მახსოვს.

— იადონი არ გახსოვს?

— რა იადონი, ძვირფასო?

— გალიაში რომ გალობდა, მამამ რომ მოიყვანა!

შუბლზე შეყრილ ნაოკებსა და დაძაბულ გამოხედვაზე ეტყობოდა, დედა
არ თვალთმაქცობდა, გულწრფელად ცდილობდა გაეხსენებინა ის იადონი,
ესოდენ მნიშვნელოვანი და საჭირო აურბე მისი შვილისთვის.

— წარსულიდან, კოლკა, მხოლოდ შიში და ცემა-ტყეპა მახსოვს, — ამო-
იხრა განწირული ხმით.

— დედი!... — კბილი კბილს დააჭირა, თრთოლვა შეიკავა ბიჭმა, — დედი!

— იმ საშინელ კითხვას, ახლა რომ აპირებდა, ეგონა, დედა თავს ვერ აარი-
ლებდა, გვერდს ვერ აუქცევდა. — განა მამას... სულ არ ვუყვარდი?

კოლიას ეგონა, დედა შეკრთებოდა, მან კი მხოლოდ მზერა აარიდა შვილს,
წამით ჩაფიქრდა.

— იქნებ უყვარდი კიდევ. — უბრალოდ, თითქოს დაღლილმა აღიარა, — მაგრამ ცოფიანის სიყვარულს ვისთვის რა სიკეთე მოუტანია.

— მაგრამ ხომ ვუყვარდი! ხომ ვუ-ყვარ-დი! — ხმა ჩაეხლიჩა ბიჭს.

— მთელი უბედურებაც ის იყო, ჩემო, რომ მისმა სიყვარულმა მოგვინე-
ლა ორივე, ვულფიდან თავის დასაღწევი გზა უნდა მეძებნა, მე ვუყვარდი ულფს
სულ უფრო მაგრად ვნასკვავდი.

— მამას ვუყვარდი... მეც მიყვარდა, დედი... მეც! ახლავა მივხვდი, რომ
მიყვარდა!

ანამ შვილს შეხედა და სახეზე ნელ-ნელა თავზარდამცემი შიში გამოე-
ჩატა.

ახლავა ჩახვდა, თუ რა ცეცხლი ენთო გულში შვილს. აქამდე ეგონა, მის
შვილს სინანული ტანჯავდა. თვითონაც ნანობდა და მოხარული იქნებოდა,
დროს უკან დაეხია, მაგრამ მდინარეს პირშელმა ვინ შეაბრუნებს. ახლავა ჩახ-
ვდა, მკვლელს მოკლული უყვარდა. ეს უკვე სინანული კი არა და, ჯოჯო-
ხეთური საწამებელი იყო, ასეთ საწამებელს ძლიერი და გონიერი ვაჟკაციც
ვერ გაუმკლავდება, ბავშვი კი მით უმეტეს!

დიდხანს იყო ანა ენაჩავარდნილი. კოლია მის წინ იჯდა და ძიგძიგებდა.
ბოლოს დედა გონს მოეგო, აბორგდა, აწრიალდა, მთელი ხმით აკივლდა:

— კრულ იყოს! სამგზის კრულ იყოს! მე ჯანდაბას, რაც მაგან გამაწამა!
ჩემი თავი არ მენანება! მაგრამ შენ ხომ ბოროტმოქმედებამდე მიგიყვანა! შენ
კი არა — იმან, იმან ჩაიდინა ეს!.. დეიძლ შვილს საზარელი დანაშაული ჩაადე-
ნინა! ესეც არ იკმარა, მკვდარიც აღარ გვასვენებს! უარესად გვტანჯავს! ვუ-
ყვარ-დი-ო?! ავი იყო მისი სიყვარულა, სიძულვილითა და შიშით ნაზარდი.
ეგეთ სიყვარულს ვძულეზოდით ჯობდა! ეგეთი სიყვარული ადამიანს ტანჯვა-
წამებით ხდას სულს! იმას ვუყ-ვარ-დი-ო! იმ სიყვარულმა იყო სწორედ, თოფი
რომ აგაღებინა ხელში! ჰოდა, იმ თოფის შემდეგ მაინც ამ სიყვარულს ჩაფრე-
ნიხარ. გონს მოდი, კოლენკა! შანთით ამოწვი ეგ შხამი! კრულ იყოს! ყოფილა
კი ოდესმე მაგაზე დიდი ავკაცი, სიკვდილის მერეც რომ არ ასვენებდეს ადამი-
ანს. სამგზის კრულ იყოს, სამგზის!

— აქ ყვირილი არ შეიძლება! — კარის ღიობიდან მკაცრად გამოსძახა
იმ მილიციელმა, კოლია რომ მოიყვანა.

ანა დადუმდა, ცახცახმა აიტანა. ლოყებზე და შუბლზე მიწისფერი დაედო,
ქუთუთოები ჩამოეწია, ტუჩები აუთრთოლდა, სახემოღრეცილი, მზერაჩამქრა-
ლი კოლია დედას მდუმარედ მიშტერებოდა.

— კო-ლიაა! — ძლივს ამოთქვა ხმაჩაწყვეტილმა ანამ, — ერთსა ვთხოვ,
აღარ იფიქრო იმ წყეულზე... ეგ ცეცხლი გაგინელდება. შევიბორცდება იარა,
ნუ იფიქრებ, ნუ მოიწამლავ თავს.

— დედა, მე სისხლი ვნახე... — ჩუმად თქვა კოლიამ. — მამაჩემის
სისხლი...

— შენ ამას ვერ გაუძლებ, შვილო, და მეც აღარ ვიცოცხლებ თავს. თავი
თუ არ გეცოდება, მე მაინც შემიკოდი. შენს გარდა არავინ მაბადია, არც
შენ გყავს ჩემ გარდა ვინმე.

კოლია შეიშმუშნა, უცებ დაემანჭა სახე:

— არ შემიძლია, არა!.. არც შენი შეცოდება შემიძლია, არც ჩემი თავისა...

შეცოდება ერთისა შემძლია მხოლოდ. მისი სისხლი ვნახე, ამას რა დამავიწყებს?!..

ანას ხელები მუხლებზე ჩამოუცვივდა, მოეშვა, მოდუნდა ქალი მან წელს ამოიკვნესა, „შემიცოდეთ“. ეს იყო დედის კვნესა, ყველაზე მეტად რომ უნდა ემოქმედა შვილზე. შვილმა გაიგონა დედის ვედრება, მაგრამ ვერც ამან მოუღობო გული. დედას, შვილისათვის მეტის თქმა არ შეეძლო.

დიდხანს ისხდნენ პირისპირ. ერთმანეთს ხვალს არიდებდნენ, ბოლოს ანამ თავს ძალა დაატანა, წამოდგომა სცადა:

— რაღაც ფეხები აღარ მემორჩილება... ერთი იმედილა მაქვს, კოლიუშკა. — დრო წაიღებს ალბათ ყველაფერს, თუ არადა, მაშინ ღირს კია ჩვენი სიცოცხლე?

ა

დედა! დედა! რა ბედნიერებაა, როცა შენ ხარ ამქვეყნად და ჩემსავით ფიქრობ, დედა!

აღარაა დედა. იგი წელან ტიროდა, მაგრამ არა შვილის სატირალს. დედა ვერაფერს მიხვდა. მისაბვედრი კი ძალზე უბრალო და ძალზე პნიშვნელოვანი რამ იყო. ახლა, როცა მამა აღარაა, კოლიას აღარ სძაგს მამა! საძულველი მამას აღარაფერი აქვს. მამა კი არა, თავისი თავი უნდა შეიძულოს. თუ არ საკუთარი თავის საძულვილი და მამის სიყვარული, აბა სხვა რითი გამოისყიდის ამ გამოუსწორებელ „დანაშაულს“... მაგრამ თუ სიყვარულსა და საძულვილს გულში შეინახავს, ვერავინ შეამჩნევს, ვერავინ შეიტყობს, რაღა აზრი აქვს. კოლიამ უნდა დაუმტკიცოს საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ არც ისე გულქვია და ამდენად, არც ისე სულ მთლად ხელიდან წასული. ასეთ ბიჭს მამაც კი აპატიებს... დედაზე უკეთ ვინ უნდა ჩახვდეს ამას? დედამ კი ვერაფერი გაუგო... ვერაფერს მიუხვდა. ამის შემდეგ სხვისი რაღა იმედი უნდა ჰქონდეს, სხვა როგორღა გაუგებს, როცა დედამ, საკუთარმა დედამ ვერ შეისმინა მისი...

მაგრამ არა... არსებობს კიდევ ერთი ადამიანი, და იმისა იქნებ დედაზე მეტადაც კი სჯერა კოლიას. ეს სონია პოტეხინაა.

ისინი მთელი ცხოვრება იცნობდნენ ერთმანეთს. იმ შორეულ, შორეულ ბავშვობაში, კოლიასათვის ახლა უსაზღვროდ შორეულ დროს, შეხვდნენ ერთმანეთს. გაშმაგებული ქმრისაგან თავდასაღწევად, საღამოობით, დედა შვილს ხელს დაავლებდა და მეზობლებთან, უმეტესად პოტეხინებთან მირბოდა ხოლმე. დედები ერთმანეთს შესჩიოდნენ, ტიროდნენ, ანუგეშებდნენ. პატარა სონია და პატარა კოლია კი იატაკზე თოჯინებით თამაშობდნენ და დროდადრო კინკლაობდნენ კიდევ.

შემდეგ ეს აღმა-დაღმა სირბილი შეწყდა. იქნებ კოლია წამოიზარდა და დედას უჭირდა ატატებული ბავშვით კარდაკარ წანწალი, იქნებ აურზაური იმდენად გახშირდა, რომ უკვე ეუხერხულებოდა კიდევ წამდაუწყუმ მეზობლების შეწუხება. ამის შემდეგ კოლია და სონია კიბეზე ან ეზოში შემთხვევით თუ ხვდებოდნენ, მაგრამ არ ელაპარაკებოდნენ და არც ესალმებოდნენ ერთმანეთს. იმ სახლში კოლია ყველას ებრალებოდა, ებრალებოდა ბიჭი სონიას დედასაც. ალბათ გოგოსაც მაშინ გაუჩნდა მისი სიბრაღული.

სკოლაში ერთდროულად შევიდნენ და ერთ კლასში მოხვდნენ. ამ დრო-

17521

ს. მარტოვი სპს. სპს. სპს.
საბჭოთაო რესპუბლიკა
საქართველო

სათვის უკვე სრულიად უცხონი იყვნენ ერთმანეთისათვის, ერთ სახლში კი ცხოვრობდნენ. კოლია არც არავისთან იყო აბლოს, მუდამ ახსოვდა, რომ მათი ოჯახის აურზაური ყველამ იცოდა და იგი უბედურ ბავშვად მიაჩნდათ. ის სხვებს არ ჰგავდა — კიდევ მეტი — ის სხვაზე უბედურად იყო დახან თუ საკუთარი უბედურება გადაავიწყდებოდა, ვიღაც მანჯიკი უნდა ხოლმე სიბრაღულით: „შე ბედშავო და უბედურო! ამ მხეცთან ცხოვრებას მართლა ჯობდა საბავშვო სახლში მიებარებინეო!“ კოლიას ყველასი შურდა და ყველა ეჯავრებოდა. სკოლაში ცუდად სწავლობდა, ძლივს გადადიოდა კლასიდან კლასში, მასწავლებლებს უხეშად ებასუხებოდა, მოწათვეებს ერიდებოდა, დროდადრო კი რაღაც წამოუვლიდა და ყველაზე ღონიერ ბიჭებს ეძგერებოდა ხოლმე. ასინი ხშირად თავს არიდებდნენ — დარტყმულია, რა უნდა ელაპარაკო! მაგრამ ზოგჯერ კიდევაც სცემდნენ.

კოლიას კი, თითქოს საკუთარ თავზე შურს იძიებსო, ეს თავისი უხიავობა სიამოვნებდა, ასიც მოსწონდა, რომ მასწავლებლები ვერ უმკლავდებოდნენ. ალბათ ისეთივე მოშურნე, მოძულე, საკუთარი უბედურებით გულგასიებული დარჩებოდა სამუდამოდ, ერთი მოულოდნელი ამბავი რომ არ მომხდარიყო...

ზაფხული იდგა, შეექვსე და მეშვიდეკლასელები ერთი დიდი მდინარის შენაკადზე — კრაპივნიცაზე წავიდნენ სალაშქროდ. ასეთ ლაშქრობებს ფიზკულტურის მასწავლებელი ანდრეი მიხაილოვიჩი აწყობდა ხოლმე. რამდენიმე დღით მიდიოდნენ, აჩაღებდნენ კოცონს, ღამეს კარვებში ათევდნენ, თევზობდნენ, კენკრით იტკბარუნებდნენ პირს.

ერთ დღეს სამწუხარო შემთხვევა მოხდა. სონია პოტეხინას ხრამზე გადასვლისას ფეხი გადაუბრუნდა, კოქი გაუსივდა და ნაბიჯს ვეღარ დგამდა. რა უნდა ექნათ? ჩაეშალათ ლაშქრობა? ჯალამბარი გაეკეთებინათ და ტყე-ტყე ჭაობებში რიგრიგობით ეტარებინათ გოგო? ამასობაში ვილაცას ბაიღარი გაახსენდა. ეს ნავი თან ჰქონდათ წამოღებული ტბაზე სანავარდოდ. რა უჭირს, სონია ნავით რომ დააცურონ მდინარეზე?..

სამი კარგი მენიჩზე ჰყავდათ მხოლოდ — იგორ შულიაევი, კოლია კორიაკინი და, ცხადია, თვით ანდრეი მიხაილოვიჩი. ანდრეი მიხაილოვიჩი ბავშვებს ტყეში მარტო ვერ დატოვებდა. სონიას უნდა გადაეწყვიტა, ამ ორთაგან რომელს წაყოლოდა. მან კოლია აირჩია. სამი ბიჭი ნაპირ-ნაპირ გააყოლა მასწავლებელმა, თუ რაიმე გაუჭირდეთ, მოეხმარეთო. კრაპივნიცას ნაპირები ჭაობიანი იყო და ბავშვები კარგა მოშორებით მიუყვებოდნენ მდინარეს. ასე რომ გოგო-ბიჭმა მთელი გზა მარტოდმარტო იცურა.

ეს ყველაზე ბედნიერი დღე იყო კოლია კორიაკინის ცხოვრებაში. ამ დღემ თავდაყირა დააყენა ყველაფერი.

შავ წყალში მზით გამთბარი ღუმფარის აპრილებული ფოთლები ტივტივებდა, ზედ ცისფერი კალიები დაფარფატებდნენ. კალიები მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ ხოლმე კამკამა ცაში და ასევე მოულოდნელად უჩინარდებოდნენ. თითქოს ყოველ მათგანს უჩინმაჩინის ქუდი ხურავსო — ხან არ ჩანდნენ, ხან ისევ გამოხტებოდნენ. გოგო წინ იჯდა, თავზე მაგრად წაეკრა ფერადი თავსაფარი, თავსაფარიდან წვრილ, ნაზ კისერზე ოქროსფერი კულულები ჩამოშლოდა.

ბიჭს თითქოს ახლანა გამოეღვიძა. თითქოს დიდი, დიდი ხანია ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე, მაგრამ ნამდვილად კი არ უცხოვრია. თითქოს ბურანში ხედავდა

ყველაფერს, მაგრამ რაც თავს არ აბეზრებდა, არ აწუხებდა, არ აღიზიანებდა, იმას თავს არიდებდა. იმ დღეს კი უცებ არგვლივ ყველაფერი ერთიანად შეიცვალა.

უძირო იყო შავი წყალი, ღრმა და ლურჯი ზეცა, თვით ჰაერი, რომელიც ადრე არასოდეს შეუმჩნევია, ახლა გულმკერდს უვსებდა, თვებში — ასხამდა წყლის ნესტთან შეზავებული ღვიის ბუჩქების მათობელი სურნელება. ნაპირზე აბიბინებულ ბალახებში ლილისფრად ღუოდა ტყის ნემსიწვერა. თავლის უსწრაფეს ჰქრებოდნენ და ჩნდებოდნენ ცისფრად მოკაზმული კალიები. მთელი ეს მშვიდი სამყარო აბორგებულოყო, ალტაცების ყვილი იდგა ირგვლივ. კოლია კი გაოცებასა და შიშს შეეპყრო, გაითუ გაქრეს ყველაფერი, გაითუ ეს ბედნიერება დაუსრულებლად არ გაგრძელდესო.

თუმცა გრძნობდა კია — გოგო იყო ამისი მიზეზი! სანამ სონია გვერდით ჰყავს, აღარ იქნება ძილბურანი, არ დაჰქნება ყვავილები, არ აიმღვრევა ჰაერი. გოგომ თავისი ნებით აირჩია — იგორ შულიაევი კი არა, კოლია მინდა გამყვესო! კოლიამ სიცოცხლეში პირველად აჯობა ვილაცას! საკმარისი იყო ნიჩბები გაეგდო, ხელი გაეწია... და ოქროსფერ კულულებს მისწვდებოდა. მაგრამ ადრე თუ გვიან დასრულდებოდა, აღარ იქნებოდა პატარა მდინარე, ეს გოგობიჭი რომ ჰყავდა ჩახუტებული მკერდში. დამთავრდებოდა მდინარე, დამთავრდებოდა ეს სასწაული და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდებოდა. რა იცოდა კოლიამ, როგორი მიხვეულ-მოხვეული და გრძელი იყო მდინარე კრაპივნიცა, რამდენ მოულოდნელ საჩუქარს უმზადებდა იგი კიდევ.

— რა კარგია! მთელი საუკუნე ვიცურებდი და ვიცურებდი ასე...

აი, პირველი საჩუქარიც — მარტო კოლია კი არა, გოგოც გახარებული იყო თურმე.

შემდეგ ხერგმა გადაულობათ გზა და ბიჭმა სონიას ნავიდან ნაპირზე გადმოსვლა უშველა. მეორე საჩუქარი ეს იყო — გოგო უჭოჭმანოდ, მინდობილად მოეხვია ყელზე. იქ, მდინარე კრაპივნიცაზე ასეთი რამეც შეიძლებოდა. შემდეგ სონია აღარასოდეს მოხვევია მას, რცხვენოდათ ერთმანეთისა.

ამასობაში დიდი მდინარი, ნავმისადგომამდეც მიაღწიეს. მაგრამ კოლია უკვე მიხვდა, მათი გზა ამით არ დამთავრებულა, და არც არასოდეს დამთავრდება, მაგრამ მერე კი შიშმა შეიპყრო — ვინ მე და ვინ სონია! გონს მოეგება და ზურგს შეაქცევს, რა ეშმაკად უნდა ისეთი მეგობარი, რომელიც ზოგს ზეღიდან წასული, ზოგს საცოდავი, ზოგს უბედური რომ ჰგონიაო. სხვა ვინ მშეგობრობს, რომ მაინცდამაინც იმან მიმეგობროს? ეს შიში სულში ჩაუტვრა და აღარ მოეშვა. სულ მუდამ ეჭვი ღრღნიდა — ვარ კია სონიას ყურადღების ღირსიო?

კრაპივნიცაზე მოგზაურობის შემდეგ უფრო და უფრო შეეჩვია იმ აზრს, რომ სონია მის გვერდით იყო. ყოველი დილა სიხარულით იწყებოდა — დღეს სონიას ვნახავ, სონიაც დამინახავს, ამიტომ ლამაზად და კოხტად უნდა გამოვიყურებოდეთ. ცდილობდა თავისთვის არა შეღავათი არ მიეცა, კარგად ესწავლა. წიგნებს დააცხრა, გაცოფება და სიშმაგე თავისთავად გაუქრა. მასწავლებლებს უკვე ნიმუშად მოჰყავდათ. ჩაცმა-დახურვებსა და სიარულსაც მიაქცია ყურადღება. სულ მცირე ტყუილიც კი არ უნდა წამომცდესო — ყოველნაირად ცდილობდა სონიას მასზე ცუდი არაფერი გაეგლო გულში. გოგო გვერდით

ელგა და ესეც კმაროდა, სამუდამოდ მადლიერი ყოფილიყო მისი. სონიას უნდა მოეწონდეთ — ეს იყო ბიჭის სიცოცხლის აზრი.

ერთადერთი, რაც ვერ შეიძლო, ეს იყო, ვერ მოსპო სამარცხვინო აურზაური და ჩხუბი თავის ოჯახში, რაზედაც მის ირგვლივ ყველა კორობდა. სონიას თავისი ყურით ესმოდა ალბათ ყველაფერი. თვალს ველარ უსწორებდა, რცხვენოდა გოგოსი. სტანჯავდა დედის ამბავი, ეზრდებოდა მამისადმი სიძულვილი. აქეთ — მამა, იქით — სონია, აქეთ — სიძულვილი, იქით — მოვალეობა — არა და არ ეთავსებოდა ერთმანეთს. უჭირდა ბიჭს. სონია რომ არა, მოითმენდა, არასოდეს დაავლებდა თოფს ხელს. მაგრამ დაინთბა პარკეტზე სისხლი და მორჩა... სონიასათვის აღარ ეცალა...

სონია ახლა აღარც გახსენებია, მამაზე ფიქრობდა.

დედასთან შეხვედრამ გაახსენა სონია. დედამ თუ ვერ გაუგო, სხვები როგორღა გაუგებენ?

სონიაც ვერ გაუგებს?..

სონია არ ჰგავდა სხვებს. სონიამ მაშინ გაუგო, როცა თვითონაც არ ესმოდა საკუთარი თავისა, სონია მისი სინდისი იყო. ის მწვერვალი, სადამდეც ოცნებობდა მიღწევას. როგორ შეიძლება დაეჭვდეს სონიას ერთგულებაში.

უნდა გაიგოს, უნდა დარწმუნდეს, ამ ამბის გამო ხომ არ შემაქცია სონიამ ზურგიო. მასთან შეხვედრა რომ მოვითხოვო, მოვა თუ არა სანახავადო?..

6

სონია თითქოს ხელახლა დაიბადა.

ბავშვობიდანვე ჩრდილში იდგა, მთელი ეს ცხრა წელი არაფრით გამოუჩენია სკოლაში თავი. სონიას მიბაძეთო, არასოდეს უთქვამთ მასწავლებლებს, მაგრამ არც არასოდეს დაუძრახავთ. გოგონების ამქარში არასოდეს არ იყო ზედმეტი, მაგრამ თუ რატომღაც გამოაკლდებოდა, წყენით არავინ უსაყვედურებდა — რატომ არ მოხვედიო? ბიჭები მეგობრულად ექცეოდნენ, მაგრამ მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ — ერთი ჩვეულებრივი გოგო იყო, ცუდს ვერაფერს იტყოდი, სხვებს არ ჩამორჩებოდა. ყველამ იცოდა, კოლია კორიაკინს მოსწონს, მაგრამ არც ეს აკვირვებდათ მაინცდამაინც. დიდი ამბავი — ყველა ასეა, ყველას ვილაცა მოსწონს. სონია პოტეხინაც. შეიძლება ვინმეს მოეწონოსო.

ბიჭი რომ სულ შეიცვალა, ჯერ ყველა განცვიფრდა, მერე ამასაც შეეჩვივნენ. სონია კი მაინც განზე იყო გამდგარი — თვალში არავის ეჩხირებოდა. კეთილი და ხათრიანი იყო, ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა.

და აჰა, უცებ გოგო კლასას გმირად იქცა, სლავა კუშელოვმა, ყველაფერს რომ ეჭვის თვალით უცქერდა, არავისი რომ არაფერი სწამდა, პირველმა აღიარა იგი.

მართალი რომ იყო, ეს სონიას აღარ ეეჭვებოდა, მაგრამ ის აწუხებდა — სჯეროდა თუ არა ყველას ტანჯვით მიღწეული მისი სიმართლისა? ალბათ ვილაც გულში არ ეთანხმება, ვილაც ჭოჭმანებს, ვილაცას არ სიამოვნებს მისი შეუპოვარი სიმტკიცე, ტყუილად კი არ არიდებენ მზერას. ტყუილად კი არ იბუზებიან და იშმუშნებიან. ყველაზე ეჭვიანობდა, ყველას ყალყზე შემდგარი

ხედებოდა, ყველა მტერი ეგონა, მზად იყო ყველას დასტაკებოდა წინამძღოლს ჰგავდა მძვინვარეს, საკუთარი თავის გარდა ყველას უჭვით უსჯერის.



წინამძღოლის უსჯერის
წინამძღოლის უსჯერის

სულგანაბული კლასი მოუთმენლად ელოდა არკადი კირილოვიჩის გაკვეთილს და ჰა, ეს გაკვეთილიც დაიწყო.

მასწავლებელი თავის ადგილას იდგა — ვაცვეთილი, აჯაჭული პიჯაკი ეცვა, ისევ ის პალსტუხი ეკეთა, მხრებში მოხრილს, მშვიდი, ოღონდ მოქუფრული სახე ჰქონდა. მტკიცედ, დინჯად მოძრაობდა. საერთოდ, არკადი კირილოვიჩს მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ ტანსრული, ჯანმანათლებელი კაცის იერი ჰქონდა, დღესაც ასე გამოიყურებოდა.

ყველა მასწავლებელს მოსდგამდა რაღაც კოდვა, უმეტესად უბრალო და მისატყვევებელი. ისტორიის მასწავლებელს ბორის გეორგიევიჩს კომწიანობა უყვარდა და ეს ხანდახან სიცილს ჰგვრიდა ბავშვებს. კეთილ, მხცოვან მათემატიკის მასწავლებელს ავგუსტა ფეოდოროვიჩს, მიაშიტ და მამნდობ ქალა, დავალების მოუშაბდებლად მოსული ყორკა დარდანელი გულისამაჩუყებელი ამბებით იოლად ატყუებდა. ფიზიკოსს — ივან რობერტოვიჩ კოხს, მკაცრად რომ ითხოვდა ცოდნას, ზურგს უკან ვანია მრისხანეს ეძახდნენ... ალბათ ერთადერთი არკადი კირილოვიჩი იყო, ვისაც სუსტ მხარეს ვერ მოუძებნიდი. ხანდახან მაინც ქილიკობდნენ ხოლმე, მაგრამ პირადად მასზე კი არა, იმ გოგონებზე, უზომოდ რომ აღმერთებდნენ მასწავლებელს.

სონია არ ეკუთვნოდა ამ გოგონებს რიცხვს. არასოდეს ხმამაღლა არ აღფრთოვანებულა — ოჰ, ოჰ, რა კაციაო! უბრალოდ სწამდა, რომ მის ნაცნობთა შორის არკადი კირილოვიჩი ყველაზე სამართლანი და ყველაზე ჰკვიანი იყო. მაგასავით ვერავინ გაგიგებს, თვითონაც რომ ვერ გარკვეულხარ, ვერ გიგონია წესიერად, იმას უკვე მზადა აქვს საშენო ზუსტი პასუხი, ისე ჰკვიანურად ვერავინ დაგარიგებს, არც ერთ მასწავლებელს მასავით არ შეაწუხებს შენი ამბავი. სონია გულში ინახავდა ამას, არ გაჰყვიროდა.

ახლა კი, როცა კლასის წინაშე ჩვეულებრივად, ნირშეუცვლელად მდგომი არკადი კირილოვიჩი დაინახა, სონიას ზურგში ყრუანტელმა დაუარა, მას სლავკა კუშელევისა ეშინოდა, მაგრამ არკადი კირილოვიჩი არკადი კირილოვიჩი იყო! განა შეიძლება ფინიასა და სპილოს ერთმანეთთან შედარება! ისე, კაცმა რომ თქვას, სონიასავით რატომ უნდა ივიქროს არკადი კირილოვიჩმა? განა შეიძლება წარმოიდგინო, რომ არკადი კირილოვიჩი ადგეს და გამოაცხადოს: კოლია კორიაკინი სწორად მოიქცაო. არა და არა, სისულელეა ამის იმედად ყოფნა, არკადი კირილოვიჩი არ გაამართლებს კოლიას, არა, მას კი ველარ შეეკამათები, სლავკა რომ უცებ დააბნიე, ისე ვერ დააბნევ.

სონიას ახლა აღარავისი სჯეროდა, არც არკადი კირილოვიჩისა. მასწავლებელს ჯერ ხმა არ ამოელო და იგი უკვე მტრად ჰყავდა შერაცხული.

— დიდი უბედურება დაგვატყდა თავს... — ხმადაბლა თქვა არკადი კირილოვიჩმა. სონიას დაძაბულობისაგან კეფაც კი ასტკივდა. გაირინდა. გატრუნული კლასი, ეტყობა, მასავით დაძაბულიყო. ვადაცამ სკამი ააჭრიალა, რომელიღაც მერხიდან ფანქარი გადმოვარდა. კლასში სიჩუმე დასადგურებელიყო. კლასი სამარესავით დუმდა. მხოლოდ ქალაქის ხმაური, მეზობელი კაბინეტიდან კი ბიოლოგიის მასწავლებლის გაურკვეველი დუდუნე მოისმოდა.

— ეს უბედურება ჩვენ დაგვატყდა თავს, სხვას კი არა... მინდა შეგეკითხოთ: თუ ელოდა რომელიმე თქვენგანი ამ ამბავს?

კლასი დუმდა, მასწავლებელს მისჩერებოდა. კლასი არ იძროდა. სონიას ხელ-ფეხი გაუცივდა — საცაა მობრუნდება და პკითხავს: შენ ხომ მაინც ელოდი ამას და რა ილონეო? — დიახ, ელოდა, მაგრამ ეგონა, ^{საჭიროა} ~~საჭიროა~~ მშვიდობიანად დამთავრდებოდა ყველაფერი.

არკადი კირილოვიჩი არ მიბრუნებია სონიას, არც გახსენებია იგი.

— არ მოელოდით? სრულიად ვერაფერს ვერ ატყობდით?..

კლასი დუმდა. კლასი მასწავლებელს მისჩერებოდა.

— არა, რატომ უნდა მოვიტყუოთ თავი, — რაღაც-რაღაცები ხომ ვიცოდით კოლია კორიაკინზე, ღალაც ხომ გვეეჭვებოდა?

კლასი დუმდა.

— გვეეჭვებოდა. მერედა, რა გავაკეთეთ?.. არაფერი, სრულიად არა-ფერი?! არც კი შევშფოთებულვართ, ოდნავაც კი არ ავღელვებულვართ, მშვიდად ვიყავით? რატომ მერე?..

ოდნავ წინ გადმოხრილი, ოდნავ მხრებში მოკუზული, უძრავად იდგა არკადი კირილოვიჩი კლასის წინაშე, თითქოს რაღაცას ელოდა, თითქოს დაღარულ სახეზე დაღლილობა დაჰკრავდა. მხოლოდ ჩაცვნილი თვალები — მშფოთვარედ, ჩაძიებით, მომთბოვნად მზირალი თვალება ამხელდა მის განწყობას და თავს დაბლა ხრიდა.

ეს დამძიმებული მზერა სონიას უვლიდა მხოლოდ გვერდს, გოგო კი გამომწვევად იგრძელებდა კისერს, ოღონდ ეს მზერა დაეჭირა. თუ იცოდითო? ეს ეჩოთირა სონიას. კი იცოდნენ, მაგრამ რა უნდა ექნათ! სონია ყველაზე ახლოს იყო კოლიასთან. ყველაზე! ყველაზე! და მაინც ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო, სხვებს მით უმეტეს რისი გაკეთება შეეძლოთ.

— რატომ? — გაიმეორა არკადი კირილოვიჩმა, — ამის ახსნა მხოლოდ ასე შეიძლება: ალბათ ის ბიჭი ჩვენთვის უცხო იყო. ჰოდა, რა გვენალვებოდა, რისთვის უნდა ჩავრეულაყავით სხვის საქმეში? ხომ ასეა? სხვის სულში ხელის ფათური, ცოტა არ იყოს, უხერხულიც კი არის...

სონია ლამის წამოხტა: „არაა უცხო! ჩემთვის მაინც არაა უცხო! მაგრამ რისი გაკეთება შეეძლო, რისი?!..“ არკადი კირილოვიჩი კი განაგრძობდა:

— ან იქნებ კოლია კორიაკინს რატომღაც სხვებზე უფრო ცუდად ეპყრობოდით? ის ყველასათვის უცხო იყო, სხვები კი ერთმანეთის ახლობლება იყავით.

ამჯერად სტასიკ ბოჩკოვმა დაასწრო სონიას, წლების მანძილზე კლასის მამასახლისმა თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნია კლასს გამოქომაგებოდა.

— იმასაც ისე ვეპყრობოდით, როგორც ერთმანეთს, — რიხიანად თქვა.

— ოჰო! — აიტაცა მისი ნათქვამი არკადი კირილოვიჩმა. — კოლია კორიაკინს ისე ვეპყრობოდით, როგორც ერთმანეთსო... მაშინ ერთმანეთისათვისაც ყველანი უცხონი ვყოფილვართ და ესაა.

სტასიკ ბოჩკოვმა არაფერი უპასუხა: ველარ გაუძლო არკადი კირილოვიჩის მზერას.

— უბედურება შეგემთხვევა — არავის შეეცოდები, თანაგრძნობა გინდა — არავინ გითანაგრძნობს.. ყველა უცხოა არგვლივ! ვერაა მოსაწონი ყოფა!

სონიას პირზე ადგა პასუხი: „ხომ ხდება, როცა შენიანსაც ვერას უშველი

ხოლმე?" მაგრამ ახლაც შეიკავა თავი. ამ დროს სლავკა კუშელევის ზრდილობიანი, შემპარავი ხმა გაისმა:

— თუ შეიძლება შეგეკითხოთ, არკადი კირილოვიჩი?

— შეიძლება კი არა, საჭიროა.

— თქვენ, არკადი კირილოვიჩი, თქვენ არაფერი იცოდეთ იმის შესახებ, რა მოხდა ცხოვრებაზე?

— ვიცოდი, სლავკა.

— მაშინ რატომ თქვენ არ... — კლასში აღელვებული შარიშური ატყდა — ვიდრე დრო იყო, რატომ თქვენ არ...

სლავკა კუშელევმა არ დაამთავრა შეკითხვა. შარიშური შეწყდა და კლასი გაირინდა, შეკითხვა გასაგები იყო.

არკადი კირილოვიჩი ძლივს გაიმართა, თვალი მოავლო გატრუნულ კლასს.

— იმიტომ, სლავკა კუშელევო. — წამოიწყო სახემოდუშულმა მშვიდად, — რომ ვერც მე გამოვდექი თქვენზე გულისხმიერი! დიახ! იმიტომ საკუთარ თავს უფრო ვკიცხავ, ვიდრე თქვენ...

ამ ცხრა წლის მანძილზე აქ მსხდომი არც ერთი მოსწავლე არ შესწრებია. მასწავლებელს ასე აშკარად დაედანაშაულებინოს საკუთარი თავი. კლასი გულუპამძიმებული დუმდა, კლასი გარინდულიყო. სონიასაც კი დაავიწყდა თავისი მტრობა, თანაუგრძნო, შეეცოდა კიდევაც მასწავლებელი.

— ჩემს თავს იმიტომ ვკიცხავ, — მკაცრად განაგრძო არკადი კირილოვიჩმა. — რომ ბევრს გიყვებოდით ნატაშა როსტოვებზე, რასკოლნიკოვებზე, ჩიჩიკოვებზე, საბაკევიჩებზე, პირადად თქვენზე კი ლაპარაკი მავიწყდებოდა. თავს ვკიცხავ იმისათვის, რომ მწამდა იმ ლამაზი, მატყუარა წესებისა და ჩემდაუქმებურად თქვენც გატყუებდით!..

— თქვენ გვატყუებდით?! — გაიოცა სლავკა კუშელევმა.

— ასე გამოდის.

— რას გვატყუებდით, არკადი კირილოვიჩი?

— განსოვთ, გეუბნებოდით: არ შეურიგდეთ არავის არ უსინდისობას, ნუ დაელოდებით, ვიდრე თქვენ ნაცვლად უსინდისობას სხვა გაუსწორდებამეთქი?.. ხომ ლამაზი, კეთილშობილური სიტყვებია?..

— მერედა ტყუილია? — თითქმის განრისხდა სლავკა კუშელევი.

— მხოლოდ ყურის დამაამებელი სიტყვებია, სლავკა, და იმიტომაც საშიში.

— მერედა რატომ, რატომ?

— იმიტომ, რომ სხვის დახმარებას ნუ დაელოდები, მარტო იმოქმედეთ-მეთქი, ვამბობდი. მარტო ადამიანი კი, სლავკა, უძლურია, იგი ვერ გაუმკლავდება უსინდისობას.

ახლა კი წამოხტა სონია, გული მოიცა და გამკივანად შესძახა:

— ყველას ჩემიანად ვერ მივიღებ, ვერა, და არც მინდა!

არკადი კირილოვიჩმა წინ ვადახარა დაღარული შუბლი და სონიას მიაჩერდა:

-- ესე იგი, ყველა არ მოგწონს, ხომ?

— განა თქვენ მოგწონთ ყველა? ეს ხომ მართალი არ არის, არკადი კირილოვიჩი! არამზადები თქვენც გეჭაგრებათ! მეც მეჭაგრება! სლოგანსაც! სხვებსაც! ოღონდაც გლახაკები ვართ, პირში თქმა ვერ გავგვიბედავს!

— რა ვერ გავგვიბედავს, სონია?

— სიმართლის დაცვა!

— კოლია კორიაკინმა რომ დაიცვა, ისე?..

— აბა არამზადებს სხვანაირად როგორ უნდა გავუმკლავდეთ?! ხელახლა აღვზარდოთ?... შეეძლო განა კოლიას მამამისის აღზრდა? ჩვენც რომ ამოვდგომოდით მხარში, შევძლებდით ამას? ლოთს სმას მოვაშლევენებდით? ცოდვიანს მოვათვინიერებდით? სასაცილოა, არკადი კირილოვიჩი! უცხონი უცხოთა შორისო! არა და არა! კოლია ჩემთვის არ იყო უცხო, მაგრამ ვერ ვუშველე და ვერც ვერავენ უშველიდა, ერთიანი ძალით მით უფრო. თვითონვე შევშინდებოდი, დავფრთხებოდი, კოლიას დავეხვეოდით, საქმის გარჩევას დავიწყებდით... არამზადა მამას კი, კოლიას დედას რომ ჰკლავდა, თავს მივანებებდით — იცოცხლე და გაიხარე-თქო. არა, სწორს გვეუბნებოდით, სხვისი იმედით ნუ იქნებით, თვითონვე გაუმკლავდით უნამუსობასო! მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, შეშინდით და ახლა თქვენსავე სიტყვებს უარყოფთ: ხელში იარაღის აღება არ იყო საჭიროო! აბა დავნებდეთ?... სირცხვილია, სირცხვილი!..

მხრებში ოდნავ მოხრილი არკადი კირილოვიჩი ისევ ისე მშვიდად, მუბლაქვემოდან შესცქეროდა სონიას. პირისახეზე კიდევ ვუფრო დამჩნეოდა ღრმა ღარები.

— განაგრძე, — უთხრა სონიას.

— მე ვთქვი სათქმელი!

— არა, ყველაფერი არ გითქვამს, შენი სიტყვით ასე გამოდის: მიბაძეთ კოლია კორიაკინს, დახოცეთ თქვენ-თქვენი მამები, ძმები, თუკი რალაცის გამო ველარ აგიტანიათო! ჩინებული მოწოდებაა!

სონიას გამომწვევად აუცახცახდა ნიკაპი.

— გოგოლი ხომ მოგვიწოდებდა, არკადი კირილოვიჩი, რატომ არასოდეს დაძრახეთ ამისათვის?

— გოგოლი?

— გოგოლმა ტარას ბულბას შვილი მოაკვლევინა. რატომ? თავისიანებს უღალატა და იმიტომ. მერედა, კოლიას მამის საქციელი ღალატი არაა! კაცობრიობის ღალატი! ის ანდრეიზე უარესია, რა შედარებაა! ტარას ბულბა — გმირია, კოლია კორიაკინი კი — ბოროტმოქმედი?!

არკადი კირილოვიჩი დუმდა. კლასში დაძაბული შრიალი ისმოდა, მერხებზე დახრილი ბავშვები გადაციცვებით იხედებოდნენ ხან სონიასა და ხან მასწავლებლისკენ. ეს მუქი და ღია ქოჩრები, დაძაბული ნორჩი სახეები ისეთი ამბის მოწმენი გახდნენ, რომლის მსგავსი თავიანთი მოკლე ცხოვრების მანძილზე არასოდეს შეხვედროდათ და მხოლოდ წიგნებში თუ წაეკითხათ. შვილის მკვლელი ტარას ბულბას ამბავი — შორეული, დაუჭერებელი, თითქმის ზღაპრული და აგერ, უცებ!..

— ვითომ შემთხვევითაა, სონია, — წამოიწყო ისევ არკადი კირილოვიჩმა, — რომ ტარას ბულბასათვის ცხოვრებაში არავის მიუბაძავს? რა მოხდებოდა, ასეთი რამ ადამიანებს ჩვევად რომ გადაქცეოდათ?

— მაშ ბულბა არ იყო მართალი? მაშ, უნდა ეპატიებინა შვილისათვის

ლალატი? შვილში გაეცვალა საკუთარი ხალხი? — აღშფოთებით გაჰკიოდა სონია.

— ხალხი... ერთი ხალხს იცავდა, მეორე — მხოლოდ თავის თავსა და დედას, ერთსაც და მეორესაც ადამიანის სიცოცხლე შეეცნობოდა... საშარ-თლებელია ეს, სონია?

— სხვა შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, განა მამას... მაგრამ გამოსავალი რომ არ ჰქონდა.. მაშ უნდა ეცქირა, ვაცოფებული ლოთი როგორ ხდოდა მის თვალწინ დედას სულს... ნაძირალამ ისაიბოვნოს, ორმა ადამიანმა კი სიცოცხლე გაიმწაროს! ესაა სამართალი, არკადი კირილოვიჩ?

— შენ გგონია, კოლიამ იხსნა საკუთარი თავი და დედის ბედნიერებაც? — გაცეცხლებულ სონიას პირველად დაება ენა, არაფერი უპასუხა. — გადარჩენილი დედა მარტოდმარტო დარჩება და მთელი სიცოცხლე ის დაღვრილი სისხლი არ მოასვენებს. ახლა თვითონ რაღა ელის? აი, რა ბედნიერება მოუტანა ამ მკვლელობამ...

არკადი კირილოვიჩი ლაპარაკობდა და თან ვრძნობდა — არა, სონიას დუმილი როდი ნიშნავდა რწმენაზე უარის თქმას, დაბნეული, გაცეცხლებული გოგო ახლა შეშლილივით იყო. ეკ, ნეტა სიტყვას შეეძლოს შეშლალის დაშოშმინება!... არკადი კირილოვიჩს იმედი ჰქონდა, ვინც ასე აღგზნებული არაა, ვისაც მოსმენის უნარი აქვს, ისინი მაინც გამიგებენო.

ამ დროს ისევ გაისმა სლავა კუშელევის ხმა:

— არკადი კირილოვიჩ! თქვენ გგონიათ, მკვლელობით ბედნიერებას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოვიპოვებთ?

— მე გგონია, ბედნიერება და მკვლელობა ერთმანეთს არ შეეთავსება.

— ჩემთვის, მაგალითად, ისე როგორც ყველასათვის, უდიდესი ბედნიერება — სიცოცხლეა. მე კი უცებ, ბნელ კუთხეში, ვილაც, მაპატიეთ და, არამზადა დანით თუ შეძგერა... არა, ასე უბრალოდ არ დავთმობ სიცოცხლეს! შევეცდები, ის თვითონ... ჰოდა, თუ მოვერიე და სული გავაფრთხოებინე, მაშინაც ამას მეტყვით, არ გქონდათ კაცის მოკვლით ბედნიერების მოპოვების უფლებაო?

— მკვლელობის უფლება არც შენ გაქვს და არც იმ ვილაცას. იმან დაარღვია ეს უფლება. შენ კი სიცოცხლისათვის იბრძობდი. შენ სიცოცხლის დამცველი ხარ, იმ შემთხვევაშიც კი, ყაჩაღს თუ სიცოცხლეს გამოასალმებ!

სლავამ ზეიმით შესძახა:

— არკადი კირილოვიჩ! ძალიან, ძალიან კარგად ბრძანეთ — შეიძლება სიცოცხლის დასაცავად კაცი მოკლაო! ჰოდა, კოლკას მეტი კი არაფერი ჩაუდენია — სიცოცხლის დასაცავად მოკლა კაცი!

არკადი კირილოვიჩი თვალმოწყურული მიაჩერდა სლავას.

— სიცოცხლის დასაცავად მოკლა? — გაიმეორა, — უბრალო ფორმულაა, ჰოო... და უბრალო ამოხსნაცა აქვს. საშიშია ეგ, კუშელევი.

— ყოველ ზუსტ მეცნიერებაში სხვადასხვა მოუწესრიგებელი მოვლენები მარტივ ფორმულებამდე დადის და, რაც უფრო მარტივია, მით უკეთესია. მეცნიერება ამით მოგებულნი რჩება, არკადი კირილოვიჩ. მერედა, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს ფორმულები ჩვეულებრივ ცხოვრებაში?

— ის, რასაც შენ ჩვეულებრივ ცხოვრებას უწოდებ, სლავა, — ყველა მეცნიერებაზე გაცილებით მრავალმხრივია და რთული. ეს წუთისოფელი მთე-

და დავიდარებით დაატყდება ხოლმე ადამიანს თავზე. შორეული და ახლო-
 შორი, მსხვილმანი და წვრილმანი, პირადი და საზოგადო ერთმანეთშია გა-
 დახლართული. ეს მარტივი ფორმულა კი ყველაფერს ვერ განვლება. ათასი
 წლების მანძილზე რელიგია თავს გვახვევდა მაგ მარტივ ფორმულაში მერედა,
 რა ხეირი ნაზა ადამიანმა მისგან? ბიზლიჩიშვილი

— მაგრამ ეს ფორმულა ზომ რელიგიური არაა! — აღშფოთდა სლავა.

— სწორი ხარ, რელიგია თავს გვახვევდა ფორმულას — არა კაც კლასი
 შენ გვეუბნები — მოკალიო! ვითომ ეს უკეთესია?

სლავა გაიმართა, ფართო, დაწვმაღალი პირსახე გაუმკაცრდა.

— არკადი კირილოვიჩი! ეს ჩემი ფორმულა არ არის. ამ ფორმულას — მოჰ-
 კალ, რათა იცოცხლო, მოჰკალ და უკეთ იცოცხლო! — ქელიაბოვი, პეროვს-
 კია, სტეფანე ხალტურანი მისდევდნენ! ახლა მათზე წიგნებსა წერენ, მათ ამ-
 ნებს ისტორიის გაკვეთილებზე ასწავლიან...

— წიგნებში და ისტორიის გაკვეთილებშია განა არ გასწავლეს, რომ ეს
 საწყისი ფორმულები არ იყო სწორი და მათი გზა უშედეგო გამოდგა?

— ვითომ მთლად უშედეგო? — კიდევ უფრო გაუმკაცრდა სახე სლავას. —
 არა და არა, არკადი კირილოვიჩი! მათ რაღაც მაინც გააკეთეს. ისტორია მაინც
 გმირებდა და არა დამნაშავეებად რაცხს მათ. ისტორია, არკადი კირილოვიჩი! გა-
 ნა არსებობს იმაზე სამართლიანი მსაჯული?

არკადი კირილოვიჩი წელში გაიმართა, გეგონებოდათ, ჰა, ახლა კი ნამ-
 დვილად ეტყვის სლავა კუშელევს გადამწყვეტ სიტყვას, გააცამტვერებს და
 ამით წერტილსაც დაუსვამს ამ კამათსო, მაგრამ არკადი კირილოვიჩი მისჩე-
 რებოდა სლავას და დუმდა. კლასი ელოდა. მერე აქა-იქ აწრიალდნენ, აქა-
 იქ ჩაახველეს. სლავა კუშელევი კი იდგა, თვალს არ არიდებდა მასწავლებლის
 მკაცრ მზერას. მივიწყებულივით განზე მდგარი სონია პოტეხინაც დაძაბული
 მიშტერებოდა არკადი კირილოვიჩს.

მოულოდნელად კლასში ხარის ხმა შემოიჭრა. არკადი კირილოვიჩმა თვა-
 ლები დაუშვა და ბეჭებში მოიხარა. კლასი უფრო თამამად, უფრო მოუთმენ-
 ლად აწრიალდა, მაგრამ ადგილიდან არც ერთი არ წამომხტარა, მასწავლებელს
 შესცქეროდნენ, პასუხს ელოდნენ.

კედლის მიღმა, დერეფანში კარებას ჯახაჯუხი ატყდა, სკოლას ჩანჩქერის
 გუგუნავით მოედო შესვენების წიოკ-გნიასი. არკადი კირილოვიჩი მხოლოდ
 მაშინდა ალაპარაკდა.

— თუ კოლია კორიაკინის უბედურებამ ახლა არ იმოქმედა და არ შე-
 გცვალათ აზრი, მაშინ, მაშინ ეს წუთისოფელი ბედნიერებას ვერ მოგიტანთ.
 პიძეა ფცხოთა შორის უცხოოდ ყოფნა. ხოლო თუ უბედურების ეამს მკვლე-
 ლობით შეეკლებით ბედნიერების მოპოვებას... მაშინ ვაი თქვენ და უი მთელ
 ქვეყანას. შევიძლიათ გახვიდეთ. თავისუფლები ხართ.

ბავშვები ბმაურით წამოიშალნენ, მაგრამ მხოლოდ ვასია პერეველნიკოვმა
 დასძირა კარისაკენ წასვლა და ისიც შუა გზაზე გახვედა. კლასი იდგა და არ-
 კადი კირილოვიჩს მისჩერებოდა. თითქოს დაპატარავდარი ეს მძლავრი კაცი,
 მოკუჩხული, აღელვებით აკრავდა პორტფელის საკეტს. გავიდა, მაგრამ კარი არ
 შეუხურავს.

შენ — გობე, სველო! — უნდოდად ესროლა სლავას სტასიკ ბოჩკოვმა.

— ასე გამოდის, — უბასუხა საგონებელში ჩავარდნილმა შემცბარ-
მა სლავკა კუშელევმა.

ერთბაშად აფუსფუსდა, აყაყანდა ყველა...

სონია პოტეხინას ისევ წითლად დაფორაჯებოდა ლოყები, ხელები ავად,
მწვანედ უკვესავდა.

8

სოლომონი და დანია სულიმოვისაგან სავსებით დარწმუნებულნი გამო-
ვიდნენ: ამ კაცს თვალი ვერ ავუხილეთ და ვერაფერი შევასმინეთო. თუმცა,
მადლი უფალს, კიდევ კარგად გადავრჩით. არ გვაყვირა და აქეთ არ მოგვლო
შარიო.

მაგრამ ცდებოდნენ — მათი წასვლის შემდეგ სულიმოვი მღელვარებამ
აიტანა. მგონი, დამნაშავეს ვწვდი კულშიო!

ათეული წლების მანძილზე მრავალი ადამიანი ნელ-ნელა ამწიფებდა ამ
დანაშაულს და მოამწიფეს კიდევ. ბევრი მათგანი დიდი ხანია წასულიყო ამ
ქვეყნიდან, მაგრამ ზოგ-ზოგები ხომ დღემდე ცოცხლები არიან. კიდევ მეტი,
ალიარებენ და ინანიებენ უნებლიე თანამონაწილეობას. და მაინც, ვერც ერთ
მათგანს ვერ მისცემ სამართალში, რამეთუ არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ.
მათი დადანაშაულება ისევე უაზრობა იქნებოდა, როგორც მეხი დადანა-
შაულო — სახლი რისთვის გადაწვიო! გრივალს ბრალი დადო — გემი რატომ
ჩაძირეო, ზვავს უსაყვედურო — მგზავრები ქვეშ რად მოაყოლეო. ასეთივე
სტიქიურია ამ ადამიანთა ნამოქმედარიც, ამიტომ იძულებული ხარ მართო ამ
უბედურ ბაჭს დადო ბრალი, ყველას ნაცვლად მას აგებინო პასუხი.

პოდა, ამ უდანაშაულო დამნაშავეთა გადაბმულ ჭაჭვში გამოჩნდა ერთი,
სხვათაგან განსხვავებული ეჭვის აღმძვრელი ადამიანი.

კორიაკინი ანგარების მიზნით არც ერთ ამათგანს არ დაუყენებია დანა-
შაულის გზაზე. მხოლოდ ილია პუხოვი იყო მასზე ტკიპასავით მიკრული, მისი
სისხლით ძღვებოდა და ტკიპასავით სხვებზეც ავრცელებდა ამ კირს.

დავუშვათ, სხვებმა არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ, მაგრამ პუხოვს განა
არ უნდა ეფიქრა, რომ მისი ასეთი მფარველობა ხრწნიდა რაფაილ კორიაკინს?
მთლად ბაიყუში უნდა იყო კაცი, რომ ვერ მიხვედრილიყავი. რა მძიმე შედეგი
შეიძლებოდა მოყოლოდა ამას.

იმით დანაშაულს ვერ მიუყენებ სისხლის სამართლის რომელიმე მუხლს.
პუხოვის ცოდვა კი კარვად ჩანს, მისი დამტკიცება ძნელი არაა, პუხოვისათ-
ვის. ბრალდების წაყენება შეიძლება.

თუ სასამართლოს წინაშე მართო ეს ბიჭი წარსდგა, მაშინ იქ ალბათ ღრმად,
ძირფესვიანად აღარ ჩასდევნენ ამ ამბავს, ხოლო თუ მის გვერდით მოწიფული,
გამოცდილი ანგარებიანი მამაკაცი აღმოჩნდა, რომელსაც, მართალია, პირადი
მონაწილეობა არ მიუღია ამ მკვლელობაში, მაგრამ ხელს უწყობდა მას, მა-
შინ საქმეში ღრმად ჩახედვა და დაფარულის გამოაშკარავება იქნება საჭირო.

იმ ფარული ფესვების გამომზეურებით კი ბიჭს ნაწილობრივ მაინც შე-
უმსუბუქდება დანაშაული. თუ სოლომონისა და დანილას ნათქვამში სიმართ-
ლის ნატამალი მაინც ურევია, თუ პუხოვი მართლა შეგნებულად აძალებდა

სასმელს კორიაკინს, თუ ანგარების მიზნით ჩადიოდა ამას, მაშინ პუხოვია სწორედ ის კაცი, ბრალდებასაც და დაცვასაც რომ სჭირდება.

თუ და თუ... რამდენ „თუს“ უნდა უკირკატო, რამდენი რამ უნდა აწონდაწონო, არ ენდო საეკვო მოწმეთ.

„მგონი, დამნაშავეს ვწვდი კუდშიო“, — ფიქრობდა, მაგრამ ის „დამნაშავე“ იქნებ სულაც მოჩვენებითი გამოდგეს. სულიმოვმა მაინც იმედი მოიკა — ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს. რაოდენ საინტერესოა, ვთქვათ, იმის გავება, დაამწუხრა თუ არა პუხოვი ძველი მეგობრის მოულოდნელმა სიკვდილმა. თუ დააგვიანა, მერე უკვე ვეღარც შეატყობს ამას.

სულიმოვმა გადაწყვიტა პუხოვს მოულოდნელად დასხმოდა თავს.

დაახლოებით ასეც პყავდა წარმოდგენილი პუხოვი. ამ კაცს ყველაფერი ზომაზე ჰქონდა, თვალში არაფერი გეცემოდა — ზომაზე იყო ჩასუქებული, შუბლიდან გასდევდა მულოტი, უბრალო სახე ჰქონდა, საქციელი გულდია, მზერას არ გარიდებდა და არც ჩაცვებით მოგშტერებოდა, ლაპარაკობდა ოდნავ ყრუდ, მაგრამ ღირსებით. ასეთი ადამიანები პატივისცემას აღვიძრავენ, მაგრამ კვალს ვერ ტოვებენ, თავს ვერ გამახსოვრებენ, მალლა-მალლა არ ფრენენ, ოღონდ, თუ სადმე მოიდგეს ფეხი, მორჩა, კარგა მაგრა მოყურდებიან, იქაურობას ვეღარ მოაშორებ.

სუფთა, საკუჭნაოსავით ციციქნა კაბინეტში ისხდნენ. ერთი მაგიდა იდგა მხოლოდ. დაუბატოვებელი სტუმრისათვის მეორე სკამიც კი არ აღმოჩნდა, კაბინეტის პატრონმა საიდანღაც მსუბუქი, დასაკეცი სავარძელი მოათრია.

— დიდი ხანია იცნობდით რაფაილ კორიაკინს?

— ჯაბუკობიდან, — დინჯად, დაუძაბავად უბასუნა პუხოვმა.

სულიმოვმა იფიქრა, აი, ახლა სახტად დავტოვებო, და მიახალა:

— მას შემდეგ, რაც მისმა ძაღლმა შარვალი გამოგახიათ?

პუხოვი მართლაც შეაცბუნა ამ კითხვამ და არც დაუფარავს.

— საიდან იცით? მეც კი გადამავიწყდა.

— მართლა თქვენ მოწამლეთ ის ძაღლი?

პუხოვმა შეწუხებით გადააქნია თავი.

— საკვირველია, — თქვა, — ის სოფელი კარგა ხანია აღარაა, იქაური ხალხიდან ზოგი დაიხოცა, ზოგი მიმოიჟანტა, ჰორებს კი დღემდე გაუძლია.

— მაგ ჰორების უარყოფა იოლად შეგიძლიათ, დაგიჯერებთ, თუ მეტყვიით.

— თუკი აუცილებელია, გაპასუხებთ — დიახ, მე მოვწამლე, ვილაცას ხომ უნდა მოეცილებინა სოფლისათვის ის გაავებული ქოფაკი.

— ასევე განუმარტეთ რაფაილ კორიაკინს მაშინაც?

პუხოვმა გაურკვეველად ჩაიციხა.

— როგორ გეკადრებათ! ის ცხვირმოუხოცავე ბიჭი რომ წამომადგა თავზე, ჯიბეში დანა ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ვიღონე დანა ჯიბიდან არ ეძრო... თუმცა მერე მთელი ოცდარვა წელი ველოდი, ადრე თუ გვიან მაინც დაიძრობს-მეთქი დანას. ასეთი კაცი იყო...

— თითქმის ოცდაათი წელი დანის დარტყმას ელოდით მისგან და მაინც მეგობრობდით?

— რის მეგობრობა, რა მეგობრობა! ახლო ნაცნობები ვეყავით, მართალია, მაგრამ მეგობრები არასოდეს...

— მიუხედავად ამისა, მთელი ცხოვრება მაინც ერთად გაატარეთ. /სადაც გადაგიყვანდნენ, ისიც მყის იქ ამოყოფდა თავს, უკან დაგდებდა თუ მოცილებდა?
 ბიზლიჩიძე

— შემეძლო მოცილება...

— მერედა, რა გიშლიდათ ხელს?

— იმ კაცში ნიჭი აღმოვაჩინე. შემეძლია ვთქვა, რომ ოსტატი კორიაკინი ჩემი შექმნილია.

— ჰოდა, იმ ნიჭის ხატრით არ იცილებდით გვერდიდან?

— ჩვენს მექანიკურ ქარხანას თუ იცნობთ? ახლა ძველ ქარხანად ითვლება. ჩემი ბიოგრაფია კი იქიდან დაიწყო, ორმოცდაორში გადმოიტანეს აქეთ, ევაკუაციის დროს. დაზვები ღია ცის ქვეშ დავდგივთ, გარშემო საიორკელია გათხრა და კედლების ამოყვანა დავიწყეთ. გგონიათ, მაშინ მარტო ფრონტზე აღუბებოდა ხალხი? აქაც იხოცებოდნენ სიცივით, შიმშილით, წელში გამწყვეტი შრომით — უფრო მეტად უმწიფარები, თექვსმეტი წლისანი. მაშინ უკვე გვარიანი წამოჩიტული ვიყავი და გავუძელი. ბრიგადირად დამნიშნეს, ომი დამთავრდა თუ არა, სახურავების თუნუქით გადახურვა და შეღებვა დავიწყეთ. მაშინ იყო, რაფაილს რომ გადავეყარე, დამხმარე მუშად ავიყვანე. მერე და მერე შევამჩნიე, ამ თავზე ხელაღებულ ბიჭს მარჯვე ხელი ჰქონდა. ჰოდა, პირველმა მე შევაქე და დავაფასე მისი მარჯვენა. გამოგიტყდებით, თვითონ კორიაკინი არასოდეს მყვარებია, მაგრამ მისი ნიჭი კი მუდამ...

— უანგაროდ ვიყვარდათ? — ჩაუკრა სულიმოვმა.

პუხოვმა კვლავ გაიცინა: — ვიცი, რასაც გულისხმობთ.

— სად გინახავთ უანგარო სიყვარული? ქალისაგანაც მუდამ სამაგიეროს ელიან, მე კი პრაქტიკული კაცი ვარ, ბრიგადირიც ვიყავი და სამუშაოთა მწარმოებელიც. დღემუდამ ცეცხლი გიკიდია, ჰა და ჰა, რაღაცას ვერ ასწრებ, ილუპება საქმე, ამიტომ გვირდება ხოლმე მარჯვე ბიჭები, გულდაჯერებით რომ შიანდობ საქმეს, კორიაკინი კი, თუ თავს მოუქონავდი, ათი კაცის საქმეს გაქაჩავდა. მოგებას მოველოდი მისგან.

— მაგის სანაცვლოდ ისიც რაღაცას ათხოვდა?

— ცხადია.

— მაინც რას?

— ფულის გაკეთებაში ვშველოდი.

— განზე სამუშაოებით?

— განზე სამუშაოებითაც, — დინჯად დაეთანხმა პუხოვი, — მკაცრად ნუ განსჯით. მაშინ წიგნაკებით ვცხოვრობდით. ერთი ლუკმა პურით და სასადილოს მთხლე საქმელით რას გახვიდოდი, ფეხებს გაჭიმავდი. შემთხვევას არ ვუშვებდით ხელიდან, რათა განზე სამუშაოც გვეშოვნა. არც ახლა ამბობენ ასეთ რამეზე უარს. კორიაკინს მარტო მუცლის ამოყორვა არ ჰყოფნიდა, ზედ თუ სასმელსაც არ დააყოლებდა, ისე ვერ ძლებდა.

— როდის დაიწყო სმა?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი.

— იმ ნახევარი ლიტრიანის შემდეგ ხომ არა, მოწამლული ძაღლის სა-
ნაცვლოდ რომ ჩამოუდგით?

— ერიპა! ჩემთან რომ მოვიდა, უკვე კარგა მაგრა იყო შეხარბოშებული
და ჩახმახივით შემართული.

— ასეა თუ ისე, კორიაკინი თქვენი შემწეობით ძლებოდა და თვრებოდა
კიდევ... მთელი ამ ოცდარვა წლის ნაცნობობის მანძილზე!

— გინდათ თქვათ, რომ ამ ოცდარვა წლის მანძილზე სულ მე ვასმევდი?

— გამეხარდება, არაო, თუ მეტყვით.

— ერთი ეს მიიხარით, რისთვის უნდა დამეთრო ეს კაცი? ფხიზელი და
დალაგებული უფრო იოლი მისადგომი არ იქნებოდა? განა არ იცით, მთვრალი
კორიაკინი თავაწყვეტილი შფოთისთავი რომ იყო? დანა არ იძროს-მეთქი,
ტყუილუბრალოდ ხომ არ მეშინოდა მაშინ. მთელი ოცდარვა წელი სვამდა და
მთელი ამ ხნის მანძილზე ფხიზლად ვიყავი. იმაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის
რა იქნებოდა, თუ არყის ყლურწვას შეეშვებოდა, მისი სიმთვრალით მე ვხა-
რალდებოდი.

— მოდით, სხვა კუთხით შევხედოთ ამ ამბავს, ამხანაგო პუხოვ. თქვენ
აფასებდით კორიაკინის ნიქს და, როგორც თვითონ თქვით, არც უანგაროდ,
მაგრამ მისი ნიჭი თქვენ მხოლოდ მაშინ გეკუთვნოდათ, როცა კორიაკინი
მთლად თქვენზე იყო დამოკიდებული. რაც უფრო მეტსა სვამდა, მით უფრო
მეტი ფული სჭირდებოდა. ფული კი ახალ-ახალ გარიგებას მოჰქონდა. ხოლო
ამ გარიგებას ვაი რომ თქვენ გარეშე ვერ ახერხებდა. კორიაკინს თუ ხელსაყ-
რელი გარიგება ექნებოდა, ეს თქვენც გაძლევდათ ხელს, პუხოვ. აი, ასე გა-
მოიყურება ის თქვენი უანგარო სიყვარული! თქვენ ხელს გაძლევდათ მისი
ლოთობა. ცხადია, თვითონ არ ასმევდით, მაგრამ საამისო პირობებს კი უქმნი-
დით. გეშინოდათ, სმას თავი არ დაანებოსო. როგორ მოგწონთ ასეთი ლოგიკა,
პუხოვ?

პუხოვმა მშვიდად გასწია ხელი მაგიდაზე დაღებული საქალაქისაკენ და
იქიდან რამდენიმე აკინძული ფურცელი ამოაცურა.

— აბა ერთი დახედეთ, როგორ მოგწონთ ეს ბრძანება? — ჰკითხა და
სულიმოვს გაუწოდა. — შეხეთ, კორიაკინი ვუშინ მოკვდა, მის ადგილას კი
უკვე სხვას ვაფორმებ, კარგა ხანია შეთვალთვალეებული მყავდა, თანაც გაით-
ვალისწინეთ, ეს ახალი, ლოთი არაა.

სულიმოვმა ბრძანება ჩაათვალიერა.

— ესე იგი, კორიაკინი იოლი შესაცვლელი ყოფილა?

— აწორედ ასეა და ამიტომაც, მაპატიეთ, თქვენი ლოგიკა მოიკოჭლებს.
რაში მარგებდა კორიაკინის გალოთება? განა მისთანა შმაგი ლოთის ლოლიავი
ღირდა კი ამდენ დავიღარაბად? როგორ ფიქრობთ, თითქმის ოცდაათი წლის
მანძილზე ვერ მოვძებნიდი მაგისთანა ოსტატს, ოღონდ უფრო წესიერს? სხვა
თუ არაფერი, დანის შიში მაინც რომ აღარ მქონოდა?

პუხოვის სახეს არც ფარული გამარჯვება დატყობია (ხედავთ, თქვენი ეჭ-
ვები როგორ გავაბათილეო!), არც მოსაუბრის დაცივნის სურვილი შემჩნევია
(ხომ გაკამეო!), მხოლოდ მოთმინება ეხატა, ანბანურ ჰემმარიტებას რომ უმ-
ტკიცებს კაცს. „ან სუფთაა ამ საქმეში. ან ოსტატურად ინიღბება“. — გაიფიქრა
სულიმოვმა.

— ვინმე პაშკას თუ იცნობთ, მეტსახელად ვაცს, და ვენკა ბრუტიანს? —
შეეკითხა.

— ვიცნობ, — თითქოს ყური ცქვიტა პუხოვმა.

— რა ხალხია?

— სასიკეთოს ვერაფერს გეტყვით, ხელიდან წასული ლოთბაზრები არიან.

— ლოთები იყვნენ და თქვენთან მუშაობდნენ?

— დიახ, ვიდრე ერთმა ამ ლოთობით საავადმყოფოში არ ამოყო
თავი.

— როგორი ყაიდის ხალხია თქვენი ახალი მუშები სოლომონ რაბინოვიჩი
და დანილა კლოპოვიჩი?

— დაახლოებით ისეთივე.

— ესენი ხომ იმ ლოთბაზრების, პაშკასა და ვენკას სანაცვლოდ მიიღეთ.
ლოთები ლოთებით შეცვალეთ. რატომ მაინცდამაინც ისევ იმათთანა ხალხი
შეარჩიეთ?

— სავანგებოდ ვარჩევდი ასეთებს.

— რაფაილ კორიაკინისათვის რომ თანამეინახეობა გაეწიათ?

— სწორედ ამიტომ.

— ამის შემდეგ კიდევ მიმტკიცებთ, კორიაკინის ლოთობა ხელს არ მად-
ლევდაო!

— მითხარით ერთა. — პირველად მიმართა უკმეხად პუხოვმა, — შემეძლო
განა მაგ ლოთი კორიაკინის გამოსწორება? მედიცინა ვერას გახდა მაგათთან!
სმას ვერ გადავაჩვევდი, მაგრამ ფათერაჟს რომ არ გადაყროდა, ეს კი შემეძლო.
ძნელი იყო, მაგრამ მაინც ვახერხებდი! კორიაკინს რომ ვისთანაც მოეპრიანე-
ბოდა, იმასთან ესვა, აყალმაყალს, დანის ტრიალს, საამქროების წინ არყის
მოლოდინში მოყურყუტე ვიგინდარებს ვერ დავალწევდი თავს. ასეც იყო,
ვიდრე არ მივხედე — ვიფიქრე, იმათთან მაინც სვას, ვინც ყველაფერს მოუთ-
მენს, ლოთების შემოსევისაგან მაინც გადავრჩებით-მეთქი. სმას არ ვაძა-
ლებდი, მაგრამ რა მექნა, მის ლოთობას კი ვურიგდებოდი.

— ვატყობ, ძალიან მოუბეზრებია მაგ კორიაკინს თქვენთვის თავი?

— გულზე მეხატა-მეთქი, ვერ ვიტყვი.

— შეცვლა ხომ შეგეძლოთ.

— შეძლებით კი შემეძლო, მაგრამ ერთი რამ მაჩერებდა.

— მაინც რა?

პუხოვი მოიღრუბლა, თვალი მოარიდა სულიმოვს.

— ვიცოდდი, როგორც კი მომცილდებოდა, კისერს მოიტეხდა.

— მაშ მაინც გებრალეობოდათ?

— ხუმრობა ხომ არაა, ოცდაათი წლის ნაცნობები ვიყავით, მერე კიდევ
ოჯახი ჰყავდა... ვცდილობდი თჯახისათვის გამეშართა ხელი, ჩემი შემწეობით
კორიაკინის შემოსავლის ნახევარი მისსავე ოჯახში მიდიოდა.

— ვერ იტანდით, მაგრამ გულითადად კი ეკიდებოდით?

— თქვენ ფიქრობთ, ეს შეუძლებელია?

— კი მინდა დავიჯერო, რომ შესაძლებელია, მაგრამ პროკურატურა ირ-
წმუნებს? ხომ დაუფიქრებდებიან, რა აჩერებდა კორიაკინს ამ კაცის გვერდითო.
პასუხად მიიღებენ — კეთილი განწყობილებათ. თქვენ თუ დაიჯერებდით ასეთ
პასუხს?

პუხოვი მაგიდას დააჩერდა, დიდხანს დუმდა.

— პო... ძნელი დასაჯერებელია... მაგრამ სხვა პასუხი რომ არა მაქვს! არ მიყვარდა, მაწუხებდა, თავიდან მოცილება მინდოდა, მაგრამ ვერ გავწირე... ვიცოდი, რაც დაემართებოდა მერე... რომ ჩავთქრდებოდი, მსხვერპლი შეყინება.

— რაც მოხდა, ამას თუ მოელოდი?

— ამას არა. ისე კი ვატყობდი, ადრე თუ გვიან რაღაც უნდა მომხდარიყო... რაღაც საშინელება დატრიალებულიყო...

სულიმოვმა მეტი ვერაფერი დააცდენინა პუხოვს, ამან ცოტა შეაეჭვა აქამდე ასე მარჯვედ იძვრებდა თავს, ახლა კი ხმა რად ჩაიგდოო, — სწორედაც უცნაური იყო...

9

სახეჩალამებული არკადი კირილოვიჩი ჩამქრალი, ჩაცვნილი თვალებით შეჰყურებდა მასწავლებლებს — ის იყო მოკლედ და მკაცრად ამცნო მათ მეცხრე „ა“-ში დავმარცხდიო.

— პ-ო-ო! — წაიდუღუნა დირექტორმა, — თვითკრიტიკა დაიწყეთ!

— არის ერთი ბულგარული ანდაზა, — ძძიმედ თქვა არკადი კირილოვიჩმა, — ცუდი კაცი ის კი არ არის, ვასაც ერთი წიგნიც არ წაუკითხავს, ცუდი ისაა, ვინც მხოლოდ ერთი წიგნი წაიკითხაო. საშიშნი არიან არა სულ მთლად უმეცარნი, არამედ ვაი განსწავლულნი. ამ ბავშვებს ზნეობის წიგნი თავიდან ბოლომდე კი არ წაუკითხეთ, მხოლოდ პირველი გვერდი გავაცანით. პოდა, წავიტეხეთ კიდევაც კისერი.

— პოოო! — წამოდერდა დირექტორმა და დადუმდა.

დირექტორის კაბინეტში ხუთნი ესხდნენ — ზედა კლასების სასწავლო ნაწილის გამგე ემილია ვიქტოროვნა, სკოლის ფანატიკურად ერთგული ქალი, არც ისე ხანშიშესული, მაგრამ უკვე ხელჩაქნეული შინაბერა, ექსპანსიური ხასიათის წყალობით მთლად ჩამომხმარი და გამკლუელი; ფიზიკოსი ივან რობერტოვიჩ კონი, წარმოსადეგი, მხარბეჭიანი კაცი; მუდამ მომლიძარე მათემატიკას მასწავლებელი ბებერი ავგუსტა ფეოდოროვნა; არკადი კირილოვიჩი და თვით დირექტორი ევგენი მაქსიმოვიჩი, რომელსაც სივრცისათვის მიეშტერებოდა მოწყურული თვალები, ხელები კი მუცელზე დაეწყო და ათამაშებდა.

დირექტორთან ასეთ მცირერიცხოვან თათბირებს, რომლებზეც პედსაბჭომდე წყდებოდა საკითხები, „ძლიერთა დასის“ შეკრებებს უწოდებდნენ. რაც უფრო მცირერიცხოვან „ძლიერთა დასს“ მოიწვევდა ევგენი მაქსიმოვიჩი, მით უფრო საიდუმლო პირი უჩანდა თათბირს. დღეს მოულოდნელად შეიკრიბნენ და ცოტანიც იყვნენ.

როგორც მოსალოდნელა იყო, პირველი ემილია ვიქტოროვნა აფეთქდა:

— რატომ კიცხავთ საკუთარ თავს, არკადი კირილოვიჩი?! თანაც ესოდენ გამეტებით. არც საკუთარ თავს ზოგავთ და არც ჩვენ.

— თქვენ გგონიათ, ალილუიას გალობა გვმართებს? — ჩაიბუზღუნა არკადი კირილოვიჩმა.

— არ მოგცემთ მაგის უფლებას, დიახ, დიახ, არ მოგცემთ უფლებას! თქვენივე თავისაგან დაგიცავთ.

ემილია ვიქტოროვნას სკოლის გარდა ამქვეყნად სხვა არაფერი ებადა.

ამიტომ მუდამ დადარაჯებული იყო, ვინმემ ფიქრშიაც კი არ შებღალტოსო სკოლის სახელი. თუ სკოლას მტერი არ ჰყავდა, მაინც ეჩვენებოდა მტერი არკადი კირილოვიჩი. მისთვის კარგა ხანია სკოლის ძარღვი, სინდისი და ხერხემალი იყო. ემილია ვიქტოროვნა არკადი კირილოვიჩს მეტ პატივს სცემდა ვიდრე დირექტორს, რომელიც ახალი ეაცი იყო, მზამზარეულზე მოსულნი: ამიტომ მისი აზრით, თუ არკადი კირილოვიჩი თავის სკოლას ესხმოდა — ეს უკვე ღალატს უდრიდა.

— საიდან მოიგონეთ ეს ყოვლისგამანადგურებელი ცრუ თეორია — თვითონვე ვქმნითო, — ო, ღმერთო ჩემო! — ზნეობრივ უმწიფარებსო?! თუმცა გასაგებია. — ეს იმ სამწუხარო შემთხვევის ბრალია! გონს მოდიო, ჩვენ რა შუაში ვართ? რისი ვაკეთებთ შეგვეძლო? კორიაციის მამას გამოვისწორებდით? ეს ხომ სასაცილოა. პედაგოგიური გავლენის გამოყენებას გვიბრძანებთ იმაზე, ვინც კარგა ხანია მილიციას უნდა აელავმა? ბოროტმოქმედება სკოლას არ ეხება. შემთხვევით, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ჩვენს სკოლაში ასეთი ანის ჩამდენი მოსწავლე, იგი თავისუფლად შეიძლებოდა ქალაქის რომელიც გნებავთ, სკოლის მოსწავლე ყოფილიყო.

— ისიც შემთხვევითია, მის საქციელს მთელი კლასი ნორმალურად, მეტიც, სასარგებლოდ რომ მიიჩნევს? — შეეკითხა არკადი კირილოვიჩი.

ემილია ვიქტოროვნამ ხელები გაასავსავა:

— არკადი კირილოვიჩ, თავისებურად თქვენც ხომ ამართლებთ იმ უბედურ ბიჭს? განა ჩვენ არ გვიკვდება გული მისი სიბრალუღით? თანაკლასელები რატომ უნდა იყვნენ გულქვანი? ამიტომაც ამართლებენ მის საქციელს და იცავენ, როგორც შეუძლიათ. ეს ზნეობრივ სიმახინჯედ მიგაჩნიათ?... არა, არა, არკადი კირილოვიჩ, ეს სიმახინჯე არ არის — ჩვეულებრივი ყმაწვილები არიან, ოღონდაც, ცხადია, ყველა თავ-თავისი ხუშტურით. ბავშვები არიან და იმითომ, სლავა კუშელევი პოტენციური მკვლელიაო! სონია პოტეხინაც, ღმერთო ჩემო! გონს მოდიო, არკადი კირილოვიჩ! ნუ გვაცინებთ! ეს ავადმყოფურია, დოსტოევშიჩინაა! საიდან შეგეყარათ! ადრე არასოდეს შემიმჩნევია.

— ემილია ვიქტოროვნა, საკუთარ თავში თუ დაეჭვებულხართ ოდესმე? — დაინტერესდა არკადი კირილოვიჩი.

— საკუთარ თავში — კი, მაგრამ თქვენში — არა! არასოდეს არ მიმიცია ჩემი თავისათვის ამის უფლება.

— აი, ახლა დადგა საამისო ღრუ.

— არ შემოძლია! მაშინ სკოლის რწმენაც უნდა დაგკარგო. ჩემთვის სკოლა — თქვენა ხართ!

— ჰოდა, ამას გეტბნებით, გადავარჩინოთ-მეთქი სკოლა.

— გადავარჩინოთ, არკადი კირილოვიჩ, გადავარჩინოთ ჩვენი წარსული, ჩვენი მრავალი წლის შრომა და აღიარებული წარმატებები! ან იქნებ მსგავსი არაფერი გვქონია?

— რა წარმატებები გვქონდა?

— ვითომ არ იცით?

— ვიცი, ჩვენ ზნეობრივ აღზრდას გვიქებდნენ.

— ჰოდა, კოლია კორიაციის ამბავმა არ შეიძლება ყველაფერი გადაშალოს, არა და არა არკადი კირილოვიჩ!

— ეს ამბავი — მკვლევლობაა! თვალი დაგხუჭოთ, ნურც იმას ვიტყვით,

რომ კლასი ამართლებს ამ მკვლელობას? და ისევ ლამაზ-ლამაზი ზნეობრივი ცნებებით გამოვუტენოთ თავი ბავშვებს? განა ეს საზარელი უზნეობა არ იქნება, ემილია ვიქტოროვნა?

— თქვენ.. თქვენ ფიქრობთ, რომ მე...

— მე ვფიქრობ, — მოუჭრა არკადი კირილოვიჩმა მკვეთრი ხმით სრულიად ნათელი დასკვნა გამოდის.

ემილია ვიქტოროვნამ გაოცებული, შეწუხებული მხერა მოავლო იმ მყოფთ. ყველანი დუმდნენ. მხოლოდ დირექტორი ევგენი მაქსიმოვიჩი იწყებოდა წინანდებურად, ოჯახური ჩხუბის შემსწრე ნებიერ კატასავით.

— რაღა მეთქმის! — აღმოთქვა ემილია ვიქტოროვნამ და თავი შეატრიალა.

— მინდა გკითხოთ.. — მიუბრუნდა არკადი კირილოვიჩს მრისხანედ წარბშეკრული ივან რობერტოვიჩი, რომელიც დიდი გულისყურით უსმენდა, — როგორც ჩანს, უკმაყოფილო ხართ აღზრდის თქვენეული მეთოდით, არა?

— უკმაყოფილო ვარ.

— რაო, სულ აღარ მოგწონთ?

თუ ემილია ვიქტოროვნა მუდამ არკადი კირილოვიჩის მომხრე იყო, გულმხურვალედ უჭერდა მას მხარს და ცაშა აპყავდა, ივან რობერტოვიჩ კობი გულცივად განზე იყო ხოლმე გამდგარი. მას ფიზიკის მეტი არაფერი სწამდა. ფიზიკა დღეს სამყაროს საფუძველთა-საფუძვლებს, იმ საწყისთა საწყისს სწვდება, საიდანაც შექმნილია ყველაფერი — ატომი, მოლეკულა, მკვდარი მინერალი, ცოცხალი უჯრედი, ორგანიზმი და ადამიანის ესოდენ უცნაური ორგანო — ინტელექტის მატარებელი ტვინი. იგი მეცნიერებათა მეცნიერებაა. ყველა დანარჩენ მეცნიერებათა ფესვები ფიზიკაში უნდა ეძიო; ფიზიკააო ადამიანის მრავალფეროვან და არეულ-დარეულ წარმოდგენათა არსი, ყოფიერების საწყისი. ამიტომ ივან რობერტოვიჩი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას არკადი კირილოვიჩის მთელ ამ ფუსფუსსა და „დავიდარაბას“ სამაგალითო ყოფაქცევის ირგვლივ და მთავარ მიზნად მიაჩნდა აღმოეჩინა თავიანი ყოვლისმომცველი მეცნიერების მომავალი ქურუმები. სლავა კუშელევს დაუფიქრებლად აპატიებდა ყველაფერს, რადგან იმედი ჰქონდა, ეს ბიჭი გამორჩეული ქურუმი დადგებაო. არავინ არ მოელოდა, ივან რობერტოვიჩი რამეს თუ იტყოდა, ეგონათ, ამჯერადაც განზე გადგება, დუმილს ირჩევსო.

— წინანდელ მეთოდზე უარი გინდათ თქვათ, ხომ? — გაიმეორა მან.

— სულ მთლად არა, — მიუგო არკადი კირილოვიჩმა, — მაგრამ ეს ახლა სრულიად არ არის საკმარისი.

— მერე გაქვთ რაიმე წინადადება? რაიმე კონკრეტული ან დაახლოებითი პიპოთეზის სახით მაინც?

— არაფერი, გარდა იმ რწმენისა, რომ რაც გავაკეთებთ, იმით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, ახალი გამოსავლის ძიებაა საჭირო.

ივან რობერტოვიჩმა ჩაიბუხუნა:

— არც ძველი გინდათ უარყოთ და არც ახალს გვთავაზობთ რაიმეს. მაშინ, მაპატიეთ და, რაღა დაგრჩენიათ? რისიღა ვიწამოთ?

— ერთი რამისა, — მტკიცედ წარმოთქვა არკადი კირილოვიჩმა, — საგანგაშო ფაქტებისა.

— დავუშვათ, ვიწამე, მერე?..

— თუ დაიჯერებთ, რომ ეს მკვლელობა უბრალო შემთხვევა არ არის, მაშინ ველარ დამშვირდებით და მიზეზის ძიებას დაიწყებთ.

— თუ აღმოჩნდა, რომ ჰმ... იმ მიზეზს სკოლა ვერ მოერევა, მერე როგორ-
და მოვიქცეთ?

— მოდით, ჯერ ის მიზეზი მოვძებნოთ და მერე ვილაპარაკებოთ მოვიქცეთ.

ივან რობერტოვიჩმა წარბი შეათამაშა და კმაყოფილმა თავი დაიქნია:

— ლოგიკურია!

მას მხოლოდ ის აინტერესებდა, ლოგიკაში ხომ არა ვცდებითო, და ისევ დამუნჯდა, აღარც ამ ხათაბალაში გარევა უნდოდა და აღარც იმ საბედისწერო მიზეზის ძიება, რომელსაც კაცმა არ იცის, მოერეოდა თუ არა სკოლა.

ავგუსტა ფეოდოროვნა ძლივს გასწორდა წელში, ბებერი თვალები თვინიერად მიაპყრო არკადი კირილოვიჩს.

— არკაშენკა, — უთხრა ნელა და მწარედ, — აქამდე რამდენი წელი მო-
უნდი ძიებას?

ის არკადი კირილოვიჩის ძველთაძველი მეგობარი იყო ამ ოცდახუთი წლის წინათ, როცა ყოფილ კაპიტანს პამიატნოვს შეხვდა და ძველი ნაცნობა-
ვით გაუბა საუბარი, ავგუსტა ფეოდოროვნას არც თმა ჰქონდა შევერცხლილი
და არც წელში იყო მოხრილი. თადარიგის კაპიტანმა, იმხანად პედინსტიტუტიც
რომ არ ჰქონდა დამთავრებული, სკოლაში მყის შინაურულად იგრძნო თავი.
მას შემდეგ, მუდამ გრძნობდა ამ ქალის არათავმომაბეზრებელ სითბოს. თუმ-
ცა ავგუსტა ფეოდოროვნას ამ სითბოს ბევრი სხვაც გრძნობდა და ყველას ეგო-
ნა, სხვაზე მეტი სითბო მე მხვდებო.

— არა მგონია, ახლა უფრო სწრაფად აღმოაჩინო და მოიძიო, ჩემო კარ-
გო, ვინ მოთვლის, ამასობაში რამდენი მოსწავლე გაივლის ჩვენს ხელში. უკვე
მომავლებზე მოგვიწევს ზრუნვა. ის მომავალები კი, ვინ უწყის, როგორი იქ-
ნებიან, ეგებ აღარც კი იქნეს საჭირო მათი აღზრდა. ნაბტომისათვის დიდხანს
იმზადებოდი, მაგრამ გადახტები კია?

— მაშ რა ვქნათ, ავგუსტა ფეოდოროვნა, გულხელდაკრეფილები ვისხ-
ლეთ?

— სხვა გზა არაა-მეთქი, ვიტყვი, მაგრამ ვიცი, არ მოგეწონება. უნდა
დავივიწყოთ კოლია კორიაკინის ამბავი, და რაც შეიძლება მალე. ყველაფერი
თავისთავად გადაიხარშება...

არკადი კირილოვიჩი სკამზე აწრიალდა.

— შენ ნუ ხტი, ნუ ბორგავ, — შეაჩერა ავგუსტა ფეოდოროვნამ, — მაგ
საშიშროებას, თუკი მართლაც არსებობს, ველარ ავიცილებთ. ასე ჩათვალე,
რომ უბედურება დატრიალდა. ჩხუბის შემდეგ მუშტის ქნევას აზრი აღარ აქვს,
ამით სკოლაში წესრიგს მხოლოდ შევარყევთ. გვინდა ეს?

— სწორია! სწორი! — ისევ წამოენტო ემილია ვიქტოროვნა.

— აჰ, სწორია! — არკადი კირილოვიჩი ზეზე წამოიჭრა.

ავგუსტა ფეოდოროვნამ უიმედოდ ჩაიქნია ხელი და ამოიოხრა:

— ეჰ, ეჰ, ეჰ! ისევ სიფიცხემ გძლია.

— კოლია კორიაკინის უბედურება დავივიწყოთ. მივჩქმალეთ, თითქოს
რაფერი მომხდარა! არ გავმოვა ეს, ავგუსტა ფეოდოროვნა. არა! მოსწავლეებს
როგორღა დაავიწყებ, როგორ აუკრძალავ, თავის ჭკუაზე განსაჯონ ყველაფე-

რი, მერე იცით, რა უკუღმა მსჯელობენ. ასე ჰგონიათ, კაცის კვლით შეიძლება ცხოვრების გამოკეთება?! ამიტომ საჭიროა სულ უბრალო რამით დავიწყოთ: ავუხსნათ, რომ უკუღმართად მსჯელობენ...



— ისე არევ-დარევ საქმეს, ჩემო არკაშა, მერე ექვეყნის კოლექტივის ველარ გამოასწორებს.

— ...ავგუსტა... ჩემო კარგო, კეთილო ავგუსტა, რა დაგემართა? მთელ ძალ-ღონეს ბავშვებს ახმარ, მთელ სიცოცხლეს მათ სწირავ და, კოლექტივის ველარ გამოასწორებს ამ არეულ საქმესო, იმბობ, მაშ, დავტოვოთ ეს ბავშვები სულიერად დამახინჯებულები?!

— მუწუკი თუ გამოორწყე, არკადი, მთელ სხეულს მოედება. აცალე, ახალ-გაზრდა თვითონ მოერევა, უკვალოდ შეხორცდება იარა.

არკადი კირილოვიჩმა დაბნეულად მიმოიხედა.

— პე-და-გო-გე-ბო! რისი იმედი გაქვთ? ღმერთი თუ ჩვენს მხარესაა, ეშ-მაკი ვერაფერს დაგვაკლებსო? მაშინ, პედაგოგებო, რისთვისღა ხართ საჭი-რონი?

— თქო! — ჩაიბუხუნა ივან რობერტოვიჩმა.

— მარტო მე კი არა, ყველას მოგხვდათ! — გაიხარა ემილია ვიქტორო-ვამ.

ავგუსტა ფეოდოროვნას სახე მოეკმუხნა:

— არა მჯერა შენი წუწუნისა, არა მჯერა-მეთქი, არკადი! ჩვენი სკოლა ვანა სხვაზე უარეს ადამიანებსა ზრდის?

მხოლოდ დირექტორი დუმდა, სკამზე გადაწოლილიყო და თითებს მუცელ-ში ითამაშებდა.

შავრამ აი, დირექტორი წამოიშარათა და მთელბ ტანით შებრუნდა არკადი კირილოვიჩისაკენ:

— ხომ გაიგონეთ — არ გვჯერათ! ვერ დაგვარწმუნეთო! იქნებ უფრო აშ-კარა დამამტკიცებელი საბუთები მოგეტანათ, რათა ჩვენც გავვეზიარებინ: თქვენი შიში?

— სხვა რა დამამტკიცებელი საბუთი გიშველით, როცა მამის მკვლელობამ ვერ დაგაჯერათ, — გაიოცა არკადი კირილოვიჩმა.

— ასეთი საზარელი უაქტი სხვაც დაგვისახელეთ.

— ასეთი რამ ხშირად არ ხდება, ევგენი მაქსიმოვიჩ.

— ჰოდა, რადგან არ ხდება, რა საჭიროა აურზაურის ატეხა? მაშასადამე, განსაკუთრებულ და არა დამახასიათებელ მოვლენასთან გვქონია საქმე. ეს ჩვენი ცხოვრებისათვის, ჩვენი და თქვენი მოღვაწეობისათვის არ არის დამახასიათ-ებელი, არკადი კირილოვიჩ. ჩვენს გამო არ მომხდარა, რალაც სხვა გარემო-ბამ, ჩვენს და თქვენ გარეშე შემთხვევით შექმნილმა, გამოიწვია.

— ატომური ბომბები მხოლოდ ერთხელ აფეთქდა, შავრამ იმ აფეთქე-ბამ ადამიანებს დიდი განვაშის საბაბო მისცა.

ევგენი მაქსიმოვიჩმა გაკვირვებით გაშალა ხელები:

— კოლია კორიკინი და ატომური ბომბი! ვერაფერს იტყვი — გვარიანი შე-დარებაა... და მაინც, ვერ ამტკიცებს, რომ მამის მკვლელობისაკენ მოს-

წავლეს სკოლამ უბიძგა, ეს ისევ და ისევ თქვენი აღზნებული წარმოსახვის ნაყოფია.

— ვგრძნობ, მხოლოდ მაშინ დამიჭერებო, როცა ისევ განმეორდება მსგავსი რამ, მე კი სწორედ ეს არ მინდა მოხდეს.

— არკადი კირილოვიჩი, ძვირფასო, — ევგენი მაქსიმოვიჩი^{უკრძინსკი} დასაუფრთხილებოდ ხელი მუხლზე, — ძალზე აღზნებული ხართ, ძალზე თავზარდაცემული. ვინს უნდა მოეგოთ, სხვა რამეზე უნდა იფიქროთ, ცოტა დაისვენეთ, რათა ფიზიკური თვალთ შეხედოთ ყველაფერს... გირჩევთ, შევბუღება აიღეთ და სანატორიუმში წაბრძანდეთ, საგზურს მე მოგახერხებთ.

— სანატორიუმში?... — ჩაიდრუტუნა არკადი კირილოვიჩმა, — კაცი ჭკუიდან გადავდი და სანატორიუმში მგზავნით. ბარემ საგიჟეთში მიმიჩინეთ ბინა. ევგენი მაქსიმოვიჩი მოიქუფრა.

— რა გაეწყობა... დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი. თქვენ უკვე ბერი ხართ, არკადი კირილოვიჩი. ჭერჯერობით ეს მტრობა აქ მყოფებისადმი მიმართული. ესაა ემილია ვიქტოროვნა, რომელთანაც მშვენიერი ურთიერთობა გქონდათ დიდი ხნის მანძილზე; ივან რობერტოვიჩი — თქვენთვის ცუდი რომ არაფერი გაუკეთებია; ავგუსტა ფეოდოროვნა — ვისთანაც მთელი ცხოვრება გაგიტარებიათ. ჩვენ პედაგოგებად არ ვვთვლით, ჰუმანისტები კი არა, ბავშვების გონების დამმახინჩებელი ვილაც ბოროტმოქმედები გგონივართ. დღეს ამას ჩვენ გვეუბნებით, ხვალ მთელ კოლექტივს ეტყვიან და ამით მტრებს გაიმრავლებთ. უფრო მეტიც, ვილაც-ვილაცები მოგემხრობიან ალბათ, ეს კი სკოლაში განხეთქილებას, უთანხმოებას ჩამოაგდებს, ერთმანეთის მტრობას გააღვივებს.

— აბა, როგორ გინდათ ხალხი დავარწმუნო და მხარდამჭერთა იმედი არ ვაქონიო?

— მინდა სკოლა ნორმალურად მუშაობდეს და შინა ომი არ იყოს გაჩაღებული.

— უბედურებაც ისაა, რომ სკოლა უკვე არანორმალურად მუშაობს.

— ეს მარტო თქვენ გეჩვენებათ, ჯერ მარტო თქვენ ვეჩვენებათ!

— თქვენ კი ელოდებით, ვინემ ეს ამბავი საქვეყნოდ გახმაურდება! მერე ვინაღა იქნება თავში ცემა!

— ძალზე თვითდაჯერებული ყოფილხართ! მხოლოდ თქვენი თავი გგონიათ შორსმჭვრეტელი, დანარჩენებს ყველას ბრძებად გვრაცხავთ.

— შორსმჭვრეტელი ვარ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ისე კი მოხდა, რომ ეს საშიშროება მხოლოდ მე შევამჩნიე. ახლა რა ვქნა, ყალბი მოკრძალება გამოვიჩინო — სხვებისაგან არ გამოვიჩინე-მეთქი, და თვალები დავიბრმავეო?

დირექტორს ზიზღით დაეღრიცა მრგვალი სახე.

— იცით, რას გეტყვით, — თქვა გადაჭრით, — სკოლას არ შეუძლია თავს იდოს ნიკოლაი კორიაკინის დანაშაულა. ეს ჩვენთვის თვითმკვლელობა იქნება, თქვენ კი ეს გნებავთ და ამიტომ თავი უნდა დავიცვათ თქვენგან, არ გეგონოთ, ძალიან გაგვიჭირდეს თავდაცვა. მასწავლებელთა უმრავლესობა არ მოიხურვებს თავისი სკოლის სახელის შელახვას. მაგათ მშვიდი, უაურზაურო მუშაობა ურჩევნიათ. ნუთუ თქვენ გგონიათ, ასე იოლად შეელევინ წარსულს და დაკუდმობგლეჯილნი დაგედევნებიან უკან? აბა თვითონ განსაჯეთ!

არკადი კირილოვიჩი წამით ჩაფიქრდა და დათანხმდა:

— მგონი, მართალი ბრძანდებით... აქ თუ არ გამიგეს... ძველმა მეგობრებმა.. სხვები როგორღა გამიგებენ?

— და მიუხედავად ამისა, მაინც თქვენსას არ იშლით?

— მოსწავლეებს დიდი საშიშროება ელით. ეს ვინცოდნენ? — გავჩუმდეთ?..

— მაშინ ხომ არ აჯობებს ახლავე წახვიდეთ სკოლიდან? მიღწევით ვერაფერს მიაღწევთ, ადრე თუ გვიან მაინც ასე დამთავრდება საქმე.

— ასეთი მორჩილება რით სჯობია ძველს?

— მაინც რისი იმედი გაქვთ?

— იმისა, რომ წვეთწვეთობით წყალიც კი ხვრეტს ქვას. ამას გარდა, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად სკოლის გარეთ დავიწყებ მოკავშირეთა ძებნას.

დირექტორს მწარედ გაეღიმა.

— ეს კი ნამდვილად გამოგივათ ამის პირობას გაძლევთ. თქვენ არ აუფიქრებთ, ადრე საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად თავს რომ იკლავდით — ჩვენი სკოლა ფასდაუდებელ, დიდ საქმეს აკეთებს! ქალაქის განათლების განყოფილებას ჩვენი მოღვაწეობა მუდამ სამაგალითოდ მიაჩნდა. სემინარებსა და კონფერენციებზე აღფრთოვანებით იხილავდნენ ჩვენს საქმეებს. გაზეთები ჩვენი ქებით იყო სავაჟე, ახლა კი გინდათ უკუღმა ვუქციოთ პირი ყველაფერს, საქვეყნოდ განვაცხადოთ — მაშინ მიაძიებები და სულელები ვიყავითო... არკადი კირილოვიჩი, გულუბრყვილოდ ნუ იქცევით.

— თქვენ, მგონი, უკვე მოგხსინჯავთ ნიადაგი, — დაინტერესდა არკადი კირილოვიჩი.

— დიახ, — უბრალოდ გამოტყდა ევგენი მაქსიმოვიჩი. — არსად არ ფიქრობენ, რომ ნიკოლაი კორიაკინის დაწინაშაული პირდაპირ თუ არაპირდაპირ სკოლას ეხება. ისე, რომ, არაფერი გამოგივათ, ქუჩაშიც რომ გახვიდეთ და ვამულელთა მიმხრობა მოინდომოთ.

არკადი კირილოვიჩმა ხელისგულები მუხლებს დააყრდნო, დამძიმებული თავი დახარა და დიდხანს უძრავად დასჩერებოდა იატაკს. ახლა ყველანი თანაგრძნობით შესცქეროდნენ, — ჯერ კიდევ აღშფოთებული ემილია ვაქტოროვნაც, მუდამ აულელვებელი ივან რობერტოვიჩიც.

— კეთილი, — წელში გაიმართა არკადი კირილოვიჩი. — მგონი, მაინც ვიპოვი საჩემო ტრიბუნას.

ევგენი მაქსიმოვიჩმა ვულგარილად აიჩეხა მხრები. ყველანი აიშალნენ. „მძლავრთა დასის“ ვიწრო თათბირი დამთავრდა.

იგი ხშირად მიაცილებდა ხოლმე ავგუსტა ფეოდოროვნას შინამდე. ახლაც გვერდით მიჰყვებოდა, ფრთხილად ეჭირა ქალის მჩატე იდაყვი და ქუჩაში ალთაბალთა მოარულთ არიდებდა მოხუცს.

ავგუსტა ფეოდოროვნა ჩვეული საყვედურის კილოთი ლაპარაკობდა, მაგრამ ხმაში უჩვეულო შემფოთება და წუხილი უქდერდა:

— ვერ არის ადამიანი სრულყოფილი... რამდენი ათასი წელია მოთქვამენ ამაზე, არკაშა, რამდენი სისხლი დაიდვარა ამ სრულყოფისათვის!.. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, გადაიჭრა კია ეს ამოცანა? ვინ იცის, იქნებ ტყუილად ვნაყავთ წყალს და ესეც წრის, ოღონდ ზნეობრივი წრის კვადრატურაა?

— შენ გინდა მითხრა, საცა არა სჯობს, ვაცლა სჯობსო?

— მთლად ვგრე არა, ჩემი არკაშა, პედაგოგმა უნდა სრულჰყოს, მისდა-

მი მინდობილი ადამიანები, კოლია იქნება ეს, სლაჟკა, სონია თუ ვანია, და არა საერთოდ ყველანი ერთად, არა ვილაც ზოგადი, აბსტრაქტული ადამიანი.

— მე რაღას ვაკეთებ? განა სლაჟა კუშელევისათვის, სონია პოტუხინასათვის არ ვიკლავ თავს? განა მათი გადარჩენა არ მინდა? თუ ზოგადი, უმისამართოა ჩემი განგაში?

— ვიცი, გენაცვალე, სონიასათვის, სლაჟასათვის იკლავ თავს, ისეთი რაღაც გინდა მოძებნო. რაც სონიას, სლაჟას, ყოველ ახლობელს თუ შორებელს გადარჩენს, დაიცავს უზნეო საქციელისაგან. ყოველისგანმკურნავი წამლის შექმნა გასურს! სწორედ ის გინდა მოძებნო, რაც ოდითგან ვერ უპოვიათ წინასწარნეტყველებს.

— ამ წუთისოფელს ყველა შემთხვევისათვის ერთადერთი წამალი აქვს, ავგუსტა, კი არ განუდგე, ზურგი კი არ აქციო, არამედ გაითვალისწინო გამოცდილება. გამოცდილებაა მთავარი, სხვა წამალი არ არსებობს. კოლია კორიანინის მიერ დაღვრილ სისხლს, მის საშინელ საქციელს, უბედურებას, რომლის აღკვეთაც ჩვენ ვერ შევძელით. ერთადერთი გამართლება შეიძლება ექნეს — სხეისათვის უნდა გახდეს გაკვეთილი. სონიამაც და სლაჟამაც, ახლობლებმაც და შორებლებმაც უნდა იცოდნენ ეს. შენ კი, ავგუსტა, გინდა რაც შეიძლება მალე დაფიფიწყოთ ეს მწარე გაკვეთილი და ისევ ასეთები დავრჩეთ, ანუ, ისევ გაფიფიწოროთ, რაც მოხდა. მაშინ შენ სონიას, სლაჟას და ყველა დანარჩენის მტერი ყოფილხარ.

— ჰე-ჰე! გამოცდილება რომ შევლოდეს ადამიანს, მაშინ დიდი ხანია ომები აღარ იქნებოდა. ყოველი ომი დანთხეული სისხლის ნიაღვრებია, აღმაშფოთებელი უბედურებაა. ომებს, ჩემო არკაშა, ომები ენაცვლებოდა, მაგრამ ამ გამოცდილებამ ვაი რომ ვერავის ასწავლა ჭკუა. რა გულუბრყვილო ხარ! შენ გინდა ამ სისხლის გუბებით გააკეთილშობილო მომავალი. გამოცდილებაო... წინდაწინ ვიცი, ეს გამოცდილება რა შედეგს გამოიღებს — ხალხს გაახსენებ დაღვრილ სისხლს, დააფიქრებ, ააფორიაქებ და სკოლაშიც აირევ-დაირევა ყველაფერი. დიახ, ჩემო არკაშა, დიახ, იმ დაღვრილ სისხლს ყველა ოვის ჭკუაზე დაუწყებს შეფასებას: ზოგი საშინელებად ჩათვლის, ზოგი — საბარათლიანად, ზოგი — მკვლელად შერაცხავს, ზოგი — გმირად, ზოგი აღშფოთდება, ზოგი — უთანაგრძნობს. გამოცდილება გვასწავლის: სადაც შფოთი და ხსუნია, სადაც ჭკუე-გონება დაბნელებულია, იქ ხალხი ერთმანეთს დაერევა, ერთმანეთის მტერი გახდება.

— მაგრამ თანხმობის მისაღებად, ავგუსტა, არის კია სხვა გზა, თუ მეცდლობა არ გამოირკვა. კი, მჭერა, ამ გამორკვევამ შფოთიც შეიძლება მოახდინოს, უქიდურესი დაძაბულობაც შექმნას. მაგრამ თუ არ გავბედეთ, არაფერი არ გამოგვივა, ეს ერთმანეთისაგან დამალვას ნიშნავს. მაშინ ურთიერთგაგებაზე საერთოდ ოცნებაც კი ზედმეტია.

— ურთიერთგაგებაო... ვაჰ-ვაჰ-ვაჰ! სწორედ ესაა წრის დაწყევლილი კვადრატურა. ათასმა წლებმა დააქტიცა — ამოხსნა შეუძლებელია. მაგრამ არა! გამოტყვრება კიდევ ერთი მიამიტი და შეაყარე კედელს ცერცვი — მაინც ჩეტად ამტკიცებს თავისას!

— იყოს თუ გინდაც წრის კვადრატურა. ვითომ ამ დაწყევლილმა ამოცანამ არ წასწია წინ გეომეტრია?

ავგუსტა ფეოდოროვნამ უიმედოდ ჩაიქნია ხელი და გაჩუმდა.

იწყებოდა სალამოს პიკის საათი. ვუგუნითა და მოტორების თუხთუხით მოძრაობდა ქუჩა. მირახრახებდნენ ბრტყელდინგა თვითმცლელები, გეება ცხოველების მსგავს ავტომწეებს გულგასახეთქად აეშვირათ ისრები, მიგრიალებდნენ სახლის კედლებით დატვირთული ავტომზიდები, მასწავლებლებს ფერად-ფერადი მსუბუქი მანქანები; უშველებელ ლაბადებში ჩაფლული მოტორციკლისტები, ცხვირწინ აბზრიალებულ ბორბლებსა და უკნიდან მოწოლილ რადიოატორებს შორის მარჯვედ დაძვრებოდნენ; ფეხით მოსიარულენი სახლების კედლებს აპკვროდნენ...

ეს იყო წინააღმდეგობებით დატანჯული, მოსვენებადაკარგული, თანხმობას მონატრული და მისივე უარყოფელი კაცობრიობის ყოველდღიური აღლუმი. ჩვეულებისამებრ რომ მიისწრაფვოდა სადღაც, შორს შეუცნობელი სივრცისაკენ...

სკოლიდან დაბრუნებულ სონიას დედა აფორიაქებული დაუხვდა. მილიციის სამმართველოდან დაერეკათ: კოლია სონიასთან შეხვედრას ითხოვსო, ნუ ბართვა უკვე არის, აქ და აქ უნდა მივიდეს და ამას და ამას უნდა მიმართოსო, მაგრამ სად და ვის, დედას არეოდა და გადავიწყებოდა...

კოლიას გაახსენდა, კოლიას დასკირდა სონია!

ეს ბოლო წლები სონია ნიადაგ ერთი ფიქრით იღვიძებდა — კოლია მელოდება, ჩემი ნახვა უნდა, რაღაცით რომ გამახაროსო. კოლია, ვისაც ოდესღაც ყველა ერიდებოდა, ვინც ყველას ეცოდებოდა, ვისზედაც ხელი ჰქონდათ ჩაქნეული, ახლა სულ შეიცვალა, იმიტომ რომ სონია ედგა გვერდით, იმიტომ რომ სონიასთვის უნდა მოეწონებინა თავი. გოგო გრძნობდა, როგორ იცვლებოდა ბიჭი. მასში ქრებოდა ცუდი და ავი, ღვივდებოდა კარგი. ეს სონიას ფარულ სიამაყეს გვრიდა. არავის, არავის არ უმელავნებდა ამას, დედასაც კი. თურმე სონიას სხვებზე მეტი რაღაც შეძლებია. ცხოვრობს თავისთვის წყნარად ერთი გოგონა, სხვა გოგონებისაგან არაფრით არ გამოირჩევა, მაგრამ მისდათავად სჩადის გმირობას — სრულიად ცვლის ადამიანს, ალამაზებსა და თვითონაც ტკბება ამით. და თუმცა ბევრს, ძალზე ბევრს ფიქრობდა კოლიაზე, მხოლოდ კოლიას დასტრიალებდა მისი ფიქრი, მაინც ხეირიანად ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავა; აიტყუვებით ამას ვერავის აუხსნიდა, უბრალოდ, ცხოვრობდა და ხარობდა, თავისი ბედნიერებით ხარობდა.

ზოგჯერ თითქოს უმიზეზო შიში დარევდა ხელს, ეჭვი შემოეგზნებოდა, ვაითუ რაღაც მოხდეს, ვაითუ კოლიამ ჩემზე გული აიყაროსო...

და შა, მოხდა ეს რაღაც, კოლიამ მოხდა სულ სხვა რამ... მაგრამ თურმე ახლაც სჭირდება იგი კოლიას, ახლაც ახსოვს და უხმობს იმ ცხრაკლიტულიდან!

კოლიამ ვერ არც იცის, რომ სონიას ახლა უფრო უყვარს, არ ეშინია, არაფერში არ ამტყუნებს. პირიქით, ამაყობს კიდევ მისით!

მარტო სონია კი არა, თანაკლასელთა უმრავლესობაც ასე ფიქრობს — სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, თუ უნდოდა ეცოცხლაო.

ნეტა კოლია თუ ხვდება ამას?

მიხვდება! სონია უამბობს ყველაფერს, თვალს აუხელს, დაასაუბრებს იმას.

რასაც ცხრაკლიტულიდან ვერ დაინახავს კაცა. ვამაყოფ შენითაო, ეტყვის და აიძულებს თვითონაც იამაყოფს საკუთარი თავით!

ახლა კოლია გაიგებს, თუ რა ერთგული ამხანაგი ჰყავს ამ დიდი უბედურების უამსაც, სამარემდე ერთგული ამხანაგი, ვერაფრითარი ძალა ვერ დააშორებს მათ, ვერაფერი ვერ შეაშინებს, ვერ შეაჩერებს სონიას.

ახლა სხვებსაც კი სჯერათ სონიას ძლიერებისა. ისიც დიდი უბედურებაა. სონიამ მიატოვა შეშფოთებული დედა და შინიდან გავარდა. უნდა გაეგო, სად და ვისთან მისულიყო, გაეგლო ცხრაკლიტული, შეეღწია იმ კედლებში, გაეგონა მისი ხმა, გაემხილა ეს დიდზე დიდი ამბავი!

შეხვედრები სულ ცოტა ხნის წინ, მათ ხანმოკლე ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო წუთები იყო... შეხვედრები, რაზედაც ნებართვა არავისათვის არ უთხოვიათ.

ცარიელ, გამოციებულ ოთახში ვიწრო მაგიდასთან სონია დიდხანს ელოდა. მერე ფეხის ხმა გაისმა და თვალებზე ჭედრამოფარებულმა, მოღუშულმა სერჟანტმა კოლია შემოაყვანა.

სონიას სული შეეგუბა, ლამის ველარ იცნო ბიჭის დამდნარი, დაღეული სახე, გატანჯული, მავედრებელი თვალები. გოგო მას გმირად თვლიდა. რატომღაც ეგონა, ამაყი, ტანჯული, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული და გულჩახვეული იქნებოდა კოლია. სულ მთლად გადააფიწყდა ის განადგურებული, ლამის ჭკუაზე შეშლილი კოლია, იმ შუალამეს მთვარეულივით რომ მიადგა მათ კარს. ახლა კი ჰედავდა ნაწამებ, ნატანჯ სახეს, უოქმელ მუდარას, გული დაუსერა სიბრალულმა, ზარი დასცა იმის შეგრძნებამ, რომ არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლება...

თითქოს ბიჭიც დაიბნა, თვინიერი, მოყვარული, მუდამ მშიშარა სონიას მაგივრად, როგორსაც მუდამ იცნობდა, მის წინ ნიკაპწაწვეტიებული, სიმივით დაჭიმული, გამომწვევი, მწვანედ თვალაკვესებული, თითქოს გამაღლებულა გოგო რომ დაინახა.

იმ ხშირი შეხვედრების დროს, იმ წარმოუდგენლად მშვენიერ წარსულში ერთმანეთის აღერსს ვერ მიეჩვივნენ, ვერ ისწავლეს, ახლაც არ ჩაკონებიან, მხოლოდ მიუახლოვდნენ ერთიმეორეს, ხელები ჩაჰკიდეს, გადაასკვნეს თითები. გოგო ანთებული თვალებით მისჩერებოდა, ბიჭს ნიკაპი უცახცახებდა. ასევე ხელჩაკიდებული ჩამოსხდნენ სკამზე, ერთმანეთს უცქერდნენ, ღუმდნენ, სუნთქავდნენ.

— კო-ლია, — სონიამ სძლია თავს, სიჩუმე დაარღვია, — შენი რომ მჭერა, ისე არავისი არ მჭერა.

ბიჭმა გაწამებით გაიხედა გვერდზე, ნაძალადევად, გაჭირვებით ამოღერლა:

— ეს არ არის საჭირო, სონია.

— რა არ არის საჭირო? — გაიოცა გოგომ.

— ნუ შეტყვი ასეთ რამეს.

სონიას ენა ჩაუვარდა. ვერაფერი უბასუხა.

— ყველას უნდა ვეჭავრებოდე, ყველას უნდა ვიუღდე.

— კოლია! შენ?! შენ უნდა სძულდე?

— მევე მძულს ჩემი თავი, სონია, — წყნარად, უგულოდ ჩაილაპარაკა.

ახლა კი გონს მოეგო სონია, აღმფოთდა.

— როგორ ბედავ! შენს თავზე როგორ ამბობ ამას?! დედა რომ გადაარჩინე, იმიტომ?! ცოფიანს რომ აღუდექი წინ და არ შეშინდი, იმიტომ?! ამისათვის გძულს თავი?

კოლია მორჩილად, უგულოდ უსმენდა.

— შენ არაფერი იცი, — ამოღერლა.

— რათ?! მე არ ვიცი! ყველამ იცის და მე არა?!

— შენ მონაყოლით იცი, ნახვით არ გინახავს, შენ იქ არ შეგიშვეს, იქ კი... — მთელი სხეულით შეძაგდა და დაამთავრა: — სისხლში... თავპირით სისხლში...

მისმა ბლუკუნმა კი არა ამ ზიზღიანმა შეძაგდავებამ დაარწმუნა გოგო, რომ ბიჭს თავისი თავი სძაგდა, ისე სძაგდა, როგორც სხვის სხეულზე გამოყრილი ბალღამიანი მუწუკები სძაგთ. დარწმუნდა და აფორიაქდა.

— კოლია, გონს მოდი! ის ჯალათი იყო! შენ ადამიანი არ მოგიკლავს, ჯალათი მოკალი, კოლია!

— ჯალათი მე ვარ, სონია, — ხმამაღლა, დაბეჭითებით თქვა ბიჭმა, კვლავ აარიდა მზერა.

— დაგავიწყდა? ყველაფერი დაგავიწყდა? როგორ შეიძლება ყველაფრის დავიწყება! აბა გაიხსენე! გაიხსენე, ჯერ სულ პატარას, ხალხისა რომ გრცხვენოდა! მის გამო გრცხვენოდა! ახლა?.. ახლა საკუთარი თავისა გრცხვენია! ახლა ის უცებ კარგ კაცად იქცა, შენ კი ცუდად! კო-ლია! რატომ?

— ახლა მე იმაზე უარესი ვარ, არც შევადარებ...

— ოდესმე მაინც ყოფილა სამართლიანი? კეთილი?.. არასოდეს!.. საშინელება დაატრიალე, კი საშინელება! მაგრამ სამართლიანი საქმე ჰქენი! სასიკეთოდ გააკეთე ეს, კოლია! დედის გადასარჩენად ჩაიღინე ეს! უნდა იამაყო, რომ მხეცს... დიახ. საშიშ მხეცს სძლიე.

კოლიამ ისევ თავაუღებლივ ჩაილაპარაკა:

— ის ადამიანი იყო, სონია, მხეცი კი არა.

— მხეცი იყო, მხეცი! თავს ნუ იტყუებ.

— არც სულმთლად ცუდი იყო, სონია.

— როგორ თუ სულმთლად არა?!

— სულ მთლად ცუდი ადამიანები არ არსებობენ ქვეყანაზე, მხოლოდ ახლა მიეხვედი ამას.

— ცუდები არ არსებობენო?.. რას ამბობ, რას?

ბიჭს ისევ დაედრიცა სახე.

— შენ სხვა რაშეს ამბობ...

— მაშ ცუდი ადამიანები არ არიან?..

— არიან და ბევრიც, მაგრამ სულმთლად ცუდები — არა. მამაჩემს მე ვუყვარდი, სონია, ვუყვარდი...

— უყვარდი და სიცოცხლეს გიმწარებდა?!

კოლიამ თითქოს ჩათვლიძმო, კარგა ხანს არაფერი უპასუხა. სონია გამარჯვებულვით შესცქეროდა. აბა, დუმს, პასუხს ვერ აძლევს, კიდევ ცოტა და გამარჯვება მას დარჩება!..

ბიჭი შეტოკდა და განწირულად ამოიოხრა:

— ასე ხდება ხოლმე.

— რა ხდება?



ეროვნული

ბეჭდვითი

— უყვარს და მაინც სიცოცხლეს უმწარებს. ალბათ ხშირადაც ხდება.

— სისულელეა! — თითქმის რისხვით ამოიძახა სონიამ.

ახლა ბიჭს საერთოდ აღარც უბასუხნია. თავჩაქინდრული იჯდა, საკუთარ ფეხებს დასჩერებოდა. სონიას უკვე აღარ ახარებდა, პარიქით, აშინებდა, შეურაცხყოფას აყენებდა მისი დუმილი — აღარ ეწინააღმდეგებდა, ისმინებდა, რომ სისულელე წამოსცდა. სონიამ ძლივს შეიკავა წყენა, ხმის კანკალებს შეეკავა.

— მთელი კლასი გაიძახის — სწორად მოიქცაო. ვერც ერთი ვერ ბედავს შენ წინააღმდეგ კრინტის დაძვრას, ყველაფერი ესმით, შენ კი... რას ამბობ! მტყუანი ვარო! რატომ?!

— იმიტომ, რომ ისინი სულელები არიან, სონია, მეც მაგათნაირი ვიყავი.

— კი, მე სულელი ვარ, მაგრამ სლავკა კუშელევიც ხომ შენს მხარეზეა? ისიც სულელია?

— სლავამ მათემატიკა იცის და ფიზიკა... მე მანამდეც მაგაზე მეტი ვიცოდი. მამაჩემმა ბევრი რამ მასწავლა.

— კარგი, იყოს სლავკა კუშელევი სულელი. ყველანიც სულელები ვართ. იქნებ მემატიანენიც სულელები არიან, წარსულში სულ ასე იყო, სიმართლისათვის ჰკლავდნენ! იმათ ახლა გმირებად თვლიან. მაშ ისტორიას არ ვენდოთ და შენ დაგიჯეროც? სასაცილოა, კოლია! სწორად მოიქეცი და უნდა იამაყო კიდევ შენი საქციელით, გესმის — უნდა იამაყო!

კოლიამ თავი ასწია. ახამხამებული თვალებით სონია ისე უცნაურად შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. სიმივით დაჭიმულმა, მხრებაწეულმა, ნიკაპწაწვეტებულმა გოგომ თვალდაუხამხამებლად გაუძლო მის მხერას.

— აი, თურმე როგორი ყოფილხარ... — გაიკვირვა ბიჭმა.

— ცუდი? შენ გიცავ და იმიტომ?!

— არა, შენ კარგი ხარ, კეთილი...

— მჯერა, მჯერა შენი! შენ ისე არ გჯერა საკუთარი თავის, როგორც მე შენი...

— შენზე პატიოსანი არავინ შეგულება. მუდამ ასეთ წმინდას გხედავდი და მუდამ... იცი, ფარულად მუდამ შენი ცქერით ვტკბებოდი. გიცქეროდი და ვერა და ვერ ვძლებოდი... ახლა კი მკვლელობას უჭერ მხარს! ეს შენა ხარ, სონია?!

აქამდე კოლია რაღაც მოღვენთილივით იყო, თავის ფიქრებში წასული, შორეული. ახლა პირველად დაეტყო ხმაზე, რარიგ იტანჯებოდა. ეს იყო უძლური, უიმედო ტანჯვა ადრინდელ სონიაზე, რომელიც აღარ არსებობს — მოკვდა, მახსოვრობასლა შემორჩა მისი კვალი. მის გვერდით ახლა სხვა, უცხო, შორეული გოგო იჯდა.

სონია შეძრწუნდა, იყვირა:

— არა! არა! არ დაგეთანხმები! ვერ მოესწრები ამას! უნდა გადაგარჩინო, უნდა! შენი თავისაგან უნდა გიხსნა! მტერი ხარ საკუთარი თავის, მტერი! ბიჭი გულგრილად დაეთანხმა:

— მტერი ვარ, აბა რა...

— ოოპ! მაშ, მეც მტერი ვარ შენი! რადგან ფეხებზე გკიდია საკუთარი თავი! მტერი ვარ! მტერი! არ გეგონოს, შევურიგდე ამ ამბავს, მოკალი და ახია ისაზე! უნდა მოგეკლა, აბა არა?! ვაი, რომ შორს ვიყავი და ვერ მოგეხმარე!

ბიჭს კვლავ ზიზღით შეაძაგდა.

— რა საშინელებაა!

გოგო უკვე თავს ველარ სძლევდა, გულისთქმას აპყვავ, გრძობდა, საჩა-
რელ, უღმობელ სიტყვებს ამბობდა, მაგრამ გაჩერება არ შეეძლო.

— საშინელებაა, რა თქმა უნდა! იძულებული გახდი, რომ
მოგეკლა! არ გინდოდა, მაგრამ იძულებული გახდი! მერე კი შეშინდი, მოეშვი,
დაეკვდი, ტყუილა მოვკალიო. ესაა სწორედ საშინელი! მე კი შენთან გამოვრ-
ბოდი, სიცოცხლის დამცველია-მეთქი. სიცოცხლეს სიკვდილით იცავს-მეთქი,
მეგონა! მინდოდა მეთქვა, გვერდით ამოვიდგები, არასოდეს მიგატოვებ-მეთ-
ქი! მოვედი და რა ვნახე? საშინელია!

გოგოს ამ სიტყვებზე კოლია გვერდზე გაიწია, მაგიდას დაეყრდნო, თავის
შეკავება სცადა, ვერ მოახერხა — ჩამოჯდა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— გამშორდი!

— შენ? შენ გინდა გამაგდო?

— გამშორდი, სონია!

გოგო წამოიჭრა. ჯერ კიდევ გაცეცხლებული იყო, ვერ მოესწრო ყველაფ-
რის გადმონთხევა.

ბიჭი მოხრილი იჯდა, კოსროზე აჩეჩილი თმა უჩანდა. ვით ქვიშაში წყალი,
ისე გაქრა სონიას სიბრაზე.

— კოლია!

ბიჭმა ხმა არ გასცა.

სონია ერთხანს იდგა, ელოდა, თავს ასწევსო, მერე ეწყინა, იუკადრისა—
მე მზადა ვარ მისთვის თავი ვავწირო, ეს კი ბედავს და აქედან მაგდებს! რო-
გორ ბედავს! ველაპარაკები, ხმას არა მცემს! გოგო ჯაჭურ შებრუნდა და კა-
რისკენ გასწია. კართან წამით შეეკოვნდა, იქნებ გონს მოვიდესო. ბიჭს კრინტი
არ დაუძრავს. სონიამ კარს ხელი ჰკრა და გავიდა.

12

დედა! დედა!... სულაც არაა გასაკვარი, დედამ რომ ვერ გაუგო, ოთხ კე-
დელშუა გამომწყვდელი დედა დღემუდამ შაშით იყო შეპყრობილი. სონია კი
კოლიაზე ადრე ხვდებოდა ხოლმე ყველაფერს. ბიჭი ჯერ გაფიქრებას ვერ ას-
წრებდა, გოგოს უკვე მზად ჰქონდა პასუხი— ასეა და გიკვირდესო! სხვა რამ კი
არა — საკუთარი თავისა გიკვირდესო.

გამშორდიო, უთხრა... და ისიც წავიდა. მდინარე კრაპივნიცას ცისფერი
კალიები... ნუთუ იყო ასეთი რამ?...

გამშორდიო... გააგდო გოგო.

დედა! დედა! შენ ვერ ხვდებოდი, რომ ქვეყნად შეიძლება ყოფილიყო
ცისფერი კალიები, რომ გაგეგონა კიდევც, ზღაპარიო, იტყოდო. სონიას კი დედ-
მამისაგან შორს, მოფარფატე კალიათა სამყაროში მივეყავდი...

როდის აქეთ გახდა ასე უგრძობელი სონია?

გაპყვიროდი, ერთად შევიძულოთო! მე კი ამ სიძულვილმა დამდალა! ან
ეს მთლად საზარელი რა წამოგცდა: ვაი, რომ შორს ვიყავი და ვერ მოგეხმარეო!
გამშორდიო...

ირველივე აღარავინაა, სულ არავინ, არც არავის ელის, არც სურვილი აქვს არაფრისა — სიცარიელეა! რასთვისღა ცხოვრობს, რასთვისღა გაჩნდა ამ ქვეყანაზე, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს საშინელება ჩაედინა? ვის სჭირდებოდა! ამას არავისთვის შეება არ მოუგვრია, ვნებრივ ვველას ავნო! სონიასაც კი! საოცარია, სონია რომ ვერ ხვდება ამას, ვერ ხვდება სულ მარტაც რამეს.

სჯობდა სულაც არ გაეცნო სონია, სჯობდა სულაც არ ეხილა ის ცისფერი კალიები. გამშორდიო! — მამინ ველარ ეტყოდა ასეთ სიტყვას. სონია რომ არ ყოფილიყო, ალბათ ისე აღარ დატანჯავდა მამის საქციელა, არც თოფის ხელში აღებას გადაწყვეტდა. რისთვისღა იქნებოდა ეს საქირო, თუკი არავისთვის არ მოუნდებოდა დამტკიცება: ლამაზი მინდა ვიყო, ლამაზად მინდა ვიცხოვროო?

სონიას იადონის ამბავიც კი არ გაუმხილა, არა, კი არ დავიწყნია, ისე ვერ უთხრა — გაუკვირდებოდა გოგოს, გიყად ჩათყლიდა, — რა დროს იადონიაო. არც ის ცისფერი კალიები გახსენებიათ. ვის რად სჭირდებოდა ესეც?

აი, მამა რომ მოსულიყო მასთან... იმას კი უეჭველად გაახსენდებოდა იადონი, რა იოლი იქნებოდა მამასთან საუბარი.

საოცარი კია, მაგრამ მამა-შვილს მთელი სიცოცხლის მანძილზე რიგიანად ერთხელაც არ ულაპარაკებიათ. ძუნწად გადაუგდებდნენ ხოლმე თითო-ოროლა სიტყვას ერთმანეთს, ანდა... ჩხუბობდნენ. არადა, რა იოლად შეიძლებოდა გამართულიყო ასეთი საუბარი: „მამი, გახსოვს, ახალი ნაწვიმარი იყო“, „წიწკანა ტყის ფრინველია, შვილო, ქალაქში ვერ ძლებს...“ და გაიმართებოდა გულთადი საუბარი ყველაზე მთავარზე.

კოლია უცებ დამშვიდდა. მთლად მარტოა? არა, არა, საკმარისია მოინატროს და მამა მოაკითხავს. გულს იჩერებენ საუბრით. ის გაუგებს, აპატიებს და არასოდეს რომ არ გაუხარიათ, ისე გაიხარებენ ერთად. რა კარგი იქნება...

სულიმოვმა მაგიდაზე გაშალა ქალაღლები. იფიქრა: ამ საღამოს ჩავუგდები, ან, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ამ საქმეს ბღღვირს ავადენო. ძიებისას იმდენი მოულოდნელი რამ ამოტივტივდა, თითქოს სულიმოვი კი არ წარნართავდა საქმეს, თვით საქმე მიაქანებდა, ეშმაკმა უწყას, საით. აგერ ილია პუხოვიც ამოატივტივა. მთლად თავგასული მომხვეჭელი არა, მაგრამ დამბალ ხეზე ამოსულ სოკოსავით გარშემო შხამის მთესველი. როცა წარმოიდგენ, რაც მოხდა, რა უბედურება დატრიალდა, მისი ზომიერი მომხვეჭელობა უკვე დიდ ბოროტებად გამოიყურება.

სულიმოვი ის-ის იყო ჩაუღრმავდა თავის ჩანაწერებს, რათა სიტყვასიტყვით აღედგინა წელანდელი ნალაპარაკევი. რომ ამ კირვეულმა საქმემ ერთი ოინი კიდევ გამოუტყვრინა.

ტელეფონმა დარეკა. საშსახურის დამთავრებისას უმეტესად მორიგი საგანგებო შემთხვევით შეშფოთებული უფროსები თუ დარეკავდნენ ხოლმე,

— სულიმოვი გისმენთ! — უპასუხა ისე, ვითომ არც ჩვენ ვსხედვართ გულხელდაკრეფილნიო.

ყურმილში კი უფროსის ჩაბოხებული ხმის ნაცვლად ქალის ალელვებულ კოლორატურაშერეული სოპრანო გაისმა:

— ძალიან დიდ ბოდიშს კი გიხდით ასე გვიანი შეწუხებისათვის, მაგრამ ეს-ესაა გავიგე, ჩემი ქმარი დაგიკითხავთ. პუხოვა გახლავართ, ლუღმილა მიხაილოვნა პუხოვა. ახლა უკვე გვიანია. იქნებ ხეალისათვის დაგენიშნათ დრო?

ხვალ დილით სულიმოვს უფროსებასათვის უნდა მოეხსენებინა ამ საქმის

მსვლელობაზე. მაგრამ ხმამ შეაეჭვა, აღელვება და მოუთმენლობა ეტყობოდა. ხვალამდე არ დაივალა, დღესვე დარეკა. აქ რაღაც ამბავი უნდა იყოსო, ალ-ლოთი იგრძნო სულიმოვმა. მაშინ კი ასე თუ ისე უკვე ჩამოყალიბებული სურათი, გაფუჭებული ტელევიზორის აციმციმებული ეკრანით, შეიძლება ისევ აირ-დაირიოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- საიდან რეკავთ? — შეეკითხა.
- შინიდან.
- რამდენ ხანს მოუხდებით აქამდე მოსვლას?
- ნახევარ საათს.
- აბა გელოდებით.

პუხოვა ზუსტად ნახევარ საათში მოვიდა.

სულიმოვის პატარა, ჩვეულებრივად მოწყობილ კაბინეტში ტანსრული ქალი შემოცურდა, სცენამიტოვებული მსახიობის მიმოხერხა ჰქონდა. ხავერდოვან წარბებზე საკუთარი ღირსების გრძობა და რალაცნაირი სიმტკიცე ეტყობოდა — რაც იყოს, იყოსო! (ამას იმწამსვე მიხვდა სულიმოვი) თვალში საცემი ქალია, — გაივლო გუნებაში და შეუხედავ, დონდლო პუხოვს შეაღარა.

მაგრამ ვიდრე ქალი ჩამოჯდებოდა, ვიდრე მღვლეარებას დაიოკებდა, სულიმოვს პირველი შთაბეჭდილება გაუქრა, ამ სწორნაკეთიან, ფეროვან სახეს სინატიფე აკლდა, ცოტა ვულგარულობაც კი დაჰკრავდა. დიდრონ, არაქალურ ბელებს, ეტყობოდა, თავის დროზე ნძიმე საქმე ეკეთებინა.

— აღარც კი ვიცი, საიდან დავიწყო, — ამოიოხრა, — ყველაფერი ისეა არეულ-დარეული.

— ჯერ მთავარი თქვათ. — ურჩია სულიმოვმა, — მერე კი როგორმე გამოვხსნით კვანძს.

— მთავარი სინდისია, — თქვა ქალმა, — ის მილრღნის სულს, სირცხვილს ვერსად დაემალები.

— რისა გრცხვენიათ?

— ანასი მრცხვენია, კორიაკინის ცოლისა. ბიჭისაც, ცხადია... მაგრამ ყველაზე მეტად ჩემივე თავისა...

— ამ სირცხვილს, მაპატიეთ, თქვენი ქმარიც იზიარებს?

პუხოვამ გულგრილად ჩაიქნია ხელი:

— იმას ვინ რას გაუგებს... ისე, არც იმას ადგას კარგი დღე. თუმცა თავის გასამართლებელი მაინცა აქვს — იმან კი არა, მე მოვაწყე ეს საქმე ასე.

სულიმოვმა გულგრილი, ზრდილობიანი კაცის იერი მიიღო და ისე ჩააკვირდა მთვარესავით გადაბადრულ პუხოვას. „თვალთმაქცობს? თუ ქმარს უნდა ააცილოს ხიფათი? ანდა, დალახვროს ეშმაკმა, იქნებ კიდევ ერთი მონანიე მაგდალინა გამომეცხადა?“ მაგრამ პუხოვას ქათქათა პირისახეს თვალთმაქცობის კვალი არ აჩნდა. ისევ ის წუბილი ეტყობოდა და წელანდელი ჭიუტი გადაწყვეტილება: რაც იყოს, იყოსო!

— თქვენ მოაწყვეთ? მაინც რა მოაწყვეთ?

პუხოვამ ღრმად ამოიოხრა. პასუხი დააყოვნა:

— აი, ისა...

— კორიაკინი რომ შეიღმა მოკლა, ეს ზომ არა?

— გამოდის, ესეც.

— მერედა, გგონიათ, ამას დაამტკიცებთ?

— რატომ მოკლეს რაფაილი? იმიტომ, რომ ცოლს ტანჯავდა. თავიდანვე არ უყვარდა, ძალიან არ უყვარდა. არადა, მე შევჩიჩე ხელში ანა, მე... შევაჩე და თვითონ კი დავიხსენი თავი!

— როგორ მოხდა ეს?

— როგორ? ეშმაკმა იმ თქვენი სოჭის ბარაკებიან დაბნეულ ვაჭრობაგდო. ვვაკუაციიდან ვბრუნდებოდით მე და დედა როსტოვში. სადგურ მაძლუტკაში დედაჩემი ტიფმა იმსხვერპლა, თხუთმეტი წელი არ შემსრულებოდა, ციკოსავით მარტო დავრჩი ამქვეყნად. ჭურჭლის მრეცხავად ვმუშაობდა, ტყეში ხეებს ვჭრიდი, კინალამ ოცდაათი წლით უფროს კაცს ავეკიდე ცოლად. აქ რომ შემოვხეტე, გვარიანი გამოცდილი გახლდით უკვე. იოლად ვერავინ დამიხვევდა თითზე. ჩემ გვერდით ერთ სოფლელ გოგოს ედგა საწოლი. უწყინარი გოგო იყო, მოკრძალებული, დასავით შევითვისე, კალთაზე მყავდა გამობმული...

პუხოვას, როგორც ქალებს სჩვევიათ, გული აუჩვილდა, შავი თვალები ცრემლმა დაუნამა, თეთრ შუბლზე კმუნვით შეყარა წარბები. სულიმოვი მოთმინებით ელოდა.

— მართალია, კარგა მაგრა მატურთავა წუთისოფელმა, მაგრამ ეტყობა, ვერ გამცვითა, მაინც გვარიანად გამოვიყურებოდი. თუმცა უკვე იმ ხნისა ვიყავი, როცა ცდა აღარ შეიძლება — სიჭორფის ეშხი უკვე მაკლდებოდა. ვინლა არ ამეკიდა. ყველაზე მეტად კი ილიამ და რაფაილმა ამომხადეს სული. კაი ხნის მეგობრები იყვნენ. ერთი მშვიდი იყო, მეორე — ხუშტურა, ერთი საქმიანი, მეორე — უქნარა. მაგრამ მაინც რალაცნაირად ამხანაგობდნენ. ვიდრე ჩემ გამო არ აიყარეს ერთმანეთზე გული.

— მერედა, რამ დააახლოვა ასეთი განსხვავებული ბუნების ხალხი?

— ცხადია, რამაც — ერთმანეთით ითბობდნენ ხელს. ომის შემდეგ ცხოვრების მოგვარება დაიწყო ყველამ. აშენებდნენ, არემონტებდნენ, მუშა კაცი ძვირად ფასობდა. რაფაილს დალოცვილი მარჯვენა ჰქონდა, ოლონდ ჰკუა არ უჭრიდა. ილიას ხელიდან არაფერი გამოუდიოდა, სამაგიეროდ თავი უფარგოდა. ჰოდა, გადაჯაჭვულნი იყვნენ ერთმანეთზე, ვიდრე მე არ ჩავდექი შუაში.


— მაგრამ მათი მეგობრობა თქვენ შემდეგაც რომ არ შეწყვეტილა?

— ეს უკვე აღარ იყო მეგობრობა, მე ვაკავშირებდი.

— რატომ ცდილობდით ასე?

— აი, სწორედ მაგაზე მინდა მოგახსენოთ. მისმინეთ. ერთი სიტყვით ორთავემ თვალი დამადგა, რაფაშკა ისეთი ვინმე იყო, ჯიქურ მოიწევდა. მე ვინ დამიდგება წინ, რასაც მინდა, იმას ვიქმო. მაგრამ მეც კაი აფთარი ვიყავი, მალე ჩამოვიცილე. ასეთი კაცები კი უცებ ჰკარგავენ წონასწორობას, მთლად ააფრინა. მემუქრებოდა, ჩემი უნდა გახდეთ, თუ სხვას გაპყვები, აცოდე, არც იმას ვაცოცხლებ და არც შენაო... — გადატკეცილი სახე პუხოვას პატარა გოგოსავით შეუფაკლდა, მერე მტკიცედ შეჰყარა წარბები. — რალა დაგიმალოთ და, არც მუდამ გაკრიალებული. თმაგადაგლესილი ილია პუხოვი მეხატა გულზე. უცნაური ის იყო, რომ ამისთანა წყნარმა და მშვიდმა კაცმა იმ ჩვენს თავზეხელაღებულ დაბაში მოიკიდა ფეხი. აყალმაყალი არ უყვარდა, მუშტი-კრივზე არ გადადიოდა. ჯიბით დანას არ ატარებდა, და მაინც რაფაილ კორიაკინისთანა თავზეხელაღებულები სმენაზე ჰყავდა... ჰოდა, გავიფიქრე — საიშედო ვინმეა-მეთქი... — პუხოვას წამით ისევ დაუმწუხრდა სახე, გასწორდა, ღრმად ამოიოხრა, — ეჰე, ბედია, აბა რა არის?! მაგრა ვყავდი ცხოვრებას ნაჯიჯგნი, სიმშვიდე მენატ-

რებოდა, მინდოდა დღევანდელი დღე ხვალინდელს ჰგვანებოდა, გულმშვიდად ვყოფილიყავი, წინასწარ მცოდნოდა, ავი რომ არაფერი მომეყოლა. რაფაილთან კა რისი იმედი უნდა მქონოდა, თბი გვექნებოდა დღემოდ: რომ მცოდნოდა, ვაჯობებდი, მაინც დამლოდა, ქანცს გამიწყვეტდა...



- პუხოვი აირჩიეთ. გასაგებია.
- სხვა საიმედო გვერდით არ მყავდა.
- მერედა, არ მოტყუვდით არჩევანში?

ეროვნული
ბიზნისითება

--- არ მოვტყუებულვარ, — რალაცნაირი სიმწრით უპასუხა პუხოვამ, ყველა დღე ისე ჰგავს ერთმანეთს, ველარც ვარჩევ.

— მაინც რატომ არ გაითიშენ პუხოვი და კორიაკინი?

— ველოდებოდით, ვგრძნობდით ყველა, ერთხელაც იქნებოდა სისხლი და იღვრებოდა. ილიაც ელოდა, მარწმუნებდა, გავიქცეთო, მაგრამ ის შლეგი ხომ უკან დაგვედევნებოდა?... პოდა, ავღეჭი და გადავწყვიტე, როგორც იქნა... არავისათვის არ გამიმხელია, ჩემი ფეხით მივაღეჭი რაფაილს. წინადლით ნაყლურწი იყო, სახე მოკამოდა, მგლის თვალებს მალავდა. „სათხოვნად მოხვედი?“ — მეკითხება. „მერედა, — ვეუბნები, — რა შეგიძლია რომ მომცე, რა გაქვს, რომ გთხოვო-მეთქი!“ „ხომ არ გინდა გაჩვენო?“ „მაჩვენე, თუ გგონია, რომ მაგისტრის შეგიყვარებ-მეთქი“. ვიცოდი, ვიცოდი, მოტყუებოდა, წუწკუნს მოჰყვებოდა. ასეც მოხდა, „ოღონდ შენ დამთანხმდი და შევიცვლები, სმას შეგეშვები“. „ეგრე უცებ რა შეგცვლის? დიდხანს მომიწევს ლოდინი, არადა, ვგავარ მე მომთმენ ქალს-მეთქი!“ მაშინ იყო სწორედ, რომ ვურჩიე: „არის ერთი ვინმე, სწორედ შენი სწორფერი. ხელადან არ გაუშვა, თორემ ლობის ძირას ამოგხდება სული-მეთქი!“

- ანას გულისხმობდით?
- პუხოვამ თავი ჩაქინდრა.
- დიახ.
- გაჩუმდნენ.

— ეს მართლა განგებ... თავის საშველად ჩაადინეთ? — ფრთხილად შეაპარა სულიმოვმა.

ქალმა გაფართოებული თვალები სულიმოვს მიაბყრო:

— მწამდა! მჯეროდა! კეთილ საქმეს ვიქმ-მეთქი, მეგონა. ანა უმცროს დასავით მიყვარდა. ჰკითხეთ და გეტყვით. ჩემს კალთას იყო ამოფარებული. შემწე და მფარველი არავინ ჰყავს, დაიღუბება, აგერ კა ყოჩალი ოქროსმარჯვენიანი ბიჭია, მის ანჩხლ ხასიათს ანა გაუძლებს, ცეცხლზე ნავთს არ დაასხამს-მეთქი, ვფიქრობდი. თუ გაძლება იყო, იმ ურჯუე რაფაშკასთან ანასთან თვინიერ გოგოზე უფრო სხვას ვის უნდა გაეძლო?! ასე მეგონა, ასე. არც მე მყავს ძეხორციელი ახლობელი, არც ანას და ასე მეგონა, მე და ილია, ანა და რაფაშკა ამ წუთისოფელს ერთად განვვლით-მეთქი. მაშინ რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი გადასახდელი იქნებოდა ყველაფერი. უკუღმა დატრიალდა ბედის ბორბალი. ისე, ყველაზე ადრე მაინც მე მივხვდი — უსაშველო რომ დატრიალდა. ანას ჯერ კიდევ ჰქონდა რალაცის იმედი, მე კი უკვე ვატყობდი, მწარე შეცდომა რომ მოხდა. ვატყობდი და სინდისი მქენჯნიდა! მთელი ჩემი ცხოვრება ამ ცოდვის გამოსუიდვას მოვანდომე. გგონიათ, ილიას ძალიან ეპიტნავებოდა კორიაკინთან დავიდარაბა! როგორ გეკადრებათ! ჯერ კიდევ ჩემს გაცნობამდე ფიქრობდა, როგორ მოეცილებინა „ძვირფასი“ რაფოჩკა თავიდან. სისულელეა.

რომ ამბობენ: რაფორჩას თავის ჭკუაზე დააჭენებდაო! ადრე თუ გვიან ცხენი კისერს წაგატეხინებს. ბოლო ხანს კი რაფორჩა მთლად გაცოფდა, მთლად აიწყვიტა ლაგამი.

— მაინც არ მესმის, რატომ არ მოიშორა ის კაცი თქვენმა შეუღლებმა, რატომ იტანდა იმდენ ხანს?

— ნუთუ ახლაც ვერ მიხვდით? მე არ ვახელებდი! იღიბა მას შემდეგ, როცა ის რომ ხელი ეკრა, მაშინვე ხრამში გადაიჩეხებოდა, სმამში ამოხდებოდა სული, ოჯახს ცარიელზე დასვამდა, ანას ჩამოსახრჩობად გაუხდებოდა საქმე. ილია დავარწმუნე, ეს რომ მოხდეს, მიგატოვებ-მეთქი. თვითონაც იცოდა, ამიტომ გვერდიდან არ იცილებდა. ასე იყო, ასე! მთლად ვინ გამოასწორებდა, მაგრამ ყურადღება მაინც არ აკლდა — სამსახურის დროს ყლაპვას ვერ ბედავდა; ნამეტანი ლოთი-შფოთი თანამეინახენიც ჩამოაცილა. პირადად ვადევნებდი თვალს, რომ რაფას ხელფასი მის ოჯახს მიეღო, არაფერი დაკლებოდათ, სხვაზე ცუდად არ ეცხოვრათ.

აი, თურმე რა ყოფილა! ეს ხომ არ დაუმალა წელან პუხოვმა? ალბათ ცოლის ჩათრევა არ უნდოდა, ან იქნებ იფიქრა: მაინც არავინ ირწმუნებს, რა მარტივი და სენტიმენტალური იყო ის მიზეზი, რამაც ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებული ეს ორი ადამიანი თითქმის მთელი ოცდაათი წელი დააკავშირა. სულიმოვს მაინც უჭირდა ამ მიზეზის დაჯერება. ალელვებისგან ავარდისფერებულ პუხოვას სახეზე არაგულწრფელობის, თვალთმაქცობის თუნდაც პატარა ნიშანს ეძებდა. ქალი კი შეურვებული იჭდა, მის საქციელს საეჭვო არაფერი ეჩნეოდა.

— ასე რომ, პუხოვისა და კორიაკინის კავშირის მიზეზი ის ყოფილა, რომ თქვენ ანას მევალედ თვლიდით თავს?

— მევალეო? — აიფოფრა პუხოვა, — ეს რა სიტყვა დაგცდათ... ვაჭრული სიტყვა აქ რა მოსატანია... რისი ვალი, რა ვალი! სიცოცხლე აღარ მინდოდა.

— ვითომ მართლა არ გინდოდათ, არ აქარბებთ?

— აბა წარმოიდგინეთ თავი ჩემს ადგილას, როგორ ვნატრობდი მშვიდ ცხოვრებას, ძალიან მშვიდს და აკი ამისრულდა ნატვრაც. ახლა ისე მშვიდად ვარ, ლამის გამოვყრუვდე ქალი. სულ წინდაწინ ვიცი, რაც მომელის ერთი დღის, ერთი კვირისა თუ ერთი თვის შემდეგ... არც საზრუნავი მაქვს რაიმე, არც საფიქრალი, ყველაფერს მზამზარეულს მომართმევინ: ბინა არიო, ჭინჭები არიო, მანქანა არიო, უშვილობით დავისაჯე მხოლოდ... ცოცხალი ადამიანი ვარ მაინც, არ შემიძლია არ ვიფიქრო, რალაცაზე არ შევიწუხო თავი, თორემ ისეთი სიცარიელეა ირგვლივ, ლამის სული ამომხდეს. ჩემს ალაგას სხვაც ასე მოიქცეოდა — გინდა არ გინდა, რაიმე საზრუნავს გაიჩენ. მე კი შორს საძებარი რა მქონდა. აგერ, ცხვირწინ, ძველ ნაცნობებს ჯოჯობეთი უტრიალებდათ შინ. გიამბოთ მათ ცხოვრებაზე, თუ ისედაც კარგად იცით? მაშინ თავად იფიქრეთ, შემძლო კი დამევიწყებინა, ჩემ გამო რომ ხდებოდა იმ ოჯახში ასეთი ამბავი. არ უნდა დავტანჯულიყავი ამის გამო, სინდისის ქენჯნა არ მეგრძნო? მაშ სხვა ვისზე უნდა მედარდა? ისე კი, კარგად რომ ჩავუფიქრდე, ანასა და... იმ მხეც რაფაშკას მადლობაც ეკუთვნის ჩემგან. ისინი რომ არა, რალა აზრი ექნებოდა ჩემს ცხოვრებას, ქვად ვიქცეოდი... ვალიო... რას ვალი, რა ვალი! ქმარს რომ სულს ვხდიდი, — ის ძვირფასი რაფორჩა გვერდიდან არ მოცილო-მეთქი, — სიკეთეს კი არ ვიჩენდი, ჩემი საკუთარი თავის გადარჩენა მინდოდა. საკუთარ

თავთან არასოდეს ძითვალთმაქცია — აი, როგორი კეთილი ვარ-მეთქი, თქვენ-
თან რალად უნდა ვითვალთმაქცო!

შეცბუნებული სულიმოვი დუმდა. ძალიან ცდილობდა გულში ამ ქალი-
სადმი უნდობლობა ეგრძნო, მაგრამ არა, მის გულწრფელობაში იმედი ალარ
ეპარებოდა.

ბიზლირთეკა

— ჰოო, — გააგრძელა სულიმოვმა, — მოულოდნელი ამბავია.

— მოულოდნელი კი არა, მოსაწყენია. — მოქანცულად უბასუხა პუხო-
ვამ, — მე ჩერჩეტმა ჩემივე თავი მოვიტყუე, სიმშვიდე მომინდა და აჰა, ლამის
გამგუდოს და სული ამომხადოს ამ სიმშვიდემ. აქამდე ანაზე მაინც ვწუხდი, აწი
მორჩა, ესეც ალარ იქნება, მთლიად დაცარიელდება ყველაფერი. წაეწყობა ერ-
თმანეთს ერთნაირი დღეები. რისთვის, ვისთვის? რილას მაქნისი ვარ ამქვეყ-
ნად?.. გინდ დამიჯერეთ, გინდა არა, ვნანობ კიდევაც, მაშინ რაფაილს რომ
არ გავყვეი ცოლად.

— მაგაა როგორ ამბობთ! — განცვიფრდა სულიმოვი.

პუხოვამ შავი თვალები დააკვესა.

— ვიცი, იმასთან მშვიდად ვერ ვიცხოვრებდი. მე ანას არა ვგავარ, შევებ-
რძობლებოდი და იქნებ მოვრეოდი კიდევაც. დიახ!.. იქნებ ახლა სატრაბახოც კი
მქონოდა: აგე, შეხეთ, მე გავაწადმართე ეს უკუღმართი კაცი, ვისზე რა ნაკ-
ლებია, თუ კიდევ არა სჯობს-მეთქი... სიბერის ხანს მოსაგონარი მაინც მექნე-
ბოდა რაიმე, ახლა კი რალა დამრჩენია?... აღარაფერი.

პუხოვამ ამოისლუკუნა, ცხვირსახოცი ამოიღო და დამწუხრებულმა ხმა-
ურით მოიხოცა ცხვირი.

წვიმდა. სონია ძლივს მიათრევდა ფეხებს ამ წვიმაში. სად მიდიოდა? არ
იყოდა.

მომხდარ ამბავს მაშინვე არ შეუშინებია. გამშორდიო! და განშორდა კი-
დეც, მხოლოდ წყენა წამოჰყვა თან. მაგრამ რაც უფრო შორს მიდიოდა ამ ცივ,
ნესტიან ქალაქში, რაც უფრო შორდებოდა იმ კედლებს, სადაც კოლია იყო
გამომწყვდეული, თანდათან უფრო ეძალებოდა და ეძალებოდა შიში. რატომ?
იმიტომ, რომ მიყვარსო! — ფიქრობდა.

ერთხელ მაღაზიიდან ჩანთაგატენილი ბრუნდებოდა. წინ, ხალხში კოლია
დაინახა, ისიც შინისკენ მიიჩქაროდა. ამჯერად არ დაეწია, კვალში ჩაუდგა,
ვერა და ვერ ძლებოდა ცქერით. ბიჭი მტკიცედ მიაბიჯებდა, თავი გამომწვევად
გადაეგდო უკან, ფაფუკი თმა პიჯაკის საყულოზე დაჰფენოდა, ვიწრო ზურგი
ზამბარასავით დასკიმოდა, მსუბუქად მიდიოდა, ლამის მიჰქროდა. სულ არ
ჰგავდა იმ შებოჭილ, მოუქნელ ბიჭს, წინათ რომ იყო, მასთან შეხვედრამდე.
თურმე კიდევ უფრო კარგი ყოფილა საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი კო-
ლია... გოგოს ბედნიერებისაგან სული შეუგუბდა — ისინი მალე ნახავენ ერთ-
მანეთს, იმიტომ, რომ კვლავ შებოჭილი, კვლავ დარცხვენილი გახდება ბიჭი,
იმიტომ რომ კოლია არსებობს ამ ქვეყანაზე! სონია უკან მისდევდა და ძლივს
იკავებდა ბედნიერების ცრემლს.

უყვარს...

მდინარე კრაპივნიცა, ნავი, ზურგს უკან ნიჩბების ტლაშუნნი! ეს ნიჩბები წინ მიაცურებდა ნავს! წინ კი რა ელოდათ?... გული ელეოდა გოგოს, უყვარს!.. ასე არასოდეს ყვარებია არც მამა, დედაც კი, მით უმეტეს საკუთარი თავი...

უყვარს! ამის პასუხად კი — გამშორდიო!

ნეტა შეიძლებოდეს და მის დანაშაულს თვითონ დაიბრალებოდა! უკონკრეტო-ლით დაიბრალებდა, უკონკრეტოდ, დაუფიქრებლად, მოკვდებოდა, რომ მას ეცოცხლა. გუშინწინ, როცა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა უბედურებაც მოელოდათ, იქნებ ვერც გაემხილა ეს ამბავი საკუთარი თავისათვის, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, ასე გაგიყვებით თუ უყვარდა. ახლა კი აღარ ეეჭვება, აღარ!

ამის პასუხად კი — გამშორდიო! აღარ მჭირდებიო!

სონია მზად არის თვითონ მოკვდეს! თავი არ ებრალება. მაშ რატომ უნდა შეიბრალოს სხვები. მით უმეტეს ისეთები, კოლიას მამა რომ იყო? ჰო, როგორ სძულს! როგორ სძულს! იმიტომ, რომ უყვარს...

კოლია, შენ ყველაზე გულადი, ყველაზე სამართლიანი, ყველაზე პატიოსანი ხარ ამქვეყნად! შენ კი არ მეთანხმები, გწყინს, შეურაცხყოფილიც კი ხარ ამის გამო, დაუჯერებელია, წარმოუდგენლად დაუჯერებელი!

მილასლასებდა გოგო ქუჩებში და თან მიჰქონდა ეს აუხსნელი ნაღველი, ლამის გასკდომოდა გული. არა, ასე არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოხდა, არ მოსჩვენებია, ყურში ახლაც უწივის — გამშორდიო! სხვა რა ახსნა ჰქონდა, თუ არა ეს. გმირი კი არა, მხდალი ყოფილა, ლაჩარი, ვერ გაძლო ბოლომდე, მოტყდა, მოიჩვარა, საკუთარ თავსაც და სონიასაც უღალატა! მაშასადამე, შეცდა სონია, არ ყოფილა კოლია ისეთი, როგორიც ეგონა!..

მილასლასებდა და უცებ გვერდზე გადას — ქუჩაში ხელიხელგადაკდობილი გოგო-ბიჭები მიდიოდნენ, ალბათ სტუდენტები, სადღაც დრო გაატარეს ალბათ და იქიდან ბრუნდებოდნენ.

ამ ნაგვიანვე ხანს, ჩაბნელებულ, მყუდროება დაკარგულ, წვიმიან ქალაქში, როცა ძვალ-რბილში ატანს ნესტი, ჰაერი ჩაგუბებულა, ნათურებს ბურუსი ახვევია, ქუჩაში თითო-ორილა გამვლელი თუ ჩანს, შინისაკენ, ოთახის სითბოსაკენ მიიჩქაროდა ყველა. მიაბიჯებდნენ ეს ახალგაზრდები და მთელი ქუჩა თან მოჰქონდათ. მხიარული სახეები წვიმისთვის შეეშვირათ, ბიჭებს გაეღელათ ლბადები, გოგოები მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს მიაბაკუნებდნენ ასფალტზე... რომელიღაც ბიჭის ვაჟკაცურ ბანს დარდიმანდულად გამოჰყავდა:

Ваше благородие
Госпожа удача,
для кого ты добрая,
а ком-му иначе...

არცთუ შეწყობილად, მაგრამ მაინც ხალისიანად აყოლებდნენ ხმას სხვები:

Девять граммов в сердце,
постой-же, не зови...
не везет мне в смерти,
повезет в любви.

წკრიალებდა გოგონას უღარღელი მოძახილი.

სონიას უცებ ყვითელი წრეები დაუტრიალდა თვალწინ. ამ გოგო-ბიჭებს სიძულვილი ცეცხლივით შემოენთო. ამ გალუმბულ, ჩაქამებულ სალამოს სოცრად უადგილოდ ეჩვენა მათი მხიარულება — რა უღარდელად ეთამაშებიან უფალ ბედს, როგორ უგნურად სჯერათ — სიკვდილს თუკი გადავტრჩი, სიყვარულს ვერ გადავტრჩებო. ახალგაზრდებმა სიძლერივით დასჯეს კლადები. შარბიშურით გვერდზე ჩაუარეს სონიას. ის კი იდგა და მათ გაჰყურებდა, სანამ წყემიან ნისლის ფარდას არ მიეფარნენ. დიდხანს ისმოდა ისევ იმ ყმაწვილის ვაჟკაცური, ოღონდ ახლა სწხეიმო ბანი:

Поднявши меч на наш союз,
достоин будет худшей кары.

„ღმერთო, რა მხიარულად გრძნობენ თავს...“

განცვიფრებისაგან ისევ წრეები დაუტრიალდა თვალწინ, მთელი სხეული მოუღუნდა. ისინი მხიარულობენ, არაფერი არ ანალვლებთ, ქვეყანა რომ დაიქცეს, ასეთები მაინც დასძახებენ: სიკვდილმა არ გამიმართლა, გამიმართლებს სიყვარულიო. მერედა, რა იციან მაგათ, რა არის სიკვდილი? რა გაეგებათ სიყვარულისა?

ვიღაც ლაბადამოსხმულმა ქალმა ბანჯგვლიანი ძალი გამოიყვანა. ძალი ფარნის ბოძს მიადგა და ფეხი ასწია... სონიას ახლა ესენიც შესძულდა. შესძაგდა ეს მოკლეფეხება ბანჯგვლიანი არსება. ეს ფარნის ბოძიცა და ქალაქიც, ეს ძაძებმოსილივით ჩაშავეებული ნესტიანი სამყარო.

მაგრამ სიძულვილმა ყოველივესა და ყველაფრისადმი უცებ გონს მოიყვანა სონია — „ეს რა მომდის!“

ამ ბოლო ხანს გულში ყველა სძაგდა, ყველა თანაკლასელს ეჭვით წესცქეროდა — მტერია, თუ არა და მტერი გახდებო, — ფიქრობდა. თვით სლაგკა კუმელევიაც, მაშინვე რომ მის მხარეზე დადგა, იმისი კი არ სჯეროდა.

არკადი კირილოვიჩისადმიც ასევე იყო განწყობილი...

ახლა კი აგერ მილასლასებს და მიეხეტება სადღაც, თავის სახლიდან შორს. სძულს თავისი სახლიც — ყველაზე წყეული ადგილი ამ ქალაქში.

რა საწყალობელი, ცრემლიანი თვალით დაუწყებს ცქერას დედა, კეთილი დედა... მამის ატანა ზომ სულ აღარ შეეძლო — ის კოლიას წინააღმდეგია, ის ყველას მიმართ დაბოლმელია!

ირგვლივ ყველა სძაგდა, რადგან ყველა შეიძლებოდა კოლიას წინააღმდეგ ამხედრებულიყო ყოველ წამს! მასავით არავის არ უყვარს კოლია, მასავით არავისთვის არ არის იგი ძვირფასი, არავინ არ იტანჯება მისთვის ასე. სონია მზად არის მთელ ქვეყნიერებას შეეჭიდოს მისი გულისთვის.

ახლა კი... ახლა თვითონაც სძულს კოლია. ეს რა უთხრა — გამშორდიო! თურმე გმირი კი არა, ლაჩარი ყოფილა, მთხლე, მოლალატე...

მთელ ქვეყნიერებას შეეჭიდოს?... არა, საერთოდ აღარაფერი და აღარავინ არის გარშემო, აღარ არსებობს არც სიყვარული, არც კეთილშობილური რისხვა, უძლური სიძულვილია ბატონობს ირგვლივ.

ნესტით გაქვნილი, დამძიმებული ცა დასწოლოდა ქალაქს, ასვეტილიყვნენ ფანჯრებგაბღღვრიალებული შავი შენობები... ამ უცხო შენობებში კი აღამიანები არიან. პოი, რამდენი ხალხია ამქვეყნად, საძრახობა აღარ არის მათგან, მაგრამ ისეთს ვერავის იბოვი, სიყვარულზე გიპასუხოს. არც სონიას სიძულ-

ვილის დარდი აქვს ვინმეს — ყველა გულგრილია, არავის სჭირდება სონია, არავის!

ამ სიძულვილის გარდა, ეტყობა, სხვა ვერაფერი მიუტანა კოლიას, იმათი სიძულვილიც კი, ვისაც არც არაფერი დაუშავებია. თვითონ კოლიას კი მოკლული მამაც აღარ სძულდა: „სულმთლად ცუდი ადამიანები გვეყვანდნენ არაქიან!“

ეს სიტყვები ახლა აღარ აღშფოთებდა სონიას. სიძულვილმა დაღალა. განწირულივით წაიღო ფიქრმა. უცებ სრულიად მარტივმა და ნათელმა აზრმა გაუნათა გონება: კოლიამ ხომ მამასთან გაატარა მთელი ცხოვრება. განა შეიძლება მთელი ცხოვრება, მრავალზე მრავალი დღეების მანძილზე მამა მუდამ ცუდი და მხეცი ყოფილიყო? ბოლოს და ბოლოს ალბათ სიმხეცეც ღლის ადამიანს.

ამ პირველ ფიქრს მოჰყვა მეორე, ისევე დარეტიანებამდე მარტივი და ნათელი — მაშ იმ ცუდ მამასთან ერთად კარგი მამაც მოუკლავს!

სონია კი კოლიასაგან მოითხოვდა — უნდა იამაყო, მამა რომ მოჰკალიო!

ყველაფერი უკუღმა დატრიალდა, ყველაფერმა პირი იქცია — სიძულვილის, მკვლელობის პირუკუ. სონიამ კოლიას თვალით, მოსიყვარულე ადამიანის თვალით შეხედა თავის თავს: „მუდამ კარგი, კეთილი, მოსიყვარულე მეგონე...“ ეს კეთილი, ეს მოსიყვარულე გოგო კი წელან პირზე დუჟმორეული იდგა მის წინ და გაჰკიოდა, — იამაყო, მამა რომ მოჰკალიო!

ჩაქრა ქუჩის ფარანი, მიიწურა საღამო. ღამე დაიწყო, ქალაქი ღამის ნათურებს აქრობდა. სახურავების ზემოთ ჩამოწოლილმა სიბნელემ ქვემოთ ჩამოინაცვლა. ქალაქი თითქოს შეიკუმშა, გახევდა. მხოლოდ წვიმალა შრიალებდა. ამ სიბნელეში წვიმალა ცოცხლობდა ჩუმად, ქურდულად.

გამოქვაბულივით ჩაბნელებულ უცხო ქუჩაში იდგა სონია: საკუთარ მეთი განადგურებული — თურმე რა საზიზღარი ყოფილა, ვინ უნდა იგუოს, როგორღა უნდა შეხვდეს ადამიანებს, როგორღა შეხედოს მათ თვალებში!

ახლა რომ შეეძლოს კოლიასთან დაბრუნება, პატიებას სთხოვდა. მაგრამ კოლია კედლებშია ჩაკეტილი, გამომწყვდეული... თანაც, როგორც დროს ვერ დაახვეწინებ უკან, ვერც პირიდან დაცდენილ სიტყვას მოაბრუნებ ვერასოდეს.

კარს მიღმა, დერეფანში თების ხმა მიწყდა. ირგვლივ სიციცხლე ჩაკვდა, ციხის იდუმალეებით მოკულ შენობაში ყრუ სიჩუმემ დაისადგურა.

კოლია საწოლზე იწვა, თავს იტყუებდა, რომ თვლემს, რომ განადგურებულია, რომ მისთვის ყველაფერი სულ ერთია, მაგრამ სულგანაბული კი ელოდა, რომ ის კვლავ მოვიდოდა. სწამდა — მოვა, არ მომატყუებსო! და ეშინოდა, არ დაეფრთხო.

მამა უხმოდ შემოვიდა და კოლიას ფეხებთან ჩამოუჯდა საწოლზე. იმდენად მაღალი და მხარბეჭიანი იყო, საკანი თითქოს დავიწროვდა. კერიდან ჩამოშვებული ნათურა უნათებდა აწეწილ გრუზა თმას. სახე ჩრდილში არ უჩანდა, მაგრამ კოლიამ იცოდა, რომ სახე ჰქონდა, სახე არ იყო დამახინჯებული. ესოდენ ნაცნობი, ახლობელი სახე. მამისგან ისეთი საამო სიგრილე მოდიოდა, როგორც მცხუნვარე დღეს იცას ხოლმე ნაძვნარში.

— მეშინოდა, ვაითუ არ მოვიდეს-მეთქა.

— ახლა ნულარაფრის გეშინია, ხომ ყველაფერმა გაგინათ.

— შენთან არაფრისა არ მეშინია, უშენოდ კი დედასიც მეშინია.

ეს მთლად ასე არ იყო. კოლიას მაინც ეშინოდა ურყეფეფეშქქქას დედაზე რამე ცუდი წამოსცდესო. ასე რომ მომხდარიყო, მაშასადამე გაუძნელდებოდა საუბარი, როგორც დედასთან. და შეზარა იმის გაფიქრებამ, რომ მამასთანაც შეიძლებოდა ასევე მომხდარიყო. მაგრამ მამამ მაშინვე იგრძნო შვილის შიში და მაშინვე ის თქვა, რისი გაგონებაც კოლიას უნდოდა:

— დედაშენის ნუ გეშინია, გებრალებოდეს...

— შენ რომ შეგიბრალო შეიძლება?

— არ შეიძლება.

— რატომ? ძალიან რომ მინდა!

— ხომ ხედავ, როგორ მსიამოვნებს შენთან ყოფნა...

— მოდი, გავიხანოთ რამე.

— გახსოვს ჩვენი პირველი თევზაობა?

— მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. მახსოვს, ბალახი ძალიან ცივი იყო და ნამიანი.

— ბალახი დაცვარული იყო.

— მდინარეც მახსოვს. საშინელი შავი კვამლი ასდიოდა.

— ნისლი იდგა.

— მერე მახსოვს, ჩიტები რომ დაფრინავდნენ დაბლა-დაბლა მდინარის თავზე, ისე დაბლა, რომ ფრთებით წყალს ეხებოდნენ.

— იხვები იყვნენ.

— ყველაზე უფრო კი წიწკანას გახსენება მიყვარს.

— ყველაფერი გიყვარდეს — ცვარაც, ნისლიც, იხვებიც, ყველა სხვა ჩიტები და ცხოველები, მაგანე იოლი რა არის, ყველა და ყველაფერი შეიყვარო. აი, ხომ ხედავ, მე რომ შემოყვარე, რა კარგად იგრძენი თავი.

— კარგად, კარგად... — ექოსავით გაიმეორა კოლიამ და იგრძნო, რომ ბედნიერებისაგან ტიროდა.

ღერეფნის ბოლოს ნაბიჯების ხმა გაისმა და მამაც გამოუმშვიდობებლად გაქრა. კოლიას სახეზე ბედნიერების ცრემლი აშრებოდა.

ლუდმილა პუხოვა კარგა ხანს დაყოვნდა სულიმოვთან. სულიმოვმა ათასნაირად შემოაუარა, მაგრამ მის ნათქვამში ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერაფერი იპოვა. მისი ჩვენება ემთხვეოდა მოხუცი ვედოკიას, ანა კორიაკინასა და თვით იმ თვითმგვემი სოლომონის ჩვენებასაც, „გულწრფელი ცრემლით“ რომ დასტიროდა რაფაილ კორიაკინს. სულიმოვმა თქმი შეადგინა. პუხოვამ სტრიქონ-სტრიქონ ნელა ჩაიკითხა ნაწერი, ისეთივე განცდებითა, ოხვრითა და შფოთით:

— რაც მართალია, მართალია. თავის დაზღვევას არ ვაპირებ.

ეტყობოდა, არც ქმრის დაცვას აპირებდა, სულიმოვის ჩართულ შენიშ-

ენას: პუხოვი კორიაკინთან ერთად, თავის სახეაროდ იღწვოდაო, არ შეწინააღმდეგებია. ოქმს ხელი მოაწერა და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

ასე რომ, სხვებზე მეტად დამნაშავე არც პუხოვი გამოდგა. ეველაზე დიდი დამნაშავე თვით რაფაილ კორიაკინი იყო. შესაძლებელია, უსწრესად გააკეთა, რომ ასე უგვანოდ მოეკლათ. მაგრამ მკვდარს რაღბმბეჭეტივანება მარტოოდენ შეილმა ზღოს, იმ შეილმა. თავისი ხანმოკლე ცხოვრებას მანძალზე ისედაც რომ საკმაოდ დაიტანჯა მავანთა და მავანთა მიერ სხვადასხვა დროს ჩადენილი ცოდვებით.

უკვე კარგა გვიანი იყო. დღასით უუსფუსა სამმართველოს შენობა მიყუჩდა. მხოლოდ ქვედა სართულებზე ფხიზლობდნენ ისინი. ვისაც ღამით ჭალაქში წესრიგის დაცვა ევალებოდა; და კიდევ აღბათ რომელიღაც კაბანეტში. სულიმოვივით წამებულ ვინმე, ნათურით განათებულ საწერ მაგიდასთან დაწყებულ საქმის ფურცლებს ჩაპკირკიტებდა.

რა გამოვიდა, სულიმოვმა უტრიალა. უტრიალა და ისევ ძველ ადგილზე მოვიდა. ბიჭმა მოკლა საკუთარი მამა — ეს იყო ერთადერთი სინამდვილე, ამ მოკლე დროში შეკრებილ ცნობებსა და მოწმეთა ჩვენებას სხვა არაფერი შედეგი გამოუღია.

მარცხი სხვა დროსაც მოსვლია. ალუოთი მიგნებული დამნაშავე თევზით თვალსა და ხელს შუა გასსლტონია, თავის გულს შესკდომია, ვერ ვიმარჯვე. კუდში კარგად ვერ ჩავავლე ხელიო. და ძალზე განიცდიდა უფროსების საყვედურებს. ახლა კი არავინ უსაყვედუროებს, არც უკმაყოფილო იქნება ვინმე, არც საკუთარ თავზე გულისწყრომის მიზეზი აქვს — მის ადგილზე ვერც სხვა გააკეთებდა ამაზე მეტს.

არადა, გულზე რომ არ ეშვება! გული სთხოვს, ვისმე შესჩივლოს, თავი ამხილოს, მოინანიოს, თავი იმართლოს. ასევე, როგორც მის წინაშე ამხილეს თავი ბიჭის დედამ და ბებიაშ ან აი, იმ ლუღმილა პუხოვამ. ხარი ხართან დაიბი. ან ზნეს იცვლის ან ფერსაო — მასაც ეს მოუვიდა.

კარგად დაფიქრდი, გაერკვიე, რატომა ხარ უკმაყოფილო, რატომ გკონია თავი დამნაშავე? ბიჭი გებრალება და დახმარების ძალა არ შეგწევს? მაგრამ წინათაც რომ გეცოდებოდნენ ბინძურ საქმეში უცქუობით ან შემთხვევით გაბმული გულუბრყვილონი, კი გეცოდებოდნენ, მაგრამ მაშინ თავს დანაშავედ არ გრძნობდი.

ახლა კი რა ისეთი დანაშაული მიგიძღვის? კატა ვერ შესწვდა ძეხუსაო, ასე რომ არ გემართება შენც? წარსულს პასუხს ვერ მოსთხოვ, მხოლოდ ბიჭს გასამართლებენ და უკვე ზნეშებლალულ მცირეწლოვანთა კოლონიაში უკრავენ თავს. ნიკოლაი კორიაკინი საზოგადოების მიერ მოკვეთილთა შორის მოხვდება. კი ბატონო, დახვდებიან იქ აღმზრდელები, მაგრამ ისინი ხომ არც სასწაულმოქმედები არიან და არც მაკარენკოები — ჩვეულებრივი ხალხია. ვინა თქვა, თითქოს ისინი უფრო მეტ ზეგავლენას მოახდენენ ბიჭზე, ვიდრე ახალგაზრდა ქურდბაცაცები, საღისტი ხულიგნები და პათოლოგიური ცინიკოსები. რომელთა გვერდიგვერდ მოუწევს ცხოვრება. თავისი დანაშაულით განადგურებულ, ბავშვობამოწამლულ ბიჭს კოლონიაში გამოწაფავენ და, ვინ იცის, იქნებ მამამისზე უარეს აკვაცადაც კი აქციონ. რა საჩუქარს მოუტანს იგი მომავალში ადამიანებს?!

ვინ იცის, იქნებ მრავალი წლის შემდეგ სულიმოვივით ვინმე გამოძიებულმა, მძიმე დანაშაულის გარჩევის დროს, ღრმად ჩაიხედოს წარსულში და დაინახოს, თუ რა ავი კვალი დაამჩნია მომავალს სულიმოვმა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.

შენ კი არც ვანკა კლიოვი ხარ და არც ის გონებებზე ვეფროდიკია კორიაკინა. მათ მწარე მაგალითზე შენი თვალით ნახე, უბრალო შეცდომას რატრაგედია შეიძლება მოჰყვეს. ჰოდა, ნახო და თვალი აარიდო, აბა არ არის ეს დანაშაული?..

ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა ფიქრებიდან სულიმოვი. ეს კიდევ ვინაა? ალბათ სადმე ახალი დანაშაული მოხდა და ვიღაცას დასჭირდა. ასე ტვინარეული, საკუთარ თავში დაეჭვებული ახალ საქმეს შეუდგეს? ან შეძლებს კია საერთოდ რწმენა დაიბრუნოს? შეძლებს კია ძველებურად სამსახურს?

— სულიმოვი გისმენთ!

— არ გაგიკვირდეთ, პამიატნოვი გელაპარაკებით, მასწავლებელი პამიატნოვი, არკადი კირილოვიჩი, ვიმედოვნებ, ჯერ კიდევ გახსოვართ.

— თქვენა ხართ?!

— მორიგეს ვკითხე, ხვალ როდის იქნება-მეთქი, მითხრა — ახლაც აქ არისო. ჰოდა... არ დამძრახოთ.

— გამიგონეთ! — მისდა უნებლიეთ წამოიყვირა სულიმოვმა, — სწორედ თქვენ მჭირდებით ახლა!

— მე კი თქვენ მჭირდებით.

— ვიძირები, არკადი კირილოვიჩ, მიშველეთ!

— ვაი, რომ არც მე ვარ უკეთეს 'დღეში.

— მაშ, მოდიეთ, ერთმანეთს შევაშველოთ ხელი. იქნებ ერთად უფრო იოლად გავიდეთ ფონს.

ყურმილი დიდხანს დუმდა. ბოლოს გაისმა პამიატნოვის ხმა:

— მობრძანდით ჩემთან, ცოლს სძინავს, მაგრამ ყავას მაინც მოგიდუღებთ.

არკადი კირილოვიჩის მეუღლე ქალაქის ვარეუბანში, ოპტიკურ ლაბორატორიაში მუშაობდა და სისხამ დილით დგებოდა. ქალისათვის ძილი რომ არ გაეფრთხოთ, სამზარეულოში მოიკალათეს.

მაგიდაზე დანაპირები ყავა დგას. მაგიდის თავზე, კედელს დიდი კალენდარი ამშვენებს, ყოველი თვე ლამაზი სურათით არის გამოხატული. კალენდარზე ოქროსფერი მზიანი შემოდგომა დაღანებს, ფანჯარაზე კი წვიმა ასხამს და ასხამს გამწარებით. დროდადრო სულს იდგამს მაცივარი, თითქოს უდროო სტუმარს საყვედურობსო, გულმოსული პუყბუყებს.

სულიმოვს თმა აჩეჩვია, უღვაშებიდან თეთრად უელავს კბილები. სულმოუთქმელად ყვება, მერე შეჩერდება, ისევ განაგრძობს, ისევ დუმდება. შეწუხებული კოპებს შეიკრავს, ცდილობს გაერკვეს აწეწილ-დაწეწილ ფიქრებში. არკადი კირილოვიჩს ღრმად დაღარული სახე ჩაღამებია, დაქანცულია, ფიქრში წასული.

— ვხედავ, ვხედავ, რომ ერთ მწკრივში ვდგები ვანკა კლიოვის, დედა-

ბერ ევდოკიას და პუხოვის გვერდით. მგონი, ახალ რაფაილ კორიაკინს ვუმზადებ ქვეყანას... ვინმე მაინც რომ მიბიძგებდეს და მაიძულებდეს, კიდევ პო... არადა, ვერც აჯანყდები, შფოთს ვერ ატეხ — მოწინააღმდეგე არა ჩანს! სრამოვნებით შევებმებოდი, მაგრამ წინ რომ სიცარიელეა!

არკადი კირილოვიჩმა ქუთუთოები ასწია, სულიმოვის აბრიალებულ, გაფაციცებულ თვალებს შეზედა, ჩაიცანა:

— სცდებით, — ებრძვით და მერე როგორ!

— მეე? ვის ვებრძვი?

— საკუთარ თავს...

სულიმოვმა მწარედ ჩაილაპარაკა:

— ვაი, რომ სულელი ლეკვივით ვბზრიალებ, ჩემსავე კუდს ვკბენ და ვიღრინები, მტკივა და იმიტომ.

— გგონიათ, დანაშაულზე აუცილებლად ვიღაცამ უნდა აგოს პასუხი? — ჰკითხა არკადი კირილოვიჩმა.

— ეს ხომ მკვლელობაა! არც შემთხვევითი და არც სტიქიური უბედურება — ასე ვთქვათ, შედეგი ადამიანთა ნამოქმედარისა! მაშასადამე, მამაზეცირი კი არ არის დამნაშავე, კაცთაგან ჩაიღინა ვიღაცამ უეჭველად!

— დამნაშავისთვის კი ვერ მიგიგნიათ. მეტიც, საკუთარი თავი გგონიათ დამნაშავე, თუმცაღა ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არა გაქვთ. თქვენსავე თავს ეწინააღმდეგებით რატომღაც. რით არ არის ეს ომი? ოღონდ შინაგანი ომი?

საგონებელში ჩავარდნილი სულიმოვი აქსიტინდა, აფორიაქებულმა შეზედა მოსაუბრეს, სახემოდუშულმა ჰკითხა:

— მაინც რა შემთხვევაში ვარ მართალი?

— ორივე შემთხვევაში, — მშვიდად უპასუხა არკადი კირილოვიჩმა.

— არა, ასე არ ხდება.

— მუდამ და ყველგან ასე ხდება. ეს წინააღმდეგობათა ერთობლიობაა. ვიმედოვნებ, გაგონილი გექნებათ?

— გამიგონია, მასწავლიდნენ — როცა ყვავილი იფურჩქნება, კოკორი კვდება.

— ჰოდა, თქვენი ყვავილი ახლა იფურჩქნება.

— მაინც რომელი?

— სხვისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, — მაპატიეთ, ესოდენ გაცვეთილი გამოთქმა.

— ერიპაა! — გაიოცა სულიმოვმა, — მაშ აქამდე პასუხისმგებლობის გრძნობა არ მქონია, უმაგისოდ მიცხოვრია?

— მაგიტომაა სწორედ, ყველამ რომ უნდა ვზლოთ ახლა, საზღაურის ქამი დაგვიდგა...

— ყველამ უნდა ვზლოთ... — გაიმეორა სულიმოვმა, — ჰ-ოო... მაშ, ვინოდის, მომავალშიაც უნდა მაზღვევინონ ყოველი არამზადის გამო?... აბა, სანამ შევიშლებოდე, დროა გავრბოდე სისხლის სამართლის სამძებროდან!..

— განა მძაფრი განცდა, ღრმა ჩაკვირება მავნებელია მაგ თქვენი საქმიანობისათვის?

— ჩვენი საქმიანობა ეგეთ ტვინის ჰყლეტას ვერ ითმენს — კანონს უნდა მისდიო, კანონს. უნდა გახსოვდეს — დამნაშავე საზოგადოების მტერია.

მანასადამე, შენი მტერიც. ხოლო თუ იმ მტრის მიმართ რაღაც პირადული გა-
მოქმედებას... ეს უკვე საწინააღმდეგოა.

— საკუთარ თავს ცილს ნუ სწამებთ.
სულიმოვი გაცეცხლებული ყაფის ფინჯანს დასცქეროდეს არცაა კირილოვიჩი
თანაგრძობით მისჩერებოდა.

— კეთილი! — გამოერკვა სულიმოვი. — მოვრჩეთ ჩემზე ლაპარაკს. თქვენ
რაღაც ვინდოდით გეთხოვით, იმედი მაქვს, კანონის საწინააღმდეგოს არაფერს
მთხოვთ.

— მომეცით ტრიბუნა, — წარმოთქვა არკადი კირილოვიჩმა.
— რაო? — გაოცდა სულიმოვი.

— როგორ ფიქრობთ: კოლია კორიაკინის შემთხვევა გაკვეთილი უნდა
გახდეს თუ არა მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის?

— ასეთმა რამემ თუ კაცს ჭკუა არ გასწავლა, მაშინ ხე ყოფილხარ და
ესაა, — ჩაიბუზღუნა სულიმოვი.

— ჩვენს სკოლაში კი სურთ თვალი აარიდონ ამ ამბავს — ვითომ ჩვენ არ
გვეჩება.

სულიმოვი შეიშმუნა:
— საოცარია... გუშინ იქნებ ამისათვის არც მე გამეკიცხა ვინმე — შუბ-
ლით კედელს ვინ გაარღვევს-მეთქი, მეთქვა.

— დღეს კი... რა ვიცო, იქნებ მართალიც ბრძანდებით.
— დღეს კი... რა ვიცო, იქნებ მართალიც ბრძანდებით..

— პირზე ხელს მაფარებენ, გაჩუმდით—მოითხოვენ. მოწაფეებს ისინი ერთს
ეუბნებიან, მე — მეორეს. ისე არ შეიძლება, ხომ ტვინი აებნათ ბავშვებს,
მასწავლებელთა შორისაც უთანხმოება ჩამოვარდება, განხეთქილება დაისადგუ-
რება, ენკლაობა ატყდება. მარტოდმარტომ ვიმოქმედო?... არა! ისინიც უნდა
დაფარწმუნო.

— რა ადვილი საქმეა!
— ძნელი კიდევ იმითომ არის, რომ საზოგადოებრივი აზრი სკოლის მზა-
რებზე. ქალაქის განათლების განყოფილებას ზეცაში ავყავდით, გაზეთები გვა-
დიდებდნენ, მშობლები ამაყობდნენ — რა სკოლაში გვყავს შვილებიო! თუ
საზოგადოებრივი აზრი არ შეიცვალა, მომხდარი ამბიდან შეიძლება არასასურ-
ველი დასკვნები გაკეთდეს. კოლია კორიაკინს კლასი უკვე ლამის გმირად
თვლის ახლა.

— კი-ო! — გულმოსულად ამოთქვა სულიმოვი. — რით შემიძლია და-
გებმართო?

— სასამართლოზე მოწმედ გამომიყვანეთ. იქ კი მე თვითონ შევეცდები
ბრალდებულად ვიქცე.

— ტრიბუნა ვნებავთ?..
— რატომაც არა?... ეს პროცესი დიდ ყურადღებას მიიპყრობს.

სულიმოვის ანთებული თვალები შეშფოთებით მისჩერებოდა მასწავ-
ლებელს.

— ყურადღებას მართლაც კი მიიპყრობს... — დაეთანხმა.
— გულგრილი არავინ დარჩება, — დასძინა არკადი კირილოვიჩმა.

— იცოცხლე, ალიაქოთი ატყდება.
— ჰოდა, შეც ეს მინდა, თუ ხანძარი გაჩაღდა, ჩემს კოლეგა მასწავლებ-

— ყურადღებას მართლაც კი მიიპყრობს... — დაეთანხმა.
— გულგრილი არავინ დარჩება, — დასძინა არკადი კირილოვიჩმა.

— იცოცხლე, ალიაქოთი ატყდება.
— ჰოდა, შეც ეს მინდა, თუ ხანძარი გაჩაღდა, ჩემს კოლეგა მასწავლებ-

— ყურადღებას მართლაც კი მიიპყრობს... — დაეთანხმა.
— გულგრილი არავინ დარჩება, — დასძინა არკადი კირილოვიჩმა.

— იცოცხლე, ალიაქოთი ატყდება.
— ჰოდა, შეც ეს მინდა, თუ ხანძარი გაჩაღდა, ჩემს კოლეგა მასწავლებ-

ლებს სინდისი შეაწუხებთ. ნუთუ გგონიათ, როცა ირგვლივ ვნებათა ჭრილი შეიქნება, ისინი არ აღელდებიან?



ქართული

— ჰმ... ვთქვათ, ასეც მოხდეს.
— ასეც მოხდესო!.. მერედა, ეს ცოტა გგონიათ? არა უფროსად ვთქვამთ, ვიდრე შეგდებულ ადამიანს ბევრი რამ შეუძლია!

— რა შეუძლია?! — წამოიყვირა სულიმოვმა. — შეუძლია ბავშვებია ლოთი მამებისგან, თაღლითებისა ან იმ თავკერძა ხალხისგან იხსნას, დღენიადაგ რომ ჩასჩიჩინებენ, სულ შენკენ და შენკენ პიითაღეო?.. ეს რომ შეძლონ, სამისოდ, იცით, რა განწმენდილი უნდა იყოს თვით ცხოვრება? შეგწევთ კი სამისო ძალა?

— ამ ცხოვრების განწმენდის ძალა თუ არ შემწევს, იმას მაინც ვაჩვენებ, რა არის ამ ჯერაც განუწმენდელ წუთისოფელში კარგი.

— განა აღრე არ აჩვენებდით?

— საქმეც ისაა, რომ ყველაფერს არ ვაჩვენებდით, გვერიდებოდა იმ განუწმენდავი, ბინძური ცხოვრების ჩვენება.

— უთქვენოდაც ხომ იცოდნენ ბავშვებმა, რა ხდებოდა კორიაკინების ოჯახში, ყველასთვის ცხადი იყო! მერედა, რა გააკეთეს?

— რაღა თითქოს ვერ ამჩნევდნენ, თვალს არიდებდნენ. ჩვენ რომ გვრცხვენოდა სიმართლისთვის თვალის გააწორება, ეს იშაათაც გადაედოთ.

— გინდ მოგირიდებია თვალი და გინდ არა, უბედურება მაინც მოხდებოდა.

არკადი კირილოვიჩმა ერთხანს შეაგვიანა პასუხი, თავჩაქინდრული იჯდა მაგიდასთან.

— აბა ერთი სცადეთ და წარმოიდგინეთ, — დაიწყო მერე, — რა მოხდებოდა, კოლია კორიაკინს ზურგს უკან ამხანაგების ქირჭილისა არ შერცხვენოდა, გულისხმიერების იმედა ჰქონოდა და წვრილად ეამბნა მათთვის საკუთარი ოჯახის ვასაჭირი...

— ამის წარმოდგენა ძნელია.

— ძნელიაო! საქმეც ესაა — ბიჭი ახლა სისხლის სამართლის რომანის გმირს ჰგავს, ყველასგან განცალკევებული, მარტოსული. როგორ გგონიათ, ბუნებით იყო ასეთი უკარება?

— არა მგონია.

— გარემოებამ გახადა ასეთი, არა?

— ალბათ.

— სხვა გარემოში რომ მოხვედრილიყო ან, ვთქვათ, სკოლაში ყოველდღე თანაგრძნობა ეგრძნო, თანადგომის იმედი ჰქონოდა, მაშინ, მითხარით, გეთაყვა, მოუვიდოდა ვითომ თავში აზრად საძულველი მამის მოკვლა?

სულიმოვი გამართული იჯდა. საგონებელში ჩავარდნილი ახამხამებდა თვალებს. პასუხი მის მაგაერად არკადი კირილოვიჩმა თქვა მტკიცედ:

— ყველაფერი მოუვიდოდა აზრად ამის გარდა!

— ჰ-ო-ო... — ნელა წარმოთქვა სულიმოვმა.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა. კედელზე გაკრული კალენდრიდან ღიმილს აფრქვევდა ოქროს შემოდგომა, ჩაბნელებული ფანჯრის მიღმა კი განუწყვეტლევ ასხამდა და ასხამდა წვიმა.

არკადი კირილოვიჩს კვლავ მძიმედ ჩამოეკიდა პირისახეზე ნაკეცები. სულიმოვი შეირხა.

— თავი შეგაწყინეთ. მაგრამ, თუ ნებას მომცემთ, წასვლამდე ერთი რაღაც მინდა გკითხოთ: იმ თამაშს, რაზედაც მიყვებოდით... განაგრძობთ თუ არა?..

— ის ჩვენი თამაში კოლია კორიაკინმა დაამთავრა.

— ხალისი დაგეკარგათ, თუ რა მოხდა?

— აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა — ერთმანეთს გულის გასაღები უნდა მოვუძებნოთ. ეს კი უკვე თამაში აღარ არის, სერიოზული ამბავია.

არკადი კირილოვიჩი დაქანცული დასცქეროდა მაგიდაზე დასვენებულ თავის დიდრონ ხელებს.

— მაგარი სასამართლო იქნება... — ამოიხვნეშა სულიმოვი, — მოწმეები დანაშაულს დაიბრალებენ, დამცველი ბრალმდებლად მოგვევლინება, ბრალდებას კი დამცველის როლის შესრულება მოუწევს.

დერეფანში ზარმა მოკლედ დაიწყარუნა, თითქოს ამოისლუკუნაო. არკადი კირილოვიჩს გაოცებისაგან ღრმა ნაკეცები შეუცახცახდა სახეზე. წამოდგა, სწრაფად გაემართა კარისაკენ.

კარს უკან სონია იდგა, მხარ-მკლავი ჩამოცვენოდა, გალუმბული სწორი თმის დერეები შეწებებოდა, ადამიანის სახე არ ჰქონდა.

არკადი კირილოვიჩი განზე გადგა, უსიტყვოდ დაუქნია თავი — შემოდით.

სონიამ ზღურბლს გადმოაბიჯა, უმწეოდ შედგა, ფეხზე ძლივს იდგა, სველი ლაბადა შემოტმასნოდა. გაურჩეული ტუჩები შეატოკა, მაგრამ კრინტი ვერ დასძრა.

— გაიხადე, სონია, — უთხრა არკადი კირილოვიჩმა.

გოგოს უცებ სახე აუცახცახდა, თვალები დახუჭა, კარის წართხლს მიეყრდნო, კისერი მოღრიალა, დამანკული სახის დამალვა სცადა, მაგრამ გულსაკლავი კენესა აღმოხდა და უხმო ქვითინმა მხრები აუკანკალა.

ამასობაში არკადი კირილოვიჩის უკან სულიმოვი გამოჩნდა. სონია ერთხელ ჰყავდა ნანახი, იმ მკვლელობის ღამეს, და, ეტყობა, ვერ იცნო.

— რა მოხდა? — იკითხა.

გოგოს ნაქსოვი ქუდიდან სველი თმა ჩამოშლოდა, სახე შეშლოდა, ტუჩებს იკვნეტდა, თვალდახუჭული, სლუკუნით იხრჩობოდა.

— რა დაემართა?..

მოკუშულმა წარბებმა დაუმალა თვალები არკადი კირილოვიჩს.

— რაც ჩვენ. ამასაც უმძიმს ალბათ, და ჩვენზე მეტადაც.



თარგმანა ტარიელ ჯანტუჩიამ

ჩამობრძანდა სპილო

შემოდგომას — ტაიფუნი მოჰყვა
და ტაიფუნს — უამრავი წყალი.
ტოკიოში, იაპონიაში,
ჩამობრძანდა სპილო — სპილოს ქალი.
ორი წლისა და ექვსი თვის გახლავთ.
წონა მისი — ზუსტად ასი კამე.*
ამ ვაგონით უმგზავრია ბეჩავს
შვიდი დღე და ამდენივე ღამე.
არ ქონია მას უშვები თუთრი,
რადგან გახლავთ სპილო იგი — მდედრი.
უფრო ზუსტად — „Edephants Maxims“.
ამ პანთას აქვს ხორთუმი — მაქსის
სულ ხორთუმის მოწყენილი ქნევით
მოიარა ზღვების გზები ვრცელი,
ჩამოართვა ბანგკოკსა და კობეს
მან-ხორთუმი ისე, როგორც ხელი.
გაღიაში თავს ვინროდ გრძნობს იგი,
სასტუმროში გაეთია ღამე!
ტოკიოში ჩამობრძანდა სპილო
პატარაა — მხოლოდ ასი კამე!
ცივი ქარი სპილოს ძვლამდე ატანს
და პანთას გაკვირვებას ცდილობს.
ტოკიოში, იაპონიაში,
ჩამობრძანდა სპილო.

* კამე — წონის საზომი ერთეული იაპონიაში. უდრის 3,75 კგ

თათრი სიცივა



რამდენი ყინვა, რამდენი ზვავი
უხილავს ყვავილს, ამოსულს თხემითა
მას — მწვერვალების მარტოსულ
ყვავილს —
ჰგავს კარს მომდგარი სიბერე ჩემი.

ნარცისაჲს სურნელი

ამ ქრიზანთემას, გვირილას, ნარცისს
ველარ ვუყურებ მას შემდეგ, რაც ის
დამშორდა! — როგორ უყვარდა მერე!...
სიყვითლეს მათსას რას ვაქნევ ანი...

კუნძულზე, ზღვაში.

გადასახლებაჲსა საფლავებთან

კუნძულზე, ზღვაში, წყება საფლავეთა...
ზედ — ყვავილები დიდრონ-დიდრონი..
ამ საფლავეებზე ყვავილთ ყვავილი —
ვის მოაქვს, ნეტავ, როდოდენდრონი!..

ამაზე ფიქრი გონებას მირავს

სიცოცხლე თითო გვებოძა რისთვის,
ვერ გაგვაძლებდა ათასიც როცა!..
გლიცინიების ყვავილობის ფამს
ტაძრად მისული — მათს ნაღველს
ვლოცავ.

ბალახზე

ველზე რომ ვწევარ, — შენ გელოდები.
სინამდვილეში არაა ასე,
მაგრამ მე მაინც შენ გელოდები,
თითქო პირობა დაგვეთქვას მტკიცე.
სინამდვილეში არაა ასე,
მაგრამ როდესაც მიხდორში ვწევარ —
შენ გელოდები
და მზე ლამაზად მოძრაობს ცაზე.

* * *

საიდან ისმის, ნეტავ, ჭრიჭინი?
 ან ამ ჭალიდან, ან იმ ნისლიდან!
 მშვენიის ქამარში — გეორგინები
 და მხარზე — მწიფე მზესუმზირები.



ისმის ტაძრიდან რეკვა ზარების.
 არაფერს ითხოვს ეს მათხოვარი...
 საიდან ისმის, ნეტავ, ჭრიჭინი!
 დიახ, აქედან! დიახ, იქიდან!..

* * *

წყაროს ნაპირას დამკვიდრდა მწუხრი.
 ეს დრო, — დრო თეთრი
 ხელთათმანების —
 აქ გავატაროთ, აქ, ამ ბალახზე.
 ვისხდეთ მდუმარედ ცოტახანს ჩვენთვის,
 როგორც შარშანდელს ვერ ნახავ
 ფოთოლს.
 ისე შორეულ სულს ვერ მისწვდები.
 გახსოვდეს, სხვები თუ გებრალეობა,
 შენ საკუთარ თავს ვერ შეიბრალე.

* * *

ბილიკზე გარბის ბაჯბაჯა ბატი.
 ბილიკზე გარბის იმ ბატის ჩრდილიც.
 ბალახზე გარბის ბაჯბაჯა ბატი,
 ბალახზე გარბის იმ ბატის ჩრდილიც.
 ბაჯბაჯა ბატი და მისი ჩრდილი
 გარბიან ერთად, გარბიან ერთად...
 წყალში ქვასავით ჩავარდა ბატი.

ავტოპორტრეტი

აქ შევხვედრივარ სხვა ევეყნიდან
 ჩამოსულ ლუმპენს
 მე ვარ სასტუმრო — ღამის გასათევი უფასო
 მოფრინდებიან ანგელოსები მოფრინდებიან ბუკიოტები
 მე თქვენ ყველას მოგიხვევთ ბილეთს
 შეგიძლიათ გამოიძინოთ
 შვილებო ცისკრის
 შვილებო მწუხრის
 თქვენ ყველანი
 ცარიელი სტომაქის ჰამაკში ირწვევით.

* * *

თაკარა მზის ქვეშ კამკამა წყალზე
 მივსრიალებ და კვამლის გალას ნიავექარს
 რა მოჩილია მდინარის ზვირთი
 გემი ვარ მცირე ნავზე მეტი გემზე ნაკლები
 გაცვეთილი ვარ ვით ბრუნვაში სპილენძის ფული
 გემი ვარ მცირე
 ხიდზე ვდგავარ და ვილიძები
 და საკუთარ თავს ვათვალიერებ
 და თავი მომწონს დახატულ ბორბლით
 მდინარის ზვირთი მონანავე
 წლების მოქცევა მონანავე
 მაგრამ ვარ მაინც მხიარული, რომ ეს მანქანა
 რომ ეს მანქანა ძველებურად ისევე ბრუნავს
 მოიშორო უნდა ეს გრძნობა
 ნუ გეცოდება ის მეორე „მე“
 ხიდქვეშ რომ დგას



* * *

მოფრინდა პეპელა
 გაზაფხულზე დღისით.
 კვდება ვაჟკაცი
 ღექსმა კვდებაო რომ გაიგო
 თვითონ დაშთავრდა
 სარკმლიდან ცეერა
 ამ სარკმელში შემოფრინდა პეპელა
 ფარფატი... დღისით...

მუხის ტოტაბავეზ

მუხის ტოტებქვეშ დახავსებულ, ძველი ურმიდან
 ამოფრთხილდა ბოლოქანქალა.
 დაჯდა, მიმოდის; ნაბიჯი — მარჯვნივ, ორი ნაბიჯი —
 მარცხნივ,
 ეძებს. რაიმე ხომ არ დაკარგა.

დ ი ლ ა

ტელეგრაფის ბოძის წვეროზე ზის და ყიფივებს წყვილი
 ბელურა.
 ურმის კოფოს და შეთვალულ ბადრიჯანს
 მზე მოდგომია. ზიხარ, მნათობს თვალს ვერ უსწორებ.
 კაცი რომ მოდის, გეგონება, სიზმრიდან მოდის.
 წამოდგომაც კი გეზარება.

კრაზანა

კაცი რომ ლექსს წერს, ყურადღების ხდება საგანი,
 ოღონდ მე არ მსურს, გამუდმებით ჩურჩულს ვუხმინო.
 ეს თვითნებობა მეპატიოს — კრაზანას ვგავარ:
 მე გავფრინდები, და ქვეყანაზე მხოლოდ ამ ფრთების ხმები
 დარჩება.

ზაციური შთავი

შეუსვენებლად რალაცას მღერის და ხეკაკუნა გამეტებით
 ურტყამს
 ფულუროს. შენ რომ გიმზერდი, თვალი ცრემლით ამევსო
 ლამის, მიზეზი
 მკითხონ, ხომ ვერაფერს მოვიმიზეზებ...
 ქარის სისინი... მდინარის ჩქამი...

თქმულაზა

იქნებ მისმინო? სიყვარულზე შეთხზულ თქმულებას
 ვკითხულობ — გრძელ და ლამაზ თქმულებას!
 შელამებისას ვითომც ჩიტი მოფრენილიყოს
 ჩამოესვენოს სახურავზე, მთვარის სხივებში მობანავეს
 მე ვკითხულობ გრძელ თქმულებას დანაშაულზე
 მისმენ? და ჩიტმა ამ წყნარ ლამეს
 საკუთარ ფრთებში ჩამალა თავი
 ოა გულსაკლავად ატირდა ჩიტი...

მწერი

მინდორში ამ გზას გაივლი ერთხელ და, რა თქმა უნდა,
 უკანასკნელად
 გადასასვლელზე გადახვალ — გაღმით ბოსტანი და პურის
 ყანები
 ბორცვზე, სკოლაში, ზარები რეკენ
 ხეზე ბუღბუღმა შეიფრთხილა.

ირემი

ეცემა ზურგზე საკუთარი რქების ჩრდილები
და დილით, ტყისპირ, მზეს ქორბუდა უმზერს ირემი,
(ტყის ნიაფს ტყიდან გამოაქვს კელა)
თან ცალი ყურით მდინარის ჩქამს უსმენს ირემი.

მინა

ჭიანჭველა
პეპელას ფრთას მიეზიდება...
ო! —
იახტა ნამდვილი!

პეპელა

პეპელა — თეთრი წიგნი
პეპელა — მსუბუქი წიგნი
იშლება მისით, იხურება მისით,
სუსტი ნიაფი მიაფარფატებს.

სილაში

მოგონება ხარ შენ ჩემი, ზღვის
სილაში ვწევარ, მლაშეა წყალი, ვით მლაშე იყო ოდესმე
ცრემლი...
ტალღა კი ცდილობს, მკერდზე მიყრილი გამომაცალოს მეც
სილა. სილით
ვიმარხავ ფეხებს... კარგია სილა... წამწამზე — წვეთი...
სილაში ძილი...

ტიტა

ზუზუნი ფუტკრის ფრთების
ტიტას ყვავილზე მიწყდა
სიო ატოკებს ტიტას
წითელი ოთახი სტუმარს ეგებება.

ჩამოცვნილი ფოთლები



დაბლა ფოთლები აფენია, ხოლო მალლიდან
 ტოტსა და ტოტსა
 და ფოთოლსა და ფოთოლს შუა
 მოძვრება სხივი — მზეს ნაზამთრალს სხივი რამ თუ აქვს —
 და უცხო ფერში გახვეულა სხეული ძელქვის —
 ბებერი მხრები, ვინრო წელი, ფართო მკერდი, თითები ცელქი —
 ხოლო ღვლარჭნილი ფესვებიდან — ასი ნეკნიდან —
 მაგიდის მსგავსი რალაც შექმნილა,
 იქ კი ფულუროს — ციხეს ნამდვილს — ეცემა ჩრდილის გრძელი
 კედელი
 და რვაკუთხედი ბუდრუგანიდან ზვერავს ტუსალებს მენამული
 ზედამხედველი,
 როგორც იქნა, საღამოსას მორჩა ტუსალებს —
 და ყველაფერს მოულოდნელად დაეუფლა ჩრდილი და ბინდი —
 გამორჩნდა სწორედ ის პეიზაჟი,
 ყველაზე მეტად რომ ვენყობი მთელი ცხოვრება.
 ასი წელია, იქნებ მეტიც, ამ სურათს ვუმზერ,
 და ტოტსა და ტოტს, და ფოთოლსა და ფოთოლს შუა
 მოძვრება სხივი და იფარებს ძელქვა სახეზე უნაზეს ვუალს,
 და მზეს ჩამაფალს ემშვიდობება სხივფენილი ტოტების ქნევით
 ნახვამდის
 ღამენებისა
 შორეული, შორეული წარსულის მხრიდან ამოცურდა ნახევარმთვარე
 ამოცურდნენ მოგონებებიც
 ვინ იცის ბოლოს, ძველისძველი ამ ფულუროდან
 ქვეყანას ისევ მოვევლინო მე — ახალი მე!

სილის ციხე-სიმაგრე

სიმღერა ჩემი — სიმაგრეა სილით ნაგები
 ზღვა მოვარდება
 და პანია ზვირთებით მინგრევს
 სიმღერა ჩემი — სიმაგრეა სილით ნაგები
 ზღვა მოვარდება
 და პანია ზვირთებით მინგრევს
 მე კი იმნამსვე თავიდან ვაგებ
 ვაგებ მაშინვე
 სიმღერა ჩემი — სიმაგრეა სილით ნაგები
 მე მას ვაშენებ უსაზღვრო ზღვის პირისპირ მდგარი
 ჩემი სიმაგრის დაშლა იოლია
 ცისფერი ცის ქვეშ
 ვარვარა მზის ქვეშ

მარტოდმარტო დგას სიმაგრე ჩემი
 დამხმარე ძალის მოშველებას არა აქვს აზრი
 დგას ასე მარტო უმნეო და მიუსაფარი
 სილით ნაგები სიმაგრე ჩემი
 აე მბრძანებელი მე ვარ მხოლოდ
 მე ვარ კაპრალიც მე ვარ ქვეითიც
 არტილერიისტიც მედროშეც და თავად მზვერავიც
 ზოგჯერ თოლია გადაიფრენს
 ყრანტალებს ყვავი
 მე კი ვებრძვი
 ურიცხვ ზღვებს და ოკუპანებს
 და ტალღას ურიცხვს
 მოვა ტალღა და თუთრი ხელებით
 ერთი დარტყმით სიმაგრეს მინგრევს
 სიმღერა ჩემი — სიმაგრეა სილით ნაგები
 ინგრევა სწრაფად შენდება სწრაფად
 სიმაგრე ჩემი — წარმავალი ბრძოლის ველია
 როგორც კი ტალღა მოვარდება და გადარეცხავს
 აღარაფერი აღარ რჩება სიმაგრისაგან
 სიმღერა ჩემი — სიმაგრეა სილით ნაგები.



ჩალენილი ფანჯარა

მიტოვებული სახლის ჩალენილი ფანჯრიდან
 მოჩანს მაისის ზღვა,
 მინის კარს იქით, რომელშიაც არ არის მინა,
 ჩანს მშვენიერი ფიჭვის შუადღე.
 ჩარჩოში მთელ დღეს ლურჯი ტალღის ისმის ტლაშუნი,
 ხანაც — გლისური გასრიალდება,
 და ისე ზუსტად და ბეჯითად ფრინავს თოლია,
 თითქო ურთულეს ამოცანას წყვეტდეს რალაცას.
 თოლიებს იქით ზღვა არის ისევ — ლამაზი, ლურჯი და ცარიელი,
 და ყველაფერი — ზღვაც, ეს თოლიაც და შორეული დასალიერიც —
 სულში მიძვრება უცნაურ ძალით.
 ამოცურდება ზედაპირზე უცებ ვეშაპი.
 კარგად ჩანს მისი შავი ზურგი და შადრევანი,
 და სანამ ვუმზერ დაბნეული, რა უნდა იყოს-მეთქი ნეტავი,
 ჩემს თვალწინ სწორედ იმ ვეშაპივით ამოცურდება მშობლიური
 ჩემი ქალაქი:
 აი, მე ისევ მივაბიჯებ ქვის ძველისძველი შენობის ჩრდილში,
 ბანქს რომ წააგავს.
 შე ჯერ ოციც არ შემსრულებია. მე გადავჭერი მოედანი.
 ახ, ის დღეები აღარასდროს განმეორდება,
 და მოგონებას, კაცმა რომ თქვას, მოგონება არც ეთქმის, ისე

ცხადი ქვეყანა ცოცხლდება თვალწინ!
 რა საოცარი ჩარჩოა მაინც!
 რა დიდებული ფანჯარაა, რამოდენა სამყაროს იტევს!
 ბორცვზე,
 ფიჭვნარში,
 ჩაღწეული ფანჯრის ჩარჩოდან
 მოჩანს მაისის ზღვა და შორი დასალიერი!



ბამბუკის სიმწვანე

ფერი ბამბუკის მწვანე ფერი სხეულში ატანს
 ფერი ბამბუკის მწვანე ფერი ძვლებამდე ატანს
 ო, ეს ბამბუკი!
 ბამბუკის რაყას, ნისლის კვამლი რომ ფარავს მწვანე,
 გადუფრებს მტრედი
 ფრთით გახაზავს სიმწვანეს მისას
 ხოლო მეორე მეორე მხრიდან
 ამოიჭრება და ირიბად გახაზავს სივრცეს
 შეღამებისას ბამბუკის რაყა
 ხასხასებს როგორც ზღვის წყნარი ფსკერი
 თითის წვერებზე ავყოლივარ ბალახებში ჩაკარგულ ბილიკს
 აიმ ბორცვისკენ სულს რომ მუდამ თავისკენ იხმოებს
 მოწყენილია ეს სული და მარტოა იგი
 და სული მხოლოდ ერთზედა ფიქრობს
 ამ სულის ახლო მეგობრები სადღაც შორეთში გადაიკარგენ
 ეს სული თვითონ შორეთიდან არის მოსული ამ პანია ცივი
 ბილიკის და ნაზამთრალი ველის საძებრად
 შრიალებს ნორჩი ბამბუკის რაყა
 თითქოს იდუმალს ჩურჩულებდეს იგი რაიმეს
 ანდა გზა იყოს უბოლოოდ შორს მიმავალი
 ძნელია მისი ხმის გაგონება
 მე მხრებზე მანვეს და მხრით მიმაქვს ამ მხრებზე ტვირთი
 საიდან ისმის ეს ხმა ვინ იცის
 იგი უბრალოდ იბადება როგორც ცირცელი
 და ჩემთან ერთად იკარგება მთლად ჩემსავით მიუსაფარი
 ო, ეს ბამბუკი
 რა წამშიაც დაიბადება
 ფესვით ხვრიტავს მაშინვე მიწას
 და იწყებს შრიალს ისე წყნარად
 უკაცურ გზებზე
 თითქო იდუმალს ჩურჩულებდეს იგი რაიმეს
 ო, ეს ბამბუკი!
 სიმწვანე მისი სხეულში ატანს
 სიმწვანე მისი ძვლებამდე ატანს.

მისილ ბულბაკოვი

თეატრალური რომანი



საქართველოს
ბიზნეს-ბიბლიოთეკა

(განხვენიბულის ჩანაწერები)

რომანი

თარგმნა ბივი კიკილაშვილმა

წინათკმა

მკითხველს ვაუწყებ, რომ ეს ჩანაწერები მე არ შემითხზავს და ხელშიაც ძალზე უცნაურ, სამწუხარო ვითარებაში ჩამივარდა. ვასული წლის გაზაფხულზე კიევში სწორედ იმ დღეს, როცა სერგეი ლეონტიევიჩ მაქსუდოვმა თავი მოიკლა, მის მიერ წინასწარ გამოგზავნილი, ძალზე სქელი ბანდეროლი და წერილი მივიღე.

ბანდეროლში ეს ჩანაწერები აღმოჩნდა, წერილი კი საოცარი შინაარსისა გახლდათ.

სერგეი ლეონტიევიჩი მწერდა, სიცოცხლესთან განშორებისას ამ ჩანაწერებს საჩუქრად შენ, ერთადერთ მეგობარს გიტოვებ, რათა გაასწორო და შენი ხელმოწერით გამოაქვეყნო.

უცნაური სურვილია, მაგრამ სიკვდილის წინ ეს იწება!

სერგეი ლეონტიევიჩის ნათესავებსა და ახლობლებს ერთი წლის მანძილზე დავეძებდი, მაგრამ ამაოდ! სიკვდილის წინ დაწერილ წერილში ტყუილი არ უთქვამს. ამგვეყნად არაფერს დარჩენია.

ამიტომ საჩუქარზე უარს არ ვამბობ.

ახლა მეორე: მკითხველს ვაუწყებ, რომ თვითმკვლელს თავის სიცოცხლეში არც დრამატურგიასთან, არც თეატრებთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია, თავისი დღენი ისე გალია, გაზეთ „სახომალდოს მაცნის“ წვრილფეხა თანამშრომლობას ვერ დაეღწა, ბელეტრისტიკა ერთხელ ცადა და ისიც უიღბლოდ — სერგეი ლეონტიევიჩის რომანი არ დაბეჭდილა.

ამგვარად, მაქსუდოვის ჩანაწერები მისი ფანტაზიის, თანაც, ვაი რომ ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი გახლავთ. სერგეი ლეონტიევიჩს სჭირდა სენი, ძალზე უსიამოვნო სახელი — მელანქოლია რომ ჰქვია.

მე კარგად ვიცნობ მოსკოვის თეატრალურ ცხოვრებას და შემოდღია თავ-
ლებად დავდგე, რომ განსვენებულის ნაწარმოებში მოხსენიებული თეატრები
და ხალხი არ არსებობს და არც არსებულა.

დასასრულ, მესამე და უკანასკნელა: ჩანაწერებზე ჩემი მტყუნებულნი
შემოიფარგლა, რომ დავასათაურე. შემდეგ კი მოვაცილე ეპიგრაფი, მსკრპრე-
ტენციოზული, უმიზნო და უსიამოვნო მეჩვენა.

აი ეს ეპიგრაფი:

„...თითოეულსა, ვიოარცა საქმე მისი იყოს“.

მას გარდა, სასვენი ნიშნები დავუსერ, სადაც აკლდა.

სერგეი ლეონტიევიჩის სტილისთვის ხელი არ მიხლია, თუმცა დაუდევ-
რობის კვალი აშკარად ატყვია. ან კი რა უნდა მოსთხოვო კაცს, ვინც ჩანაწე-
რების დასრულებიდან ორი დღის შემდეგ ჯაჭვის ხიდიდან გადაეშვა.

ამრიგად...

პირველი ნაწილი

თავი I

თავბადასავალთა დასაწყისი

29 აპრილს კოკისპირულმა წვიმამ მოსკოვი განბანა, ჰაერი ამო სურნელით.
აფსო, სული დამიყუჩა და სიცოცხლე მომაწყურა.

ახალ, ნაცრისფერ კოსტიუმსა და საკმაოდ პეწიან პალტოში გამოწყობი-
ლი მივდიოდი მოსკოვის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე იმ ადგილისკენ, სადაც მანამ-
დე არასოდეს ვყოფილვარ. ამის მიზეზი მოულოდნელად მიღებული ბარათი
ვახლდათ, ჯიბეში რომ მედო. აი ისიც:

„ღრმადპატივცემულო
სერგეი ლეონტიევიჩ!“

დიდად მწადია, რომ გაგიცნოთ, აგრეთვე მოგელაპარაკოთ ერთ საიდუმ-
ლო საქმეზე, რამაც უცილოდ უნდა დაგაინტერესოთ.

თუ გეცლებათ, ბედნიერებას მომანიჭება თქვენთან შეხვედრა დამოუკი-
დებელი თეატრის სასწავლო სცენის შენობაში ოთხშაბათს, 4 საათზე.

სალამს გითვლით კ. ილჩინი“.

ბარათი ფანქრით იყო დაწერილი, მარცხენა კუთხეში კი მიბეჭდილი ვახ-
ლდათ:

„ქსავერი ბორისოვიჩ ილჩინი
დამოუკიდებელი თეატრის
სასწავლო სცენის რეჟისორი“.

ილჩინის სახელს თვალი პირველად მოვკარ. არც ის ვიცოდი, სასწავლო

სცენა თუ არსებობდა. დამოუკიდებელი თეატრი გაგონილი მქონდა, ვიცოდი, ერთ-ერთი საუკეთესო თეატრი რომ იყო, მაგრამ იქ არასოდეს ვყოფილვარ.

ბარათმა უსაზღვროდ დამაინტერესა, მით უმეტეს, რომ იმხანად წერილებს საერთოდ არ ვიღებდი. უნდა მოგახსენოთ, რომ გაზეთ „ესპერანდო“ წერილ-ღება თანამშრომელი გახლდით და უბედრო, მაგრამ განსაკუთრებულ ოთახში ვცხოვრობდი მეშვიდე სართულზე, ხომუტოვის ჩინთან მდებარე წითელი კარიბჭის მიდამოებში.

მაშ ასე, მივაბიჯებდი, ცინცხალ ჰაერს ვისუნთქავდი, მოველოდი, რომ წვიმა ისევ დაასხამდა და თან იმაზე ვფიქრობდი. ქსავერი ილჩინმა ამქვეყნად ჩემი არსებობის ამბავი ან საიდან შეიტყო, ან როგორ მომძებნა, ანდა ჩემთან რა საქმე უნდა ჰქონოდა. რამდენსაც არ ვფიქრობდი, მაინც ვერ მივმხვდარე, რა საქმე უნდა ჰქონოდა, და ბოლოს იმ აზრს დავადექი, ოთახის გაცვლა თუ სურს-მეთქი.

რალა თქმა უნდა, აჯობებდა, ილჩინისთვის მიმეწერა, თვითონ მოპრძანდით ჩემთან, რაკილა საქმე თქვენა გაქვთ-მეთქი, მაგრამ მცხვენოდა, ისეთი მოუწყობელი ოთახი მქონდა, თანაც ისეთი მეზობლები მყავდა. საერთოდ, უცნაური კაცი ვარ და ხალხისა, ცოტა არ იყოს, მეშინია. ვთქვათ და ილჩინი ჩემთან მოსულიყო: ხომ დაინახავდა დივანს, გახეული გადასაკრავიდან ზამბარა, რომ ამოსჩროდა, მაგიდის თავზე ნათურას, გაზეთი რომ მქონდა ჩამოფარებული, ოთახში კატა რომ დალასლასებდა, ხოლო სამზარეულოდან ანუშვას ლანძღვა-გინებას გაიგონებდა.

თუჯის ჩუქურთმიან ჭიშკარში შევედი და პატარა დუქანი დავინახე, სადაც ქალარა კაცი სამკერდე ნიშნებს და სათვალის ჩარჩოებს ყიდდა.

დაწრეტილ, მღვრიე ნაკადს გადავახტი და ყვითელი შენობის წინ აღმოვჩნდი. გავიფიქრე, ეს შენობა დიდი, დიდი ხნის წინ არის აშენებული, როცა არც მე და არც ილჩინი ამქვეყნად ჯერ არ ვიყავით-მეთქი.

ოქროსასოებიათი შავი დაფა მკითხველს აუწყებდა, რომ იქ იყო სასწავლო სცენა. შევედი თუ არა, უმაღვე წინ ტანმორჩილი, მოკლეწვერიანი კაცი გადამეღობა, მწვანე ღილ-კილოიანი ქურთუკი რომ ეცვა.

— ვინ გინდათ, მოქალაქევ? — ეკვიანად მკითხა და ხელები ისე გაშალა, თითქოს ქათმის დაქერას აპირებდნო.

— რეჟისორი ილჩინი მინდა ვნახო, — ვუთხარ და თან შევეცადე, ხმა მედიდურად ამეუღერებინა.

კაცი ჩემ თვალწინ საოცრად შეიცვალა, ხელები შარვალზე მიიკრა და ყალბად გამიღიმა.

— ქსავერი ბორისოვიჩი? ამ წუთას, პალტო მიბოძეთ. კალოშები არ გაცვიათ?

პალტო ისე ფრთხილად ჩამომართვა, თითქოს ძვირფასი საეკლესიო შესამოსელი ყოფილიყო.

თუჯის კიბეს ავუყევი. ბარელიეფებზე მუზარადიან მეომართა პროფილები და მათ ქვემოთ მრისხანე მახვილები მოჩანდა, ძველებურ პოლანდიურ ღუმელთა გაპრიანებული სასულეები ოქროსფრად ეღავდა.

შენობა დუმდა, კაციშვილი არსად ჩანდა, მხოლოდ ქურთუკიანი კაცი მოჩანჩალებდა ჩემ უკან. როცა თავს მივატრიალებდი, ვხედავდი, როგორ ცდილობდა მდუმარედ გამოეხატა ჩემ მიმართ ყურადღება, ერთგულება, პატივის-

ცემა, სიყვარული და ჩემი მისვლით გამოწვეული სიხარული. თუმცა უკან მომ-
ღევდა, მაინც მწინამძღვრობდა, იქით მივყავდი, სადაც განმარტოებული, იღუ-
მალეებით მოცული ქსავერი ბორისოვიჩი იღჩინი იმყოფებოდა.

უცებ ჩამოხნელდა, პოლანდიურმა ლუმლებმა მოთეთრებული ჩემი და-
კარგა, წვედიადი უცებ წამოიგრაგნა — ფანჯრებს მიღმა წვედმა წელს დას-
ცხო. კარს ხელი ვკარ, შევედი და ბინდბუნდში ძლივს დავინახე ქსავერი ბორი-
სოვიჩი.

— მაქსუდოვი, — ვუთხარ ღირსეულად.

ამ დროს სადღაც მოსკოვს მიღმა ელვამ ცა გააპო და ფოსფორულმა შუქ-
მა იღჩინი წამით გაანათა.

— თქვენ ბრძანდებით, უძვირფასესო სერგეი ლეონტიევიჩი! — მითხრა
იღჩინმა და ეშმაკურად გამიღიმა.

მერე წელზე ხელი მომხვია და იქით წამიყვანა, სადაც ისეთივე დივანი
მოჩანდა, ოთახში რომ მედგა, — ზამბარაც კი ჩემი დივანივით შუაგულში ჰქონ-
და ამოჩრილი.

კაცმა რომ თქვას, დღემდე არ ვიცი იმ ოთახის დანიშნულება, სადაც ეს
საბედისწერო პაემანი შედგა. რატომ იდგა დივანი? ოთახის კუთხეში, იატაკ-
ზე, რატომ ეგდო დაფლეთილი ნოტები? ან რა უნდოდა ფანჯარაზე პინებიან
სასწორს? რად მიცდიდა იღჩინი იმ ოთახში და არა, ვთქვათ, აედროსგან ჩაბ-
ნელებულ მეზობელ დარბაზში, სადაც სიღრმეში მქრქალად ბზინავდა რო-
იალი?

და, აი, ამ გრგვინვასა და ჰეჰა-ჰუხილში ქსავერი ბორისოვიჩმა ავის მო-
მასწავებლად მითხრა:

— თქვენი რომანი წავიკითხე.

მე შევეკრთი.

საქმე ის გახლავთ...

— ვი 2

ნეპრასთენიის შეტევა

საქმე ის გახლავთ, რომ „სახომალდოში“ ამომკითხველის უბრალო თა-
ნამდებობაზე ვმსახურობდი. ეს თანამდებობა მძულდა და ღამღამობით, ზოგჯერ
გარიჟრაჟამდე, ჩემს მანსარდაში რომანს ვწერდი.

იგი ჩაისახა ერთ ღამეს, როცა სევდიანი სიზმრისგან გულდამძიმებულს
გამომეღვიძა. მესიზმრა მშობლიური ქალაქი, თოვლი, ზამთარი, სამოქალაქო
ომი... თვალწინ ჩამიქროლა უხმო ქარბუქმა, მერე დავინახე ძველი როიალი,
როიალთან კი ის ადამიანები, ამკვეყნად რომ აღარ იყვნენ. სიზმარში სიმარ-
ტოვებ შემაძრწუნა. საკუთარი თავი შეგებრალა და თვალცრემლიანს გამო-
მეღვიძა. მაგიდის ზემოთ ჩამოკიდებული მტვრიანი ნათურა ავანთე. ნათურამ
მოელი ჩემი უბადრუკი ქონება — იაფფასიანი სამელნე, რამდენიმე წიგნი,
ძველი გაზეთების დასტა გაანათა. ზამბარისგან მარცხენა გვერდი მტკიოდა,
გულს შიში ეუფლებოდა. ვიგრძენი, რომ საცაა სული ამომხდებოდა მაგიდას-
თან. სიკვდილის დამამცირებელმა შიშმა ისე გამასაცოდავა, რომ დავიკვნესე.

შეშფოთებით მიმოვიხედე. შემწესა და სიკვდილისგან მხსნელს დავუწყე ძებ-
ნა. შემწე კიდევაც ვიპოვე. ხმადაბლა წამოიკნავლა კატამ, კარგა ხნის წინ ჭაშ-
კართან რომ ვნახე და შევიკედლე. ცხოველი შეშფოთდა, ერთი წამის შემდეგ
იგი უკვე გაზეთებზე იჯდა და თვალბდამრგვალელებული შემტყუბუნდა, მეკით-
ხებოდა — რა მოხდაო?

კვამლისფერ, გაძვალტყავებულ ცხოველს სულაც არ უნდოდა რამე დან-
მართვოდა. მართლაც, ამ ბებერ კატას ვინლა დააბურებდა?

— ეს ნევრასთენიის შეტევაა, — განვუმარტე კატას. — უკვე დამეწყო,
ნელ-ნელა განმეითარდება და გამომხრავს. მაგრამ ჭერ კიდევ შემოიძლია, რომ
ვიცოცხლო.

სახლს ეძინა. ფანჯრიდან გავიხედე. ხუთი სართულის არც ერთ ფანჯარაში
შუქი არ ენთო და მივხვდი, ეს სახლი კი არა, მრავალიარუსიანი ხომალდი
იყო, უმოძრაო შავი ცის ქვეშ რომ მიფრინავდა. მოძრაობაზე ფიქრმა გამამ-
ხიარულა. დავმშვიდდი, კატაც დამშვიდდა და თვალები მილულა.

ასე დავიწყე რომანის წერა. აღვწერე სიზმარეული ქარბუქი. შევეცადე ამე-
წერა, აბაჟურიანი ლამპის ქვეშ როგორ პრიალებდა როიალის გვერდი. ეს
ვერ შევძელი. მაგრამ არ შეემდრკალვარ.

დღისით მხოლოდ ერთ რამეს ვცდილობდი — რაც შეიძლება ნაკლები
ძალა დამეხარჯა იძულებით სამუშაოზე. საქმეს მექანიკურად ვაკეთებდი, ისე,
რომ გულ-გონებას არ მიჰკარებოდა. როგორც კი საშუალება მომეცემოდა,
ვცდილობდი, ავადმყოფობა მომემიზეზებინა და შინ წავსულიყავ. რა თქმა უნდა,
არ მიჭერებდნენ და სიცოცხლე გამიმწარდა, მაგრამ ყველაფერს ვითმენდი და
წერამ თანდათან ჩამითრია. როგორც სულწასული ჭაბუკი პაემანის უამს მოე-
ლის, ისე მოველოდი ლამის პირველ საათს — წყეული ბინა ამ დროს წყნარ-
დებოდა. მაგიდას მივუჭდებოდი... ცნობისმოყვარე კატა გაზეთებზე დასკუბ-
დებოდა, მაგრამ რომანი ძალიან აინტერესებდა და ცდილობდა, გაზეთებიდან
ხელნაწერზე გადმომჭდარიყო. მაშინ ქეჩოში ზელს ჩავავლებდი და თავის აღ-
გილზევე გადავაბრძანებდი.

ერთ ღამეს თავი ავწიე და გავოცდი. ჩემი ხომალდი აღარსად მიფრინავდა,
სახლი ერთ ადგილას იდგა და ირგვლივ სინათლე დამკვიდრებულიყო. ნათურა
აღარაფერს ანათებდა, ამაზრზენად და მომაბეზრებლად ბეუტავდა მხოლოდ.
შუქი ჩავაქრე, საძაგელი ოთახი ალიონის სინათლემ მოიცვა. მოასფალტებულ
ეზოში სხტადასხვაფერი კატები უხმოდ, ქურდულად მიმოდიოდნენ. ფურცელ-
ზე ყოველ ასოს ნათურის გარეშეც გაარჩევდი.

— ღმერთო ჩემო! აპრილი დამდგარა! — შევძახე რატომღაც შეშინე-
ბულმა და მსხვილი ასოებით დავწერე: „დასასრული“.

დასრულდა ზამთარი, დასრულდა ქარბუქი, დასრულდა სიცივე. ზამთრის
მანძილზე ისედაც მცირერიცხოვანი ნაცნობები შემომეფანტა, მთლად ჩამოე-
ფხავდი, რევმატიზმი შემეყარა და ცოტა გავველურდი. მაგრამ წვერს კი ყო-
ველდღე ვიპარსავდი.

კატა ეზოში გავუშვი, მერე ოთახში დავბრუნდი და დავიძინე. ამ ზამთარ-
ში ალბათ პირველად იყო, რომ არაფერი დამსიზმრებია.

რომანს გვარიანი სწორება უნდა. ბევრი ადგილი უნდა გადახაზო, ასო-
ბით სიტყვა შეცვალო. ჭაფა დიდია, მაგრამ აუცილებელი!

მაგრამ ცდუნებამ მძლია და პირველი ექვსი გვერდის გასწორების შემდეგ

ხალხს დაეუბრუნდი. სტუმრები მოვიწვიე, მათ შორის ორი ჟურნალისტი „სახომალდოდან“, ჩემსავით მუშა ხალხი, მათი ცოლები და ორი ლიტერატორი. ერთი — ახალგაზრდა, რომელიც იმით მაოცებდა, რომ წარმოუდგენელი სიმარჯვით წერდა მოთხრობებს, მეორე — ხნიერი, მრავალი რამის მომსწრე კაცი, უფრო ახლო გაცნობისას საშინელი არამზადა რომ განმეცხვებდა ერთ საღამოს რომანის დაახლოებით მეთხედი წავიკითხე.

ცოლები კითხვისგან ისე გამოღვინდნენ, მათ შემყურეს სინდისი მქენჯნიდა. ჟურნალისტები და ლიტერატორები კი გამძლე ხალხი გამოდგა მათი მსჯელობა მეგობრულად გულწრფელი. საკმაოდ მკაცრი და, როგორც ახლა ვხედები, სამართლიანი იყო.

— ენა! — შესძახებდა ხოლმე ლიტერატორი (ვინც არამზადა გამოდგა). — ენაა მთავარი! ენა კი უხეიროა.

მან დიდი ჭიქა არაყი გადაპკრა და სარდინი გადასანსლა. მეორე ჭიქა დაკუსხი. ისიც დალია და ბეხვის ნაჭერი დააყოლა.

— მეტაფორა! — ყვიროდა ლიტერატორი და თან ძეხვს ღეჭავდა.

— დიახ, — თავაზიანად დაუდასტურა ახალგაზრდა ლიტერატორმა. — ენა ღარიბია.

ჟურნალისტებს არათვრი უთქვამთ, მაგრამ თავი თანაგრძნობით დახარეს და დალიეს. ქალებმა არც თავი დახარეს, არც რამე თქვეს, მათთვის სავანგებოდ ნაყიდ პორტვეინს პირიც არ დააკარეს და არაყი გადაპკრეს.

— ღარიბი იქნება, მაშ რა, — იძახდა ხნიერი, — მეტაფორა ძალი კი არ არის, გთხოვთ, ეს ყურად იღოთ! უიმისოდ სიცარიელეა! სიცარიელე! სიცარიელე! დაიხსომეთ, ბიძიკო!

სიტყვა „ბიძიკო“ აშკარად ჩემ მიმართ იყო ნათქვამი. სისხლი გამეყინა.

სტუმრების წასვლისას დავთქვით, რომ ჩემთან ისევე მოვიდოდნენ. ერთი კვირის მერე კიდევ მოვიდნენ. მეორე ულუფა წავიკითხე. იმ საღამოს ხნიერი ლიტერატორმა სრულიად მოულოდნელად და ჩემი ხეობს წინააღმდეგ ჩემთბრუდერმაფტი დალია და ამის მერე „ლეონტიჩს“ შეძახდა.

— ენა უხეიროა! მაგრამ რომანი საინტერესოა. საინტერესოა, ეშმაკს წაუღია შენი თავი და ტანი (ესე იგი, ჩემი). — ყვიროდა ხნიერი და ღუსიას მომზადებულ ლაბას მიირთმევდა.

მესამე საღამოზე ახალი კაცი შემოგვემატა — ისიც ლიტერატორი. ავი სახე მეფისტოფელს უგაედა, მარცხენა თვალი ელამი პკონდა, თანაც გაუპარსავი იყო. მითხრა, რომანი არ ვარგაო, მაგრამ სურვილი გამოთქვა, მეოთხე, ბოლო ნაწილსაც მოვისმენო. მესტუმრა ავრეთვე ვილაც ქმარგაცილებული ქალი და კიდევ ერთი კაცი, ფუტლარში ჩადებული გიტარა რომ მოეტანა. იმ საღამოს ბევრი რამ შევიტყვე სასარგებლო. ჩემი მოკრძალებული „სახომალდოელი“ ამხანაგები მომრავლებულ საზოგადოებას მიეჩვივნენ და თავისი აზრი მათაც გამოთქვეს.

ერთმა თქვა, მეჩვიდმეტე თავი გაკვიანურებულიაო. მეორემ — ვასენკას ხასიათი საკმაოდ არ არის გამოკვეთილიო. ორივე შენიშვნა სამართლიანი გახლდათ.

ბოლო, მეოთხე კითხვა ჩემთან კი არა, ახალგაზრდა ლიტერატორთან შედგა, მოთხრობებს მარჯვედ რომ თხზავდა. იქ უკვე ოცამდე კაცმა მოიყარა თავი. ვაგიცანი ლიტერატორის ბებია. ძალზე სასიამოვნო დედაბერი. ვისაც მხოლოდ

ერთი რამ — შინაარსი გამომეტყველება აუშნოებდა, რატომღაც მთელ საღამოს რომ არ მოსცილებია. ამას გარდა, გადიაც ვხაზე, ხეივანზე რომ ედინა.

რომანის კითხვა დამთავრდა და კატასტროფაც მაშინ მოხდა. ყველა მსმენელმა ერთხმად თქვა, ეს რომანი არ დაიბეჭდება, ცხადია, გაუშვებსო.

ეს სიტყვა პირველად გავიგონე და მაშინღა მოვიხსენიე, რომ რომანის წერისას ერთხელაც არ დავფიქრებულვარ იმაზე, გაუშვებდნენ თუ არა.

დაიწყო ერთმა ქალმა (მერე შევოტყვე, ისიც ქმარგაცილებული ყოფილა).

— მაქსუდოვო, მითხარით, თქვენს რომანს გაუშვებენ? — მკითხა მან.

— არა, არა და არა! — შესძახა ხნიერმა ლიტერატორმა, — არავითარ შემთხვევაში! „გაუშვებან“ ლაპარაკაც ზედმეტია! იოტის ოდენა იმედიც არ უნდა გვქონდეს. შეგიძლია, არ იღვლეო, ბიძაკო, არ გაუშვებენ.

— არ გაუშვებენ! — ერთხმად გამოცხმაურა მაგიდის მოკლე მხარე.

— ენა... — წამოიწყო გიტარისტის ძმამ, მაგრამ ხნიერმა შეაწყვეტინა:

— ეშმაკსაც წაუღია ენა! — შეტყვირა მან და თეფშზე საღათი გადაიღო.

— საქმე ენა არ გახლავთ. კაცმა უხეირო, მაგრამ საინტერესო რომანი დაწერა. დაკვირვებული თვალი გქონია, შე ეშმაკო, ამას ხომ მიგნება უნდა! ნამდვილად არ მოველოდი, მაგრამ!.. შინაარსი!

— ჰოო, შინაარსი...

— სწორედ შინაარსი, — ისე გატყვიროდა ხნიერი, გადია ძილში კრთებოდა. — იცო, რა მოგეთხოვება? არ იცო? ჰოო! საქმეც ეგ არის!

თან თვალს მიბაკუნებდა და თან სვამდა, მერე მომეხვია და გადამკოცნა, თანაც ყვიროდა:

— უსიამოვნო რიდაც ხამდვილად გაქვს, დამიჯერე! კი, კი, დამიჯერე. მაგრამ მიყვარხარ მომკალი და მიყვარხარ! კაი ეშმაკია ეს არამზადა! ენამწარე! ჰა? რას იტყვით? მეოთხე თავს ყურადღება მიაქციეთ? ქალს რას ეუბნება? მაშ-მაშ!

— ჯერ ერთი ეს რა სიტყვებია, — წამოვიწყე მისი მოურიდებლობით შეწყუბებულმა.

— არა, ჯერ ნაკოცე, — ყვიროდა ხნიერი ლიტერატორი, — არ გინდა? მაგაზე ვეტყობა, რა ამხანაგიც ხარ! არა, ძმაო, არც ისეთი მიაშიტი ხარ!

— რა თქმა უნდა, მიაშიტი არ არის! — კვერი დაუკრა ქმარს გაცილებულმა მეორე ქალმა.

— ჯერ ერთი... — კვლავ წამოვიწყე ბრაზმორეულმა, მაგრამ ვინ გაცალა!

— არავითარი ჯერ ერთი! — ყვიროდა ხნიერი, — დოსტოევშინით ხარ გაყდენთილი! დი-ახ! არ გიყვარვარ? კეთილი! არ გიყვარვარ და ნუ გიყვარვარ, ღმერთმა შეგიხდოს, შენგან ეს არ მწყინს, ჩვენ კი ყველას გულწრფელად გვიყვარხარ და სიკეთეს გისურვებთ. — მიმითითა გიტარისტის ძმაზე და კიდევ ერთ უცნობზე, სახელად ევა კაცზე, რომელმაც მოსკლისას მოიბოდიშა დაგვიანების განო და მიზეზიც გვითხრა, ცენტრალურ აბანოში ვიყავით. — პირდაპირ გეტყვი, — განაგრძობდა ხნიერი, — რადგან მიჩვეული ვარ, ყველას პირში ვუთხრა სიმართლე, ლეონტიჩ, ამ რომანით ფეხი არსად მიადგა, უსიამოვნებას გადაეყრები და შენი მეგობრებიც უნდა ვავიტანჯოთ იმის გამო, რომ გაწამდები, ენდე ტემს დიდსა და მწარე გამოცდილებას, მე ცხოვრებას ვიცნობ! აბა, ერთი შეხედეთ, — შესძახა განაწყენებულმა და ხელის ქნევით ყველა მოწმედ მოიბო. — მგელივით არ მიყურებს! ეს არის სკეთის სამაგიერო? ლეონტიჩ! —

ისე შეჰკვივლა, რომ გადია ფარდის იქით სკივრიდან წამოდგა. — გაიგე! გაიგე! შენი რომანის მხატვრული ღირსება არც ისე დიდია (ამ დროს დივნიდან კატარის ნაზი ეღერა მოისმა), რომ მის გამო გილგოთაზე ასვლა ღირდეს. გაიგე!

უკონცხული

— გაიგე და გაიგე, გაიგე და გაიგე! — სასიამოვნო სიმღერა გიტარისტმა.

— ჰოდა, ამას გეტყვი. — ყვიროდა ხნიერი. — ახლა თუ არ გადამოკუნნი, ავდგები და წავალ, მეგობართა წრეს მივატოვებ, რადგან მაწყენინე!

თუმცა ენით გამოუთქმელ ტანჯვას ვგრძნობდი, მაინც ვადავკოცნე. ამ დროს გუნდმა სიმღერა კარგად შეაწყო, ტენორი მოლად ჩატკბა და ნაზად დაიბნა:

— გაიგე და გაიგე...

დრო ვიხელთე, მძიმე ხელნაწერი იდლიაში ამოვიჩარე და ოთახიდან კატასავით გავსხლტი.

თვალეზაწითლებულ-ჩაცრემლილი გადია სამზარეულოში წახრილიყო და წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამდა.

არ ვიცო, რატომ, მანეთიანი გავუწოდე.

— მომწყდით თავიდან... — ბრაზიანად მითხრა ვადიამ და მანეთიანზე ხელი ამიკრა. — ღამის სამი საათია! ეს რა ჯოჯოხეთია!

უცებ შორს გუნდის სიმღერა ნაცნობმა ხმამ გაკვეთა:

— რა იქნა? გაიქცა? არ გაუშვათ! ხედავთ, ამხანაგებო...

მაგრამ მე უკვე გავცდი მუშამბაგადაკრულ კარს და უკანმიუხედავად მოვკურცხლე.

თავი 3

ჩემი თვითგაცვლადობა

— ჰო, ეს საშინელებაა! ვეუბნებოდი საკუთარ თავს ჩემს ოთახში, — ყველაფერი საშინელებაა: ის სალათიც, ვადიაც, ხნიერი ლიტერატორიც, და უფიწყარი „გაიგეც“ და საერთოდ მთელი ჩემი ცხოვრებაც.

ფანჯრებს გარეთ შემოდგომის ჭარი კვნესოდა, აგლუჯილი თუნუქი რახ-რახებდა, მანებზე წვიმა ზოლ-ზოლად მოჩქეფდა. იმ საღამოს, გიტარის ეღერითა და ვადიას ლანაღვით შემკული საღამოს შერე, ბევრი რამ მოხდა, მაგრამ ყოველივე ისეთი საძაგელი იყო, მათი აღწერაც არ მინდა. პირველ ყოვლისა, უმაღ ვიწყე რომანის შემოწმება იმ თვალსაზრისით, გაუშვებდნენ თუ არ გაუშვებდნენ. უბაღო გახდა, რომ არ გაუშვებდნენ, ხნიერი ლიტერატორი სრულიად მართალი გამოდგა. ამაზე ძეტყველებდა, როგორც მეჩვენებოდა, რომანის ყოველი სტრიქონი.

რომანის შემოწმების შერე, რაც ფული გამაჩნდა, მისი ორი ნაწყვეტის გადაბეჭდვაზე დაეხარჯე და ეს ნაწყვეტები ერთ სქელტანიანი ეურნალის რუდაქციაში მივიტანე. ორი კვირის შემდეგ ნაწყვეტები ეკან დაშიბრუნდა, ხელნაწერს კუთხეში წაწერილი ჰქონდა: „არ გამოდგება“, ფრჩხილების დასატრელი მაკრატლით ეს რეზოლუცია წავაკერი. იგივე ნაწყვეტები მეორე სქელ-

ტანიან ჟურნალში შივიტანე და ორი კვირის მერე ზუსტად ისეთივე წარწერით — არ გამოდგებაო — უკან დამიბრუნდა.

ამის შემდეგ კატა მომიკვდა. საკმელს პირს აღარ აკარებდა, კუთხეში იყო მიგდებული და ისე ენაოდა, ლამის გავეგიჟებინე. ამ ყუფილე სამდღეს გასტანა. მეოთხე დღეს კი გვერდზე გადაბრუნებული და გამეშვებულნი დამხვდა.

მეეზოვეს ნიჩაბი გამოვართვი და კატა ჩვენი სახლის უკან უშენ ადგილზე დავმარხე. ამქვეყნად სრულიად მარტოღმარტო დავრჩი, მაგრამ გამოვიტყდებით, გულის სიღრმეში მიხაროდა კიდევ. თურმე რა ტვირთად მაწვა ეს უბედური ცხოველი.

მერე შემოდგომის წვიმები დაიწყო, მხარი და მარცხენა ფეხის მუხლი კვლავ ამტკივდა.

მაგრამ ყველაფერზე ცუდი ის გახლდათ, რომ რომანი არ ვარგოდა, რაკი რომანი არ ვარგოდა, ეს იმას მოასწავებდა, რომ ჩემი აღსასრულიც ახლოვდებოდა.

მთელი სიცოცხლე „სახომალდოში“ მემსახურა? ხომ არ დამცინით!

ყოველდღე თვალედატყეტილი ვიწეჭი წყვილადს ჩამტერებული და ვამეორებდი, ეს საშინელებაა-მეთქი. ვინმეს რომ ეკითხა, „სახომალდოში“ მუშაობის დროიდან რა გახსოვსო, აღალმართლად ვუბასუხებდი, არაფერი-მეთქი.

საკიდართან ტალახიანი კალოშები, საკიდარზე ვილაცის გრძელზე გრძელყურებიანი სველი ქუდი. ეს იყო და ეს.

— საშინელებაა! — გავიმეორე და თან ვუსმენდი, ყურებში როგორ მივუგუნებდა ლამის მღუმარება.

უძილობის შედეგმა ორი კვირის მერე იჩინა თავი.

ტრამვაიში ჩავჯექი და სამოტეჩნაია-სადოვაიასკენ გავწიე, სადაც ერთ-ერთ სახლში, რომლის ნომერს, რა თქმა უნდა, ფრიად საიდუმლოდ შევიხანახავ, ცხოვრობდა კაცი, ვისაც თავისი საქმიანობის გამო იარაღის ტარების უფლება ჰქონდა.

ერთმანეთი რა ვითარებაში გავიცანით, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ბინაში როცა მივედი, ჩემი ნაცნობი დივანზე წამოწოლილი დამხვდა. სანამ იგი სამზარეულოში პრიმუსზე ჩაის გააცხელებდა, მისი საწერი მაგიდის მარცხენა უკრა გამოვწიე და იქიდან ბრაუნინგი ამოვაცოცე, მერე ჩაი დავლიე და წამოვედი.

ასე საღამოს ცხრა საათი აქნებოდა, შინ რომ დავბრუნდი, ყველაფერი ძველებურად დამხვდა. სამზარეულოდან შემწვარი ცხვრის ხორცის სუნი გამოდიოდა, დერეფანში ნიადაგ უცვლელი ბური იდგა, რასაც უკვე მიჩვეული ვიყავ. ამ ბურში ჰერთან ოღნავ ბეჭუტავდა ნათურა. ჩემს ოთახში შევედი. სინათლემ ერთი კი იელვა და ყოველივე უმაღ წყვილადში ჩაიძირა. ნათურა ვადაიწვა.

ყველაფერი თავისი რიგით მიდის და ასედაც უნდა იყოს, — ვთქვი მკაცრად.

ოთახის კუთხეში იატაკზე მდგარი ნავთქურა ივანთე, ქალაღის ფურცელზე დავწერე: „თავად გაუწყებთ, რომ ბრაუნინგი № (ნომერი დამავიწყდა), ვთქვათ, ესა და ეს, მოვპარე პარფენ ივანოვიჩ (დავწერე გვარი, სახლის ნომერი, ქუჩა, ყველაფერი, როგორც წესია)“. ხელი მოვაწერე და ნავთქურასთან იატაკზე დავწექი. საშინელმა შიშმა შემიპყრო. სიკვდილი შემზარავია. მაშინ

წარმოვიდგინე ჩვენი ღერეფანი, ცხვირის ხორცი, დედაბერი პელაგია, ხნიერი ლიტერატორი და „სახომალდო“. გამამხიარულა იმაზე ფიქრმა, ჩემი ოთახის კარს ბრავაბრუგს როგორ აუტეხდნენ და შემოამტვრევდნენ და ა. შ.

ლულა საფეთქელზე მივიდე და სასხლეტს თითი გაჭნიღმავალ მკვლელთა-თუნე. ამ დროს ქვემოდან ძალზე ნაცნობი ხმები შემომესმა, ორკესტრი ახრი-წინდა და გრამოფონში ტენორი ამღერდა:

ღმერთო ყველაფერს თუ დამიბრუნებს?!

„ღმერთო ჩემო! „ფაუსტი“! — გავიფიქრე. — აი, ეს კი მართლაც მისწრე-ბაა, თუმცა მეფისტოფელის გამოსვლას დავუცდი. უკანასკნელად, ველარასო-ღეს გავიგონებ“.

იატაკის ქვემოთ ორკესტრის ხმა ხან მიწყდებოდა, ხან ისევ გაისმოდა, ტე-ნორი კი სულ უფრო ხმამაღლა გაჰკიოდა:

კრულ იყო სიციცხლე, რწმენა და მეცნიერება!

„ახლავე, ახლავე, — გავიფიქრე, — მაინც რა სწრაფად მღერის...“

ტენორმა თავგამეტებით შეჰკივლა, მერე ორკესტრმა იგრიალა.

აკანკალებული თითი სასხლეტს მოვდე და იმავე წამს ბრაზუნმა გამაყრუა, გული თითქოს ჩამწყდა და მომეჩვენა, რომ ნავთქურიდან ალი ქერამდე აიჭრა. რევოლვერი ხელიდან გამივარდა.

ბრაზუნი განმეორდა. ქვემოდან მოგუდული ბანი მოისმა:

— აი, მეც მოვედი!

კარისკენ შევტრიალდი.

თავი 4

დაუნის წვერზე

კარზე აკაკუნებდნენ. მბრძანებლურად, ზედიზედ აკაკუნებდნენ. რევოლ-ვერი შარვლის ჯიბეში ჩავიდე და სუსტი ხმით გავძახე:

— მობრძანდით!

კარი გაიღო და შიშისგან იატაკს მივეყინე. ის იყო, ის, ყოველგვარი ეჭვის გარეშე. ახლა თავს მედგა. ბინდბუნდში თვალი ვკიდე მის სახეს, მბრძანებ-ლურ ცხვირსა და აბურძგნულ წარბებს. ჩოდილები თამაშობდა და მომეჩვენა, რომ კვადრატული ნიკაპის ქვემოთ წაწვეტებული შავი წვერიც მოუჩანდა. ბე-რეტი დარდიმანდულად მოეგდო გვერდზე, თუმცა ფრთა არ ეკეთა.

მოკლედ, ჩემ წინ მეფისტოფელი იდგა. ახლალა შევამჩნიე, რომ პალტო და პრიალა კალოშები ეცვა, ილიაში კი პორტფელი ამოეჩარა. „ბუნებრივია, — მოვისაზრე. — მეოცე საუკუნეა და მოსკოვში სხვანაირად ვერ გაივლიდა“.

— რუდოლფი, — მითხრა ავმა სულმა ბანით კი არა, ტენორით.

თუმცა, შეეძლო, თავი არც გაეცნო. ისედაც ვიცანი. ეს გახლდათ იმ დროის ლიტერატურული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კაცი, ერ-თადერთი კერძო ეურნალის — „სამშობლოს“ რედაქტორ-გამომცემელი ილია ივანოვიჩ რუდოლფი.

იატაკიდან წამოვდექი.

— შუქის ანთება არ შეიძლება? — მკითხა რუდოლფიმ.

— სამწუხაროდ, არა, — ვუპასუხე, — ნათურა გადაიწვა, ანუ ნათურა კი არა მაქვს.

ავმა სულმა, რომელსაც რედაქტორის სახე მიეღო, თავის ურთულეს იაღ ფანდს მიმართა — პორტფელიდან უმაღლეს ელექტრონათურა ამოიღო.

— ნათურები მუდამ თან დაგაქვთ? — გამიკვირდა მე.

— არა, — მკაცრად განმიმარტა, — უბრალო დამთხვევაა — მაღაზიაში ახლახან ვიყავი.

როცა ოთახი განათდა და რუდოლფიმ პალტო გაიხადა, მაგიდიდან ფიცხლად ავიღე ქაღალდის ფურცელი, სადაც ვაღიარებდი, რომ რევოლვერი მოვიპარე, ავმა სულმა კი თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი შეუმჩნევია.

დავსხედით. ერთხანს ვდუმდით.

— თქვენ რომანი დაწერეთ? — მკაცრად მკითხა ბოლოს რუდოლფიმ.

— საიდან იცით?

— ლიკოსპასტოვმა მითხრა.

— იცით რა, — წამოვიწყე მე (ლიკოსპასტოვი სწორედ ის ხნიერი ლიტერატორი გახლდათ), — მე მართლაც... მაგრამ... ერთი სიტყვით, რომანი არ ვარგა.

— ჰოო, — თქვა ავმა სულმა და დაკვირვებით დამაცქერდა.

ახლალა შევამჩნიე, რომ წვერი არ ჰქონდა. ჩრდილთა თამაში ყოფილიყო.

— მაჩვენეთ, — მბრძანებლურად მითხრა რუდოლფიმ.

— არაფრის დიდებით, — ვუპასუხე მე.

— მაჩვენეთ, — დამარცვლა რუდოლფიმ.

— ცენზურა არ გაუშვებს.

— მაჩვენეთ.

— რომანი ხელით არის ნაწერი, თანაც უნდა მოგახსენოთ, სადაგელი ხელი მაქვს, ისე ვჯღაბნი, კაციშვილი ვერაფერს გაარჩევს. პოდა...

ეს ვთქვი და თავადაც ვერ შევამჩნიე, ჩემმა ხელებმა როგორ გამოწიეს უჯრა, სადაც ბედუკულმართი რომანი იდო.

— მე ყოველგვარ ხელნაწერს ნაბეჭდივით ვკითხულობ, — განმიმარტა რუდოლფიმ, — ეს პროფესიული გაწაფულობაა... — და რვეულები მის ხელში აღმოჩნდა.

გავიდა ერთი საათი. მე ნავთქურასთან ვაჭექი და წყალს ვაცხელებდი, რუდოლფი კი რომანს კითხულობდა. თავში უამრავი ფიქრი მიტრიალებდა. ჯერ ერთი, რუდოლფიზე ვფიქრობდი. უნდა მოგახსენოთ, რომ რუდოლფი შესანიშნავი რედაქტორი გახლდათ და მის ეჭრნალში მოხვედრა სასიამოვნოდ და საპატიოდ ითვლებოდა. ამ ამბავს უნდა გავეხარებინე, რედაქტორი თუნდაც მეფისტოფელის სახით რომ გამომეცხადა. მეორე მხრივ, შესაძლო იყო, რომანი არ მოსწონებოდა, ეს კი არასასიამოვნო იქნებოდა... ამას გარდა, ვგრძნობდი, რომ ყველაზე საინტერესო ადგილას შეწყვეტილი თვითმკვლელობა აღარ შედგებოდა და, მაშასადამე, ხვალიდან კვლავ უბედურებათა მორევს უნდა ჩავეთრიე. ამას გარდა, ჩაი უნდა შემეთავაზებინა, კარაქი კი არ მქონდა. მოკლედ, თავში დომხალი მიტრიალებდა, რასაც ტყუილუბრალოდ მოპარული რევოლვერის ამბავიც ერთვოდა.

ამასობაში რუდოლფი გვერდს გვერდზე ნთქავდა, მე კი ამოდ ვცდილობდა, შემეტყუო, რომანი მასზე რა შთაბეჭდილებას ახდენდა, რადგან მახეზე არაფერი ეხატებოდა.

როცა კითხვა შეწყვიტა საოველის მინების გასაწმენდად, მანამდე ნათქვამ სისულელეებს ამ ახტრაქტში ერთი სისულელეც მივუმატე:

— ლიკოსპასტოვიჩა ჩემს რომანზე რა გითხრათ?

— მითხრა, რომანი არაფრად არ ვარგაო, — ცივად მიპასუხა რუდოლფიმ და გვერდი გადაფურცლა. (აი, რა არამზადა გამოდგა ლიკოსპასტოვიჩის იმის ნაცვლად, რომ მეგობარს მხარში ამოსდგომოდა და ა. შ.)

ღამის პირველ საათზე ჩაი დავლიეთ, ხოლო ორ საათზე რუდოლფიმ ბოლო გვერდი ჩაიკითხა.

მე დივანზე ავცმუკდი.

— მაშ ასე, — ჩაილაპარაკა რუდოლფიმ

ერთხანს ვდუმდით.

— ტოლსტოის ბაძავთ, — თქვა რუდოლფიმ.

მე გავბრაზდი.

— მაინც რომელ ტოლსტოის? — ვკითხე გულმოსულმა. — ისინი ბევრნი იყვნენ... ცნობილ მწერალ ალექსეი კონსტანტინოვიჩს, პიოტრ ანდრეევიჩს, საზღვარგარეთ უფლისწული ალექსეი რომ დაიჭირა, ნუმიზმატ ივან ივანოვიჩს თუ ლევ ნიკოლაევიჩს?

— სად სწავლობდით?

პატარა საიდუმლო უნდა გავამელავნო. საქმე ის არის, რომ უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტი მქონდა დამთავრებული და ამას არ ვამხელდი.

— სამრევლო სკოლა დავამთავრე, — ვუპასუხე და ჩავახველე.

— დახე. — თქვა რუდოლფიმ და ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

მერე შემეკითხა:

— წვერს კვირაში რამდენჯერ იპარსავთ?

— შვიდჯერ.

— თუ უკაცრავად არ ვიქნები, — განაგრძო რუდოლფიმ, — ეგებ მითხრათ, როგორ ახერხებთ, თბა ასე რომ გაქვთ გაყოფილი?

— ბრიოლინს ვისვამ. ნება მიბოძეთ გკითხოთ, ასეთი რამ რად გაინტერესებთ...

— ღვთის გულისთვის, — მიპასუხა რუდოლფიმ, — ისე გკითხეთ, — მერე დასძინა: — საინტერესოა. კაცმა სამრევლო სკოლა დაამთავრა, წვერს ყოველდღე იპარსავს და იატაკზე ნავთქურის გვერდით კი წევს. კაცი ასავალ-დასავალს ვერ გაგიგებთ! — მერე ხმა მკვეთრად შეიცვალა და მრისხანედ მითხრა: — თქვენს რომანს მთავლიტი არ გაუშვებს და არავინ დაბეჭდავს, არც „დაფიონი“ და არც „განთიადი“.

— ვიცი, — ვუთხარი მტკიცედ.

— მაგრამ რომანს მაინც გამოგართმევთ, — მკაცრად თქვა რუდოლფიმ (გული წამით გამიჩერდა). — და თბახში (უსაშველოდ მცირე თანხა დაასახელა, დამაფიწყდა, რამდენი) გადაგიხდით. ხვალ მანქანაზე გადაიბეჭდება.

— აქ ხომ ოთხასი გვერდია! — შევძახე ჩახლეჩილი ხმით.

— დავანაწილებ, — მტკიცედ მითხრა რუდოლფიმ, — თორმეტი მეშამქანე ბიუროში ხვალ საღამომდე დაბეჭდავს.

მაშინ კი თავი ვანებე დავა და გადავწყვიტე, რუდოლფი დაემოჩილებოდი.

— თქვენს ხარჯზე გადაიბეჭდება, — განაგრძო რუდოლფი, მე კი მხოლოდ თავს ვუჭნევდი თოჯინასავით. — შემდეგ: უნდა, ანდრეასი სიტყვა — პირველ, სამოცდამეთერთმეტე და სამასმეორე გვერდზე.

რვეულებს გადავხედე და დავინახე, რომ პირველი სიტყვა „ამოკალიფსი“ იყო, მეორე — „მთავარანგელოზები“ და მესამე — „ეშმა“. მორჩილად ამოვშალე; თუმცა კი მინდოდა მეთქვა, ამ სიტყვების ამოშლა გულუბრყვილობაა-მეთქი, მაგრამ რუდოლფის შევხედე და გავჩუმდი.

— შემდეგ, — განაგრძო რუდოლფი, — მთავლიტში უნდა გამომყვეთ. ოღონდ უმორჩილესად გთხოვთ. იქ კრიტიკა არ დაძრათ.

— თუ გგონიათ, ისეთ რამეს ვიტყვი... — მედიდურად წავილულულე განაწყენებულმა, — შემოძლია, სულაც შინ დავრჩე...

რუდოლფის ჩემი აღშფოთება აინუნშიაც არ ჩაუგდია, კვლავ თავისას განაგრძობდა:

— არა, შინ არ დარჩებით მე გამომყვებით.

— იქ რა უნდა ვაკეთო?

— სკამზე იჯდებით, — მითხრა მბრძანებლურად, — და რაც არ უნდა გითხრან, ყველაფერზე თავაზიანი ღამილით უპასუხებთ.

— კი მაგრამ...

— მე ვილაპარაკებ! — დაასრულა რუდოლფი.

მერე ერთი ფურცელი სუფთა ქაღალდი მომთხოვა, ზედ ფანქრით რაღაც დაწერა, როგორც მახსოვს, რამდენიმე მუხლს რომ შეიცავდა, ხელი მოაწერა და მეც მომაწერინა, შემდეგ კიბიდან ორი ტაციონა ქაღალდის ფული ამოიღო. ჩემი რვეულები პორტფელში ჩაიწყო და ოთახიდან გაქრა.

მთელი ღამე არ მიძინია, ოთახში ბოლთას ვცემდი, ფულს შუქზე გავცქეროდი, ცივ ჩაის ვსვამდი და თვალწინ წიგნის მაღაზიების დახლები მედგა. მაღაზიაში უამრავი ხალხი შედიოდა და ეურნალს ითხოვდა. შინ, ლამპების შუქზეც ჩემს რომანს ჩაპკირკიტებდნენ. ზოგი ხმამაღლაც კი კითხულობდა.

ღმერთო ჩემო! რა სისულელეა, რა სისულელეა! მაგრამ მაშინ შედარებით ახალგაზრდა ვიყავი, ამიტომ ნუ დამცინებთ.

თავი 6

არაჩვეულებრივი ამბები

მოპარვა ძნელი არ არის, მოპარულის თავის ადგილზე დადება გახლავთ სათაბალა. ბრაუნინგი ბუდიანად ჯიბეში ჩავიდე და ჩემს მეგობარს ვესტუმრე გულმა რეჩბი მიყო, როცა კართან მისულს მისი ყვირილი შემომესმა:

— დედაჩემო! კიდევ ვინ იყო?...

— წყალსადენის ოსტატი... — ყრუდ გაისმა ახლა დედაძიას დედაბრძოლი ხმა.

— რა მოხდა? — ვკითხე მეგობარს, როცა პალტოს ვიხდიდი.

მან შემომხედა და ჩურჩულით მითხრა:

- დღეს რევოლვერი ამწაპნეს... არამზადებმა...
- ე-ჰე-ჰე, — ვუთხარი მე.
- მოხუცებული დედამისი პატარა ბინაში ჯარასავით ტროლეობდა. დერფენის იატაკზე დაბობლავდა, ყველა კალათი ამოაქოთა.
- დედა! რა სისულელეა! იატაკზე ხობვას თავი გასწებებო!
- დღეს? — ვკითხე გახარებულმა. (ცდებოდა, რევოლვერი გუშინ დაიკარგა, მას კი რატომღაც ეგონა, მაგიდის უჯრაში წუხელაც ვნახეო).
- ვინმე თუ იყო თქვენსა?
- წყალსადენის ოსტატი, — ყვიროდა ჩემი მეგობარი.
- პარფეშა! ის კაბინეტში არ შემოსულა, — გაუბედავად უთხრა დედამ.
- პირდაპირ ონკანთან მივიდა...
- ოჰ, დედაჩემო! დედაჩემო!
- სხვა არავინ ყოფილა? გუშინ ვინ იყო?
- გუშინაც არავინ ყოფილა! მხოლოდ თქვენ მოხვედით, მეტი არავინ. მეგობარმა უცებ თვალები შემომაჭყიტა.
- უკაცრავად, — ვთქვი შე ღირსეულად.
- უჰ, რა ფხუვიანები ხართ ეს ინტელიგენტები! — შესძახა მეგობარმა. — თქვენ კი არ გაბრალებთ, ასეთ რამეს გულშიც არ გავივლებ. და უმაღლ იმის სანახავად გაექანა, წყალსადენის ოსტატი რომელ ონკანთან მივიდაო. დედამისი კი წყალსადენის ოსტატს ბაძავდა, მისი კილოს გადმოცემსაც კი ცდილობდა.
- აი, ასე შემოვიდა, — ამბობდა დედაბერი, — გამარჯობათო, თქვა, ქუდი ჩამოკიდა და შევიდა...
- სად შევიდა?
- დედაბერმა სამზარეულოსკენ წყალსადენის ოსტატივით გააბიჯა. ჩემი მეგობარი უკან გაპყვა. მეც ვიოთმ იმათ მივყევი, მაგრამ უმაღვე კაბინეტისკენ გავუხვიე, ბრაუნინგი მაგიდის მარცხენა კი არა, მარჯვენა უჯრაში ჩავდე და სამზარეულოში შევედი.
- რევოლვერს სად ინახავთ? — თანაგრძობით ვკითხე მეგობარს, როცა კაბინეტში დავბრუნდით.
- მეგობარმა მარცხენა უჯრა გამოსწია და ცარიელი ადგილი მაჩვენა.
- ვერ გაბიჯია, — ვთქვი და მხრები ავიჩეჩე, — მართლაც უცნაური ამბავია. პო, ცხადია, რომ მოუპარავთ.
- ჩემს მეგობარს გუნება მთლად წაუხდა.
- რატომღაც მგონია, რომ მოპარული არ უნდა იყოს, — ვუთხარი ცოტახნის შემდეგ. — თუ არავინ ყოფილა, მაშ ვინღა მოიპარავდა?
- მეგობარი წამოხტა და წინკარში ჩამოკიდებული ძველი მაზარის ჯიბეები მოსინჯა. იქ არაფერი აღმოჩნდა.
- ეტყობა, მოიპარეს, — ვთქვი ჩაფიქრებულმა, — მაშ მილიციაში უნდა განაცხადოთ.
- მეგობარმა ამოიკვნესა.
- იქნებ სადმე სხვა ადგილას ჩადეთ?
- მუდამ ერთსა და იმავე ადგილას ვდებ! — ნერვულად შეჰყვირა ჩემმა მეგობარმა და დასამტკიცებლად მაგიდის შუა უჯრა გამოსწია. მერე რაღაც წაიჩურჩულა. მარცხენა უჯრა გამოსწია და შიგ ხელიც კი ჩაყო, შემდეგ

იმავე მხარეს ქვემოთა უჭრა მოჩხრიცა და ბოლო წყველა სრულვით მარჯვენა უჭრაც გამოხსნა.

— აი სასწაული! — ამოიხრიალა მან და შემომჩერდა. აი/სასწაული... დედა! ვიბოვე!



იმ დღეს არაჩვეულებრივად ბედნიერი იყო და სახალისო მსმტტა.

რაკიდა რევოლვერის ამბავი მოვაგვარე, სინდისს რომ მიმძიმებდა, ფრიად სარისკო ნაბიჯი გადავდგი. — „სახომალდოს მაცნეში“ სამსახური მივატოვე.

იმ დღიდან სულ სხვა სამყაროში გადავსახლდი, რუდოლფისთან დავდიოდი და მწერლებს ვხვდებოდი, რომელთაგან ზოგიერთს უკვე დიდი სახელი მოეხვეჭა. მაგრამ ეს ყველაფერი ჩემს მეხსიერებაში ისე წაიშალა, მოწყენილობის გარდა არაფერი დაუტოვებია, ყოველივე მიმავიწყდა. მხოლოდ ერთ რამის, რუდოლფის გამომცემლის — მაკარ რვაცკისთან ნაცნობობის დავიწყება ვერ შევძელი.

საქმე ის ვახლავთ, რომ რუდოლფის ყველაფერი პქონდა: ჭკუა, გამჭრიახობა, ერთგვარი ერუდიციაც კი. არ გააჩნდა მხოლოდ ფული. მაგრამ თავისი საქმის აზარტული სიყვარული უბიძგებდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სქელტანიანი ქურნალი გამოეცა. ასე მგონია, უამისოდ ვერც გაძლებდა.

ამ მიზეზის გამო ერთ დღეს მოსკოვის ერთ-ერთ ბულვარზე უცნაურ შენობაში მოვხვდი. რუდოლფისგან შევიტყვე, რომ იქ იყო გამომცემელ რვაცკის სამყოფელი. ჯერ იმან გამაოცა, რომ შენობის შესასვლელთან ჩამოკიდებული ფირნიში იტყობინებოდა, აქ ფოტოგრაფიულ მოწყობილობათა ბიუროაო.

კიდევ უფრო გამაოცა იმან, რომ გაზეთის ქაღალდში გახვეული ჩითისა და მაუდის რამდენიმე ნაჭრია გარდა იქ ვერაფერი ვნახე, მთელ შენობაში ფოტოგრაფიული მოწყობილობისათვის თვალი არსად მომიკრავს.

იქაურობა ხალხით იყო სავსე. ყველას პალტო ეცვა და შლაპა ეხურა, ყველანი გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ყური მოვკარი, რომ ორ სიტყვას იმეორებდნენ — მავთული და ქილებიო. ძალიან გავიოცდი, თუმცა მეც ასევე გაოცებულნი შემომყურებდნენ. როცა ვთქვი, საქმე რვაცკისთან მაქვს-მეთქი, უმაღვე დიდის მოწაწებით გამოყვანეს ფანერის ტიხარს იქით, სადაც ჩემმა განცვიფრებამ კიდევ უფრო იმატა.

რვაცკი საწერ მაგიდას უჭდა, წინ კი მთად ედგა ერთიმეორეზე დაწყობილი ჭიჭყინის კოლოფები.

თუმცა თვითონ რვაცკი კიდევ უფრო არ მომეწონა, ვინემ მის გამომცემლობაში დახვავებული ჭიჭყინის კოლოფები. „სახომალდოში“ ბლუზებს მიჩვეულს კაფანდარა, ტანმორჩილი რვაცკი ძალზე უცნაურად ჩაცმული მეჩვენა. სერთუკი და ზოლიანი შარვალი ეცვა, ჭუჭყიანი, გახამებული საყელო და მწვანე პალსტუხი ეკეთა, პალსტუხზე კი ლალის ქინძისთავი ებნია.

რვაცკიმ მე განმაცვიფრა, მე კი რვაცკი შევაშინე, უფრო სწორად, გუნება გავუფუჭე, როცა მოვახსენე, თქვენს ქურნალში ჩემი რომანის დაბეჭდვის თაობაზე ვეაზვლით. ხელშეკრულება უნდა გავაფორმოთ-მეთქი. მაგრამ გონს მაინც მალე მოეგო, ხელშეკრულების ორი პირი გამომართვა, მუდმივი კალამი ამოიღო, ორივეს ხელი ისე მოაწერა. თითქმის არც წაუუკითხავს და ორივე პირი მუდმივ კალამთან ერთად მომაჩერა. მუდმივი კალამი ის იყო მოვიმარჯვე, რომ

უცებ შევხედე კოლოფებს, როლებსაც ეწერა „რჩეული ასტრახანული ჭიჭი-
ნა“. ზედ აგრეთვე ბადე და შარვალაკაბიწებული მებადური ეხატა. შევხედე იმ
კოლოფებს და რაღაც აზრმა გულ-გონება ამიფორიაქა.

— ფულს ახლავე მომცემთ, როგორც ხელშეკრულებაშია წერილი? — კითხე
რვაციკის.

მას ტკბილმა, თავაზიანმა ღიმილმა სახე გაუბადრა. მერე ჩაახველა და მი-
თხრა:

— ზუსტად ორი კვირის შემდეგ, ამჟამად მცირე შეფერხებაა...

მე კალამი დავდე.

— ანდა ერთი კვირის შემდეგ, — სწრაფად დაუმატა რვაციკიმ, — ხელს
რატომ არ აწერთ?

— რახან ასეა, მაშ ხელშეკრულებასაც ხელს მაშინ მოვაწერ, — ვუთხარი
მე, — როცა შეფერხება აღარ იქნება.

რვაციკიმ მწარედ გაიღიმა და თავი გადააქნია.

— არ მენდობით? — მკითხა მან.

— როგორ გეკადრებათ!

— მაშ ოთხშაბათს იყოს! — მითხრა რვაციკიმ. — თუ ხელმოკლედ ბრძან-
დებით.

— სამწუხაროდ, არ შემიძლია.

— მთავარი ხელის მოწერაა, — მარწმუნებდა რვაციკი, — ფული კი შე-
საძლოა, სამშაბათსაც მოგცეთ.

— სამწუხაროდ, არ შემიძლია, — გავიმეორე, ხელშეკრულებები უკან
გავაცურე და ღილი შევიკარი.

— ერთ წუთს მოიცადეთ, ოპ, რანაირი ყოფილხართ! — შესძახა რვაცი-
კიმ. — თანაც ამბობენ, მწერლები პრაქტიკული ხალხი არ არიან.

უცებ ფერმკრთალი სახე დაუსევდიანდა და შეშფოთებით მიმოიხედა.
მაგრამ ამ დროს ვიღაც ახალგაზრდა კაცმა შემოირბინა და რვაციკის თეთრ ქა-
ღალდებში შეხვეული მუყაოს პატარა ბილეთი მიაწოდა. „პლაცკარტის ბილე-
თია, — გავიფიქრე, — სადღაც მიემგზავრება“...

გამომცემელს ლოყები წამოუწითლდა, თვალები აუელვარდა. ამას კი მიი-
გან არაფრით არ მოველოდი.

მოკლედ რომ ვთქვათ, რვაციკიმ ხელშეკრულებაში მითითებული თანხა
ნომცა, დანარჩენებზე კი თამასუქები დამიწერა. ჩემს სახელზე დაწერილი თა-
მასუქები სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად მეჭირა (თამასუქის ქა-
ღალდების მოსატანად სადღაც გაიქცნენ, მე კი ამასობაში რაღაც ყუთებზე
ვიჩქეი, საიდანაც საჩექმე ტყავია მძაფრი სუნი ამოდიოდა). დიდად ნასიამოვნ-
ებები ვიყავი, თამასუქები რომ მქონდა.

შემდგომი ორი თვე მეხსიერებიდან ამომეშალა. მხოლოდ ის მახსოვს,
რედოლფის აღშფოთებულმა რომ ვუთხარი, რვაციკისთანა კაცთან რად გამე-
ზიგნეთ, როგორ შეიძლება, გამომცემელს ამღვრეული თვალები ჰქონდეს და
ლალის ქინძისთავი ეკეთოს-მეთქი. მახსოვს, გულმა რეჩხი როგორ მიყო, რო-
ცა რედოლფიმ მითხრა, თამასუქები მაჩვენეო და, როგორ დავწყყნარდი, როცა
ქილებში გამოსტრა, ყველაფერი რიგზეაო. არც ის დამავიწყდება არასოდეს,
პირველ თამასუქზე ფულის ასაღებად რომ მივედი, ჭერ იყო და „ფოტოგრა-
ფიულ მოწყობილობათა ბიუროს“ ფირნიში ველარსად ვნახე. მის მაგივრად
ახლა „სამედიცინო ქილების“ ფირნიში ეკიდა.

— მაკარ ბორისოვიჩ რვაცკის ნახვა მინდა, — ვთქვი, როცა შიგნით შევედი.

კარგად მახსოვს, როგორ მომეკვეთა მუხლები, როცა მიპასუხეს, მ. რვაცკი... საზღვარგარეთ გახლავთო.



ოპ. გულო, ჩემო გულო!.. თუმცა ამას ახლა რაღას მინდა აქვს.

ისევ მოკლედ მოგახსებთ: ფანერის ტიხარს იქით რვაცკის ამა იჯდა (რვაცკიმ ჩემს ხელშეკრულებას ხელი მოაწერა თუ არა, ათი წუთის შემდეგ თურმე საზღვარგარეთ გაემგზავრა — პლაცკარტის ბილეთი ხომ გახსოვთ?) თავისი ძმის სრულიად საპირისპირო გარეგნობის ალოიზი რვაცკიმ, ათლეტური აღნაგობის მქონე, თვალბშეშუპებულმა კაცმა თამასუქში აღნიშნული თანხა გადამიხადა.

თავბედს ვიწყევლიდი, როცა ერთი თვის შემდეგ მეორე თამასუქი უკვე რომელიღაც ოფიციალურ დაწესებულებაში გამინალდეს, სადაც თამასუქები თურმე გასაპროტესტებლად მიდიოდა (სანოტარო კანტორა იყო თუ ბანკი, სარკმლებს გისოსები ჰქონდა).

მესამე თამასუქის განაღდებად კი ჰკუთვნის ვისწავლე, მეორე რვაცკისთან ვადამდე ორი კვირით ადრე მივედი და ვუთხარე, დავილაღე-მეთქი.

რვაცკის პირქუშმა ძმამ პირველად ახლა შემომხედა და ჩაიბურტყუნა:

— გასაგებია, კი მაგრამ, ვადას რატომ უნდა უცადოთ? შეგიძლიათ, ახლავე მიიღოთ.

რვაასი მანეთის მაგივრად ოთხასი მაგილე და გულზე მომეშვა, როცა რვაცკის ორი მოგრძო ქალაღი გავუწოდე.

ოპ, რუდოლფი, რუდოლფი! მადლობას გიხდით ჯერ მაკარისა და მეორე ალოიზის გამოც.

თუმცა ნუ ავჩქარდებით, შემდეგ უფრო უარესი იქნება.

ისე კი, პალტო ვიყიდე.

ბოლოს დადგა დღე, როცა საშინელ ყინვაში იმავე შენობას ვესტუმრე. საღამო იყო. ასსანთლიანი ნათურა თვალს აუტანლად ჭრიდა. ფანერის ტიხარს იქით, ნათურის ქვეშ არც ერთი რვაცკი აღარ ჩანდა (განა საჭიროა იმის თქმა, რომ მეორეც გაემგზავრა). იმ ნათურის ქვეშ რუდოლფი იჯდა. პალტოც არ გაეჩადა. წინ კი, მაგიდაზე, ახლახან დაბეჭდილი მორუხო-მოცისფრო ჟურნალები ეწყო. ჟურნალები ელაგა იატაკზე და მაგიდის ქვეშაც. ჰოი, რა წამი დამიდგამ ახლა მეცინება, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა ვახლდით.

რუდოლფის თვალები უბრწყინავდა. უნდა ითქვას, რომ თავისი საქმე უკვარდა. ჰემმარიტი რედაქტორი ვახლდათ.

მოსკოვში, რა თქმა უნდა, თქვენც შეგხვედრიათ იმ ჯურის ახალგაზრდა კაცები. ახალი ნომრის გამოსვლისას ჟურნალების რედაქციებში რომ ტრიალებენ, თუმცა მწერლები არ არიან. ყოველი თეატრის გენერალურ რეპეტიციებს ესწრებიან, მსახიობები კი არ ბრძანდებიან. თავად არ ხატავენ, მაგრამ მხატვართა გამოფენებზე დადიან. ოპერის პრიმადოხებს გვარით კი არა, სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებენ. სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებენ იმათაც, ვისაც საპასუხისმგებლო თანამდებობები უკავიათ, თუმცა პირადად არ იცნობენ. დიდა თეატრის პრემიერაზე მეშვიდე და მერვე რიგებს შორის გზას მიიკვლევენ და ბელეტრაჟში ვიღაცას ხელის ქნევით ესალმებიან, „მეტრო-

პოლში“ შადრევნის გვერდით უსხედას მაგიდას და მრავალფეროვანი განიერტოტებიან შარვლებს უნათებთ.

ერთ-ერთი მათგანი ახლა რუდოლფის წინ ეჭდა.

— აბა, ახალი ნომერი თუ მოგეწონათ? — ჰკითხა ახალგაზრდა კაცს.

— ილია ივანიჩ! — გრძობამორევით შესძახა ახალგაზრდა კაცმა, თან ხელში ჟურნალს ატრიალებდა, — საუცხოო ჟურნალია, მაგრამ, ილია ივანიჩ, ნება მიბოძეთ, სრულიად გულწრფელად ვითხრათ. ჩვენ, თქვენს მკითხველებს არ გვესმის, ასეთი გემოვნების კაცმა მაქსუდოვის რომანი როგორ გამოაქვეყნეთ.

„აი ოინა!“ — გავიფიქრე და სისხლი გამეყინა.

მაგრამ რუდოლფიმ თვალი შეთქმულივით ჩამიჭრა და ახალგაზრდა კაცს ჰკითხა:

— ვითომ რატომ?

— მომიტევეთ! — შესძახა ახალგაზრდა კაცმა. — ჯერ ერთი... ილია ივანოვიჩ, ნებას მომცემთ, გულახდილად ვითხრათ?

— ბრძანეთ, ბრძანეთ, — უთხრა საბეგაბრწყინებულმა რუდოლფიმ.

— ჯერ ერთი, ეს ელემენტარული უწიგნურობაა... შემძლია, ოცი ადგილი გაჩვენოთ. სადაც უხეში სინტაქსური შეცდომებია.

„ახლავე უნდა გადავიკითხო“. — გავიფიქრე გულშეკუმშულმა.

— ახლა სტილი! — ყვიროდა ახალგაზრდა კაცი. — ღმერთო ჩემო, რა საშინელი სტილია! ამას გარდა, ეს ყოველივე ეკლექტიკურია, მიმბაძველობაა, უსუსურია, იაფფასიანი ფილოსოფიაა, ზედაპირულია... უხეირო და უსახურია, ილია ივანოვიჩ! ამას გარდა, იგი ბაძავს...

— ვის? — ჰკითხა რუდოლფიმ.

— ავერჩენკოს! — შესძახა ახალგაზრდა კაცმა, თან ჟურნალს ფურცლაგდა და ერთმანეთზე შეწებებულ გვერდებს თითით ხევდა. — დიახ, დიახ, ავერჩენკოს! ახლავე გაჩვენებთ. — ახალგაზრდა კაცი ჟურნალის ქექვას მოჰყვა, მე კი ბატონით წავიგრძელე კისერი და ხელებზე დავაცქერდი. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ იპოვა, რასაც ეძებდა.

შინ ვიპოვი-მეთქი. — გავიფიქრე.

— შინ ვიპოვი, — აღუთქვა ახალგაზრდა კაცმა რუდოლფის, — ილია ივანოვიჩ, ღმერთმანი, ჟურნალი დამახინჯდა. ის ხომ უბრალოდ უწიგნურია! ვინ არის? სად სწავლობდა?

— ამბობს, სამრევლო სკოლა დავამთავრეო, — უპასუხა თვალებგაბრწყინებულმა რუდოლფიმ, — თუმცა თავად ჰკითხეთ, გთხოვთ გაიცნოთ.

ახალგაზრდა კაცს ლოყებზე ობის ფერი დაედო, თვალეში კი ენით უთქმელი შეძრწუნება ჩაუდგა.

მე თავი დავუკარი, მან კი კბილები გაკრიჭა. სანდომიანი სახე წუხილისგან დაემანჭა: მერე ამოიგმინა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო. იმავე წამს ლოყაზე სისხლი ჩამოედინა. ეს რომ დავინახე, გავშეშდი.

— რა დაგემართათ? — შეჰყვირა რუდოლფიმ.

— ლურსმანი მეჩხვლიტა. — უპასუხა ახალგაზრდა კაცმა.

— მე წავალ. — ძლივს ამოვიღულულულე, ვცდილობდი, ახალგაზრდა კაცისთვის არ შემეხედა.

— ჟურნალები წაიღეთ.

საავტორო ცალეების დასტა ავიღე. რულოლფის ხელს ჩემი პოეტი და ახალგაზრდა კაცს თავი დავუყარი მას ცხვირსახოცი ლოყიდან არ მოუშორებია. ჟურნალი და ჟობი იატაკზე დაუცვივდა. გასასვლელისკენ მივუვიღე წავედი. მაგიდას იდაყვი გავეკარ და გარეთ გავედი.

უბნად, სანაფვისხეოდ ბარდნიდა.

არ ღირს იმის აღწერა. ჟურნალს მთელი ღამე როგორ ვუჯექი და რომანს ადგილ-ადგილ ვკითხულობდი ის კი სათქმელია. რომანი ერთ წამს რომ მომწონდა, მეორე წამს საძაგლად მეჩვენებოდა. ხოლო დილას უკვე ძრწოლას მგვრიდა.

შემდგომი დღის ამბები დიახაც სამახსოვროა. დილას მარჯვედ ვაქურდული მეგობარი მესტუმრა და რომანის ერთი ცალი ვაჩუქე. საღამოს კი წვეულებაზე წავედი. რომელიც მწერალთა ჯგუფმა მოაწყო დიდად მნიშვნელოვან ამბავთან — სახელგანთქმული ლიტერატორის იზმაილ ალექსანდროვიჩ ბონდარევსკის უცხოეთიდან მშვიდობით დაბრუნებასთან დაკავშირებით. ზეიმულდღერსა მატებდა ისიც, რომ ერთდროულად უნდა აღენიშნათ მეორე სახელგანთქმული ლიტერატორის, ევორ აგაპოხოვის სამშობლოში დაბრუნება ჩინეთში მოგზაურობის შემდეგ.

ტანსაცმელს როცა ვიცვამდი და შაშინაც, როცა წვეულებაზე მივდიოდი, დიდად ვიყავ ალგზნებული. რაც არ უნდა იყოს, ეს ის ახალი სამყარო გახლდათ, რომლისკენაც ვისწრაფოდი ახლა ვიხალავდი ამ სამყაროს, თანაც მის საუკეთესო ნაწილს — წვეულებაზე იქნებოდნენ ლიტერატურის უპირველესი წარმომადგენელი, რჩეულზე რჩეულნი.

მართლაც, ბინაში ფეხი შევდგი თუ არა, სიხარულის მოზღვავება ვიგრძენ.

პირველად თვალში სწორედ ის ახალგაზრდა კაცი მეცა, გუშინ ყური ლურსმნით რომ გაიჩხვლიტა, უმაღვე ვიცანი, თუმცა პირისახე ერთიანად ახალი მარლას ბანდით ჰქონდა შეხვეული.

ისე გაუხარდა ჩემი დანახვა, თითქოს ახლობელი ვყოფილიყავ, ხელს დიდხანს მართმევდა, თან მეუბნებოდა, მთელი ღამე თქვენს რომანს ვკითხულობდი და თანდათან მომწონსო.


— მეც მთელი ღამე ვკითხულობდი. — ვუთხარი პასუხად. — მაგრამ აღარ მომწონს.

ჩვენ გულთბილად ვისაუბრეთ, ამასთან ერთად ახალგაზრდა კაცმა შემატყობინა, ვახშმად ლაბიანი თართი იქნებოდა, საერთოდ მნიარული და ალგზნებული ჩანდა.

ახალმა სამყარომ კარი გამიღო, თვალი მოვაველე ამ სამყაროს და მომეწონა. უხარმაზარ ბინაში სუფრა დაახლოებით ოცდახუთ კაცზე იქნებოდა გაშლილი: ბროლი სხივებს აფრქვევდა; შავ ხიზილალასაც კი ნაპერწკლები სცვიოდა; მწვანე შუშა კიტრები რატომღაც მოსულელთ-მხიარულ აზრებს ბადებდა პიკნიკებზე, დიდებაზე, თუ სხვასა და სხვაზე, მყისვე გამაცნეს ფრიად ცნობილი ავტორი, ლესოსეკოვი და ნოველისტი ტუნსკი. ქალები ცოტანი იყვნენ, მაგრამ მაინც იყვნენ.

ლიკოსპასტოვს თავი ისე ეჭირა, ჩირგვში განაბული კერძოვლი გეგონებოდათ და უმაღვე ვიგრძენ, ავი სხვეებზე დაბალი ჩანგისა უნდა ყოფილიყო, მისი შეღარება დამწყებ მწერალ ქერაკულულებიან ლესოსეკოვთანაც კი არ შე-

იძლებოდა, აგაპიონოვზე ანდა იზმაილ ალექსანდროვიჩზე რომ ახრადგერი ვთქვათ.



ლიკოსპასტოვმა ჩემამდე გზა გამოიკვლია და ერთმანეთს მივესალმეთ.

— რას იზამ, — რატომღაც ამოთხვრით თქვა ლიკოსპასტოვმა მთელი მოძოლოცავს. მთელი სულითა და გულით გილოცავ. პირდაპირ გეტყვი, შობერ-ხებული კაცი ყოფილხარ, ძმობილო. თავს მოვიჭრიდი, რომ შენი რომანის დაბეჭდვა არ შეიძლებოდა, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. რუდოლფის რა მოუხერხე, აზრზე ვერ მოვსულვარ. მაგრამ ერთ რამეს კი გიწინასწარმეტყველებ, რომ შორს წახვალ! კაცმა, რომ შემოგხედოს, თითქოს ჩუმი კაცი ხარ... მაგრამ კარგი ჩუმჩუმელა...

ამ დროს დერეფანში ზარის ხმამაღალი წკრიალი გაისმა და ლიკოსპასტოვს მოლოცვა შეაწყვეტინა. მასპინძლის მოვალეობის შემსრულებელმა, კრიტიკოსმა კონკინმა (წვეულება მის ბინაში მოეწყო) შეჰყვირა:

— ის არის!

მართლაც, იზმაილ ალექსანდროვიჩი მობრძანებულიყო. დერეფანში ომახიანი ხმა გაისმა, მერე მტლაშამტლუშიც მოჰყვა და სასადილო ოთახში ტანმორჩილი, ცელულოიდიის საყულოიანი და ქურთუკიანი მოქალაქე შემოვიდა. შემკრთალი, წყნარი, თავაზიანი ჩანდა, ხავერდის არწიიანი ქუდი ხელში ეჭირა. დერეფანში რატომღაც არ დაეტოვებინა. ქუდს სამოქალაქო კოკარდის მრგვალი, მტვრიანი ნაკვალევი აჩნდა.

„უკაცრავად, აქ რაღაც შეცდომაა...“ — გავიფიქრე მე, შემოსული კაცის გარეგნობა ისე არ უთავსდებოდა გულიან ხარხარსა და სიტყვ „ღვეზელას“. წინკარიდან რომ მოისმა.

მართლაც, შეცდომა ყოფილიყო. ტანმორჩილი კაცის კვ. ფაკვალ კონკინმა სასადილო ოთახში მაღალი, ტანსრული, ლამაზი კაცი შემოიყვანა, ქერა, ზუჭუჭი, სალუჭი წვერი და დავარცხნილი კულულები რომ ჰქონდა. კონკინს მისთვის წელზე ხელი ნაზად შემოეხვია.

სტუმართა შორის მყოფი ბელეტრისტი ფიალკოვი, ვისზედაც რუდოლფიმ ჩამჩურჩულა, წინ სწრაფად მიაწევსო, საუცხოოდ იყო ჩაცმული (საერთოდ, ყველას კარგად ეცვა). მაგრამ ფიალკოვის კოსტიუმის შედარებაც კი არ შეიძლებოდა იზმაილ ალექსანდროვიჩის ჩაცმულობასთან. იზმაილ ალექსანდროვიჩის მოყვანილ, მაგრამ ოდნავ შესუქებულ ტანს საუკეთესო პარიზული აერძის ხელით უძვირფასესი ქსოვილსგან შეკერილი ყავისფერი კოსტიუმი ამშვენებდა. გახამებული პერანგი, ლაქის ფეხსაცმელი და ამეთვისტოს საკინძებიც ძალზე უხდებოდა. სუფთა, ქათქათა, ხალისიანი, მხიარული, გულხალვათი გახლდათ იზმაილ ალექსანდროვიჩი, როცა სანადიმო სუფრას თვალი გადაავლო. კბილები გააელვა და შესძახა:

— ჰაიტ! თქვე ეშმაკის კერძებო!

უმაღვე იფეთქა სიცილმა, ტაშმა... მერე კოცნის ხმაც გაისმა. იზმაილ ალექსანდროვიჩი ზოგს ხელს ართმევდა, ზოგს ეხვეოდა და ორივე ლოყაზე კოცნიდა, ზოგისგან ხუმრობით პირს მიიბრუნებდა და სახეზე თეთრ ხელს იფარებდა, ვითომ მზემ თვალი მომჭრაო, თანაც ფრუტუნებდა.

მე კი სამჯერ მაკოცა, ალბათ კილაცაში ავერიე. თანაც კონიაკის, ოდეკოლონის და სიგარის სუნე მათრქვია.

— ბაკლაყანოვი გახლავთ! — შეჰყვირა იზმაილ ალექსანდროვიჩმა და პირ-

ველად შემოსულ კაცზე მიგვიითია. — გთხოვთ გაიცნოთ. ჩემი მეგობარი ბაკ-
ლაყანოვი.

ბაკლაყანოვმა ტანჯულად გაიღიმა, უცხო, მრავალრიცხოვანმა საზოგადო-
ებამ დააბნია და თავისი ქუდი ქალის შოკოლადისფერ ქანდაკებას ჩამოახურა,
რომელსაც ხელში ელექტრონათურა ეჭარა.

— თან გამოვიყოლე! — განაგრძობდა იზმაილ ალექსანდროვიჩი. — შინ
ჯდომას რას გამორჩებდა. იცნობდეთ. საუცხოო ყმაწვილი და უდიდესი ერუ-
დიტია. ჩემი ნათქვამი დაიხსომეთ, ერთი წელიც არ გავა, ყველას ჯიბეში ჩავ-
ვისვამს! ბაკლაყანოვო, ეგ ქუდი მაგ ქანდაკებას რა ეშმაკად ჩამოაფხატე?

ბაკლაყანოვი ლამის დაიწვა სირცხვილსგან, შეეცადა დამხვდურებს მი-
სალმებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ამ დროს სუფრასთან დასხდომის
ალიაქოთი ატყდა და უმაღლ ფუმფულა, პრიალა ღვეზელი ჩამოატარეს.

ლხინი ერთბაშად გაჩაღდა, ყველა განალიხდა.

— ღვეზელამ გვაცდუნა! — მესმოდა იზმაილ ალექსანდროვიჩის ხმა. —
ბაკლაყანოვო, რა ძალა გვედგა, ის ღვეზელა რომ ვჭამეთ?

სმენას ატკბობდა ბროლის წკარუნი, მომეჩვენა, რომ ქალშიც სინათლემ
იმატა. მესამე ჭიქის შემდეგ ყველამ მზერა იზმაილ ალექსანდროვიჩს მიაპყრო.
გაისმა თხოვნა: „პარიზის ამბები მოყევით! პარიზის ამბები!“

— აი, მაგალითად, ავტომობილების გამოფენაზე ვიყავით. — ჰყვებოდა
იზმაილ ალექსანდროვიჩი, — გამოფენა გაიხსნა, როგორც წესი და რიგია, მი-
ნისტრი, ჟურნალისტები, სიტყვებით გამოდიან... ჟურნალისტებს შორის კი ის
გაიძვერა კონდიუქოვი საშკა დგას. ფრანგი, რა თქმა უნდა, სიტყვას ამბობს...
სახელდახელოს... შამპანურიც იყო, რასაკვირველია. მაგრამ რას ვხედავ —
კონდიუქოვი ლოყებსა ბერავს. თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარიტ, რომ
ამოარწყია! იქვე ქალები არიან, მინისტრი! იმ მამაძაღლმა კი!... ახლაც ვერ
მოვსულვარ აზრზე, რა ღმერთი გაუწყრა! კოლოსალური სკანდალი მოხდა.
მინისტრმა, რაღა თქმა უნდა, თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერაფერი შეამჩნია,
მაგრამ მოდი და ნუ შეამჩნევ... ფრაკი, შაპოკლიაკი, შარვალი ათასი ფრანკი
ელირებოდა. ჰოდა, ერთიანად ამოვსვარა... საშკა გაიყვანეს, წყალი დაალევინეს,
გაისტუმრეს...

— კიდევ! კიდევ! — ყვიროდნენ თანამესუფრენი.

ამ დროს თეთრწინსაფრიაანმა მოახლემ თართი ჩამოატარა. ჭიქების წკა-
რუნმა და ხმაურმა იმატა. მე კი საოცრად მინდოდა, პარიზის ამბები გამეგონა
და იმ წკარუნსა, ბრაგუნსა და ყრიაშულში ყურდაცქვეტილი ვიჭერდი იზმა-
ილ ალექსანდროვიჩის მონათხრობს.

— ბაკლაყანოვო! რატომ არ ჭამ?...

— შემდეგ! გახოვთ! — ყვიროდა ახალგაზრდა კაცი, თანაც ტაშს უა-
რავდა...

— მერე რა მოხდა?

— ჰო, მერე ეს ორი თაღლითი ერთმანეთს შან-ზელიზეზე პირისპირ შე-
ეჯახა... რა სანახაობა იყო! იმან გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ არამზა-
და კატკინმა არც აცივა, არც აცხელა და პირდაპირ სიფათში შეაფურთხა!..

— ოჰ-ოჰ-ოჰ!

— მაშ... ბაკლაყანოვო! ნუ გძინავს, შე ეშმაკის კერძო!.. ჰოდა, იმ გალა-

რეულმა ვერ მოზომა, ააცდინა და ქალს მოახვედრა. სრულიად უცხო ქალს. ზედ შლაპაზე...

— შან-ზელიზეზე?!

— დიდი ამბავი! იქ ეს სულ უბრალო რამაა! იმ ქალს კბისებში მისი ტან-კიანი შლაპა ეხურა, რაღა თქმა უნდა, ვილაც ბატონმა იმ გადარეულს ცხვირ-პირში ჭობი უთავაზა... საშინელი სკანდალი იყო!

ამ დროს კუთხეში ჰაბანი გაისმა და ჩემ წინ, ვიწრო ბოკალში ყვითელი აბრაუ აკიაფდა... მახსოვს, იზმაილ ალექსანდროვიჩის სადღეგრძელო დაილია.

მერე ისევ პარიზულ ამბებს ვისმენდი.

— არც კი შერცხვია, ისე უთხრა, რამდენიო? იმან კი... იმ თაღლითმა! (იზმაილ ალექსანდროვიჩმა თვალები მოჭუტა) უთხრა, რვა ათასიო! ამან უბა-სუხა, მიიღეთო! ზელი ჯიბიდან ამოიღო და ბრაწი უჩვენა!

— გრანდ-ოპერაში?!

— დიდი ამბავი! ფეხებზე არ ჰკიდია გრანდ-ოპერა! მეორე რიგში ორი მაწისტრი იჯდა.

— იმან? იმან რაღა უთხრა? — ხარხარით ჰკითხა ვილაცამ.

— დედა აგინა, რაღა თქმა უნდა!

— ღმერთო ჩემო!

— ჰოდა, ორივე გაიყვანეს, იქ ეს სულ უბრალო რამაა...

ლხინი უფრო და უფრო გახუროდა. მაგიდის ზემოთ კვამლი უკვე ფენა-ფენად დაცურავდა. ფეხქვეშ რაღაც რბილი და ლიპი ვიგრძენი. დავინახე და დავინახე, თურმე ორაგულის ნაჭერი ყოფილიყო. ეს კი არ ვიცი, ჩემ ფეხ-ქვეშ რანაირად აღმოჩნდა. იზმაილ ალექსანდროვიჩის ხმას ხარხარი ახშობდა, ისე რომ, საოკარი პარიზული ამბები ველარ მოვისმინე.

უცხოეთის ცხოვრების საოცრებებზე რიგიანად დაფიქრება ვერ მოვასწა-რა, რომ ზარმა ეგორ აგაპიონოვის მოსვლა გვაუწყა. ირგვლივ უკვე არეულ-ღარეულობა სუფევდა, მაზობელი ოთახიდან პიანინოს ხმა მოისმოდა, ვილაცა ხმადაბლა უკრავდა ფოქსტროტს და ვხედავდი, ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა კაცი ერთ ადგილას როგორ ტოკავდა მკერდზე მიკრულ ქალთან ერთად.

ეგორ აგაპიონოვი მხნედ, ლაღად შემოვიდა. ფეხდაფეხ ტანმორჩილი. გამ-ხდარი. მოყვითალო ჩინელი შემოჰყვა. შავჩარჩოიანი სათვალე რომ ეკეთა. ჩი-ნელის მერე ყვითელკაბიანი ქალი შემოვიდა, ბოლოს კი ბრგე, წვეროსანი მა-მაკაცი, ვასილი პეტროვიჩი გამოჩნდა.

— იზმაში აქ არის? — შესძახა ეგორმა და იზმაილ ალექსანდროვიჩისკენ გაექანა.

გახარებული იზმაილ ალექსანდროვიჩი სიცილისაგან ათახთახდა.

— ვაჰ, ეგორ! — შეაძახა მან და წვერი აგაპიონოვი მხარში ჩარგო. ჩი-ნელი ყველას ალერსიანად უღიმოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა და მერეც მთელი საღამო დუმდა.

— გაიცანით ჩემი ჩინელი მეგობარი! — შეჰყვირა ეგორმა, როცა იზმაილ ალექსანდროვიჩთან ხვევნა-კოცნას მოაჩა.

მერე ხმაურმა და არეულობამ იმატა. მახსოვს, ოთახში დაფენილ ნივთზე უხერხულად რომ ცეკვავდნენ. ყავიანი ფინჯანი საწერ მაგიდაზე იდგა. ვასილი პეტროვიჩი კონიაკს სვამდა. სავარძელში ბაკლაჟანოვს ეძინა; თამბაქოს კვამლი ბურთვით იდგა. რატომღაც ვიგრძენი, რომ უკვე შინ წასვლის დრომ მოატანა.

და, აი, სრულიად მოულოდნელად აგაპიონოვმა საუბარი გამიბა. როგორც კი ღამის სამი საათი მოახლოვდა, მოუსვენრობა დაეტყო, რაღაც აწუხებდა, ხან ვის, ხან ვის რაღაცაზე ელაპარაკებოდა, მაგრამ ვერც კი დაეძინა იმ კვამლსა და ბურში ვამჩნევდი, ცივ უარს ეუბნებოდნენ. საწერს დაგორდესთან სეარძელში ჩამჯდარი ყავას ვსვამდი და ვერ მივმხვდარიყავ, გული რატომ მეწურებოდა და პარიზი უცებ ისე მოსაწყენი რატომ მეჩვენა, რომ მისი ნახვის სურვილიც გამიქრა.

ამ დროს ჩემკენ მრგვალსათვალნიანი ფართო სახე დაიხარა. ეს აგაპიონოვი გახლდათ.

— თქვენ მაქსუდოვი ხართ? — მკითხა მან.

— დიახ.

— გამიგონია, გამიგონია, — მითხრა აგაპიონოვმა, — რუდოლფი მელაპარაკებოდა. ამბობენ, რომანი დაგიბეჭდავთ.

— დიახ.

— მაგარი რომანიო, ამბობენ, ოპ, მაქსუდოვო! — აგაპიონოვმა უცებ თვალი ჩამიკრა და წამჩურჩულა. — ყურადღება მიაქციეთ იმ პერსონაჟს... ხედავთ?

— ვის? წვერიანს?

— იმას, იმას, ჩემი ქვისლია.

— მწერალია? — ვკითხე და თან ეასილი პეტროვიჩის დავაკვირდი. იგი აღელვებული ჩანდა, ალერსიანად იღიმებოდა და კონიაკს სვამდა.

— არა! ტეტიუშელი კოოპერატორია... მაქსუდოვო, დროს ნუ დაკარგავთ. — ჩურჩულებდა აგაპიონოვი, — თორემ ინანებთ. ისეთი საოცარი ტიპია! თქვენს ნაწერებში აუცილებლად გამოგადგებათ. მისგან ერთ ღამეს იმდენ რამეს გაიგონებთ, ათეულობით მოთხრობას გამოაცხობთ და ყველას სარფიანად გაასაღებთ. იქთიოზავრია! ბრინჯაოს ხანიდან მოსულია! საოცარ ამბებს პევება! ვერ წარმოიდგენთ, ტეტიუშაში რაები აქვს ნანახი. ხელიდან არ გაუშვათ, თორემ სხვები დაგასწრებენ და ეშხს დაუკარგავენ.

ეასილი პეტროვიჩმა იგრძნო, მასზე რომ კლაპარაკობდით, კიდევ უფრო შემფოთებით გაიღიმა და დალია.

— ყველაფერს ჯობია... უპ, რა კარგი რამ მოვისაზრე! — ხიხინებდა აგაპიონოვი. — ახლავე გაგაცნობა... უცოლო ხართ? — მკითხა შემფოთებულმა.

— უცოლო ვარ... — ვუპასუხე და თვალეზდაქყეტილმა შევხედე.

აგაპიონოვს სახეზე სიხარული გამოეხატა.

— დიდებულია! ეასილი პეტროვიჩს გააცნობთ და ღამის გასათევად წაიყვანთ! მშვენიერი აზრია! შინ დივანი ხომ გიდგათ? დივანზე დაიძინებს, არაფერი უშავს! ორი დღის მერე კი შინ გაემგზავრება.

აგაპიონოვის ნათქვამმა ისე გამოგნა, ესღა ვუპასუხე:

— მხოლოდ ერთი დივანი მაქვს...

— განიერი? — მკითხა შემფოთებულმა აგაპიონოვმა.

ახლა კი ცოტა გონს მოვედი და ნამდვილად დროულადაც, რადგან ეასილი პეტროვიჩი უკვე ისე აწრიალდა, ამკარად შეეძყო, ჩემი გაცნობა სურდა, აგაპიონოვი კი მკლავზე მექაჩებოდა.

— მომიტევეთ. — ვუთხარი მე. — სამწუხაროდ, არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია, სტუმრად წავიყვანო. სხვის ბინაში ვცხოვრობ, ზიარ ოთახში.

წიწის იტია ბანის პატრონის შვილებს სძინავს (მინდოდა დამემატებინა, ბავშვებს ქუნთრუშა სჭირთ-მეთქი. მერე ვაფიქრე, რომ ამდენი ტყუილი მელისმეტე იქნებოდა, მაგრამ მაინც დავუმატე)... თანაც ბავშვებს ქუნთრუშა სჭირთ.

— ვასილი! — გასძახა აგაპიონოვმა. — ქუნთრუშა ნახადი გაქვს?

ჩემს სიცოცხლეში რამდენჯერ გამიგონია ჩემი მისამართით ხათქვამი — უკინტელიგენტო! არ ვდაობ, შესაძლოა, ეს სამწუხარო სახელი კიდევაც დავიშახურე. მაშინ კი ძალა მაინც მოვიკრიბე და მუდარით მოლიმარმა ვასილი პეტროვიჩმა ვერც ვი მოასწრო ეპასუხა „ნახად...“, რომ აგაპიონოვს მტვიცვედ ვუთხარი:

— მის წაყვანაზე გადაჭრიდა ვამბობ უარს. არ შემოძლია.

— იქნებ შეძლოთ. — ხმადაბლა წამჩურჩულა აგაპიონოვმა. — პა?

— არ შემოძლია.

აგაპიონოვმა თავი ჩაქინდრა, ტუჩები ააცმაცუნა.

— მომიტევეთ. მაგრამ ეს კაცი ხომ თქვენ გესტუმრათ? მაშ სად დაბინავდა?

— ჩემთან დაბინავდა, ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი და ტანი. — ნალვლიანად თქვა აგაპიონოვმა.

— მერე...

— დღეს სიდედრიც მესტუმრა თავის დასთან ერთად, ხომ გესმით, ჩემო კარგო. ახლა ეს ჩინელიც გამოტყვრა... რა ეშმაკად დაწანწალებენ ეს ქვისლები, — უცებ დაუმატა აგაპიონოვმა. — ტეტოუშაში ვერ დაეტია...

აგაპიონოვი ჩამომშორდა.

რატომღაც ბუნდოვანი შეშფოთება დამეუფლა და იქაურობა ისე დავტოვე, კონკინის გარდა არავის გამოვმშვიდობებდევარ.

თავი II

კატასტროფა

დიან, ეს თავი ალბათ ყველაზე მოკლე იქნება. გარიჟრაჟზე ვიგრძენი, ზურგში ჟრჟოლამ როგორ დამიარა. მერე განმიმეორდა, მოვიკრუნჩხე და საბანი თავზე წავიფარე; ცოტა მომეშვა. მაგრამ მხოლოდ წუთით. უცებ წამომახურა. მერე კვლავ შემაცივა. ისე შემაცივა, კბილს კბილზე მაცემინებდა. თერძო-მეტრი მქონდა. ჩაეიდგი და 38,8 აჩვენა მაშ ავად გავხდი.

ალიონმა როცა მოაწია, დაძინება ვცადე; ის დილა აქამდე მახსოვს. როგორც კი თვალს მოვხუჭავდი, ჩემკენ სათვალისანი სახე დაიხრებოდა და ჩამბუტბუტებდა: წაიყვანეთ, მე კი სულ ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: არა, არ წაიყვან-მეთქი. ვერ გამეგო, მესიზმრებოდა ვასილი პეტროვიჩი თუ ოთახში მართლა შემონისახლდა, თანაც ყველაზე საშინელი ის იყო, რომ კონიაცს თავისთვის ისხამდა. სპიდა კი მე ვსვამდი. პარიზი სრულიად აუტანელი შეიქნა. გრანდ-ოპერაში ვილაცა ბრაუნს მიჩვენებდა. ჯერ თითს თითებშუა გამოაძვრენდა. მიჩვენებდა და ისევ ძალავდა. გამოაძვრენდა. მიჩვენებდა და ისევ ძალავდა.

— სიმართლე მიხდა გითხრათ. — ვბუტბუტებდი, როცა აქენძილი, გაუჩეცხავი ფარდის იქით დღე მომძლავრდა. — ...

ლი სამყარო ვნახე და შემზარდა. იქ ფეხს არ შევდგამ. ავი უცხო სამყაროა, საძულველი სამყარო! მაგრამ ეს საიდუმლოდ უნდა შევინახოთ. ჩუუ!

ტუჩები ძალზე სწრაფად ვამიშრა. ჟურნალი გვერდისკენ დაკვიდე, არ ვიცო. უნდა ვიფიქროთ, რომ წასაკითხავად დავიღებდი. მსგავსი წამიკითხავს, კიდევ მინდოდა. სიცხე გამეზომა, მაგრამ არ გამიზომა. თერმომეტრი გვერდით, სკამზე მედო, მე კი მოსაძებნად რატომღაც სხვაგან მივდიოდი. მერე მთლად ბურანმა წამილო. ჩემი „სახომალდოელი“ თანამშრომლის სახე მახსოვს, ექიმის სახე კი არა. მოკლედ, გრიბი დამემართა. რამდენიმე დღეს მხურვალეობა მწვავედა, მერე კი სიცხემ დამიწია. შან-ზელიზე ალარ ვხედავდი. ქალს შლაპაზე აღარავინ აფურთხებდა, პარიზი ას ვერსზე აღარ იწელებოდა.

შიმშილი ვიგრძენი და კეთილმა მეზობელმა, ხელოსნის ცოლმა, ბულიონი მომიხარშა. ბულიონი ყუროტეხილი ფინჯნით დავლიე, შევეცადე, საკუთარი ნაწარმოები წამეკითხა. მაგრამ ათ-ათი სტრიქონის მეტს ვერ ვკითხულობდი, მერე კი საერთოდ თავი მივანებე.

დაახლოებით მეთორმეტე დღეს გამოვჩანსრთელდი. მიკვირდა, რუდოლფიმ რატომ არ მინახულა. თუმცა ბარათი გავუგზავნე, მოდიო-მეთქი.

მეთორმეტე დღეს შინიდან გავედი. „სამედიცინო ქილების ბიუროსკენ“ გავწიე და ვნახე, რომ ზედ დიდი კლიტე ედო. მერე ტრამვაიში ჩავჯექი, დიდხანს ვიარე. სისუსტისგან ჩარჩოს ვეჭიდებოდი და გათოშილ მიხას ვაორთქლებდი. მივედი იქ. სადაც რუდოლფი ცხოვრობდა და ზარი დავრეკე. კარი არ გამიღეს. ხელახლა დავოეკე. კარი ბერიკაცმა გამიღო და ზიზღით შემომხედა.

— რუდოლფი შინ არის?

ბერიკაცმა ფლოსტების წვერებზე დაიხედა და ისე მიპასუხა:

— იქ არ არის.

ვკითხე, რა იქნა, როდის დაბრუნდება, ან „ბიუროს“ კლიტე რატომ ადევს-მეთქი. ეს კი ყოვლად უაზრო კითხვა იყო. ბერიკაცი ყოყმანობდა, მერე გამომკითხა. ვინ ვიყავი. ყველაფერი ავუხსენი. რომანის ამბავიც კი მოვუყუევი. მაშინ ბერიკაცმა მითხრა:

— რუდოლფი ერთი კვირაა. რაც ამერიკაში წავიდა.

მომკალით, თუ ვიცოდე, რუდოლფი სად ან რატომ გადაიკარგა.

რა იქნა „ჟურნალი“, რა დაემართა „ბიუროს“, რა ამერიკა, რომელი ამერიკა, რუდოლფი როგორ წავიდა, არ ვიცო და ვერც ვერასოდეს შევიტყობ. ან ვინ იყო ის ბერიკაცი, ეშმაკმა უწყის!

გრიბისგან ისე ვიყავე მისუსტებული, გამოფიტულ ტვინში იმ აზრმაც კი ვამიეღვია, ყველაფერი ხომ არ მესიზმრა-მეთქი — ესე იგი, თვით რუდოლფი, დაბეჭდილი რომანი. შან-ზელიზე, ვასილ პეტროვიჩი და ლურსმნით გაჩხვლენილი ყური. მაგრამ შინ როცა დაებრუნდი, ცხრა ცალი ცისფერყდიანი ჟურნალი მაგიდაზე დამხვდა. მამ რომანი დაბეჭდილი იყო. აი ისიც.

ჟურნალში დაბეჭდილთაგან, სამწუხაროდ, არავის ვიცნობდი. ისე რომ, რუდოლფის ამბავს ვერავის გამოვკითხავდი.

„ბიუროსში“ ერთხელაც შევიარე და დავრწმუნდი, რომ იქ ბიუროს კვალაც აღარსად იყო. მის ნაცვლად კაფე მოეწყობოდა და მუშამბაგადაფარებული მაგაღები დაედგათ.

ბეცა, ვინმე თუ მეტყვის, რამდენიმე ასეული ჟურნალი სად გაჭრა? რა იქნა?

ამ რომანისა და რუდოლფის ამბისათა იდუმალებით მოცული რამ ჩემს სიცოცხლეში არ გადამხდენია.



ქართული ენის
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ასეთ უცნაურ ვითარებათა ეამს ყველაზე უფრო გონივრული ის იქნებოდა. ყველაფერი დამევიწყებინა. აღარც რუდოლფზე მეფიქრა და აღარც მასთან ერთად გაუჩინარებული ჟურნალის ნომრებზე. ასედაც მოვიქეცი.

მაგრამ ვერც ამან მიხსნა გარდუვალი სატანჯველისგან. რომ კიდევ უნდა მეცხოვრა.

— მაშ ასე. — ვამბობდა გულში მარტის ქარბუქის ეამს ხავთქუროსთან მჯდარი, — მე შემდგომ სამყაროთა რიგს გამოვიარე.

პირველი სამყარო: უნივერსიტეტის ლაბორატორია, საიდანაც მხოლოდ გამწოვი კარადა და შტატივეებზე დამაგრებული კოლები მახსოვს. ეს სამყარო სამოქალაქო ომის დროს მივატოვე. ნუ ვიდავეთ იმაზე, ჭირაფშუტულად მოვიქეცი თუ არა. არაჩვეულებრივ თავგადასავალთა შემდეგ (თუმცა, ეკვმა რომ აქვას, არაჩვეულებრივი რატომ იყო? — სამოქალაქო ომის დროს არაჩვეულებრივი თავგადასავალი ვილა? არ გადახდენია?). მოკლედ, ამის შემდეგ „სახომალდოში“ აღმოვჩნდი. რა მიზეზის გამო? არ დაგიმალავთ. მიხდოდა, მწერალი გავმხდარიყავ. ამაზე ვოცნებობდი. მერე? მერე „სახომალდოს“ სამყაროც მივატოვე. ჰოდა, აი, ჩემ წინაშე გადაიშალა ის სამყარო, საითაც მივილტვოდი. მაგრამ, სამწუხაროდ, გაცნობისთანავე აუტანელი მეჩვენა. როგორც კი პარიზს წარმოვიდგენ, მაშინვე კრუნჩხვები შემართება და გარეთ ფეხთა გადგმაც აღარ მინდა. ყველაფერი კი იმ წყველი ვასილი პეტროვიჩის ბრალია! დატეულიყო თავის ტეტრუშაში! რა ზიქიერიც არ უნდა იყოს იზმაილ ალექსანდროვიჩი, პარიზში ყოფნა მაინც დადი საძაგლობაა. მაშასადამე, სიცარიელეში დავრჩი? სწორედ ასეა.

მეტყვიოთ, მერედა რა მოხდა. შენც დაჯექი და მეორე რომანი დაწერე, რა ელა ამ საქმეს ხელი მოჰკიდე. წვეულებებზე კი, შეგიძლია, არ იაროთ. წვეულებები, აბა, რა შუაშია. მთავარი ის გახლავთ, რომ ბაიბურშიც არ ეიყავი. მეორე რომანი რაზე დამეწერა. ეკობრიობითა თუ რა მომეებრო? აი, რა იყო მთელი უბედურება.

სიტყვამ მოიტანა და რომანზეც მოგახსენებთ. ეკვმა სიმართლეს თვლი უნდა გაუსწორო. იგი არავის წაუკითხავს. ვერც წაიკითხავდნენ, რადგან რუდოლფი იხე უცებ გაქრა. ჟურნალის ვაკრცელებას ნამდვილად ვერ მოასწრებდა. ხოლო ჩემს მეგობარს ერთი ცალი რომ ვუფეშქაშე, იმასაც არ წაუკითხავს. გარწმუნებთ.

ჰო, მართლა: ეჭვიც არ მეპარება, რომ ამ სტრიქონების წაკითხვისას ბევრი ინტელიგენტსა და ნევრასტენიკს მიწოდებს. პირველზე არ გვდავებით. რაც შეეხება მეორეს, სერიოზულად გაფრთხილებთ, რომ ცდებით. ნევრასტენიის ნატამალიც არა მაქვს. საერთოდ, სანამ ეკვს ამ სიტყვით შეამკობთ, ზუსტად შეიტყვეთ, რა არის ნევრასტენია და იზმაილ ალექსანდროვიჩის მონათბობის მოისმინეთ. მაგრამ ამას თავი გავაუბოთ. უპირველეს ყოვლისა, ცხოვრება იყო საჭირო. ამისათვის კი ფული უნდა მეშოვა.

მაშ ასე. ლაყბობას თავი მივანებე და ფულის საშოვნელად წავიდა. ცხოვრებაში ქეჩოში ჩამავლო ხელი და უიღბო შვილივით კვლავ „სახომალდოში“ მიპოვენი. მდივანს ვუთხარი, რომანი დავწერე-მეთქი, მაგრამ ესე-აღბავი არათ-
ვად ჩაუგდია. ერთი სიტყვით. შევთანხმდით, რომ თუწინააღმდეგვს დავ-
წერდი ამის საფასურს კანონის შესაბამისად ამინაზლატრებდნენ. ამგვარად
ერთი წელიწადი მატერიალური ბაზა მაინც გამიჩნდა. ჩემი გეგმა ასეთი გახლდათ
ნარკვევები, რაც შეიძლება, მალე უნდა მომეშორებინა თავიდან და ღამლამო-
ბით კვლავ რომანი მეწეოთ.

გეგმის პირველი ნაწილი შევასრულე, მეორე ნაწილს კი დალახვროს უშ-
მაკნა. ამხველ ალარ დაადგა. პირველ ყოვლისა, წიგნის მალაზიებს ჩამოვუთ-
არე და თანამედროვეთა ნაწარმოებები შევიძინე. მიწოდდა გამეგო, რაზე წერ-
დნენ. როგორ წერდნენ, რა იყო ამ ხელობის ჯადოსნური საიდუმლო.

ყიდვისას ხარჯებს არ მოვერიდე, რაც კი პაზარზე საუკეთესო აღმოჩნდა,
ყველაფერი შევიძინე. რაც მთავარია, ვიყიდე იზმაილ ალექსანდროვიჩის ნა-
წარმოებები, აგაპიონოვის წიგნი, ლესოსეკოვის ორი რომანი, ფლავიან ფიალ-
კოვის მოთხრობების ორი კრებული და მრავალი სხვა. რაღა თქმა უნდა. პირ-
ველად იზმაილ ალექსანდროვიჩს ვემგერე. გარეკანს დავხედე თუ არა, გულში
უსიამო წინათგონობამ გამკრა. წიგნს ერქვა „პარიზული ნაწყვეტები“. ყვე-
ლა ნაწყვეტი, პირველიდან უკანასკნელამდე, ნაცნობი გამოდგა. ვიცანი წყეული
კონდიუკოვი. საავტომობილო გამოფენაზე რომ არწყია, ორი თაღლითი, შან-ზე-
ლიზეზე რომ წაიჩხუბნენ (ერთი თურმე პომალკინი ყოფილა, მეორე შერსტი-
ნიკოვი) და ის შფოთისთავიც, გრანდ-ოპერაში ვილაკას ბრაწი რომ უჩვენა. სი-
მართლე უნდა ითქვას, იზმაილ ალექსანდროვიჩი მართლაც რომ ბრწყინვალედ
წერდა და პაოიზის მიმართ რაღაც შემზარავი გრძნობა აღმიძრა.

აგაპიონოვს იმ წვეულების ნერე მოთხრობების წიგნის გამოშვება თურმე
უკვე მოესწრო. წიგნს ერქვა „ტიტიუშელი ადლაბიჯა“. ყველაფერი იაღლი მი-
საფედრია. მაშ აგაპიონოვმა ვასილი პეტროვიჩი სტუმრად ვერავის შეაჩეჩა,
ლამე თავისთან გაათევიანა და მიუსაფარი ქვისლის მონათხრობი თავადვე გამოი-
ყენა. ყველაფერი გავიგე, სრულიად გაუგებარი „ადლაბიჯას“ გარდა.

ორჯერ დავიწყე ლესოსეკოვის რომანის „გედების“ კითხვა, ორჯერ ჩავი-
კითხე ორმოცდამეხუთე გვერდამდე და კვლავ თავიდან დავიწყე, რადგან და-
ნავიწყდა. დასაწყისში რა იყო. ამან მართლა შემაშინა. ჩემს თავს რაღაც ფარ-
სავი არ ტრიალებდა — სერიოზული რამის გაგება აღარ შემეძლო ანდა ჯერ
აი შემეძლო. ამიტომ ლესოსეკოვი გადავდე და ფლავიანის კითხვას შევუდექი,
ნოლო მეორე ლეკოსპასტოვიც წავიკითხე. აქ კი მართლაც რომ მოულოდნელ
აზბავს წავაწყდი. როცა ერთ მოთხრობას ვკითხულობდი, სადაც ეურნალისტის
ცხოვრება იყო აღწერილი (მოთხრობას „ორდერით მობინადრე“ ერქვა), გა-
ხეული დივანი, განახევრიდან ამოჩრილი ზამბარა და მაგიდაზე დადებული
სამრობი ქაღალდი ვიცანი... მოკლედ, მოთხრობაში მე ვიყავი აღწერილი!

ავივე შარვალი, მხრებში ჩამძვრალი თავი, მგლის თვალები... ერთი სიტყ-
ვით, მე ვიყავი მაგრამ გეფიცებით ყოველივეს, რაც ამკვეყნად ძვირფასი გა-
მაჩნია. უსამართლოდ ვარ აღწერილი. არც ეშმაკი ვარ, არც ხარბი, არც კბიე-
რი, არც ცრუ, არც კარიერისტი, არც ისეთი სასულელეები მითქვამს არასოდეს,
რაც ამ მოთხრობაშია! ენა ვერ იტყვის, ისეთი სევდა დამეუფლა ლეკოსპასტო-
ვის მოთხრობის წაკითხვისთანავე. გადავწყვიტე, საკუთარი თავისთვის გარეშე

თვალით უფრო მკაცრად შემეხედა და ლიკოსპასტიკეს დიდალ ვუმასტლი კიდევ, ეს რომ გადამაწყვეტინა.

მაგრამ ჩემი არასრულყოფილებით გამოწვეული სევდა და ფიქრები არარა იყო იმ შემზარავ დასკვნასთან შედარებით, რომ ყველაზემეტყველებელ მწერლებს წიგნებმა ვერაფერი შემიინა, გზები, ასე ვთქვათ, ვერაფერი შემიინა, მათობელი შუქი ვერ დამინახა. ყველაფერზე გული ამიცრუვდა. ჭაბავით დამიწყობო ხვრა საძაგელმა ფიქრმა, რომ ჩემგან მწერალი არ გამოვიდოდა, მერე ეს აზრი შეეჯახა კიდევ უფრო უარეს აზრს, რომ... ერთიც ვნახოთ და ისეთი მწერალი გამოვსულიყავ, როგორიც ლიკოსპასტიკია? გავბედავ და მეტააც ვიტყვი, ისეთი, როგორიც აგაპიონოვია? ადლაბიჯა? რა არის ადლაბიჯა? რა შუაში არიან კატრები? გარწმუნებთ, ეს ყოველივე აბდაუბდა!

ნარკვევების წერისგან თავისუფალ დროს დივანზე ვატარებდი და მრავალნაირ წიგნებს ვკითხულობდი, რომლებსაც შეძენის მერე ფეხმორყეულ ეტაჟერზე, მაგიდაზე ანდა უბრალოდ ოთახის კუთხეში ვაწყობდი. საკუთარ ნაწარმოებს ამგვარად მოვექეცი: დარჩენილი ცხრა ცალი ჟურნალი და ხელნაწერი მაგიდის უჯრებში ჩავალაგე, გასაღებით ჩავკეტე და გადავწყვიტე, ჩემს სიცოცხლეში აღარასოდეს, აღარასოდეს, მივკარებოდი.

ერთხელ ქარბუქმა გამაღვიძა. თუმცა მარტი უკვე გადადიოდა, მაინც ქარბუქი მძვინვარებდა. მაშინდელივით აწლაც თვალცრემლიანმა გავიღვიძე! ასე რამ დამაუძღურა, რამ დამაუძღურა! კვლავ მესიზმრა ის ხალხი, ის შორეული ქალაქი, რომლის კუთხე, სროლა და კიდევ თოვლზე განრთხმული ვილაც კაცი.

ისინი სიზმრებში იშვინენ, სიზმრებიდან გამოვდნენ და სენაკში ჩამისახლდნენ. აშკარა იყო, მათ თავს იოლად ვერ დავალწევდი. ირავა, რა შექნა მათთვის?

თავდაპირველად მხოლოდ ვესაუბრებოდი, მერე კი უჯრიდან რომანის ამოღება მაინც მომიხდა. სალამოობით მეჩვენებოდა, რომ თეთრი ფურცლებიდან რაღაც ფერადი ჩნდებოდა. თვალემოჭუტული დავაკვირდი და დავრწმუნდი, რომ სურათი იყო, უფრო მეტიც, ბრტყელი კი არა, სამგანზომილებიანი სურათი. თითქოს კოლოფს ჩავცქეროდი და სტრიქონებს შორის ვხედავდი: შუქი ენთო ღა ამ შუქში სწორედ ის ხალხი ჩანდა, რომანში რომ აღეშვრე. თქ, რა წარმტაცი თამაში იყო. როგორ ვნახობდი, კატა ამქვეყნად რომ აღარ იყო და ვერ ვაჩვენებდი. ფურცელზე წარმოქმნილ საკანში ადამიანება როგორ მოძრაობდნენ. მჯერა, რომ კატა თათს წაატანდა ფურცელს და ფხოქნას დაუწყებდა. წარმომიდგენია, რა ცნობისმოყვარეობით აფრთხობდა თვალეები, ბრტყალებით ასოებს როგორ ჩამოფხაჭნიდა.

გამოხდა ცოტა ხანი და წიგნში მომწყვდეული საკანი ახმიანდა. რომლის ხმა გარკვევით მესმოდა. თუმცა ვინმესთვის ეს ამბავი რომ მეთქვა, ალბათ მირჩევდნენ, ექიმს მიმართეო. მეტყობდნენ, ქვემო სართულზე უკრავენო. შესაძლოა, ისიც კი ეთქვათ, სახელდობრ რას უკრავდნენ. მაგრამ ამგვარ ლაპარაკს უურსაც არ ვათხოვებდი. არა, არა! რომლის ჩემს მაგიდაზე უკრავენ, კლავიშების წყნარი ეღერა აქ გაისმის. უფრო მეტიც, როცა სახლი მიწყნარდება და ქვემოთ აღარაფერს ახმიანებენ, მესმის, ქარბუქს როგორ კვეთს ხან სევდიანი, ხანაც გაავებული გარმონიკის ხმა. გარმონიკის ხმას ნაღვლიანი და ბრაზიანი ხმები უერთდება და კვნესა-გოდება ჩამესმის. თქ, არა, ეს ქვემოდან არ ისმის!

რატომ მკრჭალდება საკანი, ფურცლებზე რატომ შემოიჭრება დნებრის პირას ჩამოწოლილი ზამთრის ღამე, რად ჩნდება ცხენთა დრუნჩები, ხოლო მათ ზემოთ ფაფახიან მხედართა სახეები. რად ვხედავ ბასრ ხმლებს და გული გამგვირაფი სტვენა რად ჩამესმის?

ერქუნული

აგერ აქოშინებული კაცი გარბის, თამბაქოს კვამლში მსხვერპლად და ვხედავ: კაცის ზურგს უკან იელვა, სროლა გაისმა. კაცმა ამოიგმინა და გულალმა გაიშოტა, თითქოს გულში ბასრი დანა ჩასცესო. გაუნძრევლად წევს და მის თავთან შავი გუბე ფართოვდება. მალლიდან მთვარე დაპნათის, ხოლო შორს სევდიანად ციმციმებს სოფლის მოწითალო შუქები.

შემეძლო, მთელი სიცოცხლე ამ თამაშია: გავრთულიყავ, ფურცლებისთვის თვალი არ მომეცილებინა... მაგრამ რა მექნა, ლანდები როგორ შემეჩერებინა, რომ აღარსად წასულიყვნენ?

პოდა, ერთ ღამეს ამ ჯადოსნური საკნის აღწერა გადავწყვიტე. მაგრამ როგორ უნდა აღმეწერა?

ძალზე უბრალოდ. რასაც ვხედავდი — დამეწერა, რასაც არ ვხედავდი, ის კი — არა. აი, სურათი აინთო, აფერადდა, მომწონს? ძალიან. მაშასადამე, ვწერ: პირველი სურათი. ვხედავ საღამოს. ლამბა ანთია. ზედ ფოჩებიანი აბაჯურია. როიალზე ნოტებია გადაშლილი. „ფაუსტს“ უკრავენ. უცებ „ფაუსტი“ წყდება, მაგრამ ახლა გიტარა ეღერს. ვინ უკრავს? აგერ ისიც, კარს შემოაღებს და შემოდის, ხელში გიტარა უჭირავს. მესმის — ლილინებს. ვწერ — ლილინებს.

ეს რა მშვენიერი თამაშია! ნულარც წვეულებაზე ივლი და ნულარც თეატრში.

სამი ღამე პირველი სურათის თამაშში გაყატარე და როცა მესამე ღამე მიილია, მივხვდი, რომ პიესას ვწერდი.

აპრილში, როცა ეზომ თოვლის საბურველი მოიცილა, პირველი სურათი უკვე მზად მქონდა. ჩემი გმირები მოძრაობდნენ, მიდი-მოდიოდნენ, ლაპარაკობდნენ.

ილჩინის წერილიც აპრილის დამლევს მივიღე.

ახლა, როცა მკითხველმა რომანის ამბავი უკვე იცის, შემეძლია, თხრობა იქიდან განვაგრძო, როცა ილჩინს შევხვდი.

თავი N

ოპროს ცხენი

— დიახ, — გაიმეორა ილჩინმა და თვალები ეშმაკურად, იღუმალად მოწყურა, — თქვენი რომანი წავიკითხე.

თვალეზგაფართოებული შევცქეროდა თანამოსაუბრეს, ხან მთრთოლარე შუქი რომ ანათებდა, ხანაც ბნელში იძირებოდა. ფანჯრებს გარეთ წყალი დგაფუნებდა.

მკითხველი თვალწინ ჩემს სიცოცხლეში პირველად მდგა.

— ხელში რანაირად ჩაგივარდათ?.. ეურნალი ხომ... — რომანზე გადავუკარ სიტყვა.

— გრიშა აივაზოვსკის იცნობთ?

— არა.

ილჩინმა წარბები აზიდა, გაოცდა.

— გრიშა ერთსულოვანთა კოპორტაში ლიტერატურულ ნაწილს განაგებს.

— ეგ რა კოპორტაა?

ილჩინი ისე გაოცდა, ვაელვებას დაუცადა, რომ კარგად შევეთვალე-რებინე.

იელვა და ისევ ჩამობნელდა. ილჩინმა განაგრძო.

— კოპორტა ჩვენი თეატრია. ჩვენს თეატრში არასოდეს ყოფილხართ?

— მე არც ერთ თეატრში არ ვყოფილვარ. იცით, რა, მოსკოვში ახალი ჩამოსული გახლავართ.

თქვენმა იკლო და ღღის სინათლემ იმატა. ვხედავდი, რომ ილჩინი განვაცვიფრე და გავამბიარულე.

— გრიშა აღფრთოვანებული იყო, — რატომღაც უფრო მეტი იდუმალე-ბით მეუბნებოდა ილჩინი, — ჰოდა, ჟურნალი მომიტანა. მშვენიერი რომანია.

ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოვქცეულიყავ, არ ვიცოდი, და ილჩინს თავი მდაბლად დავუყარი.

— იცით, თავში რა აზრი მომივიდა, — აჩურჩულდა ილჩინი, თანაც გასასაიდუმლოებლად მარცხენა თვალს წკურავდა. — ეს რომანი პიესად უნდა გადააკეთოთ.

„აი, იღბალი!“ — გავიფიქრე და ილჩინს ვუთხარი:

— იცით რა, პიესის წერა უკვე დავიწყე.

ილჩინი ისე განცვიფრდა, მარჯვენა ხელით მარცხენა ყურის ფხანას მოჭყვა და თვალები კიდევ უფრო მოწკურა. ასეთი დამთხვევა თავდაპირველად, მგონი, არც დაიჯერა, მაგრამ თავს მოერია.

— დიდებულია, დიდებულია! აუცილებლად განაგრძეთ, ერთი წამითაც არ დაყოვნდეთ. მიშა პანინს თუ იცნობთ?

— არა.

— ჩვენი სალიტერატურო ნაწილის გამგეა.

— ჰოო.

მერე ილჩინმა მითხრა, იმის გამო, რომ ჟურნალში რომანის მხოლოდ მესამედია დაბეჭდილი, ხოლო გაგრძელების ცოდნა აუცილებელზე აუცილებელია, ხელნაწერი უნდა მოიტანოთ და ეს გაგრძელება მე და მიშას, აგრეთვე ევლამპია პეტროვნას წაგვიკითხოთო. ჩემი ამბავი უკვე იცოდა და აღარ უკითხავს. ევლამპია პეტროვნას ვიცნობდი თუ არა, თავადვე მაუწყა, ის ქალი რეჟისორიაო.

ილჩინის ყველა პროექტმა გული უდიდესი მღელვარებით გამიმსჭვალა.

ის კი ჩურჩულებდა:

— თქვენ პიესას დაწერთ, ჩვენ კი დავდგამთ. რა დიდებული იქნება, არა?!

გული მიჩქროლავდა. ჰეჰა-ჰუხილმა და თქვენმა, რაღაც წინაგრძნობამ გამაბრუნა. ილჩინი კი მეუბნებოდა:

— ვინ იცის, რა მოხდება. ერთიც ვნახოთ და, ბერიკაციც დავიყოლიეთ... პა?

როცა გაიგო, რომ არც ის ვიცოდა, ბერიკაცი ვინ იყო, თავი გააქნია, თვალბში კი გამოეხატა: ეს რა მიამიტი ვინმე ყოფილაო.

— ივან ვასილიევიჩი! — მითხრა ჩურჩულით. — რაო, ივან ვასილიევიჩს

არ იცნობთ? არ გაგიგონიათ, რომ დამოუკიდებელ თეატრს სათავეში უდგას?—
მერე კი დაუმატა: — ო-პო-პო!..

გონებაში ყველაფერი ამერ-დამერია. უმთავრესად იმის გამო, რომ გარე-
მომცველი სამყარო რატომღაც მალეღვებდა. თითქოს ოდნავ სიბნელეში უე-
ვე მენახა და ახლა იქ მოვხვდი.

მე და ილჩინი ოთახიდან გამოვედით და ბუხრიან დარბაზში შევედით. ეს
დარბაზი ისე მომეწონა, სიხარულით მთვრალს დავემსგავსე. ცა გადაიწმინდა
და უცაბედად სხივი იატაკზე გაწვა. მერე უცნაურ კარს ჩავუარეთ. ილჩინმა
დაინტერესება შემატყო, თითოთ მაცდუნებლად მიმიხმო და შიგ შემიყვანა. ფე-
ხის ხმა მიწყდა, ირგვლივ მდუმარებამ და ქვესკნელის წყვილიაღმა დაისადგურა.
თანამგზავრის მხსნელმა ხელმა იმ ადგილს მომაცილა; მოგრძო კრილი ხელოვ-
ნურად განათდა — ჩემმა თანამგზავრმა სხვა ფარდა გასწია და მაყურებელთა
პატარა, ასე სამასკაციან დარბაზში აღმოჩნდით. კერზე ჩამოკიდებულ ქალში
ორი ნათურა ბეუტავდა. ფარდა გაწეული იყო და ღია სცენა მოჩანდა, მოზეამე,
საიდუმლოებით მოცული, ცარაელი სცენა. სცენის კუთხეები სიბნელეს მოეც-
ვა, ხოლო შუაში ყალყზე შემდგარი, ოდნავ მბზინავი ოქროს ცხენი აღმართუ-
ლიყო.

— დღეს ჩვენთან უქმეა, — როგორც ტაძარში, საზეიმოდ ჩურჩულებდა
ილჩინი, მერე მეორე ყურთან დამიდგა და განაგრძო: — ახალგაზრდობა პიესას
მოეძალება, უკეთესს ვგრას ინატრებ. ამას ნუ უყურებთ, დარბაზი პატარა რომ
ჩანს, ნამდვილად დადია და შემოსავალიც, სხვათა შორის, სრულია. ხოლო ბე-
რიკაციის სიჯიუტე თუ დავძლიეთ, ვინ იცის, იქნებ დიდ სცენაზეც წავიდეს!
ჰა?

„ჩემს მოხიბლვას ცდილობს,— ვფიქრობდი და წინათგრძნობისგან გული
ხან მიჩერდებოდა, ხან მიჩქროლავდა,— მაგრამ სულ სხვა რამეს რატომ მეუბ-
ნება? მთავარი ხომ დიდი შემოსავალი არ არის, მთავარი მხოლოდ ეს ოქროს
ცხენია. უაღრესად საინტერესოა აღუმალებით მოცული ბერიკაციც, ვისი და-
ყოლიება, ვისი სიჯიუტის დაძლევაა საჭირო, პიესა რომ დაიდგას...“

— ეს ჩემი სამყაროა.. — ვერ შევამჩნიე, ისე ჩავიჩურჩულე.

— რა?

— ისე, არაფერი...

მე და ილჩინი ერთმანეთს დავშორდით. ხელთა მქონდა მისი მოცემული
ბარათი:

„პატივცემულო პიოტრ პეტროვიჩ!

გეთაყვა, „შავი თოვლის“ ავტორს უსათუოდ მოუხერხეთ ადგილი „ფავო-
რიტზე“.

სულითა და გულით თქვენი ილჩინი“

— ამას კონტრამარკა პქვია, — ამიხსნა ილჩინმა.

შენობიდან აღელვებული გამოველა, ჩემს სიცოცხლეში კონტრამარკა პირ-
ველად მქონდა.

იმ დღიდან ჩემი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. მთელ დღეს გამალებით
ვმუშაობდი პიესაზე. დღის სინათლეზე ფურცლებიდან სურათები აღარ ჩნდე-
ბოდა, კოლოფი გაიწელა და სასწავლო სცენის ოდენა გახდა.

სადამოთი ოქროს ცხენთან პაემანს მოუთმენლად ველოდი.

ვერ გეტყვით, პაესა „ფავოლიტი“ რიგიანი იყო თუ ურიგო. ეს ორიც მაინტერესებდა. აი, წარმოდგენა კი არაჩვეულებრივად წარმტაცი გახლდათ. ბაწაწონა დარბაზში შუქი ოთგორც კა ჩაქრებოდა. სადღაც სცენის წინაშე აუღერდებოდა და კოლოფში XVIII საუკუნის ყაიდაზე შემოსტუმრებული იყო. ოქროს ცხენი სცენის განაპირას იდგა, მოქმედი პირები ზოგჯერ ცხენის ფლოკვებთან ჩამოსხდებოდნენ, ახლა მას დრუნჩთან შეიყრებოდნენ და გაცხარებით საუბრობდნენ. მე კი მათი ცქერით ვტკბებოდი.

მწარე გრძნობები მეუფლებოდა, როცა წარმოდგენა მთავრდებოდა და ქუჩაში უნდა გამოვსულიყავი. ძალზე მინდოდა, მეც ისეთივე ხიფთანი მცემოდა, მსახიობებს რომ ეცვათ. და მოქმედებაში მონაწილეობა მიმელო. ვფიქრობდა, რა კარგი იქნებოდა. უშველებელი, აპრეხალი, ლოთივით წითელი ცხვირი გამეკეთებინა, თამბაქოსფერი ხიფთანი ჩამეცვა, ხელში ჯოხი და თამბაქოს კოლოფი დამეჭირა. სცენაზე მოულოდნელად გამოვსულიყავ და ძალიან სასაცილო რამ მეთქვა. მაყურებელთა მკვიდრო რიგში მჯდარი სწორედ ამ სასაცილო რაღაცას ვიგონებდი. მაგრამ სცენაზე სხვის მიერ შეთხზულ სასაცილო ფრაზებს ამბობდნენ და დარბაზი დროდადრო იცინოდა. არც მანამდე და არც შემდეგ ჩემს სიცოცხლეში ამანგ მგეტი სიამოვნება არაფერს მოუნიჭებია.

„ფავოროტს“ სამჯერ დავესწარი. პირველად მეორე რიგში ვიჯექი, მეორედ მეექვსე რიგში, მესამედ მეთერთმეტეში. ჩემი ხშირი სტუმრობა პირქუშსა და გულჩახვეულ პიოტრ პეტროვიჩს აოცებდა. იგი იმ სარკმელს მიღმა იჯდა, ზედ „სასწავლო სცენის ადმინისტრატორი“ რომ ეწერა. ილჩინი ბეჯითად მამარაგებდა ბარათებით და ერთი სხვა პიესაც ვნაბე, სადაც ესპანურად ჩაცმულნი გამოდიოდნენ, ერთმა მსახიობმა კი მსახურის როლი ისე სასაცილოდ, ასე დიდებულად ითამაშა, სიამოვნებისგან შუბლი ოფლმა დამინამა.

მერე მაისიც დადგა. ერთ საღამოს ევლამპია პეტროვნამ, მიშამ, ილჩინმა და მე, როგორც იქნა, სასწავლო სცენის იმავე შენობის ერთ ვიწრო ოთახში მოვიყარეთ თავი. გამოღებულნი ფანჯრიდან საყვირთა ხმა, ქალაქის ხმაური იჭრებოდა.

ევლამპია პეტროვნას, ბრილიანტის საყურეებიან ქალს დედოფალივით ლამაზი სახე ჰქონდა და თავი მართლაც დედოფალივით ეჭირა. მიშამ კი სიცილით გამოცა. სიცილი უცაბედად აუტყდებოდა — „აჰ, აჰ, აჰ“. მაშინ ყველანი ლაპარაკს შეწყვეტდნენ და უცდიდნენ. მიშა მანამდე არ დადუმდებოდა, სანამ სიცილით გულს არ იჯერებდა. დადუმებულს კი ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს უცებ დაბერდაო.

„რა მწუხარე თვალუბი აქვს. დავიწყე ჩემებურად ფანტაზიორობა, როგორც მჩვეოდა. — ოდესღაც პიატიგორსკში მეგობარი შემოაკვდა დუელში, ახლა ის მეგობარი დამლამობით აკითხავს ხოლმე, ფანჯარასთან დგას მთვარის შუქზე და თავს უქნევს“.

მიშა ძალიან მომეწონა.

მიშამაც, ილჩინმა და ევლამპია პეტროვნამაც არაჩვეულებრივი მოთმინება გამოიჩინეს და რომანის დაბეჭდილი ნაწილის მომდევნო მესამედ ერთ კერზე წავიკითხე. უცებ სინდისის ქენჯნა ვიგრძენი, შევჩერდი და ვთქვი, მერე ყველაფერი ისედაც გასაგებია-მეთქი. უკვე გვიანი ღამე იყო.

მსმენელებმა საუბარი გააბეს, მაგრამ ეს საუბარი ისეთი მსუბუქებით მოცული გახლდათ, თუმცა რუსულად ლაპარაკობდნენ. მაინც ეროფეერს შეეხვდა.

ეროფეერი

მიმა მსჯელობისას ოთახში აქეთ-იქით დარბოდა. მერე კი შეხერხებოდა. ეტყობა, ასეთი ჩვევა ჰქონდა.

— ოსიპ ივანოვიჩი? — ხმადაბლა იკითხა თვალმოწყურულმა ილჩინმა.

არამც და არამც. — გაშოუპასუხა მიშა და უცებ ისეთი ხარხარი აუტყდა, ერთიანად აცახცახდა. ხარხარი რომ მოათავა, კვლავ გაახსენდა შემოკვდომილი მეგობარი და მობერდა.

— საერთოდ უბუცესები... — წამოიწყო ილჩინმა.

— არა მგონია, — ჩაიბურტყუნა მიშამ.

მერე შემომესმა: „მარტო გალინებისა და დახმარების იმედით მაინცდა-მაინც...“ (ეს ევლამპია პეტროვნამ აქეა.)

— მომიტევეთ, — ცხარედ წამოიწყო მიშამ და ხელის ქნევას მოჰყვა, — მე, რა ხანია ვამტკიცებ, რომ ეს საკითხი თეატრში უნდა განვიხილოთ!

— მერედა სივცევ ვრაქევი? (ეს ევლამპია პეტროვნა იყო).

— არც ის ვიცი, ინდოეთი ამ ამბავს რა თვლით შეხედავს, — დაუმატა ილჩინმა.

— ერთბაშად საჯაროზე უნდა გაიტანო, — ჩურჩულებდა ილჩინი. — და ევლამპიერი მოგვარდება.

— სივცევი! მრავალმნიშვნელოვნად თქვა ევლამპია პეტროვნამ.

აღბათ საბზე უსაზღვრო სასოწარკვეთა გამომეხატა, რადგან მსმენელებმა გაუგებარ ლაპარაკს თავი ანებეს და მე მომიბრუნდნენ.

— სერგეი ლეონტიევიჩ, ყველანი დაბეჯითებით გთხოვთ, — მითხრა მიშამ, — პიესა აგვისტოსათვის მზად აყოს... ჩვენ ძალიან, ძალიან გვჭირდება, რომ სეზონის დაწყებისას მისი წაკითხვა შეეძლოს.

არ მახსოვს, როგორ გასრულდა მისი, ნახსივრობიდან წამეშალა ივნისიც, ივლისიც კი მახსოვს. უჩვეულო სიტყვები დაიჭირა. მიშველ ტანზე ზეწარმოხერხული ვიჯექი და პიესას ისე ვწერდი, წერა უფრო და უფრო მიჭირდა. ჩემი კოლოფი, რა ხანია, აღარ ხმაინობდა, რომანი ჩაქრა და მკვდარივით ესვენა. თითქოს აღარც მიყვარდა. მაგიდაზე ფერადი ფიგურები აღარ იძვროდნენ, შემწედ აღარ მევლინებოდნენ. თვალწინ ახლა სასწავლო სცენის კოლოფი მედგა. გმირები გაიზარდნენ და სცენაზე მწყობრად და მხნედ შეაბიჯეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ოქროს ცხენის გვერდით ყოფნა ისე მოეწონათ, წასვლას აღარსად აპირებდნენ. ამბები კი ვითარდებოდა და ბოლო აღარ უჩანდა. მერე სიტყვებ იყო. მინის ქილა, რითაც ნადუდ წვალსა ვსვამდი, დაცარიელდა, მის ფსკერზე დარჩენილ წყალში ბუზი დაცურაედა. მოწვიმა, აგვისტო დადგა. ამ დროს მიშა პანინის წერილი მივიღე. პიესის ამბავს მეკითხებოდა.

მხნეობა მოვიკრიბე და ღამით ამბავთა მსვლელობა შევწყვიტე. პიესაში ცამეტე სურათი იყო.



თავს როცა ავწევდი, ზემოთ შუქით სავსე, მქრქალი მიწის ტყე და ვეღარ ვხედავდი, გვერდზე მინის კარადაში, უზარმაზარი ვერცხლის გვირგვინი იდო, რომელსაც ლენტეხზე ეწერა: „საყვარელ დამოუკიდებელ თეატრს მოსკოვის ნაფიც მსახულთავან...“ (ერთი სიტყვა ჩადრეკალიყო), ხოლო წინ ხან ერთი, ხან მეორე მსახიობის მოლიმარი სახე მოჩანდა.

შორს სიჩუმე იგრძნობოდა, იშვიათად კი შეწყობილი, სევდიანი სიმღერა დაირხეოდა, მერე ისეთი ხმაური მოისმოდა, აბანოში რომ არის ხოლმე. სანამ პიესას ვკითხულობდი, იქ სპექტაკლი მიდიოდა.

შუბლს ერთთავად ცხვირსახოცი ვიწმენდი და ჩემს პირდაპირ ჯმუხს, ჩასკვნილ, სუფთად წვერგაპარსულ, ხშირთმიან კაცს ვხედავდი. იგი კართან იდგა და თვალს არ მაცილებდა, თითქოს რაღაც ფიქრი არ ასვენებდესო.

მხოლოდ ეს კაცი დამამახსოვრდა, სხვა ყოველივე თვალებში მიხტოდა, ციხციმებდა და იცვლებოდა; არ იცვლებოდა კიდევ გვირგვინი. იგი ყველაზე უფრო მკაფიოდ მახსოვს. ასე ჩატარდა კითხვა, მაგრამ სასწავლო სცენაზე კი არა, უკვე მთავარ სცენაზე.

ლამით, როცა შინ მივდიოდი, უკან მივხედე, რომ დამენახა, სად ვიყავი. ქალაქის შუაგულში, იქ, სადაც თეატრის გვერდით გასტრონომიული მაღაზიაა, ხოლო პირდაპირ „ბანდაჟები და კორსეტები“. კუს მსგავსი შენობა იდგა, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა და მქრქალი, კუბისებური ფარნები ჰქონდა.

მეორე დღეს, როცა ამ შენობაში შევედი, შიგნით შემოდგომის ბინდბუნდი დამხვდა. მახსოვს, სალდათური მაუდის რბილ საფენზე მივაბიჯებდი რალაციის ირგვლივ; მგონი, მაკურებელთა დარბაზის შიგნითა კედელი იყო ჩემ ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. სეზონი იწყებოდა.

რბილ მაუდზე უხმაუროდ ჩავიარე და არაჩვეულებრივად სასიამოვნოდ მოწყობილ კაბინეტში შევედი, სადაც ხნიერი, ასევე სასიამოვნო, წვერგაპარსული და თვალებმხიარული კაცი დამხვდა. ეს გახლდათ პიესების მიმღები განყოფილების გამგე ანტონ ანტონოვიჩ კნიაჟევიჩი.

კნიაჟევიჩის საწერი მაგიდის ზემოთ ნათელი, თვალმახარა სურათი ეკიდა... მახსოვს, სურათზე ჭიაფერფოჩიანი ფარდა ეხატა, ფარდის იქით კი ღია მწვანე, მხიარული ბალი მოჩანდა...

— ო, ამხანაგო მაქსუდოვო, — აღერსიანად შემომძახა კნიაჟევიჩმა და თავი გვერდზე გადახარა, — რა ხანია, გელათ, გელით! უმორჩილესად გთხოვთ, დაბრძანდით, დაბრძანდით!

მე ტყავის ფუმფულა სავარძელში ჩავჯექი.

— თქვენი პიესა მოვისმინე, მოვისმანე, მოვისმინე, — ღიმილით მოთხრა კნიაჟევიჩმა და რატომღაც ხელები გაშალა, — მშვენიერი პიესაა! თუმცა ასეთი პიესა არასოდეს დაგვიდგამს, აი, ამას კი, ავდგებით და დავდგამთ, ავდგებით და დავდგამთ...

კნიაჟევიჩი რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, თვალები მით უფრო მხიარული უხდებოდა.

— ...და საოცრადაც გამდიდრდებით. — განაგრძობდა კნიაჟევიჩი, — კარგით ივლით! დიახ, კარგით!

„არა, — გამიელვა გულში. — ეს კნიაჟევიჩი რთული კაცი ჩანს... ძალზე რთული...“

კნიაჟევიჩი რაც უფრო მხიარულობდა. მე ჩემდა გასაოცრად, უფრო ვიძაბებოდი.

იგი ცოტა ხანს კიდევ მელაპარაკა და მერე ზარი დარეკა.

— ახლავე გავრილ სტეპანოვიჩთან გაგგზავნით, ასე ვთქვათ. პირდაპირ იმას გადაგცემთ! დიდებული კაცია ჩვენი გავრილ სტეპანოვიჩი... ჭიანჭველასაც კი ფეხს არ დაადგამს! ჭიანჭველასაც კი!

მაგრამ ზარის ხმაზე შემოსულმა მწვანე ღილ-კილოებიანმა კაცმა მოახსენა:

— გავრილ სტეპანოვიჩი თეატრში ჯერ არ მობრძანებულა.

— არ მობრძანებულა და მობრძანდება, — კვლავ მხიარულად თქვა კნიაჟევიჩმა, — ნახევარი საათიც არ გავა და მობრძანდება! თქვენ კი მანამდე თავი შეიქციეთ. თეატრი დაიარეთ, თვალს წყალი დააღვეინეთ, გამხიარულდით, ბუფეტში ჩაი მიირთვით, ბუტერბროდებსაც, ბუტერბროდებსაც ნუ დაზოგავთ. ჩვენს მებუფეტეს ერმოლოი ივანოვიჩს გულს ნუ ატკენთ!

მეც ავდექი და თეატრში გავისეირნე. მაუღზე სიარული ფიზიკურ სიამოვნებას მანიჭებდა, ამას გარდა, მახარებდა ყველგან გამეფებული, იდუმალებით მოცული ბინდბუნდი და მყუდროება.

აქ ერთი ნაცნობი კიდევ გავიჩინე. ასე ჩემი ხნის, გამხდარი, მაღალი კაცი მომიახლოვდა და თავი გამაცნო:

— პიოტრ ბომბარდოვი გახლავართ.

ბომბარდოვი დამოუკიდებელი თეატრის მსახიობი ყოფილა. მითხრა, თქვენი პიესა მოვისმინე და, ჩემი აზრით, კარგი პიესააო.

ბომბარდოვს რატომღაც პირველი წუთიდანვე დავუმეგობრდი; ჭკვიან, ძალზე დაკვირვებულ კაცად მეჩვენა.

— ფოიეში ჩვენი პორტრეტების გალერეის დათვალიერებას ხომ არ ისურვებდით? — თავაზიანად მკითხა ბომბარდოვმა.

თავაზიანობისთვის მადლობა გადავუხადე და უზარმაზარ ფოიეში შევყევი. სადაც ასევე რუხი მაუდი ეფინა. ფოიეს იაქათალებზე რამდენიმე რიგად ეკიდა მოოქრულ, ოვალურ ჩარჩოებში ჩასმული პორტრეტები და გადიდებული ფოტოსურათები.

პირველი ჩარჩოდან ზეთის საღებავით დახატული ოცდაათიოდე წლის დეკოლტეიანი ქალი შემოგვეცქეროდა, აღგზნებული ოვალები და შუბლზე ჩამოშლილი ხშირი თმა რომ პქონდა.

— სარა ბერნარი, — განმიმარტა ბომბარდოვმა.

სახელგანთქმული მსახიობის გვერდით ჩარჩოში ულვაშიანი კაცის ფოტოსურათი მოეთავსებინათ.

— ანდრეი პახომოვიჩ სევასტიანოვი, თეატრის ვასანათებელ ხელსაწყობთა განმგებელი, — თავაზიანად მიმხრა ბომბარდოვმა.

სევასტიანოვის მეზობელი ვად ვიცანი, მოლიერი გახლდათ.

მოლიერის გვერდით მოა ებულ ქალს პაწია, ლამბაქისნაირი შლაპა გვერდზე ეხურა, მკერდზე გამოხასკული ხილაბანდის ბოლოები ისრებივით წა-

მოშვეროდა, ხელში მაქმანიანი ცხვირსახოცი ეჭირა და ნეკი ვანზე გა-
ეზიკა.

— ლიუდმილა სილვესტროვნა პრიაზინა, ჩვენი თეატრის მსახიობი. მი-
თხრა ბომბარდოვმა და თვალეზში რაღაც ნაპერწკალი გაუქრჩქნა შეჭრის ცერიად
გადმოძხედა, მაგრამ აღარაფერი დაუმატებია.

— მომიტევეთ, ეს ვინლაა? — ვკითხე გაკვირვებულმა, როცა დაფნის
ფოთლებით შემკული თხამუჭუჭა კაცის მკაცრ სახეს შევხედე. კაცს ტოგა
ეცვა და ხელში ხუთსიმიანი ლირა ეჭირა.

— იმპერატორი ნერონი, — მითხრა ბომბარდოვმა, თვალეზში ნაპერწკალი
კვლავ გაუქრთა.

რატომ?

— ივან ვასილიევიჩის ბრძანებით, — მითხრა ბომბარდოვმა ისე, სალის
გამომეტყველება არ შეუცვლია. — ნერონი მომღერალი და მსახიობი ვან-
ლდათ.

— ასე, ასე!

ნერონს გრიბოედოვი მოჰყვებოდა, გრიბოედოვსა შექპირი, გადაკეცილი
და გახამებული საყელო რომ ამშენებდა, შემდეგ ვილაც უცნობი. იგი პლისოვი
გამოდგა, თეატრის საბრუნავ წრეს თურმე ორმოცი წელია განაგებდა.

მერე მოჩანდნენ ეივოკინი, გოლდონი, ბომარშე, სტასოვი, შჩებკინი.
შემდეგ კი დავინახე დარდიმანდულად გვერდზე მოგდებული ულანური კივერი,
კივერის ქვემოთ ბატონკაცური სახე, ფიქსატუარით დაყენებული ულვაში,
კავალერიის გენერლის ეპოლეტები, წითელი ლაცკანი, სავაზნე ჩანთა.

— განსვენებული გენერალ-მაიორი კლავდიი ალექსანდროვიჩ კომაროვ-
სკი-ეშაპარ დე ბიონკური, მისი უდიდებულესობის ულანთა ლეიბ-გვარდიის
პოლკის მეთაური. — მითხრა ბომბარდოვმა და, რაკი ნახა, რომ დავინტერეს-
დი, მაშინვე მომიყვა:

— მისი ამბავი ძალზე უჩვეულოა. ერთხელ პეტრობუოვიდან მოსკოვში
ორი დღით ჩამოსულა, ტოსტოვთან უსადილია, საღამოთი კი ჩვენს თეატრში
მოხვედრილა. რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში დამჯდარა... აღარ მახსოვს, რო-
მელ პიესას თამაშობდნენ, მაგრამ დამსწრეები ჰყვებოდნენ, იმ სურათის დროს,
სადაც მოქმედება ტყეში ხდებოდა, გენერალს რაღაც დამართვია... შებინდე-
ბისას ტყეში ჩიტებმა ძილის წინ გალობა იწყეს. სცენის მიღმა, შორეულ სო-
ფელში მწუხრის ზარს ჩამოჰკრეს... გენერალი კი იჯდა და ბატისტის ცხვირსა-
ხოცით თვალეზს იწმენდდა.

სპექტაკლის შემდეგ არისტარხ პლატონოვიჩის კაბინეტისკენ გაემართა.
მერე გაბელდინერი ჰყვებოდა, როცა გენერალი კაბინეტში შევიდა. ურუ, მუშნა-
რავი ხმით თქვა, მირჩიეთ, როგორ მოვიქცეო?!

ჰოდა, გენერალი და არისტარხ პლატონოვიჩი თურმე კაბინეტში ჩაიკეტ-
ნენ...

— უკაცრავად, მაგრამ არისტარხ პლატონოვიჩი ვინლაა? — ვკითხე მე.

ბომბარდოვმა განცვიფრებით შემომხედა, მაგრამ განცვიფრება სახიდან
უმალ ჩამოიშორა და ამიხსნა:

— ჩვენს თეატრს სათავეში ორი დირექტორი უდგას — ივან ვასილიევი-
ჩი და არისტარხ პლატონოვიჩი. უკაცრავად, თქვენ მოსკოველი არა ხართ?

— არა, მე... არა... განაგრძეთ, გუთაყვა.

— ...ჩაიკეტნენ და რა ილაპარაკეს, არავინ იცის. ის კი ცნობილია, რომ იმავე ღამით გენერალმა პეტერბურგში შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა: „პეტერბურგი, მის უდიდებულესობას. რადგან მოწოდებები, თქვენი უდიდებულესობის დამოუკიდებელი თეატრის მსახიობებმა დაქვემდებარებად უქვემდებარდომულესად გთხოვთ, სამსახურიდან დამათხოვით, კომაროვსკი-ბიონკური“.

— მერე რა მოხდა? — ვკითხე განცვიფრებულმა.

— ისეთი დომხალი დატრიალდა, თქვენი მოწონებული, — მიპასუხა ბომბარდოვმა. — ალექსანდრე მესამეს დეპეშა ღამის ორ საათზე მიართვეს. საგანგებოდ გააღვიძეს. საცვლებისამარა წამოდგა — წვერიანია, მკერდზე ჭვარი უყვითა... თქვა. აბა, მომეცით! ჩემს ეშაპარს რა დაემართაო? წაიკითხა და ორიოდ წუთს ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ წამოჭარხლდა და აფშუტუნდა. მერე ბრძანა: ფანქარი მომეცითო! და დეპეშას იქვე წააწერა განკარგულება: „პეტერბურგში მისი ფეხი აღარ ვნახო, ალექსანდრე“, და დასაძინებლად დაწვა.

ხოლო გენერალი მეორე დღესვე სერთუქსა და შარვალში გამოეწყო და პირდაპირ რეპეტიციაზე მოვიდა.

განკარგულება ლაქით დაფარეს, რევოლუციის შემდეგ კი დეპეშა თეატრს გადმოსცეს. შეგიძლიათ, ჩვენს იშვიათობათა მუზეუმში ნახოთ.

— გენერალი რა როლებს თამაშობდა?

— მეფეებისას, მხედართმთავრებისას, მდიდართა სახლებში მომსახურე კამერდინერებისას, — მიპასუხა ბომბარდოვმა. — იცით რა, ჩვენთან უმეტესად ოსტროვსკის თამაშობდნენ. ვაჭრებს... მერე კი დიდხანს იდგმებოდა „წყვდილის მეუფება“... ჰოდა, როგორი ქცევა და თავის დაჭერა გვეჩვენებოდა, თავადაც წარმოიდგენთ... იმან კი ყველაფერი ხუთი თითივით იცოდა, ქალისთვის ცხვირსახოცი როგორ მიეწოდებინა, ღვინო როგორ დაესხა. ფრანგულს უნაკლოდ, ფრანგებზე უკეთ ლაპარაკობდა... ერთი გატაცებაც ჰქონდა. გაგიჟებით უყვარდა სცენის გარეთ ჩიტების მიბაძვა. როცა ისეთი პიესა მიდიოდა, სადაც მოქმედება გაზაფხულზე სოფელშია, ერთთავად კულისებში კიბეზე იჯდა და ბუღბუღლივით უსტვენდა... მაშ, ასეთი უცნაური ამბავი მოხდა!

— არა! არ გეთანხმებით! — შევძახე ფიცხად. — თქვენს თეატრში ყოფნა ისე კარგია, გენერლის ადგილას მეც ზუსტად ასე მოვიქცეოდი...

ჩვენ კვლავ პორტრეტების რიგს გავუყევით.

— კარატიგინი, ტალიონი, — ჩამოთვლას განაგრძობდა ბომბარდოვი. — ეკატერინე მეორე, კარუზო, ფეოფან პროკოპოვიჩი, იგორ სევერიანინი, ბატისტინი, ვერიპიდე, ქალთა სამკერვალო საამქროს გამგე ბობილევა.

მაგრამ ამ დროს ფოიეში უხმაურო ჩორთით შემოირბინა ერთ-ერთმა იმათგანმა, მწვანე ღილ-კილოები რომ ჰქონდათ, და ჩურჩულით მოგვახსენა, გავრილ სტეპანოვიჩი თეატრში მობრძანდაო. ბომბარდოვმა სიტყვა შუაზე გაწყვიტა. ხელი მაგრად ჩამომართვა და ხმადაბლა მითხრა ეს უცნაური სიტყვები:

— მაგრად დაუდექით... — და სადღაც სიბნელეში გაუჩინარდა.

ფეხდაფეხ გავყვევო ღილ-კილოებიან კაცს, რომელიც ჩემ წინ მითოხაროკობდა. ხანდახან თითით მიმიხმობდა და საწყალობლად მაღიმოდა.

ფართო დერეფანს მივუყვებოდით. ყოველი ათი ნაბიჯის შემდეგ დერეფნის აივანებზე ცეცხლოვანი, ელექტრული წარწერები გვხვდებოდა: „სიწყნარე კვერდით რეპეტიციაა!“

იმ წრიულად მიმავალი დერეფნის ბოლოს საფარძელში ოქროსპენსნიანი და ისევე მწვანე დილ-კილოებიანი კაცი იჯდა. დამინახა თუ არა, წამოხტა, ჩურჩულით მომადახა: სალამი, ბატონო ჩემო! — და მძიმე ფარდა გადასწია, ოქროსფრად რომ ჰქონდა ამოქარგული თეატრის ვენზელი „ღმ“.

თავი კარავში ამოვყავი. ჰერზე გადაჭიმული მწვანე ზრუნველი რადიუსებად მიემართებოდა ცენტრიდან. სადაც ბროლის ფარანი ენთო, კარავში აბრეშუმგადაკრული რბილი ავეჯი იდგა, კიდევ ერთი ფარდა და ფარდის იქით მქრქალი მინის კარი მოჩანდა. ჩემი ახალი, პენსნიანი გამყოლი კარს არ მიახლოვებია, მხოლოდ მანიშნა, დააკაკუნეთო, და უმაღლვე გაქრა.

წყნარად მივუკაკუნე და სახელურს ხელი მოვკიდე, მოვერცხლილი არწივის თავს რომ გამოსახავდა. პნევმატურმა ზამბარამ დაისისინა და ჩემ წინ კარი გაიღო. სახეზე ფარდა წამომედო, შიგ გავიხლართე, მერე მოვიცილე...

მე აღარ ვიქნები, სულ მალე აღარ ვიქნები! გადავწყვიტე, თუმცა მაინც შემზარავია... მაგრამ სიკვდილის წინაც გამახსენდება ის კაბინეტი, სადაც თეატრის მატერიალური ფონდის მმართველმა გავრილ სტეპანოვიჩმა მიმიღო.

როგორც კი შევედი, მარცხენა კუთხეში მდგარმა უზარმაზარმა საათმა ნახად დარეკა და მენუეტი წამოაწკარუნა.

თვალებში სხვადასხვაფერი შუქი მეცა. მწვანე შუქი საწერი მაგიდიდან, ანუ, უფრო სწორად, მაგიდიდან კი არა, ბიუროდან, ანუ ბიუროდან კი არა რაღაც ძალზე რთული მოწყობილობიდან მოდიოდა, რომელსაც ათეულობით უჯრა და წერილების ვერტიკალური განყოფილებები ჰქონდა. ზედ იდგა აგრეთვე მეორე ვერცხლისფებიანი გადმოსაწევი ლამპა და სიგარის ელექტროსანთებელა.

პალისანდრის ხის მაგიდის ქვემოთ, რომელზედაც ტელეფონის სამი აპარატი იყო ჩამწყრივებული, ჯოჯოხეთური წითელი შუქი ბრიალებდა. ერთი ციკქნა მაგიდაზე უცხოური ბრტყელი საბეჭდი მანქანა იდგა. იქვე მოეთავაებინათ ტელეფონის მეოთხე აპარატი, გვერდით კი ოქროვარაყიანი, „ღმ“-ს გერბიანი ქილაღების დასტა იდო. ამ მაგიდიდან თეთრი შუქი გამოკრთოდა, ხოლო ქვრიდან ნარინჯისფერი შუქი იფრქვეოდა.

კაბინეტის იატაკზე მაუდი იყო გადაკრული, მაგრამ სალდათური კი არა, საბილიარდე მაუდი, ზედაც ერთი გოჯის სისქე ალუბლისფერი ნოხი ეფინა. ბალიშებით გაწყობილი, უზარმაზარი დივნის გვერდით თურქული ყალიონი იდო. გარეთ, შუაგულ მოსკოვში ნათელი დღე იდგა, მაგრამ ფარდების სამმაგი ფენით ყრუდ დაფარული ფანჯრიდან კაბინეტში ერთი სხივიც, ერთი ბგერაც ვერ აღწევდა. აქ მუდმივი, ბრძნული ღამე გამეფებულიყო და ტყავის, სიგარის, სუნამოს სუნი იდგა. სახესა და ხელებზე თბილი ჰაერი მელამუნებოდა.

კედელზე გადაჭიმულ, ოქროთი დატვიფრულ ტარსიკონზე მამაკაცის დიდი ფოტოსურათი ეკიდა. მამაკაცს არტიტულად დაყენებული თმა, მოჭუტული თვალები და აგრეხილი უღვაში ჰქონდა, ხელში ლორწეტი ეჭირა. მივხვდი, რომ ან ივან ვასილიევიჩი იქნებოდა, ან არისტარხ პლატონოვიჩი, მაგრამ ორთაგან სახელდობრ რომელი იყო, არ ვიცოდა.

ტანმორჩილი კაცი მბრუნავ ტაბურეტზე მკვეთრად შემოტრიალდა და სახე ჩემკენ მოაბრუნა. თვალი ვკიდე მის ფრანგულ ყაიდაზე დაყენებულ მოკლე, შავ წვერსა და თვალებისკენ ისრებივით აბრეხილ უღვაშს.

— მაქსუდოვი გახლავარა, — კუთხარი მე.

— მომიტევეთ, — მაღალი ტენორით მიპასუხა ახალმა ნაცბრბმა, მანიშნა, ახლავე, მარტო ამ ქალაქს ჩავიკითხავო, და...

...ქალაქი ჩავიკითხა. შავზონრიანი პენსნე მკერდზე ჩამოეგდო, დაქანცული თვალები მოისრისა, ბიუროს ზურგი საბოლოოდ შეაქცია და ხმაამოუღებლად დამაცქერდა. თვალებში პირდაპირ, შეუფარავად მიყურებდა, დაკვირვებით მსწავლობდა, ისე როგორც ახლადშეძენილ უცხო მექანიზმს შეისწავლიან არც მალავდა, ჩემს შესწავლას რომ ცდილობდა, თვალებიც კი მოჭუტა. გვერდზე გავიხედე, მაგრამ ვერც ამან მიშველა და დივანზე ავწრიალდი... ბოლოს გავიფიქრე: „ერიპა...“ თავს ძალა დავატანე და თავდაც თვალებში ჩავაშტერდი. გულში კი კნიაჟევიჩის მიმართ რატომღაც წყენა ვიგრძენი.

„საოცარია, — გავიფიქრე, — ის კნიაჟევიჩი ან ბრმაა... ჭიანჭველასაც... ჭიანჭველასაც კი... არ ვიცი... არ ვიცი. ფოლადისფერი, ღრმად ჩამჯდარი წვრილი თვალები... ამ თვალების პატრონს რკინასებური ნებისყოფა, სატანისებური გამბედაობა, სიმტკიცე და შეუდრეკელობა უნდა ჰქონდეს.. ფრანგულ ყაიდაზე დაყენებული წვერი... ვითომ ჭიანჭველასაც არ დაადგამს ფეხს?... საოცრად ჰგავს დიუმას მუშეკეტერთა წინამძღოლს.. რა ერქვა... დამავიწყდა, ეშმაკმა დალახვროს!“

შემდეგ დუმილი აუტანელი შეიქნა და სიჩუმე გავრილ სტეპანოვიჩმა დაარღვია. რატომღაც ეშმაკურად გამიღიმა და უცებ მუხლზე ხელი მომიჭირა.

— მაშასადამე, ხელშეკრულებას უნდა მოვაწეროთ ხელი, არა? — მითხრა მან.

ბრუნი ტაბურეტზე, ბრუნი უკან, და გავრილ სტეპანოვიჩს ხელშეკრულება უკვე ხელთა ჰქონდა.

— ოღონდ არ ვიცი, ივან ვასილიევიჩთან შეუთანხმებლად ხელს როგორ მოვაწერთ? — გავრილ სტეპანოვიჩმა სურათს უნებურად წამიერი მზერა ესროლა.

„ჰოო! მადლობა ღმერთს... ახლა ვიცი, — გავიფიქრე, — ეს ივან ვასილიევიჩი ყოფილა“.

— ვაითუ შარს გადავეყაროთ? — განაგრძობდა გავრილ სტეპანოვიჩი. — მაგრამ, თქვენი გულისთვის! — გამიღიმა მეგობრულად.

ამ დროს კარი დაუკაკუნებლად გაიღო, ფარდა გადაიწია, სამხრეთული მბრძანებლური სახის მქონე ქალი შემოვიდა და შემომხედა.

მე თავი დავუკარი და ვუთხარი:

— მაქსუდოვი გახლავართ.

ქალმა ხელი მაგრად, მამაკაცურად ჩამომართვა და მიპასუხა:

— ავგუსტა მენაყრაკი. — ტაბურეტზე ჩამოჯდა, მწვანე ჯემპრის ჭიბიდან ოქროს მუნდშტუკი ამოიღო, გააბოლა და მანქანაზე წყნარად იწყო კაკუნი.

ხელშეკრულება წავიკითხე და გულახდილად ვამბობ, ვერც გავიგე ვერაფერი და არც მიცდია, რაიმე გამეგო.

მხოლოდ ამის თქმა მსურდა: „დადგით ჩემი პიესა. მე ხომ ამის გარდა არაფერი მინდა, ყოველდღე აქ მოვდიოდე, ორ საათს ამ დივანზე ვიყო მიწოლილი, თამბაქოს დათაფლული სურნელი ვიგრძნო, საათის რეკვა ვისმინო და ვიოცნებო!“

საბედნიეროდ, ეს არ მოთქვამს.

დამამახსოვრდა, რომ ხელშეკრულებაში ხშირად მხვდებოდა სიტყვები

„უკეთუ“ და „რამეთუ“. ხოლი ყოველი მუხლი იწყებოდა სიტყვებით: „ავტორს უფლება არა აქვს“.

ავტორს უფლება არა ჰქონდა თავისი პიესა მოსკოვის სხვა თეატრისთვის გადაეცა.

ავტორს უფლება არა ჰქონდა თავისი პიესა ქალაქ ლენინგრადის რომელიმე თეატრისთვის გადაეცა.

ავტორს უფლება არა ჰქონდა, თავისი პიესა რსფსრ-ს რომელიმე ქალაქისთვის გადაეცა.

ავტორს უფლება არა ჰქონდა, თავისი პიესა უსსრ-ს რომელიმე ქალაქისთვის გადაეცა.

ავტორს უფლება არა ჰქონდა, თავისი პიესა დაებეჭდა.

ავტორს უფლება არა ჰქონდა, თეატრისთვის მოეთხოვა ესა და ეს, ოღონდ რა. ეს კი დამაფიქსა (21-ე მუხლი).

ავტორს უფლება არა ჰქონდა, გაეპროტესტებინა ესა და ეს, მაგრამ რა, აღარც ეს მახსოვს.

თუმცა ამ საბუთის ერთფეროვნებას ერთი მუხლი არღვევდა. ეს 57-ე მუხლი გახლდათ. იგი იწყებოდა სიტყვებით: „ავტორი ვალდებულია“ ამ მუხლის თანახმად ავტორი ვალდებული იყო: „შეუსიტყვებლად და დაუყოვნებლივ შეეტანა თავისი პიესაში შესწორებანი, ცვლილებანი, დამატებანი ანდა შემოკლებანი, უკეთუ ღირეჭვია ან რომელიმე კომისია ან დაწესებულება ან ორგანიზაცია ან კორპორაცია ან ცალკეული პიროვნებანი, აღჭურვილნი შესაბამისი უფლებებით. ამგვარ რამეს მოითხოვდნენ. — და ამისთვის არ მოეთხოვა არავითარი გასამრჯელო, გარდა იმისა, რაც მითითებულია მე-15 მუხლში“.

ამ მუხლს თვალი გადავაავლო და ვნახე, რომ სიტყვა „გასამრჯელოს“ ცარიელი ადგილი მოსდევდა.

ამ ადგილს ფრჩხილი გავუსვი და გავრილ სტეპანოვიჩს შევხედე.

— თავად რა გასამრჯელოს იკმარებდით? — მკითხა მან ისე, რომ თვალი არ მოუცილებია.

— ანტონ ანტონოვიჩ კნიაჟევიჩმა მითხრა. — ვუპასუხე მე. — ორი ათას მანეთს მოგცემენო...

ჩემმა თანამესაუბრემ თავი პატივისცემით დახარა.

— ჰოო... — თქვა მან, ცოტა ხანს დუმდა და მერე დაუმატა: — ეჰ, ფული, ფული! ამქვეყნად რამდენი უბედურება ხდება ფულის გამო! ყველანი მხოლოდ ფულზე ვფიქრობთ, სულზე კი ვინმე დაფიქრებულა?

ჩემს ცხოვრებაში დიდი გასაჭირი მქონდა გამოვლილი, ასეთ სენტენციებს გადაჩვეული ვიყავ და, სიძარტლე ვითხრათ, დავიბენი... გავიფიქრე, ვინ იცის, კნიაჟევიჩი იქნებ მართალიც იყოს... უბრალოდ, გულცივი და ეჭვიანი შევიქნემეთქი... ზრდილობის გულისთვის ამოვიოხრე, ჩემმა თანამოსაუბრემაც თავის მხრივ ოხვრა ამაყოლა, მერე თვალი უცებ ეშმაკურად ჩამიკრა, რაც ოხვრას სრულებით არ შეეფერებოდა, და შინაურულად ჩამჩურჩულა:

— ოთხასი მანეთი? ჰა? მხოლოდ თქვენთვის? ჰა?

უნდა ვალიარო, რომ გავნაწყენდი, საქმე ის იყო, რომ იმეამად კაპიკი ფული არ გამაჩნდა და ამ ორი ათასის დიდი იმედი მქონდა.

— იქნებ ათას რუბლის შეაძლებოდეს? — ვკითხე მე. — კნიაჟევიჩი მეუბნებოდა...

— სახელია მოხვეჭა კდილობა. — მწუხარედ ჩაილაპარაკა გავრილ სტეპანოვიჩმა.

ამ დროს კარზე მოაკაკუნეს და მწვანე ღილ-კილოებიანმა კაცმა ლანგარი შემოიტანა. ლანგარს თეთრი ხელსახოცი ჰქონდა გადაფარებული. მან ეწყო ვერცხლის ყავადანი, სარძევე, ორი ფაიფურის ფინჯანი, განსულქნილი ხელსახოცის-ფერი, შიგნით მოოჭრული, ორი ბუტერბროდი მარცვლოვანი ხიზილალისა, ორი ნარინჯისფერი გამჭვირვალე ზურგიელისა, ორი ყველისა და ორიც ძროხის ცივი სუკისა.

— ივან ვასილიევიჩს პაკეტი წაუღეთ? — ჰკითხა შემოსულს ავგუსტა მენაყრაკიმ.

მწვანე ღილ-კილოებიანს ფერი ეცვალა და ლანგარი დაუყირავდა.

— ავგუსტა ავდევენა, მე ბუფეტში გავვარდო, პაკეტი კი იგნუტოვმა გაუქცია. — მოახსენა მან

— მე იგნუტოვს კი არა, თქვენ გიბრძანეთ. — უთხრა მენაყრაკიმ. — ივან ვასილიევიჩთან პაკეტების მიტანა იგნუტოვის საქმე არ არის. იგნუტოვი სულელია, რაღაცას აფრევს და ისე არ ეტყვის. რაო, გინდათ, ივან ვასილიევიჩს სიცხემ აუწიოს?

— მოკვლას უპირებს. — ცივად თქვა გავრილ სტეპანოვიჩმა.

ლანგრიანმა კაცმა საყოდავად დაიკვნესა და კოვზი დაუვარდა.

— პაკინი სად იყო, როცა თქვენ ბუფეტში ბრძანდებოდით? — ჰკითხა ავგუსტა ავდევენამ.

— პაკინი მანჭანისთვის გაიქცა, — მიუგო ლანგრიანმა. — მე ბუფეტში გავიქეცი, იგნუტოვს კი ვუთხარ, ივან ვასილიევიჩთან გაიქეცი-მეთქი.

ბობკოვი?

— ბობკოვი ბილეთებისთვის გაიქცა.

— იქ დადგით! — უთხრა ავგუსტა ავდევენამ, ღილაკს თითი დააჭირა და კედლიდან მაგიდის ფიცარი გამოხტა.

ღილ-კილოებიან კაცს გაუხარდა, ლანგარი ფიცარზე დადგა, ფარდა ზურგით გასწია, კარი ფეხით გააღო და გაიძურწა.

— სულზე, სულზე იფიქრეთ, კლიუკინო! — ხმამაღლა ვასილმა გავრილ სტეპანოვიჩმა. მანვე მუ მომიბრუნდა და შინაურულად მითხრა:

— ოთხას ოცდახუთი, ჰა?

ავგუსტა ავდევენამ ბუტერბროდი ჩაკბიჩა და წყნარად შეუდგა ცალი თითით ბეჭდვას.

— იქნებ ათას სამასი იყოს? სიშართლე გითხრათ, თავს უხერხულად ვგრძნობ, მაგრამ ახლა უფულოდ ვარ, არაღა, თერძის ვალი მაქვს გასასტუმრებელი...

— ეგ კოსტიუმი შეგიკერათ? — მკითხა გავრილ სტეპანოვიჩმა და შარვალზე მომიოთო.

— დიახ.

— იმ თაღლითს ცუდად შეუკერავს, მითხრა გავრილ სტეპანოვიჩმა, — კინწისკვრით უნდა გაავლოთ!

— კი მაგრამ...

ჩვენ, — თათქოს თქმა უძძიმსო, ისე წამოიწყო გავრილ სტეპანოვიჩმა. ასეთი პრეცედენტი არასოდეს ვქონია, რომ ფული ავტორისთვის ხელ-

შეკრულების დადებისთანავე მიგვეცა, მაგრამ თქვენთვის... ^{ოთხსს} ოცდა-
ხუთი!

— ათას ორასი, — უფრო მზნედ შევაგებე მე, — თორემ არ ვიცი, რა მეშ-
ველება... ძალიან მიჭირს...

— დოღზე თამაში არ გიცდიათ? — თანაგრძობით ^{მკითხა} გავრილ სტე-
პანოვიჩმა.

— არა, — ვუპასუხე სინანულით.

— ერთ ჩვენს მსახიობსაც საქმეები აეწეწა, დოღზე წავიდა და, წარმოიდ-
გინეთ, ათას ხუთასი მოიგო. ჩვენგან წაღებას რა აზრი აქვს. მეგობრულად
გეუბნებით, ზედმეტს თუ წაიღებთ, დაიღუპებით! ეჰ, ფული! რა საჭიროა? აჰ,
მე ფული არა მაქვს და თავს ისე ხალვათად, ისე მშვიდად ვგრძობ... — თქვა
გავრილ სტეპანოვიჩმა და ჯიბე ამოაბრუნა. ჯიბეში ფული მართლაც არ ჰქონ-
და, მხოლოდ ძეწკვზე ჩამოკიდებული გასაღებების ასხმულა ედო.

— ათასი, — ვუთხარი მე.

— ეჰ, ჯანი გავარდნია! — ფიცხად შესძახა გავრილ სტეპანოვიჩმა. —
მერე თუნდაც სიკვდილით დამსაჯონ, ხუთას მანეთს მაინც მოგცემთ. ხელი მო-
აწერეთ!

ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე, თანაც გავრილ სტეპანოვიჩმა განმიმარ-
ტა, ახლა რასაც მოგცემთ, ავანსია და მოვალე ხართ, პარველივე სპექტაკლები-
დან დაფაროთო. შევთანხმდით, რომ დღეს სამოცდათხუთმეტ მანეთს მივიღებ-
დი, ორი დღის მერე ას მანეთს, მერე, შაბაოს — კიდევ ასს, დანარჩენს კი —
თოთხმეტში.

ღმერთო ჩემო! კაბინეტის მერე ქუჩა რა პროზაული, რა ნალვლიანი მეჩ-
ვენა. ცრიდა, შეშით დატვირთული საზიდარი კიშკარში გახირულიყო და მე-
ფორნე ცხენს შემზარავად უყვიროდა. ქუჩაში მიმავალ მოქალაქეებს უამინდო-
ბის გამო სახეზე უკმაყოფილება ეწერათ. შინისკენ მივეშურებოდი, თან ვცდი-
ლობდი, სევდისმომგვრელი პროზაული სურათები არ დამენახა. უბეში, გულ-
თან, სანუკვარი ხელშეკრულება მედო.

ჩემს ოთახში მეგობარი დამიხვდა (იხილე რევოლვერის ამბავი).

უბიდან ხელშეკრულება სველი ხელებით ამოვიღე და შევეყვირე:

— წაიკითხეთ!

ჩემმა მეგობარმა ხელშეკრულება წაიკითხა და, ჩემდა გასაოცრად, გამიბ-
რაზდა.

— ეს რა აბდაუბდაა? გოგრაში რა გიყრიათ, ამას ხელს რომ აწერთ? —
მკითხა მან.

— რა გალაპარაკებთ როცა თეატრის საქმეებში არაფერი გაგეგებათ! —
გაეუბრაზდი მე.

— რა არის ეს — „ვალდებულება, ვალდებულება“, თვითონ თუ არიან რა-
მეში მაინც ვალდებულნი? — აბურტყუნდა ჩემი მეგობარი.

გულმხურვალედ დაეუწყე მოყოლა, როგორია სურათების გაღერება, რა
გულითადი კაცია გავრილ სტეპანოვიჩი, ვახსენე სარა ბერნარდიც და გენერალი
კომაროვსკიც. მინდოდა ამეწერა, საათი მენუეტს როგორ უკრავდა, ყავას
ორთქლი როგორ ასდიოდა, რა წყნარად, რა ჯადოსნურად გაისმოდა ფეხის ხმა
მაუღზე, მაგრამ საათი ჩემს თავში რეკდა. ოქროს მუნდშტუკი, ელექტროლუმ-

ლის ჯოჯობნეთური ბრიალი, თვით იმპერატორი ნერონი თვალწინ მდგა. აღწერა კი ვერა და ვერ შევძელი.

— იქ ხელშეკრულებას ნერონი ადგენს თუ რა? — უხიანად იხუმრა ჩემმა მეგობარმა.

— კარგი ერთი! — შევყვირე და ხელშეკრულება გამოვგლიჯე. წახემსება გადავწყვიტეთ და დუსიას ძმა მალაზიაში გავგზავნეთ. შემოდგომის წვიმა მოდიოდა. რა ლორი იყო, რა კარაქი! რა ბედნიერი წუთები.

მოსკოვის ამინდი კირვეულობით ცნობილი გახლავთ. ორი დღის შემდეგ მშვენიერი, თითქოს ხაფხულის თბილი დღე დადგა. დამოუკიდებელი თეატრისკენ მივიჩქაროდი. წინასწარ ვტკბებოდი სიამით, რასაც ასი მანეთის მიღება მომანიჭებდა. თეატრს მივუახლოვდი და შუა კარზე უბრალო აფიშა დავინახე. წავიკითხე:

მიმდინარე სეზონისთვის გამიზნული რეპერტუარი:

- ესქილე — „აგამემნონი“
- სოფოკლე — „ფილოქეტე“
- ლოპე დე ვეგა — „ფენიზას ბაღე“
- შექსპირი — „მეფე ლირი“
- შილერი — „ორლეანელი ქალწული“
- ოსტროვსკი — „არა ამქვეყნიური“
- მაქსუდოვი — „შავი თოვლი“.

ტროტუარზე პარდაღებული ვიდექი. მიკვირს, იმ დროს საფულე როგორ არ ამომაცალეს. გამვლულები მეჯახებოდნენ, უხამსად რაღაცას მომიახებდნენ, მე კი ვიდექი და აფიშას თვალს ვეღარ ვაშორებდი. მერე გვერდზე მივდექი, ვნახო ერთი, აფიშა გამვლულ მოქალაქეებზე რა შთაბეჭდილებას ახდენს-მეთქი.

თურმე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა. თუ არ ჩავთვლით სან-თომასს, აფიშა რომ შეათვალიერეს. შეიძლება ითქვას, იგი არავის წაუკითხავს.

მაგრამ ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ მოლოდინი ასწილად ამინაზღაურდა. თეატრისკენ მომავალთა ნაკადში ეგორ აგაპიონოვის დიდი თავი შევამჩნიე. იგი თეატრისკენ მოვლი ამალით მოდიოდა. ამალაში თვალი მოვკარ პირში ჩიბუხგაჩრილ ლიკოსპასტოვს და ვიღაც უცნობს, ჩასუტებული, სანდომიანი სახე რომ ჰქონდა. ბოლოს კაფრი მოჩანჩალებდა. კაფრს საზაფხულო, ძალზე უვითელი პალტო ეცვა და შლაპა რატომღაც არ ეხურა. მე წალღოში შევიყუყუე, სადაც უსინათლო ქანდაკება იდგა, და მომავალთ დავაკვირდი.

კომპანია აფიშას გაუსწორდა და შეჩერდა. ლიკოსპასტოვს რაც დაემართა, არ ვიცი, როგორ ავწერო. პირველმა მან შეანელა ფეხი და წაიკითხა. სახეზე ჯერ კიდევ ღიმილი დასთამაშებდა, ჯერ კიდევ რომელიღაცა ანეკდოტის ბოლო სიტყვებს წარმოთქვამდა. აი: „ფენიზას ბაღემდე“ მიალწია და უცებ გაფითრდა. თითქოს ერთბაშად დაბერდა. სახეზე შეძრწუნება გამოეჩატა.

აგაპიონოვმა წაიკითხა და ჩაილაპარაკა:

— ჰმ...

ჩასუტებულმა უცნობმა თვალები აახამჩამა...

„იხსენებს, ჩემი გვარი სად გაუგონია...“ — გავიფიქრე მე.

კაფრმა თანამგზავრებს ინგლისურად დაუწყო გამოკითხვა, რა ნახეთო... აგაპიონოვმა უთხრა. — აფიშა, აფიშაო, — და პაერში ოთხკუთხედი მოუხაზა. კაფრი ვერაფერს მიხვდა და თავი გადააქნია.

ხალხის ტალღა მათ თავებს ხან ფარავდა, ხან გამოაჩენდა. სასტუმროში ჩავსულ დე ხან აღწევდა. ხან ქუჩის ხმაურში იკარგებოდა.

ლიკოსპასტოვი აგაპიონოვს მიუბრუნდა:

— არა, ხომ ნახეთ, ეგორ ნილიჩ? ეს რა არის? — თქვა და მწუხარედ მოითხედა. — ნამდვილად ჭკუაზე შეიშალნენ!...

ქარმა ფრაზის ბოლო გაიტაცა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ მესმოდა ხან აგაპიონოვის ბანი, ხანაც ლიკოსპასტოვის ტენორი.

— ...საიდან გაჩნდა?... ეგ ხომ ჩემი აღმოჩენილია... სწორედ ის ვარლავთ... უპ... უპ... უპ... რა საშინელი ვიღაცაა.

წალოდან გამოვედი და პირდაპირ მათკენ გავემართე.

პირველად ლიკოსპასტოვმა დამინახა. გავოცდი, ისე შეეცვალა თვალთა გამომეტყველება. ლიკოსპასტოვის თვალები კი იყო, მაგრამ შიგ რაღაც ახალი, უცხო ჩაესახა. ჩვენ შორის თითქოს უფსკრული გაჩნდა...

— ყოჩაღ, ძმობილო, — შეპყვირა ლიკოსპასტოვმა, — ყოჩაღ, ძმობილო! ამას კი ნამდვილად არ ველოდი! ესქილე, სოფოკლე და შენ! როგორ მოახერხე, არ ვიცი. მაგრამ გენიალურია! ახლა, რაღა თქმა უნდა, მეგობრებს ვეღარც გვიცნობ! შექსპირებთან მეგობრობა სად შეგვიძლია!

— მორჩი ახლა სისულელეებს! — ვუთხარი დარცხვენით.

— ხომ ხედავ, კაცს შენტოვის სიტყვა ვეღარ გაუბედავს! ავგული ხარ, ღმერთმანი! თუმცა შენზე გულში სიავეს არ ჩავიდებ. მოდი, ძამიკო, გადაგკოცნო! — ლიკოსპასტოვმა ხელი მომხვია და შეჯავრული ლოყა შემახო.

— გაიცანიო! — და მე გავიცანი ჩასუქებული კაცი, რომელიც თვალს არ მაცილებდა.

— კრუპი, მათხრა მან.

მერე კაფრიც გავიცანი. კაფრმა დამტვრეული ინგლისურით ძალზე გრძელი ფრაზა წარმოთქვა. რადგან ამ ფრაზიდან ვერაფერი გავიგე, ამიტომ არაფერი ვუპასუხე.

— რა თქმა უნდა, სასწავლო სცენაზე ითამაშებენ? — ჩამეძია ლიკოსპასტოვი.

— არ ვიცი, — ვუპასუხე, — ამბობენ, მთავარზეო.

ლიკოსპასტოვი ისევ გაფითრდა და გაკაშკაშებულ ცას მწუხარედ ახედა.

— რას ვიზამთ, — ჩახლეჩილი ხმით თქვა მან, — ღმერთმა ქნას, მიდი, მიდი, იქნებ მანდ მაინც გახდე რამეს. რომანმა არ გაგიმართლა, ვინ იცის, იქნებ პიესამ გაგიმართლოს, მაგრამ ნუ გაამპარტავნდები. გახსოვდეს, მეგობრების დავიწყებაზე ცუდი არაფერია!

კრუპი მიუყრებდა და ჩაფიქრება რატომღაც უფრო და უფრო ეძალებოდა, თანაც შევამჩნიე, უფრო მეტად თმასა და ცხვირზე მაკვირდებოდა.

ამ ჯგუფს უნდა გავცლოდი, მათთან ყოფნა მიმძიმდა. ეგორმა ხელი ჩამომართვა და მკითხა, ჩემი წიგნი თუ წაიკითხეო. შიშისგან გამაცია და ვუთხარი, არ წამიკითხავს-მეთქი ახლა ეგორი ვაფითრდა.

— როდის წაიკითხავდა, — თქვა ლიკოსპასტოვმა, — თანამედროვე ლიტერატურის წასაკითხად საღა სცალია... ჰო, ვიხუმრე, ვიხუმრე...

— წაიკითხეთ. — დამარწმუნებლად მითხრა ეგორმა, — არა, წიგნი მოვიდა.

ბიზლიჩიშვილი

ბელეტაჟის სადარბაზოში შევედი. ქუჩისკენ გამავალი ფანჯარა გამოლტული იყო და მწვანე ღილაკი-კილოებიანი კაცი ჩვრით წმენდდა. ლიტერატორთა თავები მჭკქალი მინის მიღმა გაცურდა.

— კაცი თავს იკლავ... ლამის სული ამოგხდეს... გული გეტკინება! — მომესმა ლიკოსპასტოვის ხმა.

აფიშამ თავგზა მთლად ამიბნია, მხოლოდ ერთ რამეს ვგრძნობდი, ჩემი პიესა. ჩვენ შორის დარჩეს და. სინამდვილეში, კაპიკად არ ვარგოდა. რაღაც უნდა შელონა, მაგრამ რა. ეს კი არ ვიცოდი.

...და, აი, ბელეტაჟის კიბეზე ჩასკვნილი, ქერა კაცი გადამელობა, უდრეკს სახე და შეშფოთებულად თვალები ჰქონდა, ხელში გაბერილი პორტფელი.

ამხანაგი მაქსუდოვი ბრძანდებით? — მკითხა ქერა კაცმა.

— დიას. გახლავართ...

— მთელ თეატრში დაგეძებთ, — მითხრა ახალმა ნაცნობმა, — ნება მიბოძრეთ, გაგეცნოთ — რეჟისორი ფომა სტრიევი ვარ. ჰო, ყველაფერი რიგზეა. ნუ იღვლეხვებთ, ჩურაფერზე იწუხებთ, თქვენი პიესა საიმედო ხელშია. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეთ?

— დიას.

— ახლა ჩვენი ხართ, — ჩაქურ განაგრძო სტრიემა. თვალები უელავდა. — აი, რა უნდა ქნათ: ხელშეკრულება დაგვიდეთ მთელ თქვენს მომავალ ნაწარმოებებზე! მთელი სიცოცხლის მანძილზე! რათა ყველაფერი ჩვენთან მოვიდეს. თუ მოისურვებთ, ამას ახლავე მოვაგვარებთ. ეშმაკს ერთხელ მიაფურთხეთ! — თქვა ეს სტრიემა და საფურთხებელში ჩააფურთხა. — მაშ ასე, პიესას მე დავდგამ. ორ თვეში დაფშვებით. თხუთმეტ დეკემბერს გენერალურ რეპეტიციას ჩავატარებთ. შილერი არ შეგვაფერხებს. შილერს იოლად მოევლება...

— უკაცრავად. — ვუთხარი მორიდებით. — მე კი მითხრეს, ევლამპია პეტროვნა დადგამსო...

სტრიეს ფერი ეცვალა.

— რაო, ევლამპია პეტროვნაო? — მკაცრად მკითხა მან. — ეგ არ გამავონოთ! — ხმა უფრო მოუმძლავრდა. — ევლამპიას აქ არაფერი ესაქმება, იმან და ილჩინმა „ფლიგელის ეზოში“ უნდა დადგან. მე მტკიცედ ვარ შეთანხმებული ივან ნიკოლაევიჩთან. მაგრამ თუ ვინმე მახის დაგებას დამიპირებს, მაშინვე ინდოეთში მივწერ! საქმე ამაზე თუ მიდგა, შეკვეთილ წერილს გავგზავნი. — მუქარით შეჰყვირა რატომღაც შეშფოთებულმა ფომა სტრიემა. — აბა, პიესა მომეცით. — მიბრძანა და ხელი გამომიწოდა.

— ეუთხარი, პიესა ჯერ გადაბეჭდილი არა მაქვს-მეთქი.

— აქამდე რას ფიქრობდნენ? — შეჰყვირა გულმოსულმა სტრიემა. — აბანოს წინკარში პოლიქსენა ტოროპეცკაიასთან იყავით?

— კერაფერს მივხვდი და სტრიეს გაოჯნებული შევაჩერდი.

— არ ყოფილხართ? დღეს დასვენების დღე აქვს. ხვალვე პიესას ხელი მოჰკიდეთ. მასთან მიდიხ და ჩემი სახელით იმოქმედეთ! გაბედულად!

ამ დროს ჩვენს გვერდით ძალზე ზრდილა, ენაბრჯგუ, დახვეწილი კაცი გაჩნდა და სტრიუს თავაზიანად, მაგრამ დაბეჭითებით უთხრა:

— ფომა სერგეევიჩ, გთხოვთ, სარეპეტიციო დარბაზში მოხრძანდეთ! გიწყობთ.

ფომამ პორტფელი ილლიაში ამოიჩარა და გაუჩინარდა.

— ხვალვე მიდით აბანოს წინკარში! ჩემი სახელით!
მე კი იქვე დავრჩი და დიდხანს ვაუწყრევლად ვიდექი.

თავი 10

სცენები აბანოს წინკარში

მოვიფიქრე! მოვიფიქრე! პიესაში ცამეტი სურათი იყო. ჩემს პატარა ოთახში მაგიდას მივუჯექი, წინ ძველებურა ვერცხლის საათი დავიდე და პიესის კითხვას ხმამაღლა შევუდექი. კედლის იქით მეზობელს ჩემი ხმა ალბათ ესმოდა და გაოცებისგან აღარ იყო. სურათს ჩავიკითხავდი თუ არა, ქალაღზე დროს ვინიშნავდი. როცა დავასრულე, ვნახე, რომ კითხვას სამი საათი მოვანდომე. ახლა ისიც გამახსენდა, სპექტაკლის დროს ანტრაქტები რომ არის, როცა მაყურებელი ბუფეტში გადის. ანტრაქტების დროც რომ წავუმატე, მივხვდი, ჩემი პიესის თამაში ერთ საღამოს შეუძლებელი იქნებოდა. ლამეებს თეთრად ვათენებდი, ტვინს ვიჭყლეტდი და ჩემი ტანჯვა-წამება ბოლოს იმით დამთავრდა, რომ პიესას ერთი სურათი მოვაკელი. ამან სპექტაკლი ოცი წუთით შეამცირა, მაგრამ საქმეს მაინც ვერ უშველა. მერე გამახსენდა, ანტრაქტების გარდა პაუზებიც რომ არის ხოლმე. ასე, მაგალითად, მსახიობი დგას, ვაზაში თაიგულს ასწორებს და ტირის. თქმით არაფერს ამბობს, მაგრამ დრო ხომ გადის. მაშასადამე, შინ ტექსტის ბუტბუტი ერთია, სცენიდან მისი წარმოთქმა კი სხვაა.

პიესიდან რალაცა კიდევ უნდა ამომელო, მაგრამ რა — არ ვიცოდი. ყველაფერი დიდად მნიშვნელოვანი მეჩვენებოდა. ამას გარდა, როგორც კი რისამე ამოღებას დავაპირებდი, რის კაი-ვაგლახით ავებული მთელი შენობა უმაღვე ჩამოქცევას იწყებდა და მესიზმრებოდა, რომ ლავგარდანები ძირს ცვიოდა, აივნები ინგრეოდა. ეს სიზმრები რალაცას მოასწავებდა.

მაშინ ერთი მოქმედი პირი გავაძევე, რის გამოც ერთ სურათს ძირი მოერკა, მერე კი მთლიანად ამოვარდა და თერთმეტი სურათილა დარჩა.

ამის შემდეგ თავი ბევრი ვიმტვრიე, თამბაქოც ბლომად ჩავბუგე, მაგრამ ვერაფრის შემცირება ველარ შევძელი. ყოველდღე მარცხენა საფეთქელი მტკროდა. მივხვდი, ვერაფერს გავხდებოდი. და გადავწყვიტე. საქმე ბუნებრივი მდინარებისთვის მიმენდო.

მაშინ პოლიქსენა ტოროპეცკაიასკენ გავემართე.

„არა, ბომბარდოვის დაუხმარებლად ვერაფერს გავხდები...“ — ეფიქრობდი გულში.

ბომბარდოვი მართლაც ძალიან დამეხმარა. ამიხსნა, რომ ეს მეორედ გა-

გონილი ინდოეთი და აბანოს წინკარი არც ბოდვა იყო და არც მომჩვენებია ახლა საბოლოოდ გამოირკვა, რომ დამოუკიდებელ თეატრს სათავეში ორი დირექტორი ედგა: ივან ვასილიევიჩი, რაც უკვე ვაცოდე, და არისტარხ პლატონოვიჩი...

— მართლა, მითხარით, იმ კაბინეტში, სადაც ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე. მართო ივან ვასილიევიჩის სურათი რატომ არის?

მუდამ მკვირცხლი, ყოჩალი ბომბარდოვი ახლა შეცბა:

— რატომ?.. ქვევით? ჰმ... ჰმ... არა, არისტარხ პლატონოვიჩი... ივი... იქ... მისი სურათი ზემოთაა...

მივხვდი, რომ ბომბარდოვი ჯერ კიდევ არ მომჩვეოდა და ჩემი ერიდებოდა. მის აბნეულ პასუხს ეს აშკარად ეტყობოდა. მეც ხათრით აღარაფერი ვამომიკითხავს... „ეს სამყარო ძალიან მზიბლავს, მაგრამ გამოცანებით არის აღსავსე...“ — გავიფიქრე.

ინდოეთი? ეს ძალზე უბრალო ამბავია. არისტარხ პლატონოვიჩი ამჟამად ინდოეთშია, ჰოდა, ფომა მასთან შეკვეთილი წერილის გაგზავნას აპირებს. რაც შეეხება აბანოს წინკარს, მსახიობებმა ხუმრობით შეარქვეს (და ეს დამკვიდრდა) ზემო სართულზე დირექტორის კაბინეტის წინა ოთახს, სადაც პოლიქსენა ვასილიევნა ტოროპეცკაია მუშაობს. პოლიქსენა ვასილიევნა არისტარხ პლატონოვიჩის მდივანია...

— ავგუსტა ავდეევნა?

— ცხადია, ივან ვასილიევიჩისა.
ჰოო, ჰოო...

— ჰო კი ჰოა, — მითხრა ბომბარდოვმა, თან ჩაფიქრებით შემომხედა, — მაგრამ, აი, რას გირჩევთ... შეეცადეთ, ტოროპეცკაიას თავი როგორმე მოაწონოთ.

— ეჰ, ამის შნო ვინ მომცა...

— არა, უნდა შეეცადოთ!

თეატრის ზედა განყოფილებაში ავედი და იმ ადგილს მივუახლოვედი, სადაც, მითითებათა მიხედვით, აბანოს წინკარი უნდა ყოფილიყო, ხელში გრაგნილივით დახვეული მანუსკრიპტი მეჭირა.


აბანოს წინკარის წინ რაღაც დერეფანი იყო, სადაც დივანი იდგა. იქ შევეჩერდი, რათა მღელვარება დამეოკებინა, ჰალსტუხი შევისწორე და თან იმაზე ვფიქრობდი, პოლიქსენა ტოროპეცკაიას თავი როგორ მოვაწონო-მეთქი. ამ დროს რაღაც ხმა გავიგონე. აბანოს წინკარიდან თითქოს ქვითინი მომესმა. „აღბათ მომეჩვენა...“ — გავიფიქრე და აბანოს წინკარში შევედი, მაგრამ უმაღვე გამოირკვა, რომ არაფერი მომჩვენებია. მივხვდი, დიდებული სახის ფერის მქონე ქალი, აღისფერი ჯემპრი რომ ეცვა და მაღალ საწერ მაგიდას უჯდა. პოლიქსენა ტოროპეცკაია იყო და სწორედ ის ქვითინებდა.

კართან თავგზააბნეული შევჩერდი, თუმცა ჩემი შესვლა არავის შეუმჩნევია.

ტოროპეცკაიას ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, ერთი ხელით ცხვირსა-ხოცს ჭმუჭნიდა, მეორე ხელის თითებს კი საწერ მაგიდას უკაკუნებდა. მწვანე ლილ-კილოებიანი, ჯმუხი, ჩასკვნილი, ჩოფურა კაცი საწერ მაგიდასთან იდგა. შეშინებული ჩანდა. თვალებს ფეთიანივით აცეცებდა და ხელებს იქნევდა.

— პოლიქსენა ვასილიევნა! — სასოწარკვეთით იძახდა იგი. — პოლიქსენა ვასილიევნა! ხელი ჭერ, არ მოუწერიათ! ხვალ მოაწერენ!

— ეს უსინდისობაა! — შესძახა პოლიქსენა ტოროპეცკაიამ. — თქვენ უსინდისოდ მოიქეცით, დემიან კუზმიჩ! უსინდისოდ!



პოლიქსენა
ტოროპეცკაიამ

— პოლიქსენა ვასილიევნა!

— ეს სულ ქვემოთურების ხრიკებია. ხედავთ, არისტარხ პლატონოვიჩს რა მოუწყვეს. დრო იხელთეს, რომ ინდოეთშია, თქვენ კი მათ ხელი შეუწყვეთ!

— პოლიქსენა ვასილიევნა! მწყალობელო! — შემზარავად შეჰყვირა კაკაია. — რას ამბობთ! ჩემს კეთილისმყოფელს თუ ვუღალატო...

— არაფრის გაგონება არ მინდა, — შეჰყვირა ტოროპეცკაიამ, — ყველაფერი სიცრუეა, სადაგელი სიცრუე! თქვენ მოგისყიდეს!

დემიან კუზმიჩმა ეს რომ გაიგონა, შესძახა:

— პოლი... პოლიქსენა, — და უცებ თვითონაც შემზარავი, ყრუ ბანი აქვითინდა.

პოლიქსენამ მაგიდაზე დასართყმელად ხელი აიქნია, დაართყა და პატარა ვაზიდან ამოჩრილი კალმის წვერი ხელისგულში შეერკო. მან ხმადაბლა შეჰკივლა, წამოხტა, საწერი მაგიდის გვერდით სავარძელში ჩაემხო, კაბა აიკვალთა და უცხოური ფეხსაცმელი გამოუჩნდა. ფეხსაცმელს შუშის ბრილიანტებით შემკული აბზინდები ეკეთა.

დემიან კუზმიჩმა კი არ შეჰყვირა, გულ-მუცლიდან ხრიალი ამოუშვა:

— ვაი! ექიმი! — და გარეთ გაიჭრა. მეც მის კვალდაკვალ დერეფანში გავსხლტი.

ერთი წუთის შემდეგ რუხი ფერის პიჯაკ-კოსტიუმთანმა კაცმა გვერდით ჩამირბინა და აბანოს წინკარში შევარდა. ხელში მარლა და წამლის შუშა ეჭირა.

მერე მისი ყვირილი შემომესმა:

— ძვირფასო! დამშვიდდით!

— რა მოხდა? — ჩურჩულით ვკითხე დერეფანში მდგარ დემიან კუზმიჩს.

დემიან კუზმიჩმა სასოწარკვეთილი, ცრემლიანი თვალები მომაპყრო და აბუბუნდა:

— ბატონო ჩემო, რა მოხდა და, კომისიაში გამგზავნეს ჩვენებისთვის ოქტომბრის თვის საგზურების წამოსაღებად... პოდა, სოქის ოთხი საგზური გამომატანეს, მაგრამ არისტარხ პლატონოვიჩის ძმისწულისთვის საგზურის გამოწერა კომისიაში რატომღაც დავიწყებიათ... მითხრეს, ხვალ თორმეტ საათზე მოდიო... ახლა კი, ხომ ნახეთ, ბატონო ჩემო, თურმე ხრიკები მომიწყვია!

დემიან კუზმიჩს გატანჯულ თვალებზე ეტყობოდა, რომ ალაღ-მართალი იყო, ხრიკები არ მოუწყვია და არც არასოდეს მოაწყობდა.

აბანოს წინკარიდან სუსტი შეკივლება მოისმა: „ვაი!“ დემიან კუზმიჩმა დერეფნიდან მოტეძგა და უკვალოდ გაქრა. ათი წუთის შემდეგ ექიმიც წავიდა. ერთხანს დერეფანში დივანზე ვიჯექი, სანამ აბანოს წინკარიდან მანქანაზე კაკუნის ხმა არ მომესმა. მაშინ კი გავბედე და შევედი.

გაბუდრული და დამშვიდებული პოლიქსენა ტოროპეცკაია საწერ მაგი-

დასთან იჯდა და მანქანაზე ბეჭდავდა. თავი დაკუთარი, შევეცადე, მისაღმება სასიამოვნო და ამასთან ერთად ღირსებით აღსავსე გამომსვლოდა, ხმაც ღირსების გამომხატველი და სასიამოვნო მქონოდა. სწორედ ამის გამო კი, ჩემდა გასაკვირად, დაგუდული ხმა ამოვუშვი.

მერე მოვახსენე, ვინ ვიყავი, ვუთხარი, ფომამ ზმამსწვქის მიჭამომგზავნა, რომ პიესა გიკარნახოთ-მეთქი.

პოლიქსენამ შემომთავაზა, დაბრძანდით და მოიცადეთო. მეც ასე მოვიქეცი.

აბანოს წინკარის კედლები ერთიანად მოფენილი იყო ფოტოსურათებით, დაგეროტიპებით და სურათებით, რომელთა შორის სერთუკიანი და სამოცდაათიანი წლების მოდაზე შეკრეჭილი ბაკენბარდებით დამშვენებული წარმოსადეგი მამაკაცის დიდი, ზეთის საღებავით შესრულებული პორტრეტი გამოირჩეოდა. მივხვდი, რომ ეს არისტარხ პლატონოვიჩი იქნებოდა, მაგრამ ის კი ვერ გამეგო, ვინ უნდა ყოფილიყო ჰაეროვანი, თეთრი ქალწული თუ ქალბატონი, არისტარხ პლატონოვიჩს თავს რომ დასდგომოდა და ხელში გამჭვირვალე თავსაბური ეჭირა. ეს გამოცანა ისე მტანჯავდა, როგორც კი შესაფერი დრო ვიხელთე, ჩავახველე და პოლიქსენა ტოროპეცკაიას ვკითხე.

ჩემს შეკითხვას დუმილი მოჰყვა. პოლიქსენამ ისეთნაირი მზერა მომაპყრო, თითქოს ჩემი შესწავლა ეწადა, ბოლოს მიპასუხა, მაგრამ როგორღაც ძალდატანებით:

- ეს მუზა გახლავთ.
- ჰოო, — ვთქვი მე.

მანქანა ისევ აკაკუნდა, ხოლო მე კედლების თვალიერებას შევუდექი და დავრწმუნდი, რომ ყველა ფოტოსურათსა თუ ნახატზე სხვა ადამიანების გვერდით არისტარხს პლატონოვიჩი იყო გამოსახული.

ასე, მაგალითად, ძველ, გაყვითლებულ ფოტოსურათზე ტყის პირას მდგარი არისტარხ პლატონოვიჩი მოჩანდა. საშემოდგომოდ, ქალაქურ ყაიდაზე გამოწყობილ არისტარხს პლატონოვიჩს ბოტები და პალტო ეცვა, ცილინდრი ეხურა, მის თანამგზავრს კი რაღაც ჭუბა შემოეცვა, მონადირის ჩანთა გადაეკიდა და ორღუღიანი თოფი ეჭირა. თანამგზავრის სახე, პენსნე, ჭალარა წვერი ნაცნობი მეჩვენა.

პოლიქსენა ტოროპეცკაიამ შესანიშნავი თვისება გამოამჟღავნა — თან ბეჭდავდა და თან, რაღაც ჯადოსნური ძალის მეოხებით, იმასაც ხედავდა, ოთახში რა ხდებოდა. უცაბედად შევკრთი, როცა შეკითხვა არც კი მაცალა, ისე მი-თხრა:

— დიახ, დიახ, არისტარხს პლატონოვიჩი სანადიროდ არის ტურგენევთან ერთად.

ამგვარადვე შევიტყვე სლავურ ბაზართან, წყვალცხენიანი მეეტლის გვერდით მდგარი ორი ქურქიანი კაცის ვინაობა — ერთი არისტარხს პლატონოვიჩი გახლდათ, მეორე — ოსტროვსკი.

ოთხნი მაგიდას უსხდნენ, უკან კი ფიკუსი მოჩანდა: არისტარხს პლატონოვიჩი, პისემსკი, გრიგოროვიჩი და ლესკოვი იყვნენ თურმე.

შემდეგი სურათი გამოკითხვას არ საჭიროებდა: ფეხშიშველა, გრძელპერანგიანი, სარტყელში ხელეპჩაყოფილი მელოტი მოხუცი, დაფანჩული წარბები და შეუკრეჭავი წვერი რომ ჰქონდა, ლევ ტოლსტოის გარდა არავინ იქ-

ნებოდა. არისტარხ პლატონოვიჩი მის პარდაპირ იდგა, ჭილის ბრტყელ შლაპა ეხურა და ჩესუჩის საზაფხულო პიჯაკი ეცვა.

მაგრამ ამ სურათის გვერდით აკვარელს რომ შეეხედე, უკვე განსვრება ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. „ეს შეუძლებელია!“ ხიზანდობით უღრებულ ოთახში მდგარ სავარძელში მჯდომ კაცს ძალზე გრძელი, წაწვეტიბული ცხვირი და ავადმყოფური, შემფოთებულ თვალები ჰქონდა, მოთენთილ სახეზე სწორი თმა ჩამოშლოდა, ღია ფერის პაჭანაკებიანი შარვალი, კვადრატულცხვირიანი ფეხსაცმელი და ლურჯი ფრაკი ეცვა, მუხლზე ხელნაწერი ედო, მაგიდაზე მდგარ შანდალში კი სანთელი ენთო.

მაგიდაზე ხელეზდაყრდნობილი თექვსმეტოდე წლის ქურთუკიანი კმაწვილი, ჯერ ბაკენბარდები რომ არ გააჩნდა, მაგრამ ისეთივე მედიდური ცხვირი ჰქონდა, ეჭვს გარეშეა, არისტარხ პლატონოვიჩი გახლდა.

პოლიქსენას თვალებდაქვეტილი შევაჩერდი და მანაც ცივად მიპასუხა:

— დიახ, დიახ, გოგოლო არისტარხ პლატონოვიჩს, „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილს უკითხავს.

თითქოს ვილაცამ უკანიდან შემბერაო, კეფაზე თმა ისე წამომეშალა და უნებურად წამოვისროლე:

— არისტარხ პლატონოვიჩი რამდენი წლისაა?

მოურიდებელ შეკითხვაზე პასუხიც საკადრისი მივიღე, თანაც პოლიქსენას ხმა რალაცნაირად აუთრთოლდა:

— არისტარხ პლატონოვიჩისთანა ადამიანებს ასაკი არაქვთ. როგორც ჩანს, გოცებთ ის ამბავი, რომ არისტარხ პლატონოვიჩის მოღვაწეობის მანძილზე მასთან ბევრი ვინმე იყო დაახლოებული?

— მომიტევეთ! — შევძახე შეშინებულმა. — სრულებითაც არა, პირიქით!.. მე... — მაგრამ ხეირიანი ველარაფერა ვთქვი, რადგანაც გულში გამირბინა: „რა პირიქით? რას მივედ-მოვედები?“

პოლიქსენა გაჩუმდა.

„არა, თავი ვერ მოვაწონე, — გამირბინა გულში, — ამას ლაპარაკი აღარ უნდა!“

ამ დროს კარი გაიღო და აბანოს წინკარში მკვირცხლი ნაბიჯით ქალი შემოვიდა. შეეხედე თუ არა, უმაღლ ვიცანი, რომ იგი პორტრეტების გალერეაში ნანახი ლიუდმილა სილვესტროვნა პრიახინა იყო. პორტრეტიდან ვერაფრით განასხვავებდით: იგივე ხილაბანდი ეკეთა, იგივე ცხვირსახოცი ხელში იმგვარადვე ეჭირა და ნეკი განზე ისევე გაეზზიკა.

გავიფიქრე, ბარემ ამ ქალსაც რომ მოვაწონო თავი, ურიგო არ იქნება-მეთქი, და ზრდილობიანი თავდახრით მივესალმე, მაგრამ ცდამ რატომღაც უნაყოფოდ ჩამიარა.

ქალმა შემოირბინა თუ არა, გადაიკისკისა და შესძახა:

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ვერ ხედავთ? ნუთუ ვერ ხედავთ?

— რა მოხდა? — ჰკითხა ტოროპეცკაიამ.

— როგორი მზეა. როგორი მზეა! — შეჰკვირა ლიუდმილა სილვესტროვნამ, ცვირსახოცი ააფრიალა და წაიცეკვა კიდეც. — გარეთ ნამდვილი ზაფხულია! ნაგვიანევი ზაფხული!

პოლიქსენამ უცნაურად შეხედა და უთხრა:

— ანკეტა გაქვთ შესავსები.

ლიუდმილა სილვესტროვნას მზიარულებას უმაღლესად მთხოვდა, სახე ისე შეეცვალა, ახლა პორტრეტზე ვერაფრის დიდებით ვერაფრის ვერაფრის

— კიდევ ანკეტა! ეს რაღა ანკეტაა? ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — მისი ხმაც ვეღარ ვიცანი. — ახლახან მზეს შევხაროდი, გრძნობა-გონება გავი-
მანვილე, გულში, ის-ის იყო, რაღაც ჩამესახა, მარცვალი გამიღვივდა, სიმები
ოდნავ ამივლერდა, ისე შემოვედი, როგორც ტაძარში... და აი... ჰო, მომეცით,
მომეცით ეგ თქვენი ანკეტა!

— ყვირილი რა საჭიროა, ლიუდმილა სილვესტროვნა, — წყნარად უთხრა
ტოროპეცკაიამ.

— მე არა ვყვირი! მე არა ვყვირი! აქ ვერაფერს ეხედავ. საძაგლად არის
ნაბეჭდი. — პრიახინამ ანკეტის ნაცრისფერი ფურცელი ჩაათვალიერა და უცებ
გვერდზე მიაგდო. — ოჰ, თვითონ ჩაწერეთ, თვითონ ჩაწერეთ, მე ასეთი საჭ-
მეებისა არაფერი გამეგება!

ტოროპეცკაიამ მხრები აიჩეჩა და კალამი აიღო.

— ჰო, პრიახინა, პრიახინა, — ნერვულად წამოიკივლა ლიუდმილა სილ-
ვესტროვნამ, — ჰო, ლიუდმილა სილვესტროვნა! ეს ყველაფერი ხომ იცით,
მე ხომ არაფერსა ვმალავ!

ტოროპეცკაიამ ანკეტაში სამი სიტყვა ჩაწერა და მერე შეეკითხა:

— როდის დაიბადეთ?

ამ შეკითხვამ პრიახინაზე განსაცვიფრებელი ზემოქმედება მოახდინა. ლაწ-
ვები წითლად აუფორეჯდა და უცებ ჩურჩულით წამოიწყო:

— ყოვლად წმინდაო ღვთასმშობელო! ეს რასა ჰგავს? ვერ გამიგია, ამის
ცოდნა ვის რაში სჭირდება? რისთვის? რატომ? ჰო, კარგი, კარგი, მაისში ვარ
დაბადებული, მაისში! კიდევ რა გსურთ, ჩემგან გაივით? რა?

— წელი მინდა გავიგო, — წყნარად უთხრა ტოროპეცკაიამ.

პრიახინას თვალები ცხვირისკენ დაებრიცა, მხრები აუთრთოლდა.

— ოჰ, როგორ მინდა, — აჩურჩულდა იგი, — იგან ვასილიევიჩი ხედავ-
დეს, რეპეტიციის წინ მსახიობს რანაირად აწამებენ!..

— არა, ლიუდმილა სილვესტროვნა, ასე შეუძლებელია, — უთხრა ტორო-
პეცკაიამ, — ანკეტა შინ წაიღეთ და, როგორც გინდათ, ისე შეავსეთ.

პრიახინამ ფურცელს ხელი წამოავლო და ჩანთაში ზიზლით ჩატენა, თან
ტუჩები უთრთოდა.

მ დროს ტელეფონი აგრიალდა და ტოროპეცკაიამ მკვახედ ჩასძახა:

— დიახ! არა, ამხანაგო! რა ბილეთები! მე არავითარი ბილეთი არა მაქვს..
რა? მოქალაქევი! დროს ნუ მაკარგვინებთ! მე არა მაქვს არავითა... რაო? ოჰ! —
ტოროპეცკაიას სახე წამოუწითლდა — ოჰ! მომიტევეთ! თქვენი ხმა ვეღარ
ვიციანი! დიახ! რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! შემოსასვლელში იქნება დატოვე-
ბული. დავაგალებ, პროგრამაც დატოვონ! ფეთფილ ვლადიმიროვიჩი თვითონ
არ მოვა? ძალიან გვეწყინება! ძალიან! კარგად ბრძანდებოდეთ, კარგად, კარ-
გად!

დარცხვენილმა ტოროპეცკაიამ ყურმილი დაკიდა და პრიახინას მიუბ-
რუნდა:

— თქვენ გამო იმას ველაპარაკე უნეშად, ვისაც არ ეკადრებოდა!
 — ოპ, მაგეებს თავი გაანებეთ! — ნერვულად შეჰყვირა პრიახინამ. — სიმები ჩამიწყდა. დღე წახდა!

— პო, — უთხრა ტოროპეცკაიამ. — დასის გამგემ გთხოვს, მასთან მივი-
 იაროთ.

პრიახინას ლოყები თდნავ წამოუწითლდა.

— ხომ ვერ მეტყვიოთ, რატომ ვჭირდები? — ჰკითხა ტოროპეცკაიას და წარბები მედიდურად აზიდა. — უსაზღვროდ მაინტერესებს!

— კოსტიუმერი კოროლკოვა გიჩივით.

— ვინ კოროლკოვა მიჩივის? — შესძახა პრიახინამ. — ეგ ვანლაა? ოპ, გამახსენდა! გამახსენდა, მაშ რა იქნებოდა, — ლიუდმილა სილვესტროვნამ ასე გაიცინა, ზურგში ცივმა ქრუანტელმა დამიარა, — როგორ არ გამახსენდებოდა ეგ კოროლკოვა, როცა კაბის კალთა გამიფუჭა? რაო, რა დამაბეზლა?

— გიჩივით, გაანჩხლებულმა საბირფარეშოში პარიკმახერების თვალწინ მიჩქმიტაო, — აღერსიანად უთხრა ტოროპეცკაიამ, ბროლივით ცივად მომზირალი თვალები კი წამით აუციმციმდა.

ტოროპეცკაიას ნათქვამმა ისეთი ეფექტი მოახდინა, სახტად დავრჩი. პრიახინამ პირი უცაბედად ისე განივრად დაალო და დაღრიცა, თითქოს კბილის ეჭიმთან არისო, თვალებიდან კი ცრემლები ღვარად გადმოსკდა. მე სავარძელში მოვიკუნტე და რატომღაც ფეხები ავწიე. ტოროპეცკაიამ ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მაშინვე კარში დემიან კუზმიჩმა შემოყო თავი და მყისვე გაუჩინარდა.

პრიახინამ კი მუშტი შუბლზე მიიბჯინა და მჭახე ხმით შეჰყვირა:

— უნდათ, სიცოცხლეს გამომასალმონ! უფალო ღმერთო! უფალო ღმერთო! უფალო ღმერთო! ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, შენ მაინც გადმომხედე, ნახე, თეატრში როგორ მეპყრობიან! პელიკანი არამზადაა! გერასიმ ნიკოლაევიჩი კი მოლალატე! წარმომიდგენია, სივცევ ვრაჟეკში ჩემზე რა ამბავს შიიტანდა! მაგრამ ივან ვასილიევიჩს ფეხებში ჩავუვარდები, შევევედრები მომისმინოს!.. — პრიახინას ხმა გაეზარა და ჩაუწყდა.

ამ დროს კარი გაიღო და ისევ იმ ეჭიმმა შემოირბინა. ხელში შუშა და სირჩა ეჭირა. არავისთვის არაფერი უკითხავს, ამღვრეული სითხე შუშიდან სირჩაში გაწაფული ხელით ჩამოასხა, მაგრამ პრიახინამ ჩახლეჩილი ხმით შეჰყვირა:

— თავი გამანებეთ! თავი გამანებეთ! სულმდაბალნო! — და გარეთ გა-
 ვარდა.

— ძვირფასო! — შესძახა ეჭიმმა და პრიახინას გამოედევნა.

დემიან კუზმიჩიც უმაღვე საიდანღაც გაჩნდა და ეჭიმს ფეხდაფეხ მიჰყვა, ნიკრისისგან დაუძლურებულ ფეხებს აქეთ-იქით მიატყაპუნებდა.

გამოღებული კარიდან კლავიშების გრიალი შემოიჭრა და სადღაც შორს ვიღაცამ ვნებიანად დასჭექა:

«...И будешь ты царицей ми... и... и...» — ხმამ იმატა და მძლავრად დაირხა, — „ра-а...“ — მაგრამ კარი მოიხურა და ხმაც მიწყდა.

— გავთავისუფლდი, ბატონო ჩემო, აბა, დავიწყეთ, — მითხრა ტორო-
 პეცკაიამ და ნაზად გაიღიმა.



თეატრის ვაცნობი
ეროვნული

ტოროპეცკაია მანქანაზე ბეჭდვის ხელოვნებას არასოდეს მსგავსი არათური მინახავს. არც სასვენი ნიშნების კარნახი სჭირდებოდა, არც იმის გაძეორება, რომელი გმირი ლაპარაკობდა. ისე გავთამამდი, აბანოს წინკარში ბოლთას ვცემდი და ისე ვუკარნახებდი, ხანაც შევჩერდებოდი, ჩავფიქრდებოდი და ვეუბნებოდი: არა, მოიცადეთ-მეთქი... დაწერილს ვცვლიდი, სულ მივანეჭე თავი იმის ხსენებას, ვინ ლაპარაკობდა, ხან ვბუტბუტებდი. ხან ხმას ავუწევდი, მაგრამ, რაც არ უნდა მექნა, ტოროპეცკაიას ხელიდან პიესის თითქმის ამოუფხეკავ-ამოუშლელად, ჩაწიკწიკებული ფურცელი გამოდიოდა, სადაც ერთი გრამატიკულ შეცდომასაც ვერ იპოვიდი — შეგეძლო, სტამბისთვის თუნდაც იმავე წუთს გადაგეცა.

მოკლედ, ტოროპეცკაიამ თავისი საქმე იცოდა და თავს კარგადაც ართმევდა. ბეჭდვას თან ახლდა ტელეფონების ზარის აკომპანემენტი. თავდაპირველად ტელეფონის ხმა ხელს შიშლიდა, მაგრამ მერე ისე მივეჩვიე, კიდევაც მომწონდა. პოლიქსენა ტელეფონით მოლაპარაკებებს არაჩვეულებრივი სიმარჯვით იგერიებდა. უმაღვე შეუყვრიებდა:

— გისმენთ, ამხანაგო, თქვით, რა გინდათ, არა მცალია! გისმენთ!

ამგვარი შეხვედრა მავთულის მეორე მხარეს მყოფ ამხანაგს აბნევდა, შეცბუნებული რაღაც აბლაუბდის ლულულს იწყებდა და პოლიქსენაც მყისვე თავიდან მოიშორებდა ხოლმე.

ტოროპეცკაიას უჩვეულოდ ვრცელი არე ჰქონდა საქმიანობისა, ამაში ტელეფონთა წკრიალმა დამარწმუნა.

— გისმენთ, — ჩასძახებდა ტოროპეცკაია ყურმილში, — თქვენ სხვაგან რეკავთ, არც ერთი ბილეთი არა მაქვს... აცოდე, მოგკლავ! (ამას უკვე მე მეუბნებოდა, დაბეჭდილ ფრაზას იმეორებდა).

ტელეფონი ისევ აწკრიალდებოდა.

— ყველა ბილეთი უკვე ვაყიდულია, — ამბობდა ტოროპეცკაია, — არც კონტრამარკები მაქვს... ამით ვერაფერს დამიმტკიცებ (ეს — მე).

„ახლა კი გავიგე, — ვფიქრობდი ჩემთვის, — მოსკოველთა შორის თურმე რამდენი მსურველია თეატრში მუქთად სიარულისა. რა საოცრებაა: არც ერთი მათგანი არ შეეცდება, ტრამვაით მუქთად იაროს. ასევე არც ერთი მათგანი მაღაზიაში არ შევა და არ ითხოვს, ერთი კოლოფი ჭიჭყინა უფასოდ მომეცითო. მაშ რატომ ჰგონიათ, რომ თეატრში ფულის გადახდა საჭირო არ არის?“

— გისმენთ! გისმენთ! — ჩასძახოდა ტოროპეცკაია ტელეფონში. — კალაუტა, პენჯაბი, მადრასი, ალოგობადი... არა, მისამართს არავის ვაძლევთ! — მერე მე მომიბრუნდებოდა: — შემდეგ!

— ნებას არ მივცემ, ჩემი საცოლის ფანჯარასთან ესპანური სერენადები იმოეროს, — ვამბობდი აღგზნებული და აბანოს წინკარში დავრბოდი.

— იმღეროს... — იმეორებდა ტოროპეცკაია. მანქანა წამდაუწუმ წკარუნობდა. ტელეფონიც ისევ აწკრიალდებოდა.

— გისმენთ! დამოუკიდებელი თეატრია! არც ერთი ბილეთი არა მაქვს! იმღეროს...

— იმღეროს!.. — ვამბობდი მე. — ერმაკოვი გიტარას იატაკზე დაადებს და აივანზე გაიჭრება.

— გისმენთ! დამოუკიდებელი თეატრია! არც ერთი ბილეთი არა მაქვს!.. გაიჭრება.

— ანაც აიენისკენ გაექანება... არა, უბრალოდ, გადის.

— გადის... გისმენთ! ოპ, დიახ. ამხანაგო ბუტოვიჩო, თქვენთვის ბილეთები კანტორაში იქნება დატოვებული ფილიასთან. კარგად ბრძანდებოდეთ.

— „ანა. თავს მოიკლავს!

ბახტინი. არ მოიკლავს!“

— გისმენთ! გამარჯობათ. დიახ, მასთან ერთად. მერე ანდამანის კუნძულებზე. ალბერტ ალბერტოვიჩი, სამწუხაროდ, მისამართს ვერ მოგცემთ... არ მოიკლავს!..

კაცმა სიმართლე უნდა თქვას: პოლიქსენა ტოროპეცკაიამ თავისი საქმე იცოდა. ორივე ხელით ბეჭდავდა, ათივე თითით. როგორც კი ტელეფონი დაიწკრიანებდა, ცალი ხელით ბეჭდვას განაგრძობდა, მეორით ყურმილს აიღებდა და ჩასძახებდა: „კალკუტა არ მოეწონა! თავს კარგად გრძნობს...“ დემიან კუზმიჩი მალიძალ შემოდის და, საწერ მაგიდასთან მიიბრუნდა და რაღაც ქაღალდებს მიაწვდიდა. ტოროპეცკაია მარჯვენა თვალით ამ ქაღალდებს კითხულობდა, მარჯვენა ხელით ბეჭედს დაუსვამდა, მარცხენით კი ბეჭდავდა: „გარმონიკა მზიარულად უკრავს, მაგრამ ამის გამო...“

— არა, მოიცათ, მოიცათ! — შეეძახებდი მე. — არა, მზიარულად კი არა, ლაღად... ხალისიანად... ანდა, არა. — მოიცათ, — კედელს თვალებდაჭყეტილი შევცქეროდი, ვერ მომეგონებინა, გარმონიკა როგორ უკრავდა. ტოროპეცკაია ამ დროს იბუდრებოდა, ვიღაც „მისის“ ტელეფონით ელაპარაკებოდა, ეუბნებოდა, ალბერტ ალბერტოვიჩი კორსეტის პლანშეტებს ვენიდან წამოიყოლებსო. აბანოს წინკარში ნაირ-ნაირი ხალხი შემოდის. თავდაპირველად მათი თანდასწრებით კარნახისა მრცხვენოდა. ისე მეჩოთირებოდა, თითქოს ტანსაცმლიან ხალხში შიშველი ვიდექი, მაგრამ მალე მივეჩვიე.

მიშა პანიჩიცი შიგადაშიგ გამოჩნდებოდა, გვერდით ჩამივლიდა, გასამხნეველად მხარზე ხელს მომიჭერდა და თავისი სამყოფლის კარს შეაღებდა, რომლის იქით, როგორც უკვე ვიცოდი, მისი ანალიზური კაბინეტი იყო მოთავსებული.

შემოდის რეჟისორთა კორპორაციის თავმჯდომარე, სუფთად წვერგაპარსული ივან ალექსანდროვიჩი პოლტორაკი, გადაშენების დაღდასმული რომაული პროფილი რომ ჰქონდა და ქვედა ტუჩი ჭირვეულად წამოეწია.

— მილ პარდონ. უკვე მეორე მოქმედებასა ბეჭდავთ? გრანდიოზულია! — შესძახებდა იგი და მეორე კარში შედიოდა, თან ფეხებს სასაცილოდ სწევდა მალლა, ვითომ, აი, როგორ ვცდილობ, არ ვიხმაუროო. თუ კარი გაიღებოდა, მესმოდა, ტელეფონით რომ ლაპარაკობდა:

— ჩემთვის სულ ერთია... ცრურწმენების ამყოლი არა ვარ... ეს ორიგინალურიც კი იქნება — დოღზე ნიფხვებით რომ მივლენ. მაგრამ ინდოეთი არ დათანხმდება... ყველას ერთნაირები შეუქერა — თავადსაც, ქმარსაც, ბარონსაც... ნამდვილი ნიფხვები ფერიტაც და თარგითაც!.. თქვენც უთხარით, შარვლებია

საჭირო-თქო. რა ჩემი საქმეა! დაე, გადააკეთონ. ჯანდაბას მაგისი თავი! რას მიქარავს! პეტია ღიტრიხი ასეთ კოსტიუმს არ დახატავს! იმან შარვალი დახატა. ესკიზები მაგიდაზე მიძევს. პეტია... დახვეწილი კაცია თუ დაუხვეწავი, თვითონ უშარვლოდ არ დადის! ამდენი კი იცის!

შუადღისას, როცა თმაში ხელები ვატაცე და მოფიქრებას ვცდილობდი, უფრო ზუსტად როგორ გამომეხატა, რომ აი... კაცი დაეცა... რევოლვერი ხელიდან დაუვარდა... სისხლი სდიოდა თუ არ სდიოდა? აბანოს წინკარში ახალგაზრდა, სადად ჩაცმული მსახიობი ქალი შემოვიდა და შესძახა:

— გამარჯობათ, ჩემო სულიკო, პოლიქსენა ვასილიევნა! ყვავილები მოგიტანეთ!

მან პოლიქსენა გადაკოცნა და საწერ მაგიდაზე ოთხი ცალი მოყვითალო ასტრა დაუდო.

— ინდოეთიდან ჩემზე რაიმე ხომ არ არის?

პოლიქსენამ უპასუხა, არისო, და საწერი მაგიდის უჯრიდან სქელი კონვერტი ამოიღო. მსახიობი ქალი აღელდა.

— „ვეშნიაკოვას უთხარიო. — წაიკითხა ტოროპეცკაიამ, — ქსენიას როლის გასაღებს მივაგენი...“

— ოჰ, მერე, მერე! — შეჰყვირა ვეშნიაკოვამ.

„პრასკოვია ფიოდოროვნასთან ერთად განგის სანაპიროზე ვიყავი და იქ გონება გამინათდა. საქმე ის არის, რომ ვეშნიაკოვა შუა კარიდან კი არა, გვერდიდან უნდა გამოვიდეს, სადაც პიანინო დგას. ნუ დაივიწყებს, რომ ქმარი ახლახან გარდაეცვალა და შუა კარიდან გამოსვლას ვერაფრის დიდებით ვერ გაბედავს. იგი მონაზონივით უნდა მოდიოდეს, თვალებდახრილს ხელში მინდვრის გვირილების თაიგული ეჭიროს. როგორც ქვრივს შეეფერება...“

— ღმერთო ჩემო! რა ნაღდია! რა ღრმა აზრია! — შეჰყვირა ვეშნიაკოვამ. — რა ნაღდია! იმიტომაც იყო, თავს უხერხულად ვგრძნობდი, შუა კარიდან რომ შემოვდიოდი.

— მოიცათ, — განაგრძობდა ტოროპეცკაია, — ჯერ არ დამიმთავრებია, — და წაიკითხა: — „თუმცა, დაე, ვეშნიაკოვა იქიდან გამოვიდეს, საიდანაც სურს! როცა ჩამოვალ, მაშინ ყველაფერი ცხადი გახდება. განგი არ მომეწონა, მგონი, ამ მდინარეს რაღაც აკლია...“ თუმცა ეს თქვენ არ გეხებათ — უთხრა პოლიქსენამ ვეშნიაკოვას.

— პოლიქსენა ვასილიევნა, — თქვა ვეშნიაკოვამ, — არისტარხ პლატონოვიჩის მისწერეთ, რომ უსაზღვროდ, უსაზღვროდ მადლობელი ვარ!

— კარგი.

— მე თვითონ რომ მივწერო, არ შეიძლება?

— არა, — უპასუხა პოლიქსენამ, — მან ასე იწება, რომ ჩემ გარდა არავინ მისწეროს. ეს დაქანცავს და ფიქრს შეუშლის.

— გასაგებია, გასაგებია! — შეჰყვირა ვეშნიაკოვამ, ტოროპეცკაია გადაკოცნა და ოთახიდან გავიდა.

შემოვიდა შუაბნის ტანსრული, ენერგიული კაცი და ზღურბლზევე სახევაბრწყინებულმა შესძახა:

— ახალი ანეკდოტი იცით? ოჰ, თურმე ბეჭდავთ?

— არა უშავს, ანტრაქტი გვაქვს, — უთხრა ტოროპეცკაიამ.

სიხარულით სახეგაბადრული ტანსრული კაცი ტოროპეცკაიასკენ დაიხარა. სული ელეოდა, ისე უნდოდა ანეკდოტის მოყოლა თანაც ხელეებით სხვებსაც მოუხმობდა. ანეკდოტის მოსასმენად მოვიდნენ მიშა პანინი, პოლტოროცკი და კიდევ ვიღაცა. ყველამ თავი საწერი მაგიდისკენ დახარა. გავიგონე, როგორ უნდა იყოს წმინდა სასტუმრო ოთახში დაბრუნდა...“ საწერ მაგიდასთან შეჩვივდნენ და დასრულეს. ტანსრული კაცი ცოტა ხანს კიდევ ჩურჩულებდა. მიშა პანინს სიცილის ვინმა მოუარა და თავისებურად აჭახჭახდა. „ახ. ახ. ახ!“ პოლტოროცკიმ შეძუ- ვირა: „გრანდიოზულია!“ ხოლო ტანსრული კაცი ბედნიერებისგან ახარხარდა და უმაღვე ოთახიდან ყვირილით გავარდა:

— ვასია! ვასია! მოიცა! არ გინდა, ახალი ანეკდოტი მოგყიდო!

მაგრამ ვასიასთვის ანეკდოტის მიყიდვა არ დასცალდა, რადგან ტოროპეცკაიამ უკანვე დააბრუნა.

თურმე არისტარხ პლატონოვიჩს ტანსრული კაცის მისამართითაც მოეწუ- რა რაღაც.

— „ელაგინს გადაეცით, — კითხულობდა ტოროპეცკაია, — ყველაზე მეტად შედეგის თამაშს ერიდოს, რასაც იგი მუდამ ძალზე ესწრაფვის“.

ელაგინს ფერი ეცვალა და წერილში ჩაიხედა.

„უთხარით, — განაგრძობდა ტოროპეცკაია, — იმ სცენაში, სადაც გენე- რალთან წვეულებაა, პოლკოვნიკის ცოლს მაშინვე არ მიესალმოს, ჯერ მაგი- დას შემოუაროს, დაბნეულად ილიმეპოდეს, არაყის სახდელი ქარხნის პატრო- ნია და მაშინვე არაფრის დიდებით არ მიესალმება, ხოლო...“

— ვერ გამიგია! — თქვა ელაგინმა, — მომიტევეთ, მაგრამ ვერ გამი- გია. — მან ოთახში წრე დაარტყა, თითქოს რაღაცას შემოუარაო, — ვერა, ამას ვერა ვგრძნობ, რაღაც მეჩოთირება!.. პოლკოვნიკის ცოლი წინ უდგას, ის კი რატომღაც უნდა წავიდეს და... ვერა ვგრძნობ!

— მაშ გინდათ თქვათ, რომ ეს სცენა არისტარხ პლატონოვიჩზე უკეთ ვესმით? — ცივი ხმით ჰკითხა ტოროპეცკაიამ.

ამ შეკითხვამ ელაგინი შეაცბუნა.

— არა, ამას არ ვამბობ... — იგი გაწითლდა. — მაგრამ თავად განსაჩეთ... და ოთახში ერთხელ კიდევ დაარტყა წრე.

— მე მგონია, არისტარხ პლატონოვიჩს მუხლმოყრილმა უნდა უთხრა: „მადლობა იმასთვის, რომ ინდოეთიდან...“

— სულ ეს უნდა გვეკეროს პირზე: მუხლმოყრილმა, მუხლმოყრილმაო, უცებ ჩაიბურტყუნა ელაგინმა.

„ეს რა ყოჩალი ვინმე ყოფილა!“ — ვთქვი გულში.

— გირჩევნიათ, მოისმინოთ, არისტარხ პლატონოვიჩი მერე რას წერს, — უთხრა ელაგინს ტოროპეცკაიამ და წაიკითხა: — „თუმცა, დაე, ელაგინი ისე მოიქცეს, როგორც აფრა, როცა ჩამოვალ, პიესის აზრი ყველასთვის ნათელი გახდება“.

ელაგინი გამხიარულდა და ოინბაზობა დაიწყო: ხელი ჯერ ერთ ლოყას- თან ჩამოიქნია, მერე მეორესთან და მომეჩვენა, რომ ბაკენბარდები ჩემ თვალ- წინ წამოეხარდა. შემდეგ თითქოს დადაბლდა, ცხვირის ნესტოები მედიდურად დაბერა და კბილებშია გამოსცრა ყველაფერი, რაც წერილში მის თაობაზე ეწე- რა, თანაც წარმოსახული ბაკენბარდებიდან ბეწვებს წამოქცაო.

„რა მსახიობია!“ — გავიფიქრე. მივხვდი, რომ არისტარხ ბლატონოვის განასახიერებდა.

ტოროპეცკაიას სახეზე სისხლი მოაწვა და მიიმეღე წყნარად.

— მე გთხოვთ!

— თუმცა, — კბილებშია გამოსცრა ელაგინმა, მერე მხრები აიჩეჩა, თავისი ჩვეულებრივი ხმით თქვა: — ვერ გამიგია! — და ოთახიდან გავიდა.

თვალი მოვკარ, დერეფანში ერთი წრე კიდევ რომ დაარტყა, მხრები კვლავ გაოცებით აიჩეჩა და გაუჩინარდა.

— ოჰ, ეს საშუალონი! — წამოიწყო პოლიქსენამ. — წმინდა არაფერი გააჩნიათ. ხომ გაიგონეთ, როგორ ლაპარაკობენ?

— ჰმ, — ჩავილაპარაკე, რადგან არ ვიცოდი, რა მეთქვა, და, რაც მთავარია, ვერ გამეგო, რას ნიშნავდა ეს სიტყვა „საშუალონი“.

პირველი დღის მიწურულს აშკარა შეიქნა, რომ აბანოს წინკარში პიესის დაბეჭდვა შეუძლებელი იქნებოდა. პოლიქსენა მისი უშუალო მოვალეობისგან ორი დღით გაათავისუფლეს და ჩვენ ქალების ერთ-ერთ საპირფარეშოში გადაგვიყვანეს. დემიან კუზმიჩმა საბეჭდი მანქანა საპირფარეშოში ხენეშა-ხენეშით შემოათრია.

ნაგვიანვემა ზაფხულმა ფარ-ხმალი დაყარა და ნესტიან შემოდგომას დაუთმო ადგილი. ფანჯრიდან ნაცრისფერი შუქი იჭრებოდა. მე პატარა ტახტზე ვიჯექი და კარადის სარკეში ჩემს ანარეკლს ვხედავდი. პოლიქსენა ტახტზე იჯდა. თავი თითქოს ორი სართულისგან მქონდა შემდგარი. ზედა სართულში დომხალი, არეულ-დარეულობა სუფევდა, რასაც მოწესრიგება ესაჭიროებოდა. პიესის პირველმა გმირებმა უჩვეულო საზრუნავი გამიჩინეს. ყველასთვის შესაფერი სიტყვები უნდა მომეძებნა, ყველას პირველობა უნდოდა და სხვების შევიწროებას ცდილობდა. პიესის სწორება ძალზე დამქანცველია. ზედა სართულის ხმაური და ბობოქრობა ქვედა სართულით ტკბობას მიძნელებდა, სადაც მყარი, უდრტვინველი სიმშვიდე სუფევდა. ბონბონიერივით კოხტა, პატარა საპირფარეშოს კედლებიდან ყალბი ღიმალით მიცქეროდნენ მეტისმეტად ბაგეფუნჩულა, უბებრაშავებული ქალები, ხაბარდა კაბები რომ ეცვათ. ქალებს შორის ფოტოსურათებიდან კბილებს აელვებდნენ მღიმარე მამაკაცები, ხელში ცილინდრები რომ ეჭირათ. ერთ მათგანს ფუმფულა ეპოლეტები ეკეთა, ლოთობისგან ჩაწითლებული მსხვილი ცხვირი ტუჩებამდე ჩამოგრძელებოდა, ლოყები და ყელი ნაოჭ-ნაოჭ ჩაჰკეცოდა. ეს კაცი ვინ იყო, ვერა და ვერ ვიცანი, სანამ პოლიქსენამ არ მითხრა, ელაგინიაო.

მე ხან ფოტოსურათებს ვუცქეროდი, ხანაც ტახტიდან წამოვდგებოდი და ხელით ვსინჯავდი ჩამქრალ ლამპიონებს, ცარიელ საპუდრეს, ვისუნთქავდი რალაც საღებავის ოდნავ შესაგრძნობ სუნს და პოლიქსენას პაპიროსის სურნელებას. საპირფარეშოში სიჩუმე სუფევდა, მღუმარებას მხოლოდ საბეჭდი მანქანის კაკუნი და მისივე სუსტი წკარუნი არღვევდა, ზოგჯერაც პარკეტი ოდნავ გაიჭრიალებდა. გამოღებული კარიდან ხანდახან მოჩანდა, ფეხის წვერებზე როგორ ჩაივლიდნენ კაფანდარა ხნიერი ქალები. გახამებული კაბების ზვინები რომ მიჰქონდათ.

ამ დერეფნის დიად მღუმარებას იშვიათად არღვევდა საიდანღაც შემოჭრილი მუსიკის ყრუ ხმა და შორეული მრასხანე ყვირილი. ახლა ვიცოდი, რომ

სადაც შორს, ძველ დერეფანთა, ჩასასვლელთა და კიბეთა ქსელს მიღმა იყ-
სენა, სადაც პიესა „სტეპან რაზინის“ რეპეტიცია მიდიოდა.



ბეჭდვას თორმეტ საათზე ვიწყებდით, ორ საათზე კი შესვენება გამოვიღებდით.
პოლიქსენა თავისი ოთახისკენ გასწევდა, რათა საქმისათვის შემეხვედნენ.
ჩაის ბუფეტში შევდიოდა.

ბუფეტს სანამ მივალწევდი, ჯერ დერეფანი უნდა გამეგლო და კიბეზე ჩავ-
სულიყავ. მდუმარების მომხიბვლელობა აქ უკვე ქრებოდა. კიბეზე მსახიობი
კაცები და ქალები ამოდისდნენ, თეთრი კარის მიღმა ტელეფონი წკრიალებდა.
მის წკრიალს სადაც ქვემოდან მეორე ტელეფონი ეხმიანებოდა. ქვემოთ აკ-
გუსტა მენაფრაკის მიერ გამოწვევნილი ერთ-ერთი შიკრიკი მთრეგობდა. მე-
რე შუისაუკუნეებისებური რკინის კარი გამოჩნდებოდა; კარს იქით ჩარივე-
ბულ იდუმალ საფეხურებს კი, ასე მეგონა, უსასრულოდ ღრმა, საზეიმო, ნახევ-
რად ბნელ აგურის ხეობაში ჩავყბვნი, სადაც კედლებისკენ გადახრილი დეკორა-
ციების რამდენიმე ფენა აღმართულიყო. დეკორაციათა თეთრ ჩარჩოებზე შა-
ვად ელავდა იდუმალებით მოცულნი პირობითი წარწერებნი: „I მარცხ. უს.“
„გრად. ზურგს უკ.“ „საწ. ოთ. III მოქმ.“ მარჯვნივ მოჩანდა ფართო და მაღა-
ლი, ფამთასვლისგან ჩაშავებული ჭიშკარი შიგ ჩატანებულნი კუტიკარით, რომ-
მელსაც უზარმაზარი კლიტე ედო. ეს ჭიშკარი თურმე სცენაზე გადიოდა. ამ-
გვარივე ჭიშკარი მარცხნივაც აღმართულიყო. იქიდან ეზოში გახვიდოდით, სა-
დაც ფარდულები იდგა. ამ ფარდულებიდან მუშებს შემოჰქონდათ დეკორაცი-
ები, რომლებიც ხეობაში არ ეტეოდნენ. ხეობაში მუდამ შევყოვნდებოდი ხოლმე.
რათა განმარტობით ოცნებას მივცემოდი. ეს კი იოლი გახლდათ, რადგან
მგზავრი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა დეკორაციებს შორის მოქცეულ ბი-
ლიკზე, სადაც ერთმანეთს გზას ისევ ვერ აუქცევდით, თუ გვერდულად არ ჩა-
ვივლიდით.

რკინის კარზე დამაგრებული ზამბარა-ცილინდრი ჰაერს შეისრუტავდა,
გველივით წაისისინებდა და გამატარებდა. აქ უკვე ხალიჩა ეფინა და ფეხის ხმა
აღარ ისმოდა. მალე სპილენძის ლომის თავი გაკრთებოდა; მაშ გავრილ სტეპა-
ნოვიჩის კაბინეტის კარიბჭეს ჩავუარე. მერე ისევ სალდათურ მაუდს გავუყვე-
ბოდი იქით, სადაც უკვე ხალხი მოჩანდა და ლაპარაკიც გაისმოდა. იქ იყო ჩაის
ბუფეტი.

პირველად თვალში მეცემოდა დახლს იქით მდგარი, მრავალვედროიანი
პრილა სამოვარი, მერე ტანმორჩილ, ხნიერ, უღვაშიამოშვებულ, მელოტ კაცს
დავინახავდი, რომელსაც ისეთი სევდიანი თვალები ჰქონდა, მიუჩვეველ კაცს
სიბრაალულსა და შეშფოთებას მოჰგვრიდა. სევდიანი კაცი დახლს იქით იდგა.
ხვად მდგარ წითელი ხიზილალისა და ბრინჯა ყველის ბუტერბროდებს დას-
ცქროდა და მწუხარედ იხრავდა. როცა მსახიობები ბუფეტთან მივიდოდნენ
და ხორაგეულს აიღებდნენ, მებუფეტეს თვალები ცრემლებით ევსებოდა. არ
ახარებდა არც ფული, ბუტერბროდების საფასურად რომ აძლევდნენ, არც ის
აზნავი, დედაქალაქის საუკეთესო ადგილას, დამოუკიდებელ თეატრში რომ
იდგა. არაფერი არ ახარებდა. როგორც ჩანს, გულისტკივილს გრძნობდა, რო-
ცა გაიფიქრებდა, აი, ახლა ყველაფერს შევამენ, რაც ლანგარზე აწყვიცა. ნამ-
ცესაც არ დატოვებენ და უზარმაზარ სამოვარსაც მთლიანად გამოვლიანო-
რი ფანჯრიდან შემოდგომის კრიატი დღის შუქი შემოდისოდა, დახლს

იქით კედელზე მიმაგრებული ტიტასეური თალფაქის ქვეშ ლამბა არასოდეს
ჭრებოდა, კუთხეები კი მუდამ ბინდბუნდში იყო ჩადარული.

მაგიდასთან მსხდარი უცხო ადამიანებისა მრცხვენოდა, მათთან მისვლისა
მეშინოდა, თუმცა მინდოდა, მათში გავრეულიყავი. მაგარდგზხან შხარხარი ყრულ
გაისმოდა, ყველგან რალაცას ჰყვებოდნენ.

ერთ ჭიქა ჩაის დავლევდი, ბრინჯიან ბუტერბროდს მივაყოლებდი და ახლ
თეატრის სხვა ადგილას მივდიოდდი. ყველაზე უფრო ის ადგილი შემეყვარდა,
„კანტორას“ რომ ეძახდნენ.

ეს ადგილი თეატრის ყველა სხვა ადგილისგან მკვეთრად განსხვავდებო
და, რადგან ეს იყო ერთადერთი ხმაურიანი კუთხე, სადაც, ასე ვთქვათ, სო
ცოცხლე ქუჩიდან იჭრებოდა.

კანტორა ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი პატარა, ვიწრო
ოთახი გახლდათ, სადაც ეზოს მხრიდან ისეთი მახვეულ-მოხვეული კიბე ამო
დიოდა, თეატრში პირველად მისული ყოველი კაცი უეჭველად წაიქცეოდა.
პირველ ოთახში ორი კურიერი იჯდა, კატკოვი და ბაკვალინი. მათ წინ, მაგიდაზე
ორი ტელეფონი იდგა და ეს ტელეფონები თითქმის გაუჩერებლად რეკავდა.

მალე მივხვდი, რომ ტელეფონები ერთსა და იმავე კაცს მოუბ
მობდა. ის კაცი მომიჩნავე ოთახში იმყოფებოდა, რომლის კარზე ეკიდა წარ
წერა:

„შინაგანი წესრიგის გამგე
ფილიპ ფილიპოვიჩ ტულუმბასოვი“.

ტულუმბასოვზე მეტი პოპულარობა მთელ მოსკოვში არავის ჰქონია და
ალბათ არც არასოდეს ექნება. გეგონებოდათ, ტულუმბასოვთან ტელეფონით
ლაპარაკს მთელი ქალაქი ლამობსო, და ხან კატკოვი, ხან ბაკვალინი ფილიპ
ფილიპოვიჩს მასთან ლაპარაკის მსურველებს უერთებდნენ.

არ მახსოვს, ვილაცამ მითხრა თუ მესიზმრა, თითქოს იულიუს კეისარს
შეეძლო, რამდენიმე საჭმე ერთდროულად ეკეთებინა, მაგალითად, რაიმე წაე
კითხა და ვინმესთვის მოესმინა.

თუ გინდათ, ხატზე დავიფიციავ, იულიუს კეისარი საცოდავად დაიბნეოდა,
ფილიპ ფილიპოვიჩის ადგილას რომ დაესვათ.

იმ ორი აპარატის გარდა, ბაკვალიანისა და კატკოვის მაგიდაზე რომ ზრია
ლებდა, თვით ფილიპ ფილიპოვიჩს წინ კიდევ ორი აპარატი ედგა, ერთიც, ძვე
ლებური ყაიდისა, კედელზე ეკიდა.

ფილიპ ფილიპოვიჩს, ტანსრულ, ქერა, პირმრგვალ, სანდომიან კაცს არაჩ
ვეულებრივად ცოცხალი თვალები ჰქონდა, რომელთა ფსკერზე უხილავ, იდუ
მალ, ალბათ მარადიულ, განუკურნებელ სევდას დაებუდებინა. იგი დაბალ ტი
ხარს იქით იჯდა საოცრად მყუდრო კუთხეში. გარეთ დღე იყო თუ ღამე, ფი
ლიპ ფილიპოვიჩთან ნიადაგ საღამო მეფობდა და მწვანე თალფაქის ქვეშ ლამ
ბა ენთო. საწერ მაგიდაზე ჩამწკრივებული ოთხი კალენდარი ფილიპ ფილიპო
ვიჩს ერთიანად აჭრელებული ჰქონდა იდუმალეებით მოცული ჩანაწერებით:
„გადახ. 2. პარტ. 4“, „13, დილ. 2“, „მონ. 77727“ და სხვა ამდაგვარი რამეებით.

ასეთივე ნიშნებს დაემშვენებინა მაგიდაზე გადაშლილი ხუთი ბლოკნოტი.
ფილიპ ფილიპოვიჩის თავზემთო აღმართულიყო მურა დათვის ფიტული, თვა
ლებში პატარა ელექტრონათურები რომ ჰქონდა ჩადგმული. ფილიპ ფილიპოვიჩს
გარე სამყაროდან დაბალი ტიხარი მიჩნავდა, ხოლო ამ ტიხარზე, დღის რომელ

საათზედაც გნებავთ, სულ სხვადასხვაგვარად ჩაცმულ-დახურული ხალხი იყო მუცლით გადმოწოლილი. დარწმუნებით შეგვესლოთ გეთქვათ, აქ, ფილიპოვიჩის თვალწინ, მთელი ქვეყანა ჩაივლისო; მოდიოდნენ და მოდიოდნენ ყველა კლასის, ჯვუფას, ფუნის, რწმენის, სქესის; თუ ასაკის წარმომადგენელი, ღარიბულად ჩაცმულ ქალებს, ვაცვეთილი შლაპები რომ შემხედდნენ, საყუროზე სხვადასხვა ფერის დახაკერი რომ მოუჩანდათ. სამხედროები ადგილს უთმობდნენ კარგად ჩაცმულ, თახვისსაყულოიან და გახამებულსაყულოიან მანიკაცებს, გახამებულ საყულოთა შორის ზოგჯერ გაკრთებოდა ჩითის ხალხთი, საკინძი გვერდზე რომ ჰქონდა, შემდეგ — ქორწინებულ მოგდებული კეპი; მხრებზე წაყუმმოხვეული ფაშფაშა ქალი; ყურებიანი ქუდი; ჩალურჯებელი თვალი; ცხვირშეჭედრული მღვდრობითი სქესის მოზარდი; მეთევზის ჩექმებიანი, გრძელ ხიფთანზე ქამარშემორტყმული კაცი; კიდევ სამხედრო, ერთრომბიანი; ვიღაც თმაგადაპარსული და თავშებანდული ყმაწვილი, ნიკაპაცახცახებულ დედაბერი, მიმჭრალი თვალები რომ ჰქონდა და თანამგზავრ ქალს რატომღაც ფრანგულად ესაუბრებოდა; თანამგზავრს კი კაცის კალოშები ეცვა, გამოერეოდა ვიღაც ტყაპუჭიანიც.

ვისაც ტიხარზე გადაწოლა არ შეეძლო, უკან იდგა, ისინი დაქმუქნულ ბარათებს ხანდახან მაღლა ასწევდნენ ხოლმე და გაუბედავად შესძახებდნენ: „ფილიპოვიჩი!“ ტიხართან შეჯგუფებულ ხალხში დროგამოშვებით შეიჭრებოდნენ ქალები ან კაცები, რომელთაც ზედა სამოსი არ ეცვათ, უბრალოდ, ბლუზით ან პიჯაკით იყვნენ მოსულნი და, მივხედებოდი, რომ ისინი დამოუკიდებელი თეატრის მსახიობები იყვნენ.

მაგრამ ტიხართან ვინც არ უნდა მისულიყო, უმცირესი გამოჩენისის ვარდა, ყველას მლიქვნელური გამომეტყველება ჰქონდა, ყველა პირფერულად იღიმებოდა, ყველა რაღაცას სთხოვდა ფილიპოვიჩს, ყველა მის პასუხზე იყო დამოკიდებული.

სამი ტელეფონიდან ხან ერთი აწკრილდებოდა, ხან მეორე, ხან მესამე, ზოგჯერ კი სამივე ერთად აყრუებდა ამ პატარა კაბინეტს, ფილიპოვიჩს ეს ოდნავადაც არ აწუხებდა, მარჯვენა ხელით მარჯვენა ტელეფონის ყურმილს იღებდა, მხარზე იდებდა და ხედ ლოყას დააბჯენდა, მარცხენა ხელით მეორე ყურმილს აიღებდა და მარცხენა ყურზე მიიღებდა, გათავისუფლებული მარჯვენა ხელით ერთ-ერთ მთხოვნელს გამოწვდილ ბარათს გამოართმევდა და სამივესთან ლაპარაკს ერთბაშად აწყებდა — ჯერ მარცხენა, მერე მარჯვენა ყურმილში ჩასძახებდა, მთხოვნელს დაელაპარაკებოდა, შემდეგ კვლავ მარცხენა ყურმილში ჩასძახებდა, ახლა მარჯვენაში, მერე მთხოვნელს მიუბრუნდებოდა, მარჯვენა ყურმილში ჩასძახებდა, მთხოვნელს დაელაპარაკებოდა, მარცხენა ყურმილში ჩასძახებდა, ახლა სხვა მთხოვნელს მიუბრუნდებოდა და კვლავ მარჯვენა ყურმილში ჩასძახებდა.

ყურმილებს ბერკეტებზე ერთდროულად ჩამოდებდა და რადგან ოროვე ხელი გაუთავისუფლდებოდა, მთხოვნელებს ორ ბარათს ართმევდა, ერთ ბარათს უკანვე დაუბრუნებდა, ყვითელი ტელეფონის ყურმილს აიღებდა, ერთ წამს უსმენდა და ეტყოდა, ხვალ სამ საათზე დარეკეთო, ყურმილს დაკიდებდა და მთხოვნელს ეუბნებოდა, არაფერი, შევიძლიათ.

მერე და მერე მივხვდი, ფილიპოვიჩს თურმე ბილიტებს სთხოვდნენ.

სთხოვდნენ სულ სხვადასხვა ყაიღაზე. ზოგი ამბობდა, ირკუტსკიდან ჩამოვედი, ამაღამ მივდივარ და ისე წასვლა არ შემიძლია, „უმზითვი“ თუ არ ვნახეო. ზოგი ამბობდა, იალტელი ექსკურსიის მძღოლი ვარ, რომელიღაც დელეგაციის წარმომადგენელიო. ზოგი არც ექსკურსიის მძღოლი იყო, არც კომბირელი და არც არსად მიემგზავრებოდა. უბრალოდ ეუბნებოდა: პეტუხოვი ვარ, გახსოვართო? მსახიობები ეუბნებოდნენ: ფილია, ოპ, ფილია, მომიხერხეო... ზოგი იძახდა, რამდენსაც გინდათ გადავიხდი, ფასს არ მოვერიდებიო...

— ოცდარვა წელია ივან ვასილიევიჩს ვიცნობ, — უცებ აჩიფჩიფდებოდა რომელიღაც დედაბერი, ჩრჩილისგან გამოკმული ბერეტი რომ ეხურა, — დარწმუნებული ვარ, უარს არ მეტყვის...

— დასადგომს მოგცემთ. — უცებ ეტყოდა ფილიპ ფილიპოვიჩი, გაოგნებულ დედაბერს ლაპარაკს აღარ აცლიდა და ქალაქის ნაგლეჯს გაუწვდიდა.

— ჩვენ რვანი ვართ, — წამოიწყებდა ვიღაც ჩაფსკვნილი კაცი და სიტყვა გაუწყვდებოდა, რადგან ფილია უკვე ეუბნებოდა:

— თავისუფალ ადგილებზე! — და ქალაქს გაუწვდიდა.

— მე არნოლდ არნოლდოვიჩმა გამოგზავნა, — დაიწყებდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი, მდიდრულად ჩაცმას მოწადინებული რომ ჩანდა.

„დასადგომს მოგცემთ“, — ეუკარნახებდი გულში, მაგრამ ვერ გამოვიცნობდი.

ფილია ახალგაზრდა კაცს თვალს ერთხელ შეაფლებდა და მყისვე უპასუხებდა:

— არაფერი შემიძლია.

— კი მაგრამ, არნოლდ...

— არ შემიძლია!

და ახალგაზრდა კაცი ისე გაქრებოდა, თითქოს მიწამ პირი უყოო.

— მე და ჩემი ცოლი... — წამოიწყებდა ჩასუქებული მოქალაქე.

— ხვალისთვის? — სწრაფად შეეკითხებოდა ფილია.

— ნება თქვენია.

— სალაროში! — შესძახებდა ფილია. ჩასუქებულ კაცს ხელში უკვე ქალაქის ნაგლეჯი ეჭირა და ხალხში გზას მიიკვლევდა. ფილია კი ამ დროს უკვე ტელეფონში ჩასძახოდა: „არა! ხვალ!“ — თანაც მოწოდებულ ბარათს მარცხენა თვალით კითხულობდა.

მერე და მერე მივხვდი, რომ იგი არც ადამიანთა გარეგნობას და, რაღა თქმა უნდა, არც მათ გაზინთულ ქალაქლებს აქცევდა ყურადღებას. ჩემდა მოულოდნელად, სადად, ღარიბულად ჩაცმულნიც კი უცებ მეოთხე რიგში ორ უფასო ადგილს მიიღებდნენ, ხოლო კარგად ჩაცმულნი ხელცარიელნი მიდიოდნენ. ზოგჯერ ასტრახანიდან, ევპატორიიდან, ვოლოგდიდან, ლენინგრადიდან ჩამოსულთა უზარმაზარი ლამაზი მანდატებიც კი არ ქრიდა, ანდა ხუთი დღის შემდეგ, დილის სპექტაკლზე თუ გაქრიდა, ზოგჯერ კი მოკრძალებული, ჩუმი კაცი ხმასაც არ ამოიღებდა, ტიხარს იჭით ხელს ისე გაიწვდიდა, და ადგილს უმაღვე მიიღებდა.

როცა გამოვიწაფე, მივხვდი, რომ ამ კაცს ადამიანთა შეცნობის სრულყოფილი უნარი ჰქონდა. ამას რომ მივხვდი, მღელვარება და გულის თრთოლვა ვიგრძენი. დიახ, იგი უდიდესი გულთამხილავი გახლდათ. ადამიანთა სულის იდუმალ კუნჭულებს სწვდებოდა, მათს ფარულ სურვილებს ამოიცნობდა. მის-

თვის გაცხადებული იყო მათი ვნებანი, მანკიერებანი; ყველაფერი იცოდა, რასაც გულში მალავდნენ, მაგრამ არც სასიკეთო დარჩებოდა შეუმჩნეველი, რაც მთავარია, იცოდა, ვის რისი უფლება ჰქონდა. იცოდა, თეატრში ვინ უნდა მისულიყო და როდის, ვის ჰქონდა უფლება მეოთხე რიგში ჯდომოდა, ვინ უნდა მისულიყო კიბეზე უნდა გაწამებულიყო ამაო იმედით, იქნებ რაღაც სასწაულმოქმედი გათავისუფლდეს და იქ გადავჯდეთ.

მივხვდი, რომ ფილიპ ფილიპოვიჩის სკოლა უდადესი სკოლა იყო.

ან კი ხალხი როგორ არ უნდა ეცნო, როცა თხუთმეტი წლის მანძილზე ამ ოთახში მის თვალწინ ათი ათასობით ადამიანს ჩაევლო. ვინა არ შეხვედრია: ინჟინრები, ქირურგები, მსახიობები, ქალთა ორგანიზატორები, გამფლანგველები, დიასახლისები, მემანქანეები, მასწავლებლები, მეცო-სოპრანოები, მეგიტარეები, ჯიბგირები, დანტისტები, მეხანძრეები, გაურკვეველი საქმიანობის ქალიშვილები, ფოტოგრაფები, მკვებავები, მფრინავები, პუშკინოლოგები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, მხედრები, მონტიორები, უნივერსალური მალაზიის გამყიდველები, სტუდენტები, პარიკმახერები, კონსტრუქტორები, ლირიკოსები, სისხლის სასართლის დამნაშავენი, პროფესორები, ყოფილი ბინათმფლობელები, პენსიონერი ქალები, სოფლის მასწავლებლები, მეღვინეები, ვიოლონჩელისტები, მეფოკუსეები, ქმარს ვაყრილი ქალები, კაფეების გამგეები, პოკერის მოთამაშეები, კომყოპათები, აკომპანიატორები, გრაფომანები, კონსერვატორიის ბილეთის გამყიდველები, ქიმიკოსები, დირიჟორები, მძლეოსნები, მოჭადრაკეები, ლაბორანტები, ვიგინდარები, ბუხპალტერები, შიზოფრენიით დაავადებულნი, დეგუსტატორები, ნემანკიურეები, მოანგარიშეები, ყოფილი ღვთისმსახურნი, სპეკულანტი ქალები, ფოტოტექნიკოსები.

ფილიპ ფილიპოვიჩს ბარათები აბა რაღად სჭირდებოდა?

კაცისთვის ერთხელ რომ შეეხედა, მასი ნათქვამი ორიოდ სიტყვა გაეგონა, მეტიც აღარ უნდოდა, უკვე იცოდა. ამ კაცს რა უფლება ჰქონდა, პასუხს არ დაახანებდა და ეს პასუხი ყოველთვის უტყუარი გახლდათ.

— გუშინ „დონ კარლოსზე“ ორი ბილეთი ვიყიდე, — ეუბნებოდა ადევლებული ქალი, — ჩანთაში ჩავიდე და შინ როცა დავბრუნდი...

ფილიპ ფილიპოვიჩი ზარზე თითს დააჭერდა და ქალს აღარც უყურებდა. ისე ამბობდა:

— ბაკვალინო! ორი ბილეთია დაკარგული... რიგი?

— მეთერ...

— მეთერთმეტე რიგში. შეუშვით. დასვით... შეამოწმეთ!

— გასაგებია! — დაიბუხუნებდა ბაკვალინი და ქალიც უმაღლესად გაქრებოდა. მის ნაცვლად კი ტიხარზე უკვე სხვა ვიღაც იყო გადმოწოლილი და ხრიალებდა, ხვალ მივემგზავრებით.

— ასეთი რამ გავგონილა! — გაგულისებით გაიძახოდა ვიღაც მანდილოსანი და თვალებს აკვესებდა. — ბიჭი უკვე თექვსმეტი წლისაა! რას უყურებთ, მოკლე შარვალი რომ აცვია...

— ქალბატონო, ჩვენ იმას არ ვუყურებთ, ვის როგორი შარვალი აცვია, — მტკიცედ უპასუხებდა ფილიპ, — კანონით თხუთმეტი წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან... შენ აქ ჩამოჯექი, ახლავე, — იმავე დროს შინაურულად გადაულაპარაკებდა წვერ-ულვაშგაპარსულ მსახიობს.

— მომიტევეთ, — ყვიროდა მოჩხუბარი მანდილოსანი, — ახლა ჩემს თვალწინ სამი გრძელკაბიანი პაწაწკინტელა გოგო შეუშვეს. იცოდეთ, გიჩივლებთ!

— ის პაწაწკინტელა გოგოები, ქალბატონო, — უპასუხებდა ფილია, — კოსტრომელი ლილიპუტები იყვნენ.

სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა. მანდილოსანს თვალთა ელვარება ჩაუტრებოდა. მაშინ ფილია გაიღიმებდა და კბილებს ისე გააეღვებდა, რომ ქალს გააჟრუოლებდა. ტიხართან ერთმანეთს მიჭეჭყილი ხალხი კი ნიშნის მოგებათ ახითხითდებოდა.

სახეგაფითრებული, განაწამები, თვალეზამღვრეული მსახიობი უცებ ტიხარს გვერდიდან გადმოაწვებოდა და აჩურჩულდებოდა:

— საშინელი შაკიკი...

ფილია არ გაიკვირებდა, ხელს უკან ისე გასწევდა, არც შებრუნდებოდა, კედლის პატარა კარადას გამოაღებდა, კოლოფს თითების ფათურით მოძებნიდა, პაკეტს ამოიღებდა, განაწამებ მსახიობს გაუწვდიდა და ეტყოდა:

— წყალი დააყოლე... გისმენთ, ქალბატონო.

ქალს თვალები აცრემლდებოდა, შლაპა ყურზე ჩასცურებოდა. მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. ჭუჭყიან ცხვირსახოცში სრუტუნებდა. გუშინ იმავე „დონ-კარლოსზე“ ყოფილა, შინ დაბრუნებული და ჩანთა აღარ ჰქონია. ჩანთაში კი თურმე ას სამოცდათხუთმეტი მანეთი, საბუდრე და ცხვირსახოცე ედო.

— ცუდად მოქცეულხართ, ქალბატონო, — მკაცრად ეტყოდა ფილია, — ფული ჩანთაში კი არა, შემნახველ სალაროში უნდა შეგენახათ.

ქალი ფილიას თვალებდაჭყეტილი შეაცქერდებოდა, არ მოელოდა, რომ მის სადარდელს არად ჩააგდებდნენ და ასე გულცივად მოეპყრობოდნენ.

მაგრამ ფილია მაშინვე ბრავუნით გამოსწევდა მაგიდის უჯრას. ერთი წამის შემდეგ გაყვითლებული ლითონის ნაიადით შემკული, დასრესილი ჩანთა ქალს უკვე ზელთა ჰქონდა და სამაღლობელ სიტყვებს ლულლუდებდა.

— მიცვალებული მოასვენეს. ფილიპ ფილიპოვიჩ, — მოახსენებდა ბაკვალინი.

იმავე წუთს ლამპა ქრებოდა, უჯრები ბრავუნით იკეტებოდა, ფილია პალტოს აჩქარებით შემოიცმევდა, ხალხში გზას გაიკვლევდა და გარეთ გავიდოდა. მე მოჯადოებულივით მივდევდი უკან, კიბის მოსახვევში კედელს თავს შეეხალები და ეზოში გავდარიდი. კანტორის კართან სატვირთო მანქანა იდგა, რომელსაც ირგვლივ წითელი ლენტე ჰქონდა შემოვლებული. სატვირთო მანქანაზე მეხანძრე ესვენა და შემოდგომის ცას თვალებდახუჭული ასცქეროდა. ფეხებთან მუზარადი უელავდა, თავთან კი ნაძვის ტოტები ეწყო. უქუდო ფილია სატვირთო მანქანასთან იდგა. სახეზე საზეიმო გამომეტყველება ეფინა და რაღაც ბრძანებებს ხმადაბლა აძლევდა კუსკოვს, ბაკვალინსა და კლიუკვინს.

სატვირთო მანქანა სიგნალს მისცემდა და ქუჩაში გავიდოდა. თეატრის შესასვლელთან მაშინვე ტრომბონების მჭახე ხმა იფეთქებდა. გაოცებული ხალხი ზანტად ჩერდებოდა. ჩერდებოდა სატვირთო მანქანაც. თეატრის შესასვლელში მდგარი წვეროსანი, პალტოიანი კაცი დირიჟორის ჯოხს იქნევდა. ჯოხის მორჩილი რამდენიმე მოელვარე საყვირი ქუჩას მაღალი ხმით აყრუებდა. მერე საყვირთა ხმა ასევე მოულოდნელად შეწყდებოდა და ოქროსფერი, განი-

ერტოტებიანი შარვალი და ესპანურ ყაიდაზე დაყენებული ქერა წვერი თეატრის შესასვლელში გაუჩინარდებოდა.

კუსკოვი სატვირთო მანქანაზე ახტებოდა, სამი მეხანიძრე კუბოს კუთხეებში დადგებოდა, ფილია გასაცილებლად ხელს დაუქნევდა და სატვირთო მანქანაც კრემატორიუმისკენ გასწევდა, ფილია კი კანტორაში დაბრუნდებოდა.

უზარმაზარი ქალაქის მაჯა ფეთქავს და ტალღები ხან მიიქცევა, ხან მოიქცევა. ზოგჯერ ყოველგვარი საჩინო მიზეზის გარეშე ფილიასთან მომსვლელების ტალღა შესუსტდებოდა და ფილიაც თავს ნებას აძლევდა, სავარძელში გადაწოლილიყო, ვიღაცას განუშრებოდა ხელ-ფეხი გაემართა.

— შენთან გამომგზავნეს, — ეუბნებოდა ფილიას რომელიღაც სხვა თეატრის მსახიობი.

— იმათაც უნახავთ, რაღა, გამოსაგზავნი კაცი — შფოთისთავი, — უპასუხებდა ფილია და გაიცინებდა. უცნაური საცილი იცოდა, სახე გაებადრებოდა. თვალები კი არააოდება უცინოდა.

ფილიასთან ძალზე ლამაზი ქალი შევიდოდა, საუცხოოდ შეკერილი პალტო ეცვა და მხრებზე შავმურა მელიის ტყავი მოეხვია.

ფილია გულითადად გაუღიშებდა და შეჰყვირებდა:

— ბონჟურ, მისი!

ქალი მზიარულად გაიცინებდა. მის ფეხდაფეხ ოთახში ზანტად შემოიზღაზნებოდა შვიდიოდე წლის ბიჭი. მეზღვაურის ქუდი ეხურა, საოცრად მედიდური სახე სივის შოკოლადით მოსთხუბნოდა, ლაწვზე სამი ნაკაწრი აჩნდა, თანც ხმადაბლა ასლოკინებდა. ბიჭს უკან მოჰყვებოდა აღელვებული მსუქანი ქალი.

— ფუი, ალიოშა! — შესძახებდა იგი გერმანული აქცენტით.

— ამალია ივანნა! — ხმამაღლა, მუქარით ეტყოდა ბიჭი ამალია ივანოვნას და ძალუღლად მუშტს მოუღერებდა.

— ფუი, ალიოშა! — წყნარად ეუბნებოდა ამალია ივანოვნა.

— ოჰ, გამარჯობა შენი! — შესძახებდა ფილია და ბიჭუნას ხელს გაუწვდიდა.

ბიჭუნა დაასლოკინებდა. თავს დაუკრავდა და ქუსლს ქუსლზე შემოკრავდა.

— ფუი, ალიოშა. — ჩაიჩურჩულებდა ამალია ივანოვნა.

— ეგ რა ნიშნი გადევს ლოყაზე? — შეეკითხებოდა ფილია.

— მე? — სლოკინით ჩაიბურტყუნებდა ბიჭუნა და თავს ჩალუნავდა, — კორეს წავეჩხუბე...

— ფუი, ალიოშა, — მხოლოდ ტუჩებით, მექანიკურად ჩაიჩურჩულებდა ამალია ივანოვნა.

— სე დომმაე! — შეჰყვირებდა ფილია და მაგიდის უკრიდან შოკოლადს ამოიღებდა.

ბიჭს შოკოლადისგან ამღვრეული თვალები წამოენთებოდა და შოკოლადს გამოართმევდა.

— ალიოშა, დღეს თოთხმეტი შოკოლადი შეჭამე, — გაუბედავად წასჩურჩულებდა ამალია ივანოვნა.

¹ ვწუხვარს (ფრანგ.).

— ნუ ცრუობთ, ამალია ივანოვნა, — დაიგუგუნებდა ბაჭუნა, თუმცა ეგონა, ხმადაბლა ვამბობო.

— ფუი, ალიოშა!..

— ფილია, სულ დამივიწყეთ, საძაგელო! — ხმადაბლა შესძახებდა ლამაზი ქალი.

— ნონ, მადამ, ენპოსიბლ! — შეჰყვირებდა ფილია. — მე ლე ზაფფერ ტუჟურ!¹

ლამაზი ქალი გადაიკისკისებდა და ფილიას ხელზე ხელთათმანს დაარტყამდა.

— იციო რა, — შთაგონებით ეუბნებოდა იგი, — ჩემმა დარიამ დღეს ღვე-ზელები გამოაცხო, ვახშმად გვესტუმრეთ, ჰა?

— ავეკ პლეზირ!² — შესძახებდა ფილია და ქალის პატივსაცემად დათვის თვალებს აუნთებდა.

— როგორ შემაშინეთ, საძაგელო ფილკა! — შესძახებდა ქალი.

— ალიოშა! შეხედე, როგორი დათვია, — ყასიდად აღფრთოვანდებოდა ამალია ივანოვნა, — თითქოს ცოცხალიაო!

— გამიშვით, — დაიღრიალებდა ბიჭუნა და ტიხრისკენ გაქანდებოდა.

— ფუი, ალიოშა...

— არგუნინიც წამოიყვანეთ. — ისე შესძახებდა ქალი. თითქოს ახლად მოიფიქრაო.

— ილ ეუ!³

— მაშ სპექტაკლის შემდეგ მოვიდეს. — იტყოდა ქალი და ამალია ივანოვნას ზურგს შეაქცევდა.

— ეე ტრანსპორტ ლიუი⁴.

— კარგი იქნება, ძვირფასო. ჰო, მართლა, ფალენკა, რალაც მინდა გთხოვოთ. არ შეგიძლიათ, ერთ დედაბერს „დონ კარლოსზე“ სადმე ადგილი მოუხერხოთ? ჰა? თუნდაც იარუსზე? ჰა, ოქრო?

— მკერავია? — შეეკითხებოდა ქალს ფილია და ყოვლისგამომცნობ მზერას მიაპყრობდა.

— რა საძაგელი ხართ! — შესძახებდა ქალი. — მაინცდამაინც მკერავი რატომ გგონიათ? პროფესორის ქვრივია და ახლა...

— თეთრეულსა კერავს. — თითქოს ძილ-ბურანშიაო, ისე ჩაილაპარაკებდა ფილია და ბლოკნოტში ჩაიწერდა:

„თეთრეულის მკერავი. მი. გვერდითა, იარ. 13-ში“.

— როგორ მიხვდით? — შესძახებდა უფრო დამშვენებული ქალი.

— ფილია ფილიაოვიჩ, დირექციაში ტელეფონზე გთხოვენ, — შემოსძახებდა ბაკვალინი.

ახლავე!

— მე მანამდე ქმარს დავურეკავ, — ამბობდა ქალი.

ფილია ოთახიდან გავარდებოდა, ქალი კი ყურმილს აიღებდა და ნომერს აკრეფდა.

¹ არა, ეს შეუძლებელია, მაგრამ სულ საქმეები მაქვს! (ფრანგ.).

² სიამოვნებით! (ფრანგ.).

³ ის თამაშობს! (ფრანგ.).

⁴ მოვიყვან (ფრანგ.).

— გამგის კაბინეტი. შენთან რა ამბებია? დღეს ფილია ჩვენსა ღვეზელზე დავპატივე, არა უშავს. ერთი საათი წაუძინე. ჰო, არგუნინმაც თავი დამპატივებინა... მაშ რა მექნა, უხერხული იყო... აბა, ნახვამდის, გენაცვალე, რა შეწუხებული რატომა გაქვს? ვკოცნი.

მე დივნის მუშამბაგადაკრულ საზურგეს მივესვენებოდი და ხუჭავდი და ოცნებას მივეცემოდი. „ჰოი, რა სამყაროა... ხეტარებისა და სიმშვიდის სამყარო...“ წარმოვიდგენდი იმ უცნობი ქალის ბინას. რატომღაც მეგონა, უზარმაზარი ბინა უნდა ჰქონოდა... ფართო დერეფანში თეთრ კედელზე ნოოქრულ ჩარჩოში ჩასმული სურათი ჰკიდია, ოთახებში პარკეტი ყველგან პრიალებს. შუა ოთახში როიალი დგას და უზარმაზარი ხალიჩ...

ოცნება უეცრად სუსტმა კვნესამ და სტომაქის ბუყბუყმა შემაწყვეტინა. თვალი ვავახილე.

ბიჭი დივანზე იჯდა, მკვდრისფერი ედო, თვალები გადასტრიალებოდა, ფეხები გაეფარჩხა. ლამაზი ქალი და ამალია ივანოვნა მისკენ გაექანენ. ლამაზი ქალი გაფითრდა.

— ალიოშა! — შეჰყვირა ლამაზმა ქალმა. — რა დაგემართა?!

— ფუი, ალიოშა! რა დაგემართა?! — შეჰკივლა ამალია ივანოვნამაც.

— თავი მტკივა, — მისუსტებული, მთრთოლვარე ბარიტონით უპასუხა ბიჭმა. ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, ლოყები უცებ დაებერა და უფრო მეტად გაფითრდა.

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა ლამაზმა ქალმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეზოში ღია ტაქსომოტორი შემოგრიილდა. მანქანაში ბაკვალინი მოჩანდა.

ბიჭს პირი ცხვირსახოცით მოსწმინდეს, მკლავებში ხელი გაუყარეს და კანტორიდან გაიყვანეს.

ჰოი, კანტორის საოცარო სამყაროვ! ფილია! მშვიდობით! მალე ამქვეყნად აღარ ვიქნები. თქვენც გამიხსენეთ!

თავი 12

სივცევ ვრატევი

მე და ტოროპეცკაიამ პიესის გადაბეჭდვა ისე მოვათავეთ, ვერც შევამჩნიე, მერე რა იქნებოდა, ამაზე დაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ ბედმა თვითონ მიკარნახა.

კლიუკვინმა წერილი მომიტანა.

„უღრმესად პატივცემულო
ლეონტი სერგეევიჩ!..“

ეშმაკმა დალაზვროს, რატომ უნდათ, რომ ლეონტი სერგეევიჩი ვიყო?... იქნებ უფრო იოლად გამოითქმის, ვიდრე სერგეი ლეონტიევიჩი?... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს!

„...თქვენი პიესა ივან ვასილიევიჩს უნდა წაუკითხოთ. ამისთვის საჭიროა, 13-ში, ორშაბათს, დღის 12 საათზე სავცევე ვრაჟევკში მიბრძანდეთ.

მარად თქვენი ერთგული
ერკინეშვილი სტრიჟი“.

მივხვდი, რომ ეს წერილი დიდად მნიშვნელოვანია იყო და უსაზღვროდ ავლელდი.

გადავწყვიტე, გახამებული საყელო და ლურჯი პალსტუხი გამეკეთებინა და ნაცრისფერი კოსტიუმი ჩამეცვა. თუმცა ბოლო გადაწყვეტილების განხორციელება არც გამძნელებია, რადგან ნაცრისფერი კოსტიუმი ჩემი ერთადერთი რიგიანი კოსტიუმი გახლდათ.

თავი ზრდილობიანად, მაგრამ ღირსეულად უნდა მჭეროდა, თანაც, ღმერთო დამიფარე, ოდნაეი პირდერობაც არ უნდა შემტყობოდა.

ცამეტი, კარგად მახსოვს, მეორე დღეს იყო და დილით თეატრში ბომბარდოვი მოვიანახულე.

მისი შეგონებანი უაღრესად უცნაური მეჩვენა.

— დიდ, რუხ შენობას როგორც კი ვასცდებოდა, — მითხრა ბომბარდოვმა, — მარცხნივ პატარა ჩიხში შეუხვევთ. იქ უკვე იოლად იპოვით. კიშკარი თუჯისაა — ჩუქურთმიანი, სახლი — სვეტებიანი. ქუჩის მხრიდან შესასვლელი ჩაკეტილია. კუთხეში მოუხვევია და ეზოში შეხვალთ. იქ ტყაბუჭიან კაცს დაინახავთ. იგი შეგეკითხებათ: რა გნებავთო? თქვენ მხოლოდ ერთ სიტყვას ეტყვიან: დანიშნულიაო.

— ეს პაროლია? — შევეკითხე. — ის კაცი იქ რომ არ იყოს?

— იქნება. — ციუად მითხრა ბომბარდოვმა და განაგრძო: — კუთხის იქით, ტყაბუჭიანი კაცის პირდაპირ, დომკრატზე შეყენებულ უთვლებო ავტომობილს დაინახავთ. გვერდივ კი ვედროიან კაცს შეამჩნევთ, რომელიც ავტომობილს რეცხავს.

— იქ დღეს რავით? — ვკითხე აღელვებულმა.

— ერთი თვის წინ ვიყავი.

— მაშ რა იცით, რომ ის კაცი ავტომობილს რეცხავს?

— იგი ავტომობილს ყოველდღე რეცხავს, მანამდე კი თვლებს მოხსნის ხოლმე.

— ივან ვასილიევიჩი ავტომობილით როდისღა დადის?

— არასოდეს არ დადას.

— რატომ?

— სად უნდა იაროს?

— ვთქვათ, თეატრში?

— ივან ვასილიევიჩი წელიწადში ორჯერ მოდის თეატრში გენერალურ რეპერტიციასზე და მაშინ მეეტლე დრიკანა დაუქითავებენ ხოლმე.

— ერიპა! მეეტლე რაღა საჭიროა, როცა ავტომობილი აქვთ?

— მოფერას საჭესთან გული რომ გაუსკდეს და მოკვდეს, ხოლო ავტომობილი გაქანდეს და ფანჯარაში შევარდეს, მაშინ რაღას მიბრძანებთ?

— უკაცრავად, მაგრამ ცხენი რომ დაფრთხეს და გაჭენდეს?

— დრიკინის ცხენი არ გაჭენდება. მხოლოდ ნაბიჯით დადის. ვედროიანი კაცის პირდაპირ კარს დაინახავთ. შედით და ფიცრის კიბეს აუყევით. მერე

კიდევ კარი შეგხვდებათ. შედით. იქ ოსტროვსკის შავ ბიუსტს დაინახავთ, ბიუსტის პირდაპირ თეთრი სვეტები და შავზე შავი ღუმელი გამოჩნდება. ღუმელთან თექისჩექმებიანი კაცი იქნება ჩაცუცქებული ცაცხლსკის მისივე ღუმელი. მე გამეცინა.

— დარწმუნებული ხართ, რომ ის კაცი უეჭველად იქ დამხვდება და უეჭველად ღუმელთან იქნება ჩაცუცქებული?

— უეჭველად, — ცივად მიპასუხა ბომბარდოვმა, სულაც არ ეცინებოდა.

— კარგი იქნება. კაცმა ეს შეამოწმოს.

— შეამოწმეთ. იგი შეშფოთებით შეგეკითხებათ, სად მიდიხართო? თქვენ კი უპასუხებთ...

— დანიშნულიაო?..

— დიახ. მაშინ იგი გეტყვით, პალტო აქ გაიხადეთო. თქვენ დერეფანში აღმოჩნდებით. იქ თქვენი ქალი გამოვა და გკითხავთ, აქ რისთვის მოხვედითო? თქვენ კი უპასუხებთ...

მე თავი დავუქნიე.

— ივან ვასილიევიჩი უპარველეს ყოვლისა შეგეკითხებათ. მამათქვენი ვინ იყო? მართლა, ვინ იყო?

— ვიცე-გუბერნატორი.

ბომბარდოვმა შუბლი შეიჭმუნა.

— ეჰ... არა, გეთაყვა, ეგ არ ივარგებს. არა, არა. გირჩევნიათ უთხრათ. ბანკში მუშაობდაო.

— ეს კი აღარ ნომწონს. მისვლისთანავე რატომ უნდა ვიცრუო?

— იმიტომ, რომ შეშინდება და...

მე მხოლოდ თვალებს ვახამხამებდი.

— ...თქვენთვის სულ ერთი არ არის, ბანკს ეტყვით თუ სხვა რამეს? მე-რე შეგეკითხებათ, პომეოპათიაზე რა აზრისა ხართო. უთხარით, შარშან კუჭის წვეთები დავლიე და ძალიან მომიხდა-თქო.

ამ დროს ხარის ხმა გაისმა. ბომბარდოვი აჩქარდა, რადგან რეპეტიციას იყო შესასვლელი. და დარიგებანი შეამოკლა.

— მიშა პანინს არ იცნობთ, მოსკოვში დაიბადეთ, — სხაპასხუპით მომაცარა მან, — ფომაზე უთხარით, არ ნომეწონა-თქო. პიესაზე როცა ილაპარაკებთ, არაფერზე შეედავთ. მესამე მოქმედებაში სროლაა, ეს სროლა არ წაიკითხოთ...

— რანაირად არ წაიკითხოთ, როცა კაცი თავს იკლავს?

ხარი განმეორდა. ბომბარდოვი ჩაბნელებულ დერეფანში გაიქცა. შორიდან მისი ხმადაბალი ყვირილი მომესმა:

— სროლა არ წაიკითხოთ! არც სურდო გაქვთ!

ბომბარდოვის გამოცანებით თავგზააბნეული გამოვედი თეატრიდან და ზუსტად შუადღისას სივცევ ვრაჟევის ჩიხში ვიყავი.

ეზოში ტყაპუჭიანი მამაკაცი არ დამხვედრია, მაგრამ სწორედ იმ ადგილას, ბომბარდოვმა რომ მითხრა, ხილაბანდიანი დედაკაცი იდგა. დედაკაცმა მკითხა: რა გნებავთო? და ეჭვიანად შემათვალისწინა. ვუპასუხე, დანიშნულია-მეთქი. ამ სიტყვამ სავსებით დააკმაყოფილა და მეც კუთხეში შევეუხევე. ზუსტად იმ ადგილას, სადაც მიმანიშნეს, ყავისფერი მანქანა იდგა, მაგრამ თვლები მოუხსნელი

ჰქონდა და კაცი ძარას მივრითა წმენდდა. მანქანის გვერდით ვედრო და რაღაც ბოთლი ჩანდა.

ბომბარდოვის მითითებათა წყალობით შეუცდომლად მივდიოდნენ და ოსტროვსკის ბიუსტამდე მივალწიე. „ეჰე...“ — ვავიდიქრე და ბომბარდოვი გამახსენდა: ღუმელში არყის ხის შეშა მხიარულად ბრიალებდა. მაგრამ ჩაცუცქებული არავინ ჩანდა. თუმცა ჩაცინება ვერც მოვასწარი, რომ მუქად გალაქული ძველებური მუხის კარი გაიღო და იქიდან ტანმორჩილი ბერიკაცი გამოვიდა. ბერიკაცს დაკერებული თექის ჩექმები ეცვა, ხელში საჩხრეკელი ეჭირა. როცა დამინახა, შეეშინდა, თვალები აახამძამა და მკითხა: მოქალაქევე, რა გნებავთო. დანიშნულია-მეთქი, — ვუპასუხე, მაგიური სიტყვის ძალა მატკობდა. ბერიკაცს სახე გაუწათდა და საჩხრეკელი მეორე კარისკენ გაიქნია. იქ, ჰერზე, ძველებური ნათურა ენთო. პალტო გავიხადე, პიესა ილლიაში ამოვიდე და კარზე მივაკაკუნე. უშალვე კარს უკან ჯაჭვის ჩხარუნი გაისმა, მერე გასაღებიც გადატრიალდა და თეთრთავსაფრიანმა და თეთრხალათაანმა ქალმა გამოიხედა, რა გნებავთო, მკითხა. დანიშნულია-მეთქი. მივუგე. ქალი განზე გადგა, შემიშვა და დაკვირვებით შემათვალიერა.

— გარეთ ცივა? — მკითხა მან.

— არა, კარგი ამინდია, ნაგვიანევი ზაფხულია, — ვუპასუხე.

— სურდო ზომ არა გაქვთ? — მკითხა ქალმა.

ბომბარდოვი გამახსენდა, შევეკრთი და უუთხარი:

— არა, არა.

— იქ მიაკაკუნეთ და შებრძანდით, — მკაცრად მითხრა ქალმა და თვალს მიეფარა. სანამ ლითონის სარტყლებით შექედალ მუქი ფერის კარზე მივაკაკუნებდი, მივიხედ-მოვიხედე.

წინკარში თეთრი ღუმელი და უზარმაზარი კარადები იდგა. პიტნისა და კიდევ რაღაც ბალახის სასიამოვნო სუნნი ჰქცა. ჩემ ირგვლივ გამეფებული სიჩუმე უცებ საათის რიხინმა დაარღვია. თორმეტჯერ ჩამორეკა და მერე კარადის იქით გუგულმა საგანგაშოდ „გუ-გუ“ დასძახა.

კარზე მივაკაკუნე, მერე უზარმაზარ, მძიმე რგოლს დავაწექი. კარი გაიღო და დიდსა და ნათელ ოთახში აღმოვჩნდი.

ვლელავდი და თითქმის ვერაფერი დავინახე დივნის გარდა, რომელზედაც ივან ვასილიევიჩი იჯდა. ზუსტად ისეთივე იყო, როგორც სურათზე, ოღონდ უფრო მხნე და ახალგაზრდული იერი ჰქონდა. შავი, ოდნავ შექალარავებული ულვაში კობტად აეგრიხა. მკერდზე ოქროსძეწკვიანი ლორწეტი ეკიდა.

ივან ვასილიევიჩის მომხიბლავმა ღიმილმა ძალზე განმაცვიფრა.

— დიდად სასიამოვნოა, — მითხრა მან, — გთხოვთ დაბრძანდეთ.

მე სავარძელში ჩავჯექი.

— თქვენა სახელი და მამის სახელი? — მკითხა ივან ვასილიევიჩმა და ალერსიანად შემომხედა.

— სერგეი ლეონტიევიჩი.

— დიდად სასიამოვნოა! როგორ გიკითხოთ, სერგეი პაფნუტიევიჩ? — ივან ვასილიევიჩი ალერსიანად მიყურებდა და თან თითებს აკაკუნებდა მაგიდაზე, რომელზედაც გალეული ფანქარი იდო და წყლით სავსე ჭიქა იდგა. ჭიქას რატომღაც ქალაღდი ეფარა.

— უღრმეს მადლობას მოგახსენებთ. კარგად გახლავართ.



ქართული
საქმიანობა

— გაცივებული ხომ არ ბრძანდებით?

— არა.

ივან ვასილიევიჩმა ამოიხვნეშა და მკითხა:

— მამათქვენი როგორღა ბრძანდება?

— მამა აღარ მყავს.

— საშინელებაა, — თქვა ივან ვასილიევიჩმა, — ვის მიმართეთ? ვინ მკურნალობდა?

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, მგონი, პროფესორი... პროფესორი იანკოვსკი გახლდათ.

— შემცდარხართ, — თქვა ივან ვასილიევიჩმა, — პროფესორ პლეტუშკოვისთვის რომ მიგემართათ, მაშინ არაფერიც არ მოხდებოდა.

სახეზე მწუხარება გამოეხატე იმის გამო, რომ პლეტუშკოვს არ მივმართეთ.

— უმჯობესია... ჰმ... ჰმ... ჰომეოპათებს მიმართოთ, — განაგრძო ივან ვასილიევიჩმა, — გასაოცრად შევლიან ყველას. — მან ჭიქას თვალი სწრაფად შეაგლო. — თქვენ გჯერათ ჰომეოპათიისა?

„ბომბარდოვი საოცარი კაცია“, — გავიფიქრე და რაღაც მივკიბ-მოვკიბე.

— ერთი მხრივ, რა თქმა უნდა... პარადად მე... თუმცა ბევრს არა მჯერა...

— ცდებიან! — თქვა ივან ვასილიევიჩმა, — თხუთმეტი წვეთი და აღარაფერს იგრძნობთ. — ისევ ამოიოხრა და განაგრძო: — მამათქვენი რა კაცი იყო, სერგეი პანფილიჩ?

— სერგეი ლეონტიევიჩი გახლავართ, — აღერსიანად ვუთხარი ივან ვასილიევიჩს.

— ათასგზის ბოდიში, — შესძახა ივან ვასილიევიჩმა. — რა კაცი იყო?

„არა, არ ვიცრუებ!“ — გავიფიქრე და ვუთხარი:

— ვიცე-გუბერნატორი გახლდათ.

ამ ცნობამ ივან ვასილიევიჩს პირიდან ღიმილი უმაღ ჩამოაცილა.

— ჰოო... — ჩაილაპარაკა შეშფოთებულმა, ცოტა ხანს დუმდა, მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა და მერე მითხრა: — აბა, შევუდგეთ.

ხელნაწერი გადავშალე, ჩავახველე, გული გამიკრთა, ერთხელაც ჩავახველე და კითხვა დავიწყე.

წავიკითხე სათაური, შემდეგ მოქმედ პირთა გრძელი სია და პირველი მოქმედების კითხვას შევუდექი:

— „შორს შუქი კრთის. მოჩანს თოვლში ჩაფლული ეზო, ფლიგელის კარი. ფლიგელიდან ყრუდ მოისმის როიალის ხმა. უკრავენ „ფაუსტს“...“

როდისმე თუ წავაკითხავთ პიესა მხოლოდ ერთი კაცისთვის? მერწმუნეთ, ეს ძალზე ძნელი რამ ვახლავთ. შუბლს ცხვირსახოცით ვიმშრალებდი და ივან ვასილიევიჩს შიგადაშიგ თვალს შევაგვლებდი.

იგი გაუნძრევლად იჯდა და ლორწეტიდან თვალმოუშორებლად მიცქეროდა. ძალზე შემაკრთო იმ ამბავმა, რომ ერთხელაც არ გაუღიმიო, თუმცა პირველ მოქმედებაშივე ბევრი სასაცილო ადგილი იყო. პიესას თეატრში როცა ვკითხულობდი, მსახიობები ბევრს იცინოდნენ, ერთს კი სიცილისგან ცრემლები სდიოდა.

ივან ვასილიევიჩს არათუ არ გაუცინია, ოხვრაც შეწყვიტა. როცა კი მზერას მივაპყრობდი, ჩემკენ მომართულ თქროს ლორწეტს და ლორწეტის მიღ-

მა უმოძრაო თვალებს ვხედავდი. ამის გამო უკვე თავადაც მეჩვენებოდა, რომ ის სასაცილო ადგილები სულაც არ იყო სასაცილო.

ასე ჩავიკითხე ბოლომდე პირველი სურათი და მეორეც ვხედავდი შევუდექი. სიჩუმეში მხოლოდ ჩემი მონოტონური ხმა გაიხმატებოდა, დიაკვანი მიცვალებულს ფსალმუნს უკითხავსო.

ისე წამიხდა გუნება, მინდოდა, სქელი რვეული დამეხურა. მეგონა, აი ახლა, აი ახლა, ივან ვასილიევიჩი მრისხანედ მეტყობდა: როდისმე დამთავრდება ეს პიესა თუ არაო? ხმა ჩამეხლიჩა, ყელის ჩასაწმენდად ხანდახან ჩავახველებდი, ხან წვრილი ხმით ვკითხულობდი, ხან ბოხით, ორჯერ უცაბედად ხრინწიანადაც ამოვიყვილე, მაგრამ ამას არაფერ ვაუცილებია — არც ივან ვასილიევიჩი და არც მე.

ცოტა გულს მომეშვა, როცა ოთახში მოულოდნელად თეთრხალათიანი ქალი გამოჩნდა. იგი უხმაუროდ შემოვიდა. ივან ვასილიევიჩმა საათს სწრაფად შეხედა. ქალმა ივან ვასილიევიჩს სირჩა მიაწოდა. ივან ვასილიევიჩმა წამალი დალია, ჭიქით წყალი დააყოლა, ჭიქას ქალადი დააფარა და კვლავ საათს შეხედა. ქალმა ივან ვასილიევიჩს ძველ რუსულ ყაიდაზე თავი მდაბლად დაუქრა და ოთახიდან მედიდურად გავიდა.

— განაგრძეთ, ბატონო ჩემო, — მითხრა ივან ვასილიევიჩმა და მე ისევ კითხვას შევუდექი. შორს გუგულმა „გუ-გუ“ დასძახა. მერე სადღაც შირმის იქით ტელეფონი აწკრიალდა.

— უკაცრავად, — მითხრა ივან ვასილიევიჩმა, — დაწესებულებიდან მირეკავენ დიდად მნიშვნელოვან საქმეზე. — გისმენთ, — გაისმა მისი ხმა შირმის იქით, — გისმენთ... ჰმ... ჰმ... ეს სულ იმ ავაჩაკების საქმეა. გიბრძანებთ, არსად არაფერი გაამჟღავნოთ. ამ საღამოს ჩემთან ერთი სანდო კაცი მოვა და გეგმას შევიმუშავებთ...

ივან ვასილიევიჩი დაბრუნდა და მეხუთე სურათი დავასრულეთ. მეექვსე სურათი დავიწყეთ თუ არა, საოცარი ამბავი მოხდა. ყური მოგკარი, რომ სადღაც კარი გაჯახუნდა, სადღაც ხმამაღალი ტირილი გაისმა, თანაც ეტყობოდა, ვიღაც ყასიდად ტიროდა. კარი, ის კი არა, საიდანაც მე შემოვდი, არამედ სხვა, ალბათ შიგნითა ოთახებისკენ გამავალი კარი. გაიღო და ოთახში დაფეთებული მსუქანი, ზოლიანი კატა შემოვარდა, ჩემ გვერდით ფხაჭა გაადინა, ტიულის ფარდას ეცა, ზედ ჩამოეკიდა და ზემოთ აცოცდა. ფარდამ სიმძიმეს ვერ გაუძლო და უმაღ ალაგ-ალაგ ჩაიფხრიწა. კატა ფარდის ფხრეწა-ფხრეწით თავამდე აცოცდა და იქიდან გამძვინვარებულმა ჩამოიხედა. ივან ვასილიევიჩს ლორწეტი ჩამოუვარდა, ოთახში კი ლიუდმილა სილვესტროვნა პრიახინამ შემოირბინა. მის დანახვაზე კატამ კიდევ უფრო მალლა აცოცება დააპირა, მაგრამ ზემოთ უკვე ჭერი იყო; კატა მრგვალ კაღონს მოსწყდა და ფარდას გაშეშებული ჩამოეკონწიალა.

პრიახინამ თვალდახუჭულმა შემოირბინა. შუბლზე მიბჯენილ ცალ ხელში დაჭმუჭნული, სველი ცხვირსახოცი ჩაებლუჯა, მეორეში კი მაქმანიანი მშრალი, სუფთა ცხვირსახოცი ეჭირა. შუა ოთახამდე რომ მოირბინა, ცალ მუხლზე დაიჩოქა, თავი დახარა და ხელი წინ ისე გამოიწოდა, თითქოს ტყვეა და თავის მძლეველს მახვილს უწვდისო.

— აქედან ფეხს არ მოვიცვლი, — დაწივლა პრიახინამ, — სანამ არ ვა-

მომესარჩლებით, ჩემო მოძღვარო! პელიკანი მოლალატვა! ღმერთი ყველგანაა ხედავს, ყველაფერს!

ამ დროს ფხრიწინა გაისმა და კატას ქვემოთ ფარდა ნახევარ კრწინზე ჩაიხა.

— აცხა! — უცებ საშინლად შეჰყვარა ივან ვასილიევიჩმა და ტაში შენობკრა.

კატა ქვემოთ ჩაფოტხდა, ფარდა ბოლომდე ჩამოფხრიწა და ოთახიდან გავარდა. პრიახინამ კი მჭახე ხმით იწყო ქვითინი, თვალებზე ხელები აიფარა და სლუკუნით შესძახა:

— ეს რა მესმის?! ეს რა მესმის?! ნუთუ ჩემი მოძღვარი და კეთილისმყოფელი მაძვევებს?! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!! თუ ხედავ, რა დღეში ვარ?! —

— გაიხედეთ, ლიუდმილა სილვესტროვნა! — სასოწარკვეთით შეჰყვარა ივან ვასილიევიჩმა. ამ დროს კარებში დედაბერი გამოჩნდა და შესძახა:

— მილოჩკა! გარეთ გამოდით! მანდ უცხო კაცია!

ლიუდმილა სილვესტროვნამ ახლა კი გაახილა თვალები და ნაცრისფერ სავარძელში ჩემი ნაცრისფერი კოსტიუმში დაინახა. იგი თვალებდაკეცილი დამაშტერდა. როგორც მომეჩვენა, ცრემლები ელვის უსწრაფესად ამოუშრა, წამოიმართა, — ღმერთო ჩემო! — ჩაიჭურჩულა და გარეთ გავარდა. დედაბერიც უმალ გაუჩინარდა. კარი მიიხურა.

მე და ივან ვასილიევიჩი დიდხანს მდუმარედ ვისხედით. მერე მან მაგადაზე თითები ააკაკუნა.

— აბა, როგორ მოგეწონათ, ბატონო ჩემო? — მკითხა და დალონებით დაუმატა: — ფარდა აღარაფრად ვარგა, ეშმაკმა დალახვროს.

კიდევ დაედუმდით.

— ამ სცენამ, რა თქმა უნდა, განვაკვიფრათ? — მკითხა ივან ვასილიევიჩმა და ამოიხვნეშა.

მეც ამოვიხვნეშე და სავარძელში ავწრიალდი. არ ვიცოდი, რა მეპასუხა, რადგან ამ სცენას სრულებითაც არ განვუცვიფრებოვარ. მშვენივრად მივხვდი, ეს იმ სცენის გაგრძელება იყო, აბანოს წინკარში რომ ვნახე: პრიახინამ თავისი დანაპირები შეასრულა, ივან ვასილიევიჩს ფეხებში ჩაუვარდა.

— ეს რეპეტიცია იყო, — უცებ მითხრა ივან ვასილიევიჩმა, — თქვენ კი ალბათ გეგონათ, სკანდალიაო! როგორია? ჰა?

— განსაკვიფრებელია, — ვუპასუხე და თვალი ავარიდე.

— ჩვენ ასეთი რამ გვიყვარს. ხანდახან მეხსიერებაში უცაბედად გავაცოცხლებთ ხოლმე ზოგიერთ სცენას... ჰმ... ჰმ... ეტიუდების გათამაშება ძალზე საჭიროა, პელიკანზე რაც თქვა, ამას კი ნუ დაიჭერებთ. პელიკანი ჩინებული და საჭირო კაცია!...

ივან ვასილიევიჩმა ფარდას თვალი დალონებით შეაელო და მითხრა:

— აბა, განვაგრძოთ.

მაგრამ ვერ განვაგრძობდით, რადგან ოთახში ისევ შემოვიდა ის დედაბერი, წელან კარებში რომ გამოჩნდა.

— დეიდაჩემი ნასტასია ივანოვნა გახლავთ, — მითხრა ივან ვასილიევიჩმა. შემოსულს თავი დაუკარი. სანდომიანმა დედაბერმა ალერსიანად შემთავალიერა, ჩამოჯდა და შემეკითხა:

— ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით?

— უმორჩილესად გმადლობთ, — თავდახრით ვუპასუხე, — სრულიად ჯანმრთელი გახლავართ.

ერთხანს ვდუმდით. ივან ვასილიევიჩმა და დეიდამისმა დარდა შეათვალიერეს და ერთმანეთს მწუხარედ შეხედეს.

— ივან ვასილიევიჩთან მოსვლა რატომ გინებებიათ?

— ლეონტი სერგეევიჩმა პიესა მომიტანა, — უთხრა ივან ვასილიევიჩმა.

— ვისი პიესა? — ჰკითხა დედაბერმა და ნაღვლიანად შემომხედა.

— ლეონტი სერგეევიჩმა პიესა თვითონ დაწერა!

— რატომ დაწერა? — შეშფოთებით ჰკითხა ნასტასია ივანოვნამ.

— როგორ თუ რატომ?... ჰმ... ჰმ...

— განა პიესები გამოილია? — თან ალერსით, თან საყვედურით მკითხა ნასტასია ივანოვნამ. — რა კარგი პიესებია დაწერილი. თანაც რამდენი! ყველა რომ ითამაშო, ოც წელიწადს ვერ მოათავებ. რად გინდოდათ, თავი რომ შეიწუხეთ?

ეს ისე დამაჩერებლად მითხრა, პასუხად სიტყვა ვეღარ დავძარი. მაგრამ ივან ვასილიევიჩმა თითები ააკაკუნა და უთხრა:

— ლეონტი სერგეევიჩმა თანამედროვე პიესა დაწერა! დედაბერი შეშფოთდა.

— ჩვენ ხელისუფლებას არ ვუჯანყდებით, — თქვა მან.

— რად უნდა ავუჯანყდეთ, — კვერი დავუკარი მე.

— „განათლების ნაყოფი“ განა არ მოგწონთ? — რიდიტა და წუხილით მკითხა ნასტასია ივანოვნამ. — არადა, რა კარგი პიესაა. მილოჩკასთვისაც არის როლი... — ამოიოხრა და წამოდგა. — მამათქვენს სალამი გადაეცით, გეთაყვა.

— სერგეი სერგეევიჩს მამა მოუკვდა, — ამცნო ივან ვასილიევიჩმა.

— განუსვენოს უფაღმა, — ზრდილობიანად მითხრა დედაბერმა, — უთუოდ არც იცის, პიესებს რომ წერთ? რით გარდაიცვალა?

— ვინც საჭირო იყო, ის ექიმი არ მიუწვევიათ, — უთხრა ივან ვასილიევიჩმა, — ლეონტი პაფნუტიევიჩმა მომიტხრო ეს სამწუხარო ამბავი.

— რა გქვიათ, ვერა და ვერ გავიგე, — მითხრა ნასტასია ივანოვნამ, — ხან ლეონტი ხართ, ხან სერგეი. განა სახელების შეცვლის უფლებასაც იძლევიან? ჩვენთან ერთმა გვარი შეიცვალა. მოდი და გაიგე ახლა, ვინ არის!

— მე სერგეი სერგეევიჩი გახლავართ, — ვუთხარი ჩახრინწული ხმით.

— ათასგზის ბოდიში, — შესძახა ივან ვასილიევიჩმა, — მე ავტრიე!

— ხელს აღარ შევიშლით, — გვითხრა დედაბერმა.

— კატა გასაწყებელია, — თქვა ივან ვასილიევიჩმა, — კატა კი არა, ავაჯაკია. საერთოდ, ავაჯაკებმა ძალიან შემოგვიტიეს, — შინაურულად ჩამილაპარაკა მან, — აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ!

სალამოს მოახლოვებასთან ერთად კატასტროფაც თავს დამატყდა.

მე წავიკითხე:

— „ბ ა ხ ტ ი ნ ი (პეტროვს). მშვიდობით! შენც სულ მალე გამოწყვები... პეტროვი. რას სჩადი?“

ბ ა ხ ტ ი ნ ი. (საფეთქელზე რევოლვერს მიიღებს და გაისვრის. წაიქცევა. შორიდან მოისმის გარმონ...))

— ეს კი ზედმეტია! — შესძახა ივან ვასილიევიჩმა. — რა საჭიროა? უნდა ამოიღოთ. ახლავე, ამ წუთას! რას ბრძანებთ, სროლა რა საჭიროა?

— მან ხომ თავი უნდა მოიკლას, — ჩავახველე და ისე ვუტყვი...

— ძალიან კარგი! თავი მოიკლას, მაგრამ ხანჯლით...

— კი, მაგრამ ეს ამბავი სამოქალაქო ომის დროს ხდება... მაშინ ხანჯლებს აღარ ხმარობდნენ...

— არა, ხმარობდნენ, — შემედავა ივან ვასილიევიჩი, — იმან მიაშპო... რა ჰქვია... დამავიწყდა... შითხრა, ხმარობდნენო... სროლა უნდა ამოიღოთ!..

სამწუხაროდ, შევცდი, რომ არაფერი ვუპასუხე და ისე განვაგრძე:

— „(...მონიკისა და კანტიკუნტი სროლის ხმა. ხიდზე გამოჩნდება შაშხანიანი კაცი. მთვარე...)“

— ღმერთო ჩემო! — შესძახა ივან ვასილიევიჩმა. — სროლა! ისევ სროლა! ეს რა უბედურებაა! იცით, რას გეტყვით, ლეო... იცით, რას გეტყვით, ეს სცენა ზედმეტია და უნდა ამოიღოთ.

— მე ეს სცენა მთავარ სცენად მიმაჩნია, — ვუთხარი ივან ვასილიევიჩს, თან ვცდილობდი, რაც შეიძლება, მშვიდად მელაპარაკა, — იცით რა, აქ...

— ნამდვილად ცდებით! — მომიჭრა ივან ვასილიევიჩმა. — ეს სცენა არათუ მთავარი არ არის, საერთოდ ზედმეტია. რა საჭიროა? ეგ თქვენი, რა ჰქვია?

— ბახტინი.

— ჰოდა... ჰოდა, ხანჯალს გულში ჩაიცივს სადღაც შორს, — ივან ვასილიევიჩმა ხელი შორეთისკენ ვაიქნია, — შინ კი სხვა ვინმე მოვა და დედამისს იტყვის, ბებტეევმა თავი მოიკლაო!

— დედა არა ჰყავს. — ვუთხარი და ქალაღდაფარებულ ჭიქას შეცბუებული დავაცქერდი.

— დედა აუცილებლად საჭიროა! უნდა ჩაუმატოთ. ეს არ გაგიძნელდებათ. პირველად მოგეჩვენებათ, ძნელიაო — დედა არ ჰყავდა და უცებ საიდან გაჩნდებაო. მაგრამ არ შეცდეთ, ეს იოლზე იოლია. ჰოდა, აი, დედაბერი შინ ჰქვითინებს, ხოლო ვინც ამბავი მოუტანა... იმას ივანოვი დაარქვით...

— ბახტინი ხომ გმირია! იმან ხიდზე მონოლოგები უნდა თქვას... მე ვგონებ...

— მის მონოლოგებს ივანოვი იტყვის!. თქვენ კარგი მონოლოგები გაქვთ, უნდა შევინარჩუნოთ. ჰოდა, ივანოვი იტყვის, პეტრამ თავი მოიკლა და სიკვდილის წინ ესა და ეს თქვაო... ძალიან ძლიერი სცენა იქნება.

— ეგ როგორ იქნება, ივან ვასილიევიჩ, მე ხომ ხიდზე მასობრივი სცენა მაქვს... იქ მასები შეეჯახნენ ერთმანეთს...

— ისინიც ადგნენ და სცენას გარეთ შეეჯახონ ერთმანეთს. ჩვენ არამც და არამც არ უნდა დავინახოთ. საშინელებაა, როცა ერთმანეთს სცენაზე შეეჯახებიან ხოლმე! სერგეი ლეონტიევიჩ, — როგორც იყო, სწორად თქვა ჩემი სახელი ივან ვასილიევიჩმა, — ბედნიერი ხართ, რომ ვინმე მიშა პანინს არ იცნობთ!.. (მე შემაყრყოლა). უნდა მოგახსენოთ, საკვირველი ვინმეა!.. შავი დღისთვის გვყავს მხოლოდ, უცებ რაღაც თუ მოხდება, ეგებ დაგვჭირდეს... ჰოდა, პიესა იმანაც მოგვიტანა — „სტენკა რაზინი“. ვითომ დიდი სამსახური გაგვიწია. ერთხელაც თეატრში მივდიოდდი. მივუახლოვდი. თეატრის ფანჯრები ღია იყო. ბრაგაბრუვი. სტვენა, ყიყინი, ლანძღვა-გინება და თოფების ჭახუნა შორიდანვე მესმის. ცხენი კინალამ დაფრთხა. მეგონა, თეატრში ამბოხება და-

იწყოს საშინელება: თურმე სტრიჟი რეპუტიციას ატარებს! ავღუფ-
ხას ვეუბნები, თვალები სად გაქონდათ-მეთქი? ვეკითხები, ხომ არ განდათ,
თავად მე დამხვრიტონ? ამ სტრიჟმა თეატრი რომ გადამხვრიტონ არ გგო-
ნიათ, თავზე ხელს გადამისვამენ-მეთქი. ავგუსტა ავღუფებს: ხომ არ გგონიათ რომ დი-
დებულები ქალია, უმაღლესი მიპასუხა: — დამსაჯეთ, ივან ვასილიევიჩ, სტრიჟს ვე-
რაფერი მოვუხერხეო! ეს სტრიჟი მართლაც რომ შავი ჭირია ჩვენი თეატრისა.
თუ დაინახავთ, ერთ ვერსზე არ მიეკაროთ, უკან მიუხედავად გაიქცეით! (მე
შემაყრეოლა). რა თქმა უნდა, ყველაფერა ვინმე არისტარხ პლატონოვიჩის
ლოცვა-კურთხევით ხდება, მადლობა ღმერთს, იმას არ იცნობთ! თქვენ კი —
სროლო! ამ სროლის გამო, იცით, რა შეიძლება მოხდეს? აბა, განვაგრძოთ.

განვაგრძეთ და შებინდებისას ჩაბრანწული ხმით წარმოვთქვი: „დასას-
რული“.

მაგრამ სულ მალე ძრწოლა და სასოწარკვეთი დამეუფლა. თითქოს სახლი
ავაშენე და შევსახლდი თუ არა, ჭერი ჩამომეჭვა.

— ძალიან კარგი, — მითხრა ივან ვასილიევიჩმა, როცა პიესის კითხვა
დავასრულეთ, — ახლა ამ მასალაზე მუშაობას უნდა შეუდგეთ.

ლამას შევყვირე: რა-მეთქი! მაგრამ თავი შევიკავე.

ივან ვასილიევიჩი კი ეშხში შევიდა და დაწვრილებით მაუწყა ამ მასალა-
ზე როგორ უნდა მემუშავა, ბახტინის და, რომელიც პიესაში მყავდა, დედად
უნდა ქცეულიყო. მაგრამ რადგანაც ბახტინის დას საქმრო ჰყავდა, ხოლო
ორმოცდათხუთმეტი წლის დედას (ივან ვასილიევიჩმა იგი მყისვე მონათლა —
ანტონინა შეარქვა) საქმრო, რა თქმა უნდა, არ ეყოლებოდა. პიესიდან მთელი
როლი უნდა ამომეგდო. ეს როლი კი ძალიან მომწონდა.

ოთახში საღამოს ბინდი შემოიჭრა. ფერშალი შემოვიდა და ივან ვასილი-
ევიჩს რაღაც წვეთები კიდევ დააღვიწია. მერე ვიღაც სახედანაოჭებულმა დე-
დაბერმა მანგადის ლამა შემოიტანა და ჩამოლაშდა კიდევ.

თავში ნამდვილი დომხალი მიტრიალებდა, საღეთქველში თითქოს ჩაჭურჩებს
მიკაკუნებდნენ. შიმშილისგან გული მეღეოდა და დროდადრო ჩემ თვალწინ
ოთახი თითქოს დაცერდებოდა ხოლმე. მაგრამ, რაც მთავარია, ხიდის სცენა და
მასთან ერთად ჩემი გმირაც თავსა და ხელს შუა მეკარგებოდა.

არა, ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ნამდვილად რაღაც გაუგებრობა
ხდებოდა. თვალწინ უცებ წარმომიდგებოდა აფიშა, რომელზედაც პიესა უკვე
ეწერა. თითქოს მესმოდა ჭიბეში როგორ ტკიცინებდა უკანასკნელი დაუბარ-
ჯავი თუმნიანი, რაც პიესის საფასურად მიღებული ფულიდან შემომრჩა, ფომა
სტრიჟი თითქოს ზურგს უკან მედღე და მარწმუნებდა. პიესას ორი თვის შემ-
დეგ სცენაზე გავუშვებო, არადა სრულად ნათელი გახდა, რომ არავითარი პიე-
სა არ არსებობდა და იგი თავიდან ბოლომდე ხელახლა უნდა დამეწერა. ჩემს
თვალწინ გაეურა ფერსული ჩაებათ ძაშა ჰანინს, ევლამბაას, სტრიჟს. აბანოს
წინკარში სურათები ერთმანეთს ენაცვლებოდა, პიესა კი აღარსად იყო.

შემდეგ კი ყოველად წარმოუდგენელი და, როგორც მეჩვენა, უაზრო რამ
მოხდა.

ივან ვასილიევიჩმა მაჩვენა (და ძალზე კარგადაც მაჩვენა). ბახტინმა, რო-
მელიც საბოლოოდ ბენტევევად მონათლა, ხანჯალი მკერდში როგორ ჩაიცა.
მერე ივან ვასილიევიჩმა უცებ ამოიხვნეშა და ასეთი რამ მითხრა:

— გირჩევნიათ, აი, ასეთი პიესა დაწეროთ... ერთბაშად აფრაცხელ ფულს

იშოვით. ღრმა ფსიქოლოგიური დრამა იქნება... მსახიობი ქალის შერიკი ვი-
თომ რომელიდაც სამეფოში მსახიობი ქალი ცხოვრობს, ვისაც მტრები / დევ-
ნიან და სიცოცხლეს უმწარებენ... ის კი მტრების მიმართ მხოლოდ ლოცვა-
ვედრებას აღავლენს...

„და სკანდალს მართავს“. — გავიფიქრე და სიბრაზე უცებ მომეძაღა.

— ლოცვა-ვედრებას ღმერთისკენ აღავლენს, ივან ვასილიევიჩ?

ამ შეკითხვამ ივან ვასილიევიჩი შეაცბუნა. იგი ახვნეშდა და მერე მიპა-
სუხა:

— ღმერთისკენ?.. ჰმ.. ჰმ.. არა, არავითარ შემთხვევაში. ღმერთი არც ახსე-
ნოთ... ღმერთს კი არა... ხელოვნებას ევედრება, რომლის უაღრესი ერთგული-
ცაა. მას კი ავაზაკების ბრბო დევნის. ხოლო ამ ბრბოს ვიღაც ჯადოქარი ჩერ-
ნომორი აგულაანებს. დაწერეთ, რომ ჯადოქარი აფრიკაში გაემგზავრა და თა-
ვისი ძალაუფლება ქალბატონ იქსს გადასცა. საშინელი ქალია, ზის საწერ მაგი-
დასთან და რალას არ სჩადის. იმასთან ჩაის თუ დაღვეთ, თვალი არ მოაშოროთ,
თორემ ჩაიში ისეთ მაქარს ჩაგიყრით, რომ...

„ღმერთო ჩემო, ამას ხომ ტორბეცკაიაზე ამბობს!“ — გამირბინა გულში.

— ...დაღვეთ იმ ჩაის და ფეხებსაც გაფშეთ. ის ქალი და კიდევ საშინელი
ავაზაკი სტრიჟი... ესე იგი... ერთი რეჟისორი...

ვიჩეჭი და ივან ვასილიევიჩს გამომტერებული შევცქეროდი. სახეზე დი-
მილი თანდათან გაუქრა და უცებ დავინახე, რომ თვალები სრულიადაც არ
ჰქონდა აღერსიანი.

— როგორც ვატყობთ, ჯიუტი ყოფილხართ, — მითხრა ძალზე პირქუშად
და ტუჩები მოკუმა.

— არა, ივან ვასილიევიჩ, უბრალოდ, არტისტულ სამყაროს არ ვიც-
ნობ და...

— თქვენც შეისწავლეთ! ეს ძალიან ადვილია. თეატრში ისეთი პერსონა-
ჟები გვყავს, იმათი ხახვა ერთ რამედ ღირს... ერთნახევარი მოქმედება პიესისა
უცებ მზად გექნებათ! იმისთანები დაწანწალებენ, სულ უნდა გეშინოდეს, სა-
პირფარეშოებიდან ჩექმები არ ავწაპნონ, ანდა ფინური დანა ზურგში არ ჩავ-
ცენ.

— რა საშინელებაა, — ვთქვი მიანავეებული ხმით და საფეთქელი მოვის-
რისე.

— ვხედავ, ეს არ გიტაცებთ... დამყოლი კაცი არ ყოფილხართ! თუმცა
თქვენი პიესაც კარგია... — მითხრა ივან ვასილიევიჩმა და გამომცდელად და-
მაცქერდა, — ახლა დაწერალა სჭირდება და ყველაფერი რიგზე იქნება...

ოთახიდან მუხლმოკვეთილი გამოვედი. თავში რალაცას რაკარუკი გაპ-
ქონდა. შავ ოსტროვსკის ბრაზით შევხედე. ფიცრის ჭრიალა კიბეს ბუტბუტით
დავუყევი. საძულველმა პიესამ ხელები ლამის ჩამომწყვიტა.

ეზოში როცა გავედი, ქარმა შლაბა მომაძრო და გუბეში ჩააგდო. ნაგვიან-
ნევი ზაფხულის ნიშანწყალიც აღარსად იყო. წვიმა ცერად მოშხაბუნებდა. ფე-
ხებს წყალში მივატყაპუნებდი. ბაღში ხეებს სველი ფოთლები სცვიოდა. კი-
სერში წყალი ჩამდიოდა.

უაზრო სიტყვების ჩურჩულით მივაბიჯებდი. თავბედს ვიწყევლიდი და წვი-
მის ბაღეში მოქცეულ, მჭრქალად მბჟუტავ ფარნებს ვუცქეროდი.

რომელიდაც შესახვევის კუთხესთან მდგარ კოსკში შუქი სუსტად ციმცი-

მებდა. დახლზე გაშლილ გაზეთებზე აგურები ეწყო. გაზეთებს წვიმა ასველებდა. თავადაც არ ვიცი, რატომ ვიყიდე ჟურნალი „მელპომენეს სახე“. ყდაზე ტრიკოშემოტმასნული, ქუდში ფრთაგარკობილი, ქუთუხიანი, თვალებმთელვარე მამაკაცი რომ ეხატა.

ჩემი ოთახი საოცრად ამაზრზენი მეჩვენა. წყლისგან გაჩირჯვებული პიესა იატაკზე დავაგდე. მაგიდასთან დაეჯექი და საფეთქელზე ხელი მივიჭირე, ტკივილი რომ ჩამწყნარებოდა. მეორე ხელით შავ პურს ვციცქნიდი და ვლექდი.

საფეთქლიდან ხელი მოვიცილე და დანესტიანებული „მელპომენეს სახე“ გადავფურცლე. დავინახე ვიღაც ქალი, ხაბარდა კაბა რომ ეცვა. წავიკითხე სათაური „აბა დააკვირდით“. მეორე სათური — „თავაწყვეტილი ტენორი და გრაცია“. და უცებ თვალი მოვკარ ჩემს გვარს, ამან ისე გამაოცა, თავის ტკივილმაც კი გამიარა. აგერ კიდევ ჩემი გვარი, კიდევ და კიდევ, მერე ლოპე დე ვეგამაც გაიელვა. ეჭვი არ იყო, წინ ფელეტონი მედო, ფელეტონს „არა შეჯდამწყერი ხესა“ ერქვა და მისი გმირი მე გახლდით. ფელეტონის არსი რა იყო, დამავიწყდა, ბუნდოვნად მახსოვს მხოლოდ დასაწყისი:

- „პარნასზე მოწყენილობა სუფევდა.
- ახალი არავინ ჩანს. — მთქნარებით თქვა ჟან-ბატისტ მოლიერმა.
- ჰო, მოწყენილობაა, — კვერი დაუკრა შექსპირმა...“

მახსოვს. მერე მე ვალებდი კარს და შევდიოდი — შავომიანი ახალგაზრდა ააცი. ილიაში სქელზე სქელი დრამა მქონდა ამოჩრილი.

აშკარა იყო, რომ დამცინოდნენ, ბოროტად დამცინოდნენ ყველანი: შექსპირიც, ლოპე დე ვეგაც და გესლიანი მოლიერაც. იგი მეკითხებოდა. „ტარტიუფის“ მსგავსი ხომ არაფერი დაგიწერიაო. დამცინოდა ჩეხოვიც, მისი წიგნების მიხედვით უაღრესად ზრდილ კაცად რომ მიმაჩნდა. მაგრამ ყველაზე მეტად დამცინოდა ფელეტონის ავტორი, რომელსაც მგელთმგუდავი ერქვა.

ახლა როცა ვიხსენებ, მეცინება, მაგრამ მაშინ ჩემს გაშმაგებას საზღვარი არ ჰქონდა. ოთახში ბოლთას ვცემდი, თავს უდანაშაულოდ, ტყუილუბრალოდ, უმიზეზოდ შეურაცხყოფილად ვგრძნობდი.

ხან გიყური აზრი გამირბენდა გულში, მგელთმგუდავი მომეკლა, ხანაც გაცელებული ვფიქრობდი. ვის რა დავუშავე-მეთქი.

— აფიშის ბრალია! — ვბუტბუტებდი ჩემთვის. — მაგრამ აფიშა მე ხომ არ შემიდგენია, დალახვროს ეშმაკმა! — ვბუტბუტებდი და მეჩვენებოდა, სისხლში ამოსვრილი მგელთმგუდავი ჩემს ფეხთით როგორ ეცემოდა.

ამ დროს ჩიბუხისა და თამბაქოს ნამწვის სუნნი მეცა, კარმა გაიჭრიალა და ოთახში ლიკოსპასტოვი შემოვიდა, ლაბადა მოლად დასველებოდა.

— წაიკითხე? — მკითხა განარებულმა. — ჰო, ძმაო, მომილოცავს, შეგახურეს. რას იზამ — ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო. როგორც კი ვნახე, შენკენ გამოვწიე, მეგობარი უნდა ვნახო-მეთქი. — თქვა ეს და გაფშეკილი ლაბადა ლურსმანზე ჩამოკიდა.

- ვინ არის ეგ მგელთმგუდავი?
- რად გინდა?
- მაშ იცნობ, არა?
- იმას შენც იცნობ.
- მგელთმგუდავს მე არ ვიცნობ!

— როგორ არ იცნობს მე თვითონ გაგაცანი... გახსოვს, ქუჩაში... აი, ის სსსაცილო, აფიშაც რომ იყო... სოფოკლე...

ახლა კი გამახსენდა ჩაფიქრებული მსუქანი კაცი, თმაზე რომ მაკვრდებოდა... „შავთმიანი!“

— იმ ძაღლიშვილს რა დავუწავე? — გულფიტხად გვეპროვინდებოდასტოვს.

ლიკოსპასტოვმა თავი გადააქნია.

— ეპ, ძმაო, ეგრე არ ვარგა, ეგრე არ ვარ-გა. როგორც გატყობ, ამპარტავნობამ მთლად დაგრია ხელი. რა მოხდა, შენზე სიტყვის თქმა ველარავინ უნდა გაბედოს? კრიტიკის გარეშე ხომ ვერ იქნები?

— ეს რა კრიტიკაა? კი არ მაკრიტიკებს, დამცინის... ვინ არის, რა კაცია?

— დრამატურგია, — მიპასუხა ლიკოსპასტოვმა, — ხუთი პიესა აქვს დაწერილი. თანაც კარგი ყმაწვილია. ტყუილად ბრაზობ. რა თქმა უნდა, ცოტა განაწყენებულია. ყველა განაწყენებულია...

— რა ვქნა, აფიშა მე ხომ არ შემიდგენია? რა ჩემი ბრალია, რეპერტუარში სოფოკლე და ლოპე დე ვეგა რომ აქვთ... თანაც...

— თანაც სოფოკლე არა ხარ, — მითხრა ლიკოსპასტოვმა და ღვარძლიანად ჩაიციხა, — მე, ძმობილო, ოცდახუთი წელია ვწერ, — განაგრძო მან, — მაგრამ სოფოკლეებში მაინც ვერ გავფრიე.

ლიკოსპასტოვმა ამოიოხრა.

ვიგრძენი, რომ ლიკოსპასტოვს პასუხად ვერაფერს ვეტყობდი. ვერაფერს! მეთქვა, იმიტომ ვერ გაერიე, რომ ცუდად წერ, მე კი კარგად ვწერ-მეთქი? განა შეიძლება, კაცს ასეთი რამ უთხრა? განა შეიძლება?

მე ვდუმდი, ლიკოსპასტოვი კი განაგრძობდა:

— რალა თქმა უნდა, საზოგადოებაში ამ აფიშამ მღელვარება გამოიწვია. უკვე ბევრმა გამოძკითხა. აფიშამ ხალხა განაწყენა! თუმცა იმისთვის კი არ მოვედდი, რომ გედავო, შენი მეორე მარცხის ამბავი გავიგე და ვიფიქრე, შეგობარს ვანუგეშებ, ორიოდ სიტყვას ვეტყვი-მეთქი...

— რა მარცხის ამბავი გაიგე?

— ივან ვასილიევიჩს შენი პიესა რომ არ მოეწონა, — მითხრა ლიკოსპასტოვმა და თვალები გაუბრწყინდა. — თურმე დღეს წაგიკითხავს...

— საიდან გაიგე?!

— ტაშტი გატყდა. ხმა გავარდაო, — ოხვრით თქვა ლიკოსპასტოვმა. საერთოდ, ანდაზებითა და იგავებით ლაპარაკი უყვარდა. — ნასტასია ივანნა კოლდობაევას იცნობ? — მკითხა და ჩემს პასუხს აღარ მოუცადა, ისე განაგრძო. — დარბაისელი ქალია, ივან ვასილიევიჩის დეიდა გახლავს. მთელი მოსკოვი პატივსა სცემს, თავის დროზე მისა სახელა სალოცავად ჰქონდათ. სახელგანთქმული მსახიობი იყო! ჩვენს სახლში კი ერთი მკერავი ქალი ცხოვრობს, ანა სტუპინა. ნასტასია ივანოვნასთან ყოფილა, შინ ახლახან დაბრუნდა. ნასტასია ივანნას მისთვის უამბია, ივან ვასილიევიჩთან დღეს ახალი ვილაცა მოვიდა, პიესა წაუკითხა, ხოჭოსავით შავი იყო (მაშინვე მივხვდი, შენ იქნებოდი). უთქვამს, ივან ვასილიევიჩს არ მოეწონაო. ასეა. გახსოვს, რა გითხარი, პიესა რომ წაგიკითხე? გითხარი, მესამე მოქმედება ზერელედ არის დაწერილი, სიღრმე აკლია-მეთქი. მაპატიე, შენთვის ხომ სიკეთე მინდოდა. მაგრამ ყური არ მათხოვე! ივან ვასილიევიჩს კი, ძმობილო, ეს საქმე გაეგება, ვერაფერს გამოაპა-

რებ, ხელად აზრზე მოვიდა. ჰოდა, რაკილა არ მოეწონა, პიესაც არ დაიდგმება. ხელში ცარიელი აფიშალა შეგრჩება. იცინებენ, ეგეც შენი ვერობიდეო! ჰო, ნასტასია ივანოვნას ისიც უთქვამს, ივან ვასილიევიჩს თავხედურად შეტყუაო! აწყენინაო! იმას რჩევა მოუცია, შენ კი პასუხად, როგორც ნასტასია ივანოვნას უთქვამს, თურმე ფრუტუნებდი. მაპატიე, მაგრამ ეს ნამეტანია! რაც გეკუთვნის, იმაზე მეტი მოინდომე! რა თქმა უნდა, შენი პიესა არც ისეთი დიდი რამეა (ივან ვასილიევიჩისთვის), რომ ფრუტუნი გაუბედო.

— რესტორანში წავიდეთ, — ხმადაბლა ვუთხარი მე, — შინ ჯდომა არ მინდა. არ შემიძლია.

— გასაგებია! გასაგებია, მაშ რა! — შესძახა ლიკოსპასტოვმა. — სიამოვნებით, მაგრამ... — მან საფულე შეშფოთებით მოჩხრიკა.

— მე მაქვს.

ასე ნახევარი საათის შემდეგ რესტორან „ნეაპოლის“ ფანჯარასთან დალაქავებულ სუფრას ვუსხედით. სანდომიანი ქერა კაცი თავს დაგვეტრიალებდა, სუფრაზე რაღაც საუზმეულს აწყობდა, ალერსიანად გველაპარაკებოდა, კიტრს კიტრუკას ეძახდა, ხიზილალას ხიზილალუკას. მის სიახლოვეს ისეთ სითბოსა და სიმყუდროვეს ვგრძნობდი, დამაფიწყდა, გარეთ უკვე წყვედიადი რომ ბატონობდა და ლიკოსპასტოვიც კი გველად აღარ შეჩვენებოდა.



თარგმნა გივი ალხაზიშვილმა

* * *

უფრთებო სული მიწის ტყვეა, მიწამ შერისხა,
დაემორჩილა იგი მიწას და ცრუ დროებას,
მხოლოდ სიზმარი, მერე უცებ კვლავ ფრთებს
შეისხამს,
მიიწვეს მადლა ტოვებს მიწას — ამაოებას.

გაურკვეველი და ნაცნობი სხვის ნათება,
ხმა გალობისა ციურისა ძლივსგასაგონი,
ჩაუქრობელი კვლავაც თვალწინ აღიმართება,
დაუსაბამო სივრცეების ზოდიაქონი.

მხოლოდ სიზმარი, მერე ისევ გამოღვიძება,
დაელოდები, უსასოო ფიქრით დაღლილი,
არამქვეყნიურ სახილველთა ამობრწყინებას,
რომ გაიგონო წმიდა ხმათა გამოძახილი.

* * *

თვალი შეავლე რა ვრცელია, რარიგად შორი,
გამჭვირვალეა საღამოს ცა, განა მრუმეა,
ო, რა წამია სინათლეს და სიბნელეს შორის,
ო, რა წმინდაა, რა სიჩუმეა.

მიაყურადე, მდუმარება რომ ითენთება,
ხომ გეჩვენება, სოფელს აღარ გაელვიძება,
რომ არასოდეს არ გათენდება,
რომ მარადისი ღამე იწყება.

* * *



მშვენიერება ზეციური ზღვაში იელვებს, უკონუსული
აირეკლება ზღვაში ზეცის მშვენიერებას, უკონუსებას
ასე ვნებისგან თავისუფალ სულის სინათლედ
ავლენს სიმშვიდეს მარადიულს და გვეფერება.

ფსკერს არ აფიქრებს ზღვის სინყნარე, ანდა ვის
ხმობენ

ტალღები, როცა ნაპირს ბრაზით ეზეთებებიან,
ასეა სულიც, თავისუფალ სიმშვიდეს ჰპოვებს,
ის უცვლელია, არ აპყვება სურვილს ვნებიანს

თავისუფლებას ცვლის ტყვეობა, სიმშვიდეს ღელვა,
მიდი-მოდიან, ბრუნდებიან, ერება, ინთება,
ის კი ერთია და სტიქიურ სწრაფვაში ელავს
და მარტოოდენ სტიქიაში იგი ვლინდება.

* * *

ახლოს და შორით, მე მახსოვს ჯერაც,
იე, საუფლოში მისტიურ ლანდთა,
სადაც ვერ აღწევს მოკვდავთა მზერა,
სადაც არც ცრემლი, არც ლხინი ჩანდა,
ჩემო ქალღმერთო, იქ, სულ პირველად,
მე დაგინახე ნისლიან ლამით,
მე ვიყავ ბავშვი გასაკვირველი,
საყვარელ სიზმარს ვუმზერდი წამით,
გამომეცხადა შენი ხატება,
შენუხებულმა რალაცა მითხარ,
ბავშვური ხილვა და მოლანდება,
მხოლოდ ოცნება მეგონე დიდხანს,
როდესაც ისევ მოხველ, ცისმარეც,
მომიახლოვდი, მე მივხვდი მაშინ,
რომ შენ არსებობ, არ ხარ სიზმარი,
არ ხარ ზმანება უცნაურ ბავშვის,
უცხო მხარეში, ვიგონებ დღესაც,
ოდეს გიხილე ხატი ციური,
მსუბუქად მოსწყდა ბაგეებს შენსას
სიტყვა საამო და მშობლიური,
მშობლიური ხმის თბილი დინება
შენს ლაყვარდისფერ თვალებში ენთო,
მშობლიურ სხივის, ამობრწყინება
შენ დაძანახე, ჩემო ქალღმერთო.



დღეს, ყველაფერი რითაც ვარსებობ,
 რასაც გული და გონი მივანდე,
 რაც აგრერიგად მეძვირფასება,
 შენ შემოგწირე და გინილადე.
 „მე“ — უმკაცრესი, როგორც სიკვდილი,
 ცახცახებს შიშით, წყვდიადს ბარდება,
 გიხილა შორით და ფერმიხდილი
 მიდის, უჩუმრად მიემართება.
 ის უნდა მოკვდეს, სადღაც, გზანვრილზე
 ჩაიჩეხება მხდალი მხედარი,
 მე ვარ ქურუმიც და შესაწირიც,
 განამებული მაგრამ ნეტარი.

* * *

მე ვიყავ მალლა, ქვევით კი ჩანდა
 ბრბო შეგროვილი, შეყრილი ერთად,
 არავინ იყო ცაში ჩემს გარდა,
 მე ვიყავ მალლა, მე ვიყავ ღმერთთან.


სად გაერნენ მთები, ამაოდ ვეძებ,
 სად გაქრა სივრცე მარად მზიანი,
 მარტოკა ვწევარ ნამიან ველზე,
 მონყენილი და თვალცრემლიანი.

ვწევარ, თვალეში შუქი მიქრება,
 გადამივლიდეს ნეტავ მავანი,
 რომ გადამთელოს დაუფიქრებლად
 ჩემი სიმაღლით და სითამამით.

ნასულავს

მყისვე, როგორც კი ამქვეყნიურ დარდს გავექცევი,
 თქვენ, გარდაცვლილო მეგობრებო, თქვენ მაგონდებით
 და დროს გარდასულს, როგორც სიზმარს ისე
 შევცქერო.
 თქვენ კი მოდიხართ უფრო ახლოს, უფრო
 გროვდებით.

დღე იფერფლება და ბინდბუნდში ქრება ნათელი,
 ტკბილ-მწარე განცდით, უწმინდესო, სული მევსება,
 მარადიული გაზაფხული, ვით ჟრუანტელი,
 მოედო ჰაერს, ვარსკვლავებით ცა იკვესება.



მე ვიცი, ვიცი, რომ ზეციდან თქვენ იხედებით,
თქვენ გამარიდეთ დედამიწას და ცრუ დროებს,
თქვენთან შეხვედრა, თქვენთან ყოფნა მინდობა,
თქვენ დამაჯინყეთ ამართა ამოება.

დადგება წამი აღსასრულის, ზეცის თავანი
გამონათდება, ჩამიქრება მიწა ცბიერი,
დამამშვიდებელს მიმასწავლით ცისფერ სავანეს
და ვარსკვლავებით გამეფება თვალსაწიერი.

* * *

საყრმის შეგობარს თავად დ. ნ. სერბაღავს

მძულს თითქოს ჭკვიანური,
ხმამალალი კამათი,
უნაყოფო ხმაური,
ბჭობა და მასლაათი.

და სიცოცხლემ სტუმარმა
თითქოს ფსკერი შენისლა, —
მშვიდმა და იდუმალმა
ყამმა ბედისწერისამ.

გახსოვს, როგორ ქრებოდა,
ჩვენი ღამე დიადი,
როგორ გვეფერებოდა
სიჩუმე განთიადის.

თუ ჩაგვიქრა, სანთელი,
დარდი ვერ გავიქარვეთ,
ჰყვავის ჩვენი სათქმელი
მარადიულ ფიქალზე.

* * *

თუ სურვილები გაგვირბიან, როგორც ღანდები,
და თუკი აღთქმა ცარიელი სიტყვის დარია,
არ ღირს სიცოცხლე, ამ წყვდიადში ფუჭი დარდები,
არ ღირს სიცოცხლე, თუ სიმართლე მართლა
მკვდარია.

მარადისობა რას მიაგებს უაზრო წადილს,
მარადისობა რად სჭირდება ტყუილს საამოს,
სიცოცხლე ჰქვია ზენაარის სიცოცხლეს ნამდვილს,
უკიდევანოს, უსასრულოს, დაუსაბამოს.

ბავშვური ფიქრი სიზმარულ გზისკენ მიმათრევს,
უკან ვბრუნდები ზენაარის ბრძნული ნებითა,
ჩვენი სიცოცხლე გმირობაა, ბოლო სიმართლე
ანათებს მუდამ ჩაფერფლილი კუბოებიდან.

* * *

რასაც ჩვენ ვუმზერთ და მივაკვლიეთ,
 რასაც შევეყურებთ თვალგაყინული,
 უხილავ სივრცის ანარეკლია,
 მისი ლანდია ჩვენთვის ხილული



ნუთუ არ იცი, ხმაურს თავნებას,
 როდესაც ვუსმენთ მინით დაღლილნი,
 ჩვენ მოზეიმე ტკბილხმოვანების
 გვესმის შეცვლილი გამოძახილი.

ო. მეგობარო, იქნებ არ იცი,
 ამ სამყაროში მხოლოდ ერთია
 როცა გულს გულის მოესმის ფიცი,
 როცა ერთმანეთს უხმოდ ერთვიან.

* * *

უცხო ეარიშხლის სულში შობილი
 გაერა ხილვანი უასაკონი,
 როს იდუმალი, წმიდა დობილის
 ხმა შემომესმა ძლივსგასაგონი.

და სული ჩემი, როგორც არწივი
 დატყვევებული, ტანჯვამ დაფლითა,
 შეკრთა ტკივილის მძაფრი ქარ-წვიმით.
 ბადე განყვიტა, ცაში აფრინდა.

მალლა აფრინდა, ასცდა მწვერვალებს,
 შეეხო სხივებს მარად მდინართა
 და იქ, სინშიდე სადაც ელვარებს
 წამით გაკრთა და გაუჩინარდა.

* * *

თუმცა ჯაჭვებით უხილავით, მარადიულთ,
 არამევეყნიურ ნაპირებთან ჩვენ ვართ მიბმული,
 ხომ მაინც უნდა გავიაროთ ის წრე ღვთიური,
 რაიც ღმერთებმა მოგვიხაზეს, რაიც იბრუნვის
 ყოველი, ვინც კი ეთანხმება უმაღლეს ნებას.
 თავისი ნებით ნება სხვისა მან აღასრულოს,
 რადგან ანათებს უსხეულო უბინოებას,
 შუქი ღვთიური, მარადისი და უსასრულო.

ფინელი პოეტები

ლექსები



თარგმნა აშირან კალაძემ

. . .

ფინური პოეზიით ჯერ კიდევ 70-იან წლებში დავინტერესდა. როცა ტალინში ცნობილი ესტონელი მწერლის იან კროსის ოჯახში დროდადრო ვხვდებოდი სტუმრად ჩამოსულ ფინელ პოეტებს: არვო ტურტიანენს, ელვი სანერვოს, ბენტი პოლტილასა და სხვებს.

ქართველი მკითხველისათვის შევარჩიე მეოცე საუკუნის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, მათ შორის ერთ-ერთი საბატიო ადგილი უჭირავთ შედურენოვან ფინელ პოეტებს: ედიტ სევედერგრანს, ელნერ დიქტონიუსს, რაბე ენკელს, გენრი პარალანდს.

საინტერესოა სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა წარმომადგენელი პოეტი ქალებს შემოქმედება. ედიტ სევედერგრანი, კატრი ვალა, აილა მერილუოტო, ვილიე კაიკა, ეილა კივიკამო, ევა-ლიზა მანერი განსხვავებული სტილისა და ხელწერის პოეტები არიან.

ფინელი პოეტების ლექსები ქართულ ენაზე იბეჭდება პირველად.
მთარგმნელიზაგან

აინო ლაინო
(1875-1926)

ფახშიშველი დავუყვები ტყის ბილიკებს

ფახშიშველი დავუყვები ტყის ბილიკებს,
სადაც ღამე ძმობილივით მელოდება...
ამღერდება გული ჩემი ნეტარებით,
თითქოს ვიყო ისევ-ისე ცეროდენა.

აქ, გორაკის შორიახლო, ჭალისპირებს
გავხედავ და ფიქრზე ფიქრი ჩამოდნება...
მაგონდება იმ საღამოს ათრთოლება,
უნაზესი ფოთოლცვენა მაგონდება.

დავუყვები მოგონების ბილიკებზე, —
 ცელქი სიო თითქოს იყოს შენი სუნთქვა...
 იმ საღამოს საიდუმლო ვიცით, ჩემო,
 შე და შენ და..
 არყის ხემ და..
 ყოლოს ბუჩქმა.



ადიტი სეიდერბრანი

(1892-1928)

რად დავიბადა

რად დავიბადა!
 ნუთუ იმიტომ —
 წამით გავბრწყინდე,
 ცხოვრების ეტლით ჩავუქროლო
 მოუხელთებელს!
 ამოებას შევასკდე შუბლით
 და მაინც,
 მაინც ვინატრო მეტი?

რად დავიბადა!
 ნუთუ იმიტომ,
 მხოლოდ იმიტომ, რომ ბორკილივით
 ვაყლარუნებდე ლამაზ სამაჯურს...
 შემომარჩიონ მაცდურად თასი,
 რათა დავითვრე აკრძალულ ბანგით...
 და მაინც,
 მაინც ვინატრო მეტი?!

რად დავიბადა!
 ნუთუ იმიტომ —
 ვნების ხანძარში ჯადო-წიგნივით
 გადავდიოდე ხელიდან ხელში...
 მერე ნაკვერცხალს
 მოვწყდე ალივით
 და მაინც,
 მაინც ვინატრო მეტი?!

ვარსკვლავები



ქართული
ლიბრერი

რიბირაბოა,
ვარსკვლავთცვენაა...
კვლავ მონუსხული ვდგები სარკმელთან!
ეს მერამდენედ,
ეს მერამდენედ
ყველა ვარსკვლავი ჩემს ბაღში ცვივა!
ღვთის გულისათვის,
ნუ გაივლით აქ ფეხშიშველი..
ამ ბაღებში
ვარსკვლავების ნამსხვრევებია!

GRIMACE D'ARTISTE

აბა მე რა მაქვს!
მხოლოდ ბრწყინვალე მოსასხამი
და უტიფრობა
ინდაურის თვირისფერი,
რომელიც ჩემთან შეუთანხმებლად
ცოდვით მიწაზე
ტაშისთვის დაძრწის..

აბა მე რა მაქვს!
მხოლოდ ჩანგი გულში ჩაკრული
და სითამამე დაჭიმულ სიმის...
დავეხეტები ქუჩა-ქუჩა დილა-სალამოს
და კვნესის, კვნესის ყველასათვის
ეს ჩემი ჩანგი.

აბა, მე რა მაქვს!
აბა მე რა მაქვს!
მხოლოდ ყარიბის ქედმაღლობა...
მხოლოდ გვირგვინი გამონაცვალი!
Adieu!

ელგერ დიქტონიუსი
(1896-1961)

არწივი მანც არის არწივი

არწივს დაგლიჯეს კლანჭები —
„დახეთ ამ კლანჭებდამძვრალსო!“

მერე მოაჭრეს ნისკარტი —
 „დახეთ ამ უცხვირპიროსო!“
 ბოლოს დათხარეს თვალებიც —
 „დახეთ ამ ბრუციანსაო!“
 მერე ფრთებიც რომ დააჭრეს —
 „გაფრინდი, თუ ბიჭი ხარო!“
 შეაგდეს გალიაში და —
 „ესეც თუ არწივიაო!“
 ეს ყველაფერი მისი ხვედრია.
 არწივი ბუდით არის ამაყი...
 ფრთებდალენილი, თვალებდათხრილი
 და გალიაში გულგანგმირულიც —
 არწივი მაინც არის არწივი!
 არწივი მაინც არის ამაყი!



კატრი ვალა
 (1801-1844)

გავეფი თამაშობს

— გარეთ წვიმს, —
 ამბობს პატარა ბავშვი, —
 შინ რა კარგია!
 შინ რა კარგია!
 მოდი, დედიკო,
 ჩემთან დაჯექი
 და ვითამაშოთ იცი რა,
 დედა? —
 მოდი ეს სახლი
 იყოს ზღვის ფსკერი, —
 შენი ხელები
 ორი თევზია...
 პა. მოცურავენ ჩემსკენ
 თევზები,
 და ნაზად, ნაზად
 მეფერებიანს

შენი ხმა, დედა,
 ვითომ ტალღაზე
 დაკიდებული ვერცხლის
 ზარია...
 ვითომ კლდე არის
 ოქროს თვალებით
 განათებული წიგნების თარო...
 ეს საყვავილე არის ნიჟარა,
 ხოლო ნიჟარა
 ამ ზღვის ყურია...
 ღამის ნათურა თეთრი გემია,
 რომელიც ახლა ჩვენს თავზე
 ცურავს...
 მე მალე ავალ იმ გემზე, დედა!

აილა მერილუოტო



ეროვნული

უკანასკნელი აკვარალი ბიბლიოთეკა

გაიცრიცა მოლბერტზე
 სევდა ეფემერული
 და აემღვრა მხატვარ ქალს
 სული უფაქიზესი...
 შემოდგომის ფერები
 ხელში ისე ჩაადნა, —
 წვიმა იყო უთუოდ
 ხელმოცარვის მიზეზი.
 თვლემდა შემოგარენი
 კოკისპირულ წვიმაში,
 ფუნჯმა მიწა მოხატა
 ბინდის ლიანდაგებით...
 და სულში და ტილოზე
 მობარბაცე აჩრდილი
 მხატვარს ემუქრებოდა
 თითქოს თითის დაქნევით.
 მერე, მოულოდნელად,
 ნეკერჩხალის ტოტებზე
 მოიხელთა ხილვა რამ,
 ხილვა ფერგადასული...

აელვარდა ტოტებში
 ოქროსფერი წყვეტილი
 და აცეკვდა ტილოზე
 თმაგაშლილი ასული...
 როცა გაუჩინარდა
 ოქროსფერი წყვეტილი,
 დარჩა სიცარიელე
 და სხვა აღარაფერი...
 საიდანღაც მოფრინდნენ
 გულწითელა ჩიტები,
 აღარ ეყოს ტილოზე
 სივრცე გადასაფრენი...
 გაიფანტა ბურუსი,
 ხილვებს გადაეფარა
 ქარში ჩამოღწეული
 ნეკერჩხალის ტოტები,
 გადაღლილი თვალებით
 ჩაიხედა სულში და
 ფანტელივით ცივ-თეთრი
 იცნო ავტოპორტრეტი.

აილა მერილუოტო

(1904-1980)

* * *

რა შეიძლება ითქვას ცხოვრების დონეზე?
 მამაჩემს ჰქონდა ერთი პიჯაკი,
 მე კი ორი მაქვს...
 ჩემიც ორივე ლომბარდშია მიბარებული!
 მამაჩემს ჰქონდა ერთი ოთახი,
 მე კი ორი მაქვს...
 მე მრჩება ხოლმე ბინის ქირა გადაუხდელი!
 თუ მამაჩემი ხელით ჭამდა წინათ კარტოფილს,
 მე ვჭამ ფაქიზად —
 დანა-ჩანგალით...

რა შეიძლება ითქვას ცხოვრების დონეზე?

რა პანსხვაებაა?

მე ვარ ტუსალი,
 ის კი ჩემი ზედამხედველი,
 ის დგას ზღურბლს იქით,
 მე კი მუდამ ვდგავარ ზღურბლს აქეთ...
 მე უფლება მაქვს
 ჩემს საკანში ხუთი ნაბიჯის,
 მას კი სახლამდე
 ხუთი ეჭუა აქვს გასავლელი...
 მის სახეზეა
 სისასტიკე და უნდობლობა...
 ეს არის ციხის უღმობელი,
 პირქუში სახე.



ვილია კაიავა
 (1909)

* * *

ულაზათოა ქვეყნიერება —
 თვალშეველებული ბოთლის ფსკერიდან...
 დილა-სალამოც უღიმღამოა,
 მზეც უფორმო და უსახურია!
 ცისარტყელაც კი
 სიკვდილის ცელად
 მოგელანდება ბოთლის ფსკერიდან...
 მაგრამ ვარდისფერ შუშების იქით,
 ანუ ჯადოსნურ საცალთვალედან,
 იშლება ხედი ულამაზესი...
 სულ სხვანაირი მოჩანს ცხოვრება!
 აჰა, სასახლე უზარმაზარი
 და დარბაზები მარმარილოსი,
 სადაც შარვლები უძვირფასესნი —
 ლომისთათება სკამებში სხედან.

ახმატოვა

| | |
|--------------------------|-------------------------|
| მე შენს დღეებს გაფრენილს | როგორც ჩიტ-ჩიორა, |
| უკან დავედევნები, | გადავკენკავ ნოტებად |
| სტრიქონებად გადავწერ | და გაზაფხულს შივართმევ, |
| ნატერფალებს ქვიშაში... | არ მცვილდება, ძვირფასო, |
| ნამებს აღტაცებისას, | შენი ნაზი ხატება. |

მოდელიანისეულ
ტილოების სადარი...
ახლა ალბათ თარეშობს

ქვენა ქარი იქ, სადაც
დაიფერფლა უცრად
ფრთები შუნი ოცნების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აილა კივიკაპო

(1921)

ძახილი

ჭეშმარიტება, მინდობილი ხმას საყვირისას,
საიდუმლოსაც გადააქცევს უმაღლ ძახილად.

მე არ ვარ ნისლი,
უცაბედი არ ვარ მეჩეჩი...
მე მხოლოდ ის ვარ,
რაც ყველასთვის სასურველია
არ ვარ მქირდავი,
ჭირსა შიგან არა ვარ მფრთხალი...
მე მხოლოდ ის ვარ,
რაც მოგზაურს გზაში ჭირდება!

არ ვარ ზღაპარი,
არც ლერწამი ქარში დახრილი...
მე მხოლოდ ის ვარ,
უნდა ახდეს რითაც ოცნება!

ჭეშმარიტება, მინდობილი ხმას საყვირისას,
საიდუმლოსაც გადააქცევს უმაღლ ძახილად...
მოდის თაობა, განაფული დაპირებებით...
მე ვარ მრჩეველი
და ნუგეში მცირეწლოვანთა!

პაპო კაპიკო

(1931)

რად არ წაიღე კაბები

რად არ წაიღე კაბები?
ხან რას მახსენებენ.
ხანაც რის...
ცაზე ჰკიდია წამლევა მთვარე.

თითქოს ტანთ გხდიდე —
ვალე კარადას და...
დარეკე,
მომწერე,
ხანდახან...



პენტი სარიკოსკი (1887)

მეზრალეა

ფიჭვის ტოტებზე დნება თოვლი
კედლის იქით ისმის მუსიკა
უკანასკნელი ცნობები
კაცი საქვარის გაუმადლარ ხახაში ჩავარდნილა
გარდა ცარიელი რკინის საფულისა
მისგან აღარაფერი დარჩენილა.

პარლამენტარიზმი


ხანდახან ტანერი და ლესკინენი მეზრალეა
და თუ ტანერი ბებრუხუნაა
ლესკინენი მთლად ახალგაზრდაა.

როცა ვიძინებ საკუთარ თავს გულში ვიხუტებ
სიკვდილი რომ ძილში მეწვიოს
ნეტავ სფიზმარიც შეწყდება თუ
მეორე დღესაც გაგრძელდება წვერის ზრდასავეთ

სანამ იარსებებს სახელმწიფო
იქნებიან დიდი კაცებიც
რომლებსაც ძეგლებს აუგებენ
გუშინ საზღვიმოდ ჩამოხსნეს ზენარი
სვინჰუფუდის მაღალ ძეგლს

მწერლებიც თანდათან მოიხვეჭენ დიდებას
ქალებისათვის მისართმევი ყვავილების მორწყვა ხომ
ოდითგანვე მწერლების საქმეა
სანამ იარსებებს მწერლობა
მუდამ იქნებიან მწერლები

□



საქართველოს
კომუნისტური პარტია

რ მ შ ა ნ ი

ინგლისურიდან თარგმნა ჯულიანა მჭედლიშვილმა-ბაქრაძემ

— ჩვენს ქვეყანაში აი, ასე დიდხანს და ასე სწრაფად რომ ირბინო, როგორც ჩვენ ვირბინეთ, აუცილებლად რომელიმე სხვა ადგილას მიხვალ, — ქოშინით თქვა ალისამ.

— ძალიან ნელი ქვეყანა გქონიათ. ჩვენთან კი, ხომ ხედავ, მაგ სიჩქარით სირბილი მარტო იმისათვის კმარა, რომ ერთი ადგილი ტყეებში. სადმე სხვაგან მისვლა თუ გაჩნდა, სულ ცოტა, ორჯერ სწრაფად მაინც უნდა ირბინო. — თქვა დედოფალმა.

— ნამდვილი რომ არ ვიყო, როგორ ვიტყვებდი? — თქვა ალისამ, — და თუმცა თვალები ცრემლით ავსებოდა, ლამის გასცინებოდა, ისე უაზრო ეჩვენებოდა ყველაფერი.

— თქვენ რა, თქვენი ცრემლი ნამდვილი გგონიათ? — ავღებულად შეაწყვეტირა ტვალღუმმა ალისას.

ლუის კაროლი, „ალისა სასწაულებების ქვეყანაში“.

თავი 1

შეკარა იყო დელგას ვერ გადაურჩებოდნენ. **ს**იეზუიტმა, მამა ს. ჯ. როტშილდმა, თავისი ჩემოდანი აღმოსავლური ფატალიზმით მიდგა ბარის კუთხეში და გემბანზე გავიდა (მომცრო ჩემოდანი ნიანგის ხელოვნური ტყავისა იყო. ჩემოდანზე გოთური შრიფტით გამოყვანილი ინიციალები მამა როტშილდისა არ გახლდათ. მან ჩემოდანი იმ სასტუმროს ლაქისაგან ითხოვა, სადაც წინა ღამე გაათია. ჩემოდანში მხოლოდ ის ელაგა, რაც ყოვლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა — თეთრეული, ექვსი ძალიან საჭირო წიგნი ექვს ენაზე, მისაწებებელი წვერ-ულვაში, სასკოლო ატლასი და ამ ატლასის განმარტებებით აჭრელებული საცნობარო დანართი). გემბანზე გამოსული მამა როტშილდი

მოაჯირს იდაყვებით დაეყრდნო, ნიკაპი ხელისგულებზე ჩამოასვენა და ტრაპზე ამომავალ მგზავრება დაუწყო თვალიერება. უკლებლივ ყველას სახეზე შიშნარევი დაძაბულობა იკითხებოდა.

მგზავრებს შორის თითებზე ჩამოითვლებოდნენ ისინი, ვინც უნებურად არ იცნობდა. ეს იმიტომ, რომ იეზუიტს მიმადლებული ჰქონდა ზეგარდმო ნიჭი დაემახსოვრებინა ყველა და სცოდნოდა ყველაფერი ყველაზე, ვინც კი სულ ცოტა მაინც ღირდა რამედ. იეზუიტს პირი ოდნავ ღია ჰქონდა და ენა მოუჩანდა. მგზავრები მოსალოდნელ ცუდ ამინდსა და თავთავიანთ ბარგზე ფიქრით იყვნენ გართულნი, თორემ რომელიმე მათგანი აუცილებლად შეამჩნევდა, რომ იეზუიტი ძალიან ჩამოჰგავდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ქიმერათა თაბაშირის ასლებს, იმ ასლებს, რომლებიც „ძველ სპილოსძვლისფრად“ შეღებილნი მხატვრული ნაწარმის მაღაზიების ვიტრინებში ტრაფარეტების, ფუნჯების, ათასფერი პლასტელინისა და წყლის საღებავების გვერდით აწყვია და გაშტერებით გაიყურებიან სადღაც. იეზუიტის თავს ზემოთ, ჰაერში, ათას ჭირ-ვარამში გამოვლილმა საძი კონტინენტის მტვრით დაფარულმა მისის მელროზ შიმპანის „პაკარდმა“ გაისრიალა. თვით მისის შიმპანი კი, ცნობილი ქადაგი ქალი, თავის ანგელოზებს ამოუძღვა გემბანზე.

— რწმენა!

— აქა ვარ, მისის შიმპან!

— გულმოწყალება!

— მეც აქა ვარ, მისის შიმპან!

— შეუპოვრობა!

— აქა ვარ, მისის შიმპან!

— უბიწოება... სად არის უბიწოება?

— უბიწოება თავს შეუძლოდ გრძნობს, მისის შიმპან! კაიუტაში ჩავიდა.

— ამ გოგოსაგან წვალების მეტი არაფერი მახსოვს. როცა რამეა გასაკეთებელი, სწორედ მაშინ გახდება ხოლმე ავად. დანარჩენები სად ხართ? თვინიერება... კეთილგონიერება... ღვთიური გულისწყრომა... მიტევება... სამართლიანობა... ღვთიური გულმოდგინება...

— ღვთიურმა გულმოდგინებამ ფრთები დაკარგა, მისის შიმპან! მატარებელში ერთ ჯენტლმენს მასლაათი გაუბა და... ახ, აი, ისიც!

— იპოვე? — შეეკითხა მისის შიმპანი.

ღვთიური გულმოდგინება ისე ქოშინებდა, რომ თავის დაქნევა ძლივს მოახერხა. (ანგელოზებს ფრთები ვიწრო, შავი ყუთებით დაჰქონდათ. ყუთი ძალიან ჰგავდა ვიოლინოს ფუტლარს).

— ჰო, კარგი! — თქვა მისის შიმპანმა, — კეთილი ინებე და ფრთებს გაუფრთხილდი და რაც შეიძლება ნაკლები ელაპარაკე ჯენტლმენებს მატარებლებში. თქვენ ანგელოზები ხართ და არა ვიგინდარა დედაკაცები, გასაგებია?

შეწუხებული ანგელოზები ერთად შეჯგუფდნენ. საშინელებაა, როცა მისის შიმპანი ასეთ გუნებაზეა! ერთი ღვთიური გულმოდგინება როგორმე დამისპერანგიანი დაიპარტოხელონ, როგორ დაჩქმეტავენ, იმასაც ნახავს.

ის არ ემარა, რომ სადაცაა ყველის გული აეროს? მისი შიმპანის ჟუჯლუნი აკლდათ?

მისი შიმპანმა შეატყო, რომ გოგონებს გუნება გაუთქვიათ და მოლბა გაიღიმა. „მომხიბვლელობას“ ვერ წაართმევდით.

— აბა, გოგონებო! ეხლა კი უნდა წავიდე, — თქვა მან. — ამბობენ, მაგარი ღელვა იქნებაო, მაგრამ თქვენ არ დაიჯეროთ. თუ სულში სიმშვიდე სუფევს, არც სტომაქი გიღალატებთ. ესეც დაიმახსოვრეთ: თუ რწმენამ არ გიშველათ და მაინც იგრძენით გულისრევა, იმღერეთ და ყველაფერი რიგზე იქნება.

— ნახვამდის, მისი შიმპანი გამდლობთ!

ანგელოზები ლამაზი რევერანსით გამოემშვიდობნენ მისი შიმპანს, შებრუნდნენ და ერთიმეორის მიყოლებით მეორე კლასის კაბუტებისაკენ წავიდნენ. მისი შიმპანმა მათ შემწყნარებლური გამომეტყველებით გააყოლა თვალი, მერე მეზღვაურებით მხრებში გაშლილი (წვერი არა ჰქონდა, როგორც ძველ მეზღვაურს შეეფერება, თორემ სხვაფრივ ტოლს არაფერში დაუდებდა) მტკიცე ნაბიჯით გაეშურა პირველი კლასის ბარისაკენ. რომელიც გემის კიჩოზე იყო მოთავსებული.

* * *

გემბანზე სხვა ღირსშესანიშნავი პიროვნებანიც ამოდრიოდნენ. მგზავრები უამინდობას ძალიან შეეწუხებინა. ზღვის ავადმყოფობისაგან რომ როგორმე თავი დაეცვათ, ისინი ცივილიზებული სამყაროსათვის ცნობილ სხვადასხვა ხრიკებს მიმართავდნენ, მაგრამ ამ ხრიკებისა თითონვე არა სჯეროდათ და ეს აფუჭებდა საქმეს.

მგზავრებს შორის იყო მისი რანსიბლი, მაილზ ბედასლი და „ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდობის“ რამდენიმე სხვა წარმომადგენელი. მათ ბრწყინვალედ გაატარეს დილა — ერთმანეთს ჭიპებზე პლასტირებს აწებებდნენ (როგორ იკლავნებოდა მისი რანსიბლი).

გემზე ამოსულთა შორის იყო პარლამენტის წევრი, მისი კეთილშობილება უოლტერ კეიფი, რომელიც სულ რაღაც ერთი კვირის წინ პრემიერ-მინისტრი იყო. მისტერ კეიფმა ერთი, საკმაოდ ცნობილი, ქლორიანი შენაერთის ორმაგი დოზა მიიღო (რის გამოც საუზმე ყელში აღარ გადაუვიდა) და ბოლოს, როცა მატარებელში სულით საბოლოოდ დაეცა, მთელი ფლაკონი გამოათავა. ტრანსში ჩავარდნილი მისტერ კეიფი ძლივს მილასლასებდა. ორი გადაცმული დეტექტივი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ისინი პარიზში ჩაპყოლოდნენ მისტერ კეიფს და რაც კი მის შესახებ საცოდნელად ღირდა (რომანისტის თვალსაზრისით მაინც) ყველაფერი იცოდნენ. დეტექტივები ნაპრემიერ-მინისტრალს ერთმანეთში მის კეთილშობილება კეიფს ეძახდნენ, მაგრამ ამას კეიფის გვარის გართმისათვის უფრო აკეთებდნენ, ვიდრე მისი თავგადასავლების გაკილვის მიზნით, მით უმეტეს თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სასიყვარულო ამბებში მისტერ კეიფი დიდ გაუბედაობას იჩენდა და ზოგჯერ უკანდახევასაც არ თაკილობდა.



ლუდი თრობინგი და მისის ბლექუოტერი — ტყუპი დები, რომელთა პორტრეტებიც (მილეს მიერ დახატული) ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდა. ციონზე რეკორდულად მცირე ფასად გაიყიდა, გემბანზე ტექტონის ხისაგან გაკეთებულ სკამზე ისხდნენ, ვაშლს შეეჭკეოდნენ და თან სასმელს აყოლებდნენ, რომელსაც ლუდი თრობინგი ძველმოდური კეკლუცობით „შუშუნას“ ეძახდა, ხოლო მისის ბლექუოტერი უფრო ეგზოტიკურად — „შამპანს“. თანაც ამ სიტყვას ფრანგულით ცხვირში გამოთქვამდა.

— შეხედე, კიტი, ეს ხომ მისტერ კეიფია! აი, გასულ კვირას პრემიერ-მინისტრად რომ იყო.

— სისულელეა, ფანი! აბა, სად ხედავ?

— აი, იმ ორი შავშლაპიანი ჯენტლმენის წინ, მღვდლის გვერდით რომ მოდის.

— მართლაც ჰგავს მისტერ კეიფის ფოტოებს. რა უცნაურად გამოიყურება?

— განსვენებულ მისტერ თრობინგით... ისიც ასე გამოიყურებოდა ბოლო ერთი წელი.

— ჩვენ აზრზე მანამდე ვერ მოვედით, სანამ მისი საძინებელი ოთახის ფანჯრის ალათაში ფლავონები არ ვიპოვეთ. მანამდე კი ყველას გვეგონა, რაც სჭირდა, სმისაგან სჭირდა.

— მე მგონი, ჩვენი დროის პრემიერ-მინისტრები მთელი თავით მალლა იდგნენ, შენ რას იტყვი?

— როგორც ამბობენ მისტერ კეიფზე ერთადერთ ადამიანს აქვს გავლენა...

— იაპონიის საელჩოში...

— ჰო, რასაკვირველია, ჩემო კარგო, მაგრამ ცოტა ჩუმად... ერთი ეს მითხარი, ფანი, შენ სერიოზულად ფიქრობ, რომ მისტერ კეიფს მართლა სჭირს ის ამბავი?

— აღნაგობა, მისი ასაკის კაცის კვალობაზე, მშვენიერი შემორჩენია.

— კი, სწორედაც რომ მისი ასაკის კვალობაზე! თანაც ეს ბუღალსავით გარეგნობა ძალიან ხშირად ატყუებს ადამიანს. კიდევ დაგისხა? ზღვაში რომ გავალთ, მადლობას მაშინ შეტყვი.

— როგორ, ნაპირს ჯერაც არ მოვცილებივართ? მე კი მეგონა, უკვე მივცურავთ-მეთქი.

— რა სასაცილო ხარ, ფანი! რა უცნაური ლაპარაკი იცი!

ოდნავ შემთვრალი მოხუცი ქალბატონები ხელიხელ გაყრილნი სიცილით ხიბობდნენ თავიანთ კაიუტაში.

რაც შეეხება დანარჩენ მგზავრებს, ზოგმა ბამბით დაიკო ყურები, ზოგმა მზის მუქი სათვალე გაიკეთა, ზოგნიც ქალაქის პაკეტებიდან ორცხობილას შეეჭკეოდნენ და რაღაცით იმ წითელკანიანებს ჰგავდნენ, რომლებიც, თურმე გველის ხორცს ჭამენ, რომ მტერს ეშმაკობით აჯობონ. მისის პუპი ნიუ-იორკში რომელიღაცა იოგისაგან ნასწავლ დამამშვიდებელ სიტყვებს იმეორებდა, „გამოცდილი მეზღვაურები“ კი, რომელთა ჩემოდნებსაც მრავალ საზღვაო მოგზაურობათა დასტურად იარლიყები შემორჩენოდათ, გამომწვევად

დააბოტებდნენ გემბანზე, ნება-ნება აბოლებდნენ მოკლუტარჩან. მყრალ ჩი-
ბუხებს და პარტნიორებს ირჩევდნენ ბრაჯის სათამაშოდ.

გემის გასვლას ორიოდ წუთიღა უკლდა, უკვე გაქმეუფუჯაქაფრთხილე-
ბელი სტვენა და შეძახილები, როცა ტრაპზე ჩემოდნენ... მსხვერპლად კაც
ამოვიდა. მის გარეგნობაში არაფერი იყო განსაკუთრებული. მისნაირ ახალ-
გაზრდას ზუსტად ასეთი გარეგნობა უნდა ჰქონოდა. თავისი უსაშველოდ
მძიმე ჩემოდანი თვითონ მოჰქონდა, რადგან ფრანკები აღარ დარჩენოდა და
საერთოდაც, ძალზე ცოტა ჰქონდა ფული. იგი ორი თვე პარიზში ცხოვრო-
ბდა, წიგნს წერდა. ახლა ინგლისში ბრუნდებოდა, რადგანაც ქალს წერილობით
ცოლობა სთხოვა და თანხმობაც მიიღო. სახელად ახალგაზრდას ადამ ფენვი-
საიმში ერქვა.

მამა როტშილდმა გულითადად გაუღიმა.

— თქვენ ვგონებ, აღარც კი გახსოვართ, ხუთი წლის წინ, ოქსფორდ-
ში გავიცანით ერთმანეთი. ბალიოლ კოლეჯის დეკანთან, საუზმეზე. როცა გა-
მოვა, თქვენს წიგნს დიდი ინტერესით წავიკითხავ. მგონი, ავტობიოგრაფიაა,
არა? ამასთან ერთად, ნება მაბოძეთ პირველმა მოგილოცოთ ქალის დანი-
შენა. ვფიქრობ, თქვენი სასიამაორო ცოტა ექსცენტრული და გულმავიწყი
მოგეჩვენებათ. ამ ზამთარს ბრონქიტის საშინელი შეტევა ჰქონდა. ან კი
რა გასაკვირია, იმათ სახლში ორპირი ქარი თავისუფლად დანავარდობს. დღე-
ვანდებლობის კვალობაზე დიდზე დიდი სახლია, ახლა ქვევით უნდა ჩავიდე,
ღელვა მატულობს, მე კი დიდი ვერაფერი შვილი მეზღვაური გახლავართ.
თორმეტში ლედი მეტროლენდთან შეეხვდებით ერთმანეთს, თუ, როგორც
ვვარაუდობ, შეხვედრა უფრო ადრეც არ მოგვიწია.

იეზუიტი ისე სწრაფად გაუჩინარდა, რომ ადამმა პასუხის გაცემაც ვერ
მოასწრო. მოულოდნელად იეზუიტის თავი ისევ ადამის გვერდით გაჩნდა:

— გემზე იმყოფება ფრიალ საშიში და უსიამოვნო პიროვნება, ვინმე
მისის შიმპანი! — თქვა იეზუიტმა და ისევ გაუჩინარდა. ამ დროს გემიც
მოსცილდა ნაპირს და ნავმისადგომის გასასვლელისაკენ გასრიალდა.

გემი ირყეოდა, ხან გვერდზე წვებოდა, ხან წყლის ჩაშავებულ უფსკრუ-
ლის პირას ყალყზე დგებოდა, ერთ ხანს ერთ ადგილას თრთოდა და ცახცა-
ხებდა, მერე ძირს ენარცხებოდა და ბუტაფორული მატარებლის ვაგონეტი-
ვით ინთქმებოდა სიღრმეთა მღუმარებაში, რათა მეორე წამში ისევ ზღვის
ზედაპირზე მოთარეშე ქარიშხალში ამოეყო კიჩო. ზოგჯერ კი წყალში ისე
მიიკვლევდა გზას, თითქოს ტერიერი მიძვრებოთ კურდღლის სოროში. ზოგ-
ჯერაც დიდი სიმაღლიდან ქვევით ქვასავით ეშვებოდა. გემის ეს ბოლო ხრი-
კი იყო, მთლად ბოლოს რომ უღებდა მგზავრებს.

— ოჰ! — კვნესოდნენ „ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდები“ — ოჰ, ოჰ,
ოჰ!

— ასე მგონია, კოქტეილის სათქვეფში ვზივარ, — თქვა მაილზ ბედს-
ლმა, — რა ფერი გადევს, საყვარელო! Eau de nil!

— ისე მერევა გული, მეტი რომ არ იქნება. — თქვა მისს რანსიბლმა
და არც შემცდარა, რაც მის ცხოვრებაში ძალიან იშვიათი მოვლენა იყო.

¹ ნილოსის წყლის ფერი (ფრ.).

* * *



კიტი ბლეკუოტერი და ლედი თრობინგი კაიუტაში ერთმანეთს შეძლოთ თავთავიანთ საწოლებზე იწვნენ და პარიკიდან ფეხის წვერებზე დაეკიდნენ და დაძაბულიყვნენ.

ბიზლიქოთქა

- შენ როგორ ფიქრობ, ნუთუ „შამპანი“...
- კიტი!
- რა იყო, ფანი, გენაცვალე!
- მგონი... არა, მგონი კი არა, ნამდვილად მახსოვს, ნიშადურის სპირტი სადღაც ჩავდე... კიტი, ასე მგონია, რაკი შენ მანდ ახლოსა ხარ... მე რომ ვცადო ჩამოსვლა, იქნებ საშიშიც იყოს, შეიძლება ფეხი მოვიტეხო...
- იქნებ შამპანურის შემდეგ არ შეიძლება, ფანი?
- რა ვქნა, აუცილებელი რომ არის... თუმცა, თუ ძალიან გეზარება...
- მშვენივრად იცი, რომ სულაც არ გეზარება, გენაცვალე, მაგრამ ახლა რომ დავფიქრდი, თითქოს მახსენდება, არა, თითქოს კი არა, ნამდვილად ძალიან კარგად მახსოვს, რომ ნიშადური არ ჩავიდვია.
- ოჰ, კიტი, კიტი! თუ მოგვედი, ბევრს ინანებ, მაგრამ გვიანდა იქნება. ოჰ, ოჰ!
- ხომ გეუბნები, შენი ბარგი ძირს რომ ჩაიტანეს, ნიშადური იმის მერე დაეინახე შენს მაგიდაზე. მახსოვს, ისიც კი გავიფიქრე, არ დამავიწყდეს, ფანის ჩავუტანო-მეთქი, მაგრამ მსახურს ფული რომ მივეცი, იმან შემაყოვნა და ხომ იცი....
- მე... თვითონ... ჩავდე... ჯაგრისებთან ერთად... კიტი, საძაგელო!
- აჰ, ფანი!
- ოჰ!.. ოჰ!.. ოჰ!..

* * *

მამა როტშილდისათვის ზღვით ყველა მგზავრობა ერთმანეთს ჰგავდა. ამ დროს იგი ფიქრობდა წმინდანთა წამებაზე. აღამიანთა ბუნების დაუდგრომლობაზე. ოთხ უცილობელ თავგადასახადზე² და შიგა და შიგ ცოდვათა მოსანანიებელი ფსალმუნებიდან ნაწყვეტებს კითხულობდა.

* * *

მისი უდიდებულესობის ოპოზიციის ლიდერი სანეტარო ძილბურანში ჩაძირულიყო და აღმოსავლური ხილვების ჰერეტიკით ტკბებოდა: ფერადი ქალღმერთისაგან ნაგები სახლები, ოქროსფერი დრაკონები, აყვავებული ნუშის რტოები, ოქროსფერი სხეული და თვინიერი და მოალერსე ნუშისებრი თვალელები; ნუშის ყვავილებში ჩაფლული პაწაწინა ოქროს ტერფები, ოქროსფერი ჩაით სავსე, მოხატული ციციქნა ფინჯნები; მოხატული ქალღმერთის შირ-

² სიკვდილი, საშინელი სამსჯავრო, ჯოჯოხეთი, სამოთხე.

მის უკან ვილაცა ოქროს ხმით მღერის, ოქროს პატარა მოაღერსე ხელები და ნუშის ფორმის, კუნაპეტი ღამისფერი თვალები...

მისტერ კეიფის არაქათგამოცლილმა მეთვალყურებმა, აქამდე მისი კაიუტის კარებთან რომ მორიგეობდნენ, პოსტი მიატოვეს.

— თუ მაგას ამისთანა ღელვის დროსაც კიდევ რამის თავი აქვს, ღმერთმა შეარგოს! — თქვეს მათ.

გემს ყველა სახსარი უჭრიალებდა, ყველა კარი ბრახუნობდა, ჩემოდნები ძირს მოცვიოდა, ქარი ღმუოდა. ხრახნი გაგიყებით ტრიალებდა ხან წყალში და ხანაც წყალს ზემოთ. ქუდების შესანახი მუყაოს ყუთები მწიფე ვაშლებივით ცვიოდნენ ძირს. ქარის ღმუილსა და კარებების ბრახაბრუხს მეორე კლასის სალონიდან მისის შიმპანის ანგელოზთა სასოწარკვეთილი სიმღერა ერთვოდა. ამ ჯოჯოხეთში სიმღერა არ გამოდიოდა, მაგრამ ისინი მაინც მღეროდნენ. მღეროდნენ თითქმის ცნობამიხდილები, სასოწარკვეთილები, ისე მღეროდნენ, თითქოს სადაცაა გულები დაუსკდებათ და ჭკუიდან გადავლენო. ანგელოსები მღეროდნენ მისის შიმპანის ცნობილ ჰიმნს — „ღვთის კრავს ბუზანკალები არ ესევა“..

* * *

კაპიტანი და მისი პირველი თანაშემწე ბოგურაზე ისხდნენ და გატაცებით ხსნიდნენ კროსვორდს.

— თუ ქარი ამოვარდა, ამინდი ალბათ გაფუჭდება. ამაღამ ზღვა, ეგებ, კიდევაც აღელდეს, — თქვა კაპიტანმა.

— მაშ, როგორ გინდა, სულ ასეთი სიმშვიდე ხომ არ იქნება, — უპასუხა პირველმა თანაშემწემ. — ...მტაცებელი ძუძუმწოვარა ცხოველი, თვრამეტი ასოსაგან. კისერი წამაჭერი, თუ აზრზე ვიყო... საიდან მოიგონებენ ხოლმე ეგეთ რაღაცეებს.

* * *

ადამ ფენვიკ-საიმში „გამოცდილ ზღვაოსნებთან“ იჯდა, მესამე ჭიქა ვისკის სვამდა და ფიქრობდა, ნეტავ რამდენ ხანს გავუძლებო. თავში უკვე საოცარ სიმძიმეს გრძნობდა. მეტი თუ არა ოცდათხუთმეტი წუთი მაინც დასჭირდებოდათ, რადგან პირქარი გემს სიჩქარეს უკარგავდა.

ადამის წინ ქვეყანამოვლილი ჟურნალისტი იჯდა და უხამს ანეგდოტებს ყვებოდა. ადამი დრო და დრო მეტ-ნაკლებად შესაფერის სიტყვებს ჩაურთავდა ხოლმე, მაგალითად: „კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა“, ან „ამის დამახსოვრება ღირს!“, ან უბრალოდ „ჰა, ჰა, ჰა, —“, მაგრამ მის გონებას არაფრის აღქმა არ შეეძლო.

უცებ გემმა ზემოთ აიწია, მაღლა, კიდევ, კიდევ უფრო მაღლა, წამით უძრავად გაჩერდა და მერე რაღაცნაირად, გვერდულად ჩაემხო წყალში. ადამმა ჭიქას ხელი სტაცა, გაუპარჩინა. მერე თვალები დახუჭა.

— ეხლა ისეთს გეტყვი, ყველასთან მოსაყოლად რომ გამოდგეს, — თქვა ჟურნალისტმა.

მათ უკან ოთხი კომივოიაჟერი დიდი გატაცებით თამაშობდა კარტს. თანედან მხიარულად დაიწყეს. პირველად, როცა კარტები და საფერფლე იატაკზე აღმოჩნდებოდა ხოლმე, ხალისიანად ყვიროდნენ: „აუჰ, რას გვაქანავენ!“ ან „გამაგრდით, გამაგრდითო!“ მაგრამ ბოლო ათი წუთის მანძილზე საეჭვოდ მიყუჩდნენ. ავბედითი, უსიამო იყო ეს სიწყნარე.

—... ტუზში ორმოცი და ორას ორმოცდაათივე რობერისათვის. კიდევ დავარიგო, თუ გვეყოფა?

— პატარა სული ხომ არ მოგვეთქვა? ეს მაგიდა ისე დათამაშობს, დამალა კიდევ.

— რა იყო, არტურ? ნუთუ ცუდადა ხარ?

— ცუდად კი არა, ის არ გინდა! დავილაღე-მეთქი!

— ვინ იფიქრებდა, ჩვენი არტური თუ ცუდად გახდებოდა.

— გეუბნები, ცუდად არა ვარ-მეთქი. ცოტა დავილაღე. თქვენ თუ ძალიან გინდათ, მე თამაშს არ ჩაგიშლით.

— ყოჩაღ, არტურ! მაგარი ხარ! არაფერიც არ უჭირს! კარტებს მიხედვით, ბილ, ზევით წავედით!

— ერთი ხელიც, მეგობრებო! დავარიგო?

— მოიტა!

— ქვევით წავედით! გზა მშვიდობისა, არტურ! კარგად იყავი! აი, ეს მესმის!

— ვინ არიგებს? ბოლოს თქვენ არ დაარიგეთ, მისტერ ჰენდერსონ?

— ჰო, ახლა არტურის რიგია!

— შენ არიგებ, არტურ? გამხიარულდი, ბუხარო!

— რა შვრები, სად გაგონილა ეგეთი ბრაგუნის ბეჭებში!

— კარტები, კარტები არ აგებნეს, არტურ!

— მაშ, რა გგონია, მუშტებს რომ მიხატქუნებ! დავილაღე-მეთქი!

— ერთი უყურეთ, თხუთმეტი კარტი მომცა!

— ეს ანეგლოტი თუ გაგიგონიათ? — იკითხა ჟურნალისტმა და პასუხისათვის არ დაუცდია, ისე მოაყოლა: — ერთ აბერდინელ კაცს თევზაობა უყვარდა და ცოლს რომ თხოულობდა, ისეთი ქალი ამოარჩია, ვისაც ჭიები ჰყავდა. მაგარია, არა? კაცი თევზაობაზე გიჟდებოდა და ცოლს კიდევ ჭიები ჰყავდა, ხომ მიხვდით? კაცი აბერდინელი იყო! მაგარი ანეგლოტია, მე და ჩემმა ღმერთმა!

— იცით რა, მე ცოტა ხნით გემბანზე ავალ. აქ ცოტა არ იყოს ჰაერი ჩაიხუთა.

— არ გამოვა! ტალღები წამდაუწუმ ასკდება გემბანს. რა მოგივიდათ? გული ხომ არ გერევათ?

— აბა, საიდან მოიტანეთ? ვიფიქრე, ცოტა სუფთა ჰაერი... ეს ოხერი ერთ ადგილას ვერ გაჩერდება?

— გამაგრდით, მეგობარო! მე თქვენს ადგილას აქეთ-იქით სიარულს თავს დაგანებებდი. ერთ ადგილას გაჩერდით! ცოტა ვისკი მოგიხდებათ.

— გული კი არ მერევა, ცოტა ჰაერია ჩახუთული.

— ყველაფერი კარგად იქნება, ბიძიკო! უფროსებს უნდა დაუჯერო! ბრიჯის თამაში აშკარად ვერ აეწყო.

— ეი! მისტერ ჰენდერსონ! ეს ყვავი აქ საიდან გაჩნდა?



- როგორ თუ საიდან? ვერა ხედავ, ტუზია!
 - მშვენივრად ვხედავ რომ ტუზია და მეც იმას ვამბობ, რატომ აიღეთ კოზირით, თუკი ყვავი ხელში გქონდათ?
 - კოზირით რა, აკრძალულია? კოზირს არ ჩამოვსვამ
 - არაფერიც, არტური ყვავს ჩამოვიდა.
 - არა, კოზირს ჩამოვიდა. ასე არ იყო, არტურ?
 - არტური ყვავს ჩამოვიდა.
 - არტური ყვავს ვერ ჩამოვიდოდა, ყვავი რომ ჰყოლოდა. ჩემს მეფეს გულით რატომ გაჭრიდა? მე მგონი, მას ქალი ჰყავდა. არტურს ყვავის კარტი არა აქვს.
 - ვინ მოგახსენათ? მე ყვავის ქალი ჰყავს.
 - არტურ, ძამია, შენ, გეტყობა, მართლაც ვერა ხარ კარგად.
 - მშვენივრად ვარ. ცოტა დავიდალე. შენთვისაც რომ ამდენი ეტყაპუნებინათ ბეჭებზე ხელი, ვერც შენ იქნებოდი კაზ გუნებაზე. ერთი სიტყვით, ეს თამაში ყელში ამომივიდა. აი, კარტები ისევ გადაცვივდა!
 - კარტების აკრეფისათვის თავი არავის შეუწყუხებია.
 - რა უცნაურია! თითქოს თვალთ მიბნელდება. ნეტავი რა შევქამე ისეთი? ეს საზღვარგარეთული საჭმელები გამაგიჟებს, კაცმა არ იცის შიგ რას არ ურევინ.
 - ვერც მე ვარ მაინცდამაინც კარგად. ამ მარშრუტის გემებზე საერთოდ არ უვარგათ ვენტილაცია.
 - სწორი ბრძანებაა. ვენტილაციის ბრალია, მართალი ბრძანეთ!
 - გასაოცარია პირდაპირ! ზღვა საერთოდ არ მწყენს, მაგრამ ზოგჯერ გემით მგზავრობა ჩემზე ცუდად მოქმედებს.
 - მეც ზუსტად მასე ვარ.
 - ვენტილაცია... საზიზღარი აქვთ...
 - ღმერთო, დროზე მაინც გამოჩნდებოდეს დოჟერი... მშობლიური ნაპირი. რა სჯობია სამშობლოს, არა?
- ადამი სპილენძის ფირფიტით შემოსალტული მაგიდის კიდეს მთელი ძალით ჩააფრინდა და თავი ცოტა უკეთ აგრძნო. არავითარ შემთხვევაში არ უნდა აერიოს გული, ამ თვალებად ქცეული ჟურნალისტის თვალწინ მაინც. სადაცაა, ალბათ, ხმელეთიც გამოჩნდება.

* * *

სწორედ იმ დროს, როდესაც მდგომარეობა სავალალო შეიქნა, მისის შიმპანი მეორედ ეწვია სალონს. იგი გაღებულ კარში ერთი წამით შეუყოვნდა, მოძრავ კარსა და დირეს შორის ფეხი მოინაცვლა და როცა გემი მცირე ხნით გასწორდა, ტვიდის პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ქალი ფართო ნაბიჯებით წავიდა ბარისაკენ.

— ორმაგი რომი! — უთხრა მისის შიმპანმა ბარმენს და სალონში მყოფ საცოდავად მოკუნტულ მამაკაცებს მომხიბლავად გაუღიმა.

— რა მოგივიდათ, ბიჭებო! რა ცხვირპირი ჩამოგტირით! რა მოხდა? რა-მე სულიერი შეჭირვება გაქვთ, თუ გემს არ სურს ფეხზე დგომა? დელვა დელვაა, მაგრამ თქვენ ერთი ეს მითხარით, ნახევარი საათის ზღვის ავადმ-

ყოფობამ თუ ამ დღეში ჩავაგდოთ (ზღვის ავადმყოფობამ კი არა, ცუ-
დმა ვენტილაციამ — მექანიკურად შეესიტყვა მისტერ ჰენდერსონი) და-
გმართებათ, როცა ამ შორეულ მოგზაურობას შეუდგებით, რომელიც ყვე-
ლას მოგველის? დაფიქრდით, რამე ცოდვა ხომ არ მიგიძღვეთ, ღვთის წი-
ნაზე? ხართ თუ არა მზად სიკვდილისათვის?

— მეტი მზადყოფნა რაღა იქნება, ეს ნახევარი საათია მარტო სიკვდი-
ლზე არ ვფიქრობ? — თქვა არტურმა.

— მაშ, ასე ბიჭებო! ახლავე მოგახსენებთ, რის გაკეთებასაც ვაპირებთ
ჩვენ ყველანი. ჩვენ ახლა ყველა ერთად ვიმღერებთ — თქვენ და მე —
ერთად! (ღმერთო მალალო! — ჩაილაპარაკა ადამმა). თქვენ ამაზე ეგებ ჯერ
არაფერი იცით, მაგრამ ნამდვილად იმღერებთ. ჩვენს დროში იმედზე ცოტას
ლაპარაკობენ. ბევრს ლაპარაკობენ რწმენაზე, გულმოწყალებაზეც რამდენიც
გინდათ იმდენს ლაპარაკობენ, იმედი კი სულ მიივიწყეს. დღესდღეობით ქვე-
ყნიერებას ერთადერთი უბედურება ემუქრება — ეს არის სასოწარკვეთა.
ინგლისს ძირისძირობამდე ვიცნობ და გულახდილად უნდა გითხრათ, რომ
მე სათქვენო საქონელი მაქვს. თქვენ იმედი გჭირდებათ, ჩემ საქონელს კი-
დეც იმედი ჰქვია. აბა, ოფიციალტო! ერთი ეს ფურცლები ყველას ჩამოური-
გე! სიმღერის ტექსტი მეორე გვერდზე სწერია. ყველამ ერთად... და-ვიწ-
ყოთ! ოფიციალტო! ხუთ შილინგს მიიღებ, თუ ჩემი ხმის დაფარვას შეძ-
ლებ... მშვენიერია!... ყველამ ერთად, ბიჭებო!

მისია შიმპანი ომახიანად, ძალიან ხმამაღლა და მკაფიოდ მღეროდა. სი-
მღერის რიტმს აყოლილი მისი ხელები ხან მალლა იწევდნენ, ხან დაბლა
ეშვებოდნენ, ხანაც ჰაერში თრთოდნენ და ცახცახებდნენ. მისის შიმპანმა ოფი-
ციანტი უმაღ აიყოლია, ოფიციალტი ხშირად სიტყვებს სწორად ვერ კით-
ხულობდა, მაგრამ დაბალ რეგისტრებში მისი ხმა ისე ძლიერად ჟღერდა, რომ
შეჯიბრების ხალისს დაუკარგავდა კაცს. ოფიციალტს მალე ჟურნალისტი შეუ-
ერთდა, არტური პირმოკუმული დილინებდა. ცოტა ხანში ყველა მღეროდა.
მღეროდნენ დამთხვეულებივით და უნდა ითქვას, რომ მალე ყველამ აშკა-
რად უკეთ იგრძნო თავი.

* * *

მამა როტშილდმა სიმღერის ხმა რომ გაიგონა, კედლისაკენ გადაბრუნ-
და.

* * *

კიტი ბლექუოტერმაც გაიგონა სიმღერა.

— ფანი!

— რა იყო?

— ფანი, გესმის, ჩემო კარგო? მღერიან!

— დიახ, მესმის საყვარელო, გმადლობ!

— ფანი, საყვარელო, პარაკლისს ხომ არ იხდიან? მგონი რაღაც საგალობ-

ლებს მღეროდა. როგორ გგონია, რამე საფრთხე ხომ არ მოგელოის? ფანი, ხომ არ ვიძირებით?



— ვიძირებით და გზაც იქით გვქონია!

— აბა, რას ამბობ, საყვარელო!... რამეს რომ დაგვანებოდა, ჩვენც ხომ შევატყობდით? ფანი, საყვარელო, თუ გინდა მოგიძებნი ნიშანდურს.

— ვერ იპოვი, გენაცვალე! შენ ხომ დაინახე რომ მაგიდაზე დამრჩა?

— იქნება შემეშალა?

— შენ თქვი, დავინახეო!

* * *

სიმღერა კაპიტანმაც გაიგონა.

— რამდენი ხანია ვცურავ და რა არ შინახავს, — თქვა მან, — მაგრამ ამ მისიონერებს ვერ იქნა და ვერ შევეჩვიე.

— ექვსი ასოსაგან შემდგარი სიტყვა... პირველი ასოებია „ზბ“, გამოთქმება ასტრონომიული გამოთვლებისათვის, — თქვა პირველმა თანაშემწემ.

— არ შეიძლება „ზ“-თი იწყებოდეს, — ერთ ხანს იფიქრა და ისე თქვა კაპიტანმა.

* * *

სიმღერა გაიგონა „ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდების“ ჯგუფმაც.

— ზუსტად იმას მაგონებს, პირველად რომ დაღევ და გული რომ გეჩხუბება და ამ დროს სხეები რომ მღეროდა, — თქვა მისი რანსიბლმა.

* * *

მისი ჰუმანაც გაიგონა.

— მორჩა, თეოსოფიას თავს ვანებებ, — გაიფიქრა მან, — ამერიიდან კათოლიციზმს მეტი ყურადღება უნდა დავუთმოდ.

* * *

კიროზე, მეორე კლასის სალონში, სადაც რყევა ყველაზე მეტად იგრძობოდა, სიმღერის ხმა შემოესმათ ანგელოზებსაც. თვითონ მათ ცოტა ხნის წინ შეწყვიტეს სიმღერა.

— თავისას არ იშლის! — თქვა ლეთიურმა გულისწყრომამ.

* * *

მხოლოდ მისტერ კეიფი იწვა უზრუნველ-უშფოთველი. მისი ცნობიერება ნაზი, თვინიერი ბგერების მორევში ჩაძირულიყო; ქალაქის შირმის უკ-

ნიდან ეუნაპეტი ღამისფერი, ნუშისებრი თვალეზი ალერსიანად უთვალთვა-
ლებდნენ. პაწაწკინტელა, ოქროსფერი, მკვრივი და მოქნილი სხეულები, სა-
ოცარი პოზებით აკვირებდნენ.

უკეთუროთა
მოღვათა

* * *

პირველი კლასის სალონში ისევ მღეროდნენ, როდესაც გემი, თითქმის
დაუგვიანებლივ მიადგა დოუფრის ნავსადგურს. მისის შიმპანმა თავისი ჩვე-
ულებიანამებრ ქუდი ჩამოატარა და თითქმის ორი გირვანქა სტერლინგი მოაგ-
როვა, თუ არ ჩავთვლით მის საკუთარ ხუთ შილინგს, რომელიც ოფიციალ-
ტან შეჭიბრში კი წააგო. მაგრამ მან შესაწირავის სახით ისევ უკან დაუბ-
რუნა.

— ფული თუ არ გადაახდევინე, ასე ფიქრობენ, ვერ ვცხონდებითო, —
უყვარდა ხოლმე თქმა მისის შიმპანს.

თ ა მ ი II

- რაიმე განსაკუთრებული ხომ არ გინდათ გადაიტანოთ?
- ფრთები.
- ნახმარია?
- რასაკვირველია!
- ყველაფერი რიგზე ყოფილა, გაიარეთ!
- ღვთიურ გულისწყრომას ყველაფერში ბედი აქვს, ყველა მაგას ული-
მის, — შესჩივლა სიმტკიცემ კეთილგონიერებას, — მე და ჩემმა ღმერთ-
მა, კარგი რამეა ხმელეთზე ფეხის დადგმა!

მისავათებული, მაგრამ კვლავ იმედით აღვსილი მგზავრები გემიდან ჩა-
მოვიდნენ.

მამა როტშილდმა საბაჟოს თანამშრომლებს თვალწინ თავისი დიპლო-
მატიური *laisser passer*-ის³ აუფრიალა და მის დასახვედრად გამოგზა-
ვნილ დიდ, შავ ავტომობილში გაუჩინარდა. დანარჩენი მგზავრები ჩე-
მოდნებით ხელში ბარიერთან ირეოდნენ, ცდილობდნენ როგორმე საბაჟოს
მოხელეთა ყურადღება მიეპყროთ და თან ერთ ფინჯან ჩაიზე ოცნებობდნენ.

— ნახევარი დუჟინი მოვაყუჩე, უმაღლესი მარკისა, — გულახდილობდა
ჟურნალისტი, — ასეთ ამინდში მოხელეები დიდ სიმკაცრეს არ იჩენენ.

მართლაც, ჟურნალისტი თავის ბარგიანად სულ მალე პირველი კლასის
ვაგონში იჯდა. (რა ენალვლებოდა, გზის ფულს მაინც გაზეთის რედაქცია
უნაზღაურებდა).

- კარგა ხანი გავიდა, სანამ ადამის რიგი მოაწევდა.
- ნახმარი ტანსაცმლისა და წიგნების მეტი არაფერი მაქვს.
- ამის თქმა დიდი წინდაუხედაობა იყო. საბაჟოს მოხელის გულგრილო-
ბა შარშანდელი თოვლივით გაქრა.

³ *laisser passer* (ფრ.) — დიპლომატიური პასპორტი.

— წიგნებია? — თქვა მან, — ნება მიბოძეთ გკითხოთ, რა წიგნებია.
— თვითონ ნახეთ.

— მაღლობა მომიხსენებია! დიანაც რომ ვნახავ! ჰმ, წიგნები/ ერთი ამას
დამიხედეთ?

ადამმა თასმები ზანტად მოუშვა და ჩემოდანს ~~შეიღებინა~~

— ასე, ასე? წიგნები მართლაც გქონიათ! — ისეთი კილოთი თქვა სა-
ბაჟოს მოხელემ, თითქოს ყველაზე საშინელი ვარაუდი გამართლებოდეს.

მან წიგნები ჩემოდნიდან სათითაოდ ამოიღო და მაგიდაზე დაახვავა, და-
ნტეს მომცრო ტომმა მისი განსაკუთრებული სიძულვილი გამოიწვია.

— ფრანგულია, არა? მაგდენს კი ვხვდები. არ გამიკვირდება, ბინძური
ამბებით რომ იყოს სავსე. მოცდა მოგიწევთ, სანამ ამ თქვენს წიგნებს (რა
სახით თქვა „წიგნებს“) ჩემს სიას შევაღარებ, იმ წიგნების სიას, რომლებიც
განსაკუთრებით არ მოსწონს ჩვენს შინაგან საქმეთა მინისტრს. თუ ჩვენს
ქვეყანაში არ შეგვიძლია ავკრძალოთ, გარედან მაინც ნუ შემოვუშვებთო,
სწორედ ასე თქვა მინისტრმა ამასწინათ პარლამენტში და ძალიან კარგადაც
თქვა. მოიცა, მოიცა! ეს რა ხელნაწერია?

დიდი სიფრთხილით, თითქოს ეშინია ხელში არ ამიფეთქდესო, მოხელემ
ჩემოდნიდან ამოიღო და წინ დაიდო მანქანაზე გადაბეჭდილი ფურცლების
საკმაოდ დიდი შეკვრა.

— ესეც წიგნია. ოღონდ ჩემი დაწერილი. დიდი ხანი არ არის, რაც და-
ვამთავრე. მემუარებია.

— ოჰო! აი თურმე რა ყოფილა! ამასაც შეფს მივუტან, უმჯობესია თქვენც
წამოხვიდეთ.

მატარებელს რომ მინდა მივუსწრო?

— მობრძანდით! მობრძანდით! მატარებელზე დაგვიანების მეტი ნურა-
ფერი გაგიჭირდებათ და... — ავბედითად გადაუკრა მოხელემ ადამს სიტ-
ყვა.

ორივენი საბაჟოს შენობაში შევიდნენ. ოთახის კედლებზე მგზავრებისა-
თვის ჩამორთმეული პორნოგრაფიული სურათები და რაღაც უცნაური ია-
რადები ეკიდა, რომელთა დანიშნულება ადამმა ვერაფრით ვერ გაარკვია. მე-
ორე ოთახიდან მისს რანსიბლის წივილ-კივილი ისმოდა. იგი კონტრაბანდუ-
ლი ქვირფაქეულობის ცნობილი გადამყიდველი ეგონათ. ორი მძვინვარე მოხე-
ლე ქალი ტანსაცმელს ხდიდა.

— აბა, რა მოხდა? რა წიგნებია? — იკითხა შეფმა.

დაბეჭდილი სიის დახმარებით, რომელიც იწყებოდა არისტოტელის
თხზულებათა ილუსტრირებული გამოცემით, საბაჟოს მოხელეები გულმოდ-
გინედ შეუღვნენ ადამის წიგნების გადარჩევას. სათაურებს ასო-ასო ადარე-
ბდნენ.

გვერდითი ოთახიდან მისს რანსიბლი გამოვიდა. თან გაცხარებული ის-
ვამდა პუდრსა და პომადას.

— ადამ, საყვარელო, შენც გემზე იყავი? არ დამინახებარ, — თქვა მისს
რანსიბლმა. — ვერ აგიწერ, რა დღეში ჩამაგდეს იქ, იმ ოთახში! რომ იცო-
დე, გენაცვალე, როგორ გამჩხრიკეს! ვაი, სირცხვილო! თავი ქირურგთან მე-
გონა, რაღაცით პერცოვების ქვრივებს გეანან, მათსავით არიან ვაბოროტებუ-
ლები. გენაცვალე! როგორც კი ლონდონში ჩავალ, მაშინვე ყველა მინისტრს

დავურევავ და გაზეთების რედაქციებს ისეთ სამარცხვინო დეტალებს შევატყობინებ, რომ...

ამასობაში საბაჟოს უფროსი ადამის ხელნაწერს ჩაპკირკიტებდა, დრო და დრო ხან ნიშნისმოგებით, ხანაც გამჭირდავად ჩაიცივნებდა, ხოლო ამით გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას წაკითხულისადმი. საერთოდ კი გულწრფელად მოხიბლული ჩანდა.

— ერთი ეს წაიკითხე, ბერტ! მაგარი რაღაცაა, არა?

ბოლოს, როგორც იქნა, საბაჟოს უფროსმა ფურცლები ერთად მოაგროვა, შეკრა და გვერდზე გადადო.

— მაშ, ასე! — თქვა მან. — რაც არის, არის! ლექსიკონი და წიგნები არქიტექტურაზე შეგიძლიათ წაიღოთ. აღარ ჩაგაცივდებით და ისტორიას რაც ეხება იმ წიგნებსაც გაგატანთ, მაგრამ, აი, ეს, — ეკონომიკას რომ ეხება, უნდა დატოვოთ — „დივერსიულ პროპაგანდად“ ითვლება. არც ეს „Purgatorio“⁴ მომდის თვალში, გარკვევა უნდა. რაც შეეხება ამ ავტობიოგრაფიას, დიდი ბინძური რამეა, ამიტომ აქვე, ამ წუთშივე უნდა დაიწვას.

— ღმერთო ჩემო! მანდ ერთი გადაკრული სიტყვაც კი არაა ნათქვამი... თქვენ, ალბათ, სხვანაირად გაიგეთ.

— აბა, აბა! ზედმეტები არ იყოს! პორნოგრაფიას ველარ ვარჩევ, თუ? რომ ვერ ვარჩევდე, აქ კი არ დამაყენებდნენ.

— იმაა თუ ხვდებით, რომ ჩემი მომავალი მთლიანად ამ წიგნზეა დამოკიდებული?

— ჩემი მომავალი კი იმაზეა დამოკიდებული, დავაკავებ თუ არა მსგავს რამერუმებს. ამიტომ, აქედან დროზე აიბარგეთ, თორემ პოლიციასთან გექნებათ საქმე.

— ადამ, ნუ ეკამათები, საყვარელო! მატარებელზე გვაგვიანდება.

მისს რანსიბლმა ადამს ხელკავი გაუკეთა და სადგურისაკენ წაიყვანა. გზაში იგი დაწვრილებით მოუყვა ადამს ერთი სასიამოვნო წვეულების შესახებ, რომელზედაც იმ საღამოს უნდა წასულიყო.

* * *

— რაო?! ვის ეხვეოდა თავბრუ, მე?!
 — დიახ, შენ, არტური
 — არაფერიც! დაღლილი ვიყავი
 — ერთი ხანობა სალონში მართლაც გემოზე ჩამოცხა.
 — ძალიან არ გაგვამხნევა იმ მატრონამ! მომავალ კვირას „ალბერ პოლში“ გამოდის.
 — ნურავინ დამემდურება, თუ ვერ წავედი! თქვენ რას იტყვით, მისტერ ჰენდერსონ?
 — როგორც თვითონ თქვა, ანგელოზთა გუნდი გამოჰყავს; თეთრი კაბე-

⁴ „Purgatorio“ (იტ.) — „სალხინებელი“. დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ ნაწილი.

ბი ეცმებათ, ზურგზე ფრთები ეკეთებათ; მომხიბლავები იქნებიან! ისე, მომხიბლაობაზე თუ მიდგა საქმე, არც თვითონ დაიწუნება.

— რამდენი მიეცი, არტურ?

— ნახევარი კრონი.

— მეც! რა სასაცილოა! ასე უბრალოდ ჯერ არაგისათვის მიძიცი ამდენი ფული. მაგ დალოცვილმა ისე მოხერხებულად დაგვცინცლა, რომ პირდაპირ გაკვირვებასა ვარ.

— ეგ ქალი, ალბათ, „ალბერტ პოლშიც“ გაიძულვებთ ჯიბეზე ხელი გაიკრათ.

— ალბათ! ისე კი, ურიგო არ იქნებოდა იმ გამოპრანჭული ანგელოზების ნახვა. თქვენ რას იტყვიან, მისტერ ჰენდერსონ?

* * *

— შეხედე, ფანი! ეს ხომ აგათა რანსიბლია, საცოდავი ვიოლა კაზმის ქალიშვილი.

— ძალიან მიკვირს, ვიოლა ამდენის უფლებას რომ აძლევს. ჩემი ქალიშვილი რომ იყოს...

— შენი ქალიშვილი ფანი?

— რა მოურიდებელი ხარ, კიტტი!

— რა მოგივიდა, საყვარელო... მე მხოლოდ მინდოდა მეკითხა, რა ისმის-მეთქი შენი ქალიშვილისაგან.

— მეტი უარესი რომ არ იქნება, კიტტი! ბუენოს-აირესიდან სადღაც წასულა. როგორც ჩანს, ლედი მეტროლენდთან საერთოდ გაწყვიტა ურთიერთობა. ეხლა, თურმე, რომელიღაცა მოხეტიალე დასს დაჰყვება.

— მაპატიე, საყვარელო, არ უნდა მეხსენებინა! მაგრამ აგათა რანსიბლს რომ დავინახავ ხოლმე, ძალაუნებურად ვფიქრობ, რომ... ეხლანდელმა გოგონებმა ძალიან ბევრი რამე იციან. ჩვენ კი, გახსოვს, ფანი, მხოლოდ საკუთარი მიხვედრილობის ანაბარა ვიყავით დარჩენილები. მერედა, რამდენი დრო მიჰქონდა ამას. აგათა რანსიბლის ოდენა გასაქანი რომ მქონოდა... ფანი, გვერდით რომ ახალგაზრდა მიჰყვება, ვინ არის?

— არ ვიცი! და საერთოდ რაღაც არა მგონია... თავშეკავებული ახალგაზრდა ჩანს.

— თვალები მშვენიერი აქვს და კოხტადაც დადის!

— მე მგონი, საქმე საქმეზე რომ მიდგეს... ჰო, იმას ვამბობდი... აგათა რანსიბლის ოდენა გასაქანი რომ მქონოდა...

— რას ეძებ, საყვარელო!

— ერთი შეხედე! რა სასწაულია! ჩემი ნიშადური ჯაგრისებთან არ ჩამიდგია?!

— ახ, ფანი! რა საძაგელი ვარ... რომ მცოდნოდა...

— არა უშავს, საყვარელო! როგორც ჩანს, შენ მაგიდაზე სხვა ფლაკონი დაინახე. იქნებ მოსამსახურემ დადო. ხომ იცი, ლოტის სასტუმროში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

- შაპატიე, ფანი!
- რა გაქვს საპატიებელი, საყვარელო! ბოლოს და ბოლოს, ან მაგი-
ლაზე ხომ ნამდვილად დაინახე ფლაკონი.
- შეხედე, მაილზი!
- ვინ მაილზი?
- შენი ვაჟი, საყვარელო! ჩემი დისშვილი!
- მაილზი! მართლაც ის არის! რომ იცოდე, რა საძაგელი ბიჭია, სულ
აღარ მნახულობს.
- რა სახე აქვს, შენ შემოგვევლე, ნამდვილი tapette⁵-ა.
- ვიცი, საყვარელო! ეგ ამბავი მეც ძალიან მაწუხებს, თუმცა ვცდი-
ლობ ამაზე არ ვიფიქრო. ნუ დაგავიწყდება, რა მამის შვილიც არის.
- მამის ცოდვებისათვის, ფანი...



* * *

უკვე მეიდსტოუნს უახლოვდებოდნენ, როცა მისტერ კეიფი საბოლოოდ გამოფხიზლდა. მისტერ კეიფის პირდაპირ, დივანზე მის მეთვალყურეებს ეძინათ. შავი შლაპები თვალეზე ჩამოფხატოდათ, პირი დაელოთ, უზარმაზარი, წითელი ხელები მუხლებზე უღონოდ ეწყოთ. ფანჯრის მინებს წვიმის წვეთები ასკვებოდა. თამბაქოს სუნით გაჟღენთილ ვაგონში ძალიან ციოდა. კუბეში რომელიღაცა, უმოწყალოდ დანგრეული, ლამაზი ისტორიული ძეგლის რეკლამები გაეკრათ. გარეთ, წვიმაში პატენტირებული წამლებისა და ძაღლის ნამცხვრის სარეკლამო სურათები გაივლებდა ხოლმე. „ძაღლის ნამცხვრის ფირმა „მოლასინი“ მოგესალმებათ“ — წაიკითხა მისტერ კეიფმა. მატარებლის ბორბლები მონოტონურად რაკუნობდნენ: ფრიად პატივ-ცემული ჩენტლ-მენი! ფრიად პატივ-ცემული ჩენტლ-მენი! ფრიად პატივ-ცემული ჩენტლ-მენი!...

* * *

ადამი მატარებელში „ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდების“ ჩგუფთან ერთად ჩაჯდა. ყველანი თავს ჯერ კიდევ ცუდად გრძნობდნენ, მაგრამ როგორც კი შეიტყვეს, თუ რა საზიზღრად მოექცნენ მისს ჩანსიბლს, უმალ გამოცოცხლდნენ.

— ერთი მაგათ დამიხედეთ! რა სამარცხვინო ამბავია, აგათა, საყვარელო! რა თავის მოსაჭრელი ამბავია! რა ველურობაა, რა გულის ამრეგია, რა უაღრესად, უაღრესად საშინელია! — თქვეს მათ და მაშინვე არჩი შვერტის წვეულებაზე გადაიტანეს საუბარი, რომელიც იმ საღამოს უნდა გამართულიყო.

— ვინ არის ეგ არჩი შვერტი? — იკითხა ადამმა.

— აა! არ იცით? თუმცა, ეგ თქვენი წასვლის შემდეგდროინდელი ამბავია. გადასარევი ვინმეა! მაილზმა აღმოაჩინა და მას შემდეგ სულ ზევით და

⁵ tapette (ფრ.) — მამათმავალი.

ზევით მიიწევს. მალე, ალბათ, აღარც გვიკადრებს. ისე კი, მართლაც, საყვარელი ვინმეა. მაგრამ რა საშინლად ვულგარულია, ეგ საცოდავო! სასტუმრო „რიცში“ ცხოვრობს. მე მგონი დიდებულია. არა?

— სალამოს იქ აწყობს?

ეროვნული
ბიზნისი

— არა, რას ამბობთ, საყვარელო! რა თქმა უნდა, არა! ედუარდ თრობინგის სახლში აწყობს. ედუარდ თრობინგი მაილზის ძმაა. ეს ედუარდ თრობინგი დიდი საიდუმლოებით მოცული ვინმეა. პოლიტიკოსობს, თანაც არავისთან არ მეგობრობს. ავად გახდა და კენიაში თუ სადღაც წავიდა. ჰოდა, მისი სახლი ჰერტფორდ-სტრიტზე — სწორედ რომ იდიოტური სახლი — ცარიელია. ჩვენც ავდექით და ყველანი იქ გადავსახლდით. ცუდი არ იქნება, თუ თქვენც გადმოხვალთ. თავდაპირველად ედუარდის მსახურებს ჩვენი იქ მისვლა არაფრად ეპიტნავათ, მაგრამ ცოტა ვაყლაპეთ, რაღაც-რაღაცები ვაჩუქეთ და ეხლა, გენაცვალე, ისე არიან მოხიბლულები, რომ გაზეთებიდან ჩვენი დროსტარების შეაახებ ცნობების ამოჭრის გარდა აღარაფერს აკეთებენ. ჩვენ მარტო ის გვაწუხებს, რომ მანქანა არა გვყავს. მაილზმა თავისი მანქანა, — ედუარდისა-მეთქი, მინდოდა მეთქვა, — მიამტვრია და რადგანაც ჩვენ რემონტის თავი არა გვაქვს, ჩემი აზრით, იქიდან მალე ავიბარგებთ. სახლშიც ყველაფერი მიიმტვრ-მოიმტვრა და გემრიელადაც ჩაბინძურდა, იმიტომ, რომ ედუარდს მოსამსახურეები გაშვებული ჰყავს. მარტო ერთი ლაქია და მისი ცოლიდა არიან დარჩენილები და ისინიც ახლა სულ გამობრუყულები დადიან. რა უზნეობაა, არა? მერი მაუსი პირდაპირ ანგელოზად მოგვევლინა! კალათით ხიზილალასა და ათასგვარ სასუსნავს გვიგზავნიდა... ამალამაც არჩი, რა თქმა უნდა, მის ხარჯზე აწყობს წვეულებას...

— იცით რა, მგონი ისევ მერევა გული!

— ოჰ, მაილზ!

(ოჰ, ჩვენო ბრწყინვალე ახალგაზრდობავ!).

მეორე კლასის ვაგონში ერთად შეყრილი ანგელოზები კარგა ხანს ვერ მოვიდნენ გუნებაზე.

— მისის შიმპანზა ისევ კეთილგონიერება ჩაისვა მანქანაში. ვერ გამიგია, მაგისი რა მოსწონს, — თქვა ღვთიურმა გულისწყრომამ, რომელიც ერთხელ, ჭკუიდან შემშლელი ორი კვირის განმავლობაში მისის შიმპანზის რჩეული იყო. — როგორია ლონდონი, შეუპოვრობავ? მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი.

— ნამდვილი სამოთხეა. მაღაზიები ყოველ ნაბიჯზეა და ბევრი სხვა რამეც.

— კაცები, კაცები როგორები არიან, შეუპოვრობავ?

— ერთი ეს გამაგებინე, უბიწოებავ, სულ კაცებზე უნდა ფიქრობდე?

— კაცებზე კი არა! ისე, უბრალოდ ვიკითხე!

— კაცებისა რა მოგახსენო, მაღაზიებთან შედარებით დიდი ვერაფერი შვილები არიან. მაგრამ მაგათგანაც შეიძლება გამოდნეს რამე.

— გაიგონეთ, რა თქვა? კაი ხარ, შეუპოვრობავ! არა, გაიგონეთ, რა თქვა შეუპოვრობამ: მაგათგანაც გამოდნება რამეო.



ქართული

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაღაზიებიდან?
 — არა, ჩერჩეტო! კაცებისაგან.
 — კაცებისგანო? აი, ეს მომწონს!
 ამასობაში ნატარებელი ვიქტორიის სადგურზე ჩამოდგა, მგზავრობის ვაგონებიდან ჩამოვიდნენ და ლონდონს მოედვნენ.

ადამმა ჩემოდანი „შეპარდ ოტელში“ დატოვა და პირდაპირ თავის გამომცემელთან წავიდა ჰენრიეტ-სტრიტზე. სამუშაო დღის დამთავრებას ბევრი არაფერი უკლდა. გამომცემლობის თანამშრომელთა უმრავლესობა წასული იყო, მაგრამ ბედად, მისტერ სემ ბენფლიტი, გამომცემლობის დირექტორის მოადგილე, რომელთანაც ადამს საქმე ჰქონდა, თავის კაბინეტში იჯდა და ერთ-ერთი მწერალი ქალის რომანის კორექტურას კითხულობდა. სემ ბენფლიტი, გამომცემლობის პასუხისმგებელი მუშაკი, ელეგანტური გარეგნობის, საკმაოდ მკაცრი ახალგაზრდა გახლდათ. (როცა სტენოგრაფისტ გოგონას მისთვის ჩაი შეჰქონდა, შიშისაგან ყოველთვის ოდნავ კანკალებდა).

— მორჩა, არაფერი გამოვა! დასწყევლოს ეშმაკმა, ამას როგორ დავუბეჭდავ! ყველას ციხეში ამოგვაყოფინებს თავს, — თქვა მისტერ ბენფლიტმა და ამწყობის პროტესტი თავისი ხელმოწერითაც დაადასტურა.

მისტერ ბენფლიტის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა უმაროლო ადგილების „შეკმაზვა“ და „გადამლაშებული“ ადგილების „მოზომიერება“, რათა ერთნიც და მეორენიც სათანადო, ყველასათვის მისაღები ზნეობრივი სტანდარტების დონემდე დაეყვანა.

მისტერ ბენფლიტი ადამს განსაკუთრებული გულითადობით მიესალმა.

— თქვენა ხართ, ადამ? მიხარია, რომ გხვდავთ! დაბრძანდით! სიგარეტს ინებებთ? ხედავთ რა ამინდით გხვდებათ ლონდონი? ზღვამ ხომ არ გაგაწვალათ?

— არც ისე ძალიან.

— მებრალებით, მებრალებით! საზიზღარ ამინდში ზღვით მგზავრობაზე საზიზღარი არაფერია! ამაღამ ერთად ხომ არ გვესადილა უიმპოლ სტრიტზე? ერთი-ორი სასიამოვნო ამერიკელი მყავს მოპატიყვებული. სად დაბინავდით?

— „შეპარდში“, ლოტი კრამპთან.

— ჰო, იქ არ მოგეწყინებათ! ათი წელია ლოტის ავტობიოგრაფიას ვეხვეწები და ვერაფრით ვერ დავტყუე. ჰო, მართლა, სიტყვამ მოიტანა და... თქვენი რომანი არ ჩამოგვიტანეთ? სწორედ ახლახანს გიკითხათ მისტერ რემპოლმა. ერთი კვირის წინ უნდა ჩაგებარებინათ. ვფიქრობ, მოგეწონებათ ანოტაციები, რომლებიც წინასწარ დავაგზავნეთ. წიგნი დეკემბრის მეორე კვირას უნდა გამოვიდეს, რომ ორი კვირით დაასწროს ჯონ ჰუპის ავტობიოგრაფიას, ხომ იცით, ჯონ ჰუპის ავტობიოგრაფიას დახლზე დიდხანს არ გააჩერებენ. ჯონი ზოგჯერ გააფრენს ხოლმე, ჰოდა, რაღაც-რაღაცები ამოუვუგდეთ:

ხომ იცით მისტერ რემპოლის ხასიათი. ჯონი ცოტა გაფხუვანდა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ერთი სული მაქვს, სანამ თქვენს ხელნაწერს წაგიკითხავ.

— იცით, სემ, რა საშინელი რაღაც დამემართა.

— არ თქვათ, ახლა, არ დამიმთავრებიაო, ხომ იტყვით ხელშეკრულების ვადა...

— დამთავრებით კი დავამთავრე, მაგრამ... დაწვეს...

— დაწვეს?!

— დაწვეს.

— რა საშინელებაა! დაზღვეული ხომ ხართ?

ადამი დაწვრილებით მოუყვა თავისი ხელნაწერის განადგურების ამბავს. სემ ბენფლიტი დიდხანს დუმდა, რაღაცას ფიქრობდა.

— ყველაზე მეტად ის მაფიქრებს, როგორ ვუთხრა ეს ამბავი მისტერ რემპოლს ისე, რომ დამაჯერებელი გამოვიდეს.

— მეტი დამაჯერებლობა რაღა ფინდათ?

— თქვენ არ იცნობთ მოხუც რემპოლს. ზოგჯერ ისე მიჭირს, ადამ, მასთან მუშაობა. ჩემი ნება რომ იყოს, გეტყოდით, ნუ ღელავთ, ადამ, თავიდან დაწერეთ-მეთქი, მაგრამ რემპოლს რა ვუყო? ხომ იცით, ხელშეკრულების ვადების დაცვას რა თავგამოდებით მოითხოვს. თქვენ ხომ შეგვპირდით, არა? რთულია, ძალიან რთულია! ნეტავი ეს არ მომხდარიყო!

— წარმოიდგინეთ, მეც მაგას ვნატრობ.

— სხვა დაბრკოლებაც არსებობს, თქვენ ავანსი უკვე აღებული გაქვთ. მგონი ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი, არა? კარგად მოგეხსენებათ, როგორ ართულებს ეს საქმეს. მისტერ რემპოლს არ უყვარს ახალბედა ავტორებისათვის ავანსად დიდი თანხის მიცემა. თქვენ ხომ გჯერათ, რომ მე ამაზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს, მაგრამ მეტი გზა არა მაქვს. ყველაზე კარგი იქნება, თუ ავანსს უკანვე დაგვიბრუნებთ, რა თქმა უნდა, პროცენტებით. მისტერ რემპოლი აუცილებლად ითხოვს პროცენტებს. ხელშეკრულება კი უნდა გავაუქმოთ. მომავალში, თუ თქვენ გადაწყვეტთ წიგნის აღდგენას, ჩვენ დიდი სიამოვნებით ისევ მივიღებთ განსახილველად. მე ვფიქრობ, რომ... ერთი სიტყვით, თქვენთვის ძნელი ხომ არ იქნება ფული ეხლავე რომ დაგვიბრუნოთ?

— არა თუ ძნელი, შეუძლებელიც გახლავთ, — თქვა ადამმა უნიათოდ. კიდევ ერთხელ ჩამოვარდა სიჩუმე.

— დალაზვროს ეშმაკმა, რა უბედურებაა! — თქვა სემ ბენფლიტმა, — რატომ უნდა იყვნენ საბაჟოს მოხელეები მთლად თავის ნებაზე მიშვებულები? დიდი რეგენები არიან. წარმოდგენა არა აქვთ პიროვნების თავისუფლებაზე და საერთოდაც, არაფერზე არა აქვთ წარმოდგენა. იცით, როგორ მოვიქცეთ? „ნიუ სტეიტსმენში“ ამის თაობაზე წერილი გავაგზავნოთ... მაინც რა საშინელებაა! მოიცა, მოიცა! იქნებ რამე გამოსავალი ვიპოვოთ! როგორ გგონიათ, გაზაფხულამდე, როცა სიებს ვადგენთ, ვერ მოასწრებთ წიგნის აღდგენას? პოდა, ასე! ხელშეკრულებას გავაუქმებთ და ავანსზე ხმასაც არ ამოვიღებთ. ნუ, ნუ მიხდით მადლობას, ჩემო კარგო! ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამას წესად გავიხდიდი. ძველის მაგივრად ახალ ხელშეკრულებას დავდებთ. ეს კია, წინანდელთან შედარებით მაინცა და მაინც ხელსაყრელი ვერ იქნება. მისტერ რემპოლს ძველ პირობებზე ვერაფრით ვერ დავიყო-

ლივით. ახლავე მოგახსენებთ: ჩვენ ახლა ისეთ ხელშეკრულებას დავიდებით, როგორსაც პირველ რომანზე ვუდებთ ნოლმე ავტორს. აქ სადღაც დაბეჭდილი ფორმა მქონდა, წუთში შევაფსებთ. მარტო ხელისმოწერა დაგჭირდებათ.

ეროვნული
ბიზნისი

— შეიძლება პირობებს გადავხედო?

— კი, რა თქმა უნდა, ჩემო კარგო! ერთი შეხედვით ძალიან არახელსაყრელი პირობებია, მაგრამ რას იზამ. წინა ხელშეკრულება რომ დავიდეთ, მაშინ გამონაკლისი დავუშვით. პირველი ორი ათასი ეგზემპლარისათვის არაფერს არ მიიღებთ, ორიათასს ზემოთ ორნახევარ პროცენტს, ხოლო ათი ათასი ეგზემპლარის გაყიდვის შემდეგ ხუთ პროცენტს. ეკრანიზების, ინსცენირების, ამერიკაში, კოლონიებში ან რომელიმე ყურნალში დაბეჭდვისა და თარგმანის უფლებებს, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიტოვებთ. და კიდევ: რასაკვირველია ვალდებული ხართ თქვენი მომდევნო თორმეტი წიგნიც ჩვენთან მოიტანოთ ამავე პირობებით. ყველაფერი ზედმიწევნით გარკვეულად არის ნათქვამი და არავითარი საფუძველი აღარ რჩება ავტორსა და გამომცემელს შორის უსიამოვნებისა და გაუგებრობისათვის. ავტორების დიდ უმრავლესობასთან ასეთი ხელშეკრულებები გვაქვს დადებული... ესეც ასე! მშვენიერია! მაშ, ავანსის დაბრუნებაზე ფიქრით თავი აღარ შეიწუხოთ. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. მისტერ რემპოლს მე მოვუვლი. უკიდურეს შემთხვევაში ჩემი ხელფასიდან გამომიქვითავს. მეტი ხომ არაფერი იქნება!

— მისტერ რემპოლს მე მოვუვლი! — კიდევ ერთხელ თქვა ფიქრიანად სემ ბენფლიტმა, როცა ადამი ოთახიდან გავიდა. კიდევ კარგი, არც ერთ ავტორს ერთხელაც არ მოუკრავს თვალი მისტერ რემპოლისათვის, ამ სათნო მოხუცისათვის, რომელიც კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა ლონდონში გამგეობის სხდომებზე და გამომცემლობის საქმეები მხოლოდ იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მის მიერ ფუტკრის მოშენების შესახებ ოცი წლის წინ დაწერილი და გამოცემული წიგნის ბედი იყო ამ საქმეებთან დაკავშირებული. უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი, მისტერ რემპოლის უნებართვოდ უკვე ამოვლოთ დასაბეჭდი წიგნების სიიდან. გასაჭირიდან თავდაღწეული მისტერ ბენფლიტი ხშირად ფიქრობდა ხოლმე, ვიღას რას გადავაბრალებ, როცა მისტერ რემპოლი აღარ მეყოლებაო.

* * *

ადამს ახლავა გაახსენდა, რომ დანიშნული იყო და საქორწილოდ ემზადებოდა. მის რჩეულს ნინა ბლაუნტს ეძახდნენ. მეტროს სადგურში ადამი ჩახუთულ და აქოთებულ ტელეფონის ჯიხურში შევიდა და ნინასთან დარეკა.

— ალო!

— ალო!

— მის ბლაუნტს სთხოვეთ, თუ შეიძლება!

— ახლავე გავიგებ, თუ არის შინ. ვინ კითხულობს? — იკითხა მის ბლაუნტის ხმამ. ნინა ბლაუნტის სნობურ თავმოყვარეობას რატომღაც ესალ-

ბუნებოდა ეს თვალთმაქცობა: უხაროდა, თუ ვინმეს ეგონებოდა, რომ თვითონ კი არ პააუხოზდა ტელეფონზე, არამედ მოსამსახურე.



ქართული

ბიბლიოთეკა

- მისტერ ფენვიკ-საიმზი!
- ოპ!
- ადამი ვარ, მიცანი?... როგორა ხარ? ნინა?
- რაღაც კარგად ვერა ვარ!
- საწყალი ნინა! მოვიდე და გნახო?
- ოპ, მაგას ნუ იზამ, საყვარელო! საღაც არის აბაზანაში უნდა შევიდე: რას იტყვი, ერთად რომ გვესადილა?
- სადილად აგათა რანსიბლი დავბატიყე.
- რატომ?
- დღეს ვილაცა მეზღვაურებმა გააშიშველეს.
- ჰო, ვიცი! საღამოს გაზეთებმა უკვე დაბეჭდეს. იცი, რას გეტყვი? მოდი, არჩი შვერტის წვეულებაზე შევხვდეთ ერთმანეთს. მოხვალ?
- ალბათ წამოვალ.
- ჰოდა, ძალიან კარგი. ნუ გამოიპრანჭები, არჩის გარდა ფრაკი არავის ეცმება.
- ჰო, ნინა, კინალამ დამავეიწყდა! რაღაც უნდა გითხრა: შენს შერთვას, მგონი. ვერ ვახერხებ.
- ოპ, ადამ! რა მოსაწყენი ვინმე ხარ. რატომ?
- ხელნაწერი დამიწვეს.
- მხეცები! ვინ დაგიწვა?
- ამ საღამოს მოგიყვები.
- კარგი, მომიყევა! ჭერჭერობით, საყვარელო!
- ნახვამდის, ჩემო სიცოცხლე!

ადამმა ყურმილი დაკიდა და ჭიხურიდან გამოვიდა. წვიმდა და არ დავსველდეთო, მეტროს სადგურში უამრავ ხალხს მოეყარა თავი; ქოლგებს ფერთხავდნენ, ზოგიც საღამოს გაზეთებს ათვალთვრებდა. ადამმა თვალი მოჰკრა მსხვილი შრიფტით აწყობილ სათაურებს:

- რა გაღახდა თავს კერის ძალიზვილს დოუზრში!
- არისტოკრატი ლამაზმანი სერიოზულ ბრალს სდებს!
- მისი კეთილშობ. აბათა რანსიბლი ამგობს: უნიკლიბა ადამიანი სირცხვილით დანიშვას!

— საცოდავი ბავშვი! ამაზე მეტი საძაგლობა იქნება? — გაგულისებით ამბობდა ვილაც ხანში შესული ქალი ადამის გვერდით. — თან იცი, რა კობტა გოგოა! მისი სურათი გუშინ ვნახე გაზეთში! საძაგელი, არამკითხე მოამბეები! ასეც მოუხდებათ! ხომ მიიღეს! საცოდავი მამამისი! უყურე, ჯეინ, მამამისზეც სწერია: „ამ საღამოს კარლტონ-კლაბში ლორდმა კაზმმა (მამამისია) თქვა, რომ უარს აცხადებს რაიმე განცხადების გაკეთებაზე, მაგრამ ამ საქმია ასე დატოვებაც არაფრით არ იქნება“. მე რომ მკითხონ, დიხაც სწორია! ამ გოგოს აურათს ისე ხშირად ეხედავ, ასე მგონია, ჩემი საკუთარი შვილია-მეტქი. ჩვენი სარა კიდევ სამშაბათობით მათი სახლის, უფრო სწორად, დეიდამისის სახლის უკანა სადარბაზოს კიბეებს გვიდა ხოლმე. აი, იმ ქალის სახლის კიბეებს, გასულ წელს დიდი აურზაურით რომ გამოირდა ქმარს.

ადამმა გაზეთი იყიდა. ათი შილინგის მეტი არ ჰქონდა. ამ თავსებაში ფეხით სიარული დაეზარა და დოუვრ-სტრიტამდე მეტროს გადაჭედელი ვაგონით იმგზავრა. იქ კი სწრაფად გადაკრა ქუჩა და სასტუმრო „შეპარდის“ შეიჭრა თავი (რომელსაც ჩვენი მოთხოვნიების საჭიროებათათვის ჰენრი უილიამსის მხატვრობაში მივეუჩინეთ ადგილი).

თ ა ვ ი III

დოუვრ-სტრიტზე მდებარე სასტუმრო „შეპარდის“ დიასახლისი ლოტი კრამპი, რომელსაც თავისი ორი სკოჩ-ტერიერი მუდამ თან დაყვება, ჩვენდა სასიხარულოდ ხშირად გვაფიქრებინებს, რომ მეფე ედუარდის ეპოქის ბრწყინვალეობა ემყარება არა მხოლოდ ლედი ანკორაჯსა და მისის ბლექუოტერს. ლოტი კრამპი ის ქალი გახლავთ, რომელსაც ვერავითარი ცხოვრებისეული განსაცდელი ვერ შეეცბუნებს. იგი შეგნებულად არიდებს თვალს ყველა იმ საზოგადოებრივ-სოციალურ ცვლილებას, რაიც მისი თანატოლ, უფრო ფხიზელ *grandes dames*⁶ ასე რიგად აღელვებთ. თნი რომ დაიწყოს, მან კედლიდან თავისი ხელით ჩამოხსნა კაიზერის ავტოგრაფიანი პორტრეტი და ერთგვარი ზარზემით დაკიდა მსახურების საპირფარეშოში. ამით ამოიწურა მისი საომარი მოქმედებანი. მას თავისი საზრუნავიც ჰყოფნის. ეს საშემოსავლო გადასახადიო, ეს „შშრალი კანონიო“, არც ყალბ ჩეკებს აკლებენ მისი ყოფილი ნაცნობების ვაფიშვილები, მაგრამ ლოტს გამყოლი გული არა აქვს, ცუდს მალე ივიწყება, ამიტომ ცხოვრებამოყირკებულ ყველა ადამიანს შეუძლია ლოტისთან „შეპარდში“ მივიდეს და ხარბად შეიწოვოს ედუარდის ეპოქის დროინდელი ფუძემყარ ცხოვრების დიდებული, აუმღვრეველი, სალბუნო ატმოსფეროს მაცოცხლებელი სურნელი. ამისათვის ერთადერთი რამ არის საჭირო: ლოტის ამ ადამიანის სახე უნდა მოეწონოს.

„შეპარდს“ სადა, კოხტად გამოკვეთილი აგურის ფასადი და უბრალო სადარბაზო შესასვლელი აქვს, შიდა მორთულობა კი მემამულის სახლისა. ლოტი შეძენის დიდი მოტრფიალეა და როცა მისი თაობის რომელიმე არისტოკრატიის სახლი ან ავეჯი იყიდება, მოსწონს გარდასულ დროთა სამახსოვროდ რალაც-რალაცების ყიდვა. ამიტომაც „შეპარდი“ ისეა გამოტენილი, თავი კუდს ვერ მოიქნევს. ზოგი რამ მართლაც იშვიათობას წარმოადგენს, ზოგიც წარმოუდგენლად ულაზათოა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალში გეცემათ წითელი პლუში და ტარსიკონი, იქაურობა სავსეა იმ ნივთებით, ოთხმოციან წლებში დიდ მოწონებაში რომ იყო, როგორც საქორწინო საჩუქრები — იმ მასიური, მონოგრამებითა და გერბებით შემკული ნივთებით, ჩვენს წარმოდგენაში რატომღაც სიგარებს რომ უკავშირდება. „შეპარდი“ ის ადგილია, სადაც ადვილად შეეგუები, თუ სააბაზანო ოთახში პოლოს ჯოხებსა და კროკეტის ზის ჩაქუჩებს წააწყდები, ხოლო კამოდის უჯრაში ბავშვის სათამაშოებს. არც ის გაგიკვირდება, თუ დერეფანში, ნესტიან აშშორებულ, მაუდგადაკრულ კარებს შორის ველოსიპედს ან ხელჯოხს აღმოაჩენ; აი, ისეთ ხელჯოხს, ადვილად რომ გადაკეთდება ხოლმე ხერხად. ალბათ არც ის გაუკვირდება ვინმეს, თუ იქვე ვისიმე ყოფილი

⁶ *grandes dames* (ფრ.) — არისტოკრატი ქალები.

შამულის გეგმას აღმოაჩინეს ანდა ჩალის ძველებურ, დაძენილ სამიზნეს, ისეთს, როგორსაც უწინ მშვილდოსნები ხმარობდნენ (ხუმრობა იქით იყოს და თქვენს ოთახში დიდი-დიდი შამპანურის ერთი-ორი ცარიელი ბოთლი ან ღვინო დაქუჩნილი ღამია პერანგი შეიძლება აღმოაჩინოთ).

ავეჯისა არ იყოს, თანამშრომლებადაც ძველ, არისტოკრატიულ ოჯახებში ნამსახური ხალხი ურჩევნია ლოტის, მეტროტელი დოჯი, რომელსაც იმჟამად ივალს აკლია, აღარც კარგად ესმის და ნიკრისის ქარებიც აწუხებს, ოდესღაც როტშილდებთან იყო უფროს ლაქიად, დოჯს იეზუიტი მამა როტშილდი თავის მუხლებზე ბევრჯერ უნანავებია, როცა იგი პატარაობისას მამამისს (იმ დროისათვის მამამისი მსოფლიოს მდიდარ ადამიანებს შორის მეტხუთმეტე იყო) კიდევ უფრო მდიდარი ბიძაშვილების სანახავად ჩამოჰყავდა ხოლმე; დოჯს სულ არ უნდა იცნობდეს კაცი, რომ იფიქროს, თითქოს დოჯი თვალთმაქცობდა და ბავშვის პატრონება თავს აჩვენებდა, აქაოდა მომავალი იეზუიტი ძალიან მომწონსო. მომავალი იეზუიტი თავიდანვე „ზომაზე მეტად განვითარებული“ ბავშვი იყო, გაგიჟებით უყვარდა უცნაური კითხვების დასმა და ყოველგვარი სიცრუისა თუ გაზვიადებული ამბების ამოცნობის იშვიათი ნიჭი ჰქონდა.

დოჯის გარდა „შეპარდში“ ძალიან ბევრი ხანში შესული ქალიც მუშაობს, რომლებიც დილიდან საღამომდე სუფთა პირსახოცებითა და თბილი წყლის თუნგით ხელში სასტუმროს დერეფნებში წინ და უკან მიდი-მოდიან. „შეპარდში“ ერთი ახალგაზრდა იტალიელი კაციც მუშაობს, რომელიც ყველაზე მეტ საჭმეს აკეთებს და ლოტისაგან ბევრ დამცირებასაც იტანს. ერთხელ ლოტიმ ახალგაზრდა კაცი ცხვირის პუდვრისას შეისწრო და მას შემდეგ აღარ უსვენებდა, შემთხვევას ხელიდან არ უშვებს, რომ არ წამოაყვედროს. ეს თითქმის ერთადერთი ეპიზოდია ლოტის უამრავი თავგადასავლიდან, რომელიც მან მთელ ქვეყანას მოადო.

ლოტის სასტუმრო ოთახი, რომელიც „შეპარდის“ მთავარ სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენს, დამშვენებულია ავტოგრაფიანი ფოტოების საკმაოდ მდიდარი კოლექციით. აქ იხილავთ ევროპის სამეფო ოჯახებია მამაკაცთა უმრავლესობას (გერმანიის ყოფილი იმპერატორის გარდა, რომელიც თავის ძველ ადგილას არა და არ დააბრუნეს, თუმცა ომის შემდეგ მისადმი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა უკეთესისაკენ მისი მეორე ქორწინების გამო). აქ ნახავთ ახალგაზრდა მამაკაცთა ფოტოებს — ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდები ბარიერებს ევლებიან თავს; ნახავთ შედარებით ასაკოვან მამაკაცთა ფოტოებსაც — ისინი „კლასიკურ“ დოლში მონაწილეობისას არიან გადაღებულნი; აქვეა ცალკე ცხენებისა და ცალკე ყმაწვილკაცების ფოტოები — ყმაწვილკაცებს კარგად მომდგარი თეთრი საყულოები უკეთიათ ან გვარდიელთა მუნდირები აცვიათ. აქვე ჰკიდია კარიკატურები „სპაიდან“⁷ და ილუსტრირებული ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოები: ამ ფოტოთაგან ბევრს აქვს წარწერა: დაეცა ბრძოლის ველზე, აფრიაშვებული იახტების ფოტოებიც კიდია კედლებზე. იახტებზე კებიანი, ჭარმაგი მამაკაცები დგანან. ფოტოებს შორის ძველი მარკის ავტომობილების რამდენიმე სასაცილო სურათიც არის. მხატვართა და მწერალთაგან ფოტოებით მხოლოდ რამდენიმეა წარმოდგენილი, ხოლო მსახიობთაგან არც ერთი. ეს იმიტომ, რომ ლოტი ძველყაიდური სწო-

⁷ Spy (ინგლ.) - მხვერავი, ჯაშუში.

ბიზმის ერთგულია და მხოლოდ და მხოლოდ გირვანქა სტერლინგისა და საგვარეულო გერბებისა სწამს.

ლოტი პოლში იდგა და მსახურს ტუქსავდა, როცა ადამი სასტუმროში შევიდა.

— ეს თქვენა ხართ? მთლად გაგვიგარეულდით! აქეთ არის უამრავ ნაცნობ-მეგობარს ნახავთ. — უთხრა ლოტიმ ადამს და სასტუმრო ოთახში შეიყვანა, სადაც რამდენიმე კაცი იჯდა. მანამდე ადამს არც ერთისთვის თვალის კი არსად მოექრა.

— ლორდ სინგამს ხომ ყველა იცნობთ? — იკითხა ლოტიმ.

— მისტერ საიმზი, — შეუყვარა ადამმა.

— მეც ეგ არა ვთქვი, საყვარელო! ღმერთო კი მომკალი, მე თქვენ დაბადებამდეც გიცნობდით. მამათქვენი როგორ ბრძანდება? ხომ არ მომკვდარა?

— რაღა დაგიმალოთ და მართლაც გარდაიცვალა.

— ვინ იფიქრებდა! რამდენი რამის მოყოლა შემიძლია! მაგრამ ჯერ ესენი გაიცანით: ეს არის მისტერ იმანო, გვარი დამავიწყდა! გახსოვთ, არა? იქით კუთხეში მაიორი ზის, მისტერ რაგვარია ღმერთო! ეს ამერიკელია, აი, ეს კი რურიტანიის მეფეა!

— სამწუხაროდ, ყოფილი! — ნაღვლიანად თქვა წვეროსანმა კაცმა.

— საცოდავი ბიჭი! — თქვა ლოტი კრამპმა. მეფე, თუნდაც ტახტიდან გადმოგდებული მის სიმპათიება იმსახურებდა. — სამარცხვინოა, პირდაპირ! ომის შემდეგ ჭიტლაყი ამოჰკრეს, კაპიკი არ გააჩნია, ბევრი არც სხვა დროს ჰქონია, მაგრამ... თანაც ცოლი საგიჟეთში ჰყავს.

— საწყალი მარია-ქრისტინა. მართლს ბრძანა მისის კრამპი, მთელი ტვინი სულ გამოცლილა მისი თავიდან. სულ ფიქრობა ყველა ბომბაა.

— სრული ჭეშმარიტებაა! საწყალი გოგო! — გულმხურვალედ დაუკრა კვერი ლოტიმ ყოფილ მეფეს. — ამ შაბათს მეფე მის სანახავად წავიყვანე მანქანით... (როგორ დავუშვებდი, რომ მესამე კლასით ემგზავრა). პირდაპირ ცრემლები მომერია. ერთ ადგილას ვერ გაჩერებულა საცოდავი გოგო, ხტის და კანკალებს. სულ იმის შიშშია, რომ რაღაცას ესვრიან.

— ერთი საოცარი ამბავი ეს არის, — თქვა მეფემ, — რომ ყველა ჩემი ოჯახი ღებულობდა ბომბა, დედოფალი კი არასოდეს. საცოდავი ჩემი ბიძა ჯოზეფი ოპერაში ღამით ხაწილ-ნაწილ დაგლიჯა. ჩემი და საწოლში სამ ბომბას პოულობს, მაგრამ ჩემი ცოლი არასოდეს. მაგრამ ერთ დღეს, როცა მისი მოახლე თმებს უვარცხნიდა მან დედოფალს უთხრა, „მადამ, ჩვენმა მზარეულმა ფრანგული მისიის მზარეულისაგან გაკვეთილი მიიღო და... (ჩემი მზარეული ვერ ტრაბახობდა იმით, რასაც თქვენ chic-ს ეძახით: ერთი დღე ცხვრის ცხელი ხორცი, მეორე დღე ცხვრის ცივი ხორცი, მესამე დღე იგივე ცხვრის ცხელი ხორცი, მაგრამ უფრო უგემური! chic-ი არ იყო, ერთი სიტყვით). პოდა, მოახლე, ამბობს: „ჩვენი მზარეული გაკვეთილი აიღო ფრანგი მზარეულთან და გააკეთა ერთი ბომბა — სურპრიზი მოამზადა წვეულებისათვის, მადამ, ამ საღამოს შვედი მინისტრის პატივსაცემად რომ აწყობთ, მადამ“. მაშინ იყო საცოდავმა დედოფალმა ასე თქვა: „ოჰ!“ და მას მერე მისი საწყალი ტვინი არის მთლად არეულ-დარეული.

რურიტანიის ექსმეფემ ამოიოხრა და სიგარას მოუკიდა.

— რას იზამ! — თქვა ლოტიმ და ცრემლი მოიწმინდა. — ცოტა ხომ არ დაგველია? ეი, თქვენ! პატივცემულო მოსამართლევ, ჩემო იმანო, საზოგადოებას ხომ არ გაუმასპინძლებით?

ამერიკელი, რომელზედაც ახვა მსმენელთა მსგავსად იმოქმედა რურიტანიის მეფეყოფილის მონაყოლმა, თავის დაკვირვებას და თქვა:

— დიდად დამაფასებთ, თუ მისი უდიდებულესობა და თქვენც, მისის კრამპ, და აგრეთვე აქ მყოფი ყველა ჯენტლმენი...

— აი, ეს მესმის! — თქვა ლოტიმ. — ეი! სად ბრძანდება ჩემი ზღაპრული პრინცი? ვინძლო ისევ ცხვირს იპუდრავს! აქეთ მოგვხედე, ნენსი! მოეშვი კოსმეტიკას!

ოფიციალტი შემოვიდა.

— ერთი ბოთლი ღვინო! — უბრძანა ლოტიმ. — მისტერ მოსამართლე რაგვარიას დააწერეთ. — ლოტის სალონში „ღვინოს“ მხოლოდ შამპანურს ეძახიან. მარკას მხოლოდ მაშინ აღნიშნავენ, როცა სხვა ღვინო სურთ. ამია გარდა, ლოტისთან კამათლების რაღაც საიდუმლო თამაში იციან. რომელიც ყოველთვის იმით მთავრდება, რომ რომელიმე მოთამაშეთაგანი დანარჩენებს თითო-თითო ბოთლი ღვინით უმასპინძლებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლოტი სამართლიანობის განსახიერებაა და როცა საქმე ფულის გადახდაზე მიდგება ხოლმე, ისე ახერხებს რომ ფულს ყოველთვის ყველაზე მდიდრები იხდიან.

სამი-ოთხი ბოთლი ღვინო რომ დალიეს, ლოტიმ იკითხა:

— აბა, ვინ გამოიცინობს, ზედა სართულზე ამ სალამოს ჩვენთან ვინ ვახშმობს?... პრემიერ-მინისტრი!

— მე პრემიერ-მინისტრები არ მიყვარს. ლაპარაკი, ლაპარაკი და კიდევ მეტი ლაპარაკი! „სერ, ამას ხელი უნდა მოაწეროთ!“, „სერ, აქ უნდა წახვიდეთ“, და „სერ, იქ უნდა წახვიდეთ“, „სერ, ეს ღილი უნდა შეიკრათ და ლიბერიის შავ დესპანს ისე უნდა მისცეთ აუდიენცია!“ ფუჰ! ომის შემდეგ ჩემმა ხალხმა გამომაპანდურა, დიახ, მაგრამ პრემიერ-მინისტრს ხომ უფრო მეტი ფანჯრიდან ბრახ და პირდაპირ მიწაზე ტყავ! ჰა, ჰა, ჰა!

— თანაც მარტო კი არ იქნება, — თქვა ლოტიმ და თვალები ძალზე მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალა.

— როგორ, სერ ჯეიმს ბრაუნი? — გაოცება ვერ დაფარა მაიორმა. — ვერაფრით ვერ დავიჯერებ!

— არა, გვარად კეიფია!

— ეგ პრემიერ-მინისტრი არ არის!

— როგორ თუ არა, გაზეთებში წავიკითხე.

— გეუბნებით, არ არის-მეთქი! ეგ ჯერ კიდევ გასულ კვირას გადადგა.

— ღმერთო დიდებულო, რა წამდაუწუმ იცვლებიან! მაგათ რა გაუძლებს! დოჯ, დოჯ! რა გვარია პრემიერ-მინისტრი?

— რა ბრძანეთ, მაღამ?

— პრემიერ-მინისტრი რა გვარია-მეთქი!

— ამაღამ არა მგონია, მაღამ! ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი ვიცი.

— პრემიერ-მინისტრი რა გვარია-მეთქი, გადაბეხრეკებულო ყუყუჩო!

— ოჰ, მომიტევეთ, მაღამ! კარგად ვერ გავიგონე! სერ ჯეიმს ბრაუნი, მაღამ, ბარონეტი. ძალიან სასიამოვნო ჯენტლმენიაო, მითხრეს. როგორც გავიგე, კონსერვატორი ყოფილა. წარმოშობით, მგონი, გლოსტერშირიდან არის.

— აი, ხომ გეუბნებოდით! — გამარჯვებულის სახით განაცხადა ლოტიმ.
 — დიდი საოცარი რამეა თქვენი ბრიტანული კონსტიტუცია, — თქვა რუ-
 რიტანიის ექსმეფემ. — როცა ახალგაზრდა ვიყავი, მასწავლიდნენ და მასწავლი-
 დნენ ბრიტანული კონსტიტუცია. ჩემი გამზრდელი თქვენი უფროსი ყოფილი
 მასწავლებელი ეხლა, როცა მე ინგლისში მოვედი, ყოველთვის ახალი პრე-
 მიერ-მინისტრი და არავინ იცის, რომელი უკვე იყო, რომელი ეხლა არის.

— აჰ, სერ! ეს სულ ლიბერალური პარტიის ბრალია! — თქვა მაიორმა.

— ლიბერალები? ჰო, ლიბერალები ჩვენც გვყავდა. ეხლა ერთი რამე
 თქვენ მე გითხრათ. მე ოქროს კალამი მქონდა. ჩემი ნათლია, ავსტრიის კეთი-
 ლი ერცჰერცოგა მაჩუქა მე ერთი ოქროს კალამი. ზედ არწივები დახატული.
 მე მიყვარდა ჩემი ოქროს კალამი. — მეფეს თვალები ცრემლით აევსო. კარგა
 ხანია შამპანური მისთვის ფუფუნება გამხდარიყო. — მე ძალიან მაგრად მიყ-
 ვარდა ჩემი ოქროს კალამი. პატარა არწივები ზედ. და ერთ დღეს ლიბერალი
 პრემიერ-მინისტრი მოვიდა. გრაფი ტამპენი, მისის კრამპი! — კაცი განსაკუთ-
 რებული ბოროტი. მოვიდა, რომ მე მელაპარაკოს და იდგა ჩემი პატარა სეკრე-
 ტერის გვერდით და ცქმუტავდა და ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა რაღაცა, მე
 არაფერი გავიგე და როცა ის წავიდა, ჩემი არწივებიანი ოქროს კალამი სადაც
 იყო, აქ აღარაფერი იყო.

— საწყალი მეფე! — თქვა ლოტიმ. — რას გეტყვით, იცი თ? კიდევ და-
 ლიეთ!

— დიდ პატივს დამდებთ, თუ თქვენი უდიდებულესობა და ყველა ეს ჩენ-
 ტლმენი და მისის კრამპი... — იმეორებდა ამერიკელი.

— დოჯ, ერთი ჩემს კოპწიას დამიძახეთ, შემოგოგმანდეს! ...ეი! რომელი-
 მემ მოსამართლეს კიდევ ერთი ბოთლი ღვინო მიართვით!

— ...უდიდეს პატივს დაგდებთ... უდიდეს პატივს დამდებთ, თუ მისის
 უდიდებულესობა და ეს ჩენტლმენები და მისი უდიდებულესობა კრამპი...

— ყოჩად, მოსამართლევ! ერთი ბოთლიც მოუტანეთ!

— ...დიდ პატივად ჩავთვლი და უდიდეს კრამპად, თუ მისი კეთილშობი-
 ლეობა და ყველა ეს უდიდებულესობანი და მისის ჩენტლმენები...

— ჰო, ჰო, კარგი, კარგი, მოსამართლევ! ხელი შეაშველეთ, ბიჭებო, არ
 დაეცეს. ღმერთო, შენ დამიფარე! ეს ამერიკელები რამდენს სვამენ!

— ...თუ მისის პატივი და უდიდესი უდიდებულესობა დიდ კრამპად ჩავ-
 თვლი... — და მისი კეთილშობილება, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს
 მოსამართლე სკიმპი ხითხითზე გადავიდა (ყველა ზემოთ ნახსენები პიროვნების
 სასამართლებლად უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ არც ერთი არ იყო ნასადი-
 ლევი).

ოთახში მყოფთა შორის ერთი საკმაოდ მორიდებული, კორექტული, ულ-
 ვაშა ახალგაზრდაც ერიო. იჯდა კუთხეში და თავისთვის სვამდა, არავის არ
 ელაპარაკებოდა. ეს იყო მხოლოდ, ათასში ერთხელ მოსამართლე სკიმპს შეხე-
 დავდა და „შენი გამარჯვებისა იყოსო“ წამოიძახებდა ხოლმე. უცებ ეს ახალ-
 გაზრდა წამოდგა და თქვა:

— ნიძლავი, ვერც ერთი ამას ვერ გააკეთებთ.

მან სამი ნახევარპენსიანი დადო მაგიდაზე და ერთ ხანს დიდი გუ ლმობი-
 ნებით უცვლიდა ადგილებს, რის შემდეგაც ამაყად ახედა მაყურებლებს:

— ყველა ნახევარპენსიანს მხოლოდ ხუთჯერ მოეკიდე ხელს და მათი თანმიმდევრობა ორჯერ შევცვალე. თუ ბიჭები ხართ, თქვენც გააქეთეთ!

— უყურე შენ, რა ჭკვიანი ბიჭია? — თქვა ლოტიმ, — სად და ვინ გასწავლა?

ბიჭებიც და

— მატარებელში ერთმა ბიჭმა მაჩვენა.

— მაინცა და მაინც ძნელი არ უნდა იყოს, — თქვა ადამმა.

— აბა, სცადეთ! რაზეც გინდათ დაგენიძლავებით, ვერ გააქეთებთ.

— რამდენხე დანიძლავდებით? — იკითხა ლოტიმ. ლოტის უყვარდა ამგვარი ამბები.

— რამდენხეც გინდათ. ხუთასი გირვანქა სტერლინგი იყოს.

— უკან არ დაიხიო, დაეთანხმე, ფული ჩეჩქივითა აქვს, — უთხრა ლოტიმ ადამს.

— თანახმა ვარ! — თქვა ადამმა.

ადამმა ნახევარპენსიანები აიღო და ზუსტად გაიმეორა ის, რაც ულვაშიანმა ახალგაზრდამ გააქეთა. როცა დაამთავრა, ახალგაზრდას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რას იტყუვით?

— ნაღდაც ავაფრენს ეგრე ადვილად ჯერ არავის გაუქეთებია. ამ ფოკუსით წინა კვირას კარგა ბლომად მოვიგე. აბა, აიღეთ! — თქვა ახალგაზრდა კაცმა, ჯიბიდან ბანკნოტები ამოიღო და ადამს ხუთასი გირვანქა სტერლინგი მისცა. მერე ისევ თავის კუთხეში დაჯდა.

— ესეც ასე! ნიძლავიც ასეთი უნდა! — მოწონების კილოთი თქვა ლოტიმ და დაუმატა:

— ამის აღსანიშნავად ბიჭებს ცოტაც დაუსხით!

ასე დაღია ყველამ კიდევ თითო ჭიქა.

სულ მაღლე ახალგაზრდა კაცი ისევ წამოდგა ფეხზე:

— მოდით პირი და სიქა ვითამაშოთ. ვანც სამიდან ორს მოიგებს, გამარჯვებული ის იყოს.

— მოდის! — თქვა ადამმა.

ორი ხელი ითამაშეს და ორივეჯერ ადამმა მოიგო.

— ნაღდაც ავაფრენს! ბედი გწყალობს, ჩემო ძმაო! — თქვა ახალგაზრდა კაცმა და მე ორე ბანკნოტიც მისცა.

— ფული ტომრებით აქვს, ათასი გირვანქა სტერლინგი მისთვის არაფერია, — თქვა ლოტიმ.

ლოტიმ მოსწონდა თავის მდგმურებზე ასე ეფიქრა. რაც შეეხება ახალგაზრდა კაცს, ამ შემთხვევაში ლოტი ნამდვილად ცდებოდა. ულვაშიან ახალგაზრდას ბევრი ფული იმიტომ ჰქონდა ჯიბეში, რომ ახალი მანქანის საყიდლად ჯერ კიდევ შემორჩენილი ფასიანი ქაღალდები გაეყიდა. ასე რომ, მეორედღეს ამ ახალგაზრდამ მანქანის მაგივრად ნახმარი მოტოციკლი იყიდა.

ადამს ცოტა თავბრუს ეხვეოდა, ადგა და კიდევ დალია.

— ნებას მომცემთ დავრეკო? — იკითხა ადამმა.

ადამმა წინა ბლაუნტს დაურეკა.

— წინა ხარ?

— ადამ, საყვარელო, გეტყობა შენ უკვე კარგათა ხარ!

— როგორ მიხვდი?

— სუნი მცემს! გინდა რამე? სადილად ვარ დაპატივებული და უკვე გავ-
დივარ სახლიდან.

— ბევრი არაფერი, მინდოდა მეთქვა, საქმეები კარგად მიდის და შეგვი-
ძლია ვიქორწინოთ-მეთქი; ათასი გირვანქა სტერლინგი მაქვს!



პრინციპალი
გინგლიქოთეკა

— ოჰ, რა შესანიშნავია! სად იშოვე?

— როცა გნახავ, მოგიყვები, სად სადილობ?

— „რიცში“. არჩისტან. რომ იცოდე, როგორ მიხარია ჩვენი ქორწინების
ამბავი, საყვარელო!

— მეც მიხარია, მაგრამ ნუ ატეხავ ეხლა დიდ ალიაქოთს.

— არც მიფიქრია! სხვა რომ არაფერი, მაგარი ნასვამი ხარ.

ადამი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა.

ძალზე გადაპრანჭული მისს რანსიბლი უკვე მოსულიყო და ადამს შუა
ზოლში ელოდა.

— ვინ არის ეს ბოზანდარა? — იკითხა ლოტიმ.

— ეგ ბოზანდარა კი არა, აგათა რანსიბლია, — უბაჟუხა ადამმა.

— რა ვიცი, ბოზანდარას კი ჰგავს და... გამარჯობა, გენაცვალე! მობრძა-
ნდი! ეს-ეს არის ყელის გასველება დავაპირეთ. თქვენ, რა თქმა უნდა, ყველას
იცნობთ, არა? აი, ის წვეროსანი მეფეა... არა, ცუნცულა, რურიტანიისა. ხომ
არ გეწყინათ ბოზანდარა რომ მეგონეთ? ისე ძალიან ჰგავდით იმნაირს, საყვა-
რელო! ისე გამოწყობილხართ! ეხლა, რა თქმა უნდა, ვხვდები რომ შევცდი:

— დღეს დილით რომ გენახეთ, ჩემო კარგო, მაშინ...

და აგათამ ლოტის იმის მოყოლა დაუწყო, რაც საბაჟოში გადახდა.

— სადმე ათასი გირვანქა სტერლინგი რომ გეშოვათ, რას იზამდით? —
იკითხა ადამმა.

— ათასი გირვანქა სტერლინგი? — თვალეზი ოცნებით დაენისლა ყოფილ
მეფეს ამგვარი ფუფუნების წარმოდგენაზე. — ჯერ სახლს ვიყიდინდი და მერე
მანქანას და მერე იახტას და ახალ ხელთათმანებს და მერე ჩემს ქვეყანაში და-
ვაარსებდი ერთი პატარა გაზეთი და დავწერდი ამ გაზეთში, რომ მე უნდა დავ-
ბრუნდე და ვიყო მეფე და მერე აღარ ვიცი რას ვაკეთებ, მაგრამ მე ისევ მექ-
ნება სიხარული და სიდიადე.

— ათასი გირვანქა სტერლინგი არ გეყოფოდათ, სერ!

— არა?... არ მეყოფოდა? ათასი გირვანქა სტერლინგი არ მეყოფოდა?...
მაშინ მე ვფიქრობ, არწივეებიანი ოქროს კალამი იყიდო, ისეთი ლიბერალებმა
რომ მომპარეს.

— ძალიანაც კარგად ვიცი, რასაც გავაკეთებდი. — თქვა მაიორმა, — დოლ-
ში ცხენზე ჩავიდოდი.

— რომელზე?

— შემძლია დავისახელოთ ნაღდი აუტსაიდერი ნოემბრის ჰენდიკაპში*,
ცხენს „ინდური რაში“ ჰქვია. ეხლა მისი შანსი ოცი ერთზეა და კიდევ უფრო
დაიკლებს. თქვენ რომ ეხლა ამ ცხენზე ათასი გირვანქა სტერლინგი ჩახვიდეთ
და ისიც ადგეს და გაიმარჯვოს, როგორ გამდიდრდებოდით, არა?

— დიახაც, ჩავალ! დიდებულია! რა გგონიათ, მართლაც ჩავალ! ეს მშვე-
ნიერი აზრია, რა არის ამისათვის საჭირო?

* ჰენდიკაპი: (სპორტ.) ცხენოსნური შეჯიბრის ერთ-ერთი სახეობა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მომეცით თქვენი ათასი გირვანქა სტერლინგი და ყველაფერს მე მოვაგვარებ.

— რა ბრძანებაა, ასე როგორ შეგაწუხოთ!

— რა შეწუხებაა!

— მართლა? მართლა არ შეწუხდებით? აი, ფული, ინებეთ! ეხლა კი დღე-ნოზე დამეპატიეთ!

— არა, მე გაპატიებთ!

— პირველად მე ვთქვი!

— მაშინ მოდით ერთმანეთი დავპატიოთ.

— ერთი წუთით, დავრეკავ და ეხლავე მოვალ.

ადამმა „რიცში“ დარეკა და მსახურს ნინა მოაძებნინა.

— რა ხშირად რეკავ, საყვარელო?

— ნინა, თუ გაგიგია რამე „ინდურ რაშზე“?

— მგონი კი, რა მოხდა?

— როგორი ცხენია?

— ერთი ჭაგლაგია, ჩემო კარგო! მერი მაუსის დედას ეკუთვნის.

— არ ვარგა?

— არაფრად!

— ერთი ეს მითხარი, ნოემბრის ჰენდიკაპში ვერ გაიმარჯვებს?

— ვერავითარ შემთხვევაში! ისიც საეჭვოა, საერთოდ რომ მიიღოს მონაწილეობა რატომ მეკითხები?

— იცი, ნინა, რა მგონია? როგორც ჩანს, ჩვენი ქორწინება ისევ ჩაიშლება.

— რატომ საყვარელო?

— ის ჩემი ათასი გირვანქა სტერლინგი მაგ ცხენზე ჩავედი.

— დიდი სისულელე მოგსვლია!

— მაიორს მივეცი.

— რა მაიორია ასეთი?

— გვარიანად მთვრალია, სახელი არ ვიცი.

— ჰოო! მე შენს ადგილას მოვნახავდი და ფულს გამოვართმევდი. ეხლა უნდა წავიდე და ცოტა რამე შევჭამო. კარგად იყავი.

სასტუმრო ოთახში დაბრუნებულ ადამს მაიორი აღარ დაუხვდა.

— რომელი მაიორი? — გაიკვირვა ლოტიმ, — პირველად მესმის.

— თქვენ არ გამაცანით? კუთხეში იჭდა.

— რა იცით რომ მაიორი იყო?

— თქვენ არა თქვით?

— მე ეგ კაცი, ჩემო კეთილო, დღეს პირველად ვნახე; მაგრამ ეხლა რომ ვუფიქრდები, მგონი, მართლა ჰგავდა მაიორს. ეს პატარა ცუგრუმელა რაღაც საინტერესო ამბავს მიყვება. განაგრძე, გენაცვალე ისეთი საშინელი ამბავია, ყურის გღებაც კი მიჭირს.

სანამ მისს რანსიბლი თავისი ამბის მოყოლას დაამთავრებდა (ყოველ ახალ მოყოლაზე მისს რანსიბლის თავგადასავალი სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა უხამს ანტითურქულ პროპაგანდას), რურიტანიის ექს-მეფემ სხვა მაიორი გაიხსენა, რომელაც რურიტანიაში პრუსიიდან ჩავიდა და მისი არმიის გადახალისება მოიწადინა. მალე ის მაიორი სამხრეთის მიმართულებით გაუჩინარდა და

თან გაიყოლია სამეფო გვარდიის სუფრის ვერცხლულობა, ლორდ-კამერგერის ცოლი და ვერცხლის ორი შანდალი სამეფო სამლოცველოდან.

მისს რანსიბლმაც დაასრულა თავისი ამბის მოყოლა და ლოტის ადგილზე-ბამაც სწორედ მაშინ მიაღწია ზენიტს.

— წარმოგიდგენიათ? ერთი მაგ ბინძურ ქოფაკებს დამეხედეთ! — და მამათქვენს ვიცნობდი, საყვარელო! თქვენ მაშინ დაბადებული კი არა, ჩაფიქრებულიც კი არ იყავით. თქვენ საქმეზე პრემიერ-მინისტრს უნდა ველაპარაკო, — თქვა ლოტიმ და ყურმილს დასწვდა.

— კეიფი მინდა! მეთორმეტე ნომერშია, იაპონელ ქალთან ერთად, — უთხრა ლოტიმ ტელეფონისტს.

— კეიფი პრემიერ-მინისტრი არ არის, ლოტი!

— როგორ თუ არ არის? აბა, დოჯმა რა თქვა? ...აღლო! კეიფი ხართ? ლოტი გელაპარაკებათ. დიდი ვინმეცა ხართ, მე და ჩემმა ღმერთმა! საცოდავ გოგოს კაბა შემოაფლითეთ.

ლოტი დიდხანს ქაჩანებდა.

მისტერ კეიფმა ის-ის იყო ისაღილა და კაცმა რომ თქვას ლოტის საყვედურის კილო და შინაარსი ერთგვარად შეესაბამებოდა კიდეც მის განწყობას. უცებ ვერც კი მიხვდა, რომ მისს რანსიბლზე ელაპარაკებოდნენ. ამასობაში ლოტის გაცეცხლება თანდათან ჩაინაგლა. თუმცა დამთავრებით კი მაინც მშვენივრად დაამთავრა:

— მისტერ კეიფი გქვიათ და მართლაც რომ თქვენს ქეიფზე დადიხართ! — ამის თქმა და ყურმილის დახეთქება ერთი იყო.

— აი, ასეთი გახლავთ ჩემი აზრი ამ კაცზე, თუ ვინმეს გაინტერესებთ! რას იტყვით, ცოტა ხომ არ დაგველია?

მაგრამ ოთახში თითქმის აღარავინ იყო, რომ ლოტისათვის მხარი აეხა. მაიორი წასულიყო, მოსამართლე სკიმპს მშვენიერი, თეთრთმიანი თავი საფერფლეზე ჩამოედო და ეძინა. ადამი და მისს რანსიბლი იმაზე ბჭობდნენ. თუ სად ესაღილათ. ლოტის მხოლოდ მეფე შერჩა ხელთ. მეფემ ლოტის თავისი მკლავი იმ სინატიფით შესთავაზა, რომელიც მრავალი წლის წინ თავის პატარა, მზით გაჩახჩახებულ სასახლეში შეიასხლხორცა; იმ სასახლეში, სადაც უზარმაზარი ქალი ისეთ ციმციმა სხივებს ისროდა, როგორსაც ბრილიანტის გაწყვეტილი ყელსაბამის თვლები, და სადაც შინდისფერ ნოხებზე საგვარეულო მონოგრამები ამოექარგათ.

ამრიგად, ლოტი და მეფე სადილის მისართმევად ერთად გავიდნენ.

ზემო სართულზე, ფართო, ფუფუნებით მორთულ მეთორმეტე ნომერში. მისტერ კეიფი თანდათან ეშვებოდა თავდაჯერებულობის იმ მწვერვალთან, რომელზედაც დიდი გაჭირვებით აფორთხებულებიყვნენ. — ტელეფონის ზარი რომ არა, საქმე თითქმის გაჩარხული მქონდა, — არწმუნებდა მისტერ კეიფი თავის თავს, — მაგრამ ეხლა რაღა დროსია, ბარონესა ამბობს, თქვენ, ალბათ, ქვეყნის საქმეები გაქვთ და მე კი გაცდენთ, თუ შეიძლება ჩემთვის მანქანა გამოიძახეთ.

მაინც რა რთულია! ევროპელი ქალი რომ „შეპარდში“ ცალკე ოთახში tête-à-tête⁹ სადილად მიიწვიო, ერთგვარ წარმოდგენას მაინც იქო-

⁹ tête-à-tête (ფრ.) — პირისპირ.

ნიებს თქვენი განზრახვის თაობაზე. ისიც საგულისხმოა, რომ ბარონესა კეიფის ინგლისში ჩამოსვლის პირველსავე საღამოს დასთანხმდა მის მიწვევას. რამაც კეიფს გულში ერთგვარი იმედიც კი ჩაუსახა. მაგრამ სადილის დროს ქალს ისე ეჭირა თავი, ისეთი უშუალოდ იქცეოდა, რომ კაცს თავგზა აებნა. თუმცა არა! სწორედ მაშინ, როდესაც ტელეფონმა დარეკა, სწორედ მაშინ, როცა მაგიდიდან ბუხრის პირას გადაინაცვლეს, საქმეს რაღაც კარგი პირი უჩანდა. მაგრამ ამ აღმოსავლელი ქალებისას კაცი ვერაფერს გაიგებს. კეიფმა ხელები თავის მუხლებს შემოხვია და თითქოს სხვისი ხმით თქვა, ნუთუ უნდა წახვიდეთ, ორი კვირაა არ მინახიხართ, რა კარგი იყო თქვენთან ყოფნაო, და ბოლოს დიდი გაჭირვებით ამოღერდა: პარიზში სულ თქვენზე ვფიქრობდიო (ოჰ, ეს სიტყვები! სად გაქრა სიტყვები! სიტყვების მთელი ყულაბა ხომ მუდამ მის ხელთ იყო და თამაშად უჩნდა ამ სიტყვების ამოფრქვევა თემთა პალატაში. იქ ეს სიტყვები ისეთი ბზრიალ-ტრიალით გადადიოდნენ იატაკზე მალაყებს, თითქოს ოქროს მონეტები ყოფილიყვნენ. სად გაქრა ფრაზათა ის არნახული სიუხვე, ამომრჩეველთა წინაშე მუჭა-მუჭა რომ ამოჰქონდა და მთელ ქვეყანას ლალი წკრილით მოაფენდა ხოლმე).

მისტერ კეიფზე არანაკლებ გაოგნებულ პატარა ბარონესა იოშივარას ოქროსფერი ხელები პაკენთან ნაყიდი ოქროსფერი კაბით შემოსილ მუხლებზე დაეწყო და გაუნძრევლად იჯდა იქ, სადაც დასვეს. იჯდა და ბრძანებას ელოდა: რა სურს ამ ჰკვიან ინგლისელს? თუ ასე დაკავებულია ამ თავისი ტელეფონით, რატომ არ ეუბნება წადიო. სხვა დროისათვის რად არ დაიბარებს? თუ სიყვარულს სთხოვს, რატომ თავისთან არ უხმობს, რატომ არ აიყვანს ამ წითელი პლუშის სკამიდან და თავის მუხლებზე არ გადაისვამს? ან იქნებ დღეს მიმზიდველად არ გამოიყურება? არა, მიზეზი ეს არ უნდა იყოს! რას გაუგებ ამ დასავლეთელ მამაკაცებს.

ტელეფონმა ისევ დარეკა.

— ერთი წუთით! მამა როტშილდს თქვენთან საუბარი სურს! — თქვა ტელეფონისტმა.

— თქვენა ხართ, კეიფ? გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად მოხვიდეთ და მნახოთ. არის რამდენიმე საკითხი, რომელთა შესახებ აუცილებლად უნდა მოგელაპარაკოთ.

— მართალი გითხრათ, როტშილდ, არ მესმის ასეთი რა მოხდა. სტუმარი მყავს.

— აჯობებს, თუ ბარონესა სასწრაფოდ წავა მანდედან. იმ მსახურის ძმა, რომელმაც ყავა შემოგიტანათ, იაპონიის საელჩოში მუშაობს.

— ღმერთო დიდებულო! ნუთუ მართლა? ჰო, მაგრამ, ჩემგან რა გინდათ, ბრაუნს რატომ არ მიაკითხავთ? მოგეხსენებათ ის არის პრემიერ-მინისტრი და არა მე.

— ზვალიდან თქვენ იქნებით... რაც შეიძლება იჩქარეთ, გეხვეწებით... ისევ ძველ მისამართზე ვცხოვრობ.

— ჰო, კარგი, მოვალ!

— ჰო, რასაკვირველია ასე აჯობებს!

თ ა ვ ი



არჩი შვერტის მიერ გამართულ წვეულებაზე ბრენდონის გრაფმა, ბრენდონის ბარონმა, ხუთი კუნძულის ლორდმა, კონოტის სამეფოს მთავარსამარტის უესმა შეთხუთმეტე მარკიზმა ვენბრუმ ერდინჯის ვიკონტს, ვალდარის მარონ კარზს, ლანკასტერს, ალისფერ, ორდენის ჩანდს, რომის წმინდა იმპერატორის პალატინს, აქვიტანიის საჰერცოგოს ჩენონსეჟია პერალდს, შერვე გრაფ ბალკარნს უთხრა:

— ბელლო! რა საზიზღარი წვეულებაა, არა? რის დაწერას აპირებთ?

საქმე ის გახლდათ, რომ ორივენი ძალადი საზოგადოების ცხოვრების შესახებ კორესპონდენციება ათავსებდნენ ხოლმე დილის გაზეთებში.

— ჩემი კორესპონდენცია უკვე გადავეცი ტელეფონით და მადლობა ღმერთს უკვე წასვლას ვაპირებ. — თქვა ლორდმა ბალკარნმა.

— აზრზე არა ვარ რა დავწერო, — თქვა ლორდმა ვენბრუმ. — გუშინ ჩემმა რედაქტორმა ერთი ამბავი ამიტყა, ყოველ დღე ერთი და იგივე გვარების კითხვა მომწყინდაო. რა ჩემი ბრალია, თუ დღესაც ყველანი უკლებლივ აქ არიან. ნინა ბლაუნტის ნიშნობა ჩაიშალა, მაგრამ ღმერთმა უწყის, ვისთვის არის ეს საინტერესო. აგათა ჩანსიბლზე ყოველთვის შეიძლება ერთი-ორი პარაგრაფი გამოდნეს, მაგრამ ხვალის გაზეთები აპირებენ საბაჟოში მომხდარი ამბების პირველ გვერდზე გაშვებას.

— მე კი ედუარდ თრობინჯზე კარგი რაღაც გამომივიდა, ვითომ კანადაში, ხის ქობში ცხოვრობს, რომელიც ერთი წითელკანიანის დახმარებით ააშენა. დღევანდელ წვეულებაზე მაილზს ინდიელის ტანსაცმელი აცვია და ეს აზრი თავში იმიტომ მომივიდა, ვიფიქრე, მაილზს ინდიელს შევადარებ-მეთქი. თქვენ როგორ ფიქრობთ, კარგი იქნება, არა?

— შესანიშნავია! შეიძლება მეც გამოვიყენო?

— კარგით, ხის ქობი გამოიყენეთ, მაგრამ ინდიელი მე დამიტოვეთ.

— ისე, სინამდვილეში სად არის, ნეტა?

— ღმერთმა უწყის! მკონი, ოტავაშია, ოსვატიალური ვიზიტით!

— შეზედეთ ერთი ვინ არის ეს საფრთხობელა? ნამდვილად რაღაცით ცნობილი იქნება, მისის მელროუზს შიმპანი ხომ არ არის? მითხრეს ჩამოდისო.

— აბა, რომელი?

— აი, ნინასთან რომ მივიდა.

— ოჰ, არა! არავინაც არ არის ამჟამად მისის პენრასტს ეძახიან.

— თითქოს გიცნოთ.

— ჰო, მთელი ჩემი სიცოცხლეა ვიცნობ. მართალი თუ გინდათ, დედაჩემია.

— აჰ, რა სირცხვილში ჩავეარდი!? რას იტყვით ჩემს კორესპონდენციაში რომ ვახსენო.

— მე თუ მკითხავთ, არა-მეთქი, გეტყვით, მამაჩემისიანები ვერ იტანენ, მამაჩემის შემდეგ ორი ქმარი გამოიყვალა.

— მესმის, მესმის, ჩემო კარგო! რა მახსენებინებს!

ხუთი წუთის შემდეგ ვენბრუმ ტელეფონს უჯდა და რედაქციაში კორესპონდენციას გადასცემდა:

.....ორქიდეა წერტილი ახალი აბზაცი. წვეულებაზე ყველაზე საინტერესო ქალთაგანი იყო მისის პენრასტი, პ, ე, ნ, რ, ა, ს, ... არა ტ. ტელეფონი... გრაფ ბალკარნის ყოფილი მეუღლე. იგი იმ მამაკაცური, მკაცრი შიშით რცმევს, კურსივი, როგორც ამერიკელმა ქალებმა ასე მშვენივრად შეძლებულია წერტილი. მისი ვაჟი მძიმე, ეხლანდელი გრაფი ბალკარნი მძიმე მშენებლის ქათად იყო წერტილი, ლორდი ბალკარნი ერთ-ერთი ჭეშმარიტად ღირსეულ ჯენტლმენტაგანია ჩვენს ქალაქში...

...მისი კეთილშობილება, მაილზ ბედასლი ინდიელის კოსტუმში იყო გამოწყობილი. იგი ამჟამად თავისი ძმის, ლორდ თრობინგის ბინაში ცხოვრობს, იმ სახლში, სადაც გუშინ წვეულება მოეწყო. ინდიელის ტანსაცმლის არჩევა მისი მხრივ, როგორ ვთქვა? ჰო, განსაკუთრებით პიკანტური იყო, კურსივი, რადგან, როგორც ამბობენ, ლორდი თრობინგი ამჟამად კანადაში, ხის ქობში ცხოვრობს ერთ ინდიელ მსახურთან ერთად, რომლის დახმარებითაც ააშენა ეს ქობი წერტილი..."

ხომ ხედავთ რანაირი წვეულება იყო არჩი შვერტის მოწყობილი წვეულება.

შენუიათან ნაყიდ, იალზე მოღიავებულ ებაში გამოწყობილი მისს მაუსი სკამზე იჯდა და არაფერი გამომეპაროსო, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. ვერა და ვერ შეეჩვია გრძნობათა ამგვარ გადაძაბვას. მან წვეულებაზე ვინმე მისს ბრაუნი იახლა, რადგან ვაცილებით საინტერესოა, როცა გვერდით მოსაუბრე გყავს. მისს მაუსს ალტაცებისაგან პირდაპირ სუნთქვა ეკვროდა, როცა ხედავდა, მამამისის დაგროვებული, ეს არაფრის მაქნისი ფულები ასეთ ბრწყინვალეობად, ასეთ რია-რიად და ამდენ თავმოებურებულ ახალგაზრდად როგორ გადაიქცეოდა ხოლმე. არჩი შვერტს ხელში შამპანურის ბოთლი დაეკავებინა და, მისს მაუსს გვერდით რომ ჩაუარა, ჰკითხა:

— როგორა ხართ, მერი ძვირფასო, ხომ ყველაფერი რიგზეა?

— ეს არჩი შვერტია! იცი, რა ჰკვიანი კაცია? — უთხრა მისს მაუსმა მისს ბრაუნს.

— მართლა? — გაეპასუხა მისს ბრაუნი, რომელსაც იალიან უნდოდა დაღევა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეხერხებოდა ამისათვის თავი. — რა ბედნიერი ხართ, მერი ძვირფასო, რამდენ საინტერესო ხალხს ხვდებით. მე კი არავის ვიცი.

— მოსაწვევი ბარათები¹⁰ ხომ ჰკვიანურად იყო შედგენილი? ჯონი ჰუბმა დაწერა.

— კი, ნამდვილად, მაგრამ რა საშინელებაა, რომ მე იქ ჩამოთვლილთაგან არც ერთის სახელი არ გამიგონია!

— რას ამბობ, ჩემო კარგო, ნუთუ მართლა? — თქვა მისს მაუსმა და სუ-

¹⁰ აქ საკიროა განვმართო, რომ იმ დროს სამი სახის მოსაწვევი ბარათები იყო მოღობი. პირველი: ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე შედგენილი, ხელით ფაქიზად დაწერილი მოსაწვევები. სადაც აღნიშნული იყო მხოლოდ გვარი, სახელი, თვე, რიცხვი და მისამართი. მეორე: იმგვარი ბარათები, როგორც ჩელსიში იყო მიღებული. მაგ., „ნოელმა და ოდრიმ გადაწვევითეს შაბათ საღამოს მოილხინონ. გთხოვთ მოხვიდეთ და, თუ შეგიძლიათ, ერთი ბოთლი სასმელიც წამოიღეთ.“ და ბოლოს მესამე — ისეთი მოსაწვევები, რომლისთვისაც ჯონ ჰუბმა ტექსტი ეურნალ „ბლასტიდან“ და მარინეტის „ფუტურისტების მანიფესტიდან“ დაისესხა. ასეთი მოსაწვევი წარმოადგენდა მიჯრით აწყობილ ორ სვეტს. მარცხენა სვეტში ჩამოთვლილი იყო ყველაფერი ის, რაც ჯონის სძულდა, მარჯვენაში კი ის, რაც ჯონის ეგონა, რომ მოსწონდა. წვეულებათა უმეტესობისათვის, რომელსაც მერი მაუსი აფინანსებდა, ჯონი ჰუბი წერდა მოსაწვევების ტექსტს (ავტორი).

ლის მოუხელთებელ ჭურღმულებში გაფაჩუნებულ უჩვეულო გრძნობას სულ ერთი ბეწო უპირატესობის გრძნობას გაუყუჩდა. თვითონ მან შამამის კაბინეტში მჯდარმა ზედმიწევნით შეისწავლა მოსაწვევის შინაარსი და ვხლავთ თითქმის ზეპირად იცოდა.

უჩვევი განცდებით აღტკინებული მისს მაუსა თითქმის ნანობდა, რომ საკარნავალო ტანსაცმელი არ ჩაიცვა. დღევანდელ თავყრილობას ხომ „ველურების თავყრილობა“ ერქვა! ჯონ ჰუპმა მოსაწვევებს დააწერა, ველურებით ჩაცმულები მოდიეთ. ზოგი მართლაც ასე მოიქცა. თვითონ ჯონის ნიღაბი ეკეთა, შავი ხელთათმანები ეცვა და პაკაბორის მაპარაჯა თანამეცხედრეს ანსახიერებდა (რაც ნამდვილ მაპარაჯას, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა სტუმართა შორის, ცოტა არ იყოს აღიზიანებდა). ჭეშმარიტ არისტოკრატებს — ლონდონის თავის ნებაზე მბუქნავებელ ლუდის მხარშველთა ერთი-ორი ოჯახის უმცროს წარმომადგენელთ — აზრადაც არ მოსვლიათ საკარნავალო ტანსაცმლის ჩაცმა. ისინი აქ რომელიღაც საცეკვაო საღამოდან მოვიდნენ. თავიანთი პატარა, განცალკევებული ჯგუფი შექმნეს და თუქვა თვითონ კი ერთობოდნენ, მაგრამ სხვებს ვერ ართობდნენ. მისს მაუსს გული ლამის ბუდიდან ამოვარდნოდა. ო, როგორ უნდოდა თავისი ბრწყინვალე კაბა ტანზე შემოეფლითა და ყველას წინაშე ვაკხის ქურუმში ქალივით ეცეკვა! ერთი დროც იქნება ყველას გავაოცებო, ფიქრობდა მისს მაუსი.

• • •

შვერტის წვეულებას ესწრებოდა ერთი ცნობილი მსახიობი, რომელიც სულ ხუმრობდა (მის მსმენელთაგან ის, ვინც იცინოდა, იცინოდა არა იმაზე, რასაც მსახიობი ამბობდა, არამედ იმაზე, თუ როგორ ამბობდა).

— ამ წვეულებას მე ველურ ქვრივად მოვევლინე, — ამბობდა მსახიობი. სხვა ხუმრობანიც ამ ჯურისა და ყაიდისა ჰქონდა, მაგრამ სახეს ისე მანკავდა, ძნელი იყო არ გაგცინებოდა.

მისს რანსიბლს ჰავაიელი ქალის კოსტუმი ეცვა და საღამოს სული და გული იყო.

მისს რანსიბლმა ყური მოჰკრა, რომ ვიღაცამ დამოუცილებელი ლეიბორისტული პარტია ახსენა და გულზე გასკდა, მას რომ არაფერი ჰკითხეს.

გვერდით ოთახში ორი მამაკაცი, რომელთაც ბლიცისათვის ფეთქებადი ფხენილის მარაგი ბლომად ჰქონდათ, სურათებს იღებდა. მათი აპარატების ჩხაკნი და აფეთქებების ხმა საზოგადოებას აფორიაქებდა, დაძაბულობას იწვევდა. სტუმრებს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, რომ ერთმანეთისათვის ეჩვენებინათ, რა მომაბეზრებელია ეს პრესის ხალხი და არჩის რა ვუთხარით, ეგენი აქ რომ შემოუშვაო, მაგრამ ბოლომდე გულახდილნი თუ ვიქნებით, უმრავლესობას სულითა და გულით უნდოდა კადრში მოხვედრილიყო. ზოგს კი იმისი შიში ჰკლავდა, უჩუმრად არ გადამიღონო. ეშინოდათ, დედოცობა არ გაეგოთ. სადაც იყვნენ სინამდვილეში, აკო ოჯახებში დაიბარეს, ბისტროებთან საცეკვაოდ მივდივართო. ტყუილის გამჟღავნებას ერთი ალიაქოთი მოჰყვებოდა. სხვა ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ძალიან დამღლეული იყო ასეთი სცენები.

ადამი და ნინაც აქ იყვნენ. გრძნობები მოჭარბებოდათ.

— იცი რა, დარწმუნებული ვიყავი, რომ თმა მუქი გქონდა, — თქვა ნინამ და ადამს ბლუჯად ამოჰგლიჯა თმა.

არჩიმ, რომელიც შამპანურის ბოთლით ხელში მათ წინ გაქეჭდა, თქვა:

— როგორ გეკადრება ასეთი სადიზმი, ნინა?

— აქედან მოუსვი, ღორის ვაგდებულო, — კოკნის¹¹ კილოზე მოუქცია ადამმა, მერე ნინას მისამართით ნაზად დაუმატა:

— მერე, გული ხომ არ გწყდება?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ცოტა უცნაურია: ფიქრობ, რომ შენი საქმრო შავგვრემანია და უცებ აღმოაჩენ, ქერა ყოფილა...

— ჩვენ რა ისევ დანიშნულები ვართ? თუმცა ვინ იცის, იქნებ ვართ კიდევ.

— მთლად დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ თითქოს უნდა ვიყოთ. ადამ, რამდენი გაქვს?

— კაპიციც არა მაქვს, საყვარელო! სადილზეც კი აგათა რანსიბლმა დამპატიყა. ღმერთმა უწყის, ლოტი კრამპის ვალს როდის გავისტუმრებ.

— მშვენივრად უწყი! ადამ, ნუ გძინავს! თუ ძალიან გაჭირდა, მამიკო ხომ აქა გვყავს! დარწმუნებული ვარ გაცილებით მდიდარია, ვიდრე თავს გვაჩვენებს. შეუძლია გვასესხოს ფული, სანამ შენი წიგნები რაიმე შემოსავალს მოგვცემს.

— თვეში ერთი წიგნი რომ დავწერო, შეიძლება ამ ხელშეკრულებას ერთ წელიწადში დავალწიო თავი. ადრე როგორ ვერ მოვიფიქრე... მართლაც თვეში ერთი წიგნის დაწერა რა ბედენაა?!... ან იქნებ არის?

— არის, აბა არ არის, საყვარელო? რას გეტყვი, იცი? მოდი მამასთან წავიდეთ და მოველაპარაკოთ, კარგი?

— კარგი, დიდებული იქნება, საყვარელო!

— არ დაიძინო, ადამ!

— მაპატიე, ძვირფასო! იმის თქმა მინდოდა, დიდებული იქნება-მეთქი. ადამმა ნინას თავი მუხლებზე დაადო და დაიძინა.

— რა სურათია?! — თქვა არჩიმ კოკნის კილოზე, როცა შამპანურის ბოთლით ისევ ჩაუარა ადამსა და ნინას.

— გაიღვიძე, ადამ! წასვლის დროა! — თქვა ნინამ და ერთი-ორი ღერი თმა კიდევ ამოაგლიჯა.

— დიდებული იქნება!... რაო, ხომ არ ჩამეძინა?

— რა ხანია გძინავს. ძალიან საყვარელი სანახავი იყავი.

— ამ ხნის განმავლობაში სულ თავთან მეჭექი? გულჩვილი ხდები, ნინა... გულჩვილი... სად მივდივართ?

წვეულებას ათიოდე ადამიანიღა შემორჩენოდა, ისინი, რომლებიც ყოველი თავყრილობის ბირთვა შეადგენდნენ და რომლებიც სხვებზე ადრე არასოდეს იშლებოდნენ. დაახლოებით დილის სამი საათი იქნებოდა.

— მოდით, ლოტი კრამპთან წავიდეთ და დავლიოთ. — თქვა ადამმა.

ორ ტაქსში მოთავსდნენ და ბერკლის მოედნის გავლით დოუვრ-სტრიტზე გავიდნენ.

¹¹ კოკნი — cockney (ინგლ.) — ლონდონური მდებრიო მეტყველება.

„შეპარდში“ მორიგე შვეიცარმა უთხრათ, მისს კრამპი ეს-ეს არის წავიდა დასაძინებლად, მოსამართლე სკიმპთან მეგობრები არიან სტუმრად და მათთან ასვლას ხომ არ ინებებთო. ყველანი მოსამართლე სკიპის ოთახში ავიდნენ, მაგრამ იქ რაღაც საშინელება მომხდარიყო. სკიმპის ~~ქრთმობა~~ ~~სახლ-გაზრდა~~ სტუმარ კალს კაღზე ქანაობა მოსურვებოდა და ახლს ~~სკიმპის~~ ~~სტუმარს~~ შებლს შამპანურით ბანდნენ. ორ სტუმარს ღრმად ეძინა.

ასე რომ ადამი და მისი მეგობრები ისევ გარეთ, წვიმაში გამოვიდნენ.

— „რიცში“ რა დროსაც არ უნდა მიხვიდე, მორიგე ყოველთვის მოახერხებს რამეს. — თქვა არჩიმ, მაგრამ ისეთნაირად თქვა, დანარჩენებმა გადაწყვიტეს, „რიცში“ ასეთ დროს მისვლა არ ღირს, იქაურობა ძალიან, ძალიან მოსაწყენიაო.

მერე აგათა რანსიბლთან წასვლა დააბირეს, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა. მაგრამ აგათა გასაღები დაკარგვოდა და არც აქედან გამოვიდა რამე. ცოტაც და ვინმე საბედისწერო სიტყვებს იტყოდა: ლოგინის მეტი აღარაფერი მინდა, ნაიტა-ბრიჯისკენ თუ ვინმე მოდის, დამემგზავროსო და ყველაფერი ამით გათავდებოდა.

ამის მაგივრად ვიღაცამ გაუბედავი ხმით თქვა:

— ჩემთან რატომ არ წამოხვალთ?

ეს მისს ბრაუნის იყო.

ასე რომ ყველანი ისევ ტაქსებში ჩასხდნენ და მისს ბრაუნის სახლისაკენ გასწიეს. რომელიც კარგა მოშორებით ცხოვრობდა. მისს ბრაუნმა ულიმლამო სასტუმრო ოთახში სინათლე ჩართო და სტუმრებს სოდიანი ვისკით გაუძასპინძლდა (იგი საკმაოდ კარგი მააპინძელი აღმოჩნდა, თუმცა ზომიერად შეტად დაეციფუცობდა). მერე მაილზმა თქვა, მშაო და ყველანი დაბლა, უზარმაზარ სამზარეულოში ჩავიდნენ. სადაც ყველა ზომისა და ფორმის ჯამ-ჭურჭელი ჩამოემწკრივებინათ თაროებზე. სამზარეულოში მათ ღორის შაშხი და კვერცხები მონახეს და მისს ბრაუნმა ტაფამწვარი მოამზადა. შემდეგ ყველანი ისევ ზევით ავიდნენ და ვისკი დალიეს. ადამმა ერთხელ კიდევ ჩაიბინა. უცებ ვენბრუმ იკითხა :

— ნებას მომცემთ დავრეკო? ჩემი კორესპონდენციის ბოლო ნაწილი უნდა გადავცე რუდაქციას.

მისს ბრაუნმა ვენბრუმ კაბინეტში შეიყვანა, რომელიც ძალიან ჰგავდა კანცელარიას. ვენბრუმ თავისი მასალა ბოლომდე გადასცა ტელეფონით, მერე დანარჩენებთან დაბრუნდა და კიდევ დალია ვისკი.

მისს ბრაუნისათვის ეს საღამო ძალზე მომზიბლავი იყო. საკუთარი, ლაზათიანი მასპინძლობით თავბრუდაჩვეული ზან ერთ სტუმარს ევლებოდა თავს, ზან — მეორეს, ერთს ასანთს სთავაზობდა, მეორეს — სიგარას, ხოლო მესამეს — ზილს მოოკროვილი ლარნაკიდან, რომელიც ბუფეტზე იდგა. ნუთუ ეს ბრწყინვალე ახალგაზრდები, რომელთა შესახებ მისს მაუსისიგან ერთგვარი შურითაც კი ისმენდა ათასგვარ ამბებს, მამამისის სასადილო ოთახში სხედან და „ჩემო კარგოთი“ და „საყვარელოთი“ მიმართავენ?!

ბოლოს, როცა თქვეს, ეხლა კი ნამდვილად უნდა წავიდეთო, მისს რანსიბლმა განაცხადა:

— მე არსად წაიასვლელი არა მაქვს. იმიტომ რომ გასაღები დაკარგე. საშინლად წინააღმდეგი იქნებით, საყვარელო, აქ რომ დავიძინო?

მისს ბრაუნს შიშისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა. მაგრამ მაინც ძალზე ბუნებრივი კილოთი უპასუხა:

— რას ამბობ აგათა, საყვარელო! ღვთაებრივი იქნებოდა მაშინ მისს რანსიბლმა თქვა:

— რა ღვთაებრივი ხარ, საყვარელო!
ო. ნეტარებავ!

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

* * *

მეორე დღეს ათის ნახევარზე ბრაუნების ოჯახმა თავი სასადილო ოთახში მოიყარა.

აქ იყო ბრაუნების ოთხი მორიდებული ქალიშვილი (მისს ბრაუნი, რომელმაც წინა საღამოს იმასპინძლა, მათ შორის ყველაზე უმცროსი იყო) და მათი მამა, რომელიც საავტომობილო მრეწველობაში მუშაობდა და დილით ადრე უხდებოდა სახლიდან გასვლა ისინი მაგიდასთან ისხდნენ, როდესაც მათი დედის შემოვიდა.

— აბა, ბავშვებო, საუზმის დროს მამიკოსთან საუბარი არ დაგავიწყდეთ. გუშინ ცოტა ნაწყენი დარჩა თავს გარიყულად გრძნობს. თუ თავს ოდნავ ძალა დაატანთ, ძალზე ადვილია მისი საუბარში ჩაბმა. ხომ იცით, როგორ უყვარს, როცა რამეს უყვებიან.

— ნუ წუხხართ. დედიკო, ხომ იცით, ცდას არ დავაკლებთ.

— ბისესტერებთან როგორი დრო გაატარეთ, ჯეინ? — ჰკითხა დედამ ჯეინს და ყავა დაასხა.

— ღვთაებრივი! — თქვა უმცროსმა ბრაუნმა.

— რაო, როგორ თქვი, ჯეინ?

— სასიამოვნო-მეთქი, დედიკო!

— ასეც ვიცოდი! ახლანდელი გოგონები ბედნიერ ვარსკვლავზე ხართ დაზადებულნი. მე რომ თქვენნი ხნის ვიყავი, სად ავცო ამდენი ცეკვები. დიდი-დიდი სეზონის დროს, კვირაში ორჯერ გამართულიყო, ისიც მხოლოდ შობის შემდეგ.

— დედიკო!

— რა გინდა, ჯეინ?

— ერთ გოგოს ჩვენთან ლამის გათევა ვთხოვე.

— კარგი, გენაცვალე! როდისათვის? ხომ ზედავ. ისედაც ტევა აღარ არის.

— წუხელის ვთხოვე, დედა!

— ძალიან მაკვირვებს შენი საქციელი. მერედა დაგეთანხმა?

— ჰო, უხლა აქ არის!

— რაო?! ემბროუზ, მისის სპეროუს უთხარით, ერთი კვერცხიც მოგვითანოს.

— მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ არ ვიცი რა მოხდა, ამ დილით მისის სპეროუმ სამზარეულოში კვერცხები ვეღარ იპოვა. ქურდები თუ შემოვიდნენ ლამითო, ამბობა.

— რა უაზრობაა, ემბროუზ! სად გაგონილა ქურდები კვერცხების საპარავად დადიოდნენ სახლებში.

— სამზარეულოს იატაკი ერთიანად კვერცხის ნაკუჭით იყო მოფენილი, ქალბატონო!

— აჰა, გასაგებია! თავისუფალი ხართ, ემბროუზი გმადლობთ! რაო, ჯეინ, შენმა სტუმარმა არც ერთი კვერცხი აღარ დაგვიტოვა?

— მგონი, კი... ოჰ, რა ვიცი... ყოველ შემთხვევაში...:

სწორედ ამ დროს აგათა რანსიბლი სასადილო ოთახში შემოვიდა. დილის სინათლეზე მაინცა და მაინც მომხიბლავი ვერ იყო.

— ყველას კაი გამარჯობა! — მდაბიურად მოუქცია აგათამ. — როგორც იქნა მოგაგენით, იცით, მგონი ვილაკის კაბინეტში შევებეტე. მაგიდასთან ერთი სიმპათიური ბერიკაცი იჯდა. იმას ჩემი დანახვა გაუკვირდა! გაკვირვებაც ამასა ჰქვია! მამაშენი იყო?

— ეს კი დედაჩემია!

— განარჯობათ, — თქვა მისს რანსიბლმა, — რა კეთილი ხართ, საუბრეზე ასე ჩამოსვლის ნება რომ დამრთეთ (უნდა გაგახსენოთ, რომ მისს რანსიბლს ისევ ჰავაიელი ქალის საკარნავალო კოსტუმი ეცვა). არა, მართლა დარწმუნებული ხართ, რომ ჩემი დანახვა არ გაგიჟებთ? დამერწმუნეთ, მე უფრო თქვენზე უხერხულად ვგრძნობ თავს. ასეა თუ არა?... კი თუ არა?

— ჩაის დალევთ თუ ყავას? — როგორც იქნა მოახერხა სიტყვის ჩართვა ჯეინის დედამ. — ჯეინ, გენაცვალე, გაუმასპინძლდი შენს მეგობარს!

საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გატარებულმა მრავალმა წელმა მისის ბრაუნს ის აზრი განუმტკიცა, რომ დროულად შეთავაზებულ საჭმელს არა ერთი და ორი დამაბული სიტუაციის შენელება ძალუძს.

ამ დროს სასადილო ოთახში ჯეინის მამა შემოვიდა.

— რა საოცარი ამბავია, მართა!... მგონი, ჰკუიდან ვიშლები. კაბინეტში ეაჭეჭი და, დღეს რომ სიტყვა უნდა ვთქვა, იმას ვათვალისწინებდი. უცებ კარი გაიღო და კაბინეტში ნახევრად შიშველი პოტენტოტი ქალი ცეკვა-ცეკვით შემოვიდა. მერე ამ საოცარმა არსებამ ერთი კი თქვა: „ოჰ, რა სირცხვილი ვკანეო“ და გაუჩინარდა... მერე, ოჰ!..

მისტერ ბრაუნმა მხოლოდ ახლა მოჰკრა თვალი მისს რანსიბლს.

— აჰ! გამარჯობათ!.. როგორ?..

— თქვენ ჩემს მეუღლეს არ იცნობთ, არა?

— არა, მხოლოდ ერთი წამით მოგკარი თვალი, — თქვა მისს რანსიბლმა.

— ხომ კარგად გეძინათ? — როგორც იქნა მოახერხა ხმის ამოღება ჯეინის მამამ. — მართას არ გავუფრთხილებივარ, რომ სტუმარი გვყავდა. მომიტევეთ, თუ სათანადო სტუმართმოყვარეობა ვერ გამოვიჩინე... მე... ოჰ, რატომ არავინ იტყვით რამეს?

მისს რანსიბლმაც კი ერთგვარი უხერხულობა იგრძნო და დილის გაზეთს წამოავლო ხელი.

— აქ რაღაც სასაცილო ამბავი სწერია, წაგიკითხოთ? — იკითხა მან, რომ როგორმე საუბრისათვის თავი მოება.

— „ღამის ორგინები № 10 სახლში“ — რა ღვთაებრივი ამბებია, არა? მისმინეთ! „ამ სეზონის ყველაზე საოცარი წვეულება დაუნინგ სტრიტზე № 10 სახლში გაიმართა განთიადისას. დილის ოთხ საათზე პოლიციელები, რომლებიც გამუდმებით მორიგეობენ პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასთან, გასაოცარი შემთხვევის მოწმენი გახდნენ“. რა თავშესაქცევი ამბავია, არა? „რეზიდენციას ტაქსების ქარავანი მიადგა, საიდანაც ეგზოტიკურ, საკარნავალო ტანსაცმელში გამოწყობილი „ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდებია“ მხიარული

ჯგუფი გადმოვიდა“. ოპ, ნეტავი დამენახა! შეგიილიათ წარმოგიხსნათ რა სახე-
ხავები იქნებოდნენ?! „ამ წვეულებას, რომელსაც ერთ-ერთმა სტუმართაგანმა
„ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდების“ მიერ გამართულ წვეულებათა შორის
ერთ-ერთი უბრწყინვალესი უწოდა, მასპინძლობდა ჩვენი პრემიერ-მინისტრის
ოთხ შესანიშნავ ქალიშვილთაგან ყველაზე უმცროსი, მისს ჯეინ ბრაუნი! მისი
კეთილშობილება აგათა... რანსიბლი... რაო?! ეს რა გასაშტერებელი ამბავია...
ოპ, ღმერთო ჩემო!...

უცებ მისს რანსიბლის გონება სინათლის ძლიერმა ნაკადმა გაანათა; აი,
ისეთმა ძლიერმა ნაკადმა, როგორც მაშინ, როცა იგი, ჯერ კიდევ სრულიად
ახალგაზრდა დილის საქველმოქმედო სპექტაკლს ესწრებოდა: რაღაცაზე კუ-
ლისებში გასვლა მოუხდა. თავის ადგილას რომ ბრუნდებოდა, კარი შეეშალა
და პროექტორების ძლიერი სინათლით გაბღვრილებულ სცენაზე ამოჰყო
თავი, სადაც „ოტელოს“ ბოლო მოქმედება მიმდინარეობდა.

— ოპ, ღმერთო ჩემო! — თქვა მისს რანსიბლმა და მაგიდასთან მსხდომ
ბრაუნებს თვალი მოავლო. — ეს ვენბრუ რა თავხედი ვინშეა! სულ ანეთ რაღა-
ცებს გვიკეთებს. ღირსი იტნება, რომ ვუჩივლოთ და სამსახური დავაკარგვი-
ნოთ. თქვენ როგორ ფიქრობთ, სერ ჯეიმს, ღირსა? თუ იქნებ არ ღირს?

მისს რანსიბლი გაჩუმდა და ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ბრაუნებს.

— ოპ, გენაცვათ! ეს მართლაც რომ ბრეტის-ბრეტია! ოპ, ღმერთო
ჩემო!

მისს რანსიბლი შებრუნდა და ტროპიკული ყვავილებისაგან დაწნული გი-
რლანდების შლეიფის კონწიალ-კონწიალით ჯერ სასადილო ოთახიდან, ხოლო
შემდეგ კი სახლიდან გავარდა რეპორტიორებისა და ფოტოგრაფების დიდი
ჯგუფის სასიხარულოდა და სახეიროდ, რომლებიც უკვე კარგა ხანია მოგრო-
ვილიყვნენ და ელოდნენ მის გამოსვლას ამ ისტორიული რეზიდენციის სადა-
რბაზოდან.

თ ა ვ ი ო

ადამი თავის საშინელმა ტკივილმა გამოაღვიძა. ერთი-ორჯერ დარეკა ზა-
რი, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. მერე ისევ ჩაეიინა და მალე ისევ გამოეღვიძა.
ისევ დარეკა ზარი. კარებში გრაციოზული რბევით გამოჩნდა იტალიელი მსა-
ხური. ადამმა საუბრე შეუკვეთა ამ დროს ლოტი შემოვიდა და ადამს საწოლზე
ჩამოუჭდა.

— კარგად ისაუბრეთ, საყვარელო?

— ახლა გავიღვიძე, ჯერ არ მისაუბრია.

— ძალიან კარგი. კარგ საუბრეს არაფერი სჯობია. ვილაც ახალგაზრდა ქა-
ლმა დაგირეკათ, მაგრამ მომკალით, თუ მახსოვდეს რა დამიბარა. ჩვენთან ამ
დილით ყველაფერი თავდაყირა დგას. დიდი აურზაურია ატეხილი. აღარც მახ-
სოვს როდის მოვიდნენ პოლიციელები. იმდენი ღვინო დამილიეს! რაღაც-რა-
ღაცებს გვეკითხებიან და ცხვირს ჰყოფენ იქ, სადაც არაფერი ესაქმებათ, და
ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ფლოსის კაღზე პორწიალი მოეპრიანა. ეს ფლოსი
დიდი ტკვიანი არასოდეს ყოფილა. ისე კი იმ საცოდავს თავისი მიეზლო, სად
ვაგონილა კაღზე ქანობა! საცოდავი მოსამართლე, რა გვარია, ღმერთო, საში-
ნლად განიცდის. მე ვუთხარა, ქალი რომ ძვირფასი იყო, ეგ არაფერი-მეთქი.

ვუთხარი, როცა საქმე ფულზეა, იმ საქმეს ყოველთვის ეშველება-მეთქი, სწო-
რი არა ვარ, საყვარელო? საქმე ის არის-მეთქი, ვუთხარი, ამ ქალის ბიკვლი-
ლი-მეთქი და მთელი ეს რია-რია-მეთქი, ვის რაში სჭირდება საეთი ამბები-
მეთქი, სტუმრად მოვიდნენ და ფლოსივით თავი დაიღუპონ-მეთქი

— შენ აქ რას აკეთებ, ჩემო იტალიურო დედოფალავ? ეს ბიკვლის ბიკვლი-
მთაში სინით შემოსულ იტალიელს, შებოლილი თევზის სუნს გულიამრევად
ერწყმოდა Nuit de Noël-ის სურნელი.

— საუზმე მოვიტანე ჯენტლმენისათვის, — თქვა მსახურმა.

— ნეტავი მაცოდანა, მაინც რამდენჯერ უნდა ისაუზმოს ჯენტლმენმა? მან
საუკუნის წინათ ისაუზმა, მაშინ როცა შენ ქვევით ცხვირს იბუდრავდი, ხომ
მართალი ვარ, საყვარელო?

— არა, — თქვა ადამმა, — ნამდვილად არ მისაუზმია.

— ხომ გესმის, რასაც ჯენტლმენი გეუბნება, ორჯერ ხომ არ ისაუზმებს,
რადას უდგახარ აქ და უკანალს აქანავებ. სასწრაფოდ მოაცილე აქედან ეგ სინი,
თორემ მიიღებ, რაც გეკუთვნის... აი, ყოველთვის ასეა! პოლიცია მოვა თუ
არა, ყველას თავგზა ებნევა. ამ ყვეყჩმა თქვენთან ორი საუზმე მოიტანა და
ვინ იცის ვილაც უბედურს ერთიც არ აღირსა, კარგი საუზმის გარეშე როგორ
შეიძლება! ეხლანდელი ახალგაზრდები მარტო cachet Faivre-ს და ფორთო-
ხლის წვენს გვიკვთავენ დილაობით, განა ეს საქმეა! თანაც ერთხელ კი არ
მიტყვამს ამ ბიჭისათვის, მილიონჯერ გავაფრთხილე, სუნამოს ნუ ისხამ-მეთქი,

— თქვა ლოტიმ:

ისევ გაჰოჩნდა მსახურის თავი და მასთან ერთად Nuit de Noël-ის სურნე-
ლია ახალი ტალღა მოვარდა.

— ბოდიში, მადამ! ინსპექტორს თქვენთან საუბარი უნდა, მადამ!

— კეთილი, კეთილი, ჩემო სამოთხის ჩიტუნავ! ეხლავე ჩამოვალ!

ლოტი წაჩაკჩაკდა, მსახური კი სინით ხელში გვერდულად შემოვიდა ოთა-
ხში და ადამს ბილწი ინტიმურობით გაულრიჭა.

— თუ შეიძლება აბაზანა მომიშადეთ, — სთხოვა ადამმა.

— სამწუხაროდ თქვენს აბაზანაში ერთ ჯენტლმენს სძინავს, გავალვიძო?

— არა! კარგი, არ მინდა!

— მეტი არაფერი ვნებავთ, სერ?

— არა, გმადლობთ!

მსახური შეკონდა და საწოლის ბოლოზე დამაგრებულ რკინის ბურთუ-
ლებს თითებით წვალება დაუწყო. თან ადამს ლაციცა ღიმილით თვალს არ აცი-
ლებდა. მერე საიდანღაც კიდებზეყვითლებული გარდენია ამოაძვრინა (მან ეს
გარდენია ვილაციის ფრაკის ღილ-კილოდან ამოაძრო, რომელიც ის-ის იყო გაწ-
მინდა).

— იქნება სინიორს მოეწონოს ყვავილი? მადამ კრამპი მეტისმეტი მკაც-
რი... ზოგჯერ ისე კარგი ჯენტლმენებთან ლაპარაკი...

— არა, მოშორდი აქედან, — უთხრა ადამმა, რადგანაც თავი სტკიოდა.

მსახურმა ღრმად ამოიოხრა და კარისაკენ გაგულისებული ნაბიჯებით წა-
კიდა. კართან შედგა, ერთიც მოიხედა და მერე თავისი გარდენით აბაზანაში
მძინარე ჯენტლმენთან შევიდა.

ადამმა წაისაუზმა. „ოასაც კარგი სუნი უდის, ყველაფერი გემრიელი რო-
დია“. ფიქრობდა ადამი; თევზის ქვალსა და რბილთან მეტისმეტად მიწიერმა

ურთიერთობამ თავდაპირველი ბედნიერი ალტკინება გაუნელა ადამს. ნეტავი შეეძლოა იელოვასავით შესაწირავის დაწვისას წარმოკმნილი სურნელით დაეწყობდა! ადამი ერთხანს ზურგზე იწვა და სხვადასხვაგვარად სუნზე ფიქრობდა. ფიქრობდა შემწვარი თევზის საზიზღარ გემოზე... ადამის აღმავრელ სუნზე. შემწვარ თევზს რომ ასდის; საფუნთუშის დამათრობელ სუნსა და ყოვლად უგემურ ფუნთუშებზე... გონებია თვალით ადამი მომაჯადოებელი, არონატული საკმელების მწკრივებს ჰვრეტდა, რომლებიც მხოლოდ უნდა დაყნოსო და ძალს მიუგდო... უსასრულო მწკრივები, სადაც ერთ სურნელს მეორე სცვლის და გრძელდება მზის ამოსვლიდან დაისამდე და სიმადრის გრძობასაც კი არ იწყევს; შიგადაშიგ ადამი ძველი კონიაკის უზარმაზარ ულუფებს ყნოსავდა... აჰ, მტრედის ფრთებო, სადა ხარ? ცოტა არ იყოს გადაუხვია ადამმა თემას და ისევ ჩაუძინა (ყველას შეიძლება ეწვიოს ასეთი, ოთხმოცდაათიანი წლებისათვის დამახასიათებელი განწყობილება წვეულებიდან დაბრუნების მეორე სისხამ დღით).

* * *

- ცოტა ხანში ადამის სასთუმალთან ტელეფონმა დარეკა.
- დიახ, გისმენთ!
- ელაპარაკეთ კალბატონს! .. ალლო, ადამ შენა ხარ?
- ნინა ხარ?
- როგორა ხარ, ძვირფასო?
- აჰ, ნინა! ნუ მკითხავ!
- ჩემი საცოდავი ადამი! მეც ზუსტად მასე ვარ! ერთი ეს მითხარი, ჩემო სიცოცხლე, ხომ არ დაგვიწყებია, დღეა მამაჩემთან რომ მიდიხარ? ეა-ეს არის დებემა გავუგზავნე, რომ გამეფრთხილებინა, სადღლისათვის ჩამოვამეთქი, იცი, სად ცხოვრობს?
- შენც ხომ მოდიხარ?
- მე? მე არა! არა მგონია მოვახერხო... შენ ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო?... რომ იცოდე, რა კუდადა ვარ...
- შენ რომ იცოდე, მე როგორა ვარ...
- ჰო, მაგრამ შენ მაინც შენა ხარ, საყვარელო! ამ საქმეს ორი კაცი სულ არ სჭირდება.
- კარგი, მაგრამ რა ვუთხრა?
- რა მომბაბუხრებელი ხარ, გენაცვალე! ძალიანაც კარგად იცი, რაც უნდა უთხრა, ფული უნდა სთხოვო!
- მერედა მოეწონება?
- რასაკვირველია, მოეწონება, გენაცვალე! რატომ მაგვიანებ! გეყოფა, სადაცაა უნდა ავდგე, კარგად იყავი! თავს გაუფრთხილდი... როცა ჩამოხვალ, დამირეკე და გამაგებინე მამამ რა ვითხრა. დღევანდელი გაზეთები გადაათვალიერე? წუხანდელ ამბებზე რაღაც ახალი წერია, დიდი აბუხარი ვინმეა ეს ვენბრუ, კარგად მეყოლე!
- ადამი უკვე იკვამდა, როცა გააბხენდა, რომ არ იცოდა, სად უნდა წასულიყო. მან ისევ დაურეკა ნინას.
- კაცმა რომ თქვას, ნინა, სად ცხოვრობს მამაშენი?

— არ შიტქვამს? სახლს დაუტინგი¹² ჰქვია და მართლაც საეჭვოა დიდხანს გასძლოს. ეილსბერიმდე მატარებლით მიხვალ, მერე ტაქსი უნდა იქირაო, გაფრთხილებ, ჩვენთან ეილსბერიში მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტხირს ტაქსისტები არიან... ფული თუ გაქვს?

ადამმა საწოლის გვერდით მდგარ ტუმბოს შეხედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შვიდ შილინგამდე იქნება.

— ეგ რას გეყოფა, საყვარელო! მოგიწევს ტაქსის ფულიც მამაჩემს შეაწერო.

— მერედა მოეწონება?

— რასაკვირველია, მოეწონება, ანგელოზია!

— ნეტავი შენც წამოსულიყავი, ნინა!

— ხომ გითხარი, საყვარელო. ყველაფერი მტკივა-მეთქი.

* * *

პირველ საათულზე, ლოტის თქმისა არ იყო, ყველაფერი თავდაყირა იდგა, სხვანაირად რომ ვთქვათ, სასტუმროს ყველა კუთხე-კუნკულში პოლიციელები და რეპორტიორები დაძვრებოდნენ. ყველას შამპანურის ბოთლი და ჭიქა ეჭირა ხელში. ლოტი, დოჯი, მოსამართლე სკიმპი, პოლიციის ინსპექტორი და ოთხი დეტექტივი მოსამართლის ნომერში იყვნენ.

— მართო ერთი რამ არ მესმის, სერ, — თქვა ინსპექტორმა, — რამ აფიქრებინა ახალგაზრდა ქალბატონს ჯალზე ჭანაობა? უღრმეს ბოდიშს ვიხდო, სერ, შეურაცხყოფელს არაფერს ვგულისხმობ, მაგრამ იქნებ ეგ ქალბატონი...

— დიახ, ნამდვილად, — უბაჟუხა მოსამართლე სკიმპმა.

— ზუსტად ასეა! — თქვა ინსპექტორმა. — აშკარად უბედური შემთხვევაა, არა, მისის კრამპ? გამოძიება დაინიშნება, მაგრამ მგონი შევძლებ, საქმე ისე წავიყვანო, რომ თქვენი სახელი არსად ახსენონ, სერ... ოჰ, დიდად გმადლობთ, მისის კრამპ, მხოლოდ ერთი ჭიქა!

— ლოტი, შეგიძლია ფული მასესხო? — ჰკითხა ადამმა ლოტის.

— ფული, საყვარელო? რასაკვირველია! დოჯ, გაქვს ფული?

— მე იმ დროს მეძინა, მადამ, და არაფრისათვის არ მომიკრავს ყური, სანამ ამ დილით არ დამიძახეს. მოგეხსენებათ ცოტა ყურს მაკლია და უბედურება...

— მოსამართლე, რა გვარი ხართ, ფული თუ გაქვთ?

— დიდ სიამოვნებას მომანიჭებთ, თუ ნებას მომცემთ რამით დაგეხმაროთ...

— მშვენიერია! მიეცით ფული ამ ახალგაზრდას, რა ჰქვია ერთი? მეტი ხომ არ გჭირდება, სანატრელო? სად მიდიხარ? ეს-ეს არის დალევას ვეპირებოდით... არა, ეგ ღვინო არა, გენაცვალე, მაგას პოლიციისათვის ვინახავთ. ჩვენთვის უკეთესი ღვინო დავაბარე, თუ გვადირსა მოტანა ჩემმა კეკლუცმა...

¹² douting (ინგლ.) — საეჭვო.

ადამმა ერთი ჭიქა შამპანური დალია, ეგებ გამომაკეთოსო, მაგრამ შამპანურმა უარესად გახადა.

მერე ადამი მერილბონის სადგურში წავიდა. თერთმეტე ნოემბერი¹² იყო. ქუჩებში ხელოვნურ ყაყაჩოებს ყიდდნენ. ადამი სადგურში რომ მივიდა, საათმა აწორედ იმ დროს დარეკა თერთმეტჯერ და მთელ ქვეყანაში ორი წუთით სამშვიდემ და გარინდებამ დაისადგურა. სულ მოკლე ხანში ადამი ეილსბერისაკენ მიმავალ მატარებელში იჯდა და გაზეთში არჩი შვერტის მიერ მოწყობილი წვეულების შესახებ ბალკარის კორესპონდენციას კითხულობდა. ადამს ძალზე ესიამოვნა, როცა თავის თავზე წაიკითხა, „ბრწყინვალე, დამწყები რომანისტიო“. გაიფიქრა, ნეტავი ნინას მამა თუ კითხულობს ამ ქრონიკასო და ისიც გაიფიქრა, ნაკლებ სავარაუდოა კითხულობდესო. რაც შეეხება მის წინ მჯდარ ორ მანდილოსანს, ისინი, ეტყობა, ყოველთვის კითხულობდნენ ხსენებულ ქრონიკას.

— წავიკითხე თუ არა, მაშინვე მივეარდი ტელეფონს და ჩვენი კომიტეტის ყველა წევრს ჩამოვურეკე. პირველი საათისათვის ჩვენს დეპუტატთან დებეშა უკვე გაგზავნილი გვქონდა. ბოისელებს არ გვიყვარს გულხელდაკრეფილი ჯდომა. დებეშის ასლი თანა მაქვს. აი, მისმინე რა მივწერეთ: „ჩესემ ბოისის ქალთა კონსერვატული ასოციაციის კომიტეტის წევრები უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამენ დღევანდელ გაზეთში მოთავსებული რეპორტაჟის გამო. რომელიც № 10 სახლში შუალამია წვეულებაა ეხებოდა. ქალები კანტიან გრატუელს (ეს ჩვენი დეპუტატია. სხვათა შორის, ძალიან სასიამოვნო ადამიანია), დაბეჭითებით მოუწოდებენ არავითარ შემთხვევაში არ დაუჭიროს მხარი პრემიერ-მინისტრს“. დებეშა თითქმის ოთხი მილიონი დაგვიჯდა, მაგრამ მე მაშინაც ვთქვი და ეხლაც ვიმეორებ, რომ არა ღირს კაპიკებს მოვუფრთხილდეთ და მილიონები გადავყაროთ. ხომ შეთანხმებით, მისის აიტუეიტ?

— როგორ არა, მისი ორუფი-ამით! ეს ისეთი შემთხვევაა, როცა საჭიროა ამომრჩეველთა თანხმობა. მე აუცილებლად მოველაპარაკები ჩვენი კომიტეტის თავმჯდომარეს უენდავერში.

— აუცილებლად მოველაპარაკეთ, მისის აიტუეიტ, აუცილებლად! სწორედ ასეთ შემთხვევაში ქალთა ხმები მეტად მნიშვნელოვანია.

— მე რომ მკითხონ, რა გირჩევნია, ბანკების ნაციონალიზაცია თუ მორალის საკითხებში ხელმისწვებულობაო, ვიტყვოდი, ბანკების ნაციონალიზაციამეთქი. გამიგეთ, რასაც ვამბობ?

— მეც ზუსტად თქვენნაირად ვფიქრობ. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამით დაბალ ფენებს საშინელ მაგალითს ვაძლევთ.

— მეც ეგ მინდოდა მეთქვა. ჩვენი აგნესა აიღეთ, მაგალითად. როგორ დავუშალო, სამზარეულოში თაყვანისმცემლები არ შეიყვანო-მეთქი, როცა გაიგებს, რომ თურმე თვით სერ ჯეიმს ბრაუნთან ღამის ნებისმიერ საათებში იყრიან თავს და ღრეობენ?

ქალებს ისეთი ქუდები ეხურათ, სანთლით რომ გეაებნათ, მსგავსა ვერსად იპოვიდით. მათი საუბრის რიტმს აყოლილი ქუდები ცქმუტავდნენ და აქეთ-იქით ქანაობდნენ.

¹² ამ დღეს ინგლისში აღნიშნავენ როგორც პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წ. წ.) დამთავრების დღეს.

* * *



ეილსბერიში ადამმა ტაქსი იქირავა და მძღოლს დაუტინგში მიყვანა სთხოვა.

— დაუტინგ-პოლი?

— ჰო, მგონი მასეა. რაო, ხომ არ ინგრევა?

— შეღებვა არ აწყენდა. — თქვა სახედალუდუდებულმა ახალგაზრდა მძღოლმა. — ბლაუნტებთან?

— ზუსტად გამოიცანი.

— დაუტინგ-პოლი აქედან კარგა შორს არის. თხუთმეტი შილინგი დაგიჭდებათ.

— ეგრე იყოს!

— თუ რომელიმე ფირმის აგენტი ხართ, პირდაპირ გეტყვით, იქ წასვლა არა ღირს. ამ დილით ერთმა გზა მკითხა, „მოკისით“ იყო. უნდოდა ბლაუნტიათვის მტვერპარუტი მიეყიდნა. მოხუცმა, თურმე, ფირმას წერილი მიასწერა, ნიმუში გამომიგზავნეთო, მასთან ჩასულ აგენტს კი ზედაც არ შეხედა. აზრზე ხართ?

— არა, მე არაფრის მიყიდვას არ ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში მთლად მასეც არ არის საქმე.

— პირადი საქმე გაქვთ?

— დიახ!

— აჰა!

მძღოლმა, რაკი დარწმუნდა, მგზავრი არ ხუმრობსო, საწვიმარი გადაიცივა (რადგანაც წვიმდა), მანქანიდან გადმოვიდა და ძრავა სახელურით აამუშავა. მალე გზას გაუდგინენ.

გზის პირას ბუნგალოები, ვილები და ხის ტრაქტორები ჩამწკრივებულიყვნენ. დაახლოებით ორი მილი გაიარეს, სანამ სოფლამდე მიაღწევდნენ. ამ სოფლის თითქმის ყოველ სახლში გარაჟი ან კიდევ ბენზინის ჩასაახმელი სადგურები მოეწყობოთ. სოფელთან მთავარი გზიდან გადაუხვიეა და ადამია ნამდვილი წამებაც აქედან დაიწყო.

ბოლოს ისინი ორ რვაკუთხა ბუდრუგანას შორის მოქცეულ, გერბიან ბოძებზე დაკიდებულ თუჯის ჭიშკარს მიადგნენ. ჭიშკრიდან იწყებოდა სახლთან მისასვლელი ფართო, მაგრამ ცუდად მოვლილი გზა.

— დაუტინგ-პოლი ეს არის, — თქვა მძღოლმა.

მან რამდენჯერმე მისცა საყვირი, მაგრამ დარაჯის ლოყაწითელი, წინსაფრიანი ცოლი არ გამოჰგებებიათ, და არ უჩვენებია მათთვის გზა. მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა და ჭიშკარს უკმაყოფილო სახით დაეჯაჯგურა.

— ცხრაკლიტული ადევს, — თქვა მძღოლმა. — სხვა მხრიდან მოვეუაროთ.

დაახლოებით ერთი მილი კიდევ გაიარეს. დაუტინგ-პოლის მხარეს გზას სანახევროდ დანგრეული კედელი და თქეშისაგან გალუმპული ხეების მწკრივი მიუყვებოდა. აი, რამდენიმე კოტეჯი და თეთრი ალყაფის კარები გამოჩნდა. ალყაფია კარები გააღეს და მოუკირწყლავ გზას დაადგნენ, რომელსაც პარკისაგან რკინის დაბალი მესერი ჰყოფდა. გზის ორივე მხარეს ცხვრები ძოვდნენ. ერთი ცხვარი გზაზე გადმოსულიყო და მათ წინ დამფრთხალი მიჩაკჩაკებდა, წამდაუწყებ ჩერდებოდა და ჭუჭყიანი კუდის ზემოდან გამოხედავდა ხო-

ლმე მანქანას. მერე ისევ გადარეული გარბოდა. მანამ ირბინა, სანამ დაბნეულობისაგან გვერდზე არ გახტა. მანქანა ცხვარს წამოეწია და მერე გაუსწრო.

მანქანამ თავლაა, სათბურებს, წვიმიასაგან დამბალი ფოთლების გროვას ჩაუარა, გასცდა ენით აუწერელ დამხმარე ნაგებობებს, რომლებიც ოდესღაც სამრეცხაოს, ლუდის სახდელისა და ფურჩის მოვაჭრეების სახელებდნენ. გვერდზე მოიტოვეს უხარმაზარი ჩიბეც, სადაც ოდესღაც დათვი პყავდათ დამწვდელთა, ტაქსა თელების, ბაძვისა და დაფნიას კორომიც გალია და ოდესღაც ხრეშით მოფენილ გაშლილ მოედანზე გავიდა. მათ თვალწინ აღიმართა შენობა, რომლის კლასიკური ფასადის წინ ცხენზე ამხედრებული ქანდაკება მეფური უფლებამოსილებით იშვერდა კვერთხს მთავარი ხეივნისაკენ.

— მოვედი! — თქვა მძღოლმა.

ადამმა ფული გადაიხადა და პარმალის რამდენიმე საფეხური აიარა. ზარი დარეკა. შეიცადა. უშედეგოდ. ისევ დარეკა. ამჯერად კარი გაიღო.

— ორჯერ რატომ რეკავთ? რა გნებავთ? — იკითხა ძალიან გაჯავრებულმა კაცმა.

— მისტერ ბლაუნტი შიხ აოის?

— აქ არავითარი მისტერ ბლაუნტი არ ცხოვრობს. ეს პოლკოვნიკ ბლაუნტის სახლია.

— მაპატიეთ... მე მგონი, პოლკოვნიკი ბლაუნტი დღეს საუზმეზე მელის.

— სისტუღელე! პოლკოვნიკი ბლაუნტი მე ვარ. — და მან კარი მიხურა. ტაქსი აღარსად ჩანდა. ისევ ძალიან წვიმდა. ადამმა კიდევ დარეკა.

— დიახ! — სწრაფად გამოეპასუხა პოლკოვნიკი ბლაუნტი.

— ნება მომეცით, თქვენი ტელეფონით ტაქსი გამოვიძახო.

— ტელეფონით ვერ გამოიძახებთ... როგორ წვიმს!.. რატომ არ შემოხვალთ? ასეთ თავსხმამი სადგურში ფეხით წასვლა წარმოუდგენელია. — თქვენ მტვერსასრუტის თაობაზე ხართ?

— არა!

— საოცარია! მთელი დილა ველოდი ერთ კაცს, რომელსაც ჩემთვის მტვერსასრუტი უნდა ეჩვენებინა. მობრძანდით, მობრძანდით! საუზმეზე ხომ არ დამეწვევით?

— დიდი სიამოვნებით.

— დიდებულია! ამ ბოლო დროს ჩემთან იშვიათად თუ შემოივლის ვინმე. უნდა მაპატიოთ, კარი რომ თვითონ გაგიღეთ. ჩემი მსახური დღეს წევს. ნესტიან ამინდში ფეხი ძალიან აწუხებს. ორივე ფარეში ომში მომიკლეს... პალტო და ქუდი აქ დადეთ... ხომ არ დასველდით? როგორ მწყინს, რომ მტვერსასრუტი არ მოიტანეთ... მაგრამ არაფერია... გამარჯობათ! — თქვა პოლკოვნიკმა მოულოდნელად და ადამს ხელი გაუწოდა.

ერთმახეთს ხელი ჩამოართვეს და პოლკოვნიკი ბლაუნტი გრძელ დერეფანს დაუყვა. სადაც კვითელი მარმარილოს სადგამებზე ბიუსტები ჩამოემწვრივებინათ. დერეფანმა ისინი ერთ, ავეჯით გადატვირთულ ოთახში მიიყვანა, სადაც მშვენიერ, როკოკოს სტილით ხაგებ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ფანჯარასთან, რომელიც აივანზე გადიოდა, დიდი, ტყავგადაკრული კაკლია ხის საწერი მაგიდა იდგა. პოლკოვნიკმა ბლაუნტმა მაგიდიდან დეპეშა აიღო და წაიკითხა.

— სულ გადამავიწყდა. — თქვა შეცბუნებულმა პოლკოვნიკმა. — ალბათ

უზრდელობაში ჩამოშართმევთ, მაგრამ როგორც ჩანს, თქვენს მიწვევას საუზ-
მეზე ვერ მოვახერხებ. დღეს სტუმარი ჩამომიდის, ძალზე საჩოთირო ოჯახურ
ამბებზე უნდა მოვითათბიროთ. გამიგეთ?... მართალი გითხრათ, ერთი თავზე-
დი ახალგაზრდა ჩამოდის, რომელსაც ჩემი ქალიშვილის შერთვა უნდა, უკრალად
უნდა მოვილაპარაკოთ პარობებზე.

— მეც რომ მინდა თქვენი ქალიშვილის შერთვა? — თქვა ადამმა.

— რა უცნაური დამთხვევაა! დარწმუნებული ხართ, რომ ნამდვილად გინ-
დათ?

— იქნებ დეპეშა ჩემ გაბოა გამოგზავნილა? რა სწერია?

— „დავინიშნე ადამ საიმზზე. ელოდე საუზმისათვის. ნინა“. ადამ საიმზი
ხართ?

— დიახ!

— მერედა, ჩემო კარგო, თავიდანვე ვერ მითხარით? სულ მტვერსასრუტ-
ზე რომ ლაპარაკობდით. გამარჯობათ!

მათ ისევ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

— თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, საქმიანი საუბარი ნასაუზმევისა-
თვის გადავდოთ. სამწუხაროდ წლის ამ დროს ჩვენთან ყველაფერი მოშიშველე-
ბულია. აი, ზაფხულში უნდა ჩამოხვიდეთ და ნახოთ აქაურობა. შარშან მშვე-
ნიერი პორტენზიები გვქონდა, მომავალ ზამთარს, მე აქ, ალბათ, აღარ დავრ-
ჩები. უზარმაზარი სახლია ერთი მოხუცისათვის. ეილსბერის გარეუბნებში რომ
სახლებს აშენებენ, იმათზე მიჭირავს თვალი. აქეთ რომ მოდიოდით, არ შეგიმ-
ჩნევიათ პატარა, სასიამოვნო, წითელი სახლები?... აბაზანი და ყველაფრით.
იაფიც არის და კინემატოგრაფთანაც ახლოს ვიქნები. თქვენ ხომ გიყვართ კი-
ნო? მე და ჩვენი პასტორი ხშირად დავდივართ კინოში. იმედი მაქვს ჩვენი პას-
ტორი მოგეწონებათ. ერთი უბრალო, ჩვეულებრივი კაცია, მაგრამ ავტომობი-
ლი ჰყავს და... ხელსაყრელია. რამდენა ხნით ჩამოხვედით?

— ნინას დავპირდი, ამ საღამოსვე დავბრუნდები-მეთქი.

— საწყენია! „ელექტრა პალასში“ ახალი ფილმი მოიტანეს, შეგვეძლო
წავსულიყავით.

ოთახში ნანშიშესული მოახლე შემოვიდა და მამაკაცები საუზმეზე მიიწ-
ვია.

— „ელექტრა პალასში“ რა გადის მისის ფლორინ?

— მგონი „ვენეციური კოცნა“ გრეტა გარბოს მონაწილეობით, სერ!

— გრეტა გარბოს მოტრფიალე არ მეთქმის. ძალიან მინდა მომწონდეს.
მაგრამ არაფერი გამომდია, — თქვა პოლკოვნიკმა ბლაუნტმა.

ისინი უზარმაზარ სასადილო ოთახში შევიდნენ. ოთახის კედლებზე წი-
ნაპართა პორტრეტების ტევა არ იყო.

— თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, მე მირჩევნია საუზმის დროს არ
ვისაუბროთ.

პოლკოვნიკმა „პანჩის“¹⁴ ერთად აკინძული ნომრები თავისი თეფშის წინ
მდგარ უზარმაზარ ვერცხლის ურნას მიაყუდა, რომელშიც პატარა რძიანა
ჩაერგოთ.

¹⁴ „Punch“ — ინგლისური სატირულ-ემოციონალური ჟურნალი.

— მისტერ საიმზსაც მიეცით წიგნი, — უთხრა პოლკოვნიკმა მისის ფლორინს.

მისის ფლორინმა ადამს „კანჩის“ ასევე აკინძული ნომრები დაუღო წინ.

— თუ რამე სასაცილო შეგხვდეთ, ხმამაღლა წამოიხილოთ, — თქვა პოლკოვნიკმა ბლაუნტმა.

საუბმე დაიწყო

თითქმის ერთი საათი ჯამდნენ. კერძი კერძს ერთგვარი შემაშფოთებელი სიუხვით მოსდევდა. პოლკოვნიკი ბლაუნტი შეუჩერებლივ ჯამდა და ჯამდა და თან კითხულობდა. კითხულობდა და ხშირად ხითხითებდა კიდევ. ჯამეს კურდღლის წვნიანი, მოხაოშული თევზი, დააყოლეს ორთქლში დაბუღული გულღვიძლი, მადერის წვენიში ჩადებულ შებოლილი ღორის ბარკალი, შემწვარი ხოხობი, რომიანი ომლეტი, შემწვარი ყველი და ბოლოს ხილი მიაყოლეს. სვეს: ჯერ ხერესი, მერე ბორდო, მერე პორტვინი. ამის შემდეგ პოლკოვნიკმა წიგნი ისეთი ფართო ეესტით დახურა, როგორც ამ სკოლის დირექტორი, სადაც ოდესღაც ადამი სწავლობდა. სადამოს ლოცვის შემდეგ ბიბლიას დახურავდა ხოლმე. პოლკოვნიკმა ხელსახოცი ფაქიზად დაკეცა და ვერცხლის მასიურ რგოლში გაუყარა. მერე სატრაპეზო ლოცვის რამდენიმე სიტყვა ჩაიბუბუნა და ფეხზე წამოდგა.

— თქვენი არ ვიცი და მე კი ერთი პატარა წამინება არ მაწყენდა, — თქვა მან და ოთახიდან სასწრაფოდ გავიდა.

— ბიბლიოთეკაში კეცხლი ანთია. აერ, — უთხრა მისია ფლორინმა ადამს. — ყავას იქ მოგართმევთ. პოლკოვნიკი შუადღისას ყავას არ გეახლებათ. მისი ჯაკვირვებით, როცა შუადღისას ყავას სვამს, აღარ ეჭინება, შუადღის ჩაის როდისათვის ინებებთ, სერ?

— ლონდონში დღესვე უნდა დავბრუნდე, როგორ ფიქრობთ, პოლკოვნიკი მალე გამოვა?

— რა გითხრათ, სერ! როგორც წესი ხუთზე ან ექვსის ნახევარზე იღვიძებს. მერე სადილობამდე, რომელიც შეიდ საათზეა, კითხულობს, ხოლო სადილის შემდეგ პასტორს კინოში მიჰყავს ხოლმე. როგორც ხედავთ, ძალიან კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა.

მისის ფლორინმა ადამი ბიბლიოთეკაში შეიყვანა და ვერცხლის ყავადანი ახლოს მიუდგა.

— ჩაის ოთხ საათზე მოგართმევთ, — თქვა მან.

ადამი ბუხრის წინ, ღრმა სავარძელში ჩაჯდა. ორმაგ ფახჩრებზე წვიმის წვეთები რაკუნობდა. მაგიდაზე რამდენიმე ჟურნალი იდო, ძირითადად კინოსადმი მიძღვნილი იაფფასიანი ყოველკვირეული გამოცემები. იქვე იდგა ბუხრის ფიტული, კარადაში ეწყო ადრეული ხანის, ბრიტანული ნამარხების ნიმუშები: ძვლის კინძისთავეები, თიხის კურკლის ნამსხვრევეები და თავის ქალა. ეს ყველაფერი მრავალი წლის წინათ ეპოვათ პარკში, სადაც გათხრებს აწარმოებდნენ, და ნინას გუვერნანტ ქალს აღენუსხა. აქვე იყო მუორე კარადა, სადაც ნინას მრავალმხრივი, საკოლექციონერო მოღვაწეობის ნამუსრევი — სხვადასხვა სახეობის რამდენიმე პეპელა, ერთი-ორი ხოჭო, რაღაც გაქვავებული ნამარხები, ჩიტის რამდენიმე კვერცხი და ორიოდ მარკა ინახებოდა. დანარჩენი კარადები სავსე იყო მეტისმეტად ძნელად საკითხავი წიგნებით. კუთხეში თოფი, პეპლები საკერი ბადე და მუჯირა მიეყუდებიანთ. კარადებში ნახავდით სა-

ყოფლო-სამეურნეო მანქანების, აცეტილენის დანადგარის, გაზონების საკრე-
ჭი მანქანების და „სპორტული ინვენტარის“ კატალოგებს. იქვე მიეწოდებინათ
საგვარეულო გერბიანი დაფა, რომელსაც ბუხარზე ასაფარებლად ნიშრობენ.
ბუხრის თავზე პოლკოვნიკ ბლაუნტის ცხენოსანთა პოლკის ნამსახურობის
დროინდელი დაქარგული ასალი დაეფინათ. აქვე იდო გრავირება: რუხი და ც-
სამეფო იახტის ეკიპაჟის ყველა წევრი იყო გამოსახული. გრავირებაზე მიეწე-
რათ მაშვე გამოახულ პირთა აია. ჩამოთვლილა გარდა ოთახში ახვაც მრავალი,
არანაკლებ საინტერესო ნივთი მოიხებნებოდა. მაგრამ ადამს მანამდე ჩაეძინა,
სანამ მათ დანახვას მოასწრებდა.

მისის ფლორინმა ადამი ოთხ საათზე გააღვიძა. ყავადანი სადღაც გამჭრა-
ლიყო და მისი ადგილი მაქმანიანი ხელსახოცით დაფარული ვერცხლის სინს
დაეკავედინა. სინზე ვერცხლის ჩაიდანი იდგა, ვერცხლის ქეთლისათვის კვეშ
პატარა სპირტქურა შეედგათ. იქვე იდო ვერცხლისავე სანაღებე და ფუნთუშე-
ბით სავსე, თავდახურული ვერცხლის თეფში. სინზე დაელაგებინათ კარაქწა-
მული. გახუხული პური, თაფლი, საწებელა, შოკოლადის ნამცხვარი, ალუბლის
ნამცხვარი, ხილი, ნამცხვარი, ხაშხაშიანი ნამცხვარი, პამიდვრის აენდვიჩები,
მარილი, წიწკა, ქიშმიშიანი პური და კარაქი.

— თოხლო კვერცხს ხომ არ ინებებთ, სერ? თუ ამ დროს გამოღვიძებულია,
პოლკოვნიკი მიირთმევს ხოლმე.

— არა, გმადლობთ! — უპასუხა ადამმა.

დასვენების შემდეგ ადამი თავს გაცილებით უკეთ გრძობდა. როცა ის
და ნინა ცოლ-ქმარი იქნებიან, ლონდონში ლოთობის შემდეგ ურიგო არ იქნება
აქ ჩამოსვლა და ერთი დღით დასვენება. — გაიფიქრა ადამმა. მან მხოლოდ
ახლა შენიშნა ჩასუქებული, ახლადგაღვიძებული, თეთრლაქებიანი ელალი სპა-
ნიელი, რომელიც ბუხრის წინ ფარდაზე იწვა და იზმორებოდა.

— თუ შეიძლება, ფუნთუშებს ნუ აჭმევთ. ფუნთუშები არ ეჭმევა, მაგრამ
პოლკოვნიკი მაინცა და მაინც ფუნთუშებს აჭმევს ხოლმე. — თქვა მისის
ფლორინმა და გულახდილობის სურვილით ატანილმა დაამატა:

— ეს ძალდი ძალიან უყვარს. სადამოობით კინოში მიჰყავს ხოლმე, თუმ-
ცა, რასაკვირველია, მას არ შეუძლია ადამიანივით გაიგოს ფილმები.

ადამმა მას (მისის ფლორინს კი არა, სპანიელს) შაქრის კვნიტი დაუგდო
და ფეხით მოეფერა. ძალმა აშკარა გულითადობით აულოკა ფეხსაცმელი.
ადამისათვის უცხო არ იყო ძალის გულითადობით გამოწვეული სიამოვნების
განცდა. ადამმა ჩაი დალია და ჩიბუხის გაწყობას შეუდგა. ამ დროს ბიბლიო-
თეკაში პოლკოვნიკი ბლაუნტი შემოვიდა.

— ვინ უშმაკი ხართ? — ჰკითხა ადამს მასპინძელმა.

— ადამ ადამი. — უპასუხა ადამმა.

— პირველად მესმის! აქ როგორ აღმოჩნდით? ჩაი ვინ მოგიტანათ? რა
გნებავთ?

— საუზმეზე თქვენ მომიწვიეთ. ჩემი და ნინას ქორწინების თაობაზე მო-
კალაპარაკებლად ჩამოვედი.

— დიახ, დიახ! ეს რა შემართება! სახელებს ვერა და ვერ ვიძახსოვრებ.
ეს იმიტომ, რომ საზოგადოებაში ხშირად არ ვტრიალებ. გამარჯობათ!

მათ კვლავ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

მაშ, თქვენ ის ახალგაზრდა ხართ, ნინას შერთვა რომ უნდა? — ჰკითხა

პოლკოვნიკმა ბლაუნტმა ადამს და პირველად შეხედა მას იმ თვლით, რა თვალითაც მომავალ სიძეებს უყურებენ.

— ერთი ეს მითხარით, ცოლის შერთვა რამ გაფიქრებდათ? — თქვენს ადგილას მე არ შევირთავდი, არაფრია დიდებით არ შევირთავდი ხართ?

— არა! ჭერ არა! სწორედ ამაზე მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება.

— რამდენი გაქვთ?

— ამჟამად, სერ, ერთი კაპიკიც არა მაქვს.

— უკანასკნელად როდის გქონდათ?

— წუხელ საღამოს ათასი გირვანქა სტერლინგი მქონდა, მაგრამ ერთ მთვრალ მაიორს მივეცი.

— რატომ მიეცით?

— იმიტომ, რომ მეგონა, ნოემბრის მეჭიბრებებზე „ინდურ რაშზე“ ჩავა-მეთქი.

— არასოდეს მსშენია ამ ცხენის სახელი. მერედა არ ჩავიდა?

— რაღაც შეეჭვება.

— როგორ ფიქრობთ, კიდევ როდის გექნებათ ფული?

— როცა რამდენიმე წიგნს დავწერ.

— მაინც რამდენს?

— თორმეტს.

— მაშინ რამდენი გექნებათ?

— მეცამეტე წიგნის ავანსად, ალბათ, ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგს მომცემენ.

— მერედა რამდენი დრო გკირდებათ თორმეტი წიგნის დასაწერად?

— დაახლოებით ერთი წელი.

— სხვებს რამდენი სჭირდებათ?

— ოც წლამდე! რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ თქვენ ეს იქნებ შეუძლებლად მოგეჩვენოთ... მაგრამ ეს ერთი წელი, სანამ მე ამ ჩემს თორმეტ წიგნს ვწერ, იქნებ თქვენ დაგვხმარებოდით...

— როგორ უნდა დაგვხმაროთ, ჩემს დღეში წიგნი არ დამიწერია.

— ვერ გამიგეთ, ვიფიქრეთ, ეგებ ფულით დაგვეხმაროსო.

— აჰ, მაშ თქვენ ასე იფიქრეთ?

— დიახ, ჩვენ ასე ვიფიქრეთ...

პოლკოვნიკი ბლაუნტი ადამს ერთ ხანს მოლუშული უყურებდა. მერე თქვა:

— ბრწყინვალე აზრია! უარია აათქმულად მიზეზს ვერ ვპოულობ. რამდენი გინდათ?

— მართლაც საოცრად კეთილი ხართ, სერ!.. იმდენი, რომ ერთ ხანს ხელი მოვიწაცვლოთ. არც კი ვიცი...

ათასი გირვანქა სტერლინგი გეყოფათ?

— დიახ, ნამდვილად გეყოფა, ორივე დიდად მადლობელი ვიქნებით.

— არაფრის, ჩემო კარგო, არაფრის! როგორ მითხარით, რა გქვიათ?

— ადამ საიმზი!

პოლკოვნიკი ბლაუნტი მაგიდასთან მივიდა და ჩეკი გამოწერა. ინებეთ! ესეც სხვა რომელიმე მთვრალ მაიორს არ მისცეთ. რას ბრძანებთ! არც კი ვიცი მადლობა როგორ გადაგიხადოთ, ნინა...

— ხმა აღარ ამოიღოთ! ეხლა, ალბათ, ერთი სული გაქვთ, სანამ ლონ-დონში დაბრუნდებით. ჩვენ მისის ფლორინს პასტორთან გავაგზავნით და თქვენს თავს სადგურში წავაყვანინებთ. მანქანიანი კაცის მეზობლობა სახეი-როა. ავტობუსით ეილსბერამდე მგზავრობა ხუთი პენსი ღირს. მძარცველები!

ეროვნული
ბიზნიუსი

* * *

ცხოვრებაში ბევრს როდი ნახავთ ისეთ კაცს, რომელსაც ზედიზედ ორი საღამოს განმავლობაში ორი სრულიად უცნობი ადამიანისაგან ათას-ათასი გირვანქა სტერლინგი მიეღოს. პასტორის მანქანაში მჯდარი ადამი სადგურში მის-ვლამდე სულ ხმამაღლა იცინოდა. პასტორი, რომელსაც ქადაგების წერა შეა-წყვეტინეს და რომელსაც დღითი დღე სულ უფრო და უფრო აღიზიანებდა პოლკოვნიკ ბლაუნტის საქციელი, მეზობლის უფლებით "სულ უფრო და უფრო უბოდიშოდ რომ ეპატრონებოდა თვითონ მასაც და მის მანქანასაც, დაჟინებით გაპყურებდა გზას წვიმისაგან დასველებული საქარე მინიდან და არ იმჩინებდა, რომ სიცილი ესმოდა. ადამი ეილსბერამდე მთელი გზა იცინოდა. ხელები მუხ-ლებისათვის შემოეხვია და სიცილისაგან ერთიანად თახთახებდა. პასტორმა ერთი-ორი გამოსამშვიდობებელი სიტყვა ძლივს გაიმეტა, როცა ის და ადამი სადგურის ეზოში ერთმანეთს დაშორდნენ.

მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი და ადამი სვე-ლმა რელსებმა და სადგურის დაცხავეებულმა სახურავმა, საიდანაც წყალი წვე-თავდა, ცოტა გონზე მოიყვანა. მან საღამოს გაზეთი იყიდა. პირველ გვერდზე ძალიან სასაცილო სურათი მოეთავსებინათ: ჰავაიელი ქალის კოსტუმში გამო-წყობილი მისს რანსიბლი თავპირისმტვრევით ჩამორბოდა დაუნიგ სტრიტზე მდებარე № 10 სახლის კიბეებიდან. ადამმა გაზეთიდან შეიტყო, რომ „შუად-ლისას მთავრობა გადადგა“. გადადგომის მიზეზად ასახელებდნენ იმ პასუხს, რაც მთავრობამ გასცა იმის თაობაზე, თუ როგორ მოექცნენ საბაჟოს მოხე-ლეები მისს რანსიბლს. საერთოდ კი, საპარლამენტო წრეებში მიაჩნდათ, რომ ძირითადი ფაქტორი, რამაც მთავრობის გადადგომა გამოიწვია, არის პარლა-მენტის ლიბერალ და ნონკონფორმისტ წევრთა უკიდურესი აღშფოთება. რაც თავის მხრივ გამოიწვია დაუნიგ სტრიტის № 10 სახლში დამკვიდრებულმა ცხოვრების წესმა სერ ჯეიმს ბრაუნის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში. „ივ-ნიგ მეილის“ მოწინავე წერილში მრავლის მთქმელი პარალელი იყო გავლე-ბული საზოგადოებრივსა და ოჯახურ სიწმინდეს შორის, ოჯახურ და სახელმ-წიფოებრივ სიფხიზლეს შორის.

გაზეთში მოთავსებული იყო აგრეთვე, ერთი პატარა შენიშვნაც, რომე-ლმაც ადამის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო:

ტრაგედია უესტ-ენდის სასტუმროში

„დღეს დღით ადრე ერთ კერძო სასტუმროში დოჟერ სტრიტზე დაი-ღუპა მისს ფლორენ დუკეინი, როგორც ამბობენ, საკმაოდ შეძლებული ქალი. სიკვდილს მიზეზი გახდა ის, რომ იგი ჩამოვარდა ქალიდან, რომლის შეკეთე-ბასაც ცდილობდა. ხვალ დაიწყება გამოძიება. გვამის კრემაცია და დაკრძალვა მოხდება ვოლდერს გრინში. მისს დუკეინს, რომელიც ადრე მსახიობობდა, კა-რგად იცნობდნენ საქმიან წრეებში“.

ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს. — გაიფიქრა ადამმა, რომ ლოტი კრამპს სერ ჯეიმს ბრაუნზე უკეთ შეუძლია თავიდან აიცილოს არასასურველი შემთხვევის გახმაურება.

გარკვეული
გინგლიქოთეკა

* * *

ლონდონში წვიმა უკვე გადაეღო, მაგრამ ნოტიო ქარი ნიალია თხელ მარმაშებს ჯერ კიდევ დააფარფატებდა აქეთ-იქით. სადგური სავსე იყო პორტფელიანი წვრილი მოხელეებით, რომელნიც საღამოს გაზეთებით ხელში ხველებ-ხველებითა და ცხვირის ხოცვით საგარეუბნო მატარებელში ჩასხდომას ჩქარობდნენ. პიჯაკის სალილეებში მათ ჯერ ისევ ეკეთათ ყაყაჩოები. ადამი ტელეფონის ჯიხურში შევიდა და ნინას დაურეკა. ნინას მისთვის გადასაცემად ამბავი დაეტოვებინა — მარგო მეტროლენდთან კოკტილზე ვარო. ადამი „შეპარდში“ წავიდა.

— ლოტი, ათასი გარვანქა სტერლინგი ვიშოვე, — უთხრა ადამმა ლოტის.

— კარგი ერთი, — თქვა ლოტიმ გულგრილად. ლოტის კკუთით ყველა მის ნაცნობს მუდამ ჰქონდა რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგი, ამიტომ ადამის ნათქვამი ისე მიიღო, ვითომც ეთქვას: ლოტი მე შლაპა მაქვსო.

— ხვალამდე, სახამ ჩეკს გადავხურდავებ. ცოტაოდენ ფულს ხომ ვერ მასესხებთ?

— საცოდავი მამაშენივით ფულის სესხების დიდოსტატი ხარ. საყვარელო! ეი, თქვენ! კუთხეში რომ მიმსხდარხართ! ასესხეთ ამ რაგვარიას ცოტაოდენი ფული!

მაღალმა გვარდიელმა მაღალი შუბლი შეიკმუხნა და უღვაშები გადაიგრიხა.

— რა ფულიანი მე მნახე, ლოტი! — თქვა მან ბრძანებას მიჩვეული ხმით.

— წოწორაქი! — თქვა ლოტიმ. — ის ამერიკელი სადღა არის?

მოსამართლე სკიმპმა, რომელიც სასტუმროში დილით მომხდარი ამბების წყალობით ჰეშმარიტ ანგლოფილად ქცეულიყო, ჯიბიდან ოცი გირვანქა სტერლინგი ამოიღო.

— დიდ პატივს დამდებთ...

— ყოჩაღ! ასე უნდა, ჩემო იმანო! ყოჩაღ! — თქვა ლოტიმ.

უკვე პოლში გამოაულმა ადამმა გაიგონა, რომ სასტუმრო ოთახში შამპანურის ბოთლიდან მზიარულად ამობუთქუნდა საცობი.

— დოჯ, დაურეკეთ „დეიმლერის გაჭირავების პუნქტს“ და ჩემი სახელით მანქანა შეუკვეთეთ. უთხარით, რომ მანქანა ლედი მეტროლენდთან, პილ სტრიტზე. პაატშაატერ ჰაუზთან მომიყვანონ. — უთხრა ადამმა დოჯს. ქუდი დაიხურა და ქოლგის ქნევითა და სიცილ-სიცილით ქუჩაში გამოვიდა. ეს კია, ახლა უკვე თავისთვის, ჩუმჩუმად იცინოდა.

ლედი მეტროლენდთან მისულს პალტო არ გაუხდია, მოსაცდელში გაჩერდა.

— მისს ბლაუზტა უთხარით, გეთაყვა, რომ ველოდები. არა, ზევით აი ავალ.

ადამმა მაგიდაზე დაწყობილი ქუდები მოათვალიერა. კარგა ბლომად მოუჭრიათ თავი! აი, ამ ორი-სამი შლაპის პატრონი ალბათ აქედან თეატრში

ეპირება. დანაბრენი ქუდები რბილი, შავი ფერისაა, ნაეტები, ზოგორიც მას ახურავა. მეჩე ადამმა კეცვა დაიწყო — ისე, თავისთვის, მეტიველი სიხარულისგან.

მალე ფართო კიბის თავზე ნინა გამოჩნდა.

— რატომ არ ამოხვალ, საყვარელო? უხერხულია! მარგოს ძალიან უნდა შენი ნახვა.

— მაპატიე, ნინა, არავის თავი არა მაქვს. ძალიან აღელვებული ვარ.

— რა მოხდა, რა მოგივიდა?

— რაღა არ მოხდა! მანქანაში ყველაფერს მოგიყვები.

— მანქანაში?!

— ჰო, სადაცაა მოვა. ქალაქგარეთ ვისადილოთ. ვერ აგიწერ, რა კვვიანურად მოვიქეცი!

— აღარ იტყვი, ძვირფასო, ასეთი რა გააკეთე? გაჩერდი, ნუ ცეკვავ!

— ვერ ვჩერდები! შენ წარმოდგენაც არა მაქვს, რა კვვიანი ვარ.

— ადამ, მთერალი ხარ?

— აბა, ფანჯარაში გაიხედე, გველოდება „დეიმლერი“?

— ადამ, რა ჩაიღინე-მეთქი, გამაგებინე!

— ერთი ამას შახედე და ისე გვითხარი რამე ამაზედა! — მდაბიურად მოუქცია ადამმა და ჯიბიდან ჩეკი ამოაძრო.

— ღმერთო ჩემო! ათასი გირვანქა სტერლინგი! მამამ მოგცა?

— დავიმსახურე და მერე ეგრე?! რა არ ვჭამე, რა ოხუნჯობანი არ წავიკითხე! ხვალ ჯვარს ვიწერთ! ნინა, მარგოს ხომ არ ეწყინება, მის პოლში სიმღერა რომ შემოვცახო?

— ეწყინება რომელია. თავს მოიკლავს, ძვირფასო, და მეც თან მივყვები. ამ ჩეკს მე მოვუვლი. არ გახსოვს, ამასწინათ შენს ათას გირვანქა სტერლინგს რა დაემართა?

— მამამენმაც ზუსტად ევა თქვა.

— შენ რა, მასაც მოუყევი?

— ყველაფერი მოვუყევი და მან ათასი გირვანქა სტერლინგი მომცა.

— ...საწყალი ადამი... — თქვა უცებ ნინამ.

— მაგას რატომ ამბობ?

— არ ვიცი... მგონი, შენი მანქანა მოვიდა...

— ნინა, რატომ თქვი, საწყალი ადამიო?

— როდის ვთქვი? ... რა ვიცი, აბა! ისე ვთქვი. ადამ, იცი რა ძალიან მიყვარხარ?!

— ბვალ მე ცოლს ვირთავ! მომყვები?

— ჰო, მგონი კი, ძვირფასო!

მძლოლს კინალამ მოთმინების ძაფი გაუწყდა, სანამ ადამი და ნინა გადაწყვეტდნენ სად ესადილათ. მძლოლი რა ადგილსაც არ დაუსახელებდათ, ყველაზე უარის ნიშნად ოდნავ წამოიყვირებდნენ ხოლმე. ამბობდნენ, დარწმუნებულები ვართ, იქაურობა ჩვენი საშინელი ნაცნობებით იქნება სავსეო.

— შეიღენძედი, თეიმო, ბრაიტონი... — სთავაზობდა მათ მძლოლი.

ბოლოს არანდელში გადაწყვეტეს წასვლა.

— სანამ არანდელში მივალთ, ცხრაც გახდება, — თქვა მძლოლმა. — ბრენიში კი ძალიან სასიამოვნო სასტუმროა...

მაგრამ ადამმა და ნინამ არანდელი ამჯობინეს.

— ხვალ ჭვარს დავიწერთ, — თქვა ადამმა. — არაფერ არ დავბატონებთ კორწილში. ჭვარს დავიწერთ თუ არა, მაშინვე საზღვარგარეთ წავალთ და სანამ ყველა იმ ჩემს წიგნს არ დავწერ, არ დავბრუნდებით. დღევანდელი იქნება არა, ნინა? სად წავიდეთ?

— სადაც შენ იტყვი, ძვირფასო, ოღონდ სიცივე ნუ იქნება.

— რაღაც ისე მეჩვენება, ნინა, თითქოს ჩვენი ჭვარისწერის ამბავი არა გჯერა. თუ გჯერა?

— არ ვიცი... ის კი ხამდვილად არა მჯერა. მაგავსი სასწაულები თუ ხდება საერთოდ... არ ვიცი რატომ... რომ იცოდე, ამ საღამოს როგორ მომწონხარ, რომ იცოდე რა საყვარელი იყავი იქ. მარგოს კოლში მარტოდმარტო რომ ხტუნავდი. მთელი საათი გიყურებდი ზევიდან.

— მანქანას გავუშვებ, შეგვიძლია უკან მატარებლით დავბრუნდეთ. — თქვა ადამმა, როცა პალბოროს გასცდნენ.

— თუ ბოლო მატარებელმა არ გაგვასწრო!..

— არ გაგვასწრებს. — თქვა ადამმა. ამ დროს მათ თავში ერთდროულად ერთმა და იმავე აზრმა გაუელვა. რომელიც კარგა ხანია ორივეს ტვეკნობიერად აწვალებდა. ამაზე არც ერთს აღარ ამოუღია ხმა, მაგრამ მანქანაში რაღაც დაძაბულობა ჩამოვარდა.

საკითხი როგორღაც თავისით მოგვარდა. როდესაც არანდელის სასტუმროში მივიდნენ.

— გვასადილეთ და ხომერიც გაგვიმზადეთ, — უთხრა ადამმა სასტუმროს მორიგეს.

შეცდენას რომ არ მიპირებენ, საყვარელო?

— რაღა დავიძალო და მგონი გიპირებენ. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?

— მაინცა და მაინც არაფერი. — თქვა ნინამ და მდაბიურ კილოზე დაუმატა: — ძანაც კარგი იქნება!

რესტორანში აღარავინ იყო. ადამი და ნინა დარბაზის კუთხეში მიმსხდარნი სადილობდნენ. ოფიციანტები მეორე დღისათვის მაგიდებს აწყობდნენ და თან ადამისა და ნინასაკენ საყვედურიანი თვალებით იყურებოდნენ. ინგლისური სამზარეულოს ყველაზე უბადრუკი კერძებით ისადილეს. ნასადილევს სალონში შეიხედეს, იქაც საშინელი მოწყენილობა იგრძნობოდა — ორი მოხუცი ლედისა და რამდენიმე სმოკინგიანი მამაკაცის გარდა არავინ იყო; მამაკაცები ბრიჯს თამაშობდნენ. ადამმა და ნინამ სასტუმროს ეზო გადაქრეს და ლუდის ბარში შევიდნენ. თამბაქოს თბილ კვამლში გახვეულები ბარის დაკეტვამდე იქ ისხდნენ და სხვების კორაობას უსმენდნენ. ხელიხელ ჩაკიდებულები ისხდნენ, თავს ძალზე ლაღად გრძნობდნენ. ბარში მყოფებმა ერთი კი შეხედეს ახალმოსულებს და მერე ძათთვის აღარავინ მოუცლია. ბარის დაკეტვამდე ცოტა ხნით ადრე ადამმა ყველანი თითო კათხა ლუდზე დაპატიჟა.

— ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ, სერ! უღრმესი პატივისცემით, მადამ! — გაისმოდა ყველა მხრიდან, მერე ბარმენმა წამღერებით გამოაცხადა:

— გთხოვთ მოამთავროთ, თუ შეიძლება! ბარი იკეტება!

ბარიდან ეზოში რომ გამოვიდნენ, საიდანღაც საათის რეკვის ხმა მოესმათ. იქვე ახლოს შექვიფიანებული ფერმერი მანქანის ამუშავებას ცდილობდა.

მერე ისინი მუხის კიბით, რომლის აყობაზეც ჰველებურად მოხერხდა და კარგების ესტამპები ჩამოეკიდათ, თავიანთ ოთახში ავიდნენ. თან სწორედ იმ დარბაზში არ ჰქონდათ (სწორედ ეს აღნიშნა მეორე დღეს საატენი მკვლევარი გოგონა ერთ ახალგაზრდა რადიო-მაღაზრის თანამშრომელ კაცთან, რომელიც მისი პირად მდებარე სასტუმროში მუშაობდა იმით არის ააშინელი, რომ ვაშაქია უწყის, ჩვენთან რა ჯურის ხალხი არ ათევენ დაძესო).

ადამმა ძალიან სწრაფად გაიხადა და ლოგინში შეწვა. ნინა უფრო დიდხანს მოუნდა გახდას. ტანსაცმელი სკამზე გულდაგულ გადაათინა და მერე ბუხრის თავზე შემოდგმულ ნივთებს იმდენ ხანს უნაცვლებდა ადგილებს, თითქოს ჩვეულება თავშეკავებამ უღალატაო, ბოლოს, როგორც იქნა, ჩააქროს კინათლე.

- იცი, ადამ, ასეთ ამბავში პირველად ვარ! — უთხრა მან ადამს, როცა ოდნავ აკანკალებული ლოგინში წვებოდა.
- გარწმუნებ, ძალიან სასიამოვნო რამეა! — უთხრა ადამმა.
- ეჭვი არ მებარება, — თქვა ნინამ ძალიან სერიოზულად. — მაგის სიწინააღმდეგო არაფერი მითქვამს, მარტო ისა ვთქვი, ჩემთვის პირველია-მეთქი... ოკ, ადამ!..

* * *

- აკი ამბობდი, სასწაულები არა ხდებო? — თქვა ადამმა შუალამისას.
- ეს რა სასწაულია! ძალიან მეტკინა! — თქვა ნინამ. — ჰო, მართლა! სასწაულმა გამახსენა, ჩველ დილით ძალიან მნიშვნელოვანი რაღაც უნდა გეთხრა.

— ახლა მითხარი.

— ახლა არ შემიძლია, ძვირფასო! მოდი დავიწინით, კარგი?

მეორე დილით წვიმდა. სანამ ნინა საბოლოოდ გამოფხობლდებოდა, ადამმა ჩაიკვია და გასაპარსად სასტუმროდან გამოვიდა. უკან დაბრუნებულმა თან კბილების ორი ჯაგრისი და ღია წითელი ფერის ცელულოიდი ავეარცხელი მოიტანა. ნინა საწოლში წამოჯდა და თმის ვარცხნი დაიწყო. ბეჭებზე ადამის კოსტუმი ჰქონდა მოხურული.

— La Vie Parisienne-დან გადმოაუღა ჰგავბარ, საყვარულო! — კბილების უშენდას თავი დაანება და თქვა მისკენ შემობრუნებულმა ადამმა. ნინამ კოსტუმი მხრებიდან გადაიგდო და საწოლიდან ჩაპოხტა. — ახლა, — უთხრა ადამმა. — მოდების ეტონალიდან გადმოსულს ჰგავბარ, ოღონდ უტანსაცმლოდ. ნინას ეს სიტყვები უსიამოვნა, მაგრამ მაინც თქვა: სიცივე და ტკივილიც ისევ მაწუხებს, თუმცა ისე ძალიან აღარ, როგორც მაწუხებდაო. მერე ნინამ ჩაიკვია და ორივენი დაბლა ჩავიდნენ.

- საუზმის დრო კარგა ხნის ვადასული იყო. ოფიციალური მაგილებს სადილისათვის აწყობდნენ.
- ჰო, მართლა, რაღაც უნდა გეთქვა. — გაახსენა ადამმა ნინას.
 - არის ერთი რაღაც, ძალიან უსიამოვნო რამეა, ძვირფასო!
 - სასწრაფოდ მითხარი!

¹⁾ La Vie Parisienne (ფრ.) - ფრ. „პარიზის ცხოველები“.

— იმ ჩეკის ამბავია, მამაჩემმა რომ მოგვცა. მაგ ჩეკის იმდენი ტყუილად გაქვს.

— როგორ, ათასი გირვანქა სტერლინგი ხომ ნამდვილად არის?

— აბა, კარგად შეხედე, ჩემო სიცოცხლე! — ნაამდვილოდ ჩეკი ამოიღო და ადამს მიაწოდა.

— რა ჭირს ამ ჩეკს. მე ვერაფერს ვამჩნევ.

— ხელმოწერას ხედავ?

— რაო?!.. იმ ბებერ იდიოტს „ჩარლზ ჩაბლინი“ მოუწერია!

— სწორედ მაგაზე გეუბნები, გენაცვალე!

— ეგებ შევაცვლევიინოთ? ეგ ჭკუაზე ცოტა მწყრალად ხომ არ არის? დღესვე წავალ და ენახავ.

— არ გირჩევ, ძვირფასო... ხუთუ არ გესმის... რა თქმა უნდა, მამა ძალიან მოხუცია და... ჩემი აზრით, შენი მონაყოლი მას ცოტა უცნაურად მოეჩვენება... ეგებ შენ ეგონე ჭკუაზე მწყრალად? ერთი სიტყვით... იქნება... ეს ჩეკი ერთგვარი ხუმრობა იყო.

— ეშმაკსაც წაუღია ჩემი თავი!.. ეს შეტისმეტია! რალა სწორედ ახლა, როცა ყველაფერი კარგად აეწყო! როდის შენიშნე, ნინა?

— მარგოსთან, როგორც კი მაჩვენე, მაშინვე, მაგრამ შენ ისეთი ბედნიერი იყავი, ენა არ მომიტრიალდა სათქმელად... ბედნიერი და იაე საყვარელი იყავი! ვფიქრობ, აწორედ იმ წუთსა შემიყვარდი ნამდვილად, როცა დაგინახე, რომ მართოდმართო ცეკვაედი პოლში.

— ღმერთმა დასწყევლოს! — თქვა ისევ ადამმა. — ეგ ბებერი ეშმაკი!

— ასეა თუ ისე, ყოველივე ამისაგან შენ ერთგვარი სიამოვნება მიიღე, ან იქნებ, არა?

— შენ არა?

— ჩემს სიცოცხლეში მსგავსი სოსაძაგლე არ განმიცდია... თუმცა, თუკი შენ მოგეწონა, ჩემთვის ესეც რამედ ღირს.

— მაშ, ჩვენი კორწინების ამბავი ისევ ჩაიშალა, არა, ნინა? — თქვა ადამმა ცოტა ხნის შემდეგ.

— ჰო, მგონი არაფერი გამოვა.

— ეს უკვე არაფერს არა ჰგავს, არა, ნინა?

— ცოტა ხნის შემდეგ ადამმა ისევ თქვა:

— იმ პასტორსაც, ალბათ, შერეული ვეგონე!

და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ:

— კაცმა რომ თქვას, მაგარი ხუმრობა კი გამოვიდა, არა?

— გადასარევი!

მატარებელში ნინამ თქვა:

— რა საშიხელეთაა, ადამ, რომ ჩემს სიცოცხლეში, ალბათ, ველარაოდეს ენახავ მართოდმართო აცეკვებულს.

იმ საღამოს ლედი მეტროლენდი მისის ჰელროუზ შიმპანის პატივსაცემად წვეულებას მართავდა „შეპარდში“ დაბრუნებულ ადამს მაგადაზე მოსაწვევი

დებემა დაუხვდა (ლოტის მოესწრო და უკვე გამოეყენებინა საბაყუბო დებე-
ნის ბლანკი, რომელშიც ფული წინააწარ იყო გადახდილი, ვიღაცამ და მომავალ-
ლი დოლის სეზონის ფავორიტის სახელი გაუბნია და ლოტის უხლოდა ბედი
ეცადა, სანამ ცხენის სახელი დაავიწყდებოდა). მაგიდაზე მუხრქმინსწვევი ბა-
რათიც იდო — საიმონ ბალკარნი საუზმეზე პატაეებდასსწვევი

„შეპარდის“ აფორძო კერძად უბოველეს ყოვლისა სრულიად შავი, სა-
ფანტითა და გაურვეველი წარმოშობის წერილ-წერილი ძვლებით სავსე ნანა-
დირევის პაშტეტი (თვლება, ასე რომ, ადამს კიდევაც გაუხარდა საიმონ ბალ-
კარნი მიწვევა, თუმცა იკვდა, რომ ამ მოულოდნელი ატუმართმოყვარეობის
წილმა რაღაც იქნებ შეებნელი ზრახვებით კი იბალებოდა.

საიმონმა ადამ „Che-Espinosa“-ში, ლონდონის ერთ-ერთ პირველ-
ხარისხოვან რესტორანში მიიწვია. ამ რესტორანში მუშაობდა და ლალიკის¹ მინის
ნივთები დიდ პატივშია. აქ იმ ყაიდის ხალხი დადის, ვისაც ამგვარი რამე-
რუმეები ძალიან მოსწონს, თუმცა კი შეძთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, რომ
არ დაიწყუნოს, ეს რა საშინელი რესტორანიაო.

— ვფიქრობ, ამ საშინელ რესტორანში მოწვევით ძალიან არ შემიწუ-
ნებინართ. — თქვა ბალკარნმა. — არ დაგიძალაფთ. შე აქ უფასოდ ვსადილობ.
ზოგჯერ ჩემს სვეტში ამ რესტორანს ორიოდ სიტყვით მოვიხსენიებ ბოლშე და
სამაგიერო, პატივს მცემენ, სამწუხაროდ, სასმელში მეც ფულს ვიხდი.

— დღეს ვინ კესტუმრათ, ალფონს? — ჰკითხა ბალკარნმა მეტროტელს.
მეტროტელმა დაბეჭდილი სია მიაწოდა, რომელიც ყოველთვის მზად
ჰქონდა საგაზეთო ქორონიკის რეპორტაჟორებისათვის.

— კმ! კმ! საკმაოდ საინტერესო ააა, ალფონს! მოვიფიქრებ რამეს.

— დიდად გმადლობთ, სეო, სუფრა ორისათვის გაგაწყო? კოკტეილი გზუ-
ბავთ?

— არა, კოკტეილი რაღაც არ მიხდა, კაცმა რომ თქვას, ამდენი დრო
არცა მაქვს, თქვენ, ადამ? თანაც აქაური კოკტეილი არც არის მოაწონი.

— არა, არ მიხდა! — თქვა ადამმა.

— მართლა არ ვინდათ? — ჰკითხა ბალკარნმა და მათთვის გაწყობილი მა-
გიდისაკენ წაიყვანა სტუმარი.

სანამ მაგიდაზე ჩიზილალას დებდნენ, ბალკარნმა ღვინოების ათა ჩაათვა-
ლიერა.

- აგ კარგი გეორმანელი ლუდი აქვთ, რას აირჩევთ?
- რასაც თქვენ. გერმანული ლედა, მართლაც, არ იქნებოდა ურიგო.
- ორი პატარა ბოთლი ლუდი, გეაყვება... ხომ მართლა ლუდი გირჩევნი-
ათ ღვინოს?
- დიახ, ხამსუილად! გმადლობთ!

საიმონ ბალკარნი დაღვრემილი ათვალეოებდა რესტორანს და დროდა-
დრო ახალ გვარს უმატებდა მეტროტელის მოცემულ სიას (მართლაც რომ
შემაწუხებელია იმგვარი პროფესია, როცა ნებისმიერი საუბარი ძალაუნებუ-
რად „საქმიანი“ გამოდის.).

უკვებ ბალკარნმა ზედმეტად უზრუნველი კილოთი თქვა:

¹ რენე ლალიკი — გამოგონებელი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული მინის დე-
კორატიული ნივთები სხვადასხვა რელიეფური ორნამენტებით.

ამ ანთონი, მარგოს შეტროლენდა წვეულება აქვს მიღებული?
ალბათ წავალ, მე პირადად მარგოს წვეულებებზე ძალიან მომწონს.
შევეს?



მეც... უთხარ ძალიან უცხ-ერა ამავე: უხდა გითხარ... მარგომ
ამ წვეულებაზე არ დაშვავთია.

ბიზლირთეკა

ჯერ გვიან არ არის დაგბატოვება! მეც ამ დღით მივიღე მიწვევა.

- პო... ვინ არი... - ა ბეწეა კტრქიანი ქალი. ამ წუთის რამ შენოვიდა?
სახე ძალიან შეეცობა.

- ლედი ვერძენი არ არის!

პო. რამ დასაქრწყა!

სიას კიდევ ერთი სახელი შეეძატა. დანალელოანებული ბალკარნი დუმდა
და სალაოთას შეექცეოდა.

საქმე ის არის... აგათა რამსიმბლა უახოა - მაგის დაბატოვებას
არ ვაპირებო!

რატომ?

როგორც ჩანს, იმაზეა გაცოფებული, თაც მე ვთქვი იმის თაობაზე, მა-
გას რომ თქვა ძალიანზე.

არ უსიას ბაღის იქმლოთ. თქვა აღამმა ბალკარნის ვასამბნევებლად.

თუ დარღუბავს ეს დაძღუბავს... ეს ვინ არის. პამელო პოპკენი?

წარმოდგენა არა მათქეს.

ხამდეილად ის არის... საბღში რომ მივალ, საგვარეულო წიგნში უხდა
რამთ. როგორც იწუოვება: ამას წინათ კვარის დაწერის გამო დიდი დავიდარა-
ბა გადაძბდა დავილუქა... ვერბოუ მიიწვია.

ვერბოუ, მგონი, ბიდაშვილად ერგება არა?

მედი არ გინდა? თითქმის ყველა ჩემი ბიდაშვილი ან საგოეეთშია ან
არა და სოფლად ცხოვრობს და დაუბლიბლად ვქვევა ვაროულ ცხოველებს...
დედაჩემია და უარესს ვყო ვერც წარმოდგენა... ვენმა რომ დაუნინგ სტრი-
დას სუბსაცია იგდო ხელს ჩემთან, რუდაქკოში კონაღამ გაგიფდნენ. ახლა, თუ
ეს წვეულებაყ ვავუშეი ბელოდას, მოთხა ფლიტ სტროტს თავი უხდა დავუე-
რა... ისლა დამრჩენია თავი გახის კტრქიანი შეუჯოს და ამით მოერჩე ყველა-
ფერს... დარწმუნებული ვარ, მარგომ რომ იცოფეს როგორ პაერბიეთ მკირდება
დღეს დაბატოვება. უთოს არ შეტყოდა.

ლორდ ბალკარნი თვალებში მუშტისოდება ცრუნლები ჩაუდგა. რომლე-
სიყ სადაც აყო ნოადვრად მისყდებოდა.

ბოლო ერთი კვირაა, აბულებულა ვარ ჩემი სვეტო სამეფო კალენდ-
რისა და დებრეს საგვარეულო წიგნის მიხედვით შეთანხული ამბებით ავავსო...
თავის აღარ მბატოვებს.

მოდი რა ვქნათ, იცო? მარგოსთან საქმარიდ აბლოსა ეარ... თუ გინდა
დავუბრკავ და ვკითხავ. შენი მიყვანით რამე ხომ არ დაშავდება. — თქვა
აღამმა.

დაუბრკავ? მართლა დაუბრკავ ადამი მართლა რომ გაავეთებდეს ამ
სიყვთეს ბოლი. ვბლავუ წავიდეთ და დაუბრკავ... რა დროს ეავა და ლიქიო-
რისა... ჩქარა, რუდაქკიოდან შეიძლება დარევა... პო, ეგ შავი ქედი და ჩემი კოლ-
გა... არა... ნობერი დავუბრკავ!... არ, ეგ... არა... არა... კითხა... რა, დაუჩქარეთ...
თიან ტაქსი...

ადამმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რომ ისინი ჯერ ქუჩაში და მერე უცბად ტაქსში აღმოჩნდნენ. სულ მალე სტრენდზე მანქანების ალყაში მოექცნენ. კიდევ გავიდა მცირე დრო და ფლიტ სტრიტზე ბალკარნის გაზეთის რედაქციასთან მანქანიდან გადმოვიდნენ.

ისინი ხედა სართულზე ერთ მომცროს ოთახში შევიდნენ. ოთახის კარს წარწერა ჰქონდა: „მაღალი საზოგადოება“. ოთახის ინტერიერი ამ წარწერას მაინცდამაინც ვერ ამართლებდა. ოთახში მაგიდა და ერთი სკამი დაედგათ, მაგიდაზე კი საბეჭდი მანქანა და ტელეფონი. იქვე ეწყო რამდენიმე ცნობარი და გროვად ეყარა ფოტოები. ოთახში მდგარ ერთადერთ სკამზე ბალკარნის უშუალო უფროსი იჯდა.

— პელოლო! — თქვა ქალმა — დაგვიბრუნდით? სად ბრძანდებოდით?

— „ესპინოზაში“. აი, სია!

„მაღალი საზოგადოების ქრონიკის“ რედაქტორმა სია ჩაათვალიერა.

— კიტი ბლეკუოტერი არ გვჭირდება, გუშინ გამოვიყენეთ. დანარჩენებს არა უშავს, ერთი-ორ აბზაცში ჩატიე. ნიძლავსა ვარ, არც შეგიმჩნევია რა ეცვათ.

— როგორ არ შემიმჩნევია, — თავგამოდებით თქვა ბალკარნმა, — ყველაფერი მშვენივრად შევნიშნე.

— რად გინდა მერე! მაინც ვერ გამოიყენებ, ადგილი არ გეყოფა. ყველაფერი შევკვეცეთ ლედი მ-ის წვეულების ვამო. დევონშირის ჰერცოგიც კი ითლიანად ამოვაგდე. სხვათა შორის, გუშინ რომ ფოტო მოიტანე, ლედი ევრიზენის სურათი არა უოფილა. ის იყო ჰერცოვის ქვრივის ძველი სურათი. დღეს ორივემ დარეკა და შავი დღე გვაყარეს. ისევ თქვენი ოინებია! ამ საღამოსათვის შიპატიყება თუ მიიღე?

— ჯერ არა.

— გირჩევ, ეგ საქმე დროზე მოაგვარო. ჯერ შე უნდა ვნახო წვეულების უშუალო მონაწილის ნაამბობი, სანამ საბეჭდად ჩავუშვებდე, გასაგებია? სხვათა შორის, ხომ არაფერი გსმენია აი, ამის შესახებ? დღეს ლედი რ-ის მოსამსახურემ გამოგვიგზავნა.

ქალმა ქალაღლის ფურცელი ხელში აიღო და წაიკითხა:

„ადამ ფენვიკ საიმზის — განსვენებული პროფესორის, ოლივერ ფენვიკ საიმზის ერთადერთი ვაჟისა და ნინა ბლაუნტის (დაუტანგ ჰოლი, ეილსბერი) ნიშნობა. რომელზედაც ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობდნენ, ჩაიშალა“. არ ვიცი, ვინ არიან! რამდენადაც ვიცი, არც ნიშნობა უოფილა სადმე გამოცხადებული.

— აი, ამას ჰკითხეთ, ადამ საიმზი გახლავთ.

— პელოლო! ცუდი. მგონი, არაფერი მიკადრებია... რას გვეტყვით?

— არც გამოუცხადებიათ და არც ჩამლილა.

— მაშ მოგვადლორეს, არა? თუ ეგრეა, აი, სად არის ამის ადგილი. — თქვა ქალმა და ქალაღლის ფურცელი ურნაში მოისროლა.

— ეა გოგო ამ ბოლო დროს ათასგვარ სასულელეს გვიგზავნია! ცოტა ხნით გავალ, ვისაუბრებ. თუ ვინმეს სასწრაფოდ დაეჭირდი, აქვე „გარდენ კლაბში“ ვიქნები. კარგად შეყოლეთ!

რედაქტორმა გასვლისას მოიჯახუნა კარი, რომელსაც ამშვენებდა წარწერა „მაღალი საზოგადოება“ და დერეფანს სტვენით დაუყვა.

— ხედავთ როგორ მექცევიან? — თქვა ლორდმა ბალკარნმა. — პირველად რომ მოვედი, თავს მეველებოდნენ. ენლა სიკვდილი მენატრობდა.

— რა გატირებთ. — უთხრა ადამმა, — ეს რა თავის მოჭრაა!

— რა ვქნა. თავს ვერ ვიკავებ... ოპ, მობრძანდით. მარგოს კარი, რომელსაც ამშვენებდა წარწერა „მაღალი საზოგადოება“, გაიღო და პატარა ბიჭი შემოვიდა.

— ლორდ პერიდერის ლაქიამ რამდენიმე ნიშნობა და ერთი გაყრა მოიტანა.

— უთხარით, დატოვოს!

— კეთილი, მილორდ!

— ამ დაწესებულებაში ეს ერთადერთი ბიჭი მექცევა ზრდილობიანად. — თქვა ბალკარნმა, როდესაც ბიჭი გავიდა. — რაიმე რომ გამაჩნდეს, ანდერძით სულ მაგას დაგუტოვებდი... გთხოვ, მარგოს დაურეკე! შევიტყობ მაინც ჩემი უბედურების ამბავს... მობრძანდით!

— ვიდაც გენერალი, გვარად სტრეპერი? კვითხულობთ, მილორდ! აუცილებლად პირადად უნდა თქვენნი ნახვა.

— რაო, რა მინდაო?

— არ ვიცი, მილორდ, მაგრამ ხელში შოლტი უჭირავს და ძალიან აღელვებულია.

— უთხარით, რომ „მაღალი საზოგადოების ქრონიკის“ რედაქტორა სასაუბროდ წავიდა... დაურეკე რა მარგოს!

ადამმა დარეკა.

— მარგო, შეიძლება თან ერთი ნაცნობი მოვიყვანო?

— არა, ადამ! უკეთესი იქნება თუ არ მოიყვან. ისედაც არ ვიცი სად დაეტოვო ამდენი ხალხი. მერიდება, უარს რომ გუუბნებო, მაგრამ... მაინც ვინ არის?

— საიმონ ბალკარნი, ძალიან უნდა მოსვლა.

— ასეც ვიცოდო! ეგ ყმაწვილი ძალიან არ მომწონს. გაზეთებში ჩემზე რაღაც-რაღაცებს წერს.

— გეხვეწები, მარგო!

— არავითარ შემთხვევაში! ეგ ჩემს სახლში ფეხს ვერ დადგამს. ვენი იმ პირობით დავპატიჟე, რომ გაზეთებში ერთ სიტყვასაც არ დაწერს. არა მსურს რაიმე საერთო მქონდეს საიმონ ბალკარნთან.

— ჩემო კარგო, მაგას შენ შენი სიმდიდრე გალაპარაკებს!

— მაგ ახალგაზრდის სახელის გავონებაზე ჩემი სიმდიდრე მთელი სისაფსით მახსენებს ხოლმე თავს. კარგად იყავი, საღამომდე!

— არ ვინდა! ჩუ მეტყვი, ისედაც ვხვდები! — თქვა ბალკარნმა. — არაფერი არ გამოვიდა, ხომ?

— სამწუხაროდ, არ გამოვიდა!

— დავიღუბე! — თქვა ბალკარნმა. — ჩემი საქმე წასულია...

საიმონ ბალკარნმა ერთხანს დაბნეულად ატრიალა ქაღალდები ხელში.

— არჩისა და აგათას ამბები ხომ არ გაინტერესებს? ამბობენ, დანიშნულები არიანო.

— არა მჯერა!

¹ იხვლისურო სიტყვიდან „სტრეპი“. რაც კამრით ცემას ნიშნავს.

— არც მე, ეს ამბავი ერთმა კაცმა გვაცნობა, რომელიც ჩვენთან თანამშრომლობს. ჩვენთან მოსული ინფორმაციის ერთი ნახევარი ჭორია, მეორე ნახევარი ცილისწამებაა. გვაცნობებს, თითქოს მაილზსა და პამელა პოპკენს წუხანდელი ღამე „არანდელში“ გაეტარებინოთ... ეს ამბავი მართლაც რომ იყოს, მაინც ვერ გამოვიყენებდით. ესეც არ იყოს, ვინც მაილზის გაჭირვების ამბავი იცის... რაც შეგეძლო, ყველაფერი გამიკეთე, ადამ, კარგად იყავი!

დაბლა, რედაქციის შესასვლელში დიდი ალიაქოთი იყო. მხედრული შესახედაობის ზორბა მამაკაცი შუაჩნის ქალის წინ იდგა და სიბრაზისაგან აკანკალებული ფეხებს აბრაზუნებდა. ქალში ადამმა „მაღალი საზოგადოების ქრონიკის“ რედაქტორი შეიცნო.

— მიპასუხეთ „პო“ ან „არა“, — ამბობდა მაღალი კაცი, — აგებთ თუ არა პირადად თქვენ პასუხს იმ დამპალი ჭორისათვის, ჩემს ქალიშვილზე რომ შეთითხნეთ? (მას ბალკარნის სვეტში წაეკითხა, მისს სტრეპერი ღამის კლუბში დაინახესო. ყველას, ვინც მისს სტრეპერის ცხოვრების წესს სულ ოდნავ მაინც იცნობდა, ეს ფაქტი ძალზე უმნიშვნელოდ მოეჩვენებოდა).

— „პო“ თუ „არა“! თქვით, თორემ სულს ამოვხდით, — ყვიროდა გენერალი.

— არა!

— მაშ, ვინ აგებს პასუხს? მიჩვენეთ ერთი ის თავხედი! სად არის? — დაიღრიალა გენერალმა.

— ზემოთ, — ძლივს ამოღერდა რედაქტორმა.

საიმონს ისეე მოხვდება, გაიფიქრა ადამმა.

* * *

ადამმა ნინას შეუიარა, კინოში წასვლა ჰქონდათ დათქმული.

— ძალიან დაგაგვიანდა, ხმოვან ფილმზე დაგვიანებით მისვლა არ ვარგა. — უთხრა ნინამ.

— ხმოვანი ფილმები საერთოდ არ ვარგა, — თქვა ადამმა.

იმ ღამის შემდეგ ადამისა და ნინას უროიერობაში ცვლალეუბა იგრძნობოდა. ადამი თავის თავში ჩაიძირა, დანალვლიანდა. ნინა თავს გამოცდილ, იმედგაცრუებულ ქალად გრძნობდა და აშკარად გაავებული იყო.

ადამმა თქვა, ეტყობა სიცოცხლის დასასრულამდე მომიწევს „შეპარდში“ ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში, ლოტის სიცოცხლის დასასრულამდე მაინც, რადგან, როგორც პატიოსან კაცს არ შემიძლია იქიდან წასვლა, სანამ ყველაფერს არ გადავუხდით.

— გამხიარულდი, ადამ, როცა მხიარული არა ხარ, ვერ გიტან, — თქვა ნინამ.

ადამმა საიმონ ბალკარნისა და მარგოს წვეულების ამბავი მოუყვა. რედაქციაში ბალკარნის გამოლტვის ამბავიც ისე მოყვა, თითქოს თავისი თვალთუნახოს.

— პო, კარგია! მუდამ ასეთი იყავი! — უთხრა ნინამ.

საიმონის გამოლტვის ამბავმა ისინი კინოში მისვლამდე შეიყოლია. სენსზე დაიგვიანეს და რადგანაც ნინას ძალიან უნდოდა ამ ფილმის ნახვა,

გუნება ისევ გაუფუჭდათ. კარგა ხანს ხმა არც ერთს არ ამოუღია. მერე ნინამ ფილმზე ჩამოაგდო სიტყვა და თქვა:

— ეს რა ამბავი ატვთ ატეხილი სექსის გამო. მაგას კბილებზე მათხან წასვლა სჯობია. უფრო მეტ სიამოვნებას მიიღებს ადამიანი. ბიზ...
 — მერე და მერე უფრო მოგეწონება. — უთხრა ადამმა.

— მერე და მერე! — ჩაიფრუტუნა ნინამ. — როგორ არა, მოგართმევენ! ადამმა უთხრა. მასეტხაირად მარტო ქუჩის ქალები ლაპარაკობენო. ამის ნამდვილი ჩხუბი მოჰყვა, რომელიც ფილმის დამთავრებამდე არ შეწყვეტილა. არც გზაში ჩამცხრალა, ნინასთან რომ მიდიოდნენ; მაშინაც გაგრძელდა, როცა ნინამ კოკტეილის გასაქეთებლად ლიმონის დაქრა დაიწყო. ბოლოს ადამმა უთხრა. თუ არ გაჩერდები, სადაც დგახარ მანდვე ვაგაუპატიურებ, ბუხონის წინ, შენ საკუთარ ნოხზეო.

ნინა არ გაჩერდა...

მეოფე, როცა ადამმა ტანსაცმლის გამოსაცვლელად სასტუმროში წასვლა დააპირა, ნინა უკვე მზად იყო ეღიარებინა, რომ სიყვარული ისეთი რამ არის, თანდათანობით ადამიანს შეიძლება მოეწონოს და მიეჩვიოს კიდევ, როგორც ჩიბუხის წევას ეჩვევიანო. მაგრამ მაინც ვიჭმანობდა და იმ აზრისა იყო, თანვიდან ეს ძალიან ავიად ხდის ადამიანს და საერთოდ ღირს კი ამისათვის თავის შეწყობაო. ბოლოს, როდესაც ლიფტს ელოდებოდნენ, შეძენილ ჩვევებზე დაიწყეს კამათი. თუ ღირს საერთოდ მათი შეძენაო. ადამმა თქვა, ეს მიზნამკველობის შედეგია, ადამიანისათვის კი მიზანმა ჩვეულებრივი ამბავია. ასე რომ შეძენილი ჩვევებიც ბუნებრივიაო.

ამ კამათს ძელიფტე ბიჭის რეკონის გამო ისეთივე დასასრული არა ჰქონია. როგორიც წინანდელს.

— ოპო! აი, ეს მესმის! ჩაღდი შიკია! — თქვა ღვთიურმა გულისწყრომამ.

— ისე, რა! არა უშავს! გადასარევი არაფერია! — თქვა უბიწოებამ ბევროის მნახველი ადამიანებით.

— ვინ გადაიჩია, მერე! შიკია-მეტქი! არ არის თუ?

— ზოგიერთისათვის ყველაფერი შიკია!

— აბა, აბა, გეყოფათ! არ დამიწყით ახლა თქვენებური! ხომ იცით, მისის შიმპანს არ უყვარს, როცა ფრთები გიკეთიათ და მაშინ მოჰყვებით ხოლმე ჩხუბს. — თქვა ზომიერებამ, რომელიც იმ საღამოს მორიგეობდა.

— მერე და ვინ აწყებს?

— ვინა და თქვენ.

— მოეშვი! უბიწოებასთან ლაპარაკი არა ღირს! დღეს ეგ ამალლებული და ყოვლისშემძლეა, ჩვეულებრივი ანგელოზობა რა მაგის საკადრისია? მისის პენრასტის „როლს-როისით“ ისეირნა, ჩემი თვალთ დავინახე! გადაუღებლივ წვიმდა, თორემ გასეიბნება ყოველმხრივ სასიამოვნო იქნებოდა, არა, უბიწოებაე? — თქვა სიმტკიცემ.

— მერედა შენ ეგ უფრო არ უნდა გაბარებდეს, სიმტკიცევ? შენს წილად

უფრო მეტი კაცები არ დარჩებიან? თუმცა, ეტყობა, მაინც და მაინც არ უნდა გიმტვრევდნენ კარებს.

ამის შემდეგ ისინი ერთ ხანს მამაკაცებზე ლაპარაკობდნენ. ღვთიურმა გულისწყრომამ თქვა, უფროსი ლაქის დამხმარეს ლამაზი ფეხები ექვსო.

— და მან ეს მშვენიერად უწყის, — თქვა ზომიერებების

ანგელოზები იმ ოთახში ვახშობდნენ, რომელსაც ლედი მეტროლენდის სახლში ჯერ ისევ საკლასო ოთახს ეძახდნენ. ოთახის ფანჯრიდან კარგად ჩანდა როგორ მოდიოდნენ სტუმრები. წვიმდა, მაგრამ გადახურული პარმალის ორივე მხარეს უსაქმურებს ბლომად მოეყარათ თავი და ყოველ მანტოსა და მის მფლობელს მოწონების შეძახილებით, „აჰ“ და „ოჰ“-ით ან არადა ათვალწუნების გამომხატველი ჩაცინებით მიაცილებდნენ. საკუთარი მანქანები და ტაქსები წამდაუწუმ ჩერდებოდნენ ლედი მეტროლენდის სახლის წინ. ბრილიანტის მალაღლი დიადემით თავდამშვენებულ ლედი პერიფერს ხელში კუბოკრული ქოლგა ეჭირა. თავისი სახლიდან ის ფეხით მოფრატუნდა. კალოშები ეცვა. „ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდები“ ვილაციის მანქანიდან გოკებივით გამოიშალნენ და ერთი ტკარცალითა და კივილით აცვივდნენ პარმალზე. ზოგი დაუპატიჟებელი სტუმარი, რომელმაც შეცდომა დაუშვა და წვეულებაზე დედოფალ ვიქტორიას დროინდელი ტანსაცმლით მოვიდა, „მხილებულ“ იქნა. ასეთი სტუმრები სასწრაფოდ დაბრუნდნენ შინ, რომ ტანსაცმელი გამოეცვალათ და განმეორებით მიეტანათ იერიში ლედი მეტროლენდის სახლზე. არავის არ უნდოდა მიახლოება de'but-ის გამოტოვება.

ანგელოზები თავს ცუდად გრძობდნენ. ოქროსფერ სარტყელიან, თეთრ კაბებში გამოწყობილი და ფრთებით დამშვენებული ანგელოზები შვიდი საათიდან მოყოლებული ელოდნენ წვეულების დაწყებას. ათს გადასცილდა, დადლილობას თავისი გაჰქონდა, მით უმეტეს, რომ ფრთების გადამკიდენი სკამებზე ვერც კი სხდებოდნენ რიგიანად.

— ოჰ, ნეტავი დროზე დაიწყონ, რომ ჩვენც დროზე გავთავისუფლდეთ. მისის შიმპანმა თქვა, თუ კარგად იმღერებთ, შამპანურს დაგალევინებთო, — თქვა ღვთიურმა სურვილმა.

— ნიძლავს ვარ, თვითონ იქ, ქვევით მოწყენილი არ იქნება!

— უბიწოებავ!

— ჰო კარგი, კარგი!

ამ დროს ლამაზთვალეება ჟარეში შემოვიდა და სუფრა ააღაგა. მან გასვლისას მეგობრულად ჩაუკრა თვალი ანგელოზებს. „რა კარგები არიან, — გაიფიქრა მან, — სად არის სამართალი, ეგენი ასეთი მორწმუნენი უნდა იყვნენ? რა წლებს აცდნენ?!“

ანგელოზთა საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ მომსახურე პერსონალის ოთახში მეტად სერიოზული კამათი მიმდინარეობდა. თვით მთავარი ლაქია, მისტერ ბლენკინსოპიც კი ვერ გარკვეულიყო საქმეში.

— ცხადია ანგელოზები სტუმრებად არ ჩაითვლებიან. არც ისა მგონია, რამე დებუტაციას უთანბრდებოდნენ. აღმზრდელი ქალები ხომ არ არიან და არა. აშკარაა, არც სასულიერო პირთა კატეგორიას მიეკუთვნებიან. არც მსახიობებად ჩაითვლებიან, რადგან მსახიობებს ახლა, სამწუხაროდ, სუფრაზე იწვევენ-ხოლმე, — თქვა მისტერ ბლენკინსოპმა.

— ჩემი აზრით, ეგენი დეკორატორები არიან, ანდა რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მოიწვიეს, — თქვა მისის ბლაუზმა.

— საქველმოქმედო ორგანიზაცია და გუვერნანტი ქალებზე ერთ ჯგუფში შედიან. მისის ბლაუზი: რა საჭიროა სოციალურ დაჯგუფებათა რიცხვზე უსასრულოდ გავზარდოთ! დეკორატორები ან სტუმრებად ითვლებიან ანდა მუშებად.

დებატების შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ანგელოზები გადაიხადოთ ჯგუფისათვის მიეკუთვნებინათ. მხოლოდ უფროსი ლექტორის დამხმარე დარჩა თავის აზრზე, კერძოდ, — რომ ანგელოზები უბრალოდ „აბალგაზრდა გოგონები“ არიან, და თანაც „ძალზე საყვარლები“, იმიტომ რომ გადიას თვალს ვერ ჩაუკრავ (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ანგელოზებს კი, სულს და გულს, ინებე, რამდენიც გიხდა.

— შენ ის გვითხარი, უბიწოებავ, მაინც სად გამოიჭირე მისის პენრასტი? — იკითხა ღვთიურმა სურვილმა.

— ჰო, ჰო, გვითხარი! სად შენ და სად ქალებთან მანქანით სეირნობა? — გაიკვირვეს ანგელოზებმა და ფრთები მუქარით შეათამაშეს.

— მოდიტ ჯვარედინი დაკითხვა მოვუწყვით. — თქვა თვინიერაბამ და მოსალოდნელი სიამოვნებისაგან ნერწყვიც კი გადაუღება.

(ანგელოზებს თვითგასამართლებას სამსაფუჯურიათი სისტემა ჰქონდათ შემოღებული, რომელიც გადაკრული სიტყვებით იწყებოდა, ჯვარედინ დაკითხვაში — ჩქმეტასა და სილაქებში გადადიოდა და ცრემლებითა და ხვევნაკოცნით მთავრდებოდა).

გარსშემოჯარული ნიშბიანი, გაბოროტებული სახეები რომ დაინახა, უბიწოებას ცოტა არ იყოს ნირი წაუხდა.

— როგორ, მეგობართან სეირნობის უფლებაც აღარა მაქვს? — თქვა მან საცოდავი ხმით. — რა ყველა ერთად დამესიეთ?

— რის მეგობარი! დღეს პირველად არა ნახე? — თქვა ღვთიურმა სურვილმა და იდაყვს ზემოთ, მწარედ უჩქმიტა.

— ოოოოჰ!... რას შერბები!... ნადირო!

ახლა კი ყველამ ერთად დაუწყო ჩქმეტა, მაგრამ ისეთი სიზუსტით ირჩევდნენ ადგილებს, რომ ფრთები და ნიშბი არ გაეფუჭებინათ; იცოდნენ, რომ ახლა ორგანს მაინც ვერ მოაწყობდნენ (თავიანთ ოთახებში ზოგჯერ აიწყვეტავდნენ ხოლმე, მაგრამ აქ, ლედი მეტროლენდის საკლასო ოთახში, პრემიერის წინ, ამისა არც ადგილი იყო და არც დრო).

— ოოჰ! — ევნესოდა უბიწოება. — ოოჰ! ააჰ! ოოჰ! ააჰ! თავი გამანებეთ, მხეცებო, ღორებო, ხეპრეებო... გეხვეწებით... ოოჰ!.. რაკილა არ იშლით გეტყვით: ეაცი მეგონა და იმიტომ!

— ეაცი მეგონა, უბიწოებავ? რაღაც არა მჯერა!

— რა არის დაუჯერებელი? ძალაან ჰგავს და საქციელიც ეაცისა აქვს. პირველად რომ დავინახე, მაგიდასთან იჯდა. თავზე არაფერი ეხურა და არც ქვედაკაბა უჩანდა... ოჰ! აბა, როგორ მოგიყვებო, თუ ჩქმეტას თავს არ უაანებებთ. ჰოდა, გამიღიმა და მეც მოველა. ჩაი დავლიეთ და მკითხა, ჩემთან ერთად მანქანით ხომ არ გამოისეირნებთო და მეც დავეთანხმე. ოოჰ! ნეტავი არ დავეთანხმებულიყავი!



— მანქანაში რაზე გელაპარაკებოდა, უბიწოებავ?
 — არაფერზე. განსაკუთრებული არაფერი უთქვამს.
 — არაფერიო?
 — გვიანხარი, რა?
 — თუ გვეტყვი, აღარასოდეს დაგჩქმეტავთ.
 — მაპატიე თუ რამე გატკინე! მე, მარტო მე შითხარი!
 — გირჩევნია გვითხრა!
 — არა, არ შემიძლია! მართლა არ შემიძლია. ხომ გეუბნებით დამავიწყ-
 და-მეთქი.

— აბა, გოგოებო, ერთიც შეუნთეთ!
 — ოჰ! ოჰ! ოჰ! თავი დამანებეთ! ყველაფერს გეტყვით!
 ანგელოზები უბიწოების გარშემო შეჯგუფდნენ, თავები ერთმანეთს მიად-
 დეს და ისეთი გატაცებით უსმენდნენ მონათხრობს, რომ მისის შიმპანის
 ოთახში შესვლა არ გაუგიათ.

— ისევ უხამსობანი?! — თქვა საზარელი ხმით მისის შიმპანმა, — თქვენს
 მაგივრად მე მრცხვენია, გოგოებო!

მისის შიმპანი დიდებულად გამოიყურებოდა ოქროსფერი ფარჩისაგან შეკე-
 რილ სამეჯლისო კაბაში. კაბის კალთებზე ბიბლიიდან ამოღებული ციტატები
 ამოქარგათ.

— თქვენს მაგივრად მე მრცხვენია, — ვაიმეორა მისის შიმპანმა. — ისევ
 ატირეთ, ხომ, უბიწოება? თანაც ზუსტად წარმოდგენის წინ! როცა ჩხუბის
 გუნებაზე ხართ, რალა სწორედ უბიწოებას მასღებით ხოლმე? აქამდე რო-
 გორ ვერ გაიგეთ, რომ უბიწოებას ტირილისაგან ცხვირი უწითლდება. რა კარ-
 გი სანახავი ვიქნები მე ცხვირგაწითლებული ანგელოზების წინ მდგარი, არა?
 თქვენ საკუთარი სიამოვნების გარდა სხვა არაფერზე ფიქრობთ. დახვედით!

ეს ბოლო სიტყვა მისის შიმპანმა ისეთი ექსპრესიით წარმოთქვა, რომ ან-
 გელოზები აცახცახდნენ.

— იცოდეთ, ამ საღამოს შიმპანურს ვერ ეღირსებით. და თუ უნაკლოდ არ
 იმღერებთ, ყველას სათითაოდ მიგბეგვავთ. კარგი, გეყოფა! კარგი! ღვთის
 გულისათვის, უბიწოებავ, რალაც მოუხერხე მაგ შენს ცხვირს, თორემ შენი
 ცხვირის შემხედვარე, კაცი იფიქრებს ლოათობასთან ბრძოლის საზოგადოების
 მიტინგზე მოვხვდიო.

ორი წუთის შემდეგ თითქმის სასოწარკვეთილი ანგელოზები გაჩახჩახე-
 ბულ სცენაზე განლაგდნენ. სცენისაკენ მიმავალ ანგელოზებს კიბის ძირში
 მდგარმა მარგო მეტროლენდმა სათითაოდ ჩამოართვა ხელი და მუშტრის თვა-
 ლით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— მოწყენილი სახე გაქვთ, ჩემო კარგო! — უთხრა მარგო მეტროლენდმა
 უბიწოებას, როცა ანგელოზები სამეჯლისო დარბაზის ბოლოში ორქიდეებით
 გამოყოფილი სცენისაკენ მიჰყავდა. — თუ გარემოს შეცვლის სურვილი გაქვთ,
 შითხარით და სამხრეთ ამერიკაში საქმეს გამოგიძებნით. მართლა გეუბნებია,
 არა ვხუმრობ.

— ოჰ! გმადლობთ!.. მაგრამ მისის შიმპანს რა ვუყო?

— მოვიფიქრე, პატარავ! შენისთანა ლამაზ გოგოს ჰიმნების მღერაში რა-
 ტომ უნდა ამოხდეს სული? აი, იმ წითელთმიანსაც უთხარი, მაგისტვისაც შეიძ-
 ლება მოინახოს ადგილი.

— რომელს, თვინიერებას? გირჩევნიათ მაკასთან საქმე არ იქონიოთ, ნამდვილი ალქაჯია.

— ზოგ კაცს ალქაჯები მოსწონს, მაგრამ ისეთიც არ მინდა, თავისსავე ამხანაგებს რომ დაერიოს.

— სწორედ მასეთია. შეხედეთ, როგორ დამიღუპა მკლავი!

— საწყალი გოგო!

მარგო მეტროლენდმა და მისის შიმპანმა ანგელოზები ორქიდეებით მორთულ კიბეებზე აიყვანეს და სცენის სიღრმეში, პირით შაყურებლებისაკენ ჩაამწყრივეს. უბიწოება ღვთიური სურვილის გვერდით მოხვდა.

— გვაპატიე, უბიწოებავ! ძალიან გატკინეთ? მე ზომ ძალიან არ მიჩქმეტია?

— აბა, კი! არ გიჩქმეტი!

ღვთიური სურვილი შეეცადა თავისი გაოფლილი ხელით უბიწოების ხელს შეხებოდა, მაგრამ უბიწოებამ არ დაანება, ხელი მომუშტა.

...სამხრეთ ამერიკაში წავა და ლედი მეტროლენდის დაწესებულებაში იმუშავებს... თვინიერებას არაფერსაც არ ეტყვის...

უბიწოებამ პირდაპირ გაიხედა, მისის პენრასტი დაინახა და თვალეჭი დახარა.

სამეჯლისო ოთახი პატარა, მოოქროვილი სავარძლებით იყო გაკედლილი და ყველა სავარძელი უკვე დაეკავებინათ. ლორდი ვენბრუ გასასვლელთან მოკალათებულ იყო, რომ ყველა შემომსვლელს მის თვალწინ გაევიღო და თანაც დვილად შესძლებოდა ოთახიდან შეუშინევილად გასვლა რედაქციაში დასარეკად. აკი უკლებლივ ყველა სტუმარი რალაციით იყო ღირსსაცნობი!

მარგო მეტროლენდის მეორედ გათხოვებას¹⁶ თავისი მიზეზები ჰქონდა და უკლებლივ ყველა მიწიერი გახლდაო. ამ მიზეზთაგან ყველაზე მთავარი მაინც იმის სურვილი იყო, რომ როგორმე აღედგინა თავისი ერთგვარად შერყეულ საზოგადოებრივი მდგომარეობა. მის მიერ მოწყობილი ამ წვეულების წარმატებამ დაადასტურა, რომ მარგო მეტროლენდს მიზნისათვის მიეღწია. საქმის თავი და თავი ის არის, რომ ბევრს შეუძლია პრემიერ მინისტრი, სტეილის პერცოგი ან ლედი პერიფერი მიიღოს სტუმრად; ყველას შეუძლია და ხშირად საკუთარი სურვილის წინააღმდეგ პატარაებენ კიდევ მაილზ ბედასლსა და ავთა რანსიბლს, მაგრამ მხოლოდ თავის თავში ზომაზე მეტად დარწმუნებული დი-

¹⁶ იხილეთ რომანი „დაკნინება და გაპარტახება“ (სექტორის შენიშვნა). ი. ვოს პირველ რომანში „დაკნინება და გაპარტახება“ (1928 წ.) მარგო ბესტჩეტვინდი ძალიან მდიდარი ქვრივია. დადის ხმები, თითქოს მას ქმარი მოეწამლოს. მარგო ბესტჩეტვინდი მეორედ გათხოვებას გადაწყვეტს. მას სურს მისთხოვდეს თავისი ვაჟიშვილის მასწავლებელს, ქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე კალი თავის საქმროს რალაც საქმეებზე მარსელში აგზავნის. საქმე ეხება „სამხრეთ ამერიკის გასართობი ბიზნესის სააქციონერო საზოგადოებას“ — მარგო ბესტჩეტვინდი იქ არსებული საროსკიპოების მფლობელი აღმოჩნდება. მისი საქმრო კიბეში ხვდება, ხოლო მოხერხებული კალი სრულიად უგნებელი აღწევს თავს ამ საჩოთირო მდგომარეობას და სულ მალე ცოლად მიჰყვება შინაგან საქმეთა მინისტრს მალტრავერსს. რომელსაც მეტროლენდის ტიტულს ანიჭებენ. (მთარგმნ.)

ასახლისი თუ გაბედავს აზრებითა და ცხოვრების ყაიღით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ამ ორი ჯურის ადამიანთა ერთდროულად დაპატივებას.

კარებთან ვენბრუს გვერდით იდგა ერთი კაცი, რომელიც თითქოს ანსახი-ერებდა ყველა იმ ფერისცვალებას, რაც პასტმასტერ ჰაუსს განეცადა მას შემდეგ, რაც მარგო ბესტჩეტვანდი მარგო მეტროლენდი გახდა. ვენბრუს გვერდით მდგარ მოკრძალებულ კაცს დაბალი უფრო-ეთქმოდა, ვიდრე საშუალო ტანისა. შავი, მბზინავი, ხუჭუჭა წვერი, რომელიც მკერდზე ეცემოდა, ყელზე ჩამოკიდებულ წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის ორდენებს თითქმის უფარავდა. თეთრხელთათმნიანი მარცხენა ხელის ნეკზე ღერბიანი ბეჭედი ეკეთა. კოსტიუმის ღილ-კილოში ორქიდება გაეკეთებინა. გამოხედვა ახალგაზრდული, მაგრამ ძალიან სერიოზული ჰქონდა და სტუმრებს დაეინებით აკვირდებოდა. დროდადრო დიდი სინატიფითა და გულმოდგინებით უკრავდა თავს ვილაცას. ჩამდენიმე სტუმარი მისი ვინაობით დაინტერესდა.

— ერთი იმ წვეროსან-ორდენოსანს შეხედე! — უთხრა თვინიერებამ რწმენას.

— ვინ არის ის გაფუყული ახალგაზრდა? — ჰკითხა მისის ბლექუოტერმა ლედი თრობინგს.

— მე რას მეკითხები, გენაცვალე, შენ არ მოგესალმა?

— მე კი არა, შენ მოგესალმა, საყვარელო!

— თუ მე მომესალმა, ძალიან სასიამოვნოა... მეგონა, მომეჩვენა-მეთქი...

ჩალაცით ჩვენს საყვარელ პრინც ანპერს მაგონებს.

— ჩვენს დროში მართლაც სასიამოვნოა, არა, საყვარელო, როცა ვინმე ნამდვილად... შენ როგორ თქვარობ?

— რას გულისხმობ, წვერს?

— რასაკვირველია წვერსაც და სხვა რამესაც, ძვირფასო!

* * *

მამა როტშილდი მისტერ კეიფსა და ლორდ მეტროლენდს საიდუმლოდ ეთათბირებოდა. უცებ სიტყვა შუაზე გაწყვიტა.

— მაპატიეთ! აქაურობა ჯაშუშებითაა სავსე! აი, იმ წვერებიან კაცს იცნობთ?

ლორდ მეტროლენდს თითქოს გაახსენდა, რომ წვეროსანს რაღაც საერთო უნდა ჰქონოდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. მასტერ კეიფსაც თითქოს სადღაც ენახა იგი.

— საქმეც ეგ არის! — თქვა მამა როტშილდმა. — ვფიქრობ, უკეთესი იქნება ჩვენი საუბარი სადმე სხვაგან გავაგრძელოთ. რა ხანია მაგ კაცს თვალს ვადევნებ. დარბაზში სიცარიელესა და მისკენ ზურგშექცევით მდგარ ხალხს ესალმება!

სამი დიდი სახელმწიფო მოღვაწე ლორდ მეტროლენდის კაბინეტში განმარტოვდა. მამა როტშილდმა უხმაუროდ მიხურა კარი და მერე ყველა ფარდის უკან შეიხედა.

— დავკეტო კარი? — ჰკითხა იეზუიტს ლორდმა მეტროლენდმა.

— არ არის საჭირო, — უპასუხა მამა როტშილდმა, — ჩაკეტილი კარა ჯაშუს მოსმენაში ხელს ვერ შეუშლის, ჩვენ კი მის დაჭერაში დიდად შეგვიშლის ხელს.

— ამას მოფიქრება არ უნდა?! — თქვა მისტერ კუტმა უფრო ფული აღტაცებით.

* * *

— რა ვშვენიერია ნინა ბლაუნტი, — თქვა ლედი თრობინგმა, რომელიც პირველ რიგში იჯდა და დარბაზში მსხდომთ ლორნეტით ათვალიერებდა. — მაგრამ თითქოს... შენ არ გერვენება, რომ თითქოს შეცვლილა? კაცი იფიქრებს...

— შენ არაფერი გამოგეპარება, საყვარელო!

— მეტი რა დაგვრჩენია, ჩვენს ასაკში, გენაცვალე! დარწმუნებული ვარ, მისს ბლაუნტს რაღაც მოუხდა... მაილზის გვერდით ზის... ჰო, მართლა, ედუარდის წერილი მივიღე. ჩამოდის! მაილზასათვის ეს დიდი დარტყმა იქნება. რაც ედუარდი წასულია, სულ მის სახლში ცხოვრობს. მართალი რომ გითხრა ედუარდის ჩამოსვლა კიდევ მიხარია იმიტომ, რომ იმ ქუჩის მეორე მხარეზე მცხოვრებ ანა ოპალთროპის ნათქვამს თუ დავუჯერებთ, იმ სახლში დიდი ამბები ტრიალებს... იქ ეხლა მაილზი ერთ თავის მეგობართან ერთად ცხოვრობს. დიდი უცნაური ვინმეა... ავტომობილი... რა აზრი აქვს ასეთი რამის მიჩქმალვას... მართალი არა ვარ?... მისის პენრასტიც აქ არის... კი, როგორ არ იცნობ... ეგ ხომ ყოფილი ლედი ბალკარნია... თუ იცი, ნეტა, მარგოს რაში სჭირდება ასეთი ხალხის დაპატიჟება? თუმცა თვითონ მარგოც არ არის მამა აბრამის ბატკანი... აი, ლორდი მონომარკიც... ჰო, აი, იმ თავშესაქცევი გარეთების მეპატრონე.. ამბობენ რომ ეგ და მარგო... რა თქმა უნდა გათხოვებამდე (მეორედ გათხოვებას ვგულისხმობ). მაგრამ ზოგჯერ მერეც გრძელდება ხოლმე... თუ იცი, ახდ არის პიტერ პასტმაატერი? დედამისის წვეულებებს ბოლომდე არასოდეს ესწრება ხოლმე... სადილზე, რა თქმა უნდა იყო და ერთი გენახა რამდენს სვამდა... ჯერ ოცდაერთი წლისაც არ არის... თქ! ეს არის მისის შიმპანი? რა ტლანქი სახე აქვს!.. ნუ შიშობ, ძვირფასო, ვერ გაიგონებს... ნამდვილი procureuse-ი¹⁹ შესახედაობა აქვს. თუმცა ამ საკითხზე იქნებ არც უნდა ვლაპარაკობდე ამ სახლში, არა? შენ როგორ ფიქრობ?

* * *

ადამი ხინასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა.

— ჰელლო! — მიესალმნენ ისინი ერთმანეთს.

— ერთი ძერი მაუსის ახალ თავყვანისმცემელს შეხედე, საყვარელო!

ადამმა გაიხედა და დაინახა, რომ ძერი მაუსი მაპარაჯა პაკაპორის გვერდით იჯდა.

¹⁹ Procureuse (ფრანგ.) — მაჭანკალი.

- ჩემი აზრით, მშვენიერი წყვილია, — თქვა ადამმა.
- ოჰ, როგორ მომწყინდა ყველაფერი, — თქვა ნინამ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

წვეულებას ესწრებოდა მისტერ ბენფლიტი, იგი ორ პოეტს ელაპარაკებოდა. აი, რას ამბობდნენ პოეტები: ...მე უილიამს მივწერე, რეცენზია ჩემი დაწერილი არ არის-მეთქი. მართალია, ტონიმ რეცენზია ნამდვილად წამიკითხა ტელეფონში, სანამ რედაქციაში გააგზავნიდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ბოლს თავს ძლივს ვართმევდი, როცა ის ამ რეცენზიას მიკითხავდა. ვიფიქრე, ვკეთესია სიმართლე იცოდეს, სულ ერთია ტონი მაინც ეტყვის-მეთქი. თქმით მართლა ვუთხარი ტონის, გირჩევ ეს რეცენზია არ გამოაქვეყნო-მეთქი, ისევე, როგორც უილიამს ვურჩევდი თავიდანვე. ეგ წიგნი არ გამოსცე-მეთქი. პოლა, ტონიმ მაიკლს დაურეკა და უთხრა. ვითომ მე მეტყვას, თითქოს უილიამს ჰგონია, რომ რეცენზია მაიკლმა დაწერა იმ რეცენზიით გაღიზიანებულმა, მე რომ ერთი წლის წინ მაიკლის წიგნზე დავწერე, თუმცა სინამდვილეში ის რეცენზია ტონის დაწერილია...

— ცუდია, ძალიან ცუდი! — თქვა მისტერ ბენფლიტმა.

— ...მაგრამ ვთქვათ, ის რეცენზია მე დავწერე, თუმცა კი მე არ დამიწერიან, განა ეს მაიკლს უფლებას აძლევს, რომ ტონის უთხრას, თითქოს მე უილიამს ხუთი გირვანქა სტერლინგი მოვპარე?

— რასაკვირველია, არა! ძალიან ცუდია, ძალიან!

— ისინი, რასაკვირველია ჯენტლმენები არ არიან. არც ერთი არ არის ჯენტლმენი, აქ არის ძაღლის თავი დამარხული! სირცხვილი არ არის, კაცს დღეს ძაბზე ლაპარაკი სჭირდებოდა?

მისტერ ბენფლიტი შეწუხებული იყო და თავს თანაგრძნობით აქნევდა.

* * *

მისის მელროუზ შიმპანი სიტყვის სათქმელად წამოდგა. დარბაზში სიჩუმე გამოვარდა. მოოქროვილი სავარძლების ჯერ უკანა რიგები დადუმდნენ და ბოლოს წინა რიგებიც დაწყნარდნენ. ისმოდა მხოლოდ მისის ბლეჭუოტერის ხმა, რომელიც ლედი მეტროლენდის წარსულის ზოგიერთ წერილმანს ძალზე ხმა-ბოლო და მკაფიოდ ჰყვებოდა. ბოლოს ისიც გაჩუმდა და მისის შიმპანმა დაიწყო თავისი ქადაგება იმედზე.

— დანო და ძმანო! — დაიწყო მან ათრთოლებული, ხრინწიანი ხმით. შემდეგ ერთხანს იყუჩა და მოოქროვილ სკამთა რიგებს მოავლო თვალი, რომლის სტანდარტი ძალა სამი კონტინენტის მცხოვრებლებზე ჰქონდა შემოწმებული (ეს მისი საყვარელი სერბი იყო).

— ყველამ საკუთარ გულში ჩაიხეღოს! — თქვა მისის შიმპანმა.

დარბაზში მყოფნი თვითმხილების ზებუნებრივმა ძალამ შეიბყრო. მისის პრასტი შეშფოთებით შეიმუშნა. ნეტა იმ აუღელმა გოგომ ზედმეტი ხომ არ იყბუდა? — გაიფიქრა მან.

— საყვარელო, ცხვირი ხომ არ პიპრიალებს? — იკითხა მისს რანსიბ-დს.

ნინამ გაიფიქრა, რომ სულ რაღაც ოცდაათნი საათის წინ სიყვარულს მოხარვე გახდა. მისტერ ბენფლიტმა გაიფიქრა, სამი პროცენტი ხომ არ მიგვეცა ავტორებისათვის ათი ათასი ეგზემპლარის შემდეგო. „დაუბატიებელ სტუმრებს“ თავში გაუფლვა ფიქრმა, ხომ არ აჯობებს მანქანის დაერჩენილიყავითო. (ერთხელ, ჯანჯას სიტყვით ქადაგებისას, შინის შიმპანს ამ ერთი ფრაზის მეტი აღარაფერი უთქვამს. დარბაზში ისეთი ალიაქოთი ატყდა, რომ არც ერთი სკამი არ დარჩენილა მთელი, ყველაფერი მილეწ-მოლეწეს. სწორედ იმ საღამოს შეემატა ანგელოზთა რიგებს თვინიერება).

ლედი თრობინგს აბა, რომელი ერთი ამბავი გაეხსენებინა... ყველას წარსულში მოინახა რაღაც საჩოთირო ამბავი.

— ესენიც გამოიჭირა! სუნთქვაც კი შეეკრათ! — წაიჩურჩულა ლეთიურმა სურვილმა.

ვენბრუ დარბაზიდან გაიბურწა, რომ ამ ფეშენებელური ღვთისმოსაობის თაობაზე რედაქციაში ორაოდე ცინცხალი ამზაცი გადაეცა.

მერი მაუსმა თვალთავან ორად-ორი კურცხალი გადმოაფრქვია და მაპარაჯას მოყავისფრო ჩაბრილიანტებულ ხელა წაეპოტიწა.

თვითმხილების განწყობით გაჩერებულ სიჩუმეში მოულოდნელად ინგლისის წიაღიდან ამოხეთქილი, მამაპაპური მონადირული შეძახილი გაისმა. ეს ლედი პერიფერი იყო გულისწყრომა რომ ველარ დაფარა:

— ეს რა ღვთის პორიდან გადავარდნილი თავხედი ქალია!

ადამმა, ნინამ და მისს რანსიბლმა ჩაიფრუტუნეს. და მარგო მეტროლენდი მიხვდა, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო მის უთვალავ წვეულებათა ისტორიაში, როცა მას თავის საპატიო სტუმრის ჩაფლავება გაუხარდა. ერთი სიტყვით, გვარიანი უხერხულობა შეიჭმნა...

* * *

კაბინეტში მისტერ კეიფი და მამა როტშილდი დიდი გატაცებით ქსოვდნენ შეთქმულების ბადეს. ლორდი მეტროლენდი კი სიგარას ეწეოდა და ფიქრობდა. ამათგან თავს როდის დავაღწევო. მას უნდოდა მისის შიმპანისათვის მოესმინა და ერთხელაც შეეველო თვალი მისი ანგელოზებისათვის. ის წითელ-თმიანი მაინც... ესეც არ იყოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას და საგარეო პოლიტიკას მისთვის კაბიკის ფასი ჰქონდა. თავის დროზე თემთა პალატაში ყოფნისას, მას დიახაც მოსწონდა ცხარე შეხლა-შემოხლა და ახლაც ხშირად ძსუბუჭი ხალველი შეიპყრობდა ხოლმე, როცა პირფერობის ის ორგანიზმული შეჯიბრებები ახსენდებოდა. რომელთაც ხელი შეუწყეს მის აღზევებას. ახლაც, როცა ლორდთა პალატაში რომელიმე მარტივი საკითხი ირჩეოდა, მაგალითად, ხალხური ხელოვნების შესახებ, ახდა ლატაკთა ხელუფლების შესახებ, მას სიამოვნებდა მაღალფარდოვანი სატყვის წარმოთქმა. ამნაირი ამბებისაკვს კი გული არ მიუწედა.

უცებ მამა როტშილდმა სინათლე ჩააქრო.

— დერეფანში ვიღაც მოდის. ფარდებს ამოეფარეთ! ჩქარა! — თქვა მან.

— მართლა და მართლა, როტშილდ... — დაიწყო მისტერ კეიფმა.

— ბოლოს და ბოლოს... — თქვა ლორდმა მეტროლენდმა.

— ჩქარა! — თქვა მამა როტშილდმა.

და სამივე სახელმწიფო მოღვაწე ფარდებს უკან მიიმალა. ლორდ მეტროლენდს სიგარა არ გადაუგდია. თავი უკან გადასწია და სიგარა ზევით აიწეირა, არის გაღების ხმა გაიგონეს. სინათლე აინთო. მერე ასანთი გაჭკრეს. კილოცამ ტელეფონის ყურმილი აიღო და აპარატმა სუსტი ხმით გაიწყარუნა.

— ცენტრალური, ათი ათასი, — თქვა ვილაცამ დახშული ხმით.

— ეხლა კი დროა, — თქვა მამა როტშილდმა და სამალავიდან გამოვიდა. წვეროსან უცნობის, რომელმაც მამა როტშილდს სასტუმრო ოთახში ეჭვი აღუძრა, პირში ლორდ მეტროლენდის სიგარების კოლოფიდან ამოღებული სიგარა გაერჭო და ტელეფონის აპარატით ხელში მაგიდასთან იდგა.

— აა! სალამი! — თქვა მან. — არ ვიცოდი, აქ თუ იყავით. ვიფიქრე, ტელეფონით ვისარგებლებ-მეთქი, ბოდიშს ვიხდი! მეტს აღარ შეგაწუხებთ! რა მზიარული წვეულებაა, არა? კარგად ბრძანდებოდეთ!

— ადგილიდან არ გაინძრე!.. და ეგ წვერი მოიხსენი! — უთხრა მამა როტშილდმა.

— როგორ არა, მოგართმევთ! — თქვა უცნობმა გაგულსებით. — როგორ მელაპარაკებით, თქვენი მსახური ხომ არა გგონივართ! აი, შე ბებერო სუტენიორო!

— მოიძრე ეგ წვერი! — გაიმეორა მამა როტშილდმა.

— მოიძრე წვერი! — თქვეს ფარდების უკნიდან ერთდროულად გამოსულმა ლორდმა მეტროლენდმა და პრემიერ-მინისტრმა.

საიმონმა მთელი საღამო ისედაც დიდ უხერხულობაში გაატარა, და ახლა სახელმწიფო აპარატისა და ეკლესიის ასეთ ერთსულოვანსა და მოულოდნელ შემოტევას ვეღარ გაუძლო.

— კარგით, კარგით! — თქვა მან, — რა ლურჯაური ატეხეთ... ასე ძალიან მტკივნეულია... თბილ წყალში უნდა დასველება... ოოჰ! უუჰ!

საიმონმა დაწებებული ხუჭუჭა წვერი რამდენჯერმე მოქაჩა და ნაწილ-ნაწილ მოიძრო.

— აჰა! ხომ მოისვენებ? — თქვა მან. — მე რომ თქვენ ადგილას ვიყო, ახლა წავიდოდი და ღვდი თრობინგს მოვადრობდი პარიკს... მართლაც რომ კარგ დროს გავატარებდი...

— მე, როგორც ჩანს, საშიშროება გავაზვიადე, — თქვა მამა როტშილდმა.

— ვინ არის ეს კაცი, ბოლოს და ბოლოს? — იკითხა მისტერ კეიფმა. — სად არის ჩემი დაცვა? რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— ეს კაცი გახლავთ მისტერ ლაყაფი! — მჭისედ თქვა მამა როტშილდმა.

— არასოდეს გამიგონია ამ კაცის სახელი. არა მგონია საერთოდ არსებობდეს ასეთი პიროვნება... ჰმ! ლაყაფი! ჯერ ფარდებს უკან გვმალავთ და მერე გვეუბნებით, რომ ეს ვილაც წვერმიწებებული ახალგაზრდა კაცი არის ლაყაფი. უკით რა როტშილდ...

— დაუყოვნებლივ დატოვეთ ჩემი სახლი, ლორდ ბალკარნ! — თქვა ლორდმა მეტროლენდმა.

— ჰქვია თუ არა ჰქვია ამ ახალგაზრდა კაცს ლაყაფი? ლმერთმანი, ყველანი ვიყები მგონიხართ! — თქვა მისტერ კეიფმა.

— წავალ, აბა, აქ კი არ დავრჩები! — თქვა საიმონმა. — როგორ ფიქ-

რობთ, ასე დავბრუნდები დარბაზში, თუ? არა, მართლა გეგონათ დავბრუნდებოდნი?

და მართლაც იგი ძალიან სასაცილო სანახავე იყო, რადგანაც ნიკაპსა და ლოყებზე ალაგ-ალაგ შავი, ხუჭუჭა თმის ბლუჯები შემოეჩვენოდა.

— ლორდი მონომარკი დღეს ჩვენი სტუმარია. შენ მას უცნობლად ვაცნობებ თქვენი საქციელის შესახებ...

— გაზეთებში წერს — ...შეეცადა მამა როტშილდი პრემიერ-მინისტრისათვის აეხსნა საქმის ვითარება.

— ეშმაკსაც წაუღია, მისი თავი... გაზეთებში მეცა ვწერ, მაგრამ წვერს არ ვიწებებ და არც ლაყაფს ვეძახი ჩემს თავს... არ მესმის პირდაპირ, რა ხდება... სად არიან ჩემი მცველები?... კაცი არ არის, რომ ადამიანურად ამიხსნას რამე. თქვენ მე ბავშვივით მექცევით! — თქვა მისტერ კეიფმა.

მისტერ კეიფის აზრით აქაც იგივე ამბები მეორდებოდა, რაც მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე. აქაც ყველანი ისეთ ამბებზე ლაპარაკობდნენ, რისიც მას არაფერი გაეგებოდა და აქაც არავინ აგდებდა რამედ.

მამა როტშილდმა მისტერ კეიფი გვერდზე გაიყვანა და თითქმის დამამცირებელი მოთმინებითა და ტაქტით უხსნიდა თანამედროვე ჟურნალისტიკის ზოგიერთ სირთულეს.

— ერთი სიტყვაც არა მჯერა! — იმეორებდა პრემიერ-მინისტრი. — ეს რაღაც აბღაუბდაა! რაღაცას მიმაღავთ... ჰმ! ლაყაფი!

საიმონ ბალკარნს პალტო და ქუდი მიართვეს და კარებამდე მიაცილეს. პარმალთან მომლოდინე უსაქმურები აღარსად ჩანდნენ. ისევ წვიმდა. საიმონი პურდონ-სტრიტზე, თავის პატარა ბინაში ბრუნდებოდა, წვიმამ სახიდან პაროკის ნარჩენები ჩამოურეცხა. წვიმის წვეთები კისერში ჩასდიოდა...

მისი სახლის შესასვლელთან ვიღაც უცნობები მანქანას რეცხავდნენ. იგი მანქანასა და ნაგვის ყუთს შორის გაძვრა. კლიტეს გასაღები მოარგო და თავის ბინაში ავიდა. მისი ბინა Chez Espinosa-ს ჰგავდა — მუშამბითა და ლალიკის მინით იყო იქაურობა სავსე. ოთახში დავიდ ლენოქსის რამდენიმე თამამი ფოტოგრაფია და განვადებრთ ნაყიდი გრამაფონიც მოხვდებოდა თვალს. ბუბრის თავზე მოსაწვევი ბარათები ეყარა; საწოლზე, ზუსტად ისე, როგორც წასვლისას დატოვა, სააბაზანო პირსახოცი ეგდო.

საიმონი სამზარეულოში გავიდა და მაცივრიდან ყინულის რამდენიმე ნატეხი გამოიღო. მერე კოკტეილი გაიკეთა. მერე ტელეფონთან მივიდა.

— ცენტრალური ათი ათასი... — თქვა მან — მისის ბრეისი მინდა... ჰელლო! ბალკარნი ვარ!

— რაო, დაითრიე რამე?

— მაშ არადა! დავითრიე და მერე როგორ! ოღონდ ქრონიკისათვის ეს მასალა აფსუსია. პირველ ვვერდზე, ახალ ამბებში უნდა წავიდეს. ლაყაფის სვეტი „ესპინოზას“ ამბებით შევაავსოთ!

— როგორ არა, მოგართმევენ!

— ჯერ გაიგე რა მასალა მაქვს და ისე თქვი... ალლო! ახალი ამბები მომეცემითქი... ალლო! ახალი ამბები? ბალკარნი ვარ! რომელიმე მოემზადეთ ჩასაწერად! გესმით?... მზადა ხართ? დავიწყეთ!

ბალკარნი თავის მინით დაფარულ მაგიდასთან იჯდა, კოკტეილს წრუბავდა და თავის უკანასკნელ კორესპონდენტციას კარნახობდა:

„დაუოკებელი რელიგიური ალტკინების სცენები, მძიმე, რომელიც კოცონის გარშემო შემოკრებილ სამხრეთ ამერიკელ ზანგთა თავყრილობას გაგახსენებდათ, მიიძღვნა ვიხილეთ მეიფეარის ცენტრში გუშინ სალამოს წვეულებებზე, მიიძღვნა რომელიც გამართა ცნობილი ამერიკელი ქადაგი ქალის [მისის] შინაგანად მტრისა ცემად ლედი მეტროლენდმა, მიიძღვნა ყოფილმა მისის ბესტ-ჩეტვუნდმა, მიიძღვნა თავის ისტორიულ სახლში პატმასტერ-ჰაუზში, წერტილი. ძნელი დასაყრებელია, რომ ამ დიდებულ სამეჯლიათ დარბაზში ოდესმე ამაზე ბრწყინვალე საზოგადოება შეკრებილიყოს“...

ეს იყო საიმონის გედის სიმღერა. მის ვონებაში ერთი ერთმანეთზე უფრო შემაზრხენი ტყუილი იბადებოდა და ერთმანეთში ირეოდა...

„...მიიძღვნა კეთილშობ. აგათა რანსიბლი მისის შინაგანთან სცენაზე ავიდა, ანგლოზთა გუნდს დირიჟორობდა და სახეზე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა...“

„ექსცესის“ რედაქცია აღელვებამ მოიცვა. ყოველგვარი საქმიანობა შეახერხეს. თვალეზად ქცეული, ამ დროისათვის ჩვეულებისამებრ უკვე ოდნავ შეჭიკჭიკებულ ღამის რეპორტიორთა მთელი შტატი სტენოგრაფისტს წამოადგა თავზე. ამწყობები მას ფურცელ-ფურცელ გლეჯდნენ ხელიდან მასალას... განყოფილებათა გამგეებმა საჩქაროდ დაიწყეს თავიანთი მასალის შემცირება: ამოიღეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადებანი, მოწმეთა ჩვენებები მკვლელობის საქმეზე ზედმიწევნით შეამოკლეს, ერთ გესლიან აბზაცამდე შეკუმშეს თეატრალური კრიტიკოსის სტატია და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ საიმონის ინფორმაციისათვის ადგილი გაენთავისუფლებინათ.

საიმონ ბალკარნის ინფორმაცია მთლიანად გაუშვეს ნომერში, როგორც ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა „მთელი თავისი დიდებულებით, ისე რომ თავზე ერთი ბეწვიც არ შერხევია“.

— პატარა ლორდმა ფონტლერომ როგორც იქნა მიაგნო თავის თემას, — თქვა მეორე თანამშრომელმა.

— აი, მესმის თემა! — თქვა მესამემ მოწონებით.

...„ძლივს მოასწრო ლედი ევრიმენმა დამთავრება, რომ ახლა ლედი თრონგი წამოდგა თავისი ცოდვების მოსაწინააღმდეგად. მღელვარებისაგან ჩამწყდარი ხმით მან იმ ამბის წვრილმანები გაამხილა, რაიც ახლანდელი გრაფის გამობის საკითხს ეხება და რაზეც აქამდე მხოლოდ ეჭვობდა საზოგადოება“...

— მისტერ ედვარდსს უთხარით, სამივეს სურათები გაამზადოს, — გასცა განკარგულება „უკანასკნელი ცნობების“ რედაქტორის თანაშემწემ.

...„მარკიზ ვენბრუს სინანულის ცრემლი აღრჩობდა... მისის პენრასტი აღჯხნებით მღეროდა... თვალეზდახრილი ლედი ანკორაჯი“...

...„ენტერბერის არქიეპისკოპოსმა, რომელიც კარგა ხანს უძალიანდებოდა საყოველთაო მონანიების განწყობილებას, ბოლოს განაცხადა, რომ ოთხმოციან წლებში, იტონში, ის და სერ ჯეიმს ბრაუნი“...

...„ატეილის პერკოვის მეუღლემ თავისი ბრილიანტები და ზურმუხტების დიადემა ძირს დაანარცხა და შესძახა: „ცოდვათაგან განსაწმენდად!“ მის მაგალითს სასწრაფოდ მიჰბადეს პერიფერის გრაფის მეუღლემ და ლედი ბრაუნმა. მალე პარკეტზე ძვირფასი ქვების სეტყვა წამოვიდა — უნიკალური საგვარეულო განძეულობანი და ყალბი მარგალიტები და ბრილიანტები ერთმანეთში აირია... პაკაპორის მაპარაჯას ხელიდან შეუვსებელი ჩეკი გამოფარდა“...

საიმონის კორესპონდენციამ ორ სვეტზე მეტი დაიკავა და როცა მან კოლეგათა მილოცვის შემდეგ, როგორც იქნა დაკიდა ყურმილი, დაფისი ეურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში პირველად იგრძნო სრულყოფილება... მან კოკტილის წყალწყალა ნარჩენიც გამოწრუტა, სამზარეულოში გავიდა, კარი და ფანჯარა დახურა და გაზის ლუმელი გამოაღო. ლუმელი ძალიან ჭუჭყიანი იყო და ხორცის სუნად ყარდა. ლუმელის სულ ქვედა სინზე ბალკარნმა გაზეთი გადააფინა, დაწვა და თავი ზედ დადო. ამის მერეღა შენიშნა, რომ „მორნინგ დისპეტჩის“ ის ნომერი გავფინა თავქვეშ, სადაც ვენბრუს კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი. საიმონმა ამ ფურცელს ზემოდან სხვა ფურცელი გადააფარა (სინზე ნამცეცები ეყარა). მერე გაზი მოუშვა. გაზი საოცრად ხმაძალალი ქშუილით გამოვარდა. გაზის ძლიერმა ნაკადმა თმა და ყალბი წვერის ნარჩენები გაუჩეჩა. თავიდან სუნთქვა შეიკრა, მერე იფიქრა ეს სისულელეაო, და ღრმად შეისუნთქა. ღრმად რომ შეისუნთქა, დაახველა, ხველისგან უფრო ღრმად დაიწყო სუნთქვა. თავი ძალიან ცუდად იგრძნო, გრძნობა დაკარგა და ძალე მოკვდა კიდევ.

ამგვარად, როგორც იტყვიან, გრაფი ბალკარნი თავის მამა-პაპათ მიეწია (რომელნიც სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა მიზნებს შეეწირნენ, იმის მიხედვით, თუ საით უკრავდა მათ თავს მათივე საკუთარა მოხეტიალე ბუნება და ინგლისის ექსცენტრული საგარეო პოლიტიკა; აკრში²⁰, აზენკურში²¹, კილიკრენკში²². ამერიკასა თუ ეგვიპტეში, მისი ერთ-ერთი წინაპართაგანი თევზებმა დაბრეს, როცა მას ზღვის ტალღები წყალქვეშა ტყას თავზე დაათამაშებდნენ. ზოგი წინაპარი ტროპიკების მზემ ისე გაბუნა, რომ სათვალავში ჩასაგდებადაც აღარ ღირდნენ... თუშცა მის წინაპართა დიდი უმრავლესობა მდიდრულსა და უცნაური ფორმის მარმარილოს საგვარეულო საძვალეებში განისვენებდა).

* * *

პასტმასტერ ჰაუნში ლედი მეტროლენდი და ლორდი მონომარკი საიმონზე ლაპარაკობდნენ. ლორდი მონომარკი პატარა ბიჭივით იღრჩობოდა სიცილით.

— აი, ეს ძესმის! პარაკი გაიკეთა? მაგარი ყოფილა! როგორ თქვით, რა ჰქვია? ხვალ დილითვე დაეაწინაურებ! — თქვა მან, მერე თავის თანაშემწეს მიუბრუნდა და უთხრა ბალკარნის გვარი და სახელი ჩაეწერა.

და როდესაც ლედი მეტროლენდმა წინააღმდეგობის გაწევა დაუპირა, ლორდმა მონომარკმა მას თითქმის უზრდელად შეაწყვეტინა სიტყვა:

— მორჩი, მარგო! ჩემთან რაში გვირდება ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი!

(დასასრული შემდეგ ნომერში)

²⁰ აკრი — სენ ვან დ'აკრი, ციხე-სიმაგრე სირიაში, სადაც 1799 წელს ინგლისელებმა ნაპოლეონის არმია დაამარცხეს.

²¹ აზენკური — ციხე-დარბაზი საფრანგეთში. სადაც ინგლისელებმა ფრანგებთან ასწლიანი ომის საბოლოო შეტაკება მოიგეს.

²² კილიკრენკი — ხეობა შოტლანდიაში. სადაც 1689 წელს მოხდა შეტაკება მთიელ შოტლანდელებსა და მეფე ვილჰელმის ჯარებს შორის.



გერმანულიდან თარგმნა იორამ ქაშვილიძემ

მწყემსი ბიჭი

აქ მეფეა მწყემსი ბიჭი,
 ტახტადა აქვს კორდი მწვანე,
 თავზე ადგას ოქროს დიდი
 შზის გვირგვინი მოვარვარე.

ფერხთა მისთა ლოკვენ ცხვრები, —
 მორთულები წესით, რიგით...
 და ხბოები — ეეშკები
 ტრიალებენ მეფის ირგვლივ.

ხოლო კარის მასხარები —
 ძირს — თხა, ძროხა, მალლა —
 ჩიტნი, —

უკრავენ და რას უკრავენ
 თუ ეყვნებით, თუ ფლეიტით...

უსმენს მეფე ღვთიურ ჰანგებს,
 ჩანჩქერის ხმას, ნაძვის შრიალს

და საამურ სიოს ჩურჩულს...
 და ჰა. თვლემაც მოერია.

და დარაჯობს არე-მარეს
 დიდვეზირი — ძალლი მეფის;
 ყველას, ყველას ეშინია
 მეხიანი მისი ყეფის.

თვლემს, ჩურჩულებს ძილში მეფე:
 „რა ძნელია ქვეყნის მართვა,
 ნეტა ახლა სახლში დამსვა
 ჩემს საყვარელ დედოფალთან.“

იმის მკლავზე მედოს თავი.
 იმის თავზე მედოს ხელი; —
 მის თვალეში დამანახა
 ჩემი ვრცელი მთა და ველი“.

არ ვიცი, რა მჭირს, რა ვცოდე
 იმდენი,

დაღონებული ვარ ნიადაგ:
 ზღაპარი ერთი, როდისდროინდელი,
 ჩამრჩა გონებაში და ამეკვიატა.

გრილა საამოდ და ბინდდება
 ნელა,

და მშვიდად მიღელავს რაინი;
 დაისით ბრწყინავს და ელავს
 მთის წვერი სულ ოქროსნაირი.

ზის კლდეზე, მაღლა, სანატრელი
ქალწული — მართლა საოცარი,
უჭირავს ოქროს სავარცხელი
და თმა ჩაუშლია კალოსავით.

აქაფდნენ ტალღები ბუზღუნით —
და ნავი ეხლება ლოდებს,
და ის კლდეს შეჰყურებს
მონუსხული...

ივარცხნის ოქროს თმას...
თან მღერის იგი,
მღერის ყელგადაკიდებული,
ედება მიდამოს ირგვლივ
რალაც მელოდია დიდებული.

და შთანთქა მდინარემ მენავეც,
ნავიც...
რაინი კი მიდის და, მიღელავს
კვლავ...
და ეს ყველაფერი სულ ლორელაიმ
და მისმა სიმღერამ ჰქნა.

ჩერდება მენავე, შეჰყურებს კბოდეს,

* * *

ამ ობოლ ცრემლს რალა უნდა,
რომ მიბინდავს ასე მზერას?
ალარც მახსოვს, როდის გაჩნდა
და ციმციმებს თვალში ჯერაც.

გაიფანტნენ ვარსკვლავებიც. —
ყველა სადღაც გადაცვივდა,
იმ დარდსა და სიხარულში
რომ მიმზერდნენ მაღლა ციდან.

დებიც ჰყავდა უამრავი,
ბრჭყვიალებდნენ. როგორც ეარვა;
ჩემს დარდსა და ჩემს სიხარულს
გააყოლა ყველა ეარმა.

მერე თვითონ სიყვარულიც
გაქრა, როგორც ნისლი თხელი!
ჰე, ობოლო ძველო ცრემლო,
ჩამოგორდი, რალას ელი.

* * *

მე ვარ ატლასი უბედური! ქვეყნიერება
და მთელი ევეყნის ტკივილები მე უნდა ვზიდო.
აუტანელი ტვირთი დამაქვს! და ჰა, — საცაა
გასკდება მკერდში ჯაფისგან გული.

ამაყო გულო! შენც ეს გინდოდა!
გსურდა: — უზომოდ ბედნიერი რომ ყოფილიყავ
ანდა. — უზომოდ უბედური, ამაყო გულო...
და შენ ახლა ხარ უბედური.

* * *

არ მინდა, ბაღლო, შენი დაღუპვა
და საკუთარ თავს ვებრძვი თვითონვე.

რომ უცაბედად არ შეგიყვარდე
და გული ჩემით არ აგითრთოდეს.



ვწუხვარ კიდევ, რომ სულ იოლია
დასაკუთრება ემაგ თვალების...
და მაინც ვფიქრობ ხოლმე ხანდახან:
მაინც რა უჭირს, თუ გეყვარები.

* * *

იგი, ვისაც კი უყვარს პირველად,
და თუნდ უიღბლოდ, — ტოლია ღმერთის;
მაგრამ ვისაც კი უყვარს მეორედ,
და კვლავ უიღბლოდ, — სულელი გახლავთ,

მე ვარ ასეთი, მეორედ მიყვარს.
და კვლავ უიღბლოდ, — კვლავ არ ვუყვარვარ...
იცინის მთვარე, მზე, ვარსკვლავები,
მეც მეცინება და ისე ვკვდები.

* * *

ერთსაც უყვარდა და მეორესაც
და ვერ უმხელდნენ თურმე ერთმანეთს.
ველარ იტანდნენ ერთიმეორეს.
და გულები კი ტრფობით ფეთქავდნენ.

ბოლოს დაშორდნენ და ერთმანეთი
სიზმრადღა ნახეს ტრფობით მთვრალეებმა;
გარდაიცვალნენ და ვერც გაიგეს
ერთიმეორის გარდაცვალება.

* * *

საყვარელო, მოდი, გულზე დამადევი ხელი, —
გესმის? კვნესის გული ჩემი ტანჯვით გაუმხელით...
შიგ დურგალი მიზის ავი, გაიძვერა ელესა,
კუბოსა კრავს ჩემსას.

აკაკუნებს ჩაეუჩით და რანდავს შალაშინით,
დღე და ღამე, რა ხანია აღარა მაქვს ძილი,
ჰე, დურგალო, კაკა-კუკი კმარა.
დავიღალე დამაძინე ჩქარა.

* * *

მცვივა ცრემლი თვალებიდან
ნაირ-ნაირ ყვავილებად,
ოხვრა-მოთქმა ბუღბუღების
გულს მიხრავს და არ იღევა...



შენ მოგიძღვნი ამ სიმღერებს,
ოლონდ, კარგო, შემოყვარე;
და ბუღბუღი უგალობებს
შენს ფანჯარას მთელი ღამე.

* * *

მომადე, კარგო, ლოყაზე ლოყა
რომ შევაგებოთ კურცხალი
კურცხალს:
მომადე, კარგო, ზედ გულზე გული
და ერთი ალით ავენთოთ უცბად.

და როცა ამ ცეცხლს — გიზგიზა
კოცონს
შეერთვის ჩვენი ცრემლები ცხარე —
შემოგხვევ ხელებს და ნეტარებით,
და სამუდამოდ დავხუჭავ თვალებს.

* * *

თითქოს შობილა ტალღის ქაფიდან,
ისე ეღვარებს და თავს განონებს,
მაგრამ გაფრინდა უცებ გაფრინდა
და სულ სხვა კაცის გახდა საცოლე.

ბევრის ამტანო გულო ტიტანო,
ნუ შმაგობ, შენი გქონდეს ღირსება, —
დადექ, გამაგრდი და აიტანე,
პატარა ბრიყვი რასაც გიშვება.

* * *

დიახ, შენა ხარ უბედური როდი გაშინებ,
ჩემო ძვირფასო, ჩვენ ორივე ვართ უბედური!
ვიდრე ჩვენს გულებს ცივი მინა არ დაამშვიდებს,
ჩემო ძვირფასო, უნდა ვიყოთ სულ უბედური.



ჯიუტი მზერით გიბრწყინავენ, ვხედავ, თვალები
და ბაგეებზეც გითამაშებს ღიმი მგესლავი,
და მკერდიც გიძგერს სიამაყით და მღელვარებით.
უბედური ხარ, უბედური მაინც ჩემსავით.

აკრთობს შენს ღიმილს უხილავი ტკივილი ჩუმი,
ცრემლი ფარული თვალს გიბინდავს და ნარამარა
იდუმალ კვნესით კვნესის შენი ამაყი გული...
ჩემო ძვირფასო, უბედური ვიქნები მარად.

* * *

სულ დაივიწყე ამდენი ხნის ვიცი და სიტყვა, —
გული ჩემდამი სიყვარულით რომ გქონდა სავსე.
ისე ტკბილია, ისე ცრუა ეგ, გული ციცქნა, —
ვერსად შეხვდები, რომც ეძებო, მეორეს ასეთს.

სულ დაივიწყე სიყვარულიც და გულის დაგვაც,
ერთიც, მეორეც, — ცხოვრება რომ ნამართვეს მშვიდი.
რომელი იყო უფრო დიდი, არ ვიცი, მაგრამ
ვიცი ორივე უსაშველოდ რომ იყო დიდი.

* * *

რომ იცოდნენ გვირილებმა,
რაც გჭირს, გულო
დადაგულო, —
ყველა მოიტყირილებდა
წყლულთა შენტა სასალბუნოდ
რომ იცოდნენ ბულბულებმა,
თუ რა ცეცხლმა დამანელა, —
ყველა ჩაიგურგურებდა
ტკბილ სიმღერას საამებლად.
რომ იცოდნენ ვარსკვლავებმა,
თუ დარდს როგორ
ვუგესლივარ, —
ყველა მოინკავწკავებდა
თითო სიტყვას ნუგეშინად.
რას გაიგებს, აბა, ყველა, —
ერთმა იცის ჩემი მხოლოდ
და იმ ერთმა მოინელა
და მოულო ამ გულს ბოლო.

* * *



რატომ წასვლიათ ამ ვარდებს ფერად
ო, საყვარელო, მითხარი, რატომ
რად იმზირება გარინდულ მზერით
ია ცისფერი და რაზე დარდობს?

რად უსტვენს ასე დარდით და ურვით
ცაში ტოროლა ღამით?
რად აჰყოლია მიწიდან სუნი
მინდორის გვირილებს გვამის?

რად დასდებია მზეს მოვარვარეს
ჩამოქუფრული ფერი?
რად არის მიწა, როგორც სამარე,
უდაბური და ბნელი?

რატომ დამაგდო უიმ და ვაიმ?
ჩემო ძვირფასო, რატომ?
ო, საყვარელო, მითხარი მაინც,
რატომ დამტოვე, მარტო?

* * *

მიწა ისე ღამაზია და ცა — ლურჯი სრულიად,
და ჰაერი ისე ღბილი, ისე საამური,
და მინდორი ყვავილებით ისე მოჩითულია,
და ბალახი დილის წამით ისე მოსირმულია,
საითაც კი გაიხედავ, ყველა მიხიარულია...
მე კი როგორ მენატრება შენი ტუბილი ალერსი, —
ვიყო შენთან ჩახვეული ემაგ ცივ სამარეში.

* * *

ჩემო ძვირფასო, ოდეს მოკვდები,
და ოდეს ჩახვალ ცივ სამარეში, —
მეც იქ ჩამოვალ გოდებ-გოდებით
და ჩაგეკრობი, გულში ალერსით.

ჩაგეკონები შმაგი და ხელი
ფითრისფრად ქცეულს, ცივსა და მდუმარს.
კანკალით, თრთოლვით, ოხვრით და ცრემლით
გულს ვიჯერებ და მოკვდები ჩუმად.

ვლაპარაკობდით ცისას და
ბრისას,
ხვევნა, ალერსი, ხითხითი,
კოცნა...
და სამახსოვროდ და ფიცის
ნიშნად
უეცრად ხელზე მიკბინე
მორცხვად.

* * *

მე შენ ყოველლამ სიზმრად
გნახულობ, —
შესაღმები და თითქოს მიცინი.
წამოვიჭრები მე უსახური
და დავემნობი შენს წინ
უვითინით.

დამაცქერდები... და ნალვლიანი
თავს გადააქნევ, და
მაკვირდები.
და მაგ თვალთაგან თქრიალ-
თქრიალით

* * *

ბაღლო, ვიყავით ბავშვები,
გვიყვარდა ჩვენაც თამაში,
საქათმეებში ვძვრებოდით,
ვიმალეობდით ჩალაში.

„ყიყლიყოს“ დავიძახებდით
და ისე გამოგვდიოდა, —
სუყველას ასე ეგონა,
მართლა მამალი ყიოდა.

სახლს ვაშენებდით ყუთებით,
ეზოებში რომ ეყარა;
შევძვრებოდით და ვიყავით,
ჩვენი გვეგონა ქვეყანა.

მოგვაკითხავდა უთუოდ
მეზობლის კატა ბებერი,

ო, საყვარელო,
თვალეც მიმციმავ,
კუდრაჭავ, ო, შეკბენიავ,
შენა.—
კი, ჩემო კარგო, — ფიცი
ფიცია,
მაგრამ ზედმეტი კი იყო კბენა.

ცვივა ცრემლები —
მარგალიტები.

კიპარისის რტოს მიწვდი
ჩურჩულით,
რტოს — აყვავებულ ქარვის
კუნწულებს...
თვალს ვახელ ქრება რტო
გაფურჩენული,
და არც ის მახსოვს, რა
მიჩურჩულე.

თავს დავუკრავდით,
ვხვდებოდით,
როგორც მეზობელს შეფერის.

მოვიკითხავდით ზრდილობით,
სულ ტკბილად, განა აუგად,
მერე სხვა ბებერ კატებზე
ჩამოვუგდებდით საუბარს.

ხშირად დიდი ხნის ხალხივით
დავსხდებოდით და ვჩიოდით:
ჩვენ დროში კაი კაცობა
მართლა არაა იოლი.

არაა არც სიყვარული,
არც ერთგულება, არც
რწმენა, —

რომ ყავა ორჯერ გაძვირდა,
რომ ფულის შოვნა გაძნელდა...

გაქრა ბავშვობის თამაში,
ის დროც არ მოვა თავიდან,—
ის ერთგულება ის რწმენა,
ის სიყვარული — წავიდა.



მაცნე

ჩემო მსახურო, აბა ადექი ჩქარა,
შეკაზმე მალე ცხენი;
ცხრა მთას გადაღმა კოშკია დუნკან მეფის. —
მოუსვი ფრენა-ფრენით.

შუდი თავლაში მეჯინიბესთან ჩუმად,
მარჯვედ გეჭიროს თავალი;
ვინ იწერს ჯვარს-თქო, — გამოიკითხე ჩუმად,
მეფის რომელი ქალი.

შავგვრემანიო — თუ მეჯინიბემ გითხრას,
გამოაქროლე რაში;
ქერა ქალიო — თუ მეჯინიბემ გითხრას,
ნუ აჩქარდები გზაში;

მიდექ-მოდექი, სადმე დუქანში შუდი,
თოკი მიყიდე გრძელი.
კრინტი არ დაძრა და წამოიღე ისე,
ნელა ატარე ცხენი.

□

ფრანც ბრილპარცერის

ოქროს საწმინდი



პირველი ნაწილი

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

მედეას სახე გერმანულ ლიტერატურაში
და ფრანც ბრილპარცერის „ოქროს საწმინდი“.

თქმულებები არგონავტებზე, მითები და ლეგენდები ოქროს საწმინდზე, ისტორიულ-მათელოგიური ამბები კოლხეთზე, დაუშრეტელი ფანტაზია უმშენიერეს, ჭადოქარ, გონიერ, მოხერხებულ და მოსიყვარულე კოლხ ასულ მედეაზე მარადიული თემა იყო და ალბათ მომავალშიც ასე იქნება მსოფლიო ხელოვნებაში. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში იშვიათად მოიძებნება მეორე მხატვრული სახე, რომელსაც მედეას მსგავსი გავრცელება და გარდასახვა განეცადოს. ევროპიდეს გამონაკონმა, მითიდან გადახვევამ და მედეას სახეცვლილებამ, იაზონისა და მედეას ტრაგიკულმა ბედისწერამ არგონავტიკა მთარულ თემადა აქცია მსოფლიო ლიტერატურაში. ბერძენი და რომაელი სიტყვის გამოჩენილი ოსტატების შემდეგ, ეს თემა, ჩვენი აზრით, უველაზე ფართოდ გერმანელმა მწერლებმა და მთარგმნელებმა გამოიყენეს.

ეს სიუჟეტი გერმანიაში პირველად დაიშუშავა XIII საუკუნის პირველი ნახევრის საკრო მოღვაწემ ჰერბორტ ფონ ფრიტცლარმა რომანში — „ტროას სიმღერა“. დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში მედეას მხატვრული სახის შემქმნელთა შორის უნდა დავასახელოთ XVIII საუკუნის „შტურმ უნდ დრანგის“ პერიოდის გერმანელი მწერალი ფრიდრიხ მაქსიმილიან კლინგერი („მედეა კორინთში“, 1788 და „მედეა კავკასიაში“, 1791), XIX საუკუნის გამოჩენილი ავსტრიელი პოეტი და დრამატურგი ფრანც გრილპარცერი (პიესა „ოქროს საწმინდი“ სამი ნაწილისგან შედგება: „კეთილი სტუმარი“, „არგონავტები“ და „მედეა“, 1818-1821), XIX საუკუნის ავსტრიელი მწერალი ფრანც დინგელშტედტი (ხატირული რომანი „ახალი არგონავტები“, 1839), XX საუკუნის პროზაიკოსი და დრამატურგი ჯანს ჰენი იანი („მედეა“, 1928), ელიზაბეთი ლანგგესერის „ბრანდენბურგელ არგონავტთა მოგზაურობა“ (1950), მარი ლუიზე კაშნიცას რადიოპიესა „იაზონის უკანასკნელი ღამე“ (1952) და მოთხრობა „არგოს ღამე“ (1972), მათიას ბრაუნის „მედეა“ (1958) და სხვ.

არგონავტთა მოგზაურობასა და თავგადასავალზე, მეფე აიეტის გმირობასა და ვაჟიკაცობაზე, იაზონისა და მედეას ბედუკუღმართობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ფრანც გრილპარცერის „ოქროს საწმინდი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის.

ორი პიესის — „წინაპარა ქალა“ და „საფო“ — წერილს გადაღლილი, განერვიულებული, ცხოვრებაზე გულაყრილი და სახოწარკვეთილი მწიწლის შეყვარებული პოეტი დედასთან ერთად დასახვეწებლად მიდის ზადენში (მამა ადრე გარდაეცვალა). იქ შემთხვევით ხელში ჩაუვარდება მწიწლის მინ მედერის 1770 წელს გამოცემული „მითოლოგიური სიტყვათა მასში მედია შეუმცდარ მისნად და ჩადოქრად არის გამოყვანილი, რომელსაც ძალუძს მზე დააბნელოს, ცაზე ვარსკვლავები გააქროს, მთვარე გაუჩინაროს, მდინარეებს კალაპოტი შეუცვალოს, ჭაჭონებითიდან სულელებს უბნოს, დედაშიწა გველებითა და ქვეწარმავლებით მოფინოს...

სწორედ ასეთი ამაყი, მტკიცე და ნებისყოფიანი ქალწული ენაჭიროებაოდა გრილპარცერს ახალი ნაწარმოების შესაქმნელად. ვენაში დაბრუნების შემდეგ ერთხელ კიდევ გადაიკითხა ევრიპიდეს „მედია“ და გულდაგულ დააკონსპექტა აუგუსტ შლეგელის „ლექციები სიტყვათა მითოლოგიისა და ხელოვნების შესახებ“. რაკიდა დიდებულად იცოდა ბერძნული ენა, დედანში გაეცნო აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“, აპოლონიარეს „მითოლოგიურ ბიბლიოთეკას“, ჰესიოდეს „თეოგონიას“, ოვადიუსის „მეტამორფოზებს“, პინდარეს ოდებს, სენეკას „მედეას“ (რომლის პირველი მოქმედება თარგმნა კიდევ) და ამ თქმულებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის ლიტერატურას.

წინამორბედ ავტორთაგან განსხვავებით გრილპარცერმა საკმაოდ ორიგინალური გზა აირჩია. ჩანაფიქრი ასეთი ჰქონდა: მისი დრამატული პიესა არც ნითსა და არც ევრიპიდეს ტრაგედიას კვალდაკვალ არ უნდა გაჰყოლოდა. 1818 წლის სექტემბრის ბოლოს დასახული გეგმის განხორციელებას შეუდგა. ტრილოგიას პირველი ნაწილი სწრაფად დაასრულა და მეორე ნაწილის ორი მოქმედება რომ მოამთავრა, მოულოდნელად დედა გარდაეცვალა. თავგზააბნეულმა გრილპარცერმა წერას თავი ანება, დარდის განსაქარვებლად იქაურობას განშორდა და რამდენიმე თვე იტალიის ცის ქვეშ გაატარა. ერთხელ, ნეაპოლის ქუჩებში სერიზობისას, ყველაფერი გადავიწყებულა და თავიდან ამოგდებული რომ ჰქონდა, წიგნების მალაზიაში აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“ წააწყდა. ეპოსის რჩეული ადგილები და ადრე მოწონებული სტროფები მშობლიურ ენაზე თარგმნა, როცა ვენაში დაბრუნდა. ახლო მეგობრები შეუჩინდნენ, ამხნევებდნენ, აგულიანებდნენ, რამაც, ბოლოს და ბოლოს, თავისა ნაყოფი გამოიღო. ორი წლის დაძაბული და მუყაითი შრომის შემდეგ გრილპარცერმა დაამთავრა ტრილოგია.

ასეთია ამ პიესის დაწერის მოკლე ისტორია...

როგორც გრილპარცერი ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, დრამის პირველი და მეორე ნაწილები — „კეთილი სტუმარი“ და „არგონავტები“ — მკობხველთა და მსწენელთათვის ისეთნაირად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მათთვის ნათელი უოფილიყო ადრე მომხდარი ამბავი. ეს თავისებური შემზადება იყო იმ დიდი და საშინელი ტრაგედიისთვის, რომელიც პიესის მესამე ნაწილში — „მედიაში“ ხდება.

გრილპარცერმა მითებსა და მრავალრიცხივან წყაროებში მოცემულ მედეას სახეს სხვა თვისებებიც მიუმატა. „კეთილ სტუმარში“ მედია ქალღმერთ არტემიდესავით მამაც მონადირედაა გამოყვანილი, რომლის მიერ მოკლული შველი მდედრობითი სქესის ღვთაებას — დარიმზას ეწირება. ეს დრამატურგის მიზნებაა, რომლითაც ავტორმა თავიდანვე ხაზი გაუსვა მედეას ზვიადობას, თავისუფლებამოყვარეობას, ზედმეტ ამპარტავობასაც კი. აქ კრგად ჩანს ქალწულის უზრუნველი ცხოვრება და მამრობითობისადმი ერთგვარი ქტრული დამოკიდებულება. ეს უფრო ნათლად დასტურდება, როცა მისი ქალიშვილს, რომელსაც მწიწლისი შეუყვარდა და გადაწყვიტა თავისი ბედი მას დაუყავშიროს, მედია სასახლიდან აძევებს და ასეთი სიტუაციებით მინართავს:

„მე დიდი მეფის აიეტის ქალიშვილი ვარ
 და რასაც ვბოლო, ანუ უნდა, რაჟილა უნდა...
 სად ვაგონილა, ან სად ხდებოდა, რაღაც არა ვსურს...
 წენს უნებურად ეს აქვთო“ რაჟი ვაქვთო...
 მწადია კიდევ...“



მედია ვერ ეგუება შევიწროებას, შეზღუდვას, ოჯახურ კარჩაკეტილობას, მამაკაცის მორჩილებას, ამიტომ ამბობს:

„ეკიდევასო ბაღმარია ეს ჩემი მიწა,
 ზესკნელის ლურჯი სვეტები კი ბინად მეგულვის,
 აქ მინდა ვიდეკი, მაღალ მთიდან მონაბერ ნიავს
 თაყვისუფლად რომ შევაგებო ლალი გულმკერდი“

ბერძენი გადამთავლების გამოპენათ ქალიშვილს მუდროება ერდვევა, თავისუფლება ერთმევა, იძულებულია საგონებელსა და გაჭირვებაში ჩა-
 ვარდნილ მამას დაეხმაროს, გვერდში ამოუდგეს, ანუგეშოს.

ასევე ორიგანალურად აქვს გააზრებული დრამატურგს ფრიქსუსის სახე.
 იგი თავის დასთან შედესთან ერთად ოქროს ვერძზე შემჭდარი კი არ მო-
 დეს კოლხეთში, როგორც ეს მოთებასა და ხევრ ავტორთა ნაწარმოებებში,
 არამედ ნავით მოადგება აიეტის სამფლობელოს და განზრახული აქვს შუბ-
 ზე წამოცმული ოქროს საწმისი, სამშობლოს საკურთხეველთან მოპარუ-
 ლი გამარჯვებისა და შურისგების სიმბოლო, კოლხურ დვთაებას შესწი-
 როს, ექვით შეპურობილ აიეტს კი ვერ გაურკვევია, ბერძენი სტუმარი
 მტრული განზრახვით ეწვია თუ მოყვრობა განუზრახავს, ამიტომ მახვი-
 ლით განგმირავს მას, რის გამოც მამასა და ქალიშვილს შორის კიდევ
 უფრო მწვავედება უთანხმოება.

„კეთილი სტუმრის“ ბოლოს მედევს მიერ წარმოქმული სიტუცებია
 „ვანი წენს! უიმე! უი!“ — ერთნაირად ეხება მის ოჯახს, მამამისს, პირადად
 მას, რადგან ფიცის გამტებთ ერინიები არახდროს ინდობენ, ლალი მხია-
 რული, უდარდელი ქალწული-მონადირე დაღვრემილ-დაფიქრებული, გულ-
 მოკლული და სევდიანი დაიარება, დამდამობით მთვარეს ესაუბრება,
 ლოცულობს, გაუგებარ სიტუცებს ბუტბუტებს, ეზიზღება, სძავს, ჭირის
 დღესავით ეზარება მისი ამფორიაქებელი და მუდროების დამრდვევი
 ნაღა, როგორც ნაწარმოებიდან ვიგებთ, მარტო იაზონის დათაფლული და
 სასიყვარულო სიტუცები კი არა, პატროტ მეფის ასულს მამის სიძულვილი
 უფრო უადვილებს თავისი მიწის მითოვებას.

მედია დიდი ოცნებებიცაა და იმედით მიპყვება იაზონს ძველისძველ
 ციცილიზაციის ქვეყანაში — საბერძენეთში, მაგრამ მალე გულაცრუებული,
 გაწბილებული და სასოწარკვეთალებამდე მისული, იგი არა მარტო ქმრისა
 და მისი ნათესავებისათვის, არამედ იმ გარემოში აღზრდილი საკუთარი
 შვილებისთვისაც კი მარად უცხო, მუდამ ეამს გარეული რჩება. ამიტომ
 იყო, რომ მედევამ, რომელმაც სამშობლო დათმო, კერა მიატოვა, ნათესავებს,
 ტოლ-სწორებს, ნაცნობ-მეგობრებს შეეღია და უველაფერი საუვარულს
 ასაცვალა, იაზონს არ აპატია ოჯახის ლალატი, პირადი შეურაცხყოფა
 და შურისგების მიზნით შვილები სასიკვდილოდ გაიმეტა, აქ გრილპარ-
 ცერი ვერ ასცდა მითიდან ეგრებიდესეულ გადახვევას და ბერძენი ტრაგი-
 კოსის გამოხეგონი არჩია, რადგან, მისი აზრით, პიესის ამგვარი ფინალ-
 უარგად გამოხატავდა მაშინდელი ავსტრიის ჰუმანურ კრიზისს.

ფრანც გრილპარცერის „ოქროს საწმისი“ მრავალჯერაა დადგმუ-
 ლი ბევრი ქვეყნის თეატრის სცენაზე, მისი პრემიერა შედგა 1821 წლის
 28 მარტს ვენის თეატრში და დრამატურგს დიდი პოპულარობა მოუხვეჭა,
 მედევს როლის პირველი შემსრულებელი იყო გრილპარცერის თანამედრო-
 ვე მსახიობი სოფი შრიოდერი, მედევს საბის შექმნაში განსაკუთრებით დი-
 დი წვლილი მიუძღვის შესანიშნავ მსახიობს კლარა ციგლერს, რომელმაც

1868-1900 წლებში მსოფლიოს 60 ქალაქის სცენაზე სამასჯერ განახიერა ეს როლი. ცნობილმა ავსტრიელმა პროზაიკოსმა და დრამატურგმა ჰაინრიხ ლაუბემ (1806-1884) ერთხანს მივიწყებული დრამა ხელახლა ააღორძინა. გერმანულენოვანი ქვეყნებას თეატრებში XX საუკუნის 30-იან წლებიდან მოყოლებული ხშირად იდგმებოდა „ოქროს საწმისი“. მედნას როლს სხვადასხვა დროს ასრულებდნენ შარლოტა ვოლტერი, ტილა დურო, გერდა მიულერი, აგნეს შტრაუბი, მარია აისი, ლიზელოტე შრაინერსი, ელიზაბეთ ფლიკენშეილდტი, ჰაიდემარიი ჰათაიერი და სხვები.

გრილპარცერის პიესა თეთრი და თავისუფალი ლექსითაა დაწერილი. კრიტიკოსთა დაკვირვებით დრამატურგი კოლხებს უფრო ხშირად ვერლიბრით, იშვიათად კი თეთრი ლექსით „აღაპარაკებს“, ხოლო ბერძნებს პირიქით, რაც მწერლის პოზიციაზე მიუთითებს. იაზონისა და მედეას — სხვადასხვა ქვეყნის შვილთა წინ-ჩვეულებების განსხვავება რამდენადმე უნის სფეროშიც იჩენს თავს... ბერძენთა მეტყველება დახვეწილი, ასე ვთქვათ, გაცილებით ლიტერატურულია, კოლხებისა კი შედარებით „ბარბაროსული“, „ველური“. ეტყობა, გრილპარცერი ასე თუ ისე იზიარებს ბერძენთა მოსაზრებას არაბერძენ ხალხთა ჩამორჩენილობასა და დაბალ კულტურაზე.

ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე პირველად გაეცნობა ამ დიდუბული მწერლის შესანიშნავ ნაწარმოებს.

მთარგმნელი სებასტია

კეთილი სტუმარი

(ტრაგედია ერთ მოქმედებად)

მოქმედი პირნი

- აივტი** — კოლხეთის მეფე
- მედეა** — მისი ქალიშვილი
- გორა** — მედეას ძიძა
- პერიტა** — ძიძის ერთ-ერთი ქალიშვილი
- ფრიქსუსი**

მედეას მოახლე გოგონები
ფრიქსუსის ამაღლაში შემავალი ბერძნები
კოლხები

კოლხეთი, სალკლდოვანი და ხეებით დაბურული მიდამო; სიღრმეში მოჩანს ზღვა. მის ნაპირას გაუთლელ ქვისგან ნაგებ საკურთხეველზე მიშველი და წვერიანი შამაკაცის უშველებელი ქანდაკება აღუმართავთ, რომელსაც მარჯვენა ხელში კვერთხი უჭირავს, აცვია ცხვრის ტყავი. მარცხნივ, სცენის სიღრმეში, შესასვლელთან, კიბეები და ახალნაგები ძეგლები ჩანს. განთიადია.

მედეა, გორა, პერიტა, ქალიშვილთა გუნდი.

ფარდის ახდისას მედეას მშვილდი ისეთნაირად უჭირავს, თითქოს ისარი ეს-ესაა გაისროლაო. ბომონის კიბეებზე ისრით მოკლული შველი გდია.

ქალიშვილილუბი (მოშორებით მდგარი საკურთხეველისკენ მიიჩქარიან)
სისხლად იცლება მსხვერპლი!

მედეა (უწინდებურად ნირშეცვლილი დგას): მიზანში კარგად ამოშიდია?

ერთ-ერთი ქალიშვილთაგანი: შიგ გულში მოხვედრია.

მედეა (ამასობაში მშვილდს გადასცემს)

ეს ყოველივე კარგს მოახწავებს; მაშ, ავჩქარდეთ!
შედი შიგნით და აღავლინე ვედრება შენი.

გორა (საკურთხეველს უახლოვდება):

დარიშბა, ქალღმერთო ძლიერო!

ადამიანთმფარველო, ადამიანთმკვლევლო,
 ღვინოს და ნაყოფს გვაძლევ ერთიან,
 მსხვერპლად შეწირვის გულგასახარ სურვილსაც ბადებ,
 დაუძინებელ მტერთა სისხლისაც:
 დარიშბა, წმინდავ,
 ციურო ქალწულო,
 მომაპყარ ყური!



- გუნდი:** დარიშბა, ძლიერო ქალღმერთო,
 დარიშბა! დარიშბა!
- გორა:** შეხე, მშვილდ-ისრით მოკლული შეელი
 შენ შემოგწირეთ, მძლავრო ქალღმერთო.
 მოგვიერთმეგვია ზვარაკის სისხლი!
 შენ კი გვიკურთხე უხვი ტყე-ველი,
 შეგვაგნებინე ჭეშმარიტება
 და მოგვიმართე ბრძოლებში ხელი,
 ჩაგვინერგე, რომ შევიყვართ კეთილის მდომი
 და სამუდამოდ შეიძაგე, ვისაც ჩვენ ვძაგვართ.
 ვაგვამდიდრე და ვაგვაძლიერე,
 უძლეველო ჩვენო ქალღმერთო!
- გუნდი:** დარიშბა! დარიშბა!
- გორა:** საკურთხეველზე მსხვერპლი ხელს ლევს, უკვე თავდება,
 ასე გათავდეს შენი მტერი, დიდო ქალღმერთო!
 შენი მტერი და ჩვენი ავად მახსენებელი!
 ეს მედეაა, აიეტის ნორჩი ასული,
 სასუფეველში რომ მოგძახის:
 მომაპყარ სმენა, დამიგდე ყური
 და ამიხრულე ხეწნა-მუდარა!
- გუნდი:** (ისმის თეფშების ზრიალი და დაფდაფების ხმა):
 დარიშბა! დარიშბა!
 უძლეველო ქალღმერთო!
- მედეა:** საკმარისია, შეიწირა მსხვერპლი უფალმა
 და მოკრძალებით გავასრულეთ ესე ამბავი.
 იმარჯვეთ მშვილდი, მოუყარეთ მეძებრებს თავი,
 იერიამულეთ, იზრიალეთ ნადირობისას,
 ჩვენი ყიყინით რომ ავიკლოთ მწვანე ტყეები!
 ამოიწვერა მზე დიდებული. გაიფანტენით!
 როგორც გვნებოთ ინავარდეთ, სანამ გვნებოთ,
 რადგანაც დღეის დედოფალსა ასე მწადია. —
 აქ ხარ, პურიტა? ხომ გიპრძანე, გამშორდი-მეთქი?
 მაშ, რას უდგახარ? დამეხსენი, ჩამომეცალე!
- პერიტა** (დაჩოქილი):
 მედეა!
- მედეა:** მუხლებს ნუ იღრეკ! მუხლმოყრილი ნუ მერვენები!
 გესმის, რა ხდება? შენს მაგივრად მე მწვავს სირყხვილი.
 მხოლოდ ხელსაქმეს უნდა უჯდეს ასეთი მხდალი!
 შენი განდევნა ისე კი არ მანადვლიანებს,
 გულს ის მიკლავს, რომ შევიზიზლო უნდა დღეიდან,
 ერთ დროს კი მართლა სწარიგ მიყვარდი!
- პერიტა:** იცი, რას გავტყვი!
- მედეა:** რა უნდა მითხრა? ნადირობას რომ ვანერიდე,
 მერე მწყემსებთან მწვანე ველზე ამოპყავ თავი?
 ასეა, არა? უმადურო, დაუნახავო!
 ვასტეხე ფიცი, მხოლოდ ჩემი ყოფილიყავი
 და არა კაცის? მიპასუხე, უარპყავ აღთქმა?
- პერიტა:** როს ვწირავდით, მაშინღა მივხვდი.

მედეა: ხმა ჩაიკმინდე!
 როცა ფიცს დებდი, ხომ იცოდი ყოველი მაშინ.
 მე დიდი მეფის აიეტის ქალიშვილი ვარ
 და რასაც ვჩადი, ასე უნდა, რაკილა ვჩადი.
 მე უკეთურო! გულში ჩათქმულს ვასრულებ, რადგან
 ვთქვი და კიდევაც მოგიკვეთო უნდა აქედან,
 დავაგვირგვინო, ჭეშმარიტად, დანაპირები.



პერიტა: უგუნურობამ უნებლიეთ ამიყოლია,
 არა სურვილმა, არა ნდობამ.

მედეა: - ეპეი, გესმით?!
 არ უნდოდა და უნებლიეთ! - რაებსა ჩმახავ.
 სად ვავიცი, ან სად ხდებდა, რაიც არა გსურს,
 შენს უნებურად ის აკეთო? რაკი ვაკეთებ,
 მწადია კიდევ; ის კი არა, ზოგჯერ რომ მინდა,
 მეც ხანამშრალი დავრჩენილვარ საუბედუროდ.

გახწი მწუკმსების მიყრუებულ ქონებისაკენ,
 ბულსა და მხუთრში დაყურსულსა ის დავრჩენია,
 მტკაველ მიწაზე მოაშენო მწვანოილეული.
 უკიდევანო ბაღნარია ეს ჩემი მიწა,
 ზესკნელის ლურჯი სვეტები კი ბინად შეგულვის,
 აქ მინდა ვიდგე, მაღალ მთიდან მონაბერ ნიავს
 თავისუფლად რომ შევაგებო ლალი გულმკერდი
 და შენ კი მარად აბუებით ასე გიმწირო.
 ჭეი! ტყისაკენ! ქალიშვილნო, ტყისაკენ გახწით!
 (წასვლას დააპირებს თუ არა, მეორე მხრიდან კოლხი მამაკაცი შე-
 მოდის).

კოლხი: მომიხმინე, მეფის ასულო!

მედეა: ვინ გარჯილა? რა ამბავია?

კოლხი: უცხო ხომალდი წუთი-წუთზე გვიახლოვდება!

მედეა: მერე? მამაჩემს მოახსენე, მე რა ვიღონო!

კოლხი: სად იმყოფება?

მედეა: სად და შინ არის!

კოლხი: მამ, წავედი!

მედეა: აბა, შენ იცი!

(მაცნე სასახლისკენ გასწევს).

ნადირობაში შეგვეშლება ნამდვილად ხელი!

უცხოელთ ნავი ნაპირს უკვე მოუახლოვდა,

ნადირობისთვის არ შევგროვდით ამ მოედანზე?

მაგრამ მარტოვამ რა ვიღონო, რა მოვიფიქრო!

გრძელი შუბებით, ჰოროლებით მოდიან ჩვენკენ,

ერთი მამაცი გამოეყო, სისხლისმდომელი!

გრძელი შუბები, ჰოროლები! მიუუგდოთ ყური!

მამა ხომ ხედავს, გაუმკლავდეს, როგორც წესია.

მოაბოტებენ! ქუჩდებიან. შედგრად მოდიან!

შეხედეთ ზევით! სულ პირველად ვინ მოაღწია?

არავინ არ ჩანს! ცალკე არვინ გამოჰყოფია!

ნადირობისას ის იმარჯვებს, ვინაც მოარტყამს:

დაიმახსოვრეთ და იმწამსვე, როცა განიშნებთ,

მოზიდეთ მშვილდი და გასტყორცნეთ ისარი მარჯვედ!

აბა, თქვენ იცით! სმენა იყოს! მოემზადებით!

(ამასობაში აიეტი დარბაზიდან გამოდის. მას მაცნეც მოჰყვება, რო-

მელიც უმაღლესად გაუჩინარდება).

აიეტი: მედეა!

მედეა: (შემობრუნდება, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ იცვლის):
 მამა!



ქართული
ბიბლიოთეკა

აიუბი: საით გაგიწევია?
 მედეა: ტყისკენ!
 აიუბი: ფეხი არ მოიცვალა!
 მედეა: ვითომ რადაო?
 აიუბი: ასე მწაფია! გამიგონე!
 მედეა: რა გადუღეებს, უცხოელნი რომ...
 აიუბი: შენც შენიშნე?
 (თანდათანობით უახლოვდება და გაბზარული ხმით ამბობს):
 შორეულ ქვეყნის მამაკაცებს
 სტუმრად ჩამოსულთ,
 უღვევი განძი მოაქვთ ჩვენთვის
 და ურიცხვი ნაალაფვეი.
 მედეა: ვისთვის?
 აიუბი: თუ მოვისურვებთ, ჩვენთვის.
 მედეა: ჩვენთვის?
 აიუბი: ეგ უცხოელნი მტრები არიან,
 მობრძანებულან ჩვენი ქვეყნის გასაძარცვაად.
 მედეა: მაშ ყველთუ და მოუსწრაფე სიცოცხლე ყველას!
 აიუბი: ბლომად არიან, კბილებამდე აბჯარასხმულნი,
 მუხთლობასა და მზაკვრობაში გამობრძმედილნი.
 უფრო იოლად მოგვიდებენ ისინი ბოლოს.
 მედეა: დაეხსენ; თავში ქვა უხლიათ!
 აიუბი: ო, არასოდეს,
 მათ უნდათ, რომ...
 მედეა: ისე მოიქვე, როგორც გენებოს,
 ნადირობა კი არ ჩამიშალოთ!
 აიუბი: დარჩი, არსად გაადგა ფეხი!
 მედეა: რა გაუაკეთო?
 აიუბი: მომეხმარე! მირჩიე რაზე!
 მედეა: მე?
 აიუბი: საზრიანი და ყოვლისშემძლე ხარ,
 დედაშენისგან ხომ გაქვს ნახწავლი,
 როგორ მზადდება ბალახბულახის
 და - კურკოვანთა შენაშავით ტკბილი სამსალა,
 ნებისყოფა და ძალ-ღონე შენი
 ერთად შეჰკარ და შეაკავშირე.
 ჯერ ციდან უხმე შეუბნელ ავსულებს
 და მერე მთვარეს შეუხშიანე,
 გვერდით დამიდექ, ჩემო სიცოცხლევ,
 შენი სიცოცხლე ვწრ, მართალია,
 მაგრამ ვიცი, რომ არაფრად მაგდება!
 როცა რაზე მსურს, შენ არ მისრულებ,
 ლანძღვა-გინებით და მუქარით ვიმასპინძლები,
 გაჭირვების დროს გაგახსენდები,
 ბრტყელ-ბრტყელ ხიტყვებით მომთაფლაე და მომითილისმებ;
 ჩემო მედეა, შენ ხომ ჩემი სიცოცხლე ხარო!
 აიუბი: გადაივიწყე ყოველივე, რაც იყო-იყო
 და ნუ იქნები სულ ერთთავად ასე თავნება,
 მხარში დამიდექ და მომეხმარე.
 მედეა: რაში?
 აიუბი: მაშ მომისმინე, ჩემო კარგო, ჩემო სიცოცხლევ!
 უცხოელების ოქროული, მთელი სიმდიდრე
 ალბათ, სიცილად არა გყოფნის?
 მედეა: მე?



- ანიტი:** დიას, დიდძალი, ურიცხვი ოქრო, ძვირფასი ქვები და ტანსაცმელი ალბათ რარიგად დაგამშვენებენ!
- მედეა:** დე, ასე იყო!
- ანიტი:** უშმაკის კერძო, შეხედე ერთი, ეს სამკაულნი გულს ყაგიხარებს!
- მედეა:** მოდი, საქმეზე ვილაპარაკოთ!
- ანიტი:** მაშინ იქითკენ გაეშურე!
- მედეა:** რატომ?
- ანიტი:** ასე მსურს!
- მედეა:** მაშ უარს აღარ შეუბნები ნადირობაზე?
- ანიტი:** უნდა გადადო ნადირობა. დღეს არა! არა!
- მედეა:** არა?
- ანიტი:** ერთხელ უკვე ვთქვი, არა-მეთქი! არა და არა!
- მედეა:** ახლა არ იყო, რომ მაქებდი?
- ანიტი:** დროა, გონს მოდი, შეილო ჩემო, ასე აჯობებს! მომიახლოვდი. ცოტა კიდევ მომიახლოვდი! შენ ისეთი ხარ, შემიძლია, სრულად მოგენდო. შე...
- მედეა:** რაკი ასეა!
- ანიტი:** რა ჯიუტად მომჩერებიხარ?
- მედეა:** ყურს გიგდებ, მამა!
- ანიტი:** პო, კარგად გიყნობ!
- გინდა, რომ მამა გააცურო, ამპარტავანო? ერთმანეთისგან ავსა და კარგს ჯერ კიდევ ვარწევ. თავიდან მომწყდი, საძაგელო, გაუგონხარო!
- (მედეა მიდის).
- თუ სურვილი გაქვს, დარჩი-მეთქი, არხად წახვიდე. შენ შეგიძლია დამეხმარო, მაგრამ არა გსურს! მოუხმე ჭკუას, მამის სიტყვას დაუგდე ყური და შემეწიე, მომეხმარე, რაც შეგიძლია.
- (შორიდან მოისმის საომარი მუსიკის ჰახგი).
- ანიტი:** ვაგლახ, რა ხდება? უცხოელნი ჩვენკენ მოდიან? ხედავ, თუ არა, შე უგუნურო?
- გაილა გინდოდა? ამოგვეღებენ სულ ერთიანად! აბჯარასხმული უცხოელნი მოდიან ჩვენკენ! უბედურება თავს დაგვატყდა, შეიარაღდით!
- (ველავე შემოდის მაცხე).
- მაცხე:** უცხოელების წინამძღოლი გეახლათ, მეფე!
- ანიტი:** რა სურს, რა უნდა, გვირგვინი თუ ჩემი სიკვდილი? ჯერ კიდევ მომდევს გულადობა, მეყოფა ძალა, ხანამ ძარღვებში ხისხლი მიდუნს, ასე იქნება, სიკვდილს სიკვდილი შევაგებო!
- მაცხე:** იგი გთხოვთ, რომ ყური დაუგდოთ.
- ანიტი:** ყური დაუგდო?
- მაცხე:** სურს ყველაფერზე შეგობრულად მოგესაუბროთ, მშვიდობიანად რომ დასცილდეთ ერთიმეორეს.
- ანიტი:** გვთხოვს და იმავე დროს მახვილები უპყრიათ ხელში? უიარაღოთ თავს დაგვესხნენ აღჭურვილები და რაღა უნდა მაგ ვონებაჩლუნგს!
- მაცხე:** შენს სასახლეში უნდა სტუმრობა, ტაბლასთან ჯდომა და საუბარი, პურის ვატყუვა მოსურვებია, რომ მოიპოვოს იმდენი ნდობა, გადაგიშალოს გულისნადები.



აივტი: აი, ის მოდის, შობიჯებს.
 ორი საათი გვაცალოს მხოლოდ,
 მერე აღარ მაქვს არაფრის შიში.
 გადაეცი, მოგვიახლოვდნენ
 ევა და შაგის თანამგზავრები,
 ოღონდ უშუბოდ და უფაროდ,
 მარტო | მახვილი ეკეთოს წელზე.
 მერე წადი და ჩვენს ერთგულ ხალხს შეატყობინე,
 მოელი ქვეყანა ფეხზე დადგეს კიდით კიდემდე,
 ჩემი სახელით განუცხადე, შეიარაღდნენ,
 ფარი იფარონ და ჯავშანი ჩაიყვან ტანზე,
 ხმალი და შუბი მოიპარჯონ, გორდა და ჩელით,
 მახლობელ ტევრში დაბანაკდნენ მოხერხებულად,
 მანამდე, ხანამ ნიშანს მივყეპთ. აბა, იმარჯვე!
 (მაცნე მიდის).
 შენი სიცილი მერე ვნახოთ, შე უგუნურო!
 აბა, შედეა, მოუმზადე, ფხიზლად იყავი!
 ნექტარი ისე შეაზავე, შენ რომ გჩვევია,
 ბადაგისებრი, ტკბილზე-ტკბილი, დამათრობელი,
 მთავარს და მონას, - ძირიანად - მხედარს და მებრძოლს,
 ყველას გონება დაუბინდოს, ძილი მოჰგვაროს.
 ახლავე წადი, მომიტანე ნაოსტატარი!

მედეა: რისთვის?

აივტი: ახლავე გასწი, შობიჯადე და მოიტანე!
 (მედეა მიდის).

აივტი: (სცენის სიღრმეში საკურთხეველისკენ შებრუნებული):
 პერონტო, ჩვენო მამაო-ღმერთო!
 რაც ჩაკვიფიქრე, ამსრულდებოდეს,
 მინდა ერთგულად გაგინაწილო,
 რასაც მტრებისგან ხელში ჩავიგდებთ.

(ისმის საომარი მუსიკა. შეიარაღებულ ბერძნებს მწვანე რტოები უჭირავთ და ნელ-ნელა წინ მოიწვევენ. ბოლოს ფრიქსუსი მოდის. მასაც მარცხენაში მწვანე ტოტი უკავია, მარჯვენაში კი ოქროს ვერძის ტყავი, რომელიც შუბზეა წამოცმული და ბაირადის ფორმა აქვს. მეორე მხრიდან შემოდის შეიარაღებული კოლხები. მუსიკის ხმა წყდება).

ფრიქსუსი: (სცენის სიღრმეში საკურთხეველსა და იქვე აღმართულ ქანდაკებას გვერდით ჩაუვლის, გაკვირვებული ერთ ადგილს მიაშტერდება, შემდეგ კი ამბობს):

ჩემს თვალებს აღარ დაუჯერო? - ეს ხომ ის არის!
 მივესალმები ამ მადლცხებულ, გულკეთილ სახეს,
 ვინაც ქარბუქსა, გასაჭირსა და უკუნეთში
 გამოგვატარა, გამოგვიძღვა იმ ნაპირისკენ,
 სადაც სიმშვიდე, სახოება, იმედი, რწმენა
 ბავშვურ ღიმილით და აღერსით შემოგვევება.
 ხიფათისგან ხსნა საწინდარი იყო იმისა,
 რაც მოგვიძღვენი, მოგვანიჭე საზარელ წუთში,
 იმა ვარსკვლავმა, პოლარულმა გზა გაგვინათა,
 ბუნდიერების ნახსადგურში დაგვიდო ბინა,
 მადლიერებით მადლსა ვწირავ შენს საკურთხეველს,
 ლოცვად ვდგები და ვევედრები, გემუდარები,
 რადგანაც ყველგან გიგულებდი, ღმერთო, მეოხად
 და არა მარტო უცხოელის შემწყვალეებულად.
 (იჩოქებს).

აივტი: (იქვე ახლოს):

ეს რა ხდება?

ჩემს მამა-პაპათ ღმერთს მუხლს უყრის გადამთიელი!
იმ მსხვერპლს დასჯურდი, რაიც მე შენ შემოგთაუჯაზე,
არ დაუჯერო, ჩვენო მფარველო,
მაგ უცხოელს, ყური არ უგდო!



ქართული
ლიბრარი

ფრიქსუსი (წამოდგება):

უნდა შესრულდეს ჩვენი წმინდა მოვალეობა.

ხომ მიმასწავლი თქვენი მეფის ადგილსამყოფელს?

(კოლხი მეომრები უჩუმრად და მორიდებულად ორად იყოფიან).

ფრიქსუსი (შენიშნავს მისკენ მომავალ მეფეს):

შენ გეგებები, ამ მიწა-წყლის ბატონ-პატრონო?

აიუბი: მე გახლავარ კოლხეთის მეფე!

ფრიქსუსი: მოგესალმები!

ღვთაების ძალა წამომიძღვა შენს სამეფოსკენ,
ასეთნაირად მიცაეს ღმერთი, ყოვლად ძლიერი.
კაცი, რომელიც აღმართულა საკურთხეველზე,
მისი სახეა, ვინაც ერთ დროს მანდა ცხოვრობდა,
თუ აღმერთებთ და თაყვანსა სცემთ, ვითარ ზეციერს?

აიუბი: ის პერონტოა, კოლხთა ღმერთი.

ფრიქსუსი: ო, რარიგ ხდება უცხოელის სმენას – პერონტო!

კეთილსმოვნად და გადამჩენად მიეღერს ყურებში.

ეთაყვანები, კერპად სახავ ქომაგს და მფარველს,

შენს მკლავებშია ერთ-ერთი ძმა იმათთაგანი,

რაკილა ძმანი ერთი მამის შეილნი არიან.

აიუბი: (გულში ჩაკერას თავს აარიდებს):

იგი შენი მფარველიც არის?

ფრიქსუსი: დიას, დასტურს ახლავ მოისმენ.

ნება მიბოძეთ, შემოგწიროთ შესაწირავი.

(სამსხვერპლოსკენ მიდის და ბაირალს

საკურთხეველთან დებს.

შემოდის მედეა. ხელში ბარძიმი უჭირავს).

მედეა: (ხმამაღლა):

აი ამაში, აქ ასხია ამო სასმელი!

აიუბი (ქალიშვილს ხელს წაავლებს, გვერდზე გაიყვანს და წყნარად ეუბნება):

ხმა ჩაიკმინდე, უგუნურო!

აქ ვერვის ხედავ?

მედეა: რას?

აიუბი: ბარძიმი მხევალს გადავიო

და ხმა გაკმინდე!

მედეა: ის მამაკაცი ვინ არის ნეტავ?

აიუბი: უცხოელთა წინამძღოლია, განუძდი-მეთქი!

ფრიქსუსი (საკურთხეველიდან უკან ბრუნდება):

ახლა თამამად გესტუმრები სტუმართმოყვარეს!

ეს ვილა არის გაფურჩქნილი, ნაზი არსება

ჩამოვარდნილი ღრუბლებიდან ოქროს ზოდვიით

შენს პირქუშ სახეს აზიზად რომ ეაღერსება?

მარწყვისფერტუნას ყვრიმალეებზე მუქი ქფენია,

ბუბლზე ეტყობა, სიყვარული ზედ აწერია,

მომხიბვლელობა კი აუნდენს ადრე განჭვრეტილს,

მაგრამ თვალები უარობენ, ხულ სხვას ამბობენ,

კომეტასავით უელავენ, უკაშკაშებენ,

შავად უბზინავს მას დალალეები,

ქარიტების და მენადების შთამომავალსა

ღვთაებისაგან გამხნეების ალი ედება.



ნაინანატრო, თქვი, ვინა ხარ?

აიუბი: უთხარ, მედეა!

მედეა (უკმენად):

მე მედეა ვარ, დიდებული მეფის ასული!

ფრიქსუსი: დიას, ასული, ამავე დროს დედოფალიცა!

მე შენში ვპოვე მხოლოდ კარგის მაუწყებელი,

რაც მომავალში უნდა ახდეს აუცილებლად.

მამ ვაილიშე, ყმაწვილქალო, ჩემი ჩამოხვლით!

მამაშენივით არავინ უწყის

შეკედლება და თანადგომა რარიგ მჭირდება,

მეფის ასულო, სხვაზე მეტად, დახაყუდარი.

აიუბი: გამაგებინე, მაინც რა გსურს, გადაძთიელო?

ფრიქსუსი: მამ მომიხმინე, მე აქ რამაც ჩამომიყვანა,

რაიც დავკარგე, მოწყალეო, და რასაც ვეძებ:

მე დავიბადე ელადაში, ჭლამაშ ადგილას,

და წმინდა სისხლის ბერძენი ვარ, სუფთა ბერძენი.

ჩვენს მოდგმის გარდა არვინ ცხოვრობს კეთილშობილი

და წარმომობით თავის ქება მე ძალმიძს მხოლოდ,

ჩემს წინაპრებად მიმაჩნია ჩვენი ღმერთები,

რომლებიც სწორად წარმართავენ ქვეყნიერებას.

მედეა (შემოტრიალდება):

მე წავალ მამა.

აიუბი: აქ დარჩი და კრინტი არ დასძრა!

ფრიქსუსი: შერაცხილია ღმერთებისგან ჩემი გვარტომი!

თვით მამაჩემმა დაივიწყა ძველი დიდება,

მამობრიობა, უფლება და მოვალეობა,

ცოლად შეირთო, შეიუღლა მდაბიო ქალი,

რომელიც შურით შეკყურებდა იმის ნამიერს

და სუყველაფერს აყვედრიდა, რადგან უწყოდა,

თვით იყო მხოლოდ ყველაფერში საყვედრებელი

და მამაჩემის გულისწყრომას ჩემკენ კვალავდა.

თანდათანობით იზრდებოდა უთანხმოება,

ხალხიც იმიტომ მომიჩინეს სამეთვალყუროდ,

აღბათ ფიქრობდნენ, რომ აეგოთ ანდერძი ჩემთვის.

აი, ამიტომ გამოვექეცე მშობლიურ კერას,

უცხო მიწაზე რომ მეპოვა ბედნიერება.

შეუცდომელად შემოვედი ქალაქ დელფოში

ზენაარისტოვის რჩევისა და შველის სათხოვნად

ფებოსის მდიდარ, სახელგანთქმულ ხრა-სახახლეში

ასე ვიდექი დიად ტაძრის ფართო დარბაზში,

მორთულ-მოოჭვილ ხატებსა და შეწირულობას

დაისის სხივი აკაშკაშებ-აჩახჩახებდა,

თვალთვრებით გზებზე დაღლილ-ქანცგამოლეულს

მთელი ნახსმანი დამიუძღურ-დამისწულდა,

თვალნიც ბეჩავად მეჭუტებოდ-მებლიტებოდა;

ტკბილად ჩავთვლიშე ლაშქრობებით განაწამებმა.

ჩამინებული იმ ტაძარში გულარხეინად,

შველას და რჩევას მეუფეს რომ ვევედრებოდი,

ანაზდეულად მწყალობელი გამომეცხადა.

აულვარებულ და მგზნებარე ძალოვან ლომკაცს

მარჯვენა ხელში მედიდურად ეჭირა კვერთხი,

ფართო მხარბეჭზე წამოესხა ოქროს საწმისი,

თმაგაბურძენილი, გაჩენილი, წვერმომვებული

ჩემ წინ იდგა და მომხიბვლელად იღიმებოდა.

მან ჩამაგონა „გამარჯვება და შურისგება“
ოქროს საწმისი გამომიწოდა,
მე კი შიშისგან ელდანაცემს გამოშეღვიძა.
და აი, შენუ! განთიადით განაშუქარი,
გაბრწყინებული, სხივოსანი, ნათელმოსილი
აღმართულიყო მარმარილოს ნაქანდაკარი
იმავე სახით, რომელიც მე მაშინ ვიხილე,
საწმისიანი, გაჩეჩილი, წვერმოშვებული.



აივტი (სცენის სიღრმეში მდგარ ქანდაკებაზე მიანიშნებს):
აგერ, აქ რომ დვას?

შრიქსუსი: დიახ, ისე ჰგავს, როგორც მე ჩემს თავს.
გამომეცნადა სახელგანთქმულ პერაკლებავით
ღირსებით სავსე, ღვთისნიერი, მადლისმცხებელი,
და უზარმაზარ ქანდაკების ფეხქვეშ კვარცხლბეკზე
ქოლხეთში იყო ოქროსფერად ამოკვეთილი.
უზენაესის შეგონებას მივუგდე ყური,
მან იდუმალად საგანძური გამომიწოდა,
მე მარტოდმარტო ვიყავ მაშინ, ოქროს სამკაულს
ხელი ვტაცე და კისრისტეხით გამოვეშურე.
კართან წავაწყდი მამაჩემის გულქვა გუშაგებს,
მოოქროვილმა ბაირაღმა დიდებულ მეფის -
რიდით და კრძალვით მცველებს უკან დაახევინა,
მაშინვე მუხლი მოიყარა მლოცველმა ხალხმა,
მღვდელმსახურებმა მოწინებით დახარეს თავი,
აი, ამ შუბით გამოვუძვერ ათასგვარ დუშმანს
და, აჰა, ზღვასაც მოვადწიე ვაივაგლასით.
ამთავორებულ და მძვინვარე, ბობოქარ ზღვაში
ოქროს ალაში ფრიალებდა ნავის ანძაზე,
ტალღები მძლავრად აწყდებოდა აქაფებული,
ჭექა-ქუხილი არ ცხრებოდა, არ ყუნდებოდა,
ზღვას და ქარიშხალს და ჯოჯოხეთს ჩემს წინააღმდეგ
პირი შეეკრათ და დაღუპვით შემუქრებოდნენ,
რომ მოეჩინათ ნესტიანი სამარე ჩემთვის,
მაგრამ თმის ღერიც, ერთი ღერიც არ დამიკარგავს,
სად-სალამათი მოვადექი კურთხეულ ნაპირს,
რომელზეც ბერძენს ჯერ არასდროს დაუდგამს ფეხი.
ამეამად უკვე შენ გეხება ჩემი ვედრება:
სტუმართმოყვრულად მოგვეპყარი შენს ქვეყანაში,
სადაც მე თავად არ ვესწრაფვი ადგილსამყოფელს
დავეპატრონო უფლის ნებით და შეწვევითა.
გამარჯვება და შურისგება საწინდარი!
მამ, რაღად ხდუმხარ?

აივტი: აბა, რა გსურს, რომ მოგახსენო?

შრიქსუსი: სტუმრისთვის ბინას ვერ შეარჩევ სტუმართმოყვრულად?

აივტი: მობრძანდი, რაკი ჩამოსულხარ კეთილ განზრახვით,
სანმელ-საჭმელი ბლომადა გვაქვს, ნახვთ, იგემვთ!

შრიქსუსი: ასე უკმეხად რად ირჯება მასპინძლის ენა?

აივტი: რა მიზნითაც ხარ აქ მოსული, ისე დაგხვდები.
ვინაც საომარ ტანსაცმელში საბოძვარს ითხოვს,
არ მოელოდე იმისაგან მშვიდობის მაცნეს.

შრიქსუსი: მუბს შეველიე, დავიტოვე ფარი და ხმალი.

აივტი: მერე ეგ ხმალი, შენ გგონია, ჩვენს წინააღმდეგ
საკმარისია? კი, ბატონო, შენი ნებაა.

(ძლივგასაგონად მედეას):

ჩამოსუნ ხმალი.

ფრიქსუსი: მე ეს ძვირფასი საგანძური და ჭურჭლეული, სიბართლეს გეტყვი, წამოვიღე, რამდენიც შეეძელ.

სომ შევიძლია, დაიცვა და მფარველად

აივტი: ისე მოიქეც, როგორც გვნებოს!

(მედეას):

სომ გითხარი, ჩამოართვი მახვილი-მუთქი!

ფრიქსუსი: ამგვარად, ჩემო თანამგზავრო, რაც მოვიტანეთ,

ვემის დაღუპვას, ჩვენდა ბედად, ეს გადაურჩა,

მაშ მოვათავსოთ საიშედო, მტკიცე კედლებში,

ვით საძირკველი მომავალი კეთილდღეობის.

აივტი: (მედეას):

ჩამოართვი უცხოელს ხმალი!

მედეა: რატომ?

აივტი: ხმალი-მუთქი, რომ გეუბნები!

მედეა: (ფრიქსუსს):

მიბოძე ხმალი!

ფრიქსუსი: რასა ბრძანებ, ტურფა ასულო?

აივტი: ეგ იარაღი ეუცხოვა ქალიშვილს, რადგან

მშვიდობის მსურველს არ სჭირდება წელზე მახვილი.

თუ არ უცდები, ასეა თქვენშიც.

ფრიქსუსი (მედეას):

ჩემზე ზრუნავთ?

(მედეა მისკენ შებრუნდება).

ნუ განრიხნდებათ! აბა, უარს როგორ შეგკადრებ!

(ხმალს მოიხსნის და მინცემს).

აქა მახვილი და მიგუნდოთ ზეციურ ძალას!

ხადაც შენა ხარ, იქა სუფევს მშვიდობა მარად!

მაშ, სასახლისკენ გაგვიძეხი, კეთილშობილო!

აივტი: გზას გაუდევით, მალე მეც თქვენს კვალს გამოვყვები!

ფრიქსუსი: შენა, მედეა?

ნება მიბოძე, რომ გიხილო დარბაზობაზე!

გთხოვთ, მეგობრებო, ლხინიც ისე გავიზიაროთ,

როგორც აქამდე ფათერაკი გავინაწილეთ!

(გადის. მხლებლებიც მიჰყვებიან).

(მედეა კლდის ქიმზე ჩამოჯდება, მშვილდს აიღებს და რაღაცას საქმიანობს. აივტი მის მოპირდაპირე მხარეს დგას და თვალთ მიაცილებს ფრიქსუსის მსახურებს, რომლებსაც სასახლისკენ ოქრო და ძვირფასი განძეული მიაქვთ. ჩამოვარდება ხანგრძლივი სიჩუმე).

აივტი: მედეა!

მედეა: რა იყო, მამა!

აივტი: რაზე ფიქრობ?

მედეა: მე? არაფერზე!

აივტი: გადამთიულზე არ მასვენებს ავი ფიქრები.

მედეა: სომ ზედავ, პირი მოაღო და აღარ ჩერდება;

ოღონდ მედავოს!

აივტი (ჩქარი ნაბიჯით წავა მისკენ):

დაუსრულებლად ლაქლაქებს და თავსაც გვიქონავს,

სომ მართალი ვარ? არამზადა, გამოქექილი,

რჯულგანდგომილი, წმინდა ტაძრის დამრბევ-დამქცევი!

ცოცხალი ვერ გადამირჩება!

მედეა: რას ამბობ, მამა!

აივტი: ვერაფერი ვერ დამაკაეებს!

სურს გაიტაცოს მთელი ჩვენი ავლადიდება

ციხა და მიწის გამძარცველმა და ამომგდებმა?
თავის პირითვე არ მოგვითხრო, წმინდა ტაძარში
მეუფეს როგორ გამოსტყუა ოქროს საწმისი,
ჭექა-ჭუხილის ღმერთს – პერონტოს,
კოლხეთის მფარველს.



მეფეა: გინდა სტუმარს მოულო ბოლო, თანაც უცხოელს?

აივბი: რაო? სტუმარსო? მე დავპატივე?

რომ ჩამობრძანდა, პურ-მარილი გაუუმართე თუ
დავაძალე და მეფის ტახტზე დაჯდომა ვთხოვე?

ეს უგუნური სტუმრად როდი მომიწვევია,
თავად ისურვა, კარს მოგვადგა; დაე, იხანოს!

მეფეა: მისმინე, მამა, თვით პერონტო მოუგრეხს კისერს!

აივბი: პერონტოც ითხოვს, ჩაგვაგონებს.

რომ ჩაიღინა მაგ პირშავმა დანაშაული?

ქალაქ დელფოდან მოიტაცა ნაქანდაკარი.

განრისხებულმა განა თვითონ არ მომივლინა,

სამაგიერო რომ მივეზლო, შური ვიძიო!

გაკადნივრდა, შეურაცხყო ძალაღი ღმერთი!

ოქროს საწმისი; ჩამოცმული ლაპლაპა შუბზე,

უფლის იერი, სალოცავი, კოლხთა წმინდანი

გადამთიელმა, უტიფარმა უნდა წაბილწოს?

ო, არასოდეს! ზეციერმა გამომიგზავნა,

მე მომანიჭა გამარჯვება და შურისგება,

რადგანაც იგი ჩვენ გვარგუნა ბუნების ძალამ!

მარად სიკეთეს უნდა ჯთვსდეთ, ხელმიუწვდომელს!

ვივსებოდეთ უხვი მოსაელით!

ხმა არ გაიღო, მოშიახლოვდი!

ცბიერმა რომ არ მოგვატყუოს, არ შეგვაცდინოს,

შურისგების გამს უნდა ვიყოთ შეუპოვარი!

ახლოს მოდი, მოშიახლოვდი!

(ორივენი სასახლისკენ გაეშურებიან. შემოდის შეიარაღებული კოლხი მეტაური).

მეთაური: ახლა აქეთკენ გამოგვაგზავნებს. რა ამბავია?

კოლხი (სასახლიდან):

ჰეი!

მეთაური: აქა ვართ!

კოლხი: ჩუმად იყავ!

მეთაური: რა ამბავია?!

კოლხი: მარჯვნივ და მარცხნივ გაიფანტეთ. თუ უცხოელი...

ჩუმად! მოდიხ! გვიახლოვდება! სხვა მერე იყოს!

(ვგვლანი ვადიან).

ფრიკსუსი (შეშინებული მოაბიჯებს სასახლიდან)

ღმერთო! რატომ მაქვს საზარელი ეს წინათგრძნობა?

ვიღაც ველურთა იდუმალი ჩურჩული მესმის,

თითქოს ჩემ-ჩუმად დაგვეცინიან, გვაპამპულეებენ,

მიდი-მოდიან, ხელს გვიქნევენ, გვისაფრდებიან.

დაღლილ-დაქანცულ მოგზაურებს მკვდრებივით სძინავთ,

თუ შეაპარეს დაწყვეტილი ძილის წამალი,

ყურში ნანინა რომ ჩაესმით ვულდამშვიდებულთ?

კაცმა არ იცის; მამ ძილქუში რად დასწოლიათ?

დიდო ღმერთებო! მართლმსაჯულნო, სამართლიანნო,

ხუთუ გამწირეთ ამ მიწაზე დასაღუპავად?

აღბათ ერთილა დამრჩენია: გემზე გაქცევა!
იქ ვინც არიან, შევაგროვო, ერთად შევკრიბო,
შერე რომ სწრაფად თავს ვუშველო: გესმით, მახსენით!
(სასახლიდან ხმლების ჩხარაჩხური და ყრუ დრტვივა მოისმის).
ხმლების ეღრიალი ცხადად ისმის! ვიღაცას ვლაყენ!
ვაიშე, ვეღარ მოვასწარი, დამაგვიანდა!
დავრჩე თუ უცებ გავიძურწო! აბა, სასწრაფოდ,
სანამ მკვლელები შემოიპყრობენ, გამაკავებენ!
(წასვლას დააპირებს).

მეომარი (წინ შეეჩეხება და გამგმირავი თვალებით შესცქერის):
უკან!

ზრიძსუსი: გაცემული ვარ! აქვთ!
(ყოველი მხრიდან შეიარაღებული ჯარისკაცები შემოდინ და გამა-
ხული შუბები მისკენ აქვთ ქიმართული).

გოლაშვარი: უკან-მეთქი!

ზრიძსუსი: ტყუილებრალოდ ნუ ირჯებით! გაფუჭდა საქმე!
თქვენ გამოგყვებით, მეგობრებო, და ჩაგბარდებით!
(ჩქარი ნაბიჯით გასწევს საკურთხევლისკენ).
უზუნავსო, აქეთკენ რომ გამომიძეხი,
რაკი ღმერთი ხარ, იყავ მარად ჩემი მფარველი!
(აივტი ხმალშემართული მოემართება სასახლიდან.
უკან შედვა მოსდევს, თან მხლებლები მოჰყვებიან).

აიპტი: სად არის იგი?

მედეა: მისმინე, მამა!

აიპტი: სადაა ის გადამთიული?
აქ ყოფილა, საკურთხეველთან. მანდ რას ეძიებ?

ზრიძსუსი: თავშეხაფარს მივაგნო მინდა!

აიპტი: რაში გჭირდება? გამომყევი სასახლისაკენ!

ზრიძსუსი: აქა ვდგავარ და საკურთხეველს ვეთაყვანები;
ღმერთების მჯერა და შევთხოვ, რომ ეგ შენი...

მედეა: მამაე, მისმინე!

ზრიძსუსი: შენც აქ ხარ, გველო?
პირმოთნეობით, ხილამაზით და მოტყუებით
სიკვდილის ქსელში რომ გამაბი და მასამარებ?
ეს წრფელი გული მონდობილი მქონდა სრულიად,
ბოლო საფარი - ჩემი ხმალიც შენ ჩაგაბარე,
შენ კი გამწირე სასიკვდილოდ?

მედეა: კი არ გაგწირე!
აიმ ხმლის ნაცვლად აირჩიე სამაგიერო
და დაიცავი თავი შენი.
(იქვე ახლოს მდგომ მეომარს ქარქაშიდან ხმალს ამოაძრობს და მას
გაუწვდის).

აიპტი (მედეას ხელიდან ხმალს გამოგლეჯს):
შე უგუნურო!
ახლავ მოშორდი საკურთხეველს!

ზრიძსუსი: ფეხს არ მოვიცვლი!

აიპტი: გზა შეუკარით!

ზრიძსუსი (როცა რამდენიმე ჯიქურ მიუხტება):
დე, ასე იყოს! უნდა მომკლათ? ოღონდ იცოდეთ,
უშურისგებოდ, უბრძოლველად არ დავცემი.
(ხელს სტაფებს ოქროსსაწმისიან ბაირალს და სცენის სიღრმიდან გა-
მოაბიჯებს).
უცნობო ძალავ, აქამდე რომ წინ მომიძლოდი,
ხომ გადარჩენის საწინდარიც მიბოძე მაშინ,
გამარჯვება და შურისგებაც აღმითქვი უმალ,



ამიტომ გიხმობ მხოლოდ შენ ერთს! მაშ მომიხმინე!
მე უნიათომ გამარჯვება ვერ მოვიპოვე,
მახეში გაბმულ მოღალატის თხოვნას დავჯერდი
და საკუთარი თავის ნაცვლად ბრმა ბედს მივუწვდი.
მაშ შურისგება მოუვლინე იმ ორ სიტყვიდან
რადგანაც ერთი - შურისგება ასრულდეს მაინც!

აივტი: რატომ აყოვნებ?

ფრიქსუსი: აივტ!

აივტი: კიდევ რას მეტყვი?

ფრიქსუსი: მე სტუმარი ვარ, უცხო ვინმე, შენ კი მღალატობ?

აივტი: სტუმარიო? თუ მოსისხლე მტერი!
ჩემს ქვეყანაში რას ეძებდი, გადამთიელო?
წმინდა მონასტრის გამძარცველო!

როდის შეგიქე ადამ-წესი სტუმარ-მასპინძლის?
ან დავიბარე? მოვიწვიე? მოვიპატივე?
შეგპირებივარ, უგუნურო, ოდესმე რამეს!
შენ თვითონა ხარ დამლუპველი შენივე თავის!

ფრიქსუსი: შენი მზაკვრობა ამით გინდა შეა ლამაზო?
ტყუილუბრალოდ ნუ ზეიმობ! აქეთ მოიწი!

აივტი: ვითომ რადაო?

ფრიქსუსი: შენუ ბაირალს, ესლა არის ჩემი ქონება.
სულით ხორცამდე რომ გამცალე და გამატყავე,
ეს მაინც შეძრწა.

აივტი (ხელს წაატანს).
შეგრჩა? მაგრამ, განა როდემდის?

ფრიქსუსი: უკან დაიწი! ხელი ამ ჩემს ავლადიდებას,
მისი დამთბობი, უყოყმანოდ ვთმობ სიცოცხლესაც.
გხურს, ასე იყოს?

აივტი: თანახმა ვარ!

ფრიქსუსი: გხურს, ასე იყოს?

აივტი (ხელს გაიწვდის).
ახლავე მომეც!

ფრიქსუსი: აჰა, კეთილო მასპინძელო, სტუმრის საუნჯე,
ხედავ, მოგენდე, შეველიე და გავიმეტე
(ხმამაღლა)
და უკან ნურას დამიბრუნებ, ზელმიუკარებს,
თვით მეც უენებელს ნულარაფურს ნუ დამიბრუნებ,
ღმერთების რისხვა მოგველენოდეს უბედურებად,
ჭკჭა-ჭუხილი დაგტყდომოდეს ურჩს, მოღალატეს.
შურისძიება ოდნავ მაინც შემიმსუბუქებს!
შურისძიება! შურისგება! შურისძიება!
განძი ხომ შეგრჩა, მოუარე მაშ სასოებით!

აივტი: ჰა, დაიბრუნე!

ფრიქსუსი: შენს გვირგვინადაც არ დავიბრუნებ!
განძი ხელთა გაქვს, შენ მოგანდე მისი შენახვა,
ახლა ერთგულად უპატრონე ავლადიდებას!

აივტი (საწმისს გაუწვდის):

ჰა, დაიბრუნე!

ფრიქსუსი (თავს არიდებს):
შენს ხელთ არის ჩემი საუნჯე
და თუ ერთგულად არ უპატრონებ, არ აგცდება
შურისძიება! შურისგება! შურისძიება!

აივტი (სცენაზე კვალდაკვალ დასდევს და დროშას აძალეებს):
გამომართვი, რომ გეუბნები!

ფრიქსუსი (თავს არიდებს):

არ გამოგართმევ. მოუარე მახ სასოებით!
(ღვთაების ქანდაკების წინ დადგება):
ხედავ, რა ხდება? მახ მივანდე ის განძეული,
აღარ მიბრუნებს, დაატევს თავს შენი რისხვა!



აივტი: წაილე უკან!

ფრიჟსუსი: არ წავილებ!

აივტი: წაილე-მეთქი!

ფრიჟსუსი: შენ შეინახე!

აივტი: წაილე-მეთქი!

ფრიჟსუსი: არა! არასდროს!

აივტი: მაშ, მიილე სამაგიერო!
(ხმაღალს აძგურებს მკერდში).

მედეა: შეჩურდი, მამა!

ფრიჟსუსი (უღონოდ დაეშვება).

მედეა: რას სჩადიხარ?

ფრიჟსუსი (ქანდაკების წინ)

ხედავ, რა ხდება; ხედავ, რა ხდება!
კეთილ სტუმარს კლავს, იმის განძს კი თვით ისაკუთრებს!
კეთილი სტუმრის წმინდა სული შენ დაიფარე,
შური იძიე! წყველა-კრულვა მიაგე მზაკვარს!
არ შეარჩინო მეგობარი, არც შვილი, არც ძმა,
ამოაშხამე ლუკმაპური, დაუშრე წყალი,
ვინც გულით უყვარს, ის მოუსკე, გაუნადგურე!
და ეს ხაწმისი, რაიც ახლა მახ ხელთ უპყრია,
მისი შვილების აღსრულებას დასცქერდეს ნეტავ!
მან რომ სტუმარი გაიმეტა, მზე დაუბნელა
და შვირჩინა მინდობილი ავლადიდება!
შურისძიება! შურისგება!
(კვდება. დიდხანს სიჩუმე ისადგურებს).

მედეა: მამა!

აივტი (გაოგნებული):
რა იყო?

მედეა: ეგ რა კქენი?

აივტი (სურს მკვდარს საწმისი მიაჩქოს):
აჰა, წაილე!

მედეა: ეგ ველარაფერს გაიტაცებს, მკვდარია რადგან!

აივტი: მკვდარი?

მედეა: მამა! ეგ რა კქენ?
სტუმარი მოკვალ?
ვაი შენ! ვაი ჩვენს თავს! ვაი-ვუი!
წამოიშალეთ, გოგონების მავო ღრუბელნო,
სამთავიანი, სისხლიანი თავები,
თმები — გველები,
პირზე — ხანძარი,
მოხარხარე პირისახენი
მალლა! სულ მალლა! წინა გვხვდებიან!
გაძვალტყავებული მკლავები, ხელში — ბაზმები,
მამხალღები! ხანჯლები!
უსმინეთ, უძრავ ტუჩებს რარიგ აცმაყუნებენ,
თითქოს ჩივიან, მღერიან,
არა, სიმღერა სწყურით!
ფიყს ჯასრულებთ,
წყველა-კრულვას მთლად ვიზიარებთ!

შენვენებულ იქნას, ვინც სტუმარი არ დაინდო!
 წვეულ იყოს უკუნითი უკუნისამდე!
 მოდიან, ვეიანლოვდებიან,
 მეს, შენც, ვეილას!
 ვაი შენ!



- აივანი:** მედეა!
მედეა: შენს ირგვლივ ჩვენს (ირგვლივ)
 უიშე! უი!
 (გარბის).
აივანი (მისკენ ხელებგაწვდილი):
 მედეა! მედეა!

(დასასრული)

შენიშვნები:

- დარიშხა** - გრილპარცერის გამოგონილი ღმერთქალაი, რომელსაც ავტორმა დიანას ფუნქციები მიანიჭა. აქ დარიშხა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ნაყოფიერების ქალღმერთადაა გამოყვანილი. დრამატურგმა უთუოდ გაითვალისწინა ოვიდიუსის „პეროიდებში“ გამოთქმული მოსაზრებაც, რომელშიც აღნიშნულია, კოლხეთში აგებულ საკურთხეველთან იაზონმა მედეას სიყვარული შეპყრო და მარადი ერთგულება აღუთქვაო. თვით სიტყვა „დარიშხა“, როგორც ვარაუდობენ, ძწყურლის აზრით უნდა ნიშნავდეს დიანასა და ბოქემიის (ჩეხეთის) ღმერთქალ კლიშბას, - ორივეს ერთად.
- პრონტი** - ესეც გრილპარცერის გამოგონი ღმერთია, რომელიც ბერძენთა უზენაეს ღვთაებასთან - ზევსთანაა გათანაბრებული.
- დედო** - ძველი ბერძნული რელიგიის ერთ-ერთი ცენტრი ფოკიდაში, რომელიც პარნასის მთის ძირას მდებარეობდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო აპოლონის შესანიშნავი ტაძრით.
- ფაოსი** - აპოლონის ერთ-ერთი ზედმეტი სახელია, რომელიც მზისა და სინათლის ღმერთადაც ითვლებოდა.

სერბიი ანტონოვი

დენილა ლუზა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთხრობა

თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ

კუბლენი ნატაშას

კოლმეურნეობაში მთელი თავებით დაბრუნდნენ კარგა ხნის წასული გავრილოვები: ჩამოვიდა თავად გავრილოვი, მისი ცოლი, ორი ქალიშვილი და უცოლო ვაჟი საშა. საშა გავრილოვმა პირველსავე საღამოს მოაგარაკესავით გაიხიარა სოფელში: პიჯაკით, უჭალსტუბოდ, საცვეთებში წაყოფილი შიშველი ფეხებით, და ცნობისმოყვარე ქალებიც, ფარდას მოფარებულები, მალულად უთვალთვალებდნენ ჭაბუკს.

მეორე დღეს გოგოებმა ქმარსგაყრილი, მხიარული კატერინა ვალახოვას ქობში გამართეს საღამო. ბევრი ხალხი შეიყარა. კატერინას ბალები ყველას ფეხებში ებლანდებოდნენ და ქალიც უტაბანებდა შვილებს: „პაი, თქვე თვინაკეთებოთ“. კატერინას უყვარდა დროსტარება და, კოტათი რომ შექეიფიანდებოდა, მუდამ ამას მღეროდა ხოლმე: „თუ გულს დარდი შემოგაწვა, წადი ტყეში, წებლა დასცხე ჯირკს, წინ გაგიჩენს ბიჭს“. გოგოები ხითხითებდნენ, მაგრამ კატერინა მხიარულება მაინც ნაღველი და უიმედობა დაჰკრავდა.

საღამოზე საშაც მოვიდა — ჰალსტუხი არც ახლა ეკეთა, შიშველი ფეხები ისევ საცვეთებში წაეყო, პიჯაკზე კი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ნიშანი მიეკრა, აქაოდა, ყველა მიძხვდარიყო, მოსკოვში რომ იყო ნამყოფი. შემოიარა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლუკერია ივანოვნამაც, იმის სანახავეად, აბა როგორი მუშაკაცი შეემატათ სოფელს. ტანადი, მოყვანილი ქალი იყო ლუკერია ივანოვნა, კარგად გამოყვანილი ჩაისავით მუჭი თაფლისფერი თვალები ჰქონდა და თამამი გამოხედვა. დაბამბული ქურთუკი მამაკაცივით დაუდევრად მოეგდო მხრებზე, საყულო შეეხსნა; ფეხთ ქირზის ჩექმები ეცვა, რკინის ნალებით დაჭედილი. მანქანასაც მართავდა, ტრაქტორსაც, ის კი არადა, თუ გინდოდა, ლუშელსაც ამოგიყვანდა, მშობიარესაც მოალოგინებდა. ყველაფერი იოლად გამოუდიოდა ხელიდან, ყველაფერს ხალისით აკეთებდა.

ომი რომ დამთავრდა, ლუქერია ივანოვნა ოცი წლისა იყო. იმ დროს სოფელში მამაკაცი არ ჭაჭანებდა და ლუშა თავმჯდომარედ აირჩიეს. მას მერე, მთელი ათი წელიწადი, კოლმეურნეობას უძღვებოდა.

ლუშას თხოთმეტი წლის ჭაბუკი ახსოვდა საშა. ერთე წყნარე, მორცხვი ყმაწვილი იყო. ახლა კი დავაუკაცებულა. თავი ისე უჭირვეს, თითქოს კველაფერი მობეზრებოდეს უკვე. ძლივს ღერღავს სიტყვებს. კატერინამ გამოაცოცხლა ცოტათი თავისი ლალი, დაუკრიდებელი ლაპარაკით.

ჰოდა, ცეკვები რომ დაიწყო, საშამ კატერინა ამოიჩია.

ლუშას გოგოების მაგიერ დასწყდა გული, განსაკუთრებით ნასტენკა შეეცოდა, რომელსაც, ეტყობა, მართლა მოსწონდა საშა. იგი დიდხანს ემზადებოდა ამ საღამოსთვის, ქოხდაქოხ დარბოდა, პატეფონის ფირფიტები ჩამოითხოვა, სადღაც პატეფონიც იშოვა, თავადაც გრძელ, ბაფთიან კაბაში გამოეწყო. დაჭიმული სიმივით დაძაბული იდგა, გულის კანკალით ელოდა, იქნებ საშამ შემამჩნიოს და მოვეწონოს. მაგრამ საშა ერთთავად კატერინასთან ცეკვავდა. ნასტენკასაც სხვა რა დარჩენოდა, გარდა იმისა, ფირფიტები ეცვალა. ხოგჯერ თუ მივიდოდა საშა ნასტენკასთან, რომ ეთქვა, ესა და ეს ააცეკვო დაუკარო, და ამაზედაც გოგო ყაყაჩოსავით წითლდებოდა.

„რა ნათურასავით იხთება“, — ფიქრობდა ალერსით ლუშა. მან დრო შეურჩია, კატერინას უხმო და უსაყვედურა:

— რას ჩამოეკიდე ამ ბიჭს? სხვასაც უნდა ცეკვა.

კატერინამ თავისებურად დაახურდავა მისი ნათქვამი, საშას მოშორდა და, კრავოვიაკი რომ დაუკრეს, ჭაბუკმა ლუშა გაიწვია. ლუშაც გაჰყვა.

საშა არც მაინცდმაინც კარგად ცეკვავდა, მაგრამ თავი ლალად ეჭირა. დარწმუნებული იყო, ყველაფერი მეპატიებო, და თავაშვეებით, უბოდინოდ იქცეოდა. ქალები გრძნობდნენ ეს რომ მათივე ბრალი იყო, და არ ძრახავდნენ.

— ძალიან კი ნუ მიაცივდები კატერინას, — უთხრა ლუშამ. — მილოლყებმა ფეხები არ მოგამტვრიონ...

— რაში მენაღვლება კატერინა. — მიუგო საშამ, — არ მინახავს მავისთანები თუ...

„ბოჩოლაა ჯერ“, — გაიფიქრა ლუშამ. მასთან ცეკვა კი ეამებოდა. საშა ხელებს უჭერდა, გულში იკრავდა და ქალიც აღარ უძალიანდებოდა. ლუშას სულ დაავიწყდა ნასტენკა და ერთ ცეკვას რომ ჩაათავებდა საშასთან, მეორეს იწყებდა. თავბრუ ეხვეოდა, ზურგზე მამაკაცის მოუსვენარ ხელს გრძნობდა, ჯანსაღი ჭაბუკის ოფლის სუნი სცემდა, ასე ეგონა, მასა და საშას შორის თითქოს რაღაცნაირი უტყვი საუბარი გაბმულიყო და უხაროდა და არც უხაროდა ეს ამბავი.

მაგრამ როცა საღამო დამთავრდა და საშამ შესთავაზა, გაგაცილებო, ლუშამ უარი სტკიცა. წავიდა მარტო, საკუთარი თავით უკმაყოფილო და საკუთარი საქციელით შერცხვენილი.

წყნარი, მთვარით გაააშკაშებული ღამე იყო. მშვიდ ცაზე მორცხვად ამკამებდნენ ვარსკვლავები. გაქვავებული, შავფოთოლა ჭნავეები, კიდევ უფრო შავი კენკრების მტევნები რომ ეკიდათ. მთვარის ნაზი, გამჭვირვალე ჩრდილებით გადაკვეთილი ცარცივით თეთრი ბილიკები, აჭრელებული ნისლი, შორს, კალო-

ებს გადაღმა რომ მოჩანდა, — ყველაფერი ისე წყნარი იყო და ატუქფოთველი, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.

ამ ჩაძინებულ სოფელში შინისაკენ რომ მიაბიჯებდა, ლუშა ფიქრობდა, ისა სჯობს, დილით განვსაჯო ყველაფერი, ალბათ დილაშდენ კიდევვეს მიმავიწყდება ეს ამბავი და ჩემი ცხოვრებაც ჩვეულებრივად წარედინებაო. ამ ფიქრმა თანდათან დაამშვიდა.

სოფელი შარაგზის პირას იყო. მანქანები დაუსრულებლივ მიმოქროდნენ და ქათმებს ჭყლეტდნენ. საღამომობით შოფრები ქოხიდან ქოხში დაპრწოდნენ — ღამე გაგვათევიანეთო თხოულობდნენ. უფრო გაბედულები ზოგჯერ ლუშასაც აეკიდებოდნენ ხოლმე, როცა ქალი, ამაღამდელივით, ჯიბეებში ხელჩაყოფილი, ჯარისკაცური განიერი ნაბიჯებით მიალაჯებდა ბილიკზე.

— შინ ალბათ ცოლი გელოდება, შენ კი — ღამე გამათევიანეო, იხვეწები... — ჩვეულებრივად მშვიდი, მეგობრული კილოთი უპასუხებდა ლუშა და რატომღაც სწორედ ეს კილო უკარგავდა ამ კადნიერებს ყოველგვარ იმედს.

ლუშა გაუთხოვარი იყო, მარტოდმარტო ცხოვრობდა თავის ქოხში.

შუა გზამდე რომ მიალწია, ლუშამ ნასტენკა დაინახა.

ნასტენკა ჩუმში, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა სოფლის მეორე მხარეს, პატრუონი და ფირფიტებით სავსე ჩემოდანი მიჰქონდა. თუმცა ეს გზა უფრო მოღწერხებელი იყო, სამაგიეროდ ვერავინ დაინახავდა.

„აჰ, შე საწყალო, — გაიფიქრა ლუშამ, — ერთხელაც არ გლირსებია ცეკვა“.

ლუშა გოგოს დაეწია და ჩემოდანს წაეტანა.

— მოდი, წამოვიღებ.

— არა, დეიდა ლუშა, თავად წამოვიღებ.

— მომეცი-მეთქი.

— კარგით ერთი, საცაა მივალთ.

ლუშამ იცოდა, ნასტენკა რომ გულმოსული იყო მასზე, მაგრამ ჩემოდანი მაინც წაართვა და ტიწკრამდე მიუტანა.

მერე შინ, თავის გამოცარიელებულ, მიულაგებელ ქოხში დაბრუნდა, დაწვა და ფიქრებს მიეცა. შარაგზაზე ზოგჯერ მანქანა თუ გაისრიალებდა და ქოხის მინებიც ისე წყნარად აზრიალდებოდა, თითქოს ხელისგულით იჭერდა ვინმე. ფარებით გაშუქებული ფანჯრების ვერცხლისფერი ჩრდილი ნელა, ირიბად მოცოცავდა კედელზე მაღლიდან ქვემოთ და იატაკზე ქრებოდა. ლუშა ფიქრობდა, ნეტა როგორ ხდება — მანქანა სწორ გზაზე მიდის, ჩრდილი კი ზემოდან ქვემოთ ეცემიან, მაგრამ ისე ჩაეძინა, ვეღარ მოასწრო გარკვევა, რად ხდება ასე

ორიოდე დღის შემდეგ საშა ვილაც გამვლელ შოფრებს წაეჩხუბა. ლუშამ პირველმა დაინახა ფანჯრიდან, მუშტი-კრივი შეიძლება ატყდესო, ქუჩაში გამოვარდა და საშას ხელი სტაცა. ქაბუკი გადაკრულში იყო.

მთვრალეების ლანძღვა-გინებისა და უხეშობისა არ ეშინოდა ლუშას. ვისი ლანძღვა-გინება არ მოუსმენია, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. თუმცა საშას აურზაური არ აუტეხია, მიუყრდა, დაიმორცხვა და მორჩილად შეპყვა ლუშას ქოხში. ლუშამ იფიქრა, ეს ბიჭი რიგიან ქალს რომ ჩაუვარდეს ხელში, კარგი კაცი დადგებო.

— აი რა, საშა, — უთხრა ქალმა, — მოდი მოვილაპარაკოთ შგონი, ნი-
ყო ამდენი უსაქმოდ ხეტიალი.

— ერთი თვის შვებულება ხომ მეკუთვინის, უფლება მაქვს ვისეირნო.
— მაშ სასეირნოდ ჩამოსულხარ?

— არ მინდოდა ჩვენებს მოვშორებოდი და იმიტომ ჩამოვედი, რათა, თქვენ
გგონიათ, ქალაქში ვერ ვიშოვიდი სამუშაოს? თუ გინდა იცოდე, ორ შენდენ
ფულს ვიშოვი. — იგი სკამზე გადათხლაშული იჯდა და ლუმას გული უკვდ-
ბოდა, ისე ებრალებოდა.

— ჩაი ხომ არ დაგისხა? — ჰკითხა.

— რათ, ჩაის უნახავი ხომ არ ეგონივარ?

მერე ჩაი დალია, ხოლო ლუმა მია კეფაზე აქოჩრილ ქერა კულუღს დას-
ცნებოდა. უცებ ქალს ისე მოუენდა ამ ქოჩორზე ხელის გადასმა, კიდევ შეეშინ-
და და საჩქაროდ თქვა:

— აბა, დალიე, და გასწი შინისკენ.

საშამ ჭიქა დასცალა და წავიდა.

მერე ორჯერ-სამჯერ კიდევ შემოიარა ფხიზელმა, მაგრამ ჩაის სმა ისევ ისე
ღიღხანს გააგრძელა და არც ტრაბახი მოუშლია.

სოფელში ხმა დაყარეს, ლუმამ ბიჭს ჯადო გაუკეთაო. გამოითვალეს
წლები და როცა ბიჭი ოცდაერთის გამოვიდა, ლუმა კი — ოცდაცხრისა, ეჭვით
გააქნიეს თავი. ბებერი გავრილოვი კი, აქაოდა, მაინც მომავალი მამამთილი ვა-
რო, სამუშაოზე აღარ გამოდიოდა.

„ჩემი ბრალია, — ნაღვლიანად ფიქრობდა ლუმა. — უნდა გადავიჩვიო ეს
ბიჭი“.

მაღე საამისოდ შემთხვევაც მიეცა.

მოულოდნელად სოფელში მტს-ის მთავარი ინჟინერი ჩამოვიდა ოჯანი-
თურთ. მისთვის ბინის მომზადება ვერ მოასწრეს და ლუმამ თავისი ქონი
შესთავაზა.

— შინ მხოლოდ ლამის გასათევად მოვდივარ, — უთხრა მან, — მობრძან-
დით და იოჯახეთ აქ.

ინჟინერი და მისი ცოლი ხანშიშესული ხალხი იყო, მაგრამ ოთხი წლის ბი-
ჭი ჰყავდათ — სვეტიკა.

პირველსავე საღამოს, შინ რომ დაბრუნდა, ლუმამ ველარ იცნო თავისი
ოთასი. ყველაფერი გადადგმულ-გადმოდგმული, არეულ-დარეული დახვდა.
მაგადაზე სხვისი სუფრა ეფარა, კომოდზე სხვისი ნივთები ელაგა.

სხვა რა გზა იყო, ხელახლა უნდა მიჩვეოდა საკუთარ სახლში ცხოვრებას,
უნდა ემტვრია თავი, სად გამოეცვალა ტანსაცმელი. სად დაემალა ზოგი სამო-
სი მაშაყაცის თვალისთვის. მაგრამ ამის გამო უკმაყოფილო ოთხი იყო, რადღი
მის სახლს თუმცა დროებით, მაინც პატრონი გაუჩნდა.

ინჟინრის ცოლს კი უჭირდა სოფელში ცხოვრება, თავისი დღეები ქალაქში
გაეღია და ძროხებისაც ეშინოდა თურმე.

სადილს რომ მიაცოდვილებდა, ფანჯარას მიუჯდებოდა და დაღლილი ამ-
ბობდა:

— ნეტა ფილიპი მაინც მოვიდოდეს ჩქარა.

მეუღლე რომ მოვიდოდა, წვნიანს დაუსხამდა, თავად წინ დაუჯდებოდა
და დუმულით მისჩერებოდა, როგორ ჰქმდა მისი ქმარი, ჰოდა, ლუმას აგონ-

დებოდა, რომ თავადაც აწორედ ასევე უცქეროდა საშას ჩაის სმის დროს. ნასადილეცა ცოლ-ქმარი მასლაათს გააბამდა ხოლმე. ქმარი მუდამ უკმაყოფილო იყო რაღაცით და სულ უბრალო რამეზე ჭირჭირებდა.

ხელი რომ არ შეეშალა მათთვის, ლუშა თავისთვის, ~~ქმარს~~ გადიოდა და ააე ეგონა, თითქოს მას კი არ შეეფარებინოს ეს ხალხი, თავად ჰქონოდა დაქირავებული მათთან კუთხე.

საშა აღარ მოდიოდა: ლუშა მას იშვიათად ხედავდა. ამბობდნენ, ცდილობს ნაატენჯაა გაეარშიყოსო, მაგრამ გოგო ლუშას შიშით ვერ შეხვედრიათ, თუმცა ლუშა ასეთ ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა. თავისდა შეუმჩნეველად იგი სხვის ცხოვრებაში შეიჭრა, სხვისი საზრუნავი დააწვა თავს, სვეტიკს დაუმეგობრდა და ყოველ დილით უვარცხნიდა კეფაზე აჭოჩრილ თმას. უყვარდა, ტანსაცმელს რომ გაურეცხავდა ბავშვს: პატარა შარვალს, პატარა, სალილოებიან წინდებს, პატარა ლიფებს, და სწყინდა, თუ დედამისი დააწრებდა გარეცხვას.

ხოლო როცა სვეტიკს მუცელი ასტკივდა, ორივე ქალს თავგზა აებნა.

დედამისი ახლა უფრო ხშირ-ხშირად იყურებოდა ფანჯარაში და ამბობდა: — ნეტა ფილიპი მაინც მოვიდოდეს ადრე.

ლუშაც კვირს უკრავდა:

— ნეტა ფილიპ ვასილუვიჩი მაინც მოვიდოდეს ჩქარა.

ალამოთი მტა-ის „გაზიკით“ ინჟინერი მოვიდა, და თუმცა დახმარებით ქალებს ვერაფერში დაეხმარა, ქოხში მაინც სიმშვიდე გამეფდა.

ორიოდე კვირის შემდეგ მტსის ქარ-მიდამოში ბინა გაამზადეს და ინჟინერიც გადავიდა.

ლუშას სალამოთი ბინა გამოცარიელებული დახვდა; მან გარეცხა თეთში. საფერფლის მაგივრად რომ ედო, დაჯდა სკამზე და იაე ხმამალლა აქვითინდა. გუჩაშიც ისმოდა.

მეორე დღეს, საცეხველს რომ ჩაუარა, ვილაც ჩასუქებული, წვინტლიანი ბიჭი დაინახა.

თავისდა უნებლიეთ მივარდა ბიჭს და კოცნა დაუწყო. ბიჭი აღრიალდა, ხილიდან დაუსხლტა და გაიქცა.

ლუშა ვონს მოეგო და შიშით ირგვლივ მიმოიხედა. არავინ ჩანდა. ალბათ ბიჭი მშობლებს ეტყვის, რაც ჩავიდინეო, იფიქრა ლუშამ და უფრო მეტად შეშინდა.

დილით კანტორაში ჩასუქებული ბიჭის დედა მოვიდა.

— ნეტა ვიცოდდე, რას სჩადიხარ! — დაუყვირა ქალმა. — ჩემს ქმარს მტაში არ უშვებ, სხვებს კი ნებას აძლევ, არა?!

ლუშას გულზე მოეშვა

— ვისზე ამბობ? — ჰკითხა ქალს.

— რაო, არ იცი თუ? საშკა გავრილოვი ემზადება ასაბარგებლად.

მეორე დღეს ლუშამ საშა გამგეობაში გამოიძახა.

— რაო მტა-ში მიდიხარ? — ჰკითხა.

— ჯერ არ მომიფიქრებია კარგად, ვნახოთ.

— მამ, გადაგიწყვეტია, სამშობლოში დაბრუნებისთანავე ისევ გაიქცე? — გავიშვებთ მამაკაცები აქაც გვჭირდება, — ლუშა უნებლიეთ წამოწითლდა.

კარგა ხანია არ დამართნია ასე, ამიტომაც გაუკვირდა და უფრო მეტად აეღწია სახე.



საშა დაკვირვებით მისჩერებოდა.

— განცხადება დაწერე — განაგრძობდა ლუშა, თანედასწრებულად წაბუქს. — კოლმეურნეობაში მიგიღებთ. საამშენებლო ბრძანებებსაც შეასრულებთ.

— ნერე რა უნდა ვაკეთო?

— საქმე თავსაყრელად გექნება. აი, კოპოევკაში გომური არ უვარგათ.

— უნდა ნახოს კაცმა ის გომური.

— თავი და თავი ხალისი და სურვილია, თუ გინდა ახლაც წავიდეთ და ვნახოთ.

— იქნებ საღამოთი გვენახა?

— ჰო, საღამოთი ვნახოთ, თორემ ახლა არა მცალია: ვოზნესენსკოეში უნდა წავიდე, საცეხვი მანქანა ჩამოვიტანო... საღამოს რა დროს წავიდეთ? — ჰკითხა ლუშამ და ისევ გაწითლდა.

— ასე შვიდი საათისათვის.

— კარგი, შვიდზე იყოს. — საჩქაროდ დაეთანხმა ქალი, რომელმაც შეზღოთებით იგრძნო, რომ მისდა უნებლიეთ საქმიანი საუბრის ნაცვლად ჰაემზის დანიშვნა გამოუვიდა.

— შენთან მოვიდე? — ჰკითხა საშამ.

— ჩქმთან რადა? — ლუშამ მკაცრად აზიდა წარბები. — მე აქ ვიქნები, გამგეობაში.

— როგორც გინდა, — დაეთანხმა საშა.

— თუ არა და, მოდი, ასე მოვიქცეთ: გზის გასაყარზე დამელოდე, მე ვოზნესენსკოედან პირდაპირ კოპოევკაში წავალ. ჰოდა, გზის გასაყარზე შევხვდეთ ერთმანეთს. ტყუილად რაღაზე შემოვიარო აქ?

— რომელ გზის გასაყარზე?

— არ იცი? აი, ტყე რომ დაიწვა.

— კეთილი. გზის გასაყარზე იყოს, — თქვა საშამ და წასვლისას დაუმატა: — მხოლოდ იცოდე, არ დააგვიანო. შვიდზე დავთქვით და შვიდზე მოდი. ლუშას ლოყები უხურდა. ქალაქებზე თავდახრილმა აქეთ-იქით გაიხედა, ხომ არავინ მიხვდა ამ საუბრის ფარულ აზრსო. ბებერი ბუღალტერი გულმოდგინედ ავსებდა უწყისსა, საქმის მწარმოებელი გოგონა კი, ფანჯრიდან პირშიბრუნებული, ბოთლიდან სამელნეში ასხამდა მელანს და სახე არ უჩანდა.

— თუ დამირეკეს, უთხარით, ვოზნესენსკოეში წავიდა-თქო. — დაიბარა ლუშამ და ოთახიდან გავიდა.

ფანჯარას რომ ჩაუარა, მოეჩვენა, თითქოს გოგონა იღიმებოდა.

ვოზნესენსკოემდე ხუთიოდე კილომეტრი იყო. ლუშა ტყის გზას მიუყვებოდა. მალლა, ცაზე, პატარა მზე ეკიდა. არყის ხეები თეთრი დებევით წყვილ-წყვილად ამოზრდილიყვნენ ერთი ფესვიდან. მათ ხასხასა სიმწვანეში საადრევ კალარასავით ელავდა ხეშეში ყვითელი ფოთლები. ლუშა გზის გასაყარამდე მივიდა, სადაც ოთხი საათის შემდეგ საშას უნდა შეხვედროდა. აქ გზა იტოვებოდა: მარცხნივ კოპოევკისაკენ მიდიოდა, მარჯვნივ — ვოზნესენსკოეში. ირგვლივ ჩანახშირებული ჭირკები, შეტრუსული არყის ხეები და ვერხვები ჩანდა. ამ მიყრუებულ, ნაღვლიან ადგილს ბუჩქ-ბუჩქად მოდებულ ნორჩი თეთ-

რიები აცოცხლებდა. „ნეტა რა მოხდება, ამ ადგილას ოთხი საათის შემდეგ? — გაიფიქრა ლუშამ და გული შეეკუმშა. — იქნებ არ მოვსულიყავი? იქნებ სჯობს, ყველაფერი ძველებურად დარჩეს — უსიხარულოდ, პოდასეჩიკოვს, დარდის გარეშეც. რომ მოვიდე — იქნებ ვერ შევიკავო თავი... ზუნდა ზუნდა განვსაჯო, როგორ აჯობებს“.

ტყე ჩათავდა. გამოჩნდა ვაშლილი მიხდორი, ახალი ნაწვერალი, ქერას ძნები, გუნდ-გუნდად რომ დასტრიალებდნენ თავს ბედურები. ნაწვერალზე, როგორც ხელისგულზე ისე მოჩანდა მთესველთა შეცდომები, ხოლო ბედურები აგრონომებზე უკეთ იტყობინებოდნენ. საცაა თავთავები ჩაცვიფდება და კარგა ხანია ვაცეხვის დროაო. სხვა დროს ლუშას არ გამოეპარებოდა ეს ამბავი და შეაშფოთებდა კიდევაც, მაგრამ ახლა ვერაფერს ხედავდა, მიდიოდა და ერთთავად ამას იმეორებდა: პოდა, თავად უნდა განვსაჯო, როგორ აჯობებს“.

ნამკალი გაიღია, ახლა სამყურა აბიბინდა, მერე ისევ ნაწვერალი გამოჩნდა: გამოჩნდა ვოზნესენსკოეს შენობების სახურავები, ლუშამ კი ვერ იქნა. მაინც ვერ გადაწყვიტა, რა უჯობდა.

ქალმა შორიდანვე შენიშნა, რომ საცეხვი მანქანა არსად ჩანდა.

— რაო, ხომ არ გაგიყდნენ? — თქვა ხმამალლა და ფეხს აუჩქაოა.

საცეხვავად მომზადებული კოლმეურნეები უქმად ისხდნენ, თუმცა ყველაფერი გამზადებული ჰქონდათ: მანქანის ადგილიც, ბელტებიდან გასუფთავებული ოთხკუთხა მოედანიც, საწონებიც.

— თუ ნასტენკა თავიანთ არ დაიშლია, — იამოდა ეატერინას გამყინავი ხმა. — ასევე გაუთხოვრად დამრჩება.

— კარგად უნდა დაუევირდეს კაცს. — ამბობდა ვილაც, — აგერ, ვასილისამ იჩქარა გათხოვება, მაგრამ ვისზე გათხოვდა? თავი სულ გადათეთრებია, — ანათებს და არ ათბობს კია.

— როგორიც არ უნდა იყოს, მაინც კაცია.

ჩვეულებრივი ქალური რატრატი გაებათ. იმის განსჯაში იყვნენ, ღირდა თუ არა ნასტენკა საშას მისი ხოვებოდა: ისე ცხარედ კამათობდნენ, თითქოს ეს ამბავი მათზე იყო დამოკიდებული.

ლუშას ადგილას სხვა ქალი თავის გულისჯავრს ვინმე პირველ შემხვედრზევე იყრიდა. ეტყოდა, ეს პური ხომ თქვენ გეკუთვნით, ღამით რომ მოწვიმოს, ხომ ყველაფერი განადგურდა! ამდენ ლაქლაქს მოსულიყავით და გეთქვათ მაინც, საცეხვი მანქანა არ მოუტანიათო, მაგრამ ლუშას სულაც არ დაუმჩნევია, თუ ღელავდა, ისღა იკითხა, მანქანის ოსტატი ხომ არ ჩამოსულაო, ან ემტეესის უფროსი ხომ არ არისო აქ.

მერე უკან გაბრუნდა. გზაში სულ იმაზე ფიქრობდა, რა შავ ღღეს დააყრიდა ემტეესის დარექტორს ტელეფონით. შვიდ საათზე პაემანი რომ აქონდა დანიშნული, აღარც ახსოვდა, მხოლოდ გზის გააყართან მოაგონდა წამით საშა. სარკმელთან მდგარი მომღიმარი გოგონა, გაუევირდა თავისი წელანდელი ღელვა და ხმამალლა თქვა:

— დიდი ამბავი, თუ იკინოდა. უბედურება ისაა, ჩემო კარგო, რომ თვითონ არ გეცინება საკუთარ თავზე.

გადაწყვიტა საშასთვის შეეტყობინებინა, რომ ღღეს არა სცალია, და ხვალისთვის დაეპარებინა პოპოვკაში. „ან იქნებ საჭიროც არ იყოს ამის შეტყო-

ზინება, გაიფიქრა ლუშამ. — გამოისერხებს და ის იქნება. დამიკლდის ცოტა ხანს და მერე შინ დაბრუნდება. მგლები ხომ არ შესჭამენ?



ქართული
ტიპოგრაფია

გამგეობის პარმალთან ემტყუისის „გახიკი“ იდგა ლუშა კანტორაში შეიდა: აქ ფილმა ვასილევჩი დაინახა და აღმფოთება ველარ დაფარა. აბა რასა ჰგავს ეს? ყოველდღე მოდიან, ილახძელების, საყვედურობენ, მაგრამ მომხმარე კი კაცი არა ჩანს. პური ვასაცხვია, მაგრამ რით უნდა გაცხვონ? მამაპაპების დარად საცხვებლებით ხომ არა? მეზობელმა კოლმეურნეობამ რა ხანია საცხვი მანქანა მიიღო: იქ მამაკაცია კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მას ვერ მოატყუებ. აქ კი ქალია თავმჯდომარე და, მამასადაძამე, შეიძლება ეს კოლმეურნეობა დაჩაგრო. დილითვე უნდა მიეღოთ მანქანა, ახლა კი ექვსი საათია და ჯერაც არა ჩანს. ბრიგადა მთელი დღე უსაქმოდ ზის. აბა რასა ჰგავს ეს?

ფილიპ ვასილევჩი ლუშას მაგიდას უჯდა, ქანქარიანი საათის ქვეშ, და მოთმინებით უსმენდა. ლუშა რომ ლაპარაკს მორჩა, ფილიპ ვასილევჩმა აუბნა, მეზობელ კოლმეურნეობას გაუჭიანურდა პურის ცხვვა და რამდენიმე ცენტნერი კიდევ დარჩაო. ახლა იჭიდან მოვდივარო, დაუბარე, რომ არა უგვიანეს ერთი საათისა აგრეგატი კოზნესენსკოეში გადმოისროლეთო. მერე ჯიბიდან დაფურცლული უბის წიგნაკი ამოიღო, ცხრილში ჩაიხედა და ლუშას საყვედური უთხრა. ასე გვიან რად ვაიტანე მარცვლეული ელევატორზეო.

— თქვენ კი აღარ გრცხვენიათ განა? — უთხრა ლუშამ. — საცხვებელს არ იძლევიო. მარცვლეულს კი თხოულობთ.

— ხომ გითხარით, მანქანა ერთ საათში მივა-მეთქი, — უთხრა ფილიპ ვასილევჩმა. — გრაფიკა კი უნდა შესრულდეს. ახლა იაულებული იქნებით მთელი ძალები მოიკრიბოთ და ორჯერ მეტი გაზიდოთ.

საათი შვიდის ნახევარს უჩვენებდა. საშა, საკა იყო, პაემანზე მოვიდოდა, ყოველდღე გაგვაქვს მანქანებით, სხვა ტრანსპორტი კი არ გვაქვიაო. ველოსიპედებით ხომ ვერ გავიტანთ, — უთხრა ლუშამ.

ფილიპ ვასილევჩმა გამოითვალა ძანძილი, ცენტნერები და გაოცდა, ასე ცოტა რეისება რად აკეთებენ მანქანებითო. რუკა იიღო და მარშრუტებს დააკჳტერდა. მანქანები პობოვკის გავლით დადიოდნენ და ამიტომაც თითქმის ათი კილომეტრით უგრძელდებოდათ გზა. ფილიპ ვასილევჩმა იკითხა, პირდაპირი გზით რად არ სარგებლობთო.

— ნეტა ერთხელ მაინც გავატარათ ძაგ გზაზე, — უთხრა ლუშამ. — იქ ხომ ერთი ხიდიც აღარ დარჩა მთელი.

საათზე შვიდს თხუთმეტი წუთი აკლდა. საშა ალბათ უკვე გზავასაყარისკენ მიეშურებოდა „ნეტა ჩქარა წახვიდოდე“. — ფიქრობდა ლუშა ინკინერზე.

მაგრამ ფილიპ ვასილევჩმა ახლა ქვეყის სააწავლებელი საუბარი გააბა იმ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა მიმართ, რომლებიც წინასწარ არ ფიქრობენ, რომ შემოდგომა კარს მოადგებათ და გზები შეუყუთებელი რჩებათ. ერთობოდა, ინკინერს არსად ეჩქარებოდა.

— მერე ვინ შეაკეთებს? — შეაწყვეტინა სიტყვა ლუშამ, — ჩვენს დედაკაცებს ჯერაც არ უსწავლიათ ხიდების გამართვა, დურგალი მამაკაცები კი

არა გვყავს. თანაც, ფაქტად ვასილევჩი, კომიტეტით, და უხდა წაგლე, მეტა-
ობა.

ლუშა გამოეთხოვა გაოცებულ ინფიხერს და ქუჩაში გამოვარდა. შვიდს
ათი წუთი აკლდა.

„ნეტა საით მივდივარ?“ — გაიფიქრა ისე, უბრალოდ წამოიხსენებ-
ლად, და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა სოფლის ორღობეს, ღამაში და გააუბული
გზაზე ნასტიამ შეაჩერა.

— რა გინდა? — ჰკითხა ლუშამ, ფეხი არ შეუწელებია, ისე.

— ნახირი ისევ კაობისკენ გარეკვს, იქ ისლის მეტი არა არის რა. მა-
ჩილა რომ დააყრი, მაშინაც ძლივს კამენ ძროხებზე, ან სულაც არ აჯარებენ
პირს. გეგმავს ასე როგორ შევააზულებთ?

— წაიყვანე ცხენი, მწყენსებთან წადი, უთხარი, სხვაგან გარეკონ. ვობ-
ნესენსკოეშიაც შეიხედე, საცხები მანქანა ხომ არ მოუტანიათ.

— შენ სად მიდიხარ, დეიდა ლუშა?

— ნეტა რა შენი დეიდა მე ვარ? რასაც გეუბნები, ის გააკეთე!

ნასტია გაეცალა.

ლუშა ტყისაკენ გაემართა. მზე ჩადიოდა. ახლა ორჯერ დიდი იყო, ვიდრე
დღისით, და ზეცას ცივ, ეოლოსფერ სხივებს ატენდა. ტყე დაღამების მოლო-
დინში გატრუბულიყო. სოფლის დახრამული გზა დაღმართზე ეშვებოდა და
ლუშა ისე მჩატედ მიდიოდა. უკიდურესად კი იყო, თითქოს შენს უნდობ-
ლად ვიღაც ძალით მიგათრევდა წინ. ლუშა მიდიოდა, მოელი ტანით გრძნობდა
ამ ნაძალადეგ სიმჩატეს და სულაც არ უხაროდა.

„მართლაც რა მოხდა ბოლოს და ბოლოს? — გაბრაზდა ქალი. — ჩოფურა
ხომ არა ვარ? ნუთუ უფლება არა მაქვს გული გავითბო? ათი წელიდია ამბე-
ლა ძეურნეობა მაწევს ტვირთად, არც ძილი მაქვს დროზე, არც ქამა, დღეში
ორჯერ სამ სოფელს მაინც უხდა შემოვტრბინო“.

„მერე რა ნაყოფი აქვს შენს შრომას? — შეეწინააღმდეგა შანაგანი ხმა. —
კიდევ პო, კოლმეურნეობა მოწინავე გაგეხადა, მაშინ მამაკაცებსაც მიიზი-
დავდი სამუშაოდ და საქმროებიც ბუზებივით დაგეხვეოდა, თქვენთან კი ამ ათ
წელიწადში მხოლოდ გავრილოვები დაბრუნდნენ. ერთადერთი ქაბუჯი შე-
მოგეძაბათ და ისიც შენ გინდა გამოიჭირო. შენ სი თავმჯდომარე ხარ,
ყველაფერზე პასუხისმგებელი. ცალულებიც შენი თავში საცემია, დამტვრეული
ღუმელებიც და ისიც, რომ მამაკაცები არა გყავს სამაოდ. ყველა ქალთან
ვალში ხარ; კატერინა იტნება თუ ნასტია, ყარგად დაფიქრდი, იკოდე, დაგძრა-
ხვენი ქალები, შენ ხომ ხალხზე საზრუნავად დაგაყენეს თავმჯდომარედ!“

„საკუთარ თავზე როდისღა ეიფიქრო!“ — კინალამ შეჰყვარა ლუშამ და
შანანძრალ ტყუესაც მიადგა, აქედან გზია გასაყარი ორიოდე ნაბიჯზე იყო.

წამიც და, საშასაც მოჰქრა თვალი, გარკვე გზისკენ ზურგმიბრუნებული
იკდა და წკეპლას ათამაშებდა. ლუშას რატომღაც კატერინას სიმღერა მოა-
გონდა. „წკეპლა დააცხე ჩირვს, წინ გაგიჩენა ბიჭს“. ქალმა წარბი შეიკრა და
შეუდგა.

სანას არ დაუნახავს იგი.

„მივიღ ახლა მასთან, — გაუფლავა ლუშას, — და მკითხავს: „აბა საით გა-
დისტირნოთ?“ — და ისევე შემომხედავს, როგორც მაშინ, კანტორაში... მე კი
წინაოდ ვეტყვი: „რაო, დაგავიწყდა გზა, რისთვის შევხვდით ერთმანეთს? წა-“

მო, გომური დავათვალეოთ და შინისაკენ გავსწიოთ“. და მორჩა... მორჩეთ სისულელეებს!“

მივიდა და წინ დაუდგა ჭაბუკს.

— რად დაიგვიანე? — ჰკითხა საშამ.

ქალი ხმას არ იღებდა, თავჩაღუნული იდგა.

— მე უკვე შინ წასვლა დავაპირე.

ლუშა ისევ ისე იდგა, თავი ვერ აეღო.

— აბა წამო, წავიდეთ... — თქვა საშამ. — ვნახოთ, დავათვალეოთ, მალე უნდა დავბრუნდე შინ. დღეს მამაჩემის დაბადების დღეა.

საშა წამოდგა, შარვალი ჩამოიფერთხა და წველების თამაშ-თამაშით გასწია წინ.

ჰოდა, ლუშაც ანაზღეულად მიხვდა, რომ ამ ჭაბუკს არც უფიქრია მასთან პაემანზე მოსვლა. კანტორაში რომ ესაუბრებოდა, ალბათ არც იცოდა, რომ აქ შეყვარებული გოგო-ბიჭები ხვდებოდნენ ერთმანეთს. უბრალოდ, კაცს მოუხდა გომურის დავათვალეობა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად — ეს არის და ეს, ხოლო კატერინას სახლში რომ ეცეკვა — ეს მხოლოდ შეზარხოშებული ჭაბუკის საქციელი იყო, რაც კარგა ხანია ისევ უნდა დაევიწყებინა, როგორც საშას, და ასეთი უბრალო საბაბით ოცნების კოშკები არ აეგო.

ტყე ისე გადაიარეს, კრინტიც არ დაუძრავთ და მოკლე გზით პოპოვიკისაკენ გაეშურნენ.

შემოდგომაზე აღარ ხასხასებს სოფლის მინდვრები. ზაფხულობით კი აღისფერი, ფირუზისფერი, თეთრი ყვავილებით გადაჭრელდება, მსუყე, თავლის სუნით დამძიმებული ჰაერიც თითქოს აღარ იძვრის. ახლა კი ყველაფერი, ყვავილი თუ ბალახბულახი, გამქრქალეებულა. აქა-იქ თუ შეარხევს ჩაფიქრებით შემტყნარ თავს ბაცი ცისფერი, თითქოს ზაფხულის მზით გამოხუნებული მაჩიტელა და ჩრდილს ეფარება პაწაწინა, მორცხვი თავვისყურა; საცაა გადაიყვავილებენ მოვარდისფრო სამყურებიც, ჭუჭყისფერი რომ დადებიათ და სალამოს ჰაერს ძალზე ნაზი, გამოსათხოვარი სურნელით ელამუნებიან.

გომური ცარიელი დახედათ, ლუშა საშას შეჰყვა და დაუწყო ახსნა, პირველ რიგში რა უნდა გაეკეთებინა სამშენებლო ბრიგადას. უჩვენა, იატაკი სად დაეგოთ, ჩარჩო სად გამოეცვალათ, უთხრა, ამწოვი დანადგარის დამატება დაგჭირდებათო, რადგან ყოველი ბროხა ათიოდე კილოგრამ წყალს მაინც ამოიართქლავსო დღელამეში და ზამთრობით ისეთი ბული დგას, თვალთან თითქო ვერ მიიტანო.

— ამ საქმეს ერთ წელიწადშიც ვერ მორჩებით. ემტეესში სჯობს, ალბათ უშუაობა, — შენიშნა საშამ.

ლუშა კი უხსნიდა, უხსნიდა და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. ბნელოდა და ლუშას ეგონა, საშა ვერ შეამჩნევსო ამას. მაგრამ ჭაბუკს არ გამოპარვია. ხელი ჩაჰკიდა და ფანჯარასთან, სინათლეზე მიიყვანა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა.

ქალი ხმას არ იღებდა.

— ლუშენკა, რად ტირი? — გაუმეორა შეშინებულმა ყმაწვილმა. ლუშამ ისეთი ამოიოხრა, ლამის გული ამოატანა, და თავი მის მხარზე ჩაჰკიდა. ჭაბუკი გაოგნებული იდგა, ლუშასთვის ხელები მოეხვია და გრძნობდა, როგორ ცახცახებდა ქალი, ქვითინი რომ შეეკავებინა. ირგვლივ სიწყნარე იყო, მხოლოდ სად-

ლაც შორს. ტყეში, ერთფეროვანი გაუნი იამოდა, თითქოს ნაძვანს ურტყამდა ვილაც.

— შენა გგონია, მართლა ემტეეაში წავალ? — ეუბნებოდა ლუშამ, — ეს ისე ვთქვი, არსადაც არ წავალ.

ხმა თანდათან ახლოვდებოდა. ეჭვი არ იყო, ვილაცა ცხენს მოაჭენებდა ლუშამ საჩქაროდ გაიწია აედლისკენ. ცხენი საღდაც იქვე ახლოს გაჩერდა. მოისმა ქალის ხმა:

„დადექ, შე სამგლე!“ — კარში ნასტია გამოჩნდა.

— რათ, კიდევ რაღა გინდა? — არაბუნებრივი მშვიდი ხმით ჰკითხა ლუშამ, როგორც კანტორაში უცოდა ხოლმე, თუკი საქმეს მოსწყვეტდნენ.

— ვოზნესენსკოეში საზადრები არა აქვთ საკმაოდ. ძნების მანქანამდე მიტანას ვერ ასწრებენ. მანქანის ოსტატი ბრაზობს.

— ახლავე წავალ. — ლუშამ მოიმშრალა თვალები და ლოყები, თავსაფარი მაგრად შემოიხვია და იგვიდა. — იქ საშაა, — უთხრა ნასტიას. — მიდი და აუხსენი, რა უნდა გააკეთოს. მწველავი შენა ხარ და საზრუნავიც შენია.

ნასტია ყოყმანებდა.

— შედი, შედი, ნუ გეშინია. თავს აჩვენებს ისე, თორე კარგი ბიჭია.

ლუშამ შეფრინდა უნაგირზე და ცხენს დეზი ჰკრა. ცხენმა დაიჭიხვინა, შინდორი პირდაპირ გადაჭრა და აქა-იქ შერჩენილი სამყურები თუ მაჩიტვლები გადათქერა.



თარგმნა თეიმურაზ აბულაძემ

ცნობილი სლოვენი პოეტის სრეჩკო კოსოველის (1904-1926) პირველი ლექსები 1922 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში — „ლევა ვიდა“. ცალკე კრებულის დასტამბვას პოეტი სიცოცხლეში არ მოსწრებია. იგი 22 წლისა გარდაიცვალა.

სრეჩკო კოსოველის პოეზია გამოირჩევა ნატიფი, დახვეწილი სულით, ეროვნული და სოციალური უსამართლობის მძაფრი შეგრძნებით.

სრეჩკო კოსოველმა რითმის სიზუსტით, ცინცხალი მეტაფორებით, მელოდიურობით, კლასიკური ლექსის გვერდით ექსპრესიონისტული ხერხების ოსტატური გამოყენებით, უაღრესად საყურადღებო ფსევებით წინაშეაგვიდგინა ვააფართოვა სლოვენიური ლიტერატურის პორიზონტი.

სიცოცხლით დაღლილი მულები

უკვე სიცოცხლით დაქანცულნი, —

მკვდრები ვართ თითქოს

და უპატრონოდ,

უნუგეშოდ მიწაზე ვყრივართ,

ვით უჩვეულო აჩრდილები

დაღამებულ თაღების ჩრდილში.

ღირს კი ეს ნელ-ნელ კვდომა,

ქრობა.

დანრეტა სისხლით?

იმედის სხივი არ ჭიატობს არც წინ, არც უკან,

დაბურულია გზები ჩვენი და გაულწევი.

ღირს კი ასეთი ცხოვრება.

ან კანკალი, ძრწოლა

იმ მიზნისათვის, — ვერასოდეს რომ ვერ მივწვდებით?

დავდივართ ასე და დავათრევთ გულებით სიკვდილს.

ვკვდებით, ვკვდებით და აღარც ვკვდებით, —

აღარც ეს ძაღვციძს.

ლეხი ქაოსიდან



ქაოსში ვცხოვრობთ,
კი არ ვცხოვრობთ, —
ძლივსლა ვფორხილობთ,
ძლივსლა ვფორხილობთ
და ამიტომ გვსურს მარტოობა.
ზარი ქუჩების და ყვირილი დემონსტრანტების
თითქოს უმწეო ხავილია ყრუ-მუნჯებისა.

ჯგლეჯა-გნიასში
თვით არ გვესმის ჩვენი სიტყვები,
სწორედ ესაა ჩვენი უღვთო განწირულება.
ამ უკაცრიელ სივრცეებში არიალებულთ
მხოლოდ ქაოსი გვისმენს,
მხოლოდ იგი თუ გადაგვარჩენს.

ვცხოვრობთ ქაოსში
და ამიტომ გვსურს მარტოობა.

საკუთარ ნალველს

გულის სიღრმეში ვინახავ ნალველს,
ეულად ყოფნის ვარაშს ვიშარხავ.
ჩემს სულს რა წარღვნა.
რა დელგმა ამღვრევს, —
თქვენ, ძვირფასებო, ნუ დაინახავთ!

მწარე სიცილით ვიციანი, ვლადობ,
გულში კი ცრემლი მეეცევა მწუთხე...
არ მინდა იგრძნოთ,
არ მინდა ნახოთ, —
მე რით დავლამდი, რით დავიმწუხრე.

...სალამოს, როცა ვა დაიმშევა
ნათლით..
და ბინდი სივრცეებს კოცნის, —
კვლავ მარტოობის ტაძარში შევალ
და იქ მოვითქვამ სულს წმინდა ლოცვით.

დაიხტა ღაეგო.

ჩაბნელდა,
ჩალამდა ოცნების კაშკაში.
დაიქცა.

დაემხო ტაძართა თაღები.
 ვდგავარ ნანგრევებში, როგორც ჩემს საფლავში,
 ტაძრები დამსხვრეულ მხრებს ათახთახებენ...



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

კიდევ დგას,
 კიდევ დგას შორს ერთი სიმაგრე,
 გადარჩა ღვთის ნებით თუ რაღაც განგებით,
 მაგრამ იქ ჩემს დაღლილ სულს ვეღარ მივათრევ,
 იქ არვინ მეგულვის შემფარე, გამგები.

მარტო ვარ,
 მარტო ვარ და ვფარავ ჩემს ვარამს,
 საცაა ჩემივე გულს შემოვაკვდები.
 უკან გამოხედვაც შემაკრთობს, შემზარავს, —
 ვინღაა იქ ჩემი შემბრალე, გამგები!

ფანჯრებს ვარსკვლავების ნათელი მიაღგა,
 მე კი არ მაღირსა ნათელი ნათელმა
 და როგორც ბოროტმა, წყეულმა წყვდიადმა,
 დამფარა სამყაროს უღრმესმა ნაღველმა.

დედის გოლოდინი

იმ შუქს თუ ხედავ ფანჯარაში, — შორს რომ ანთია?
 იქ დედა მელის მე — შორეულს და მიუსაფარს.
 დედის თვალებში ახლა ბნელი განთიადია...
 სდუმს ყოველივე და იმედი სულს ძლივსღა ლაფავს...

იქნებ დამლანდო სადმე, დედი, ამ უკუნეთში
 და შემანიო შენი სიტყვა — თბილი, კეთილი!
 არ ჩანს საშველი ამ გამომხმარ საუკუნეში,
 დაღუპულია ყველაფერი და დანრეტილი.

ჩაქრა სანთელი
 ხედავ? — ჩაქრა დედის სანთელი!
 დარჩა რაიმე?
 ველი რამეს?
 თუმცა რას ველი..
 დადნა სანთელი და წაიღო დედის სათქმელი,
 შეხედე! — ჩაქრა, ჩაქრა შუქი უკანასკნელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემილ ანტუან ბურდელი

ჰანდაკეპის ხელოვნება

თარგმნეს ავთანდილ და ტარიელ ვართაბაძეებმა

გავშვობისა და ჟრმობის მოგონებანი

(უთარილო, გამოუქვეყნებელი ავტობიოგრაფიული ჩანაწერები)

ბ აბუაჩემი, მამის მამა, თხებს აძოვებდა ტარნისა და გარონის დაბლო-
ბზე; იყო უკეთილშობილესი ადამიანი და კარგი მეოჯახე; ძალიან უყ-
ვარდა თავისი თხები; ეცვა თეთრი, განიერი შარვალი, ვერცხლის აბზინდებიანი ღია ფუხ-
საცმელი, ლუდოვიკო XVI სტილზე შეკერილი მოჩითული ყილეტი და საყვლოგადაფენილი
განიერი, რბილი ხალათი. მამაჩემის ძმებიც მწყემსები იყვნენ. მწყემსის სალამურის ჰანგე-
ბი თან ახლდა ჩემს ადრეულ ბავშვობას.

მეორე ბაბუა, დედის მამა, ფეიქარი გახლდათ, ნარმოშობით ალბიგიელთა მხარისა ქა-
ლაქ ტარნიდან. ჰქონდა გულში ჩამწვდომი ხმა და უყვარდა ძველი, გორიზი სიმღერები.

ბაბუაჩემის მიუქარებელი, მორიდებული, კეთილი გული და დიდებულნი სიმღერები
დღემდე ცოცხლობენ ჩემს ხსოვნაში.

მამაჩემის ერთ-ერთი ძმა მარსიასის ერთგული მიმდევარი იყო. მისი ბზის სალამურის
საამო რაკრაკი ყოველ დილა-სალამოს ატყვევებდა მონტობანის მოსახლეობას.

დედაჩემი — ტარნას სანაპიროს სოფელ რეის ფეიქრის ქალიშვილი — ლამაზი სოფ-
ლელი ქალი იყო, მორცხვი და უწყინარი.

მოგვიანებით ბაბუამ შიატოვა თავისი მძიმე და უმადური საქმე, რკინიგზის მშენებლო-
ბის ზედამხედველად დაიწყო მუშაობა და მას აქეთ თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა
მთიან სოფლებში, კლდეებია, მთის დედეებისა და ნაბლის ქალების გარემოცვაში. მისი
უფროსი ქალიშვილი ოცი წლისა იყო, როცა ცოლად გაჰყვა მამაჩემს, რომელიც იმ ხანებში
ორმოცისა გახდა.

მამაჩემი, ანტუან ბურდელი, ევრივი იყო; პირველი ცოლისაგან, ჩემ გარდა, კიდევ
ერთი ვაჟი ჰყავდა, რომელიც ცამეტი წლისა გარდაიცვალა; მაშინ მე მხოლოდ ოთხი წლი-
სა ვიყავი. მის ყველაზე უფროსი იყო ჩვენს ოჯახში. ჩემი დები და დედაჩემიც ერთმანეთის
მიყოლებით დაიხოცნენ რაღაც უკუჩნებელი სენით, რომლის წამლობაც იმ დროს თითქ-
მის არც კი იცოდნენ.

ბავშვი ვიყავი, მაგრამ ძალზე ვიტანჯებოდი, მამაჩემის გაუქარვებელ მსუხარებას რომ
ფუყურებდი. ჩემს ძმას მამისაგან გამოჰყვა სატვის ნიჭი. ყველა სკოლაში, სადაც კი სწავ-
ლობდა, მუდამ პირველთა შორის იყო, ისე, როგორც მამა, რომლის გაგზავნასაც პარიზში,
ენგრის სახელოსნოში საკუთარი ხარჯებით აპირებდა მისი მასწავლებელი ბ. კომბი.

დედაჩემისა და თავისი პირმშოს უაღრესად მოყვარულმა მამამ მთელი სიცოცხლე მშო-
ბლიურ ადგილებში გაატარა, მეაფევე გახდა, შემდეგ ხეზე ამომჭრელის, ხარატისა და ინ-
კრუსტატორის ხელობას დაუფლა ადვილად და თავის თანამემამულეთა შორის დახელო-
ვებული ოსტატის სახელიც გაითქვა.

მამა ოთხმოცდაორი წლის ასაკშიც მუშაობდა. ავადმყოფი არასოდეს მინახავს.

დედა სუსტი აღნაგობის, გამხდარი, ნაზი და მგრძნობიარე ქალი იყო, ერთგულებისა და
თავშენირვის ხორცშესხმა. ორმოცდაშვიდი წლისა გარდაიცვალა. ჩვენ კარგად გვესმოდა

ერთმანეთისა. მისმა სიკვდილმა პირველად მაგრძნობინა წუთისოფლის დაუსრულებლობა. ესწავლობდი იმავე სკოლაში და იმავე მასწავლებელთან, სადაც ჩემი გარდაცვლილი ძმა, მაგრამ, ხატვის გარდა, არაფრის სწავლა არ მსურდა. ცამეტი წლისა ცუდი მხატვარი როდი ვიყავი. ერთხელ, არდადეგების დროს მამას ხის საჭრეთელი გამრეცხველში¹ მამამი-რიდან რქოსანი ფაუნის თავის ასლი გავაკეთე.

ბიზლირეთისა

ასლი ძალიან ზუსტი აღმოჩნდა. გაკვირვებულმა და გახარებულმა მამამ განჯინისა და ბუჯურების ჩუქურთმების ამოჭრა მომანდო. არც ეს სამუშაო განჭირვებია იმ ნიმუშების მიხედვით, რომელთაც მანა მანვდიდა.

თავა შეგირდად არ ვგრძნობდი. მინდობილი დავალებები თანდათან რთულდებოდა, მაგრამ ვერც ვამჩნევდი, ყოველკვირეულად გაბედულება მემატიებოდა.

მამასთან ერთად ვაკეთებდი ძველი ავეჯის ასლებს. ვმუშაობდი ჩინური და იაპონური პატარა ქანდაკებების რესტავრაციაზე. იმავე დროს დავდიოდი მონტობანის მუნიციპალურ ხანხატვრო სკოლაში და ესწავლობდი, როგორ გადამეღო ანტიკური თავებიდან თიხის ასლები. ჩემი მასწავლებლის, ყოფილი ფოტოგრაფის, ყველა ნამუშევარს სიმარჯვისა და განომგონებლის ბეჭედი უხვა. მე კი სულ სხვა სტილი მიზიდავდა. ანტიკური თავების თიხის ტვიფრები ჩემთვის უფრო ახლობელი იყო, ვინაიდან ბუნდოვნად ვგრძნობდი მათ ამაღლებულ პლასტიკას.

ხელოვნების მოყვარულმა მუშტრებმა მოისურვეს მონანილეობა მიეღოთ მოზარდის ცხოვრებაში, მათი ავეჯისა და ძვირფას სამშვენისთა შეკეთებას რომ აწარმოებდა, და გადამწყვიტეს ჩემი გაგზავნა ტულუზის ნატიფი ხელოვნების სკოლაში.

ჩვენ ღარიბები ვიყავით. შეკვეთებს რომ მიიღებდა, მამა დანაპირებზე ორჯერ მეტს აკეთებდა; მუშაობდა, როგორც ნამდვილი მხატვარი, გასამრჯელოს კი ხელოსნისას იღებდა; და ამიტომაც კეთილშობილ, მაგრამ ძნელად ასატან სიღარიბეში ვცხოვრობდით მუდამ.

მშობლები იმედებს ჩემზე ამყარებდნენ. ვმუშაობდი სწრაფად, ადგილობრივი მწარმოებლები და საქმოსანი ვაჭრები კი ყველაფერს ყიდულობდნენ, რასაც გავაკეთებდი... მშობლებმა უყოყმანოდ გადამწყვიტეს, მუნიციპალიტეტიდან სტიპენდია გამოეთხოვათ ჩემთვის. ენგრის აჩრდილი ბუნდოვან იმედებს გვინერგავდა. ასეთი სწორუპოვარი ოსტატის მშობელი ქალაქი არ წეიძლებოდა ნოყიერი ნიადაკი არ გამოშდგარიყო.

ჩემი მეტოქე ტულუზაში სწავლობდა, მაგრამ სასტიკი პაექრობის შემდეგ, სტიპენდიაზე დამინიშნეს, პირველად სამას ფრანკს მაძლევდნენ, შემდეგ კი — ექვსასს. თხუთმეტი წლისამ დავტოვე ჩემი განმორებით დამწუხრებული დედ-მამა, თუმცა სამიჯეს გვნამდა, რომ მომავალში წარმატება და დიდება არ ამცდებოდა.

კვირა დღეები მონტოგანში

...ადრეულ წლებში არ მიყვარდა თავიანთი სიმდიდრით მოტრაბახე ბავშვები. ღარიბი ვიყავი და ამიტომაც ამაკი მანანნალები უფრო მერჩინა. მდიდარ ბავშვებს უმოძრაო სათამაშოები ჰქონდათ, ისეთივე ყოყლოჩინა და საძაგლები, როგორც მათი პატრონები იყვნენ. დავრბოდი მათხოვარი ოჯახების ბავშვებთან ერთად მორაკრაკე ნაკადულების პირას და იებით მოფენილ ჩრდილოვან ტყეებში. მდიდარ ბავშვთა გარემოცვაში თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ოქროს ბორკილები მედო. როდესაც ფეხშიშველა, ჩამოფლეთილ ბავშვებთან ვთამაშობდი, უსახლვრო თავისუფლებით ვტიკებოდი. ამ შეგრძნებამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამიტოვა, რომელშიაც შემოქმედების დემონურ ტანჯვათა რაღაც მარცვალი იმალებოდა.

მხატვრის ბედი ზოგჯერ მის პირველ სურათებშივეა ჩაბუდებული. ბავშვობის წლებში სამხატვრო სკოლებში არ მივლია. ვხატავდი დიდიდან საღამომდე, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი და ამით სასოწარკვეთილებამდე მიმყავდა მასწავლებლები. ერთადერთი მასწავლებელი, ვისიც მესმოდა და ვისაც ვუსმენდი, ბუნება იყო. რაკი ვიცოდი, ბედად არ მენერა ჯილდოები ანდა მშვენიერი მწვანე ქალაქის გვირგვინები, თავად ვიდგამდი აყვავებულ

¹ ნანყვეტი საუბრიდან, რომელიც შედგა გრანდ შომიერში '91 წლის მაისის პირველ მეოთხედში.

ტოტების გვირგვინს და ვერა და ვერ ვაიძულებდი თავს მეფეერა გაკვეთილების სწავლასა და საზღიშო ჯილდოებზე, ესოდენ რომ მიმძიმებდნენ ბავშვობას.

ჩემი სიყრმის ამხანაგებს უყვარდათ ლამაზად ჩაცმა და კვირაობით მზიის განახილვებულ მთავარ ქუჩაზე გასეირნება. იქ ყველაფერი იყო, არ იყო მეფეერა და თავისუფლება. მე კი გაუცნობიერებელი ზიზღი მაიძულებდა ზურგი უკეთესად მოვიხატო.

თავად იფიქრეთ! იქ, ქალაქის შადრევანთან გუგუნებდა სამხედრო მუსიკა, რომელიც, თვითონაც არ ვიცოდი, რატომ მტრისა და ყურს, სპილენძის თევზების ქლარუნ-რახუნზე, ტრომბონების ღრიალსა და დიდი დოლის ბრაგუნზე კული შიშით მეკუმშებოდა. მთავარ ქუჩაზე თავს იყრიდნენ მშვენიერი ქალები და ეშხიანი ქალიშვილები. ჩემი ამხანაგებიც მიდგოდნენ გალანაზებულნი და გაპრანჭულნი, თმადახვეულ-გაპოხილნი და ვაქსუებულნი, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდნენ ასეთები ყოფილიყვნენ, მე კი ვარჩევდი დაუდევრად ჩადმული ცხოფილიყავი, რადგან მათი მორთვა-მოკაზმულობა საოცრად მეზიზღებოდა.

ჩემი სიყრმის მეგობრები სიამოვნებით ეწეოდნენ სიგარეტებსა და მსხვილ სიგარეტებს. ეგონათ, ასე ვაყვაცვებს დავემსგავსებითო. ყვიროდნენ, ხმამაღლა იცინოდნენ, შეშხაროდნენ სიცოცხლეს, თავს აწონებდნენ ქალებს და ეგონათ, იმითაც მოვწონვართო.

არაადრეს მიზიდავდა თამბაქო; გაურკვეველი ინსტინქტი მკარნახობდა ბრბოს არ დავსაგავსებოდა, არ მსურდა მოვწონებოდი ქალებს, ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც ამას ჩემი მეგობრები ცდილობდნენ.

თავს გარეშედ და უცხოვ ვგრძნობდი; მიპყრობდა გაურკვეველი მღელვარება; მიყვარდა მხოლოდ ის აილამაზე. რისი შეთვისებაც მოვახერხე.

რა უნდა მოეცათ ჩემთვის იმ ლამაზ ქალებსა და ქალიშვილებს? ძლიერ ვცდილობდი დამენალა მათთვის ჩემი მოკრძალებული გული და კიდევაც ვალწვდი ამას, რამეთუ სულს თავისუფლების შენარჩუნება შემეძლო. იცოდეთ, ჩემო მეგობრებო, რომ სულის ეს სინორჩე მომავალი მხატვრის ჩანასახი გახლავთ.

მანაჩემი, ხეზე ამომჭრელი, შესანიშნავი მხატველი, ხარატი, იხერუსტატორი, დურგალ-მეფევე, რომლის ყოველი ნამუშევარი შედეგრი იყო, თხის მწყემსის ოჯახში დაიბადა დედაჩემი, გლეხის სათნო ქალი, ფეიქრის ქალიშვილი გახლდათ. ორთავეს უყვარდა სოფლის ბუნება, და მე სიხარულით ავედევენებოდი ხოლმე მათ, როცა ისინი ჩვენი ქალაქის მიდამოებში გასეირნებას დააპირებდნენ. თევზები, დოლი და სამხედრო ორკესტრის ტრომბონები კი არა, ტყის ბულებული მასწავლიდა, რა იყო სიმღერა. ვაყურადებდი ღამის სტუმრის ღვთაებრივ ხელგნებას, რომლის ხმაშიც ღამეული ვნების სუნთქვა თავისუფლების მთაფრ სურვილს ურთვოდა, და ცრემლები ბინდად ეკვროდნენ ჩემს თვალებს.

მე სამუდამოდ ააეთი დაერჩი, სამუდამოდ დავიმახსოვრე მისი უცვდავი გაკვეთილები. სასკოლო გამოცდები, ფულადი ჯილდოები, ნარმატება და სიმდიდრე ყოველთვის იღდრებს ჩემა სულში თევზების, ტრომბონებისა და სამხედრო დოლების არანწყობრ ხმებად.

მე შიშით გაფურბივარ ამგვარ სინამდვილეს და მწამს, ყოველი ადამიანი თავსა ბეჯა თვით იმსახურებს.

დაე, თვითუღმა თქვენთაგანმა შეითხოვ თავს: როგორი ვარ, როგორია საგანს ჩემი სიყვარულისა, როგორია ჩემი სიყვარული? დაე, თქვენი სიცოცხლის ყოველმა დღემ განაყურსოს ტრილობები თქვენი ნარსულისა. მხოლოდ ის არის ტემპარიტი მარტოსული, ვინც თვითონ დატოვებს თავის თავს.

არაფერი არ არის ისერივად მომაკვდინებელი, როგორც არული ურწმუნობა საკუთარი თავისა, რამეთუ ამ დროს ადამიანი კარგავს სამყაროსთან შემაკავშირებელ ძაფს.

დაწყებითი სკოლა: ა. რუსე²

1924 წლის ხოუმბრამდე მწამდა, სკოლაში ყოფნის პირველ წლებში სრულიად არაფერი მიანაგლია-მეტყი.

აოფლის უბრალო სკოლაში, რომელიც მოთხმეტი წლისამ მივატოვე, მარტო ცუდი მონაფე როდი ვიყავი.

მე ვარსებობდი ქლასის გარეშე, გაკვეთილებს არ ვსწავლობდი და, როგორც ახლა

² უთაროდო ავტობიოგრაფიული ჩანაწერები.

ვატყობ, ყველას საოცრებად მივაჩნდი, მაგრამ, ამასთან ერთად, გულით მიყვარდეს ის მასწავლებელი, რომელმაც შემამჩნია, თუ რარიგ მიყვარდა დამოუკიდებლობა. მან შესძლო აწილებულიყო მასწავლებლის ჩვეულებრივ მოვალეობაზე და არ ხელყო ჩემი თავისუფლება; ძალიან ადრე გამანთავისუფლა დავალებებისა და გაკვეთილებისაგან. ახლა ვფიქრობ, რა უცნაურ სანახაობას ნარმოადგენდა პატარა ველური, რომელიც სკოლის ციფქნა ოთახში იჯდა განმარტოებით და, ვინმეს ხელმძღვანელობის გარეშე, ხატავდა და წერდა შეუსვენებლივ.

გარდა ხატვისა და ფერწერისა, არც შინ მქონია სხვა საქმე.

გამოცდების დროს, მაღალ სკამზე შემობღებული, ვხატავდი სასკოლო დაფაზე, უფროსი და უმცროსი მონაფეები კი იხატავდნენ.

ასე მგონია, ყველაფერი თითქოს სიზმარში იყო.

ჩემი მასწავლებელი, ბატონი რუსე, სკოლაში ყოფნისას და შემდეგაც, როდესაც სკოლიდან წავედი, უფრო მოგვიანებითაც, როდესაც ჩვენი ქალაქი დავტოვე, და თვით სიკვდილამდე, იყო ჩემი უცვლელი დამრიგებელი და მეგობარი, მთელი სიცოცხლე ქვშმარიტი მამობრივი სიყვარულით მეპყრობოდა.

ჩემი მასწავლებლები

წერილი ქალბატონ ა-ს...³ 29 იანვარი, 1912 წ.

მონტობანში, მამასთან ერთად ვმუშაობდი ძველებური ავეჯის აღდგენაზე, ზოგჯერ ახალსაც ვაკეთებდით ხოლმე. მამაჩემი იყო ნამდვილი, ამასთან დახელოვნებული მხატვარი-მეავეჯე, ხის მეჩუქურთმე, ხარატი, ინკრუსტატორი, მშვიდი, ძლიერი ხასიათის ადამიანი, მქონდა ნათელი გონება. დაიბადა მესაქონლის ოჯახში. ბავშვობაში არაერთხელ მივხმარებდით მის ძმებს თხების მწყემსვაში; მამაჩემის ერთ-ერთი ძმა უკრავდა მწყემსის სალამურზე. მომაჯადოებელი ხმები მთელი ქალაქის თავზე იფანტებოდა. ეს ხალხი, ეს ბუნება გახლდათ ქვშმარიტი წყარო ჩემი ცხოვრებისა. ბიძაჩემის ახალგაზრდა, შავთმიანი და გამხდარი ცოლი; თხელი, ღონიერი თხები; ძალღი, მძვინვარე ქარბუქის დარად მინდორზე რომ დაქროდა; მამაჩემი... უძირო ციდან ძირს დაშვებული სიმშვიდე, დედის საამური და ნაზი მომხიბვლელობა — ყველაფერი ეს შეურყეველ საძირკველად დაედო ჩემს ბუნებას.

ჩვენ ღატაკები ვიყავით და თავს ჩვენი ქალაქისა და მისი მიდამოების ცნობილ ოჯახთა შეკვეთებით ვირჩენდით. მამაჩემის შესანიშნავი ნიჭის, მისი საარაკო პატიოსნების, მისი საუბარივით უბრალო და ნათელი ხასიათის წყალობით ჩემთვის ბავშვობიდან ღია იყო ყველაზე კეთილშობილი, დიდსულოვანი და განათლებული ოჯახების დარბაზთა კარი. დავდიოდი სასახლეებში და ვტკბებოდი კედლების სილამაზით, სიძლიერითა და კეთილშობილი ნონასწორობით. ეჭვს გარეშეა, რომ მაშინაც ვგრძნობდი მათ შარმონიას. ვაკვირდებოდი მდუმარე, უკიდევანო ტყეებს, ვენახების ნაზ ღერწსა და გლეხობის თავშეკავებულ ბევეას.

ეს მამდიდრებდა, რამეთუ, თავადაც იცით, ქალბატონო, ჩვენ მხოლოდ ის გადმოგვაყვას და ჩვენს სასარგებლოდ მხოლოდ მას მივიჩნევთ, რაიც თვით ჩვენში არის ჩასახული.

ტულუზიდან ხის მეჩუქურთმეები ჩამოდიოდნენ ხოლმე მამაჩემთან, რათა მის სახელთანოში, მის დაზგაზე წაემუშავათ. ასე რომ, შესაძლებლობა მქონდა მენახა გასაოცარი, უზრუნველი და მუშაობით მგზნებარედ გატაცებული ხელოსნები, რომელთა მსგავსნი ახლა სულ იშვიათად და იშვიათად გვხვდებიან.

მთელ დროს ხატვასა და ვითხვაში ვატარებდი, სასკოლო საგნებს სრულიად არ ვწავლობდი, არსებულ დროს მთლიანად ხატვა ნთქავდა.⁴

ტულუზის სამხატვრო სკოლის მასწავლებლებს⁵ აფრთხობდათ ჩემი თამაში, მათ მიერ

³ ბურდელის ქალაქებში ნაპოვნი შავი ხანერებიდან.

⁴ თქვენს ვაჯიშვილს, — ეუბნებიოდა ბურდელის მშობლებს მისი მასწავლებელი ბატონი რუსე, — მართო ხატვა იტაცება; იგი ხატავს დილიდან საღამომდე დაფაზე, რვეულებში, წიგნებზე, და მე ხელს არ ვუშლი მას.

⁵ განსაკუთრებით ბ. მორუტის.

კადნიერებად მიჩნეული მუშაობა: ამ სკოლაში თანამეტი ნღისა შევედ ნახევარი წელი ჩემს ამხანაგებს კრინტიც არ გაუგონიათ ჩემგან. მიუკარებლობის ნიღვაზე სამუშაოებს მაძლევდა ყველასაგან დამემალა ჩემი გადაშეტებული მგრძობიარობა. ახლა კი ვიცო: ჩემი პირველი ნამუშევრების მითითოლვარე სიცხოველეს არა მარტო შექმნილ მუშაობების გაყვანილებს უნდა ეუმაღლოდე, რომლებიც, მართალია, არცთუბ მუშაობების აღსაყვე შემოქმედნი იყვნენ, მაგრამ ტრადიციების დიდი ცოდნა კი მოსდგამდათ, არამედ ახალგაზრდა ქალიშვილთა სხივიან სილამაზეა, აღფრთოვანებიაა და სიყვარულით რომ ვჭვრეტდა ქუჩებში.

ტულუზის უძველესი ნანგრევების ვებერთელა ლოდები, მინდვრები, ტყეები და სიყვარულის ტანჯვა-წამება, მუდამ გულს რომ მოკლავდა, — აი ორი ქმედითი ძალა, ორი წყარო, რომლითაც საზრდოობდა სული ჩემი.

როგორც კი პარიზში ჩამოვედი, ქალბატონო, უკვე გვიანი შეიქნა ზნისა და ხასიათის გამოცვლა, სკოლის გამოცდებზე მეორე ვიყავი, ტულუზიდან სტიპენდია მქონდა, ჩემმა თანამემამულეებმა, რომლებიც ჩემამდე ფალგიერის სახელოსნოში სწავლობდნენ, ოსტატს უთხრეს, რომ მე მათზე ნიჭიერი ვიყავი, უფრო ნიჭიერი, ვიდრე ფალგიერის მონონტებული პარიზელი ან სხვა კუთხეებიდან ჩამოსული მათი ამხანაგები. ჩვეულებრივი ფარისევლური ფრაზები არ გამომიყენებია, პირდაპირ უღახარი ფალგიერს: „არ შემიძლია დავრჩე თქვენს სტიუდიაში. მე მიყვარს თქვენი ხელოვნება, მაგრამ არ მიბდა თქვენს შეგობრებთან ურთიერთობა. მშვიდობით“. მე მივედი ოსტატის სახლში, ბევრად უფრო კი მიზიდავდა ანტიკური ქანდაკება, რელიეფი, დიდებული ავეჯი, „პრიმიტივისტთა“ ნამუშევრები, მათი შესწავლით საკუთარ კანონებს ეაყალიბებდი ხოლმე.

მაგრამ ხელოვნების ყველაზე მშვენიერი ნაწარმოებიც კი ვერ მიიჯატავდა ჩემს ყურადღებას, თუ ჩემ წინაშე ლამაზ ბავშვს დავინახავდი, ოუ გამყიდველი ქალი ტურდა იყო, ოუ თვალში ცოცხალი ყვავილების თაიგული ან ტანდაძარული ცხენი მომხდებოდა, თუ ქუჩა დამაბრმავებელი შუქით იყო განათებული. მე დავიცავი ჩემი თავი და არ მენუჭრებოდა სკოლის გაელენა.

ბევრი რამ მაშორებდა ჩემს ამხანაგებს. მქონდა მოსიყვარულე გული, მაგრამ ძალზე გულჩათხრობილი ვიყავ; მე სულს ვუხსნიდი მხოლოდ ქუჩის წუთიერ სურათებს, დამატყვევებელ სილამაზეს მუშა-ქალიშვილებისას, რომლებიც დიდდილაობით ღარიბული ლუკმის საშოვნელად მიიჩქაროდნენ. სიყვარული მიღანძავდა, მინვაფდა თვალებს, სიყვარული ყოველი ყვავილისადმი, სიყვარული ყველაფრისადმი, რაც დაბორკავდა და დაატყვევებდა ჩემს გულს, რომელიც უფრო ხმამაღლა ძგვრდა, ვიდრე უზარმაზარი პარიზის ყველა ზარი ერთად. მე სიყვარულს ვუძღვნიდი არა ერთი, არამედ ყველა ქალის კდემამოსილებას. თითქმის ჩემს საულში სახლდებოდნენ ეს ნაკვთები, მათი პროპორციები და რიტმები შთაგონებით მავსებდნენ, ვიყავი გულჩახვეული, უკარება, ადვილად შემეძლო ჩემი გრძნობების სხვიათვისა დამალვა. ჩემს ამაყ გულს ძალუძდა მხოლოდ მზერით და თვალებით ტკბობა; მორჩილება მისთვის უცხო იყო.

ამგვარად, მე არ ნემუჭრებოდა კაფეების, სამოუციტნოების, აზარტული თამაშებისა და ლუღის ცდუნება; გატაცებით ვკითხულობდი, რაც კი ხელთ მომხვდებოდა, მაგრამ ქვეშეცნეულად არ ვიკარებდი ახლოს უაზროს, უწმინდურს, სენტიმენტალურსა ანდა სულელურს; მე აღწოვანინე და ვეზიარე ფილოსოფოსებს.

შემდეგ შევიცანი დალუ და მიაი შესანიშნავი ოსტატობა; შევიცანი დალუ, ეს საოცარი ნებრემული, და მძლეთამძლე მხატვარი. როდენი, როდენმა მაზიარა ცხოვრების იდუნალ სიღრმეებში შეღწევის, ანალიზის უნარს. მე შევიცანი და შევიყვარე შავანი, არც ერთი ეს მხატვარი ახლობელი არ ეოფილა, ისინი უცხონი იყვნენ. ყველაზე მეტ სიახლოვეს სეზანთან, ფრანგ „პრიმიტივისტებთან“, პიზანტიის, რომანული და გოთიკური ეპოქების ოსტატებთან ვგრძნობდი.

გოთიკის შემდეგ ქანდაკების ვერც ერთმა გენიამ ვედარ შეძლო შეეჩერებინა მისი განუხრელი დაქვეითება.

მხოლოდ ერთმა დიდებულმა ნიჭმა მიაღწია მწვერვალს! ეს ბარია—ადამიანთა სახელების შემქმნელი. მისი კერტავრია დამმარცხებელი თეზვესი XIX საუკუნისა შედეერია. ჩემი განათლება დაგვიანებული იყო და ნელაც მიდიოდა. გარდა ამისა, ცხოვრების უშუალო მდინარებათა ჩემს მძაფრ სიყვარულს რაციონალიზმიც ერწყმოდა. ამიტომაც კარგა დიდ-

ანს არ ვიცნობდი ბარის ხელოვნებას და ვერც შევძელი უცბად ჩავნვდომოდი მას, ბარი ანტიკურ მოქანდაკეებზე უფრო ფასეულია.



ახლა მე მინდა შევეჩინა საკუთარი ხელოვნება; მე ვინც ბრძოლას.

მაგრამ სწავლას მაინც ვაგრძელებ. ახლა მეტად, ვიდრე ცხის დაჯანსაღების დროს, რომ სული კაცობრიობისა — ჩემი ჭეშმარიტი მასწავლებელია, ჩემი სწავლის განთავისუფლებაა, ჩემი ერთადერთი დამრიგებელი — ცხოვრებაა, უკვე წასული დიადი ადამიანები: სერვანტესი, პლატონი, პომპროსი, ლუკრეციუსი, ვინც ასე მიყვარს და ვისგანაც შემიძლია ვისწავლო...

თვითშეცნობა

ჩემი ბალი

ჩემი ბალი ყვავილობს და იფურჩქნება.

ახალგაზრდა მშვენიერ ტოტებს მალა სწევს, ზოგს კი დაბლა ხრის მოზუზუნე ქარი. ჩიტები — ჩამრგვალბული, მსუქანი ბელურები თავგამოდებით აფრქვევენ მხიარულებას; ფრთოსანი ბურთებივით გაიქროლებენ ხოლმე ცის ლაქვარდში და პატარა მთრთოლვარე გულების მსგავსად დაფარფატებენ. მათი ფრთაასხმული ფერხული ცოცხალი ღობის მოკლე და ღრმა ჩრდილში იმალება, რომელსაც თავის მხრივ მოძრავი შუქი მსჭვალავს.

ჩემს ბალში გვიმრა გადაბარდნილა. ოდესღაც, დიდი ხნის წინათ პანანინები მოვიტარე ისინი ტყიდან. წლიდან წლამდე ფართოდ და ფართოდ შლიდნენ მსხვილ შტოებს; ფოთლებიც უფრო გალამაზდნენ და გამშვენიერდნენ. ბევრი მათგანი უკვე ჩამოტყნა. იქვე ხარობენ კიდობანას ბუჩქებიც. ბალს ირგვლივ სურისა ქირვეული, ლაღი ფოთოლმწნულები არტყია...

ამ უბრალო პატარა ბალს გარშემო აკრავს აყვავებული კატაბარდას ერთმანეთში გადინული მუქი შტოების ცოცხალი ღობე. გაზაფხული მღერის, ზაფხული ვარვარებს პანანაეებით, დაფიქრებული მიიზღაზნება დრო. დღითი დღე სახეს იცვლის პატარა ბალი...

ხშირად დამიხვები თვალსაყვირს თუ საბოლოოში გახვეული, ჩემო პატარა ბალო; რა ხშირად მინახიხარ ჩამავებული და გაძარცვული; რა მუხუნჯერ მინახავს შენი ხეების მალაღობლებზე ერთმანეთს ჩახუტებული მოძიგავი ჩიტები, როგორც ერთი გათოშილი გული.

ვხედავდი, როგორ ხელირელ, ოცნებით და თითქოს მწუხარე ჩაფიქრებით მიშქონდა ქარს შენი დამტყნარი სიმწვანე და შიშველი რტოები, ჩამოცვენილ ყვავილთა ნარჩენები, და სურნელება; საოცნებო მიმქრალი სურნელება ერებოდა მწუხარე ეარის ეროლვაში და უსხეულო სულელებით მიფრინავდა შორეთში.

ყოველი შენი გაზაფხული, ჩემო პატარა ბალო, გარდასულ გაზაფხულთ ერთვის ჩემს ფიქრებში. მათი დაბინდული ხატებანი ერთიმეორის მიყოლებით მტოვებენ; არც ჩიტები არიან უწინდელნი, — გარდასული მღერის ეს აირველი მახარობლები, ცის კაშკაშა სხივები ახლა სხვა კუთხეებს ანათებენ. ჩემა თავზე ცაც უკვე სხვა არის, ჩრდილიც უფრო ჩაქუფრულია, ბალიც უფრო დაპატარავდა; როგორც ჩვენს ცხოვრებაში, იქაც წარსულის მოკრძალებული აჩრდილები რიალებენ.

ჰოი, წარსულო აჩრდილნო! ჩვენი ცხოვრების გარიჟრაჟის იმედის ვარსკვლავნო, ძლიერსა თვალსაყვირნო, დიდი ხნის დანთქმულნო და თანდათან უფრო ფერჩამკრთალნო, ჰოი, გულით საყვარელო ვარსკვლავებო!

ამჟამინდელ სიხარულს ახსოვს დღეები მწუხარებისა და ცრემლისა; დღეს, აღკავსეს წმინდა რწმენით, ახსოვს დღე უარყოფისა, და მე ვიცო, ნუთიერია ახლანდელი დრო. ის წამი და, როგორც ყოველივე, წარმავალი.

ჰოი! თუ კვლავ სიხარული მომეღის, ის აღარ იენება მხოლოდ სიხათლე, ჩრდილი, ვქუ და რწმენა, რამეთუ ყველაფერი ეს — ვაგლახი — თვით ჩვენშივე იცვლება გამუდმებულად. განა ჩვენი დღეების განთიადს არ მოსდევს მწუხარი? განა ღამის ნიაღში არ იბადება დღე? ენ იცის, იენებ ჰვენი არსობის მიწნუხრში განისვენება კიდევ ჭეშმარიტება! ჩვენ არ დაუგვიძს ამის გაგება.

* უთარილო ხელნაწერი: ამ ბალში გადიოდა ბურღელის სახელოსნოს სარკმლები. სახელოსნოს თავზე ცხოვრობდა იგივე მოქანდაკე, მისი მამა და მამიდა როზა. ეს ბალი დღე-ღამე არსებობს პარიზში, მუზეუმის მუხასველში, ანტიკან ბურღელის ქუჩაზე, მე-16 სახლთან (ყოფილი შენის ჩაი).

ასე და ამგვარად, სწრაფვა, — ამ უზენაესა კანონი.

ვინც არ უნდა იყო შენ, ადამიანო, იცხოვრე, ისწრაფე წინ; ყოველივე მშობლად მოძრაობითაა გარემოცული, ყოველივე პოულობს თავის თავს და ცრიალებს ქარბუქში; შენ მხოლოდ ამ მძაფრ ქარბუქთაგანი ხარ.

გაბრუნებული
ბიზლიქოთქა

გაბრუნებული ბიზლიქოთქა

მაისი 1902 წ.

მეგობარო ჩემო, ჰაერი კამკამა და სევდიანია ისევე, როგორც უძირო ცაზე ოდნავ მოკახცახე მზის ფერფლისფერი სხივები.

სალამოს სიმყუდროვის ხანს ბაღში ირხევიან ავლენაშორეული ყვავილები, უხმოდ ტოკავენ შიგადაშიგ ნორჩი ხეების ზედა ტოტები.

ქვემოთ, ტყის გიაციტების ჰუქ სრდილში, კროიან მუქი მარმარილოს ლოდები.

რა დაიბადა ამ მარმარილოდან? რა ბედი ელის მას ან რა ბედი გველის ჩვენ, ადამიანებს, როგორი იქნება ნაყოფი ჩვენი სიცოცხლისა?

მე წინასწარ ვჭვრეტ ჩვენს ბედს; მგონია, თითქოს გამოვიცანი, როგორ ნათლად ვგრძნობ ადამიანურ ამოებას და თვით საკუთარ ამოებას! ბრმა არის ჩვენი საცოდავი გონება. რომ შემეძლოს, გავიღიმებდი ჩვენი პატივმოყვარე მცდელობის დანახვაზე...

ამ წერილს სალამოს ხანს გწერთ; ჩიტები უკვე დადუმდნენ, ბინდი ჩამოწვა და გარს მეხვევა; ღამე ეფინება წერილის ფურცლებს, იგი არ მანებებს კალამს და მე ვემორჩილები მის სურვილს. ღამე მეუბნება: გეყოფა, უკვე არაფერი ჩანს, მეტს ნულარ წერ, დაე, დაისვენოს შენმა დაღლილმა ღამპარმა, დროა შენც დაისვენო, ნუ იტანჯავ განამებულ თვალებს. შენ ხომ განთიადიდან შრომობ, სალამოს მაინც გაჩერდი, დაიძინე ღამის დედურ ნებინი ნიაღში. შეხედე, შორს ინთებიან ნაზი და მიუწვდომელი სინათლეები, ესოდენ შორეული შენი განვდილი ხელიდან და შუბლიდან; დაე, დააწყნაროს შენი სული მათმა მშვიდმა ნათებად, დაე, მათმა ციმციმმა გააშუქოს შენი აზრი, ბინდის მდუმარებაში მიეც თავი ძილს. შენ აყურადებ სიდიადეს, შორეული მზე სითბოთი ასაჩუქრებს შენს სულს; შენ — მყიფე ჭურჭელი ხარ, სადაც წამით ბინადრობს მოკვდავი, ღვთაებრივი კი მარად იარსებებს, მარად იკაშკაშებს შენს თავზე, შენ ხარ ყველაფერიც და არარაც, შენ ხარ უსაზღვროც და არარაობაადაც კინიც, მაშ მიაყუჩე შენი სულის მშფოთვარება! იყავ კეთილგონიერი, დაიძინე უცოდველად, მშვიდად, უცხო იყოს შენთვის სიხარბე!

შენ მარადიული ხარ და წარმავალიც, შენ მიმსწრაფიკა ხარ და წამიერ ელვასავით თვალისმომჭრელიც, მისებრ ვერ გრძნობ შენი წარმოშემნელის ძალას, არ ვიცი, ვინ გიცავს, ვინ გაოცებს, ვინ გელოდება!

ხელოვნება

ხელობა ისევე საჭიროა ხელოვნებისათვის, როგორც ნახშირი ცეცხლისათვის.

ხელობა და ხელოვნება — სხვადასხვა არსია. ხელოვნების დაუფლებისათვის საჭიროა უზარმაზარი ცოდნა, ხანგრძლივი წლების შენირვა.

გაუნაფავ და უმეცარ სულთან შერწყმულ ნათელ გონებას ხელოვნების დაუხმარებლად შეუძლია თავისი თავის გამოვლენა, მაგრამ მისი ქმნილებანი ისევ და ისევ გულუბრყვილონი და უმეცარნი იქნებიან.

ხელოვნების ყოველი ღირსება შეეფარდება სულის რომელიმე ღირსებას... არსებობს ფორმები, რომლებიც მხოლოდ ინსტინქტით იქმნებიან. არის ისეთნიც, რომელთაც ინტუიციისა და გონების კავშირი წარმოშობს.

უდიდესი ხელოვნება — კეთილშობილი ფორმებით შეკრული სიცოცხლეა, ცოცხალი და მთლიანი, მრავალფეროვანი და ცვალებადი სიცოცხლე...

თუკი გსურს ჩასწვდე ბუნების კანონებს, უნდა ერთდროულად იყო მორჩილი,

* ნაწყვეტი ეცხობი ქალისადმი გაგზავნილი წერილებიდან, რომლებიც თავმოყრილია ზვეულში სათაურით: „გაბრუნებული ბიზლიქოთქა“.

* 1906 წ. 16 მარტით დათარიღებული შენიშვნები, დაწერილი რიკარდო კანუდოსათვის, როგორც პასუხი მისი ეურნალის ანექტისათვის.

მტკიცე და ფიცხი ბუნებასთან ურთიერთობისას, უნდა იყო მასზე მონურად შეტანილი რაც მეტად იმსჭვალეა აზრი ამ კანონებით, მით მეტ თავისუფლებას იძენს აზრი

ნაწარმოები, ღრმა ფიქრისა და ხანგრძლივი შრომის ნაყოფი, მსუბუქი და უშუალო ხანს ასე გგონია, მისი შექმნისას მხატვარი ღმერთებს ეთამაშებოდაო.

შემოქმედება, მარმარილოსა ან ფერებში შექმნილი, თხრობაში — მარტო მხატვარი იქნება; ნაწარმოების ქვეშარტი შინაარსი მეტწილად თვით ხელოვნების სილამაზეა.

ყველაზე დიადი ხელოვნებაში — რაც აქცევს მას სტიქიონისა და ადამიანის ტოლფასად — მაშინ მიიღწევა, როდესაც მარადიული ტრაგედიის არსს ძლიერსა და განზოგადებულ ფორმებში გამოხატავს, როდესაც ხალხის სულის ნაწილი ხდება, როდესაც აღწევს ღიბუნთა და გრძნობათა სათავეს. მაშინ იგი ერთდროულად სინშინდეს, უბრალოებასა და სირთულეს, ძალასა და სისავეს, განუმეორებლობასა და საყოველთაობას იძენს.

ჩემს ქმნილებათა გარეგანი სხვადასხვაობა, მრავალფეროვნება გზებისა, რომლითაც სიარულს ვცდილობდი, იმით აიხსნება, რომ ჩემ წინ არ ჩანდა ფართო გზა, საყვეპითა და მაჩვენებლებით ჩარიგებული.

არც ერთ ნათელ გონებას, არც ერთ ქვეშარტი მხატვარს არ ეძლევა სახალხო ტრიბუნა, საიდანაც შეიძლება ხელოვნების რაობის ახსნა.

დაბნეულობა და გაუბედაობა სუფევს მის გზებზე.

მე სიბნელეში დავებეჭებოდი, გამოუცდელი ვემორჩილებოდი მხოლოდ ჩემს ალღოს.

ჩემზე მეუფებდა მარტოქმეული აზრისა და წიგნისადმი სიყვარული, ჩემი ამხანაგები დამცინოდნენ. მარტოდმარტო, ყველასაგან განცალკევებით, ვკითხულობდი, ვაკვირდებოდი, ვაღარებოდი, ვფიქრობდი და ყოველივეს განზოგადობის შემდეგ ხელში ვიღებდი კალამს, უწერდი სურათებს, ეხატავდი, ვაქანდაკებდი, ჩემს შეგნებაში დამრიგებელთა გაკვეთილებსა და მათ მრავალსახოვან ხელოვნებას ვადულებდი ჩემსავე ეჭვებას და ტანჯვასთან.

მე ვიცი, რაა მიანრაფება, ვიცი, რა არის აღმაფრენა, რა არის მარცხი, მცირეოდენი სულმოთქმის, თავდავინყებისა და სასონარკვეთის შემდეგ თვალსაწიერი თანდათან უფრო ბინათდებოდა.

თუკი თანამედროვე ქალაქის მკვიდრს, ჩვენი დროის მხატვარს, — ოფიციალური კომერციული საწარმოო სკოლის ნაშეგირდალს, — სურს დაეუფლოს შემოქმედების ქვეშარტი წყაროს, უნდა იყოს უდრეკი და გულჩახურული, ამალღებული ზრახვების მეონე.

მხოლოდ ამგვარად შეიძლება შეინარჩუნოს უკვადავების სიახლოვე, რაც ადვილი მისაწვდომია გენიის გონებისა და გრძნობებისათვის

ფიქრისა და მწყემსის შვილიშვილი, ხსოვნაში ვინახავ წინაპართა ცხოვრების წესს, როგორც ინახავენ სიახლოვეს ცხოველმყოფელ წყაროსთან.

შეიძლება ამგვარად გამომეთევა ჩემი მიზანი: გამოვიჩინე რა ვაჟკაცობა და შეუპოვრობა, რათა შემეღწია საგნების სიღრმეში, ახლა მივისწრაფი შევიცნო და შევეგნა ისინი მთელი სისრულით. გამოვხატო ურთიერთდამოკიდებულება ნაწილისა და მთელისა, როგორც ადამიანის ფორმის, ისე ემოციების, სურვილებისა და ოცნებათა სამყაროში. მე მინდა მთლიანად ჩავწვდე მათ საწყისს, რაობასა და კავშირს უსასრულობასთან.

ასეთია მოკლე განმარტება ჩემი მიზნისა.

ამის მისაღწევად კი საჭიროა მთელი სიცოცხლე და ყველაფერი, რააც ხელი შევახვ: მარმარილო, ბრინჯაო, კედლები, ტილოები, წიგნები და უჩინარ ძალთა დახმარება.

ხელოვნება და სიყვარული


რატომ მანვალებს მუდამ და მარად წვდომის წყურვილი? ვცდილობ ჩავწვდე ცხოვრების არსს, ვეძებ სიყვარულს, აღსაყვ ვარ სიყვარულით ანდა მჯერა, რომ აღსაყვ ვარ; თვითონაც არ შემიძლია ამის ახსნა, ხანდახან ვნებოთა და გატაცებით მუშაობისას მზავ ვარ გავდნე, გავერე შემოქმედებაში. საკუთარი ხასიათი თვით ჩემთვისაც შეუცნობელია!

არცა დღეები, როდესაც უმოქმედობა ბატონობს; აზრები მიედინებიან წელა და ბუნდოვნად, მე ხელს არ ვუშლი მათ ჭირვეულობას დიდების სახელი ხან მიზიდავს და ხან არა.

9 ნაწყვეტი უთაროლო და უმისამართო დახეული შავი ხელნაწერიდან, რომელიც, თანახმად ხელნაწერისა განგუთვლება ბურღელას პარიზში ცხოვრების პირველ წლებს.

სიყვარული, — აი, რა მტანჯავს და მანვალებს. ხშირად ხელოვნების მძლავრი ფრთები ცხოვრებაზე მაღლა ამაფრენს.

რას ემყარება ცხოვრების სიდიადე? იქნებ ხელოვნებას? ანდა სიყვარულს? ან იქნებ ორივე მწვერვალია ჩვენი არსებობისა...



მოგზაურობის შთაბეჭდილებანი
საფრანგეთის მემკვიდრეობა¹⁰

ჩვენ დავკარგეთ ერთიანობის გრძნობა და მისი კვლავ მოპოვებია ცდაში ვკარგავთ სუბიექტურს.

საქმე ისაა, ჩემო მეგობრებო, რომ დგება ხანა, როცა ახალგაზრდა მხატვრები შეგირდები აღარ არიან; ჩვენი მოქანდაკეები არ ყოფილან თავიანთი უფროსი ძმების შეგირდები. დიდი იტალიისაგან მხატვრული პრინციპების (რომის პრემია) გამუდმებულმა სესხებამ მოგვწყვიტა ეროვნულ მემკვიდრეობას. სკოლამ, რომელიც მამასთან გავიარე, როდესაც მასთან ერთად მშვენიერი ხეების გულიდან ვჭრიდი განჯინებს, ზანდუკებსა და სკამებს, საშუალება მომცა არ გამეწყვიტა ცოცხალი კავშირი საფრანგეთის დიდ ტრადიციებთან, რომელიც კინალამ დავკარგე ოფიციალური სკოლის წიაღში.

მე მიკვირებდნენ, პრიმიტიული, ხოლო მოგვიანებით, არქაული ხარო, მხოლოდ იმიტომ, რომ ზომიერებით აღსავსე ჩვენი გოროზი ნაციონალური სულის ერთგული ვიყავ, ვისი საგანგაშო ზარიც სიღრმეშია დამალული. ჩვენ უნდა ვზარდოთ ახალი ხე ბებერი ფესვებიდან და მზრუნველობა არ მოვაკლოთ მის ყვავილებს. ნაყოფი მოიპოვებს ფართო აღიარებასა და დღეგრძელობას და იქნება საზრდო მომავალი თაობებისა...

ღვთაებრივი კუთხა — ლე მანი¹¹

დათოვლილი მატარებლით მგზავრობისა და გათოშილი დღეების შემდეგ შაბათის მშვენიერი ამინდი ღვას ჰაერი მშრალია და მსუსხავი, მაგრამ მზე მთელი დღე ანათებს, დილით აღფრთოვანებით ვათვალიერებდი ლე მანს, ესე იგი, ქალაქის ძველ ნაწილს. ხისა თუ ქვის ჩუქურთმისაგან გოთიკურ მენობათა უბნებს. ვინრო ქუჩები მიუყვებიან უცნაურ აღმართ-დაღმართებს. რენესანსი ყველგან მეზობლობს გოთიკას. აქ ყველაფერი თავისებურია, სრული ჰარმონია და ზომიერება შეფობა. ქუჩები ყველა მიმართულებით მიიკლავნება: მეომრებით, ზღაპრული ცხოველებით, შოაზროვნეთა თავებით, საწვიმარ შილთა დინგებითა და ფრთოსანი მუსიკოსებით შემკული სახლების დანახვაზე ნიღბების ცერხული გახსენდება. ზოგიერთი სახლის მეორე სართული მეტისმეტად გადმოკიდულა ქუჩაზე. კოჭის ბოლოზე ან ეალია გამობარატებული ან ეშმაკი, ხან რეოანის ფაენის სახე, ნაყოფი ან საჭურველი. ზოგიერთი სახლი მეტისმეტად გადაფერდებულა, ზოგიც წინ წამოაჩილა და კამარას კრავს ვინრო ქუჩის თავზე. იგი კვაგონებს გამვლელს, რომელსაც ერთი ფეხი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ გაუბოძიძგებია ისე, რომ ჩვენ თითქმის მის ფართო ლაჯებს შუა გავდივართ. მეორე სართული თითქოს ტანია, წვრილი ჩუქურთმებით შემკული სხენი კი — თავი.

ერთმანეთზე შეხობილებული მენობები ხან მაღლა მიცოცავენ, ხან დაქანებულ ქუჩაბანდებზე ეშვებიან, ქანაობენ და თითქოს ვალსს ცეკვავენო თავდავიწყებით. აქა-იქ დაკონკილ, ნახევრად დანგრეულ და მიტოვებულ კუნტულებში ხელოვნება ინგრევა, იშლება და ჭუჭყიან ნაკადებად მიედინება. ყოველ ნაბიჯზე გეფიქს საშიშროება, რომ რომელიღაც შედეგრი მოწყდება და პირდაპირ თავზე დაგეცემა. ეს უბნები ამაღლებული სიღამაზი გაოცებენ.

აღორძინების სტილში ნაგები ადამ და ევას ქაჭარა სახლები — ხელოვნების ნამდვილი მარგალიტებია. გადავიარე ეზო; თალები საცაა ჩამოინგრევა. კედლის ფილები გადმოზნექილა და დამსკდარა, ვეღლაფერი ჭუჭყს დაუფარავს. მაგრამ რა მშვენიერი კიბეებია! რა პრთპორციები! რა მოხდენილი კოშკურები, რა უბადლო და ლამაზი ხუროთმოძღვრული თანაფარდობა! რა სიდიადე იფრქვევა ამ ნანგრევებიდან!

¹⁰ შერილის უთაროლო ხელნაწერი.

¹¹ შერილი ბურდელის მოწაფე ქალის კ. სავასტოსადმი, რომელიც შემდეგში მისი ცოლი გახდა. ლე მანი — პატარა ქალაქი სარტას დეპარტამენტში (მენია პროვინცია).

აქა-იქ გზავჯარედინზე სახლებთან შემორჩენილა კუთხის საყრდენი ბოძები -- მრავალფეროვანი ჩუქურთმებით შემკული ხის მთლიანი ტანი. შეიძლება დაინახო ფიჭოლების, ნადირთა და ადამიანთა უჩვეულო გამოსახულებებით დაფარული გარდიგარდო კოჭები. რა ნაზი და მეტყველი ჩუქურთმაა, რა პარმონიული ორნამენტი და ფიგურები!

ვტკბებოდით ტაძრის ორი მთავარი შესასვლელისა და მისი უზარმაზარი კოშკის მზერით. ვისმა ამაღლებულმა სულმა აღმართა განცვიფრებული ზეცისკენ ამ მოღუშული კოშკის სწორ ზედაპირთა ვეება ნახნაგები! მეორე შესასვლელი ისე აღარაა შექმნილი; ამ მძლავრ კედლებზე მხოლოდ რამდენიმე უღი ცხოველი ჩანს.

და ამა, მეცამეტე საუკუნეში აგებული არქეოლოგიური მუზეუმის შენობაც -- ვათვალთვინებ ოთხ მნოლარე მეომარსა და დიდებულ დარბაზს. განსაკუთრებით მზიბლავს დედოფალ ბერანჟერას სახლი ხელოვნების განათლებულ მოყვარულთაგან შესყიდულ სამ სახლს ზღაპრული გოთიკური ანსამბლი შეუქმნია, რომლის დანახვაზე ალელეებისაგან კინაღამ სუნთქვა შემეკრა, აღტაცების ცრემლები მომადგა თვალებზე, და წმინდა ძრწოლით სავსე შეძახილი მზად იყო ბაგეთაგან აღმომხდენოდა.

ღე მანი--თანამედროვეობის ზღვაში გარჩენილი კუნძულია. მისი სახლები ეკლესია მტვრად გადაიქცევა; ხელოვნების ნაკადები მორაკრაკებენ ამ ნანგრევებიდან. უკვდავება გიშურს წმინდანთა, ანგელოსთა, წმინდა ქალწულის, მამაზეციერისა და აბჯრიან მეომართა სახეებიდან.

იმუშავეთ, მეგობარნო ჩემნო, გაუფრთხილდით თქვენს სულს ამ ჩვენა მომაკვდინებლად დაქვეითებულ დროში.

საფრანგეთის ეკლესიები¹²

...ჰოი, მაუნყებელნო მამაზეციერის ზარებისა! ჰოი, ჭემპარიტებავ, მყდერო საფრანგეთის წმინდა კოშკების უძველეს ხმებში, შორითმყოფელო ამო ნუთისოფლისაგან.

ფიქრით მივუბრუნდეთ იმას, რაც ყველაზე უმთავრესია. უნდა გავიმადგროთ ძალა იმ მაცოცხლებელი ხელოვნებით, უხვად რომ გაფანტულა ჩვენს მიწაზე.

უნდა ვისწავლოთ ხელოვნების ამ მარადიული ლამპრების -- წმინდა ქვებისა და სპეციალურ მარმარილოსაგან, და დაუღალავად სრულვყოთ საკუთარი სული.

ჰოი, კოშკებო, უმოძრაოდ ამართულხო გორაკებია თხემზე, ჰოი, მშვიდობიანო ეკლესიებო, სწორუპოვარო ტაძრებო, სადაც დასრიალებენ უხილავი ანგელოსები და ადამიანთა უკუნი ღამის გაქასხივოსნებელი მთრთოლვარე სხივები ამაღლებული სულისა!

თქვენ, მოზეიმე გოროზო ქვეშო, დამთრგუნველნო და მომაჯადოებელნო, თქვენა ხართ ჩვენი უკვდავი, მფარველი ანგელოსები.

ნარნარად ასვეტილო თალებო, უზადო სვეტებო, კამარის ისრისებრ გაფრენილო ხაზებო, დეკორატივო საკურთხეველებო, ერთგულებითა და მორჩილებით აღსავსე კუბურო ფორმებო; იმედისკენ გზის გამხსნელო ბჭეკარნო, რომელთა მიღმა ანათება ცა! ბორცვებისა თუ ხეობების სიღრმეებიდან, დაბლობებში გადახზულ მინდვრებსა თუ მოჩუხჩუხე წყალთა ნაპირებიდან, კლდეებისა თუ მთის კალთებიდან თევენ მიისწრაფვით მალლა და მალლა, ქვის ამაცო შენობებო! თქვენ ამაღლებულხართ ადამიანის გულსა და გონებაზე, კითხრისა და ყოვლისმომცველი სიყვარულის ურიცხვი ქანთეონები!

სან-მარტენის ეკლესია ტროოში

სულ ახლახანს ერთი ამხანაგის თანხლებით მოვიწახულე ვანდომის პატარა სოფელი. პარიზიდან რამდენიმე საათის სავალზე ლამაზი სოფლის ტროოს ზედა მხარეს, ტერასებად განლაგებულ ფერდობზე უფას ძველი რომანული ეკლესია და ყველა შენობას ზემოდან დაჰყურებს.

¹² 1910 წლის 21 აპრილს Student Hostel-ში წაკითხული და „Revue Bleue“-ში 1910 წლის 21 მაისს გამოქვეყნებული ლექსიდან. ამ ლექსებიდანგა აღებული შემდეგი ნაწყვეტები: „სან-მარტენის ეკლესიები ტროოში“ და „ეკლესია ლავარდონში“. ტროო და ლავარდენი ლუარსეარის დეპარტამენტში შემავალი სოფლებია.

იგი ახდენს სიძლიერისა და სისადავის შთაბეჭდილებას, მისი დაქანებული კედლები დამშვენებული არიან მშვენიერი მრგვალი თაღელებით.

ევემთ ოდნავ ფართოვდება და ფორმით ადრექრისტიანულ ხანის ეპისკოპოსის მიტრას გაგონებთ. ეს ეკლესია სენ-მარტენის თემს ეკუთვნის.

მის ნანვეტებულ ფრონტონებს სამკუთხედის ლამაზი ფორმა აქვს, რომლის გვერდები ფოთლების მშვენიერი ვარდულებითაა შემკული.

ორივე დაქანება საძირკველზე მასიური და ბრტყელი კონტრფორსებით მთავრდება.

მშვენიერი ქვით ნაგები ეკლესიის კედლები გორიზი სილამაზით გვატყვევებენ.

ხაზების ანსამბლი თითქოს სინაზის ხორცშესხმაა. გაოცებს პროპორციების უსასრულო სიგრძე.

ეკლესიის შიდა სივრცეც კეთილშობილურია; მთელი დღის მანძილზე განათება თითქოს დილისაა.

პროპორციები, შიდა სივრცის დაგეგმარება და ზედაპირთა დამუშავება ამაღელვებლად სადაა. განსაცვიფრებელი ზომიერებით სავსე ხელოვნებაა.

ქანდაკება და ხუროთმოძღვრება თავიანთ გრძნობათა მოზღვაკებისა თუ დაცხრომის წუთებშიაც ერწყმიან ერთმანეთს.

ეს მივიწყებული ეკლესია მოგაგონებს აქაური გლეხის მშვენიერ ქალებსა და ქალიშვილებს, ვისთვისაც მათ ღარიბ მშობლებს არავითარი სამკაული არ უჩუქნიათ.

ეს მორჩილებით აღსავსე ეკლესია, განმარტოებით რომ ნამომდგარა სოფლის თავზე, რომელიც თითქოს მისკენ მიისწრაფვის მთის კალთებიდან. ისიც და მისი ანჟუური, რომანული სტილი თოვლივით ქათქათა თავსაბურებს მაგონებს, კვირაღლეებში რომ ატარებენ აქაური მოხუცი ქალები.

საფრანგეთის უძველესი ხელოვნებიდან მშვიდობიანი ოჯახური კერიის, გლეხური სახლებისა და მინის სიმშვიდისა და ნდობის სიო გვეფრქვევა.

სუფთა და ნაზი თეთრი ქვის სვეტისთავეები მოქნილი ღეროს ნანვეტებულ თავთავეებს ეგვანან და გაზაფხულის აისზე აყვავებული ვაშლის ხეებივით ანათებენ. თითქოს ზეცისკენ ხელოვნების წმინდა ლოცვა მიილტვის.

ჰოი, წმიდათაწმიდა კედლებო რომანული ეკლესიისა! ენავ დიადო და კეთილშობილო!

ეკლესია ლავარდენში

ჩვენ ჩორთით მივყვებით გზას; მოსახვევში წუთით გაიღვებს და მერე ისევ ტრება ჩაშავებულ ჯვარი...

ვუახლოვდებით ლავარდენს.

ლავარდენის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებიანი პატარა ქალაქი. მის თავზედაც ლურჯად ლივლივებს მეცხრე და მეცამეტე საუკუნეთა შორის შექმნილი ძველი სათემო ეკლესია.

იგი აგებულია საღმრთო კუბებიდან. პატარ-პატარა რომანული თაღებით მორთული სახურავი ქალის ძველებურ გოფირირებულ თავსაბურს გვაგონებს.

ეკლესიაში შესვლისთანავე ციური სინათლე მოგეფინება სულში, მსგავსად საღმრთო კრავისა, ადამიანი იმსჭვალება მშვიდი სიბრძნით, გული კი მონიწებით ევსება.

თაღელები ძლიერი, სადა და მკაფიოა; მათი განიერი ზნექი თითქოს პრაქტიკული საჭიროებითაა ნაკარნახევი. ისინი ლამაზად დანული კალათია ნატიფი სახელურივით იდრეკებიან, რომლებითაც გლეხებს ბაზარზე ხილი მიაქვთ.

მთელი ეკლესია, თითქოს ღვთაებრივი შემოქმედის ხელმა შექმნა, სითეთრითა და სინაზით სუნთქავს.

სვეტები, სვეტისთავეები და ფრიზები — ყველაფერი ხატოვანი, ვნებით სავსე და მიმზიდველია...

ფართო კვადრატულ კუთხეებზე კეთილშობილი და ნაზი სწორკუთხოვანი ფრესკებია

განლაგებული, რომლებიც ვით უკანასკნელი გამოსაღმება, სულს გიშფოთებენ, რამეთუ არ შეიძლება არ იფიქრო მათ გარდაუკვალ ღალუპვაზე.

აღფრთოვანებითა და შიშით ვუმზერი მათ, რადგან ვგრძნობ, რა ჩქარა გაურება რაინი. სათუთი და მშვენიერია ეს ფრესკები. მეშინია არ დავაფრთხო ჩემი სიყვარულით.

უკაცრიელ ეკლესიაში, დროისაგან გაცვეთილ კვადრატულ საკურთხევლებს შორის დაბორილობს მაღალი, წარმოსადეგი გლახის ქალი. თავზე ახურავს თოვლივით თეთრი თავსაბური, რომლის კალთები სვეტისთავთა მოხაზულობას იმეორებს.

ქალის ჩუმი ნაბიჯები მდუმარებას, ნაზ ბინდებუნდსა და ლოცვის იდუმალებას არღვევს.

როცა ლურჯი წინსაფრით ერთი საკურთხეველიდან მეორეზე გადააქვს თიხის დიდ ქოთნებში ჩადგმული ხელოვნური ყვავილები, ასე მგონია, მოსიარულე ფრესკას ვხედავ-მეთქი.

იგი თავდადებით ემსახურება ღმერთს.

შევეყურებ თითქოსდა დათოვლილ ქანდარებს და სუნთქვას მიკრავს ნაკადებად მომდინარე სილამაზე; ეკლესია და გალავანი თეთრად ქათქათებს.

მგონია, თითქოს ტუჩებით შევიგრძნობ ახლადგამოთლილი ქვის გემოს, ხელოვნების დაბადების ღვთაებრივ გემოს.

წმინდა კედლებს შორის შეისუნთქავ სინშვიდითა და სინორჩით აღსავსე სულის სურნელს. და გგონია, თითქოს არასოდეს წყდება მუშაობა, თითქოს საცაა აუჩქარებელი ნაბიჯებით რაივლიან ძველი დროის ოსტატები და ხელახლა ააკაკუნებენ საჭრეთლებსა და ჩაქურჩებს.

სწორკუთხა და დიდრონფოთლებიანი ფართო სვეტისთავები მშვენიერ ფიალებს შგვანან.

მათი ტანი ჩაუქრობელი სიცოცხლით თრთის. აღსავსენი არიან ღვთაებრივი შემოქმედების მუსიკითა და პარმონიით.

უბინოების შარავანდედით მოსილი ქანდარია ფრესკები სინმინდის ლამპრებოვით ყვავიან კედლებზე.

იქ, ჯეჯილის ნაზ ფონზე, ვხედავ ტანამოლტილ ქალიშვილებს — არამინიერი სიყვარულით გასულდგმულეზულ ფუნჯის გულმართალ ქმნილებებს. მათ შთაბერილი აქვთ მაღლი და სიუხვე — ანუ საზრდო ხელოვნებისა და პური უფლისა.

მოკრძალებული თრთოლვით ვემხოები მუხლებზე და ჩემი სული მიილტვის მაღლა. ვგრძნობ, თუ ვით მავსებს ყრმობის წელთა სიამაყე, ვით ვუბრუნდები ჩემი ცხოვრების სანყისს: უდიდეს გენიათა ხელოვნება დედობრივი აღერსით გვასაჩუქრებს.

ეს ადრეული ხანის რომანული ეკლესია დედობრივ სითბოს აფრქვევს. მასში ღვთაებრივ ნავსაყუდელს შპოვებენ უცნობი და ფარული შედევრები.

მჭიდროდ დაგებული თიხის ხვავრიელი ფილები, რომლითაც იატაკია მოპირკეთებული, საიმედოდ გამოუნწევთ უბრალო მეთუნეთ.

სოფლის დურგლებს მოურთავთ ჩუქურთმებით, რომლებიც ცოცხალი ღობეების ნაზ ჩრდილებს გვაგონებენ.

აუჩქარებლად და სიყვარულით აუგიათ მშვიდსა და ღონიერ კალატოზებს.

ყველა, ვინც კი თავისი შრომა და სიყვარული შესწირა ღვთის ტაძარს, წმინდა იმედებით აღსავსე ჩავიდა ბნელეთში, ხოლო მათი ფერფლი ნოყიერ თესლად მიმოიფანტა ველ-მინდვრებში.

მათ გააზდიდრეს მიწა, უკვდავ ნაყოფთა დამბადებელი, არსობის პურითაც და რწმენითაც.

ვდგავარ ამ თალებსა და ძველთაძველ კედლებქვეშ, სადაც ყველაფერში შემოქმედების ცოცხალი თრთოლვაა შემონახული, და თითქოს კვლავ მესმის ძლიერ ხელსაწყოთა კაკუნი, რომლითაც ქვის ლოდებს თლიდნენ, მესმის ხსნარში ფუნჯების ტლაშუნი, შევიგრძნობ ხსნარის მძაფრსა და სუფთა სუნს.

ვუყურებ ეკლესიას და მელანდება მინდურის შროშნების მდიდრული ხაღინა; საფრანგეთის ქრისტიანული ხელოვნების ნეტარი ყვავილობა ფარავს ჩემს სულში ბერძენთა პანთეონის დიდებულ აჩრდილს.



ეროვნული
პარიზის ლვთისმცოდნის ტაძარი ბიზლინოვსკა

...ჰოი, მეფურო და დიდად პატივდებულ ნაგებობავ! დიდებულ, სამარადისო მონამევ, წიგნო, ადამიანის სულით ნაქანდაკარო! შენს კედლებს მოაქვს აღმშენებელთა შენთა, კირიო-ხუროთა და ამაყ დროებათა ამაღლვებელი ხსოვნა. მარტოოდენ ამითაც ამაღლებულხარ შენ მთელ პარიზზე.

მიუხედავად არაერთგზისი შელანძვისა და შვეკეთებისა, რაიც საუკუნეთა მანძილზე ხელისუფალთა თუ ბრბოსაგან გიგემნია, უძველესი კედლების გარე მხარე მაინც წმინდად ინახავს იმ გამირულ დროთა ხსოვნას, როცა მაღალი კოშკები თავშესაფარს აძლევდა ზარისმრეკელებს, მოხეტიალეებსა და ლატაკ ხატმწერთ...

ჰოი, ტაძარო, ერთარსებავ და მრავალსახოვანო, განძარცულ და გაშიშვლებულ შენ მედგრად ატარებ ამაყი ეპოქების საზეიმო დაღს, როდესაც შენს თაღებქვეშ თავს უყრიდი ქვისბკოდავებსა და აღმშენებელთ, ხუროთმოძღვართ, შუშაზე მხატვართ, ფერმწერებსა და მჭედლებს, დურგლებს, მქარგავეებს — ოსტატებს, რომლებიც ოჯახური ხელოვნობის საიდუმლოებას სათუთად გადასცემდნენ თაობიდან თაობას.

იმათ ხსოვნას ინახავ, ვინც შენს კედლებზე აღბეჭდა სიცოცხლე თვისი.

წმინდა ჭეშმარიტებანი, საიდანაც იბადება ძალა შენი, და შემოქმედნი დიდი ხანია გარდასულან საუკუნეთა მიღმა და ნაყოფი მათი უდიდესი შრომისა თითქოს წაშლილა შენი სახიდან.

ცოცხალ ადამიანთა ქმნილებაში მოქცეული იყვნენ ცოცხალი ადამიანები, სანინდარი შენი ღვთაების, შენი ანგელოზების, შენი წმინდანებისა და წმინდა ქალწულის ქვეშ ნაქანდაკარი ურჩხულების უკვდავი ძალისა.

შენი მარადიულობის, დიდებულებისა და სინაზის საიდუმლოება ის გახლავს, რომ ადამიანებმა შენს კედლებზე ამოკვეთეს თავიანთი შეცოდებანი და სისუსტენი, აღმაფრენა თუ ძრწოლა, იპოვეს თავისი საკუთარი ენა, რათა მასზე აღბეჭდათ თავიანთი რწმენა და სასონარკვეთა — აი, რატომ ხარ აღსავსე ესოდენ უჭკნობი სიცოცხლით.

შენ ქმნილხარ ადამიანთა გულების თრთოლვით და ამიტომ გვეჩვენები ცვალებადიც და მარადიულიც. ჰოი, ტაძარო, ხელოვნების უშრეტო წყაროვ, ბუმბერაზო წინაპარო, დიდხანს უგულვებელყოფილო, არაერთხელ შებიღნულო და გაძარცულო, მაგრამ შენს სიმატლესში ძველებურად ისევ და ისევ შეუბღალავო!

შენი თამამი თაღები და კამარის ურიცხვი კლაკნილები მაღლდებიან ბინდბუნდის წიაღში, მაგრამ არა ამისთვის გრაცხავთ სასნაულად.

შენი ვარდულები, ფრიზები, ბოზლანები, ოთხი მკლავი შენი ჯვრისებრი აღნაგობისა, შენი სვეტისთავეები ღვთაებრივი ხატებივით გვხიბლავენ ჩვენ, მაგრამ არა მარტო ისინი გვაზიარებენ ზეადამიანურ გენიას; არა მარტო უძველესი ქიშერები, რომლებიც თითქოს ციურ სიმაღლიდან გადმომხობიან პარიზს, არა მარტო ზემოდან უცნაურად ჩამოკიდული სანვიმარი ღარები, რომლებიც თითქოს ძალით ლამობენ კედლებს ჩამოგლიჯონ შემაზრზენი სიცილით დაღმეჭილი, სასონარკვეთილი ტანჯვითა თუ გააფთრებული ექსტაზით დაღრჭენილი მხეცური დრუნჩები; არა მარტო პირველყოფილ საფარს მოკლებული, მაგრამ შარმონიით აღსავსე შენი გოთიკური სხეულის მირიად წვრილმანთა ერთიანობა და ყველა ხაზის განუშვორებელი მთლიანობა არის უშრეტი წყარო აღტაცებისა და განცვიფრებისა.

...შენ მარად ნორჩი და მარად უბინო ხარ, თუმც მოუფლელი, მაინც ეღვარებ, პარიზის უთვალავ მარგალიტთა შორის, არ მეგულება ბადალი შენი, განსახიერება შენებრ ამაყი განდგომილებისა.

ცოთიკის მამავ, შენ გვერდით ყოველივე წვრილმანი და უმნიშვნელო ჩანს; არც ერთი ძეგლი, არც ერთი ქანდაკება ან ჯგუფი ისე ურღვევად არ ერთვის გარემო ანსამბლს; თანამედროვე ქანდაკება ვერა და ვერ ეგუება თავის კვარცხლბეკს, შენობასა და საყოველთაო ბუნებრივ კანონებს. სად მოვძებნოთ ორნამენტი თუ ქანდაკება, შენი ჩუქურთმებისა

თუ ქანდაკების დარად კონტურებისა და ზედაპირის შინაგანი ხაზებისა და გარეგანი კონსტრუქციის ძირითადი ღერძების პარამონიული მთლიანობა რომ შექმნას.

თანამედროვე პატარ-პატარა ქმნილებანი უშინაარსო და ნვრილმანია, დრის ვერ უძლებენ; უფრო სახელგანთქმულ ქმნილებებშიაც კი ვერ ვხედავთ რაიმეს ისეთს, რომელთაც ძალუძთ შემთხვევითსა და უმნიშვნელოს განშორდნენ და მარადიულად და უცვლელ კანონებს მიუახლოვდნენ; ტემპარიტებისაკენ არაფერი არ მიისწრაფვის, თანამედროვე მხატვრები არ ეძიებენ ბუნებასთან სიახლოვეს, მათ არ შთააგონებთ არც მკაცრი ვნებანი, არც ტრაგედია, არც თავისუფლება, პლაგიატი მეფობს ამქვეყნად. მაღალი სულის ამსახველი პორტრეტი, ნამდვილი სამყაროს შექმნის ხელოვნება — ყველაფერი დავინწყებულა.

მაგრამ, გოლიათო ტაძარო, შენ ინახავ ცოდნის გასაღებს.

ყველაზე მცირედიც კი შენი ნვრილმანიდან მთლიანობის განუყოფელ ნაწილად გვევლინება.

შენ ერთიანი და მრავალსახოვანიც ხარ ერთდროულად.

მთლიანად ჩაშავებული ქარხნის მძიმე კვამლის, გამჭოლი ყინვის, ქარისა და წვიმებისაგან, რომლებიც მაგ კედლებზე მჭვარტლია, და მტვრის ნაკვალევს ტოვებენ, მაინც ბრწყინავ სიტურფითა და მხნობილ. ხანდახან თოვლის ფანტელები თეთრი ჩიტებივით უშვებიან დაბლა. ისინი ყველგან ჩანან და შენ თითქოს ისრუტავ მათ. ისინი იმალებიან კოშკების სარკმლებქვეშ, სულს დაფავენ ურჩხულთა ბრჭყალებიან ტორებში, იმზირებიან ქიმურებია ხახიდან, მოცახცახე გუნდებად გროვდებიან შენს პორტალთან. მაგრამ მათ უზარმაზარ თეთრ ნამტერს ქვეშაც ამყაად ღვახარ; ქარი თავს გესხმის ღმუილით, წვიმა დაგდის თავზე, სენა გველემპივით მიიკლაკნება შენს ფეხთ ქვეშე თავის ხიდებიანად, მიიკლაკნება და დაგესვლა უნდა შენი, მაგრამ მზვაობარი დვაზარ ქედუხრელად.

მე ვიცო, რომ სულის ზენაარ ძალთაგან მოედინება შენი ხელოვნების კანონები. შენ ქედს არ უხრი ნგრევა-დამლას და რწმენით აღვაილი შეწყურებ მომავალს.

ქვის კარიატიდეგი¹³

...ამ ანტიკურ მასილიაში, ზღვას რომ გადაჰყურებს, მე ვხედავ ტურფა ქალიშვილებს, რომლებიც ტყუპი დებივით გვანან უკვდავ სვეტებზე შემორჩენილ ერეხტიონის ცოლებს.

ქუჩა — სიცოცხლის მდინარეა, ხოლო სიცოცხლე, ის ჯერ კიდევ ფორმამოუპოვებელი ხელოვნება — პოტენციური ხელოვნებაა. მარსელი თავისი მუდმივი სიცხოველითა და მრავალფეროვნებით შესანიშნავი სანახაობაა მგრძობიარე და ყურადღებიანი მხატვრებისათვის.

როგორც ყველა სანავსადგურო ქალაქში, აქაც ბევრია ჯანმაგარი მამაკაცი, ქალწულთა მიხვრა-მოხვრაში დამატყვევებლად შერწყმულია გრაცია და დიდებულება; მდაბიურ ტანსაცმელშიც კი ეს ქალიშვილები ეარსკვლავებივით ბრწყინავენ.

გრძელი თმა ლამაზი გვირგვინებივით შემოგრაგნიათ თავზე; ნაკვთები მშვენიერი და გოროზია, თეთრყირმიზა თუ შავგვრემანი პირისახე თითქოს ზღვის მარადიული სიცოცხლის ღრმა შუქითა და ათინათით განათებულა. მარმაშა დოლბანდები ალბილებს თავის ქალის მთავარ ძირითად ხაზებს.

რა შეიძლება იყოს შალის თეთრ თავსაფარზე უფრო კეთილშობილი, ამ ქალწულთა მკერდი და ტანი რომ დაუფარავთ. მისი ხაზები ეგვიპტურ ქანდაკებებს მოაგონებს კაცს.

აქაური ლამაზმანი — ხელოვნებისა მზა ქმნილებაა. მლაშე ზღვის ქარი უფრო მკვეთრად აჩენს მათ სილამაზეს. მისტრალის გააფთრებულ ქროლვაზე იკვეთება მათი სხეულის კეთილშობილური მოყვანილობა.

ბორელის¹⁴ მუზეუმში, ამ სიძველეთა ტაძარში, რომელიც მშვიდად თვლემს აბობოქრებულ ზღვის პირას, მე ვნახე ფიჯიასის ერთ-ერთი მოწაფისა თუ თვიც: ფიჯიასის ნაძერწი ათინას ქანდაკების თაბაშირის ტვიფრი.

ეს ათინა ღვიძლი და გგონია მარსელის ნორჩი ასულებისა. აქაური ქალწულები, წუ-

¹³ 1911 წ. გრანდ შომიერში შემდგარი საუბრიდან.

¹⁴ მარსელის არქეოლოგიური მუზეუმი ბორელის ქარკში.

ლზე ვინრო ქამარშემორტყმული და ფარფარა, მინამდე ნაკეცებად დაშვებული ზოლიანი კაბებით, ღირსეულ მეტოქეობას უწევენ მშვენიერ ბერძნულ შედევერებს.

ხელოვნება ყოველთვის მარტივია, ბავშვი, ნორჩი გოგონა, ქალი, მუსტაკური, ზღვის მძაფრი ქარის ქვეშ ბინდში გახვეული, ეს უკვე ხელოვნებაა ჩანასახში, ხელოვნება, ყოველ ნუთსა და საათს რომ ქმნის ადამიანი, ქსოვილი, გამეფებული ლაქვი ქაღალდის უდიდესი პოეტი, მოძრაობით აქსებს ყველაფერში ჩაღვრილ სილამაზეს.

ვერც ცეკვა, ვერც ქანდაკება, ვერც მსახიობი ვერ შეედრება მათ. განა რა შთააგონებს ყველაზე მეტად ჭეშმარიტ მხატვარს, თუ არა სადად შემოსილი ადამიანის მშვენიერი არსება, ვისი თავიც, სუნთქვაც, ხელებიც, მკერდიც, დაძაბული სხეული და მკვრივად ჩამოსხმული ფეხებიც კი სასტიკ ქარს ებრძვის. მისი სამოსის ქსოვილი სიცოცხლით ფუთქავს, ადამიანი უხმოა მისტრალთან ბრძოლაში, რომელმაც ზღვის ნაპირთან მოუსწრო, მისი სამოსი კი კვნესის და შრიალით ებრძვის გამძვინვარებულ გრიგალს.

ქარი ჭვალავს, შიგ ატანს ფორმას. მისთვის უცხოა სკოლა, უცხოა მიმართულებანი; იგი არ ემორჩილება კანონებს, სიცოცხლით აღსავსე დაგატყდება ხოლმე თავს, იკაფავს გზას, და აი, ესაა სწორედ, მეგობარნო ჩემნო, მხატვრის შრომა-გენიის ჭიდილი.

წერილები იტალიიდან

წერილები ქალიშვილს.

გენუა, 16 სექტემბერი, 1922 წ.

ჩამოვედით გენუაში. უზარმაზარი შრომისმოყვარე ქალაქი. გიგანტური ჭიანჭველის ბუდე. აქ ყველაფერი მეტისმეტად დიდია. გენუის გარეუბანში სახლებს შორის თუ სახურავების ზემოდან მშენებარე გემების ჩონჩხები მოჩანს, შუა გენუაში კი დიდებული სასახლეა აღმართული. ფერარის მოედნიდან, სადაც ჩვენ დავბინავდით, თვალწინ იშლება უსასრულო სანახობა, მშვენიერი და წარმტაცი ხელები; გამელელთა ბრბო განუწყვეტილ ირევა ქვის ფართოფილებიანი მოედნის ირგვლივ.

ხალხი აქ ძალზე ლამაზია. ქალები თითქოს ბრინჯაოს, ოქროსა და ქვის ყვავილებს გვანან, ანდა მცხუნვარე მზის ქვეშ დამწიფებულ ნაყოფთ. ზოგ მათგანს ზეთისხილივით მუქი კანი აქვს, ზოგი უფრო შავია. აი, ისეთი, როგორც შენა ხარ ხოლმე ზღვიდან დაბრუნებისას. ო, ისინი შენ თავს მაგონებენ; მათი თმის ვარცხნილობა ძალზე ოსტატურია; მსხვილი კულულები სახეზე შემოხვევიათ, დანარჩენი თმა კი კეფაზე აუტანიათ, სამოსი და მიმოსვრა მაღალ გემოვნებაზე მეტყუელებს.

თაზე ტვირთდადგმული წარმოსადეგი და ღონიერი გლეხის ეალები — ნამდვილი სვეტიცხოვებიანი ბოძები არიან.

ნიცაიდან და ვენტიმილიიდან გენუამდე ნაპირ-ნაპირ, ბორდიგერის, ოსპედალეტის, სან-რემოს, სან-ლორენცოსა და პორტ-შაურიციოს გავლით ვიმოგზაურეთ, ვისაუზმეთ ალასიოში.

ხმელთაშუა ზღვის გაყოლებაზე თვით გენუამდე ყველაფერი თითქოს მზეს შეუქმნია: ზეასვეტილან ოქროთი, ვერცხლითა და ყანგმინით ნაფერი მთის თხემები, ფისოვანი ფიჭვები, გიგანტური მიმოხები და ევკალიპტები, პალმებით დაფარული გორაკები, ნაზი ვარჯით სავსე ზეთისხილის ჭალები, ყვავილები და ხეხილები, ძონისფერი ვენახები, გზა, რომელზედაც წერტილებივით მოძრაობენ თითქოს ბრინჯაოდან ჩამოსხმული მუშები და გლეხები.

თვალს ყველგან ხედება ზღვის ცვალებადი სივრცე, მარად მოძრავი ლაფვარდის ჰიმნი, რომელსაც ხან აფალის, ხან ქარვისა და ხან აისის კაშკაშა ფერები გადაჰკრავს, ჩანა უკიდევანო ზღვა—მუქნითელი, გააფთრებული, ალერსიანი, ყველასათვის ახლობელი და ყოველისმომცველი ტალღების წარმომქმნელი.

ყველაფერს ცხელი მტვერი აყრია, ცეცხლოვანი ქარი ალერსით ელაშუნება ყოველივეს ირგვლივ ხელუხლებელი ციური სისპეტაკე გამეფებულა. ფერდობზე ასული გრძნობს მის მიმზიდველ ძალას... ვით ჩინით დაჯილდოებული ნაპერწკალი, ადამიანი აღწევს ქვეყნიერების საიდუმლოებათა ნიაღს და სამყაროთა მდინარება თან წარიტაცებს მასაც.

ამ ხალხის სული ნააგავს აყვავებულ ცეცხლოვან ნალკოტს. აქ ყველაფერს აფერადებენ, ყოველ დიდ სახლს; თუ გერბების, პორტალების, ტერასებისა და აივნების ასაშენებლად ფული არ ჰყოფნით, პირდაპირ კედლებზე ხატავენ, — ზოგან საზიზღრად და უგემო-

ვინოდ, ზოგან კი ჩინებულად. სასახლეების მაღალ კედლებზე გვხვდება ფრესკები ქანდაკებები და ჭეშმარიტი კეთილშობილებით აღსავსე ჯგუფები. უყვართ გენულებს ნათელი ფერის საღებავები. სახლები შორიდან ყვავილებს მოგაგონებენ, ფერთა სიციხოვან მხოლოდ ცუდ ამინდში კრთება, მაგრამ ისეთი უბრალოება, სიღიადე და მარტყრებზე როგორც ეს ვერსალში ან პარიზშია, ჯერ არ შემხვედრია.

ბიზანტიური

ნერილი ქალიშვილს.

გენუა, 18 სექტემბერი, 1922 წ.

გენუა მარსელის შემდეგ. განსხვავება ძალზე დიდია. აქ ძველი ძეგლები ჭარბობს. სასახლეთა ქედმაღლურ ამოება ჩემს სულს არ ეკარება, მაგრამ ლამაზი კია. ჩვენი გემოვნების მიხედვით მათ არ ყოფნით ზომიერება, ისინი მისდევენ ტირანიისა და ფუფუნების მოყვარულ დიდებულთა და ზღვის ყაჩაღთა ჩვევებს. ვნახე ბიზანტიური სტილის უძველესი ეკლესია; აქ ყველაფერი გასაგებია, ყველაფერს სიღრმისა და სიმინდის ბეჭედი აზის, ყოველი ნვრილმანი და ყველაფერი ერთად მშვენიერია; იტალიური სტილით ნაგები სასახლები კი არც ისე უნაკლოა.

მაგრამ რა დიდებულია სან-ლორენცოს ბაზილიკა! იგი აგებულია არა იტალიური ხელნერით; ყოველ შემთხვევაში, არც მაინცდამაინც ახლოა მასთან. ეს უფრო ბიზანტიური სტილია... იგი არაჩვეულებრივად ლამაზია, შიგნით თუ გარე მოპირკეთებულია სხვადასხვა ფერის მარმარილოთი, მალლა ოქრო და ფრესკებია. იგი გაცეცხებს როგორც მასალით, ისევე სულის სიმდიდრითაც. ეს ბერძნებისა და სირიელების იტალიაა, უმაღლესი გამოხატულება იტალიისა, სადაც ყველაზე კეთილშობილური შავაა ევროპის ქვეყნებს შორის. იტალიის ელვარე ცის ქვეშ მარმარილოს შენობებს სიმდიდრისა და შეუდარებელი დიდებულების იერი ეძლევათ. გენუიდან დილის ცხრა საათზე გამოვედით. შვიდიდან რვა საათამდე მოვასწარი სან-ლორენცოს ეკლესიის ჩანახატი გამეკეთებინა...

22 სექტემბერი, 1922 წ.

გუშინ დავათვალიერეთ მრავალი ტაძარი — იქაური ქანდაკებები და ნახატები: მიქელანჯელოს „მოსე“, რაფაელის ფრესკები, სანკლესიო ხუროთმოძღვრება ჩვენთვის 1914 წლიდან ნაცნობი და არცთუ ისე მშვენიერი, როგორც რავენაშია. მოვიწახულებთ რომის ფრანგული სამხატვრო აკადემია, რომლის დირექტორმა ბ-მა მიუუშმა ფრიად „გულითადად მიგვიღო. დიდებულია აკადემიის ბალები. სასახლის ტერასებიდან მთელი რომისა და მისი მიდამოების ხედი იშლება. ვისაუზმეთ და კვლავ ძეგლთა დასათვალიერებლად წავედით.

თვეებია საჭირო რომის გასაცნობად. ძნელი არ არის საერთო შთაბეჭდილება მიიღო. მე უმთავრესად რომის ხელოვნების თავისებურება მაინტერესებდა. იმ დასკვნამდე მივიღე ვარ, რომ სრულქმნილებაში იგი სხვა ქალაქებს უთმობს პირველობას. ყველაზე უმშვენიერესი ნიმუშები ანტიკურ ხანას მიეკუთვნება. ყველაზე ლამაზი ტაძარი აქ ბერძნულია. ძალზე კარგია აგრეთვე ბიზანტიური სტილის იტალიური ეკლესიები.

რაფაელმა თავისი ადგილი ორ სამყაროს — წარმართულსა და ქრისტიანულს შორის ჰპოვა. იგი არც ერთ მათგანს არ ეკუთვნის მთლიანად. სულზე ხორცამდე პლასტიკური სილამაზის კუთვნილებაა.

ფრა ანჟელიკო სულისა და სხეულის ღმობიერება და მონყალებაა. მიქელანჯელოსთან ერთად ის ჭეშმარიტად იტალიური ხელოვნების ერთ-ერთი მწვერვალია.

თვით რომი, მსგავსად რაფაელისა, ერთდროულად ეკუთვნის როგორც წარმართულ, ისევე ამქვეყნიურ სილამაზებას და წმიდათაწმიდა სილამაზესაც.

ამქვეყნიური სილამაზე სახეზეა: წმიდათაწმიდა — კატაკომბებშია დამალული. პაპთა ეკლესიები უფრო მაღალი წრის სალონებს მოგვაგონებენ, ვიდრე ტაძრებს. რწმენა იქ გარდაქმნილია საერისკაცო ღვთისმოსაობად. წამდვილი რელიგია უფრო მშვენიერი და სადაა, ვიდრე ეს ეკლესიები.

ღია ბარათებზე გამოსახულია ვესტას ტაძარი რომში.

რომის მახლობელ მთაგორიან მინდვრებზე პატარა ქალაქები და სოფლები შეფენილა. ისინი დაფნის გამხმარ ტოტებს წააგავან გადახრუკულ მცენარეთა შორის. გზებსა და მინდვრებზე გვხვდება გოლიათი ხარები, რომელთაც ვერცხლისფერი ბეწვი და ვეება რქები

აქვთ, და მე მგონია, სწორედ ასეთი იქნებოდა ის ხარი, რომლის სახეც მიიღო იუპიტერ-მა ევროპის მოტაცების დღეს.

გუშინ მოვინახულე ვატიკანი და მისი ვებერთელა მუზეუმები, მიქელანჯელოს ფრესკები, რაფაელი და ფრა ანჟელიკო. დავდიოდი კოლინეუმის ნანგრევებში, ვინახე ამაღლევებლად ლამაზი ეკლესია. როგორც ამბობენ, მეშვიდე საუკუნეში აუგიათ კრისტოფანებს. იქ უნიკალური უძველესი ფრესკებია შემორჩენილი.

მიუხედავად სიდიადისა, იტალიას სიტლანქეც ახლავს...

იგრძნობა ზომიერების უკმარისობა. წმინდა პეტრეს ტაძარი რომში უფრო გრანდიოზულია, ვინემ ლამაზი და უწმინდესი. საოცრად დიდებულია მიქელანჯელოს ფრესკები სიქსტეს კაპელაში, სადაც მან იტალიური აღორძინების მწვერვალს მიაღწია. გენიალურმა წინასწარმეტყველმა შეძლო გაესწრო თავისი დროისათვის, მასში მხატვარი ძალას მატებს მოქანდაკესა და პოეტს. მიქელანჯელო საოცარი გაქანებისა და სიძლიერის ადამიანია.

ნერილი ა. სიუარესს

რომი, 27 სექტემბერი, 1922 წ.

მიქელანჯელომ თავისი სტიქია აპოკალიფსში ვპოვა. იგი პოეტია და შთაგონების მადლით მოსილი, თუმცა არც პომეროსია და ცხადია, არც ვიიონი: მისი სულიერი მამა ეზეკიაა და მასთან ერთად ყველა შემლილი და შეპყრობილი, ვის სულსაც კი ბიბლიური ხატებანი დაუფლებია.

ანჟელიკო — აი კიდევ ერთი ზეკაცი ანუ ზეადამიანური ქმნილება ფრესკების ოსტატ მიქელანჯელოს გვერდით. თუ თქვენ არ გქონიათ შესაძლებლობა გენახათ მისი მონასტრის ყველა სენაკი ფლორენციაში, მაშინ არ გცნობიათ ეს ციური ფუტკარი... ფრთა, ერთი ფრთა, ერთი აზრი, იმდენად შემოქმედებითი, იმდენად წმინდა, რომ — არ ვიცი, მოგწერეთ თუ არა — პირტვე დავემხე მონასტრის მარმარილოს ფილებზე; მე ვესწრაფვოდი მისი ქმნილებების ხილვას და კიდევაც შემძრეს ამ ქმნილებებმა...

ნერილი ა. სიუარესს

ნეაპოლი. 30 სექტემბერი, 1922 წ.

მეგობარო, მიმძიმს ამ ქმნილების ყურება. იგი მოკლებულია სიმშვიდესა და ნესრიგს. აქ ყველაფერი ერთდროულად ყვირის. ეს ხაზების ქეშმარიტი ბაბილონია. დიდი მიქელანჯელო. იგი ღმერთია ჩემთვის, ზენარი ღმერთი, ზეციური გრგვინვა-ქუხილი, მაგრამ არა ზევსი... გრგვინვა ეზეკიასი... მეტიმეტი სიჭარბე კუნთებისა და უმთავრესის, ზომიერების უქონლობა, ერთადერთს მას რომ ძალუძს შექმნას ქეშმარიტად განუზომელი.

გამოვდივარ პესტუმიდან. ჩემს სულს ცეცხლი ნაჰკიდებია. ხმელთაშუა ზღვა, ზეცა, მინდვრები, გარშემო მთები — ყველაფერი ეს გიზგიზებდა გუშინ საღამოს დიდებულ ტაძართან ერთად. სისხლისფერი, ცეცხლოვანი და ოქროსფერი ტაძრის ფონზე ზეაიჭრებოდა შავ და ძონისფერ ფრინველთ გრიგალი, შემდეგ ტაძარი ნელ-ნელა შეიმოსა ვარდებითა და იებით და ბოლოს ბინდბუნდში ჩაქრა.

პომპეის ფრესკები — აი, ღვთაებრივი მაფლი და ცოდნა, აი, ნათელი სილაგეორდე აზრისა, ქროლვა მარადისობის, რომელიც მათავისუფლებს ჩემივე თავისაგან.

(ღია ბარათის ქვეშ მინანური):

საბერძნეთის გენია კვლავინდებურად რჩება ჩვენს მოძღვრად და მასწავლებლად. მიქელანჯელო უმეტესწილად დიდია, როგორც ფერმწერი.

ნერილი ა. სიუარესს

ნეაპოლი. 3 ოქტომბერი, 1922 წ.

პომპეის ფრესკები თვით პომპეასა და ნეაპოლის მუზეუმში, აგრეთვე პესტუმის ტაძრები, — აი, რა შეადგენს იტალიის ქეშმარიტ სიდიადეს. და ეს სიდიადე საბერძნეთის მიერაა შექმნილი.

იასინი — მშვენიერი აისის ხორცშესხმაა, სიცოცხლესავით თრთოლვით, ზემთაგონებითა და სიცოცხლით აღსავსე. მათი ცქერისას ქეშმარიტების სუნთქვას შევიგრძნობთ.

მჭევრმეტყველია თვით იტალია, მაგრამ სიტლანქით სცოდავს. იგი მეტად გადატვირთულია სამკაულებით. მის კარიბჭეზე ცეცხლივით ელავს მძიმე, მდიდრული შიბნი, თვალს

რომ გტკუნა და გჭრის. სამაგიეროდ რა ტურფანი არიან იტალიელი ქალები ადამიანთა ბრწყინვალე ტიპები, ქორფა ვაზება, მათრობელა ზღვა, მიბნედილი ცა არაფერია უფრო მშვენიერი, ვიდრე მწვანე ტოტები და ნითელი ნაყოფით დაჩრდილული მისი სახლები. რა ღამაზია კამეჩები, საზიდრები, გლეხები, მათ უკან რომ მიაბოტებენ! დიახ დიდება იტალიას!

ოდონდ ეგ არის, თუ კაცი პლასტიკურ ხელოვნებაში განაფულა, აი, მაშინ კი ადვილად იგრძნობს იტალიის არასრულყოფილებას.

საფრანგეთი უსასრულოდ მაღლა დგას. საფრანგეთის ხელოვნება ბევრად მაღლაა წმინდა იტალიურ ხელოვნებაზე და ამიტომაც მას არ უმღერიათ მწერლები და ჭეშმარიტი პროეტები. მხოლოდ ის, ვინც ახლოა კონსტრუქციულ ხელოვნებასთან, ხედავს საფრანგეთის მთელ საიდიაფს.

ა. სიუარესისადმი გაგზავნილი წერილიდან. ბოლონია, ოქტომბერი 1922 წ.

წმიდათაწმიდა ქვეები ცხოვრობენ საფრანგეთში. ხოლო უცოდინართა ჯგრო მათკენ კი არა, იტალიის ზიზალპიპილებიან, გასურნელებულ პარიკმახერული ხელოვნებისაკენ მიიანრაფვიან. იე მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი მარმარილო ფარავს ღმეროს.

მაგრამ მვეუდარებელია ნათელი, ძლიერი სიხარული, ადამიანთა მშვენიერება, ლაყვარდოვანი ცა, დამაბრმავებელი მზე...

პროტესტს აცხადება შარტრის ტაძრის ვიტრაჟებსა და მის მეფურ პორტალში, რეიმსის დაბგრუული ტაძრის კედლებში მოელვარე საფრანგეთის ხელოვნება. არც დონატელო, არც მიეულანჯელო. და მით უმეტეს, არც გიბერტი მისი ბაპტისტურიუმის მთავარი ბჭით, რომელიც ბრინჯაოს ლობიოს პარკებითაა შემკობილი, ვერ ეზიარნენ უდიდეს მოქანდაკეთა კანონსა და ენას. დონატელოს დაბალი ტანის თმახუჭუჭა „წმინდა გიორგი“ თავისი მონგრეული თეძოებით; მიქელანჯელოს გრანდიოზული „დავითი“ და მისივე „ლამე“. მერე რა რომ მიქელანჯელო დიდია, ძველებამდე მაინც ბევრი უკლია.

პოეტებისთვის უცნობ მატარა დაბებში, ისევე, როგორც საფრანგეთში, არის აღმოსავლეთიდან შემოსული ბევრი მედევი. იე შეიძლება ნახოთ ბერძნულ, სირიულ და ეგვიპტურ ხელოვნებათა ნაზავი.

ხაზთა და რიცხვთა უდიდესმა თაოსნებმა და ოსტატებმა, ჩვენი ხალხის სულს რომ მერწყმიან თავისი განუშეორებელი რაობის ყოველი ნანილაკით, გამოთაღეს და აღმართეს ეს წმიდათაწმიდა ქვეები.

ღმეროს დაუდგვა ბინა რეიმსის ტაძრის ქვებში. მე მას შევიგრძნობ ამალღებულ სისპეტაკესა და მდიდრულ მორთულობაში, სრულყოფილსა და სადა სილამაზეში. მე სული მხეხუთება სანტა-მარია დელ ფიორეს გიგანტურ სამკაულთა შორის.

მსოფლიოს ყველა უცოდინარი თავს იყრის აქ, სადაც თითქოსდა გონებასუსტთათვის ზღვის აბაზანები მოუნყვიათ.

ო, ვეზელე, საფრანგეთის წმინდა ქვებო! თქვენ ღვთაებრივის სავანე ხართ.

ფორმის კანონი აქ სრულიად უგულვებელყოფილია. ყოველივე ეს სასახლის კარის მსატყართა შემოქმედებაა. ვგულისბობ აღორძინების ხანისა და არა იტალიის უძველეს ხელოვნებას. გული მევსება მწარე გრძნობით. განვიცდი ენით უსქმელ იმედგაცრუებას და ბრაზი მერევა, რომ ასე დიდხანს ვიყავ მოტყუებული. მოტყუებული უფრო მეტად, ვიდრე მეგონა. ჩემ წინაშეა სადღესასწაულო, ჭეშმარიტ მნიშვნელობას მოკლებული პომპეზური ყალბი სურათი.

გადავჭერი აქენინები და ფლორენციაში მივემგზავრები. ბუნება აღსავსეა სინაზითა და მშვიდი გრაციით, თუშცაღა ჩამორჩება იმას, რაც პროვანსში, ავინიონსა და სენტ-მარინ-დე-ლა-მერს შუა იშლება ჩვენ წინ.

ფლორენციის მშვერება — ეს ჯიშია, ეს ქალწულები და ქალები. მათი თვალები ლაყვარდით ბრწყინავს. ამ ლაჯვარდითყვა სავსე საფრანგეთის რომანულ, ბიზანტიულ და კალელ მოქანდაკეთა სული.

...გნერთ საოცრად გუნებააშლილი, არ ძალმიძს იმის გამოთქმა, რასაც ვგრძნობ, მეერთიანად დათრგუნული ვარ.

ბაპტისტიკურიუმის მოხაიკის ქრისტე ფლორენციაში — მხოლოდ უფეროდ, დაცლი-
ბული, შკაფიობას მოკლებული, ნამხდარი, დამცირებული და უთავბოლო ანარქულია სენ-
ფილის ბერძნული ტაძრის ქრისტესი, ვგრეთ წოდებული რონსარის ქრისტეში (ლუარ-ი-შერი)...

ბიზლირთუკა

თუ ფლორენციის უგვანო თოჯინებს გვერდით დავუყენებთ საფრანგეთის უმნიშვნელო
ქანდაკებას, მაგრამ ამაღლებულს თავისი სულითა და სისადავით, ნათი შედარება ყველა
იტალიურ ბუმბერაზს გააცამტვერებს.

მე ჩაუნვდი ქვშმარტი არსს. დანვრილებით შევისწავლე საცოდავი ოქრომჭედელი ჩე-
ლინი, ესოდენ თავშესაქცევი ცხოვრების აღწერილობა რომ დაგვიტოვა. თურმე რა უბაღ-
რუკი მოქანდაკეა! რა აკადემიურნი არიან აქ ყველანი. რა დატყბილული სულეებია! ეშმაკ-
მა წაიღოს! უბრალოდ სიტყვები ვერ მიპოვია.

მე ხომ ეიცოდი ყველაფერი ეს, მაგრამ სასწაულის იმედი მქონდა. ხუროთმოძღვ-
რული ხაზები ხვეულ-ხვიებით მთავრდება. აი, როგორ გამოიყურება პალაცო ვეკოს კომ-
კის ქონგურები (აქ მოსდევს ჩანახაზი) — საზიზღრობაა... საითაც გაიხედავ ყველგან ნა-
კერ-ნაკერ ირდევია ქსოვილი — ყალბი ენამზეობის საბურველი.

ჩემი დიდო მეგობარო, მე ვიცო, რომ ყოველივე ამასი სილამაზეც არის. რა თქმა უნ-
და, იტალიელები ძლიერნი არიან, განიერი გულმკერდის პატრონნი. მე დიახაც მახსოვს და-
ნტე, მიქელანჯელო და ლეონარდო. მაგრამ ყველა, დანტესა და ლეონარდოს გარდა, მა-
კარონის გვირგვინის ღირსია.

მე რომ ვწერდე, როგორც ქვშმარტი ხუროთმოძღვარი, მშენებელი, მოქანდაკე, ძალ-
ას ვმატებდე ჩემს აზრებს ნახატებითა და ფოტოსურათებით, მეტად ველარასოდეს შევძლე-
ბდი იტალიაში ჩამოსვლას.

მაგრამ დღეს მუზეუმის დასათვალიერებლად წავალ. ყოველივე ამასთან ერთად, აღ-
ცაცებას მგვრის კაშკაშა ფერები, ქალაქების სიმდიდრე, მათი ქვის ფილებით მოკირწყლუ-
ლი ქუჩები, ქუჩებში ლამაზი ქალწულები და ქალები, ფასადების თეატრალური დიდებუ-
ლება, სასახლეების შკაფიო და ნათელი ხაზები, სამწუხაროდ უგემოვნო წვრილმანებს
რომ წაუბილწავს.

ფლორენციაში, აპენინის გზაზე გვხვდება სოფლის უბრალო სახლები. აქ იშვიათად
ნახავ მონასტულ აგარაკებს; არადა, ყველაზე საშინელი მარმარილოს, ოქროს, ხისა და
ყალბ კედელთა ცრუ სილამაზეა.

მე ქედს ვიხრი აღორძინების ხანის იტალიელთა წინაშე, დანტეს, მიქელანჯელოს, ბრუ-
ნელესკისა და სხვა ბევრისა და ბევრის წინაშე. ეს ადამიანები დგანან ბიზანტიურ, რო-
მანულ და გოთიკურ წმინდა ღმერთთა ფერხთით.

მე ვაღმერთებ იტალიას მისი მზის, მისი ქალების ოქროსფერი კანის, კაშკაშა ციური
აილაგვარდისა და მისი იდუმალი სილამაზისათვის.

ბურდელი.

ნერილი ა. სიუარესს

ესტერელი. 9 ოქტომბერი, 1922 წ.

ჩემო ძვირფასო მწერალო და პოეტო!

მაპატიეთ ეს ფრიად ნაჩუარევი წერილები. ისინი მაგონებენ ბაზრის იაფფასიან სიტ-
ყვიერ სურათებს. მაგრამ ამ ცეცხლოვანი ლადარის, იტალიის თვალთაგან გადმოფრქვეუ-
ლი ლავის ნიაღვრის, კინინი არაბესკების, ვულგარული და ბრტყელი ფასადების — მათი მო-
ხატული ნალოების, ქანდაკებათა ჯგუფების ყვავილწნულების, ლომებისა და ცრულმერ-
თების, ფერდობებზე მიწებებულ თუ ველუბზე მიჯრილი თავბრუდამხვევი სახლების, ცის-
ფერი, ყვითელი, მწვანე, ხარინჯისფერი (საბედნიეროდ ძველი) კედლების. ამ დაშატრობე-
ლი საზიგმო სილამაზის მიღმა, მე შევეგებე იტალიას, გადავუშალე მთელი ჩემი ცხოვრება.
მე ვგულისხმობ ჩემს მუშურ ცხოვრებას.

მე კონსტრუქტორი და მშენებელი, ყველაზე მეტად ვაფასებ მუშის სახელს; ასე რომ
მე მივუახლოვდი მთავარს, მოვსინჯე იტალიის ჩონჩხი. ის არ არის გაკეთებული მუხის
გულისაგან და გარდა ამისა, ის არ არის ერთიანი.

მე ეს ვიცოდი. მე აღმოვაჩინე მრავალი უცნობი ხელოვანი. ყველაზე სახელგანთქმული
ტენორები არცთუ დიდი ტენორები არიან. მხატვრებსა და მოქანდაკეებზე ლამპარაკისას
მწერლები, გენიალურებიც კი, ხშირად მოვარაყებულ სისულელეს წარმოთქვამენ. მათ სი-
ტყვებში მხოლოდ მათი საკუთარი ხელოვნებაა ჩაქსოვილი

ათინას მახვილი იცავს პომპეის ფერფლს. მარტოსული, შიშველი ბერძნული სვეტი, მახვილი, თითქოს მარმარილოდან აღმოცენებული.

26 ნოემბერი, 1922 წ.

ქანდაკის ხელოვნება

ნერილი ა. სიუარესს

ჩემო ძვირფასო სიუარეს!

ვამთავრებ იტალიურ შთაბეჭდილებათა მიმოხილვას. ამ საუცხოო მუსერულეებულმა სამუშაომ ორი შედეგი მომიტანა.

პირველმა გაცნობამ საკუთრივ იტალიურ ხასიათსა და ყოფასთან, ხელოვნებაში ფორმის თვითმყოფადობამ და მისი ხაზების თავისებურებამ მაიძულა გამომეთქვა აზრი საფრანგეთის რომანული და გოთიკური ხელოვნებისა და არა მიქელანჯელოს სასარგებლოდ, ხოლო შემდგომმა ნაბიჯმა მაიძულა მეღიარებინა იტალიური ხელოვნების სიმდიდრე და დიდებულება.

და ის, რომ მიქელანჯელო გვირგვინია იტალიური გენიისა.

ჩემი მთავარი შთაბეჭდილება ესაა.

მიქელანჯელო ჭეშმარიტად მრავალმხრივია.

მისი ორივე ლონდონური ფრესკა, „წმინდა ოჯახი“ მუზეუმიდან, სადაც თავმოყრილია მისი სხვა ნამუშევრები, ქანდაკებიდან — მთვრალი ვაკხი და დიდი დავითი, ყველა უხეში შეცდომის მოუხედავად, აღსავსეა კეთილშობილებით — დიახ, მან შექმნა სასწაული სხვის მიერ შებილწული ქვიდან. ყოველივე ეს ჭეშმარიტ სიდიადეს აღწევს!

მის „საშინელ სამსჯავროსთან“ შედარებით, რომელიც შთაგონებულია დანტეს სახეებით, მე უფრო განზოგადებულად, უფრო მნიშვნელოვნად, უფრო დიდად მეჩვენება მის მიერ შექმნილი ჭერი, ვიდრე სტილი თვით ამ უდიდესი პოეტისა და მე მინდა ვთქვა, რომ თუ ალიგიერი შეძლებდა თავისი თავის გამოხატვას ფერწერისა და ქანდაკების ენით, იგი აირჩევდა დაახლოებით მიქელანჯელოს სტილს. ამასთან ვფიქრობ, რომ დანტე მაინც ვერ ამალღებოდა „სიქსტეს კაპელამდე“.

არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მე კი იმათ აზრს ვიზიარებ, ვისთვისაც მიქელანჯელო ჩვენი გამოცდილების, ცოდნისა და პროფესიული დახელოვნების საზღვრებს მიღმა მყოფი მხატვარია.

მიმოვიხილე იტალიის ხელოვნება მთლიანობაში და ვამბობ, მიქელანჯელო მალა დგას ლეონარდოზეც და რაფაელზეც, შთამაგონებელი წინასწარმეტყველებით მალღდება მთელ იტალიაზე და აგვირგვინებს მას თავისი გენიით.

სიქსტეს კაპელის ჭერი განფენილია მთელ იტალიაზე.

ძლიერი სიყვარული და მიდრეკილებები იდუმალად გვაკავშირებს მე და მიქელანჯელოს. ჩვენ, როგორც განდობილებს, შეიძლება საერთო გვექონდეს გამოცდილება და საშუალებანი, მხატვრის სახელოსნოს საიდუმლოებას რომ შეადგენს...

საკუთრივ იტალიური ხელოვნებისა და ქანდაკების ყველა იტაურ ხელოვანთაგან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პაოლო და ჯოვანიმ. მე უფრო განმაცვიფრა მისმა მემამბოხე ხილვებმა კი არა, მიქელანჯელოზე უფრო მეტმა განზოგადებულობამ და სინდემი, უფრო მეტმა სიახლოვემ მასალასა და არქიტექტურულობასთან. პაოლო და ჯოვანი ყველაზე ჭეშმარიტი მოქანდაკეა იტალიელ მოქანდაკეთა შორის. იგი მუშაობდა 1328 წელს. მე ვგულისხმობ მის მადონას წმინდა პეტრესა და წმინდა პავლესთან ერთად პალაცო ვეკიუეში.

იმის საპირისპიროდ, რასაც თქვენ მწერთ იმ წერილებში, წიგნებთან ერთად რომ გამომიგზავნეთ, მინდა გითხრა, რაც უფრო მეტს ვკითხულობ და ღრმად ვწვდები, თქვენს წინარმოებებს, თუმცა ამასთან ვგრძნობ ჩემს შესაძლებლობათა შეზღუდულობას, მით უფრო დაბეჯითებით განიჭებთ პირველ ადგილს და მით უფრო მეტ სიხარულს მანიჭებთ ეს კითხვა.

თქვენი თაყვანისმცემელი ანტუან ბურდელი.

**ხელოვნებასა და მხატვრებზე
ანტიკურება¹⁵**

ზოგიერთი ქვა ღვთაებრივობით გამოირჩევა, რამეთუ ჩრდილს არ ისვრის.

¹⁵ გამოუქვეყნებელი ნაწყვეტი ლუერში წაკითხული ლექციიდან.

...მარად ახალგაზრდა ანტიკური ხანა! საუკუნეთა სიღრმეში ვმოულობ, ისევ და ისევ მარადუცვლელი ხელოვნების სიბრძნეს...

აღბათ დავიკარგობდით დროთა და სივრცეთა სიშორეში, თუ მოვიხდებოდით განგვე-
ცალკევებინა უძველეს ხელოვნებათა ბედი ახლისაგან; არც იმ ეპოქებშია, დიდი ხნის წი-
ნათ რომ დანთქმულან მარადისობაში და არც ჩვენს დროში, უმოძრაოდ არაფერი რჩება...

აი, მზით გაქათქათებული ათენი, ქალაქი აღვლენილი სულსა მისი მოეტების ფრთა-
შეხმული ემნიღებებისა და ფილოსოფოსთა ბრძნული გენიის წყალობით. ტაძართა სპეტაკ
მარმარილოს მარადისობაში მიაქვს საბერძნეთის დიადი სული; ტაძრების კედლები, ამო-
შავალი მზის ფორმის ფრონტონები ურღვევი ნონასნობით ინახავენ ღმერთების მარა-
დიულ ტანჯვას.

ჩვენს წინ ოლიმპიაა.

მის კარიბჭესთან კაცი მოჩანს, დაღლილს კავს ზევსისა და ათენ-ქალადის შემქმნე-
ლი ფიდიასი. იგი ნამოსასხამშია გახვეული.

დიდი ხანია დატოვა ოლიმპია ღმერთების მბრძანებელმა, ტაძრის ნანგრევებში ფერ-
ფლად ქცეულა მისი ყოვლისმმუსვრელი ელვა.

მაგრამ ურღვევია ხელოვნების ლამპრები, ფრონტონიდან ჩამომსხვრეულნი მაინც ინა-
რჩუნებენ მარადიულ ნათელს.

პოი, ოლიმპიის ტაძროს ვინც იხილა შენი ჭეშმარიტებასავით დიადი გმირების მარა-
დიული მოძრაობის პარმონია, არ ძალუძს არ შეაღაროს ისინი ქვეყნიერების დაუნდობელ
ორომტრიალს; არ ძალუძს არ იგრძნოს, რომ ზეციური ვარსკვლავები მფარველობენ
მათ შემქმნელ მოტანდაკეთ, შთააგონებენ მათ გენიას თაენის უკვდავი რჩევებით.

პოი, ოლიმპიის ტაძროს! ვერც ერთი ყვაფილი—ცოცხალი თუ ამოტვიფრული, ვერც
ერთი ნაყოფი ვერ შეედრება შენი მარმარილოს დიდებულ სურნელებას; შენს მხილველ,
შენით განათებულ სულს უკვე ვეღარაფერი გააკვირვებს ქვეყანაზე.

პეონიისა და ალკამენის ქმნილებები — ოლიმპიის ყველაზე დიდი ფასეულობაა,
წყარო და გულისგულია მშვენიერებისა...

ტაძრის ნგრეული ნაშთები გვიამბობენ, როგორი იყო იგი ოდესღაც. მისი ნანგრევები
სიბნელის დამმარცხებელი ჭეშმარიტებისა და გონიერების მარადიული ცისკარია; ესაა
ნათელი — გაჭენებულ ჰუნეთა დამთრგუნველი.

გოროზო ოლიმპიაე! შენი მარმარილოს კედლების შიდა სიბრტყეები, თაენსთავად
ანათებენ.

მატიერიალურ სამყაროში შენს რიტმს ვერაფერი შეედრება. ხე წარმავალია, ყვაფი-
ლი კვამლივით მუთიერი, ნაყოფი დასატკნობადაა განწირული, მხოლოდ სიბრძნეს ვერას
აკლებს დროის მსახვრალი ხელი.

ოლიმპიაე, შე მოედრიკე სული ჩემი შენს წინაშე, შენი მარადიული დილის წინაშე,
შე მზად ვარ სირცხვილით გავნითლდე ჩამავალი მზის დანახვისას; და თვით მზეც კი,
ყოველდღიური რიტუალის შესრულებისას, აღბათ ნითლდება წინაშე შენსა.

დაუ ნუ დამეთანხმებიან სხვების დაუ, მინოდონ მეტისმეტად მომთხოვნი ან დაბრმავე-
ბული, მაგრამ შე ვიცი, ოლიმპიაე, რარიგ ძლიერად ჩამებეჭდა სულში შენი კანონების
ფერუცვლელი ბრინჯაო.

შენი ხაზების უზადოება ისრუტავს და ისევ ასხივებს ნათელს.

და თუ ღრუბელი ნამიერად დაჩრდილავს მზეს, შენ აიძულებ მას ისევ და ისევ იკაშ-
კაშოს.

შენი ფრონტონები, ოლიმპიაე, შეემნიღია ყველა ტაძრისათვის.

და ახალი ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ გაცხადდა ჩვენთვის, როდესაც ქრისტიანულმა
ერამ დურგლის ფაფიშვილის ხელით შეკონა რწმენის წმინდა თავთავეები, მსგავსად პურის
ქნებისა, და ჯვარცმით მოგვიტანა მარმარილო ზეცისა.

დიახ, ოლიმპიაე! მხოლოდ ჯვარცმა—სულიერ ძალთა სიმბოლო და ნიშანსვეტი—დაეხ-
მარა შენს ეაფიშვილებს—ბიზანტიელებს, რომ ერთღვთაების ხატთან მეტყანათ შენი მართო-
ლვარე ნათელის ნაწილი მას შემდეგ, რაც საყოველთაო ღმერთი მოგვევლინა, ჩვენ, შე-

ნი შემყურენი, გონებაში ვამთელვით ნანგრევებს და მთაგონების სრულქმნილებამდე გამაღლებთ შენ.

რომანული და გოთიკური ტიპჰანები არამარტო ჩვენს თვალში, ჩვენს გულშიაც ყვავიან.

დურგლის ვაჟიშვილმა, თავისი უტყვი სიკეთის ქალით, აღკვეთს მტრულს კვიკური ისტორია.

უძველეს ხალხთა მისტიკური ხელოვნება კვლავ ღორძინდება ქანდაკება მონოდებულ-ლია ღალადისად ამისა. ქრისტიე თავისი ხელებით ქმნის მკვდრეთით აღმდგარ ლაზარეს.

ოლიმპიელი ღმერთები ხუნდებიან, მაგრამ მათი კვალი ცოცხლობს ბიზანტიურ-რო-მანულ ტაძრებში ჩვენი სულიერი საზრდოს უშრეტ წყაროებად. შოი, აპოლონ ოლიმპიე-ლო! ქრისტიანული ტაძრების მაღალი ნაწები მორჩილად იმეორებენ შენი სპეტაკი შუბ-ლის მომრგვალო ხაზებს.

ათინა პალადაც თითქოს იმისათვის განშორდა ბრწყინვალე აკროპოლს, რომ გაამ-დიდროს თავისი სიბრძნე ქრისტიანულ ბაზილიკათა ჭფრეტიით.

შოი, ბრძენო ტაძარნო! მაღლა ატყორცნილი და კონებად გაშლილი თქვენი სვეტები მომაგონებენ შუასაუკუნეთა რაინდების აჩრდილთ. მეფეები და რაინდები ცხოვრობენ თქვენს ფასადებზე სხვა დრომ და ხანამ შეგცვალათ თქვენ. ძლივს გასაგონად ითვლიან საათებს თქვენი ბრინჯაოს ხმები. თქვენი ზარების საფრები დიდი ხანია დაკეტილია.

სხვა აზრები და სხვა ხმები ქლერენ ჩვენთვის: ვოლტერი, რუსო, დიდრო, დადგა ადა-მიანის მეფობის ხანა, ხელოვნება კი გარინდულია მოლოდინში.

ქვა თვლემს დაფიქრებული. მას ანგრევენ, და თვით ღვთისმშობლის ტაძარაც უაზრო და უცნაურ ქანდაკთა გროვად წარმოგვიდგება.

ბერძენთა ახოვანსა და წარმოსადგე ვენერას მოუქნელ გლუხის ქალს ეძახიან და მსუბუქი ყოფაქცევის ქალთა მსგავს ვენერებს შერწავენ.

როცა სული ღარიბდება, ხელოვნება დაცემისკენ მიექანება.

ფიდიასის „ზევსი“. პართენონი

...ფიდიასის ზევსი ოლიმპიაში მჯდომარედ იყო წარმოდგენილი. მარადისობისაკენ მიპყრობილი ფიქრიანი მზერა, ფეხებით ებჯინებოდა მარმარილოს იატაკს, თავით უზარმა-ზარი ტაძრის ჭერს წვდებოდა.

ზევსის პროპორციებს თან სდევდა აზრი. იმ ხანაში, ოდეს ბატონობდა გმირული გონი, პროპორცია საფუძვლად ედო გამომსახველობის ყველა საშუალებას.

მიუნვდომელი ამაღლება სულისა!

ფიდიასის ღმერთი თითქოს მოჩილად იტანდა მისთვის ესოდენ ვიწრო სივრცეს ტა-ძრისას.

ყოველ ათენელს შეეძლო მაღლიერებით გამსჭვალულიყო ზევსისადმი, რაკი ჩაფიქრე-ბის შემდეგ წელში გამართულმა ღმერთმა მთლიანად არ დააქცია ტაძარი.

ზევსს რომ მოენდომებინა წელში გასწორებულიყო და ცოტაოდენი პაერი ჩაესუნ-თა თავისი მძლავრი მკერდით, როგორც ამას ადამიანები სჩადიან, ტაძრის სახურავი შექანდებოდა, ხოლო თუ მთელი ტანით წამოდგებოდა, ათენი დაქარგავდა პარმონის, სილამაზისა და სიბრძნის ძვირფას განძს, ხალხის სულის განხორციელებას, რამეთუ პარ-თენონის მეტოქეობის ღირსი ტაძარი მიწაზე დაეზობოდა.

წმინდა სოფიის ტაძრის მშენებელ ბიზანტიელ ბერძნებს, ხოლო მოგვიანებით ჩვენი პირველი ტაძრების აღმშენებლებსა და ხუროთმოძღვრებს კარგად ახსოვდათ ფიდიასის „ზევსი“.

ბერძენ მოაზროვნეთ საუკუნეების მანძილზე ნათელს ფენდა ასეთი დიდებული ქმნი-ლების მარაგანდუდი.

ჯვარზე გაკრული დიადი დამრიგებელი და მოძღვარი, რომლის განსახიერება არა-ერთხელ მოსწევნიათ მის ერთგულ მიმდევრებს, თითქოს ზევსის ახალი განხორციელება იყო ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის ადრეულ ქრისტიანებს ღმერთი უზარმაზარ არ-სებად წარმოედგინათ, რომლის ცკლებით დაჩხვლევტილი შუბლი ბნელი ტაძრების ქორთა მაღალ თაღს სწვდებოდა.

იმ ზეშთაგონებულ ეპოქაში ხელოვნება თანაბარი ძალით მიყვებოდა პროპორციისა და ხაზების გრძნობას.

ვაგლახ, იმ დრომ უკვე ჩაიარა!

თანამედროვე ადამიანი, ბრბოში გათქვეფილმა, დაკარგა კავშირი ამ უსუსუს მალალ სულთან...

როგორ მომრავლდა ჯვარცმულის კნინი გამოსახულებანი იმ დროიდან დღემდე, რა თანდათან დაპატარავდა მათი ზომები გრანდიოზულიდან მინიატურულამდე!

დაკარგულია სიმბოლური თანაფარდობა ქანდაკებასა და ტაძრის საზეიმო დიდებულებას შორის.

დროის სრბოლაში ნელ-ნელა გაქრა ზომიერების ღვთაებრივი მეცნიერება.

ბეჯითი ხელოსნები საუკუნეობით ხატავდნენ და ძერწავდნენ ქრისტეს პატარა გამოსახულებებსა და საცოდავ ქანდაკებებს, რომლებიც უზარმაზარ კედლებსა და მწუხარედ დადუმებულ ნეფათა შორის იკარგებოდა.

ველარ ვხედავთ ღმერთს, რომლის შთამბეჭდავი სიდიდე, არანაკლები, ვიდრე ნეტარი ტანჯვა, სიდიადეს შემატებდა ჩაბნელებულ თალებს.

ნათელმხილველ სულთათვის იგი განუზომელი და წმიდათანმიდა იყო, ასეთად წარმოუდგენიათ იგი დღესაც, მაგრამ ბრბოს ამის ცოდნა არ მიმადლებია.

შემოქმედებითი სული დაკნინდა, დაქვეითდა ბრბოს გემოვნებამდე...

ღმერთების უზარმაზარი გამოსახულებანი ჩაინთქა ტაძრის ნაზ ჩრდილებში... ისინი ხელს უშლიდნენ დაკნინებულ სულთ, მოერთოთ ფართო ტაძართა მშვენიერი სიშიშველე ურიცხვი ნფრილმანებით, რამეთუ ამ სილამაზის იდუმალების წედომის უნარი აღარ შესწევდათ.

სილამაზის რელიგია დაეცა. ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ბრბოს კანონებით, რომელსაც დაუკარგავს გზის მაჩვენებელი ძაფი, უძლურია შეიგრძნოს სილამაზე, იგი იმსჭვალება ზიზღით გიგანტებისადმი.

ერთმა ათენელმა ქალმა მითხრა: „რასაკვირველია, ეგვიპტური და ასირიული ქანდაკებანი ლონდონის მუზეუმში ჭეტი სიდიადის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე პართენონის ზოგიერთი ფრიზი. ისინი გვიპყრობენ პირველყოფილი სიძლიერითა და გასაოცარი გულუბრყვილობით.

მაგრამ შეხედეთ ამ ფრიზის მხედრებს აქ, მათ ნამდვილ ადგილსამყოფელს ტაძრის შიდა კედელზე, შეხედეთ მეტოპებს კაპიტელების თავზე, ღმერთთა და გამირთა გამოსახულებებს ფრონტონებზე, და იხილავთ ერთადერთსა და სწორუპოვარ ტაძარს.

მის პროპორციებს, მშვიდ რიტმსა და მთლიანობის სიბრძნეს, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების საზღვრებიდან ზე აჰყავს აზრი.

და ჩვენ ვგრძნობთ, რომ პართენონი — მარმარილოს სვეტების სამეფო, — უეცრად იმორჩილებს ჩვენს სულს.

სწორუპოვარი სილამაზე გვატყვევებს და ცრემლსა გვგვრის.

პართენონი გვესახება ხელოვნების საზომად და ტაძრად — მისი უმაღლესი გააზრებით.

წონასწორობა — დიდებული მადლია, გამამდიდრებელი ჩვენი ცხოვრების, ხელოვნების, სულისა და სიყვარულისა...

ანტიკური საბერძნეთი¹⁶

ოცი საუკუნის განდგომილებამ და მონობამ ვერც შესძლო მოეშოთ სილამაზე, სიბრძნე და სტოიციზმი, მსოფლიოს ანდერძად რომ დაუტოვა დიდმა ანტიკურმა საბერძნეთმა. დამპყრობლები გამეფდნენ საბერძნეთში: მაკედონელები, რომაელები, ფრანგი ჯვაროსნები, შემდეგ თურქები, რომელთა ბატონობაც მთელი ოთხასი წელი გაგრძელდა. სამშობლოდაკარგული ბერძნები მთელ მსოფლიოში მიმოიფანტნენ. მხოლოდ ასი წლის წინათ განდევნილთა შთამომავლობამ ყური რომ მოჰყრა განმათავისუფლებელი მონოდების ყიფინას, ყოველი მხრიდან გამოეშურა გათელილი სამშობლოს აღსადგენად. რა დაეწართა

16. ნაწყვეტები ლექსიდან: „საბერძნეთი და ბალკანეთის აშბები“, გამოქვეყნებული 1912 წ. 7 და 14 დეკემბერს.

საბერძნეთს საუკუნეების განმავლობაში უცხოელ დამპყრობთა ბატონობისაგან?

საბერძნეთი გადაიქცა ყრუ და მივარდნილ მხარედ, სადაც იშვიათი მტრდონი გარდასული დროის ფერფლში ეძებდნენ შემთხვევით გადარჩენილ წიგნებს ღვთაებრივი პოეზიისა, რომელთა ხელოვნება და კანონები ოდესღაც ასე ამალღებდა ქვეყნის სულს. ამ ხალხმა მინის ფენების ევეშ, თიხის ფიგურებს შორის იპოვა ძველქრისტიანული ღია ეკლესიის მარმარილოს ქანდაკებები, რომლებიც თითქოს პურთან ერთად გამოენვა ღუმელში ან ზეშთაგონებულ ხალხს.

სული ამ ხალხისა განირთხა არქეოლოგთა ფერხთა ქვეშე: ხელშესახები, თითქოს მინაში დამარხული, მოპკილი, მაგრამ ძნადშეუკრავი თავთავები. ზუსტი კომპაქტური ფორმით შემოსილი, იგი გაქვავებულს მგავდა. როგორც ვეება ჩონჩხი.

საუკუნეთა ფერფლიდან დახსნილი ხალხის კულტურის ჩონჩხი, ახლა ესოდენ დაშორებული მისსავე ფესვებს, ნარმოგვიდგება, როგორც ამალღვებელი მსოფლშეგრძნების განხორციელება და ქვრეტილი აზროვნების ბურჯი.

ამაყი და შიშველი ჩონჩხი გვიამბობს ერთ გოჯა მიწაზე დამკვიდრებულ ხალხზე, რომელმაც შეძლო დაემორჩილებინა, შეექმნა და ამაღლებინა ეს ქვეყანა: ხალხზე, რომლის სული თითქოს სამუდამოდ გაფრინდა ცაში.

გაქრა მისი სამოსი, მისი ხორცი, სისხლი და ძარღვები, სადღაა მისი მძლავრი სუნთქვა? თითქოს სამუდამოდ დაიწრიტა წმიდათაწმიდა ღვთაებრივი ლამპარი და მხოლოდ მისმა ათინათმა მოაღწია ჩვენამდე.

ხალხმა საკოდავი მტაცებელივით გაბძარცვა ყველაფერი, წვენი მთლიანად ამონურა, დატოვა მხოლოდ შიშველი ჩონჩხი.

და ახლა საბერძნეთი იწვა ჩვენს წინაშე, როგორც გამოფიტული და სოფლით დაფარული ბრწყინვალე აკლდამა, სადაც გონებისა და სინათლის ეპოქა საუკუნო ფიქრს მისცემოდა.

ჩონჩხად ქცეულიყო ტაძარი, მაგარი მთასავისი, რომელზედაც აღმართული იყო იგი. ცეცხლი, ქარიშხალი და ომები ანგრევდნენ მის კედლებს, მაგრამ მიწისძვრამაც ვერ შეხებლო შეერყია კარკასი ზევსისა უკვდავი სავანისა. ეს იყო ტაძარი, რომლის უზადო გეომეტრია მუდმივ ნიმუშებად ევლინება მხატვრებს. დიადი, გაშიშვლებული ტაძარი ატიკის ლაფვარდოვანი ცის ქვეშ, ვითარცა ღვთით ჩამოგდებული უზარმაზარი მკვდარი ღირა.

ეს ჩონჩხი უშრეტო სიბრძნის წყაროა კაცობრიობისათვის. პატარა ნამსხვრევებშიაც კი მთართოდვარე სიცოცხლისა და ღვთაებრივი ზომიერების ერთიანობა იმალება...

ჩვენი ხელოვნებისაგან საპირისპიროდ, საბერძნეთის ხელოვნება გაშიშვლებულია. მუხეუშებში იგი ნარმოგვიდგება წმინდად და სპეტაკად. აზრი, რომელიც მასშია ჩაქსოვილი, საოცრად მკაფიოდაა გამოსახტული.

ფუტკრისაგან ოდითვე მიტოვებულმა სკამ შეინარჩუნა თავლის სურნელება და ფუტკრები ისევ და ისევ მოფრინავენ მასთან.

ჩვენ ცუდად ვიცნობთ საბერძნეთის პლასტიკას; თითქმის მიუწვდომელია ამ ხელოვნების გულუბრყვილო, გამირული და ღრმა ადამიანური მწვერვალები, მიუხედავად მათი მატერიალურობისა...

არაერთგზისი ცდის მიუხედავად, დაძლეულ იქნას ბერძნული აზროვნების ზემოქმედება, იგი ძველებურად გვევლინება საზომად და სახელმძღვანელოდ. ყველამ, ვისაც მისი დაძლევა სურდა, ბოლოს და ბოლოს მაინც აღიარა მისი ძალა...

რასაკვირველია. თქვენ, თანამედროვე ბერძნები, ხელახლა არ დაინყებთ ანტიკური ხელოვნების, ეპიკური პოემებისა და უკვდავი ტაძრების კანონების შექმნას!

მათი სრულქმნილება უზრუნველია, მარადიულია.

თქვენ სასოებითა და სიყვარულით შეინახავთ თქვენი წარსულის ძეგლებს, რომლებიც სამუდამოდ დარჩებიან ტაძრად სულისა. ახლა, როდესაც თავისუფალნი ხართ, ხელახლა აშენებთ თქვენს საცხოვრებლებს დაფნიასა და ზეთისხილის ხეებქვეშ.

მე კარგად ვიცნობ თქვენი ხალხის ზნე-ჩვეულებათა უბრალოებას, კეთილშობილურ თავშეკავებასა და სიდიადეს. საუცხოო გემოვნებასა და ზომიერების გრძნობასთან შერწყმულს.

მე ვიცნობ თქვენს ხალხურ სიმღერებს, რომლებიც ისე უბრალო, ლაკონური და გა-

საგებია, რომ ძალზე მოკლე გვეჩვენება და შეწყვეტის შემდეგაც მათი კონგი დიდხანს ჯღერს ყურებში.

არეალური საბერძნეთი კვლავაც ცოცხლობს ამ სიმღერებში. ძველთაძველი დიადი ხელოვნების ათინათი თითქოს ხელახლა გაიელვებს ჩვენს წინაშე. დაძაბულობით აზრით აღსავსე, კეთილშობილური, სწრაფი სიმღერები, ჰომეროსის ეპოქის მარხაროლოგიკური მხილებებსა და ულამაზეს ქანდაკებებს ჰგვანან, რომელთა ნაკეცები და მოზოიზმის თითქოს შეუღლებია ქვას და გაუსულდგმულებია იგი თავისი მშვენიერებით...

მე მსურს გამოვთქვა კიდევ ერთი აზრი.

საფრანგეთის ეროვნულ სულში ცოცხლობს ბერძნული ზომიერების გრძნობა. ჩვენ დიდზე დიდი თაყვანი უნდა ვცუთ ბერძნებს, რამეთუ დიდებული ფრანგული გენია იგივე მუქითაა განათებული. ჩვენი ბიზანტიური ანდა გოთიკური ხელოვნება ღირსი და საკადრისია ამ ძველთაძველი უდიდესი შედეგებისა.

ჭეშმარიტება და გრძნობა ხელოვნების ძმნილებაში

ხანგძლივი მოთმინებითა და დატინებით ვცდილობთ ჩაწვდეთ ადამიანისა და საგანთა კერძო ჭეშმარიტებას, მაგრამ დადგება დღე, როდესაც ჩვენი სული მოიპოვებს ძალას, ქადნიერი სითანამე გააცისკროვნებს გულსა და მარჯვენას და დაგვეუფლება წყურვილი მევიცნოთ ყველაფრის გამაერთიანებელი საერთო ჭეშმარიტება.

ჩაღრმავდი შენი სულის წიაღ, გააერთიანე ჭკუა, გონება, გული და გრძნობები შენი ჯა მიაყურე, რარიგ ნელ-ნელა იზრდება და ფართოვდება სული შენი.

ღვთაებრივი ცოდნა, — ნაყოფი ნელი მომნიფებისა, — ხანგრძლივი გამოცდილების, უშიშარი ცდებისა და შეცდომების შედეგად ეწვევა ხოლმე მხატვარს.

ნუ შეუშინდები შეცდომებს: შეცდომებიდან იშვება ცოდნა. თუკი არ დაკარგავ უნარს სიყვარულისას.

თუკი მიეღწევი ჭეშმარიტ არსებობას, შეიყვარე სიცოცხლე და ასაზრდოვე შენი აზრი მშინდა, მაცოცხლებელი წყაროებით.

ნუ შიბაძაყ მუზეუმთა მძარცველებს, კაცობრობის მრუდე სარკეთა შემქმნელთ; ისინი ახდენდნენ უკვდავ ადამიანთა პროფანაციას და მათი უხეირო შიბაძვანი ნამდვილი მხატვრების თვალში იაფვე საცოდავია, როგორც ქუჩის არღანი დიდი კომპოზიტორისათვის.

ამაღლებულის წყურვილით შეპყრობილნი ჩვენ ზურგს ვაქცევთ მკედარშობილ ნაყოფს.

ჩემი სიტყვები მიმართულია იმ ადამიანებისაკენ, ვინც დაჯილდოვებულია ნებისყოფით, ვისაც უყვარს ჭეშმარიტება, ვისაც შეუძლია იტანჯოს მისთვის, იმათკენ, ვისთვისაც სილამაზის უძღები წყურვილი პატივმოყვარეობაზე მაღლა დგას.

მორს ჩვენგან გაყინული პრინციპები და ხერხები დაე, ნუ იბატონებს ჩვენს ხელოვნებაში ისეთი სტილი, როდესაც ერთხელ უკვე მიაღწევ რაღაცას და მერე თვითკმაყოფილების თვლემა დაგვეუფლება, რამეთუ ეს ღუპავს ჭეშმარიტ სიყვარულს! დაე, ნუ მიგვატოვებს ანალიზის შეუდრეკელი სული!

ნუ შევშინდებით, განველოთ მარადიული წრე; ყველა დროის მსოფლიო ხელოვნება განუყოფელია.

არ არაებობს სხვადასხვა გზები; ყოველივე იბადება უშუალო გრძნობით. შედეგებიც მთავორის ტოლნი არიან, ნათელმხილველი დიდი მხატვრის ნიჭი — ერთდროულად შეერწყმის თავის დროის მოთხოვნებსა და მარადიულ კანონებს — ნიშანია მისი ბუნების ორმაგობისა, იმისა, რომ იგი ადამიანიცაა და სულიც, რომ იგი ერთნაირად თანაბარია მატერიალური სიკვდილისა და სულის უკვდავებისა.

თავისი საუკუნის ყველა იმედისა და მოთხოვნილებების, ყველა შფოთისა და ვნებათაღელვის მიღმა დიდ მხატვარს ძალუძს დაინახოს საერთო კანონები, ამ სამყაროს რომ მართავს.

¹⁷ ხაწყვეტი საუბრიდან: — „ხელოვნება ეს ბარმონაა ზუსტი რიცხვებისა“. შემდგარი გრანდ შოშიერში 1910 წლის 10 თებერვალს.

იგი მოძღვარია, ნიადაგ მარტოსული და შეუცნობელი, და მუდამ უდრტყიბველად უნდა ელოდოს სიბართლის გამარჯვებას...

შეავსეთ კერძო საერთო სულით, შთაბერეთ შემთხვევით გეგმასა და მოხაზულობას სამყაროს სუნთქვა, მთლიანობა და სიმშვიდე, და თქვენთვის უცხო ვახვედრებულმადაბალი ფიქრები და ნარმოდგენები, სურვილი ბრბოს მამებლობისა და უხეშე დაწმარტებულ ფამამ-ცირებელი ჭეშმარიტი დიდებისა.

ასე რომ, უკუაგდეთ ყველა ჩრდილი და გაქვავებული ფორმის მკრთალი შუქი, შეანჯღრიეთ სიბნელე და მერყევი მოხაზულობა. მიუვით ხაზებს სრული თავისუფლება! დაე, გაცოცხლდნენ ისინი, ფრთებს ნუ შეაკვეცავთ თქვენს ჩანაფიქრებს, მწედ მოუხმეთ სულის მაცოცხლებელ ქარიშხლებს! დე, ღმერთთა და გმირთა მადლი გცხოდეთ თქვენ და თქვენს ქმნილებებს!

ადამიანის სიცოცხლე ნუთიარია, ხელოვნება — მარადიული¹⁸

დღის საცოდავო სინათლევ, ჩქარა ჩაქრები შენ!

აი, ერთხელ კიდევ გამშორდა საყვარელი შრომის ნათელი საათები.

მერყევი ჩრდილი გაირბენს ცაზე და მოადგება ჩემი სახელოსნოს ფართო სარკმელს.

ერთიმეორის მიყოლებით თავის ადგილზე დალაგდებიან ჩემი შემწე, დამჯერე და კეთილი იარაღები. შე ვტოვებ მათ, და ისინიც ერთმანეთს ჩახუტებულნი, ბინდბუნდში იძირებიან.

მაგრამ შენ, ცოცხალ პოეტურ ოცნებავ! შენ ეძლევი საღამოს სევდას, გუნდი და გუნდი ჩრდილებისა შემოგეხვივნენ, ვინემ გარდასულზე ფიქრობდი.

კიდევ ერთი დღე გამშორდა სამუდამოდ, რაოდენ დიდი განზრახვა მქონდა და რაოდენ მცირე გავაკეთე!

ჰოი, უსასრულობაში ჩაძირულ დღეებო! თქვენ ირვით ჩემს ზღურბლზე! ღმერთო ჩემო, რა ცოტანი ხარ, რა არარაობაა სიცოცხლე ადამიანისა!

დაე, დაისვენოს თიხამ! დაე, მოიკრიბოს ახალი ძალები ცივი წყლით დანამული ტილოს ქვეშ მთელი ღამის განმავლობაში ჩემს სულს დაშანთავა მისი შეუცნობელი ბედი, ხვალ კი ოჩრივენი — მე, შეპყრობილი მღელვარებით, ის, უშფოთველი და მშვიდი კვლავ გავეშურებით გათვლილი გზით ჭეშმარიტებისაკენ.

მაგრამ, ვაგლახ, ისევ ჩქარა დადგება საღამო, და მთელი სიცოცხლე შეუმჩნევლად გადაიხრება თავისი უკანასკნელი დაისისაკენ!

რა გაენწყობა! დაე, დაისვენოს ხვალამდე შენმა თიხამ! ო, ბახუსის ქურუმო ქალო, დამთიმებულ ვახის ზარბოძით, გაირჩნდე უმოძრაოდ! ღამემ მოგაპყრო თავისი ვარსკვლავ-თვალეები.

რატომ ვარ ისევ შენთან, ჩემო უტკბესი ბახუსის ქურუმო ქალო? იმიტომ რომ არა, რომ თითები ჩემი შეეხო შენს მთრთოლვარე ნმინდა თქმოს? მე გხნებით ვზელ მას. მე სიბნელესა და ოცნებებს ვუერთებ ამ პატარა თიხის ნაჭერს, და თუმცა გაგახვიე წყლით დანამულ დაკონკილ სელის ქსოვილში, რათა გაგანაზო, ჩემო გიჟო ქურუმო ქალო, მე მაინც ვხედავ შენს მოცინარე სახეს — შენი თვალებისა და ბაგის შავ ღრმულებს. შენი სხეულის ხვეულებში ტრიალებს ჩემი შემოქმედების ცეცხლი, ჭეშმარიტება და მთელი ჩემი მწუხარება, რამეთუ არ ძალმიძს ხორცი შევასხა მთელ ხელოვნებას. იგი განუსაზღვრელია, რამეთუ არ შემიძლია შევისრუტო სიცოცხლის მთელი მშვენიერება.

ტკივილი ჩემის სულისა თავშესაფარს ეძიებს შენი მცინარე სახის ჩრდილებში. მისი ქვითინი შეერთო შენი შავად მზირალი ბაგის სიცილს.

სული¹⁹

რაოდენ დიდი იქნებოდა ადამიანი, რომ შეძლებოდა თავისი სულის გაახვიოსნება, შეძლებოდა ესნავლებინა მისთვის ბუნების ძალთა მიდევნება და მათთან შერწყმა. ჩვენი

¹⁸ ნაწყვეტი საუბრიდან შემდგარი გრანდ შომიერში 1910 წ. 24 თებერვალს, როცა ბურ-დედი „ბახუსის ქურუმი ეალის“ ქანდაკებაზე მუშაობდა.

¹⁹ გრანდ შომიერში შემდგარი საუბრიდან 1912 წლის 21 ივნისს.

ცხოვრების ყოველი დღე მოგვევლინებოდა სიღამაზის დაუსრეტ წყაროდ, თუ რომ გვესმინა ამ მინის ყვილისათვის, რომელზედაც დავაბიჯებო.

სამყაროს სიღამაზე და სიდიადე მუდმივად ცოცხლობს ჩვენში და ჩვენს ირგვლივ. ღვთის მიერ შექმნილი დიდებული და საოცარი სანახაობა უსასრულოა, იგი განფენილია ყველგან, მაგრამ კაცობრიობად წოდებულ ამ ბნელ და უბირი ბრბოდან წამდუნად მცირეს ძალუდა დაინახოს იგი..

იგი ნაკლებად ცხოვრობს ქვეშარიტებით, ამიტომაც იღუპება ქვეშარიტებისა და სამყაროსაკენ მიპყრობილი ნათელი სული — გათელილი აბლავლებული ბრბოს მიერ.

ქვეშარიტი მხატვარი მუდამ მარტოა... არავის ესმია მისი. ვერავინ ხედავს მისი თვალისა და შოელვარე გულის ცოცხალ ბაჯალლოს, ვიდრე არ მომკვდარა.

მთელი სიცოცხლე ადამიანთან ბრძოლა ეწირება. არაფერია ისე უცხო ადამიანისათვის, როგორც მეორე ადამიანი და ზოგჯერ საკუთარი თავიც. მხატვარი ორმაგად უცხოა ყველასათვის.

სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ანდომებს იგი იმას, როგორმე გააგონოს ხალხს თავისი ხმა, მაგრამ სიცოცხლე მეტისმეტად სწრაფად მიქრის და შა, უკვე მოახლოვდა დაისიც; მხატვარმა ძლიერ მოასწრო ჩაკვირვებოდა დღის კრიალა ნათელს, მისი შემოქმედება კი ჯერაც არ დაწყებულა.

დროა საჭირო ჩაფიქრებისათვის. უნდა მიიხედო წარსული სიხარულისა და ტანჯვისაკენ, მათგან გაძოიტიანი დასკვნა.

მხატვარს მუშაობა სწყურია, მინის ძახილის გაგონება სურს, რომელიც ციურ მნათობთა წარწარ ქოროსთათ მიგვაფრენს, მაგრამ საომარი ყიჟინა ხელს უშლის ამას.

დაე ირქარონ, ვისაც კიდევ ძალუდას განმარტოება, რამეთუ მათთვის მუნწადაა დრო გასკუთვნილი დაე. განიცადოს თავისი ბედის შეგრძნების სიხარული, რაზომ მწარეც არ უნდა აღმოჩნდეს იგი როდესაც შეიგრძნობ საკუთარი ძალას, მხოლოდ მაშინ ძალგამს იმსჯელო სხვათა შრომაზე!

თუ არ შეგვენებს უხარი გავერკვეთ საკუთარ თავში, მთელი სამყარო ამოუცნობი დარჩება ჩვენთვის.

ჩვენ არ შეგვიძლია არც გაზომვა და არც შეფარება; ფართოდ გახელილ თვალთათვის მხოლოდ ჩვენი შეცდომებია საჩინო.

თუ ადამიანს სურს დაინახოს ქვეშარიტება, იგი უნდა შეებრძოლოს თავის ბედს. და დაინახავს ამ ქვეშარიტებას, როგორც არნივი მზეს.

მრისხანე მტაცებელი აღმერთებს მზეს. მისი სწრაფი, გამჭოლი თვალები მყისიერ მზერას ეცვრის ცნებლოვან კარსკელავს. უკიდუგანო სივრცეში ხედავს იგი ვეებერთელა მიუნვდომელ მნათობს და მისკენ ისწრაფვის.

ისე, როგორც მხატვარი, არნივიც, შეპყრობილია შეუძლებლისკენ ლტოლვის წყურვილითა მძლავრი ფრთებით ეხეთქება იგი ლაფვარდოვანი კაშარის თაღს. ხოლო, როცა ცდაა არ დააკლებს და საკმაოდ მაღლა ადის, რათა დააცხროს ამაყი გულის წადილი, როდესაც გრძნობს, მზე უკვე ძველებურად შორს აღარაა მისგან, ის თავისუფალ ნავარდსა და ლივლივს იწყებს ცაზე.

მხოლოდ ტიტანური შრომის შედეგად ძალუდას ადამიანის სულს ინავარდოს ფართოდ გაშლილი ფრთებით ასეთ ნუთებში იგი მარტოა და ქვეშარიტებისაკენ მიისწრაფვის.

ფიქრები ხარაჩოვასი მჯდომ თანდასებათა და ახალი გაუმშრალი ფრასკების გვირდით²⁰

მოქანდაკე-მონუმენტალისტისა და ფერმწერ-ხელოვანის მაღალი და მივინყებული ამოცანაა მჭიდროდ და მეგობრულად შეახამოს და დაუკავშიროს თავისი ქმნილებები ბურჯებს, თაღებსა და კედლებს, რომელთა შორისაც უხდებოთ ცხოვრება.

ყველაფერი რაც შენობაში შემოაქვთ მხატვრებსა და მოქანდაკეებს, მკაცრად უნდა

²⁰ გრანდ შომიერში გამართული საუბარი, რომელიც გამოქვეყნდა 1913 წ. 15 სექტემბერს.

იყოს შერჩეული; არაფერი ზედმეტი, მხოლოდ ყველაზე არსებითი!

ცხოვრებიდან აღებული ნებისმიერი მოძრაობა, მისი ერთიანობის დაურღვევლად, ორგანულად უნდა შეერწყას მთლიან ანსამბლს.

ქანდაკებაში განხორციელებული ადამიანური თვისებები დაკავშირებული უნდა იყოს მარმარილოს ლოდთან. დაე, პატარა სულიერმა მოძრაობამაც კი მიიღოს მარადიული სიცოცხლე მთებისა, განიმსჭვალოს მათი ურღვევი უზფოთველობით, რათა შემდეგ გადაიტყეს ადამინის დამშვიდებულ სავანედ.

სატრისითა თუ საღებავებით აღბეჭდილი იერხატი ადამიანისა უნდა შეესისხლხორცოს ფარდახტს, შეერწყას კედელს, უკუაგდოს ყოველივე უმნიშვნელო და შეინარჩუნოს კონსტრუქციის უმაღლესი მიღწევები.

კირი, რომელიც კრავს სილას, კირი, რომელსაც მხატვარი ფენა-ფენად ადებს კედლებზე, ინახავს მხოლოდ მარადიულ ღერებს. მასზე არ უნდა დატოვო არაფერი პირადული, რომელსაც არ ძალუძს ამაღლდეს ძეგლის ზენაარ მნიშვნელობამდე.

ყოველი მხატვარი, როცა მიისწრაფვის მიაგნოს თავის ნამდვილ ადგილს და გამოაჩინოს თავისი ქმნილების სათავეთა სიღრმე, იცდის, სანამ ყოვლისშემძლე დრო მის არსებაში თავის წვლილს შეიტანს. და მეც ასევე, მონტენის ავენიუზე ახალი თეატრის გაფორმებაზე მუშაობისას, დასაწყისში მზად ვიყავ დაგვიყოფილებულიყავი შერჩეული სიუჟეტების აღწერით.

მაგრამ ტრაგედიის უდიდესმა სუნთქვამ — ქარიშხალისა და გლოვის დაღს რომ სტოვებს მხატვრის სულში — მაიძულა უარი იმეტქვა ამგვარ გადანყვეტილებებზე. მან გააღვიძა ჩემში სპეტაკი მოგონებანი აისედორა დუნკანის ხელოვნებაზე.

აისედორამ, კეთილშობილმა ქურუმმა ქალმა, თავისი ცეკვებით ახალი სიცოცხლე შთაბერა უმშვენიერეს ძველთაძველ ქმნილებებს.

იგი მოველინა ადამიანის აზრს ნათელ სხივად, რომელიც იმედის ცეცხლით აკაშკაშებს ჩვენი დროის სევდიან მიმწუხრს.

მე ვისურვებდი მადლობა მეთქვა ყველასათვის, ვინც კი მოვიდა ჩემი დაუმთავრებელი ნამუშევრების სანახავად და სცადა ჩანვდომოდა მათ არსს.

დღევანდელი დღის თრთოლვით სულჩადგმულ ჩემს ხელოვნებაში მათ უნდოდათ ენახათ ბევრი რამ ძველი დროისა. მათი დიდსულოვანი შეცდომა დამეხმარა მეპოვა საკუთარი ჭეშმარიტება.

ჩვენი თვალის ძლივს არჩევს მშვენიების ბუნდოვან სივრცეთ, ჭეშმარიტება დამალულია თვით ჩვენგანაც, ამაღლებული ჩვენს ზღურბლთანაა მომდგარი, ჩვენს კერიაზე თბება. ცოლშვილზე დაკვირვებისას ვხუდავ ჭეშმარიტებით სავსე მათ ნარნარ მიმოხვრას, ოდესღაც აღმოჩენილს ძველი დროის მხატვართა მიერ.

ყოველ ნაშიერ მოძრაობაში ცოცხლობს ღვთაებრივი ნებისყოფა; ღმერთი ყოველდღიურად გვეცხადება, მხოლოდ უნდა შეგვეძლოს მისი დანახვა; უკვდავების პიმნი ყოველ ნუთს პოულობს თავის გამოხატულებას და აისედორას ცეკვას მოაქვს ჩვენთვის მისი სიტყვა და მოძრაობა. მშვენიერება სრულიადაც არაა ჩვენგან დაუარული; ჩვენ თვითონ ვამსხვრევთ მის ხატებას, ვდევნით ჩვენი გულებიდან სისადავესა და უბრალოებას...

წარსულის ცოცხალ მარმარილოს, მარადიულ ნაქანდაკარ ქეებს, კედლებს, ანტიკური დროის დიდ მოაზროვნეთა სულთქმის შემნახველთ, მე ხარკი გადავუხადე მორჩილი, ალტაცებული თაყვანისცემით.

მე ამოვიცან მათი შემოქმედების საიდუმლო, მათი ხელოვნების დასაბამისის ძებნას შევნიერე ჩემი ცხოვრების მგზნებარება.

ძლიერ ცდებიან, ვისაც მიაჩნია, ვითომცდა ჩემი მსოფლშეგრძნებისაგან დაშორებულ მათი სულის გამომხატველ საშუალებებს დავეაესხები, ვინც ფიერობს, თითქოსა მოვისურვებ ვიხილო ჩემს ქანდაკებებში მათი დამახინჯებული ქმნილებების უფერული ტვიფრები, დოახ, ცდებიან და მე უნდა უარყო ეს შეცდომა.

მთელი სიცოცხლე წინ მიმაქროლებს უჩინარო ძლიერი ფრთები, მძიმე კირთებქვეშ მოხრილა ჩემი ბეჭები და გული ძალუმაღ ფეთქავს.

ჩემში და ჩემს გვერდით ვილაც სხვა ცხოვრობს. ეს ჩემი ბედია, იგი შინს არასოდეს შთამაგონებდა, რამეთუ ყოველთვის სინათლისაკენ მივყავდი.



მე გადმოგცემთ ამ სინათლეს ჩვენს საერთო შრომაში, სინათლეს — სამყაროსა და საკუთარი თავის დაუღალავი შესწავლისა. თუმცა დაეჭვების მწველნი არცნაღმასობის ხშირად გვიჩრდილავენ შემეცნების გზას.

დაე, შეისვენოს მარჯვენამ, ვიდრე შეფრთხილებული სული არ მოიპოვებს გამარჯვენას! ვიდრე მთელ ჩვენს არსებას გზნება და სიფრთხილე არ დაეუფლება, არც უნდა მოვკიდოთ ხელი სამუშაოს ...

უნდა შეგვეძლოს წარსულის კითხვა და არა მიბაძვა მისი.

ადვილია დაასახელო და დაიმონმო ათენი, დელფოსი, ოლიმპია, სელინუნტი, ეგინა, მაგრამ რომ მიუახლოვდე ამ ბრწყინვალე მწვერვალებს, რომ ჩანდე მათ მარმარილოს სულს, გაიგო მათი კანონი, მთელი სიცოცხლის მანძილზე არ უნდა დაიშურო ძალა და ღონე.

არა, მე სხვა წყაროებიდან ვიკლავ ნყურვილს.

მაცოცხლებელი წყაროები აქვია, ჩვენს ირგვლივ. მარად და მარად განახლებული ჩემი აზრი ცდილობს წამით შეაჩეროს მქროლავ დღეთა ნაკადი, ხარბად ისრუტავს ბავშვის დილის სურათებს, დედობრივ სიყვარულს, შავ თმათა კუნაპეტს და ოქროს კულულთა მზისებრ ბრწყინვალეებას.

სიცოცხლე ჩვენ გარშემო უსაზღვრო ოკეანეა, საიდანაც ცხოვრების განვლილი წლების გაკვეთილით შთაგონებას ვსესხულობ.

ღვთაებრივი მადლია ჩადვრილი ცოცხალთა სილამაზეში, სიმშვიდესა და მოძრაობაში, მათ სახეებსა და სხეულებში, რომელთა წინაშეც თრთის ქარი.

ისინი, ვინაც არ უყვარს ჩემი ემნილებანი, ასეთები კი ცოტანი როდი არიან, არქაიზმს მამბრალეებენ. მათ უნდათ შეურაცხმყონ ამ სიტყვით.

მათი აზრით არქაიზმი მკვდარია, სადღაც შორს ზღაპრულ სიძველეშია დარჩენილი. მაგრამ არქაიზმი ყველა დროის კუთვნილებაა. მათ მოინდომეს ჩემი შეურაცხყოფა, სინამდვილეში კი ყველაზე დიდი ქებით დამაჯილდოვეს.

ყოველი სინთეზი მუდამ არქაულია. არქაიზმი წინააღმდეგია მიბაძვის. იგი სიძველის ძველთაძველი მტერია. მტერია მარმარილოს გვამად გადამქცევი სიყალბისა, მოტყუებისა და უაზრობისა.

არქაიზმი სულაც არ ნიშნავს უმეცრებასა და პრიმიტიულობას. იგი მარმონიულად ერწყმის მთელ სამყაროს. იგი ყველზე მეტად ადამიანური და იმავე დროს მარადიული ხელოვნებაა. ჭკუამოკლებს, რომელთაც აშინებთ ჭეშმარიტების ზვიადი სიშიშველე, პრიმიტიულად მიაჩნიათ იგი. რამეთუ მეტისმეტად შორს არიან მათგან.

წარსულიდან ზერელედ არაფერს ვიღებ, არაფერს ვიზიარებ უცხო ხალხთა ხელოვნებიდან, გარდა ზოგადადამიანური ელემენტებისა, საიდანაც მამიებელ მხატვარს უფლება აქვს და, გავბედავ ვაქვა, მოვალეცაა ისესხოს რამე.

ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, აქ, თქვენს ნამუშევრებში მოქმედებენ ყველა საუკუნის ხელოვნების კანონები.

თქვენი ხალათები და წინსაფრებო, თქვენი პიჯაკები და კაბებიც კი, ჩემთვის სუნთქავს თანამედროვეობის უმშვენიერესი ქმნილებების სიტკბოებითა და წარსულის ქმნილებათა დამაბრმავებელი სილამაზით.

ჩემი სკოლა იყო ცხოვრება. დიდებულ აისედორა დუნკანის ცეკვაში მე შევიცანი დიდხნის ნაცნობი და უფერად გაცოცხლებული ადამიანის გენიის შედეგები, მათი მარმონია და შინაგანი წონასწორობა.

აისედორა სტიქიურ გრძნობებს დამორჩილებული პროპორციების განხორციელება. იგი მოკვდავიცაა და უკვდავიც, და მისი ეს ორი მხარე წარმოადგენს ღვთიურ სანყისს. რომლის აღქმა და თავის სიცოცხლესთან შერწყმა ადამიანს მოჰადლებია.

თეატრის ფასადზე ჩემი ნაქანდაკარი მუხები ცნობიერებაში მაშინ დაიბადნენ, როცა

აისედორას ცეცხლოვან ცეკვას ვუცქერდი. იგი იყო ჩემი მთავარი წყარო. მას მივუძღვე-
ნი ეს ფიქრები; ჩემო ახალგაზრდა თანამოძმენო, თქვენ ყველამ იცით, რას დავეძებთ
მხატვრები. ჩვენ ვქმნით გარეგან სახეს, რათა ღრმად ჩაენვდეთ შინაგანს. მადლიანობით
გრძნობა ერწყმება ერთურთს გაშიშვლებულ მოდელებში, რომლებითაც ვსწავლობთ სა-
წყაროს.

თქვენ ხომ შეიცანით აისედორა დუნკანი ჩემს ფრიზში ჩაფიქრებულ მხატვრებს ყვე-
რდით, ვისმა ქნარმაც ჯადოსნური ცეკვა შთააგონა მას.

ცხრა სხვადასხვა სახეში, სადაც მრავალი ქალის ნაკვეთბია თავმოყრილი, თქვენ უეჭ-
ველად შეიცნობთ მას, აისედორას, ვის სახეშიაც ერთმანეთს შეჭიდებია ბორჯნეულობა
პიშინისა და თავგანწირვა მსხვერპლისა.

მას არაფერი უსუსხებია წარსულიდან, გარდა მისი შედეგების აღფრთოვანებული
თაყვანისცემისა.

რისთვის აგემა ბედისწერამ ეს ლახვარი მის მოყვარულ დედობრივ გულს? რისთვის
მოუკლა ორი შვილი, რომლებიც ოცნებაში მას თავისი ხელოვნების გამგრძელებლებად ესა-
ხებოდა?

„მე ვცეკვავ სულში“, — გამოგვიტყდებოდა ხოლმე იგი. აისედორას სიღიადე კიდევ
უფრო გაიზრდება, რამეთუ ტანჯვა მეტი ძალაა და ნათელს შესძენს მის ხელოვნებას: ხე-
ლოვნება — ეს მარადიული ჭიდილია. აისედორა იტანჯებოდა ყველას მაგივრად, გენიას
მოაქვს მისთვის ტრაგედია, მარადი ხვედრი პოეტებისა.

აი, რატომ სუნთქავს მარმარილო თანამედროვე ცხოვრებითა და მთელი მისი სიღამა-
ზით ფრიზზე აფრიალებულ ნაკვეთთა შორის, ექსტაზით აპყრობილ ხელებში, აისედორაიდან
ნასესხებ დაუოკებელი რიტმების ამალღებულ სიგიჟეში — რაც აისედორამ აღმოაჩინა, გა-
ნასახიერა და უძველესი ხელოვნების ფორმით აღბეჭდა თავისი წმიდათანმიდა აღტა-
ცება.

ბევრი მხატვრის სახელოსნოში აისედორა დუნკანი ახალ სიცოცხლეს იძენს თიხაში.
იგი ჩვენთან ერთად მიდის ხელოვნების ამალღებული ჭეშმარიტებისაკენ. ქვაში ნაქანდა-
კარს მარადისობაში მოაქვს თავისი ცეკვა.

აისედორა დედობრივ სიყვარულს შეუპყრია ხელოვნებისადმი. სიყვარულს, რომელიც
ძლიერია თვით მხატვარზე და მიემაგავსება მის მიერ შექმნილ, გულიდან ამოხეთქილ
სიმღერას, უსასრულობისაკენ რომ მიილტვის.

ეს დაუცხრომელი დედობრივი გრძნობა სულში აღწევს. მარმარილო ანიჭებს მას
სტიქიურ ძალასა და ნესრიგს, გასხივოსნებულ შარავანდედად რომ დაჰფენია აისედორას.

მისი გენია ბადებს პოეზიის ფრთებს, მატერიაში რომ გაქვავებულა. გენიას აპყავს
იგი ცაში, ვით ორკესტრის საზეიმო ხმებს, და როგორც მისმა როკვამ გვაზიარა უკვდავ
მოდრაობებს, ასევე მარმარილოც სამუდამოდ ჩაიჭდობს გულში მის სახეს.

მასალა და სული ხელოვნებაში²¹

არწივი

ვიდრე შევეხებოდე ხელოვნების ნაწარმოების შემადგენელ ელემენტებს, მე ვისურვებ-
დი მელაპარაკა მხატვრის ბედსა და სულიერ თვისებებზე, რათა უფრო ღრმად ჩაენვდო-
მოდი ყოველი ქმნილების შემოქმედებით კანონს.

შევეცადოთ ღრმად ჩავიხედოთ ამ უცნობი ადამიანების, სახელგანთქმული ხუროთ-
მოძღვრული ძეგლებისა და ქანდაკებების — ამ მღუმარე პიშინების — შემქმნელთა გულე-
ბში, რომელთა მარადიული სიტყვები ქვაშია აღბეჭდილი და ჩანერილია ყველა ხალხის
კუთვნილ მსოფლიოს უდიდეს წიგნში.

21. ლექცია ნაკითხული იყო სორბონის სტუდენტებისათვის და რამდენიმე თვის შემდეგ,
1921 წლის 15 ოქტომბერს გამოქვეყნდა კიდევ «Revue de France»-ში, მაგრამ ლექციის
ტექსტი ძლიერ დამახინჯებული იყო. ხელახლა გამოცემისას გუსტავ ვარანმა აღადგინა
პირველყოფილი ტექსტი ბურდელის ხელნაწერის მიხედვით. ლექციის პირველი განყოფი-
ლება „არწივი“ იბეჭდება შემოკლებით. შემდეგი განყოფილება და დასკვნა მთლიანად
აღდგენილია.



რომ უკეთ შევიცნოთ მხატვრის სული, მე ვისარგებლებ იმ ხატებით, რომელიც ჩემი საკუთარი ცხოვრების ზღურბლიდან მიცქერის.

ეს ხატები აღსავსეა მკაცრი გამირებით, მაგრამ მისი სიდიადე ბუნებას ემყარება, ხელოვნების შეუცვლელ საყრდენს; და იმიტომაც ახლობელია ჩვენთვის.

ყველას, ვინც ცხოვრობს სულიერი ცხოვრებით, შეიცნობს თავის თავს ჩემს სიმბოლურ მაგალითში.

ჩემ მიერ შერჩეული ხატება, როგორც მაგალითი, ფრიად საქებაარია მხატვრისათვის, რამეთუ მე ვუტოლებ მას ჩემს გულში ფრთოსან მბრძანებლებსა და ცის მკვლევართ.

ზრდა და აღმავრენა

ადამიანი — ეს ცთონილი ღმერთია, რომელსაც ახსოვს ზეცა.

ლ ა მ ა რ ტ ი ნ ი

ყრმობის ასაკში მე წილად მხვდა ახლოდან მედევენებინა თვალი ისეთი მრისხანე ფრინველისათვის, რომელიც თითქოსდა ღვთის გრგვინვა-ჭექას გაუჩენია ქვეყნად.

სიმრგვალებს მოკლებული სხეული, მთლიანად კუთხოვანი, დამტვრეული ხაზებისაგან შემდგარი, ლბილი მოხაზულობის გარეშე, რაც გამოუსადეგარია თავანყვეტილი ფრენისათვის, თითქოსდა თავბრუდამხვევი სრბოლისთვის შექმნილი მკვეთრი ფორმები, მოკლე, სწრაფი, გამჭოლი მზერა, უფსკრულის ციცაბო კალთებივით დაქანებული უმოძრაო გვერდები, — ეს ყველაფერი ამ ველურ ფრინველში მის განსაკუთრებულ არსებას წარმოაჩენდა.

ჰოი, არნივო ჩემი ბავშვობისა, ყრმა მოვდიოდი შენთან, ადამიანის ტყვესთან. მთელი დღეები, მსგავსად ქანდაკებისა, უმოძრაოდ გაქვავეებული, ვერაფერს ამჩნევდი ირგვლივ და მე გულისყურით ვაკვირდებოდი შენი ცხოვრების ტრაგედიას.

ჰაერს გაშმაგებითა და ხმაურით უტყვლაშუნებდი ფრთებს, შენი სული ეხეთქებოდა ჩემს შუბლს; ჩემი დაბურდული თმა ცახცახებდა, როგორც შენი გული, შენი მშვენიერი ალტკინება, რაიც გამირთა სუნთქვას მაგონებდა, ძირს, მიწაზე მანარცხებდა მე.

ჰოი, ჩემი ბავშვობის ტყვე არნივო! გრიგალი შენი გამბედაობისა მიტაცებდა მე; ერთხელ, ერთი გაქანებითა და ალტკინებით საღწიე კიდევაც ჩვენს ტაძარს. ჰოი, უფროსო ძმავ ადამიანთა სულისა, ჰოი, ვარსკვლავეთის წინასწარმეტყველო!

შენ იყავი ჩემი სულიერი მასწავლებელი; მე მოვდიოდი ქვის განიერ ტრასაზე, სადაც შენ მოგათავსეს, იქ ვეძლეოდი ფიქრებს შენს მძიმე ყოფაზე. ჩემ წინ განვლო შენი დავაცვალების ხანამ. ვხედავდი, როგორ ეკმატებოდა ძალა და გეზრდებოდა ფრთები. ვხედავდი, როგორ თანდათან მწიფდებოდა შენი ცხოვრების გამოცდილება. ვხედავდი, როგორ აყურადებდი საკუთარ შინაგან ხმას...

ელვის შვილო, შენ განსახიერება ხარ მაძიებლისა, ფილოსოფოსისა, პოეტისა, შენ სისხლისმიერი ძმა ხარ მხატვრისა და როცა ჩვენს მზერას წარმოუდგება მხოლოდ შენი გარეგანი სახე, არ ძალგვიძს მთლიანად შევიცნოთ შენ.

როდესაც მიქრი ქართან შესახვედრად, დაუინებით, მარტოდმარტო ებრძვი თვალუნვდენ სტიქიურ ტალღებს, ჩვენ ვადიდებთ შენი მხრების ძალას და დიდებულ ფრთა-იალქნების გაშლას... მაგრამ არც ესაა მთლიანად შენი ბუნება, ჰოი, იდუმალო არნივო, მე შევადღწიე შენს არსებაში და გავიგე შენი მოწოდება! შენ უსაზღვრო ძალა ხარ ზეშთაგონებელი ციფრებისა.

შენი ცდების შეუპოვრობამ, შენმა უზარმაზარმა და თითქოს სულთქმა-შეკრულმა ფრთებმა, მაგარმა ნისკარტმა და მოცახცახე მკერდმა აღბეჭდეს ჩემს მომნიჭებულ ტვინში ღრმა და წარუშლელი კვალი. შენ აქეთ-იქით ეხეთქებოდი ფართო თაღებზე; შენი ფრთებისა გრიგალით გაღვიძებული და მიტაცებული ტაძრის ბინდი გუგუნებდა, და მე არასოდეს დამავინწყდება შენი ცეცხლოვანი გამოხედვა, მოკლე ხრინწიანი ყივილი, ახლად დაბადებული გენიის სევდა და შფოთი, რომელიც აღმოხდა შენს გამომშრალ ყელს.

მე ჩავწვდი შენს დიდებულ გაკვეთილს.

მრავალი წლის მორჩილების შემდეგ თითქოსდა დაგავინწყდა შენი ბორკილი, თუმცა ისევ გახსოვდა ცის უსასრულობა. სული და ესოდენ სრულქმნილი სხეული, თვით ათინაპ

რომ აღბეჭდა თავისი საზომით, ბორკილმა დაგიძიმა, მაგრამ წინასწარ ვგრძნობდი გა-
ურკვეველ იმედს, აღუშფოთებელი სიმშვიდის ქვეშ რომ იმალებოდა.

მაგრამ ჰოი, სწრაფვითა ჩემთა თანაზიარო ძმავ, შენი მდუმარების სასწრაფო კვეთილუ-
ბასა და შენს უჩვეულო კანონს მხოლოდ მაშინ ჩავნვდი ბოლომდე, როდესაც მოწმე გავ-
ხდი შენი მოულოდნელი გაქცევისა!

უჩინებელი

ვინც შენ, უმწეო მართვე, ჩაგიგდო ტყვედ, ეგონათ სამუდამო მტრისადი
მათი, მაგრამ მე ვხედავდი, რა გააფთრებით კორტნიდი და გლეჯდი საძულველ თოკს და
წინასწარ ვიგრძენი ის დღეც, როცა ბორკილთან ერთად ადგილიდან მოისროლე ჯაჭვიანი
ქვა, ბრაზმორეულმა მოანგრეე სახურავის კუთხე და შიშისმომგვრელი სისწრაფით აიჭერ
ცის კამარაში. შენი გააფთრებული ჯანყით აღტაცებული ჩემი გული ანგარიშშიუცემლად
შეიკუმშა და ათრთოლდა შენზე ლოცვით.

რამდენ ხანს ვადევნებდი თვალს შენს ფრენას ქვის ცივი ტერასიდან? არ ვიცი, მაგრამ
დღემდე მიდგას იგი თვალწინ და აღარასოდეს წაიშლება. აი, რა მასწავლე შენ.

შენ გააკეთე მძლავრი ნახტომი და შემდეგ ყოყმანით გაირინდე, ყური მიუგდე საკუ-
თარი სულის ძახილს, და სულმაც შენი სხეული მის ბედს მიანდო. და როცა ქარივით ზე-
მით აიჭერ, ეს იყო შთაგონებული გზა გამარჯვებისა, აღმაფრენამ აგავსო შენ, შენი სული
ვარსკვლავთა შორის ლივლივებდა და შენც მათკენ მიმართე გეზი.

ჩემმა გულმა შენს გულს უხმო, სულ სხვა მზერა, ჩემს მოკვდავ თვალთათვის სრუ-
ლიად უცხო, იშვა ჩემს ცნობიერებაში და უეცარმა ცოდნამ გააცისკროვნა იგი.

ციურ სივრცეთა მათემატიკოსო, მოქანდაკე და ხუროთმოძღვარო, შენ ისეთი სიზუ-
სტიო. მიაპობდი სივრცეს, შენი სხეულის დამტვრეული ხაზებით ისე შეუმცდარად და დარ-
წმუნებით ხაზავდი ვარსკვლავეთის გზას, რომ ბოლოს და ბოლოს სრულიად ძალდაუტანე-
ბლად დაიწყე ლივლივი: შენი ფრენა წმინდა ქვშმარიტებად იქცა.

სწორედ მაშინ იგრძენი, და მეც ბუნდოვნად მივხვდი, რომ ცა უფრო ახლოა შენი ბუ-
ნებისათვის, ვიდრე მიწა.

სამყაროს ძლიერებისა და ჰარმონიის შვილო, შენ გადასცდი იმ ზღვარს, სადაც მინი-
ურ ჩრდილს ჯერ კიდევ გააჩნია მიზიდულობა, და შეუერთდი მარადისობის რიტმს.

არა, ჩრდილი აღარ გიბნელებდა გზას, შენ მხოლოდ ფრთა იყავ სულისა, სივრცითა
და სინათლით გაყლენთილი სულისა.

ზეცამ გაგიხსნა თავისი წიაღი. შენი შეუმცდარი მზერა ისრუტავდა მას და სული შენი
ცოცხლობდა მისით.

შენ ამაღლდი შენსავე ძალისხმევაზე, ეზიარე უსასრულობას და უსაზღვრობამ გაგია
ტაცა ჯადოსნური მწვერვალებისაკენ.

წესრიგის აუმღვრეველმა სინმინდემ, რომელიც სივრცესა და აფრენას შეცნობილმა
შენმა გულმა შვა, სისრულეს მიაღწია.

შენ იყავი წესრიგის ხორცშესხმა, მაღლა რომ მიგაქანებდა. მე თვალმოუშორებლივ
მოგდევდი საღამოს ბინდბუნდში, ჰოი, მფრინავო სამკუთხედო, და ჩემი გულიცემა გეხ-
მიანებოდა!

ვხედავდი შენს ხატებას, ჩემი ცხოვრების დღეების თანამგზავრს, ზევიტკენ გაქანებუ-
ლო მოცახცახე ჩრდილო, რომელსაც კამარიდან კამარამდე და პლანეტადან პლანეტამდე
მიჰქონდა ჩვენი გულების ცეცხლი.

ჰოი, უფროსო ძმავ, ჩემო დვთაებრივო თანამგზავრო მინიერ საპყრობილეში, შენ გა-
ასწარი მინაზე ძლივს მოჩანჩალე ჩემს სხეულს, მაგრამ სული ჩემი შენთან ერთად გაფ-
რინდა!

ხანდახან იგი ჩვენთან ეშვება ისევ და მოაქვს ჩვენთვის ციური ნათების ათინათი, მა-
გრამ შენი ფრთების სიძლიერე რომ მახსენდება, კვლავ მტოვებს და შენთან ბრუნდება...

შავოქმადი ოსტატი

ოსტატი შემოქმედი მარმარილოში გარდაქმნის აზრს, მარმარილო კი ადამიანთა
ემოციებში.

შემოქმედი სარგებლობს ანალიზითა და სინთეზით, თვითნიერი და აქტიურნი რომ ხდებიან მის ხელში. შემოქმედი მთლიანობაში ადუღებს მათ.

ხელოვნება — ეს სულია, სამყაროს მატერიად გარდამქმნელი.

ხელოვნება — ეს ადამიანია, შემაერთებელი სამყაროსა და სულისა.

მაგრამ ესეც არ არის ყველაფერი.

ხელოვნება — ეს მთელი სამყაროა, ერთ ადამიანში განახლებული და აღდგენილი.

მხატვარი უნდა გრძნობდეს ყველაფერს. ჩვენ უძღურნი ვართ ხორცი შევასხათ იმას, რაც უცხოა თვით ჩვენთვის. ჩვენ არ ძალგვიძა შევექმნათ სხვა ადამიანის სახე: ყველაფერს, რასაც ვქმნით, ეს მუდამ და მარად ჩვენი საკუთარი სახეა, გასხვიოსნებული ჩვენი ცოდნით.

დანახვა და სინთეზურად განსახიერება რომ შესძლო სახისა, ჯადოქრის თვალი უნდა გქონდეს, მისი ფარული არსი უნდა შეიცნო, სხვანაირად პორტრეტი მხოლოდ უსიცოცხლო გვამი იქნება.

მთელი ძალა, მთელი ცოდნა და ყოვლის ჩამწვდომი თვალი დასჭირდა ლეონარდოს, რათა მარადისობის საკუთრებად გაეხადა ჯოკონდას ღიმილი. ხელოვნება იბადება მთავარ ნერტილში იქ, სადაც სული და მატერია ერთდება. მისი პოვნა შეუძლიათ ნათელმზილველთ, მარტოსულ მნათობებს, ადამიანის იერით რომ გარიყულან. ბრბოს არ ესმის მათი.

ეს იმათი შუბლია, დახრილი, ჩაფიქრებული, მიწის გამასხვიოსნებელი, ზოგჯერ რომ ბადებს ხოლმე ადამიანთა ამამალლებელ მშვენიერ და უწმინდეს ხელოვნების ნიმუშებს.

სული ბავშვისა და სული მხატვრისა²²

...უნდა დაუბრუნდე სათავეს. დაუბრუნდე გულუბრყვილო მწყემსს. მისი ცოდნა მცირეა, მაგრამ მხურვალე, რამეთუ იცის, რომ მარტოა და თვითონ უნდა ეძიოს შემოქმედების ელემენტები და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა. მისი ძალა მისივე სიყვარულის სინრფელეს ემყარება.

მინდა მოგითხროთ მის ეჭვებსა და შფოთზე: მე გასწავლით იგრძნოთ იმ მძლავრი ქარის ქროლვა, მწყემსისათვის ესოდენ ნაცნობი რომაა.

არაფერია, ჯერ თუ ისევ სიმარჯვე გაკლიათ! იყავით ჭეშმარიტების მგზნებარე მებრძოლნი იყავით გულმართალნი პირველყოფილი ხალხივით და შესძელით მათსავით თაყვანისცემა! დაე, ღრმა იყოს თქვენი სული! კმარა ფაცი-ფუცი, კმარა სამარცხვინო მლიქვნელობა ჩლუნგი, გულგრილი ბრბოს წინაშე, კმარა უპატიოსნო გზით მოპოვებული დიდება!

ვინც ეჭვით თრთის, ვინც დაფიქრებით დაიხვეს უკან, ვისაც არ სჯერა თავისი შრომის, მაგრამ კვლავ და კვლავ იმეორებს ცდას, მხოლოდ ისაა ნამდვილი შემოქმედი!

დაე, გენია დაემსგავსოს ჭირვეულ ბავშვს, გააფთრებული რომ დააცხრება სათამაშოს. ამ ბავშვს ყოველი მხრიდან აჩეჩებენ სხვა სათამაშოებს, მაგრამ მას არც ერთი არ უხარია.

ის იყო პირველი მოძრავი სათამაშო; მან პირველმა მოხიბლა იგი, ბავშვს უნდა ჩანდეს მის საიდუმლოს და დიდხანს ათვალეირებს. ამ სათამაშომ ბავშვის სულში დაივანა დიდი სული აქვს ბავშვს, რომელიც მხატვრის სულს ემსგავსება.

მაგრამ აი, ბავშვმა გატეხა სათამაშო! შენ ჭირვეული და გაუგონარი ხარ, ეუბნებიან მას. ბავშვი კი იმ იდუმალ ხმას აყურადებს, სულში რომ უფლერს. მან დაშალა მექანიზმი და ახლა უნდა გაერკვეს საიდუმლოებაში.

ბავშვმა პირველი ნაბიჯი გადადგა ჭეშმარიტებისაკენ!

კიდევ ბევრჯერ იტირებს საცოდავი! ხანგრძლივი იქნება მისი ძიება. დაფინებული და განმარტოებული მისი ფიქრები, მშობელთა საყვედურის გამომწვევი... მაგრამ იგი ისევ აანყობს თავის სათამაშოს და მისი მონყობილობის არსსაც ჩასწვდება. და ერთ მშვენიერ დღეს ეს მარტოხელა სული ეტყვის თავის თავს, რომ არსებობს ღვთაებრივი თამაშობანი, ელვასავით რომ სჭრის თვალს და, თუკი მათ ეზიარება, შესძლებს მარადიული ამოცანების ამოხსნას.

მაგრამ როცა ბავშვი ნამოიზრდება, მიიზიდავს კი ფუჭი სათამაშო, მოსაწყენი სამუ-

²² 1912 წლის 16 თებერვალს გრანდ შომიერში გამართული საუბრის ნაწყვეტი.

მაო, თუკი ქვემარტივი ხელოვნებით არ იქნება გასხივოსნებული?



მას ეზიზღება უსულგულო მანკეულები სურს შეავსოს თავისი დღეები მშრომითა და სიყვარულით; სურს, მისი ცხოვრების ფესვები ღრმად ჩასწვდეს ადამიანთა არსებობას, მისი ცხოვრების ნათელი შეუერთდეს მზის ნათებას, მისი შემოქმედება ექაყნოსება კეთილისმეტყველი, მოყვარული, ვით მისი გონება და სული დადგება დრეკულად მშრომელის ბავშვი ბლენ პასკალი გახდება.

ასე რომ, ჩემო მეგობრებო, ნუ შეექმნით მარიონეტებს. რაც არ უნდა ცოტა იყოს ქვემარტივად დიდი ქმნილებანი, მაინც ვისწრაფოთ დიადი ნიმუშებისაკენ, შემოქმედებითა ძიებისაკენ ისეთივე პირდაპირობით, როგორც ძალა იბადება ცხოვრების ნიაღში.

მისდევთ ზომებს. ეცადეთ ნახოთ, როგორ შედის და თავსდება გრძელი ძვლების ბოლოები სახსრების ფოსოებში, როგორ და რა მიმართულებით მოძრაობენ ისინი. ყურადღებით დააკვირდით, რა კვალს ტოვებს მათზე ქუნთების მუშაობა. დააკვირდით ჩვენი ცოცხალი ჩონჩხის ძლიერ ბერკეტებს, ასე დამჯერდები რომ არიან ჩვენი გულისა.

ვინ გინდათ თქვენ გამოხვიდეთ? ნუთუ სახარბიელო გგონიათ იმათი ხვედარი, ვინც ამ ზღურბლსაც კი ვერ მიაღწია, რომლის მიღმა შედეგურების მწვერვალებია. ნუთუ გინდათ უყუროთ, როგორ მიაქროდნენ სხვებს ძლიერი ფრთები, როგორ მიაპოვნენ ცის სილამყვარდესა და როგორ უხსნის მადე ცა თავის კარს, თქვენ კი იდგეთ და მათ კვალს გასცქეროდეთ ცივი უკუნეთიდან? ისინი დალივლივებენ დეტალებზე სიმაღლეზე, ქვემარტივებას ადევნებულნი, რამეთუ გენიასაც არ ძალუძს მისი მოხელთება; იგი ბედნიერია. შორიდან თუ მაინც იხილა ქვემარტივება. ხელოვნება იბადება იე, სადაც მოკვდავი წინასწარ გრძნობს უკვდავებას...

ხელშეწყობა და სამყარო

...ხელოვნება სულაც არ არის აჩქარების ნაყოფი. იგი უსასრულო და გორბი სიხარულია, რა საჭიროა სულმოუთქმელად შეება სამუშაოს, თუ არ შეიგრძნობ მას სულში? მხოლოდ მაშინ ღირს ხელი მოჰკიდო სამუშაოს, როდესაც შენში შეიგრძნობ შენოემუდების ჩანასახს. ხელოვნება მთელ ჩვენს სიკოცხლეს მოითხოვს, მშვენიერება გვაძლავს და სევდიანად გვაფსებს. წინასწარმეტყველი ღარიბიცაა და მდიდარიც ერთდროულად; ის ბედნიერიცაა და დათრგუნულიც. ეგზომ უსაზღვროა ქვემარტივების შეცნობის სიხარული, რომ იგი უდიდეს მწუხარებასაც იტევს.

ჩვენ არარაობამდე პატარები ვართ სამყაროს ძალთა წინაშე და მაინც... დიახ, ჩვენ შევიცნობთ თვალუწვდენელი ცის დიდებულებას, ნეარიგისა და პარმონიის სიმბოლოს. მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული ცა გადმოგვეყურება. იგი არც ლურჯია, არც ნაცრისფერი, არც შავი, ჩვენი ცა — ეს ჩვენი შინაგანი სამყაროა, რომლის შეცნობა მაინც არ ძალგვიძს ზოლომდე.

ხელოვნება ბუნების მსგავსია. იგი აღსავსეა უბრალოებით. სირთულე კი ჩვენშია განსხვავებული. მშვენიერების ყოველი მსახური თავის სამყაროშია ჩაკეტილი და ეს გარდაუვალიცაა. რომ უფრო ნიუახლოვდეს ბუნებას, მხატვარმა უნდა შეინარჩუნოს ან შეიძინოს სიხადავე, უბრალოება, სხვანაირად იგი მწვედარია ხელოვნებისათვის.

ყველაფერი, რაც არ გამომდინარეობს ცხოვრების მბრძანებლური აუცილებლობიდან შორდება ქვემარტივებას და მხოლოდ ზიანი მოატევს ქვემარტივების მადიებლისათვის. რომ დაენათესაოს ბუნებას, მისი ცხოვრება უნდა იყოს ქვემარტივი, სულიერად სავსე და ფრიალსა და უბრალო.

იცხოვრო და სულში ენო შემოქმედებას — ესაა ყოველი შემოქმედების საწყისი. და თუ სიკოცხლე გასხივოსნებული არ არის შინაგანი სინათლით, რის ნაქნისია ხელი მოჰკიდო ფანქარს, კალამს თუ საჭრეთელს — ქვემარტივება მაინც მიუღწეველი დარჩება.

წიგნი, ტილი თუ მარმარილო მხოლოდ და მხოლოდ სულის განმსმენელი ტანჯვის დაუღალავი შრომის უტკბესი ტანჯვის ფასად იძენს სილამაზეს.

თუ ხელი არ ქცეულა სიყვარულის იარაღად, მასალა ყრუ რჩება მისადმი.

23. კრანდ მომიერში 1914 წლის 9 იანვარს გამართული საუბრის ნაწყვეტი.

ხე, ბრინჯაო, მარმარილო და ქვა მხოლოდ მაშინ გასულდგმულდება, მხოლოდ მაშინ იქცევა ხელოვნების ქმნილებად, როდესაც მათ წინამძღვრობა წმიდათბნშიდა წესრიგი ყოველი ქეშმარიტი მხატვარი წმინდანს წააგავს თავის ხელოვნებაში.

მე უკვე ვითხარით, რომ მხოლოდ ყველაზე მორჩილნი, თავმდაბალნი აღწევენ ქეშმარიტ მწვერვალებს... ხოლო ვისაც ჰგონია, ცოდნას, ქეშმარიტებას დაკუთმდეო, ზღუდავს თავის სამყაროს, კედელს აღმართავს შინაგანი ხედვის წინაშე.

მე თქვენზე უფრო შორს მივდივარ ჩემს ძიებაში, ვინაიდან არპოვნის შემთხვევაში თქვენზე უფრო ვიტანჯებოდი.

დაე ბუნება იყოს ჩვენი დაუშრეტელი წყარო: მხატვარი უნდა გამოვიდეს თავისი შინაგანი სამყაროდან. რათა შეიცნოს თავისი თავი ბუნებაში, მეტადრე კი იმისათვის, რომ უზიაროს თავი ბუნებას.

გვახსოვდეს, ჩვენი შემოქმედება, უწინარეს ყოვლისა, ჩვენივე თავის ანარეკლია. და ჩვენი ქმნილებანი დამოკიდებულია იმაზე, რა სიმაღლესაც ჩვენი სული წვდება.

რა დიდხანს ვფიქრობდი ამის თაობაზე, ვერა და ვერ ჩავჭიდებოდი მთავარს, გამბავებული შევებმოდი ხოლმე სამუშაოს, ჩემივე სუნთქვით ვწვავდი, ვლანძავდი. ჩემი ფოლადის დანა ანამებდა უდანაშაულო, სანყალ თიხას, ვსერავდი და ვჩხვლეტიდი მას, ხშირად მიტირია, მარტოდმარტოს და გაუბედურებულს ჩემს ლარიბულ სახელოსნოში. მიტირია, როგორც ბავშვს, რომელსაც ჰგონია, რომ ჩიხში მოექცა.

არავინ მითხრა: „დატოვე სამუშაო, დაისვენე, ნადი ხალხში, ქუჩაში. ყოველივე ეს გაგიმდიდრებს და აგვისებს სულს...“

იმხანად ჩემში თითქოსდა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პიროვნება, ორი ანგელოზი ცხოვრობდა და მათი ჭიდილი გულს ორად მიბობდა.

ერთი მათგანი მძლავრი ფრთებივით ქარიშხალივით მეჭრებოდა სულში. იგი მგზნებარე მქოცნებედ მხდიდა და მეც ვოცნებობდი სამყაროს დამამარცხებელ გიგანტებზე.

მეორე ჩემს წიაღში იმალებოდა და დაჟინებით ჩამძახოდა: „ამოიცან, ჩასწვდი საიდუმლოს, შეიშენე, ვიდრე მწვერვალებს მიაშურებდე. გაიგე, საით მიილტვის შენი გული. იანავლე უმცირეს ბალახის ღეროშიაც კი დაინახო ღმერთი და სამყარო და მხოლოდ მაშინ შეიძლება განსახლვრო შენი მიზანი“.

ეს სიტყვები ჩემი გულის სიღრმიდან მოდიოდა. დღეს ჩემი ორი ანგელოზი იცნობს ერთმანეთს. ისინი განუშორებელნი არიან. უკვე აღარ მანვალებენ. მათ მომმადლეს თავი-მათი უშფოთველობა. ისინი შეერწყნენ ჩემს მუშაობაში.

ამ დროს მესამე ხმაც ჩამესმოდა, ის მკაცრად ჟღერდა და უცხო იყო მორალისათვის, რადგან ეს ხმა ბორცის ხმა იყო. მე ვიყავი კეთილი და გულუხვი, მე ვიყავ თითქოს ნაზი, ნორჩი; ხე, რომლის წვრილი ტოტები ვერ უძლებენ მრავალხმოვან, ონავარ, შლეგ ჩიტთა საშიშებს და იმსხვრევიან. დიდებული ვარჯი კი მალავს ცხოვრების მრავალფეროვნებას. მაგრამ ვადის დრო, მკაცრი გამყინავი ქარი ფოთლებს აცლის ხეს და შიშველ ხელებს ტოტების ანარე ტოვებს.

ისე და აშგვარად, ჩემო მეგობარო-მოქანდაკენო, მე შევიძინე ცოდნა და გავთავისუფლდი საკუთარი თავიდან, მივედი ადამიანთა ცხოვრებამდე...

ჩემი შემდგომი მსჯელობა უცბად ვერ დაგარწმუნებთ, რამეთუ გაცილებით ძნელი ვასარკვევია, ვიდრე ჩემი შემოთქმული სიტყვები. ბევრს მიაჩნია, თითქოს ადამიანი და მისი ქმნილება ორი ძალა იყოს ერთი და იკივე ინდივიდის ერთიმეორისაგან განსხვავებული და განცალკევებული გამოსახვა. ეს არ არის მართალი, ასეთი შეხედულება მაშინ შეიძლება გვეჩვენოს სწორად, როდესაც მხატვარი მხოლოდ ამზადებს და გვიჩვენებს იმ მასალას, რომლის სინთეზიც შემდგომში უნდა განახორციელოს. მაგრამ ამ სინთეზის გაწორციელების ხანს, თქვენ, ჩემო მეგობრებო, დარწმუნდებით, რომ ადამიანი და მისი ქმნილება ერთიანი და განუყოფელია...

თუ მოქანდაკე ესწრაფვის სამუშაოს მრავალნახნაგოვნად და სრულყოფილად შესრულებას, თუ მას სურს ააგოს ისინი შინაგანი ხმის კარნახით, სამყაროს მთლიანად ქეშმარიტებასა და მისი სულის თვისებებზე დაყრდნობით, იგი უნდა ეზიაროს სამყაროს სულს... დაე, თქვენი სული და გულიდან სიყვარულის ძაფები გაიბას სხვა ადამიანების სულსა და კულტურას და მაშინ მასალა თქვენს ხელში, გრანიტიც და ბრინჯაოც, მარადისობის ნიშნით

მე ვმუშაობ მთელი ჩემი სიცოცხლე, ოცდაათი წელი მღრღნიდა ჩემი ძალებს შიში და ეჭვი, ბევრჯერ სასონარკვეთილებაც მეუფლებოდა, მაგრამ ვაჟკაცობა არასოდეს დამიკარგავს, გაუსაძლისმა შრომამ გამტეხა და სიკვდილი მომიახლოვა, მაგრამ ჩემმა ნებისყოფამ განდევნა იგი. მე ვიყავ გათელილი, როგორც გზა, რომელზედაც მთელი ქვეყანა გაიარა, მაგრამ გავუძელ.

ნებისყოფა არასოდეს მლაღატობდა. გაუთავებელმა შინაგანმა ჭიდილმა დამაუძღურა, მე შევიცანი მთელი სიღრმე ტანჯვისა, მაგრამ დავძლიე ავადმყოფობა და დაღლილობა. ჩემი დაუძღურებელი სხეული უკვე აღარ ემორჩილებოდა ნებისყოფის ხმას; მაშინ გონებას და სულს მომიწოდა სიცოცხლისაკენ...

მე არა ვარ ექიმი და არა ვარ გარკვეული ამ ამბებში, მაგრამ ჩემი სულიერი გამოცდილებით გეუბნებით: მატერია მრავალფეროვანია. ის არის ხილვადი ნატურა, მისაწვდომი შეგრძნების, სმენისა და ხედვისათვის. არის მოდელები, არის ნახატი და ფერი.

მაგრამ ყველაზე დიდი და არსებითი სულია.

აამაღლებთ სულს და თქვენ აამაღლებთ სიცოცხლეს, სიღამაზეს, სიკეთესა და სიმართლეს. ეს კი ყველაზე მთავარია...

ხალხვნება იზრდება და დიდდება, როდესაც ერთი „მე“
კვდება და მას მერე „მე“ ენაცვლება...²⁴

ხანდაზმულობის უამს დაგვფარფატებენ წარსულის მორთოლვარე ანარეკლები. ნუ დააფრთხოთ მათ.

ყველა ჩვენგანში ცოცხლობს ადრინდელი იერსახის აჩრდილი. ადამიანს კვლავ უნდა დაინახოს თავისი თავი წარსულში, რამეთუ ჩვენ მუდმივ ცვალებადობაში ვართ და გვახსოვს რაოდენ ბევრი ჩვენი „მე“ მიიცვალა.

განა რას შეუძლია ისეთი ტკბილი ძილის მოგვრა, როგორც ქრიზანთემების სურნელს.

სიბერეში ბევრი განშორება განვიცაადე.

მეც ვფიქრობდი ტლანქად გათლილ ყუთებზე, რომლებსაც კუბოს ვეძახით და როცა მარტოობაში ვფიქრობდი მუდმივი განშორებისათვის შეჭედულ ამ ერთ ნიჭიერ ფიცარზე, უფრო ღრმად ჩაწვდი უფსკრულს, რაიც კაცთა სურვილებისა და ბედ-იღბალს შორის დევს. სიკვდილი სინთებს გვაზიარებს.

სული ხშირად მძიმე ყუთს მიაგავს, რომელშიაც გაცილებით მეტი ჩრდილებია მიმალული, ვიდრე ყველაზე დიდ აკლდამაში.

რამდენი მეგობრული ხელი გამომიწოდეს სიბერეში!

მაგრამ ვისი წყალობით მოხდა ეს?

ოი, ბედ-იღბალს, გვამცნე შენი კანონები, გვამცნე საითკენაა მიმართული შენი გზა. შეიყვარე, იტანჯე, მოკვდი, — აი, უდიდესი სკოლა.

სწრაფად მიქრიან სივრცეში სიბერის წლები, უფრო სწრაფად, ვიდრე სიყრმისა და მოწინააღმდეგის.

არავინ იცის რატომ და რისთვის.

გაიგებს კი ვინმე ამას?

ჩემს შემოქმედებაში ორი ძალა მოქმედებს: მთები და ზღვა.

მაგრამ არავინ იცის ზუსტად, რა არის დრო და სივრცე, რა არის მანძილი.

ოი, პროპორციავ, შენ ღვთაებრივ მადლად რჩები მარად და მარად.

ჩვენ შევიგრძენით მრავალი განშორებები, მერცხლების ჭუნდი ფარავდა ზეცას.

ამბობენ, ისინი კვლავ დაბრუნდებიანო.

ჩვენი ხანდაზმულობის უამს მიფრინავს ჩიტი ჩვენი სახლისა, თუმცა ფრონტონივით გვიტოვებს კარზე თავის ბუდეს, და შესაძლოა ისევ დაბრუნდეს.

²⁴ გრანდ შოპიერში გამართული საუბრის ნაწყვეტი, რომელიც მოეწყო 1911 წ. მარტში, ბურდელის დაბადების ორმოცდაათ წლისთავამდე რამდენიმე თვით ადრე 1925 წ. კლოდ აველინმა ეს ტექსტი ჩართო ცალკე ბროშურაში, რომელიც გამოვიდა სახელწოდებით: Antion Bourdelle. Trente Jurnees du grand travail.

მაგრამ მოვესწრებით კი ამას? მარტო დროს ძალუძს ამის ამოცნობა დაბადება და სიკვდილი, წასვლა და დაბრუნება გადამხარტულნი არიან და ანონასწორებენ ცხოვრების დინებას, ჰარმონია აღსავსეა ტრაგიკული ყვავების მთელი გუნდი ეშვება ამ სტრიქონებზე და მელახეჩეჩეჭეჭეჭე ისე შავი, როგორც მათი გაფრენა.



სიბერის დროს წყვდიადი ბნელსა ჰფენს დღის სინათლეს და ბუქ-ჩრდილები გადაიხსნება ჩვენთვის. წყვდიადი — იმედია, სინათლე — ჩვენი სულის მღელვარება და შფოთი.

ქანდაკებათა შორის ჩვენს სახელოსნოში ირევა წარსულის დღეები. ყველას ჩვენკენ აქვს მოპყრობილი მზერა, თითქოსდა კითხვის გამომხატველი, და არცერთი სახე არა ჰგავს მეორეს.

რა გინდათ ჩემგან, გარდასულ წელთა აჩრდილნი? განა მე კი ვუნცი, ვინა ხართ, ან რა ვიცი მტკიცედ, გარდა იმისა, რომ არაფერი ვიცი?

ახლა, ჩემი სიცოცხლის ხანგრძლივი შრომის შემდეგ, ძლიერსძლივობით ვარჩევ ყოველი გაფრენილი წლის სახეს.

ნუ დააფრთხობთ მათ!

წარსულის მოცინარე თუ დაღვრემილი აჩრდილები ტრელ ბრბოდ ერწყმიან ერთმანეთს.

ისინი შეშფოთებულნი იცდიან, სჯერათ, ვიპოვი ჭეშმარიტებას. მე ვთრთი, ვკანკალებ. ხომ არ მეშინია შენი დაჭერისა, მგზნებარე ჭეშმარიტებაე?

წარსულის გაციებულმა ფერფლმა დაფარა ჩვენი ცხოვრების ყვავილები.

მათ სურნელს სიმწრის გემო აქვს, თუმცა რად, რისთვის? სად თაფლი და სად სიმწარე?

მე ჩემი სულის წიაღ მივაქციე მთელი ჩემი ბალი, ყველა ნაყოფი. მე შევისრუტე სული ყველა ქალისა და ხელოვნება სიყვარულიდან გამოვაქანდაკე.

ყველაფერი ეს ცოცხლობს ჩემს ხელებში. ნუთუ ეს ცოდნა ოცნების ფერფლად გადაიქცევა? მოი, არა, რადგანაც „ხელოვნება იზრდება და დიდდება, როდესაც ჩვენი „მე“ კვდება და მას მეორე „მე“ ენაცვლება...“





გოეთეს „ვერტერი“¹

გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ღვინევაძემ

3ვერტერი¹. ანტ სრულად „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანება“ გოეთეს მთუტაა ყოყღასმომცველი და ყველაზე სენსაციური წარმატება. რომელიც მას როგორც მწერალს, თავისი ცხოვრების მანძილზე განუცდია. ფრანკფურტელი იურისტი სულ 24 წლისა იყო, როცა ეს, მცირე მოცულობის, მსოფლმხედველობრივად და ცხოვრების ცოდნის თვალსაზრისითაც უმარტივესადაც შეზღუდული, მაგრამ ფეოქებოდ სულისკვეთებით უჩვეულოდ დამუხტული ეპისტოლიარული რომანი შექმნა. ეს მხოლოდ მეორე მოზრდილი ნაწარმოები იყო; მას წინ უძღოდა გერმანიის რაინდული წარსულის ამსახველი, შექსპირული დრამა „გოც ფონ ბერლიხინგენი“, რომელმაც ვნებათაღელვის ძალითა და სითბოთი, ისტორიაში ინტიმისა და სიკოცხლის შთაბერვის თავისებური მანერით ლიტერატურული სამყაროს გულისყური ახალგაზრდა ავტორისაკენ მიაპყრო. „ვერტერი“ კი ამავე ავტორს სრულიად სხვა ეუთხიდან წარმოაჩენდა და თავისი ზემოქმედებითა და ბასიით სავსებით განსხვავდებოდა პირველი ნაწარმოებისაგან. იმ წიგნის წარმატებას, ცოტა არ იყოს, სკანდალური ხასიათიც ჰქონდა. გრძობათა საკუთრივ მისეულა, განმაიარაღებელი და დამანგრეველი ძალით მან ზნეობის დამცველთა შეშფოთება, ხოლო მორალისტებში შიში და აღშფოთება გამოიწვია. მათი აზრით, წიგნი მაცდუნებელად ასხამდა ზოტბას თვითმკვლელობას. მაგრამ სწორედ ამ თვისებებმა განაპირობეს აღტაცების ქარიშხალი, რომელმაც ყველა საზღვარი გადალახა: მთელი მსოფლიო ბანგივით შეიპყრო სიკვდილის ნეტარებამ. რომანი

ნაპერწყალივით იყო, რომელიც საკმარისია დენთიან ქასრში მოხედეს, რომ უეცარი აფეთქება გამოიწვიოს და უზარმაზარი საშიშროების ენერგია გაათავისუფლოს.

რა თქმა უნდა, ახლა იოლი როდია იმ აუღიერი მდგომარეობის გაანალიზება, რომელშიც მაშინდელი ევროპის ცივილიზაცია იმყოფებოდა. ისტორიული თვალსაზრისით ეს იყო კატასტროფის წინა პერიოდი, რომელიც გაუგონარი განხლების მომტანი საფრანგეთის რევოლუციის დაწყებას უძღოდა წინ, ხოლო კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ეს იყო — რუსოს მეოცნებე-მეამბოხე სულით აღბეჭდილი ეპოქა. ცივილიზაციით გამოწვეულმა მოყირჭებამ, გრძობათა ემანსიპაციამ, ბუნებაში დაბრუნების აფორიაქებულმა სწრაფვამ, გაქვავებული კულტურის ბორკილების მსხგრევის სურვილმა, ბურჟუაზიული შეზღუდვებისა და პირობითობის წინააღმდეგ ბუნტმა — ერთბაშად აიწყვიტა პიროვნების თავისუფლებისათვის საბრძოლველად, სიკოცხლის თანტასტიკურა, დაუოცებელი ეანი კი სიკვდილისაკენ ლტოლვად გარდაიქმნა. გზა მიეცა მელანქოლიისა და ცხოვრების ერთფეროვანი რიტმით შობილ მოყირჭებას: „მსოფლიო სევდად“ წოდებულ მოძრაობას გერმანიაში აღიერებდა გატაცება ე. წ. სისაფლაოს პოეზიით, რომელიც მაშინდელ ინგლისურ ლიტერატურაში იყო გამეფებული. თვით შექსპირს ედო წილი ამაში. ახალგაზრდობის სული და გონება პამლეტსა და მის მონოლოგებს, ოსიანის შემზარავსა და პირქუშ, სტიქიურ პეროიკას დაეპყრო. 1

სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობა თითქოს იდუმლად და შეუცნობლად ელოდა ქურკიდევ სრულიად უცნობი ახალგაზრდა გერმანელი ბიურგერის ნაწარმოებს, რომელიც ქვეყნიერების ფარულ ლტოლვას მისცემდა გეზს—

¹ წერილში გამოყენებული ციტატები თარგმნილია ჩვენ მიერ (რუსულდან ღვინევაძემ)

ტყვია მიზანში, მოხვდა, ეს იყო მაგიური სიტუაცია. არსებობს ლეგენდა, რომ თითქოს დიდი ხნის შემდეგ ვაიმარში ჩასული ინგლისელი ახალგაზრდა გოეთეს დანახვაზე გონწასული დაცემულა ქუჩაში — „ვერტერის“ ავტორის ცოცხლად ხილვა მის ძალას აღმატებოდა. მოგვიანებით „ვერტერის“ გაუგონარი წარმატების გამო თვით გოეთე ერთ ენციკლოპედიურ ეპიგრამაში წერდა:

შბაძავს ჩემი გერმანია, საფრანგეთიც, მეტრუის, თვით ინგლისმაც გამოიღო სიყვარული ხარკად. მაგრამ რა, თუ ვერტერის და ლოტეს წმინდა სახე შორეულმა ხატაელმაც კი იწამა ხატად.¹

წყვილმა იმთავითვე კლასიკური პოეზიისათვის ლეგენდების მიჯნურთა გვერდით დაიმკვიდრა ადგილი: ლაურასა და პეტრარკას, რომეოსა და ჯულიეტას, აბესალომსა და ელიზას, პაოლოსა და ფრანჩესკას გვერდით. ყველა ქაბუკი ასეთ სიყვარულზე ოცნებობდა, ყველა ქალიშვილი — ასეთ თავყანისცემაზე. ახალგაზრდობის მთელი თაობა ვერტერში ბედავდა თავის სულიერ ხატს. მეოცნებე იერით დააბიჯებდნენ ქაბუკები იმგვარ ცისფერ ფრაკში, ყვითელ ქილეტსა და შარვალში, თვითმკვლელობისათვის განწირულ გმირს რომ ემოსა რომანში. მიმბაძველობა, მელანქოლიური განწყობილება უკიდურესობას აღწევდა: გაბნეობა და თვითმკვლელობა, რაც დაუფარავად მეტყველებდა „ვერტერის“ გავლენაზე და, მორალისტების აზრით, ამ დამაქცევარი წიგნის ავტორის სინდისზე იყო. მაგრამ გამმაგებულ ქაბუკებს ავიწყლებოდათ, რომ თვით „ვერტერის“ დაწერს, თუმც ასეთი სიცხოველით აღწერა თვითმკვლელობის გადაწყვეტილების მომწიფება ქაბუკურ გულში, თავად არამცთუ თავი არ მოუკლავს, არამედ შემოქმედებითი წვის გზით სძლია მოძალებულ სევდას და გათავისუფლდა მისგან; მოგონებებში გოეთე საინტერესოდ აღწერს თითქმის გროტესკულ განსხვავებას იმ განსაკუთრებულ ძალასა და უკუშეგავლენას შორის, რაც „ვერტერმა“ ერთის მხრივ პირად მის ცხოვრებასა და მეორეს მხრივ — საზოგადოებაზე იქონია.

ავტორმა თავად გამოიარა ყოველივე, რაც მის თაობას ტანჯავდა და აძაბუნებდა, თვითმკვლელობის აზრი, ცხადია, მისთვის უცხო არ ყოფილა და რამდენჯერ ასრულებაც კი უცდია. „პოეზიისა და სინამდვილეში“ იგი მოგვითხრობს — „ვერტერის“ დაწერამდე — როგორ ლამობდა ყოველ საღამოს, ვიდრე სინათლეს ჩააქრობდა, ერთ გოჭზე მაინც ჩაესო მკერდში მახვილის წვერი, რაკი ეს ვერ მოახერხა. ხელი

ჩაიქნია და თვითმკვლელობაზე ფიქრიც უაუბლო. მაგრამ გრძნობდა, ეს ქაბუკი მანამ არ მოასვენებდა, ვიდრე თავის მხრელურ ვალს არ მოიხდიდა და განცდილს სიტყვის სამოსელში არ მოაქცევდა. ეს განუწყვეტელი როგორც გოეთე უწოდებს, „განუწყვეტელი მტკიცებობა“ იყო სწორედ „ვერტერი“. ნაწარმოების დამთავრებისთანავე ისეთი შვება იგრძნო, თითქოს ხელახლა დაიბადა. მაგრამ თუ სინამდვილის პოეზიად გარდაქმნამ თვით მწერალს გონი გაუნათა, სხვა ყმაწვილკაცებს თავგზა აუბნია — მათ გადაწყვიტეს პოეზია ექციათ სინამდვილედ და მიებაძათ რომანისათვის, რაც უმეტესად თვითმკვლელობაში გამოიხატებოდა. ამრიგად, უაღრესად მავნებელი იქნა შერაცხული ის, რამაც თვით მწერალზე ესოდენ გამამართლებლად იმოქმედა.

გოეთე სიცოცხლის აღსასრულამდე ამაყობდა თავისი ახალგაზრდობისდროინდელი ნაწარმოებით და „ფაუსტთან“ ერთად მას თავის ყველაზე დიდ დამსახურებად მიიჩნევდა. „ენციკლოპედიაში“ ასაკში „ვერტერი“ დაწერა, — ამბობდა მოხუცი პოეტი, — ის ჯაბანად არ ითქმის.“ მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი — ნაპოლეონთან ერფურტში შეხვედრა — ვერტერთანაა დაკავშირებული. იმპერატორს ეს პატარა რომანი სულ ცოტა შეიძვერწაუჭიბხავს, ეგვიპტის ლაშქრობაშიც თან უახლებია და იმ ცნობილ აუდიენციაზე კარგა ხანს ეკამათა პოეტს. დღეგრძელ შემოქმედს არასოდეს უარუყვია ეს ახალგაზრდული სახე, აზრთა ასეთი სხვადასხვაობის წყაროდ რომ იქცა, მისი აჩრდილი ძმასავით მუდამ თან სდევდა და სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში, როდესაც ახალგაზრდა ულრიკეს წყალობით ერთხელ კედევზიარა ტრფობის ტკბილ-მწარე განცდას. ლექსში „ვერტერისადმი“ მსუბუქი ირონიით აღიარა ძველი გატაცებებისაყენ მიბრუნება.

გოეთეს იდილიურ-ტივილიანი სიყვარულის ამბავი ვეცლარელი მოხელის მომხიბლავი ასულის — ლოტე ბუფისადმი, რაც „ვერტერს“ დაედო საფუძვლად, ისევე გახმაურებული იყო როგორც თვით რომანი და მართებულადაც, რადგან წიგნის მოზრდილი მონაკვეთები სავსებით ემიხვეოდა სინამდვილეს, ერთგულად იმეორებდა მას. 1772 წელს ოცდასამი წლის გოეთე რაინისპირა პატარა ლამაზ ქალაქში ჩადის მამის მითითებით, რომელსაც სურდა, იურისპრუდენციის ახალბედა დოქტორს საიმპერიო სასამართლოში მიეღო პრაქტიკა. თვით გოეთეს კი სულ სხვა ინტერესები ამოძრავებდა: ჰუმანიტარული მეცნიერებანი, პოეზია, ცხოვრება, და

¹ თარგმანი ნანა ღვინეფაძისა.

ბსლევდა კიდევ მათ, ხოლო სასამართლოში
 ითქმის არც ჩნდებოდა ვეცლარის ქუჩაბანდ-
 ბი ვიწრო და ქუჩუციანი იყო. მაგრამ შემოგარე-
 ნი — მშვენიერი: მაისი იღვა, ყველაფერი ყვა-
 იდა და „უქნარა“ პოეტმაც მალე შეიგულა
 საყვარელი ადგილები წყაროებთან, ნაკადულებ-
 თან თუ რომანტიულ გადასახედებზე, საიდანაც
 თვალწარმტაცად იშლებოდა ლანის ველის ხე-
 ლი; იქ კითხულობდა თავის საყვარულ ჰომე-
 რისსა და პინდარეს, კამათობდა მეგობრებთან,
 სტავდა, ფიქრობდა. სოფლის ახალგაზრდობის
 ღვსასწაულზე გოეთე ხვდება ცხრამეტი წლის
 ლოტეს, რომელიც დაქვრივებულ მამასა და
 ჰრავალიცხოვან და-ძმასთან ერთად ე. წ. გე-
 რმანელთა ორდენის სახლში ცხოვრობს. იგი
 ნაზია, ქერათმიანი, ცისფერთვალია, მზიარული
 და ბეჭითი, არცთუ დიდად განათლებული, მა-
 გრამ საღი გონითა და ფაქიზი გრძნობით დაჯი-
 ლდობული; თან ბავშვური, თან სერიოზული,
 რადგან დედის გარდაცვალების შემდეგ მას
 უბდება უმცროს და-ძმებზე ზრუნვა და მეურ-
 ნეობის გაძღოლა. გოეთემ იგი პირველად დღე-
 სასწაულზე წასვლის წინ იხილა თავის ეზოში;
 ლოტეს ვარდისფერი არწივებით გაწყობილი თე-
 თრი კაბა ეცვა და გარშემოხვეულ და-ძმას სა-
 მარის პურს უნაწილებდა — ეს აცენა მთელი
 სიზუსტითაა უკვდავყოფილი „ვერტერში“ და
 საბავთი ხელოვნების მრავალ ნაწარმოებშიც
 აისახა. გოეთემ მთელი საღამო მასთან გაატარა
 მეორე დღეს ისევ ეწვია და, ვიდრე შეიტყობ-
 და, რომ ლოტე დანიშნულია, მოასწრო მისი თა-
 ვდავიწყებამდე შეყვარება. ეს ამბავიც მალე
 გაიგო. საქმრო ჰანოვერის საელჩოს მდივანია —
 კესტნერი, ერთი უჩანო კაცი, რომელსაც გულ-
 წრფელად უყვარდა ლოტე და ისიც მიმნდობი
 გრძნობით პასუხობს. ეს არაა ვნებიანი ტრფო-
 ბა. არამედ მშვიდი, ამავე დროს ნაზი ორმხრი-
 ვი სიზპათიაა, რასაც საფუძვლად უდევს ფიქრი
 სკრთო მომავალზე, გონივრული მიზნები, ფი-
 ქია ოჯახზე. ორთავენი იმასლა ელიან, როდის
 შეეკმნება საქმროს ქორწინებისთვის აუცილე-
 ბელი პირობები.

აი, ამ ურთიერთობაში იჭრება გოეთე, როგ-
 არც შესამე პირი; ახალგაზრდა წყვილისათვის
 აი აღფრთოვანების საგანი და გულით საყვა-
 რელი მეგობარია—პოეტი, გენიოსი, ერთგული
 და წრფელი, მაგრამ ამავე დროს გაუტანელი
 და ცხოვრებისეული თვალსაზრისით, გრძნობა-
 ვანტია არშიყი, რომელმაც ეს-ესაა უღალატა
 ზრედერიკე ბრიონს, მიატოვა იგი, რადგან
 ქორწინების ბორკილმა შეაშინა. ეს ის ახალგა-
 ზრდა დემონია „ფაუსტში“ თავის თავზე რომ
 მბობს:

„მე ხომ ვეცლავ ლტოლვილი ვარჩნდი!
 ვითარც უმხგავსო აღმირი
 ქვეყნად უმიზნოდ დავეხეტები.“

ერქმეული

ფრიად მომზიბელეღი **ერქმეული** შეყვარე-
 ლი, მაღალნიჭიერი, მახვილგონიერი და სიკეთე-
 ცხლით აღსავსე, მგზხეობარე, გრძნობიერი, და
 უდევარი და სევდიანი, მოკლედი, ღუცხაური, მა-
 გრამ მომზიბელელი. სასიძო-საბატარკლოს, პ-
 ლოტესა და კესტნერს — ძალიან უყვარო, მა-
 გშვებაც ძალზე მეუყვარდათ, და ასე ატარებ-
 ენ იშვით, ხეტარ, მაგრამ საბოლოათ ზაფ-
 ხელს სანნი, ხშირად ორნიც, რადგან კესტნერს
 სამსახურებრივი საქმეების გამო კოვერდებს
 არა აქვს მათთან ყოფნის საშუალება: და ვილა-
 რე ის ელჩთან ერთად ქალოლდებს უკარკიტებს,
 გოეთე, რომელსაც საკმაო მოკალენბა აქვს მის
 საცოლეს გვერდიდან არ შორდება.

ეხმარება ქალს შინამეურნეობაში, ბაღჩაობა
 სტანში, ერთად კრეფენ ხილს, აღებენ კერკას
 გოეთეს დიდი უპიროატესობა აქვს საქმეში, მა-
 ფულულ საქმროსთან შედარებით — დაფიფ-
 ფალი და უზრუნველი მუღამ ლოტეს გვარ-
 დითაა, აღარაფერს ვამბობ მისი გეხიალდობ-
 ახალგაზრდული პიროვნების უპიროატესობებზე.
 რომელთანაც კესტნერის — ამ ერთი კეთილსი-
 ნდისიერი მოზელის შედარებაზე ლამიარკიც ი-
 ზედმეტია. ლოტესაც, ცხადია, მეუყვარდა, მა-
 გრამ გონიერ, ჭკვიან გოგონას ებზოდა, რომ უ-
 და მოეთოჯა თავისი გრძნობები, ისევე როგ-
 ორც ეხერხებოდა ვიყის ცვალებადი, ხშირად
 დაუფარავი ვხებების კალამოტში ჩაფხვება და
 ზომიერების ფარგლებში მოჭკეყა, ეოველ წე-
 მთხვევაში. ემეტესად, ერთხელ, კოლონიაში,
 გოეთემ თავი ვერ შეიკავა და აყოფა ვაჟის
 ლოტე საშინლად განრისხდა და ამ დატოვებ-
 ბია თავისი დახიშნულისთვის შეეხილდა, თუ
 აღსარებად ეთქვაა ყოველივე ერთი სიტყვათ,
 გადაწყვიტეს, უფრო მკაცრად და კიკვად მომ-
 რობოდნენ, მითუშეტეს, რომ უკვე მათქმ-
 თქმაც ატეხილიყო ამ უცნაურ ურთიერთობაში,
 კესტნერი, ცოტა არ იყოს, გაბაწყუნებულყოფი-
 მაგრამ გაბრაზებაც არ შეეძლო. ლოტემ შეე-
 ცოდეს თავზე საზარება წაიკითხა, ვრთხელ და
 სამუღამოდ აუბსნა, რომ ვაჟს მისგან მეგობრო-
 ბის გარდა არაფრის იმედი არ ჰქონოდა. წე-
 თუ ეს არ იყოდა? ასე რამ დააღონა? წე-
 კეთილი ჰანს-ქრისტიანისათვის საცოლოს მარ-
 მევა და მითვისება განუზრახავს, როგორც უკვე
 ფიქრობდნენ ზოგიერთები? ცხადია, არა, თუ-

1 „ფაუსტი“, I ნაწ. თარგმანი დავით ონი-
 შვილისა.

დაც სინდის-პატიოსანების გამო და არა მარტო სინდის-პატიოსანების „თამედ იმეტიმაც, რომ შიშის სიკვარული მოკლებული იყო ექსტერიაზე და მკურნალის საფუძველსა და მიზანდასახულობას, ეს იყო წარმავალი გრძობა. უაზრო გატაცება, რომელიც მომავალ ხაწარმოებს უნდა დასდებოდა საფუძველად.

დანიშნულები თანაფგრძობდნენ სყვარელი მეგობრის ამ უგებათა დღეულისა და უსაზღვრო ტანჯვას. თაყისებურად ცდილობდნენ კიდევ, ენუგაშენებინათ იგი. აჩუქეს ლოტეს სილუატი და ვარდიხევირის არშია თეთრი კაბისა, რომელშიც სიჩველად იწილა ლოტე; არ დაგაფიწყდეთ, რომ ეს მხოლოდ ლოტეს წადილით კი არ ხდებოდა, არამედ ექსტერიასაც და ეს ისეთივე გრძობაა „ღმრთა ნიგნში, როგორსაც უფლისწული უბრალო. ვეთილი ადამიანებისაგან რომ იღებს ჰაწყალვებას.

შემოდგომის პირზე გოყთე მალეულად გაემგზავრა, უცერად გაქრა. ითხ თვეს ვასტანა სამთა ადლიამ შთაბეჭდილებები, პოეტს რომ გახვდა თამ, რომლებშიც მტანჯველა და თავდა-ნიჭობამდე წრფელი გრძობები უკველად შე-წიქმედებით პროცესთან იყო გადაწყვეტილი. — გაიფიქრდა და შეივსო ფრანკფურტში, სხვა ქა-ლთან ნაცნობობით, რომელიცსიც, ექსტერი-ისა, მაგრამ, მის გულში-ლოტესთან გასწორე-ბისადავე მოძებნა ადგილი. ეს იყო მაქსიმი-ლია და რომი ერენბრაიტშტაინიდან, უჩვეუ-ლოდ ღამაში, შეთვალა გოგონა, რომელიც ეს-ესაა დაქორწინდა ფრანკფურტულ ქვრივზე, ეპიტი პეტერ ბრენტანოზე და მის გვერდით, ზეობისა და ყველის სურბელებით გაფლენილ ვლილამთ საბლში უბედურად უგრძობდა თავს. გოგონე მთელ დღეებს ატარებდა მასთან, მის ხელს გერთოთ ისევე ერთობოდა, როგორც ღა-ტეს დამძებთან (მას მართლა ძალიან უყვარდა ბავშვები და ასინიც ხელად ეთვისებოდნენ ხოლ-მე, კომპონიუმენტს ეწვედა ჩელოზე, როცა მაქსი-ფორტეპიანოზე უკრავდა და, ჩანს, შიშის ურთიერთობა ამათ არ შემოიფარგლებოდა, რა-დგან ერთ დღეს ვაქარი ბრენტანო გაშმაგებუ-ლი შევიჭრა საბლში და ერთი დავიდარაბა ატე-ბა გოგონეს, როგორც თვითონ ამბობს, „სამთ-ნელა წუთები გახუცდია“. მეგობრობა შეწყდა. „ვერცხრები“ ლოტეს სწორედ ქალბატონ ბრე-ნტანოს დაესხება შავ თვალებს — თვით ლო-ტე სინამდვილეში ცალფერადულა გაბლდათ.

მაქსისთან ურთიერთობას დიდი წვლილი მი-ეძღვის ზომანის დაბულის შეცხებაში განსაკუ-თრებული მნიშვნელობისა აღმოჩნდა თვითმკე-ლულობა, რომელიც სწორედ ამ დროს მოხდა პოეტის ნაცნობ წრეში. — ბრანდშევიგელმა საეღორის მდივანმა იერუხალეშმა, ნიჭიერმა, მე-

ლანქილიურმა და აკადემიკოსურად მგრძობიარე ახალგაზრდამ, რომელსაც ქრისტულ შექყვარე-ბოდა ქმრიანი ქალი და ამასთან ერთად საზოგა-დოებაშიც მრავალი დამკვირვებელი უხდებო-და, თვით მთიკლავი მწიფე-ნიჭიერი და მთა-შა-მოთქმა მოაქცია გოგონეს; შეტად ახლოს მიიტანა გულთან ეს ამბავი, მაგრამ თვითმკე-ლულობა განგებამ თითქოს მას მოუვლინა — ვეცლარის ჯერ კიდევ ბუნდოვან ტრანგელის თბიექტურა მიმართულება მიეცა: დაიწყო გა-იგაგების პროცესი იერუხალეშთან, რომელმაც აღასრულა ის საქმე, ამდენ ხანს რომ უტრია-ლებდა ფიქრებში პოეტს. ეს იერსხეუ საესე-ბით შესაფერისი აღმოჩნდა, რომ ეტვირთა მსო-ფლიო სევდა და ვარამი, მთელი კეთილშობილ-ება და ნიღველი. ყველა სიაუსტე, მისწრაფება თუ ვნება, რაც ეპოქისა და თვით გოგონეს სე-ლისთვის იყო დამახასიათებელი; და მხოლოდ ფორმალა ჩჩებოდა გამოუყვეთელი, რომელშიც ეს მომზიბლავი ჩანაფიქრი უნდა განხორციე-ლებულიყო.

თავდაპირველად ხაწარმოება დრამატულ ფ-ნრში იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ფორმა ჩანა-ფიქრს არ ესადაგებოდა. იგი შეცვალა სხვამ, რომელიც აერთიანებდა დრამატული, ლირიკუ-ლი და თხრობითი ფანრის ელემენტებს: ების-ტოლარული რომანის ფორმამ, რომლის ტრა-დიციაც უკვე დაემკვიდრებინათ რიჩარდსონსა და რუსოს. ახალგაზრდა მწერალი განმარტო-და მთელი საზოგადოებისაგან და სულ რაღაც ითბიოდე ევირამი აღბეჭდა ქალაქულზე „ვერ-ტერის“ ვნებანი“. ამგვარი სისწრაფე ერთობ გა-საოცარი იქნებოდა, ის წერილები და დღიუ-რები რომ არა, რომლებსაც გოგონე ვეცლარის დღეებში წერდა და რომლებიც თითქმის უყე-ლელად, თარიღებიანად შეიტანა რომანში.

ეს არის შედეგრი, რომელშიც განუძეორებ-ლად შერწყმია ერთმანეთს გრძობათა სიწრფე-ლე და ასაკისათვის ესოდენ უჩვეულო რსტე-ტური სიმწიფე. წიგნის თემაა ახალგაზრდობა და გენია და თვით ისიც ხომ ქაბუკი გენიოსის პირმშოა. მე ვწერ იმათთვის, ვისაც წაუკითხავს ეს საოცარი წიგნი და ვინც უმძველად მის საფუძველიან შეცნიერულ კომენტარსაც იცნობს. ისლამ დამრჩენია, შეგახსენოთ კომპოზიციის უმ-ნიშვნელოვანესი და ეფატიზესი დეტალები, რო-მლებიც ხელახლა გადაკითხვისას ჩემთვის მო-ვინიშნე.

რამდენიმე სიტყვა თვით თომანის გმირისა და წერილების ავტორის, ახალგაზრდა ვერტე-რის იერსახის შესახებ. ეს თვით ახალგაზრდა გოგონა იმ შემოქმედებითი ნიჭის გამოკლებით, რომელიც მისთვის ბუნებას ძიუმიადღებია. სა-სიკვდილოდ განწარული, ამ ცხოვრებისათვის

მეტისმეტად კარგი ან მეტისმეტად სუსტი ადა-
მიანის მხატვრული სახე რომ შეექმნა, საქმარი-
სი იყო შემოქმედს მხოლოდ თავისი თავი გა-
ნსახიერებინა — იმ შემოქმედებით უნარის
გარდა, რომელიც მისი საყრდენი და ბურჯია,
ცხოვრების ბილიებზე მიუძღვის წინ და, თუ
გოეთესადმი გამოყენებულ ეპითეტს კიდევ ერ-
თხელ გავიშვებთ, დღევანდელ კაცად ატყვეს.
გოეთეს თავი არ მოუკლავს; რადგან მის უნდა
დაეწერა „ვერტერი“, და კიდევ ბევრი სხვა რამ.
ვერტერი კი ამ გვეყნად მხოლოდ ურვისათვის
მოვლენილი, საკუთარი უსუსტრობის შეგნების
მაფრი უნარით დაჯილდოებული. ყოველივე
შეცნობილისადმი პამლეტისებური სიძულვი-
ლით გამსჭვალული არსებია. და ეს სულს უხუ-
თავს მას: ამიტომ მისი დაღუპვა გარდაუვალია.
მისი „რომანი“, ეს შეუძლებელი და დაუშვებე-
ლი სიყვარული ვოგონასადმი, სხვას რომ ეკუ-
თვნის, მხოლოდ გარესამოსელია, რომელიც სიკ-
ვდილისადმი მის ლტოლვას მიესადაგა, მისი და-
ღუპვის შეტ-საყლებად შემთხვევითი ფორმაა.
ლოტე კი, როგორც არ უნდა ესაღბნებო-
დეს მის თავმოყვარეობას ამ იშვიათი, სისუსტი-
თაც ესოდენ მომნიშნავი ყმაწვილის თავგანის-
ყვმა, რა უდიდეს არ უნდა იყოს ცდუნება, მის
ეტილგონიერებასა და სათნოებას რომ ემუქრე-
ბა, საღად და შეუცდომლად გრძნობს მოსალო-
დნელ საფრთხეს. „ნუთუ ვერა გრძნობთ“, ეკი-
თხება ის ვერტერს, „რომ თავს იტყუებთ, რომ
საკუთარი ნებით იღუბავთ თავს? რაღა მე, ვერ-
ტერ, რაღა მაინცდამაინც მე ამომირჩიეთ სხვი-
სი საკუთრება? რად გჭირდებათ ეს? ვშიშობ,
თქვენს ვნებას ის უფრო აცხოველებს, თქვენ-
თვის მიუწვდომელს რომ ვარ“, მწარე ირონია,
რომლითაც ვერტერი ამ შენიშვნაზე პასუხობს,
ეხადყოფს, თუ რა ზუსტად ენიშნა ლოტეს სი-
ტყვები. ეს გულნატკენობა შეტად ნიშანდობ-
ლივია, რადგან პესიმისტ-ფსიქოლოგს, რომელ-
იც ტყბება ადამიანის შმაგი გულის იმედგამჭ-
რალი ტვრეტით, უმეტესად ვერ აუტანია ზო-
ღმე, როცა ფსიქოლოგია თვით მასზე მიიტანს
ერის.

ამით ის კი არ მინდა ვთქვა, თითქოს ვერტე-
რი თავის თავს ზოგადდეს. იგია ოსტატი დაუნ-
დობელი თვითგვემისა, თვითდაკვირვებისა,
თვითანალიზისა და ქრისტიანულ-პიეტისტური
სულიერი კულტურისა და შინაგანთ თვით-
ჩარმავეების უადრესად დახვეწილი ნაყო-
ფი. განსხვავებული სულიერი წყობის შე-
მოქმედს — ლესინგს არ მოეწონა ეს იერ-
სახე. მისი აზრით, იგი მთელი თანამედრო-
ვე ქრისტიანული კულტურის უარყოფას მოას-
წავებდა, რაკი შეეძლო, თავის წიაღში ასეთი
ინდივიდები ეშობა, განა რომელი ან ბერძენი

კაბუჯი მოიკლავდა თავს უოღლად, სიყვარულის
გამო? კითხულობს ის ეს თაფქვი და გარამ ვერ
დავეთანხმებით ლესინგის აზრს. თითქოს უდი-
დესი სულიერი სიფაქიზე, რომელსაც უკიდუ-
რესი გამოვლინებით დაუტყვემდნენ შინაგან ად-
ამიანი, ქრისტიანული კულტურის უარყოფას
მოასწავებდეს, თითქოს ტახჯვა და სიკვდილი,
რომელსაც გოეთე თავის ახალგაზრდულ ნა-
წარმოებში საკუთარი განცდების საფუძველზე
ესოდენ ზედმიწევნითი თანმიმდევრობით აღწ-
ერს, ჩრდილს აყენებდეს იმ უდიდეს პროგრესს,
რასაც ქრისტიანობამ ადამიანის სინდისის სრუ-
ლყოფის გზაზე მიაღწია.

ეს მცირე რომანი ლოგიკური აუცილებლო-
ბის შედეგია, სულის უმცირეს მოძრაობათა,
ფსიქოლოგიურ მომენტთა და ხასიათის თვი-
სებათა უნაკლოდ, გონიერულად, ფაქიზად და
საქმის ცოდნით შედგენილი მოზაიკა, რაც
მთლიანობაში სიყვარულისა და სიკვდილის
სურათს ქმნის. გარდა ამისა, ავტორის ოსტატო-
ბის წყალობით გმირის საბედისწერო სისუსტე
ამავე დროს უდიდეს შინაგან ძალად გვესახება.
ვერტერი მართლაც გვაგონებს ცხენის კეთილ-
შობილ ჯიშს, რომელიც წიგნშია ნახსენები:
როცა ამ ჯიშების ცხენს უმოწყალოდ გააცლიან
ქანცს, ის ინსტინქტურად ებილია ვაღაიჭროს
ვენა, რომ სუნთქვა გაიიოლოს. „მეც ასე შე-
მართება ზოღმე“, ამბობს ვერტერი. „შინდა
გადავიღრღნა ვენა და მარადიული თავისუფლე-
ბა მოვიბოვო“. მარადიული თავისუფლება შე-
ზღუდულობიდან და პირობითობიდან უსაზღ-
ვროებასა და უსასრულობაში გაჭრის სურვილ-
ია სწორედ ვერტერის არსი, ისევე როგორც
ფაუსტისა. წაიკითხეთ რას წერს იგი სივრცის
უკიდეგანობისა და მომავალზე, ამ სივრცეებისა
და მომავლისაკენ სწრაფვის დაუოკებელ წყუ-
რვილზე — და იგი მთელი სიმაღლით აღიმარ-
თება თქვენს წინაშე. ექსპანსიის შესაძე ფო-
მაა გრძნობა; ვერტერი აქაც ადამიანური ბუნე-
ბის შეზღუდულობისა და არასრულყოფილებას
აწყდება, რაც საბოლოოდ უკარგავს იმედს და
საკუთარი თავისადმი ზიზღით აღავაებს. „რა არის
ადამიანი, ეს ხაქები ნახევრღმერთი? განა სწორედ
მაშინ არ უმტყუნებს ძალა, როცა ყველაზე
შეტად სჭირდება იგი? ანდა, სიხარულით ფრთა-
შესხმულს ან მწუხარებაში ჩაძირულს, სწორედ
მაშინ არ აჩერებს რაღაც და კვლავ ჩლუნგსა
და ცივ შეგნებას უბრუნებს, როცა უსასრუ-
ლობაში ლამობდა გათქვეფას?“ — ცხოვრება,
პიროვნება, ინდივიდი მისთვის საპყრობილეა,
— აქი ასეც ამბობს გააფთრებული სტიქიის შე-
მყურე, რომელთანაც შერწყმა სწადია. „რასი-
ამოვნებით დაეთობდბი ჩემს ადამიანობას, —
წამოიძახებს იგი, — ოღონდ კი შემიძლოს იმ

ქარიშხალთან ერთად გავფანტო ღრუბლები, დავაოკო მდინარეები! ოჰ! ეღივება კი ოდესმე პერობილს ასეთი ნეტარება? — ამ ემოციური პანთეიზმის გამოძახილს ვხვდებით მოგვიანებით შოპენჰაუერის ვოლუნტარისტულ ფილოსოფიაში.

სულიერი ექსპანსიის უმაღლესი და უმძაფრესი ფორმაა სიყვარული — ვერტერი დაეძებს მას. თავიდანვე მზადაა მისთვის. სიკვდილის ინსტინქტს კი იგი უიშვოდ, დამლუპველ სიყვარულამდე მიჰყავს. მის ბუნებაში არის რაღაც, რაც ყველას, განსაკუთრებით კი ბავშვებსა და უბრალო იდამიანებს ნდობით განაწყობს მის მიმართ. ამიტომაც გადაუშალა გული გლეხის ბიჭმა. რომელსაც გაგიჟებით შეჰყვარებია თავისი ქვრივი ქალბატონი: ქალს პირველი გმარი არ უყვარდა და მეორედ გათხოვება აღარ სურს. ვერტერი სულის სიღრმემდე შეძრა ჭაბუკის გრძნობათა სიწრფელზე. მის ჭერ კიდევ თავისუფალ გულში მაშინვე შურის გრძნობა იჭრება. ის თავის მეგობარს სწერს: „ჩემს სიცოცხლეში არ მენახა და ვერც წარმომედგინა დაუოკებელი ენის. მწველი, ვნებიანი ლტოლვა ასეთი წმინდა სახით. ნუ დამძრახავ, თუ გამოგიტყდები, რომ ამ უმანკობისა და უშუალობის მოგონება სულს მიძრავს. ამ ერთგულებისა და სინაზის გამოხატულება მუდამ თან მსდევს და თითქოს მე თვით ვიყო ამ გრძნობით ანთებული, ისე ვიწვი და ვიფერფლები“. — ის უკვე სიყვარულის მონობაშია, თუმცა ამ სიყვარულს ჭერ საგანი არ გააჩნია. მომდევნო წერილში კი ლოტესთან პირველი შეხვედრის აღწერილი.

აქ კი იწყება ნამდვილი სასიყვარულო რომანი, რომლის ფსიქოლოგიური სიმდიდრე განფენილია იდილიურიდან, იუმორისტულიდან და მომაჯადოებელიდან — თვით სულიერი ცდუნების წვედიადით მოცულ უფსკრულებამდე, და ყოველივეს, უბედნიერეს წუთებშიც კი, იმთავითვე სიკვდილის აჩრდილი სდევს. გაგონდება ის ადგილი. სადაც ვერტერი ალბერტისადმი — ლოტეს საქმროსადმი თავის დამოკიდებულებაზე ლაპარაკობს, და გამოთქვამს აზრს, რომ ალბერტის კეთილგანწყობილება მის მიმართ უმაღლესს დამსახურებაა, ვიდრე მისი საკუთარი პოზიციის გამოხატულება? ქალებს ხომ ასე ეხერხებათ. თუკი ორ თავყვანისმცემელს შორის თანხმობას დაამყარებენ, უპირატესობაც მათ მხარეზეა, თუმცა ეს იშვიათად ხერხდება. აი, რას ვგულისხმობ, როცა იუმორისტულ ადგილებზე ვლაპარაკობ. ამ დროისათვის ვერტერის არსება ჭერ საკმაოდ თავისუფალია და, ყოველისმომცველი ვნების მიუხედავად, ძალუძს თავი შეიქციოს „დედაკაცების“ დამპყრობით.

ხრიკების ამოცნობით ალბერტისათვის კი, რომელიც არ მიაჩნია ლოტეს ღირსად, შემდგომში სიკვდილს ნატრობს. რაც-დასაწყისში მხოლოდ დაშვებითაა გამოხატული, რა იქნება, ალბერტი რომ მოკვდეს, საბოლოოდ კი ამ აზრს უფსკრულამდე მიჰყავს. რომლისგანაც შეძრწუნებული იხვეს ჟესან, და თუმცა თვითვერ ბედავს უწოდოს თავის ზრახვებს ნამდვილი სახელი, ამას მკვლელობა ჰქვია.

არა მარტო სიძულვილს, სიყვარულსაც უფსკრულის პირას მიჰყავს იგი. უიღბლოდ შეყვარებული გლეხის ბიჭის ხვედრი, ასე ავისმომასწავებლად რომ გასდევს მის საკუთარ ხვედრს. ვერტერის წმინდა, კეთილშობილ სულში ძალიანობის ნაპერწკალს აღვივებს. ბიჭი გააგდეს ქალბატონის ადვილ-მამულიდან, რადგან ისე აეტანა ვნებას, რომ ქალის დამორჩილება სცადა — ვაჟის ამ სიშმაგეში არც ქალია მთლად უდანაშაულო, რამეთუ შეგნებულად თუ შეუგნებლად ასაზრდოებდა ამ ვნებას სანახევროდ დამყოლი საქციელითა და თავღალბობით. და განა ლოტეს ასევე არ იტყვევა? წიგნში არის ერთი სცენა, რომელიც თითქოსდა ეგნებელი იდილიურობით აშკარა საფრთხეზე დალადებს, საიდანაც ჩანს, როგორ აღვივებს ვერტერის ვნებას მიამიტობამენილბული სიყველუციით ეს სათნო გოგონა: იადონის ეპიზოდი, როცა ლოტე ვაჟის თვალწინ საკოცნელად უწვდის ჩიტს ბავშვებს და შემდეგ მისკენ აგზავნის, ანდა როცა მომლიძარ ბაგეთაგან აკენკინებს ჩიტს ნამკეცებს. ვერტერი პირს იბრუნებს. რატომ სჩადის ამას ფიქრობს ის: ასევე ვფიქრობთ ჩვენც. რადგან ლოტე საკმაოდ გონიერია და კარგად ესმის, რა საფრთხის წინაშე დგას ვერტერი, ამასთან საკმაოდ კეთილიც და ალბათ აფიქრებს მისი ბედი. ხოლო თუ უყვარს — განა უფრო არ უნდა დაინდოს? მაგრამ სწორედ სიყვარული, ალბერტისადმი ერთგულების მიუხედავად, ვერტერის მიმართ რომ განიცდის, უბიძგებს მას იმ „უნებლიე თავღალბობისკენ“, რომლითაც იმ გლეხის ქვრივმა, თავისი მსახური უკიდურესობამდე მიიყვანა. ლოტეს რომ ვერტერი უყვარს, რომანში ეს მინიშნებულია ფსიქოლოგიურ-მამხილებელი ხერხით, და ეს ხერხი ქვეცნობაერში თავის დრმა წვდომის უნარით თითქმის იუმორისტულად გამცემლურია. ლოტე გრძნობს, რა მძიმე იქნება ვერტერის დაკარგვა. ამიტომ ნატრობს. ვაჟი ან ძმა იყოს მისი, ანდა მის რომელიმე დობილზე დაქორწინდეს და ამრიგად ვერტერსა და ალბერტს შორის კვლავ კეთილგანწყობილება დამყარდეს. მაგრამ, როგორც კი თავის მეგობრებს გონებაში თვალს გადაავლებს, ყველას რაღაც ნაკლს უბოვის — ვერც ერთისთვის ვერ იმეტებს ვერტერს. ახალ-

აზრდა პოეტი დასძენს: ამ ფიქრებში ლოტეს სულის სიღრმეში“ აგრძნობინეს, რაც „ბოლო-ზე ვერ გაემჩნია საკუთარი თავისათვის,“ რომ ზსი იდუმალი სურვილი იყო ვერტერის სათა-ყსოდ შენარჩუნება. „არჩევით ნათესაობაში“ ერთე ასე აშკარად აღბათ აღარ გამოსთქვამ-ს ამ აზრს, თუმცა „ვერტერის“ მსგავსი ადგი-ლები ძალზე ეხმაურება ამ რომანის ფსიქოლ-ოგიურ ოსტატობას.

არ ავყვები ცდუნებას და უამრავ ნათესა-გან, რომელნიც განსაკუთრებულ ყურადღებას მიახებებენ, ყველას არ შევეხები. მომეტებუ-ლად გაბედულ ეპიზოდად მიმაჩნია ამბავი ზა-მთარში ყვავილების მამიებელი შეშლილისა, რომელიც ნეტარ, ლალ დროებას იგონებს — როცა თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ეს საგიფეში გატარებული დღეებია. აქ აშკარად ჩანს შური სიგიფის ნეტარი მდგომა-რეობის მიმართ, და ეს ადგილი წიგნში ერთ-ერთი უმბადრესია სულიერი გამოვლინების სიძლიერით.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა თვითმკვლე-ლობაზე ფიქრებს, რომელიც თვით პოეტს გა-ნუწყვეტლივ სდევდა თან ვერტერის პერიოდ-ში. ვერტერი წიგნის დასაწყისშივე კარგა ხნით ადრე, ვიდრე მისი გადაწყვეტილება საბოლო-ოდ მომწიფდებოდა, თეორიულად ამართლებს თვითმკვლევლობას. იგი არ ეთანხმება აზრს, თი-თქოს ეს ნაბიჯი სისუსტის გამოხატულება იყ-ოს; პირიქით, ამტკიცებს, რომ იგი არის ადა-მიანური სიამაყისა და თავისუფალი ნების გა-პარჯება დამორჩენველ მდგომარეობაზე, რომელშიც ტანჯვა გვაყენებს. „განა სენი, რომე-ლიც ყოველ ძალის გვაცლის, იმის გამბედაო-ბისაც არ გვართმევს, რომ თავი დავალწიოთ მას?“ — კითხულობს იგი. პატივმოყვარული მისწრაფება — არ დაემორჩილოს ამ დილემას, დაუმტკიცოს საკუთარ თავს, რომ ტანჯვა ვერ წართმევს მისგან თავის დაღწევისათვის საჭი-რო გამბედაობას, ერთ-ერთ უძლიერეს ბიძგად-ტყვევა ვერტერის თვითმკვლევლობისათვის და ქედან ნათლად ჩანს, თუ რა შემოქმედებითად კარდაქმნის პოეტი ხელოვნებად იმ აზრებს, რომლებიც თვით მას უქადდნენ დალუბვას; რა თა-ვისუფლად იყენებს მათ დამხმარე-ფსიქოლოგი-ურ საშუალებებად, და ამგვარად თავს აღწევს მათ შემოქმედებას.

არ უნდა დავივიწყოთ სოციალური მოტივი, რომელიც გოეთეს შემოაქვს ნაწარმოებში რათა სრულად დაბატოს ვერტერის სიძულვი-ლი ცხოვრებისადმი, ეს არის კლასობრივი კონ-ფლიქტი, რომელშიც იგი თავის მგრძნობიარე გმირს აქცევს, როცა ლოტესაგან გაქცევის მი-ზნით საელჩოში იწყებს მუშაობას. შეჯახება

ბედიდურ თავადაზნაურობასთან, რომელთა რი-გებშიც მას, სხვათა შორის, ერთი მეგობარიც პყავს, რუსოსებურად განწყობილი ერთილა-ინ ფონ ბ. ვისთვისაც მალალო კლასობრივი მდგომარეობა თითქოს უქვეყნებდად ქცეუ-ლა, რადგან „ვერ აქმაყობილუქს მესაქულიერ მოთხოვნილებებს“, — დაახ. ეს დამამკირებელი და გამომწვევი შეხლა საძულველ კლასთან კა-რგად წარმოაჩენს წიგნის ისტორიულ პოზიციას და რევოლუციურ ტენდენციას და მას თვით ყველაზე ზერელე ანალიზის დროსაც კი ვერ ავუვლით გვერდს. ნაპოლეონს არ მოეწონა ეს ხაზი. „რაში გვირდებოდათ ეს?“ — ჰკითხა მან გოეთეს ერფურტის შეხვედრაზე და გოეთეს, ჩანს, მაინცდამაინც გაბედულად ვერ დაუცავს წმინდა ადამიანურ სასიყვარულო ტრაგედიაში სოციალური პროტესტის ჩართვის აუცილებ-ლობა. მისი შფოთიანი ახალგაზრდობისათვის კი ასეთი რამ უცხო არ იყო. გავიხსენოთ სუ-ლისშემძვრელი პროზაული სცენა „ვაუ-ატი-დან“, როცა გრეტენის მაცდუნებელი საზოგა-დოების სისასტიკეს ამითრახებს, რის მსხვერპ-ლადაც ქცეულა ქალიშვილი. ვაიმარის დადგმი-სათვის გოეთე-მინისტრმა ამ სცენას ხაზი გადაუსვა და შესაძლოა, კონსერვატი ოლიმპი-ელი ვერტერის ეპიზოდსაც ითავილებდა, სად-აც სასიყვარულო ამბის ფარული, მხოლოდ სუ-ლიერი რევოლუციური საწყისი მოელოდნე-ლად სოციალურ გამოსავალს პოულობს. მაგ-რამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სოციალე-რი გამბაფრების გარეშეც „ახალგაზრდა ვერტე-რის ვნებანი“ იმ წიგნებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებშიც იწინასწარმეტყველეს და მოამზა-დეს საფრანგეთის რევოლუცია.

გოეთემ, ცხადია, იცოდა ეს და ეამაყებოდა კადეც მობუცებულობაში უკვე შიმნარევი სი-ყვარულით ლაპარაკობს ამ წიგნის შესახებ: „გამოცემის შემდეგ მხოლოდ ერთხელ წავიკი-თხე, — ამბობს 1824 წელს, — და ვერცდები ხელახლა გადაკითხვის. აქ ხომ ყოველ ფების ნაბიჯზე ნაღმია დაფლული! უსიამო გრძნობა მეუფლება, და ვშიშობ, ხელახლა არ აღმოე-ჩნდე პათოლოგიურ მდგომარეობაში, რომელ-მაც ეს წიგნი შვა“.

ხელმეორედ გადაკითხვა კი 8 წლის წინ მოხდა — 1816 წელს. ამ წელს 67 წლის პოეტს უჩვე-ულო და ღირსსახსოვარი — ყოველ შემთხვევა-ში, ჩვენის აზრით, — შეხვედრა მოუხდა, მა-გრამ ამჯერად არა წიგნთან, არამედ ცოცხალ ადამიანთან. ხანში შესული მანდილოსანი, გო-ეთეზე სულ ოთხიოდე წლით უმცროსი, ვაიმა-რში თავის გათხოვილ დას ეწვია და პოეტის ნახვის სურვილი გამოთქვა. ეს იყო შარლოტე კესტნერი, ქალწულობაში ბუფი, ვეცლარელი



მიქელ ანტუან გუბელი

„ნაყოფი“ ანუ „ისპირიდა“